


სახალხო განათლების  
ქართვადი მოღვაწეები  
და  
სახალხო მასწავლებლები

კრებული მეორე

რედაქტორი ალ. შვანაბერიძე





## ანდრია ბაკველიძე (1823—1889)

ანდრია გიორგის-ძე მრევლიშვილი XIX საუკ. პედაგოგთა იმ ნაწილს ეკუთვნის, რომლებმაც თავიანთი შედარებით ხანგრძლივი სიცოცხლე სახალხო განათლების წმინდა საქმესა და ძველი სიმღერა-საგალობლების აღდგენა-ჩაწერის საპასუხისმგებლო ამოცანას მიუძღვნეს. ანდრია გიორგის-ძე 39 წლის განმავლობაში დიდი მონდომებითა და წარმატებით მოღვაწეობდა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის პირველდაწყებით ეტაპზე. პედაგოგიური ასპარეზიდან გასვლის შემდეგაც მას თავი არ მიჰნებებია თავისი საყვარელი საქმისათვის და ყოველდღიურად იღვწოდა ქართული მუსიკალური კულტურისა და განათლების გავრცელებისათვის.

ანდრია გიორგის-ძე მრევლიშვილი დაიბადა 1823 წელს თელავის მაზრის სოფელ იყალთოში. მისი მამა, რომელიც მყავშვილების კარის მოძღვარი იყო, მთელს კახეთში ცნობილი იყო თავისი მომაჯადოებელი საგალობლებით, სუფრული შემოძახილებითა და ჰარმონიული სიმღე-

რებით. გიორგი მრევლიშვილმა თავის შვილებს ეგნატესა და ანდრიას შემკვიდრეობით ქართული მუსიკალური კულტურის ეს საგანძურიც გადასცა. ძმებს სიკაბუჯის წლებში გარდაეცვალათ მამა. დედა ანამ უდიდესი მზრუნველობა გამოიჩინა შვილებისადმი. მისი მუყაითობის წყალობით ეგნატე და ანდრია მრევლიშვილებმა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელეს სწავლა. 1841 წელს ისინი დედიტაც დაობლდნენ. მიუხედავად ობლობისა და უდიდესი სიძნელეებისა, ძმებმა ჩინებული განათლება მიიღეს და სამოქმედო ასპარეზზე იმ დროისთვის საკმაოდ ღრმა ცოდნით აღჭურვილნი გამოვიდნენ.

1843 წლის 28 აგვისტოს ანდრია მრევლიშვილმა წარმატებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიის სრული კურსი და გაიგზავნა თელავის სასულიერო სასწავლებლის პირველი კლასის მასწავლებლად. ამავე წლის 30 ოქტომბერს ანდრია გიორგის-ძე გადმოიყვანეს თბილისში სამრევლო სკოლის მეორე კლასის მასწავლებლად.

1844 წლის 28 ოქტომბერს ანდრია დუშეთის სამაზრო სასწავლებლის პირველი კლასის მასწავლებლად დანიშნეს, სადაც ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა, ვიდრე ამ სკოლას სამრევლო სკოლად გადააკეთებდნენ (1850 წელი).

1850 წლის 19 მაისიდან კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველობა ა. გ. მრევლიშვილს გზავნის ახალციხის სამაზრო სასწავლებლის მოსამზადებელი კლასის მასწავლებლად. ოთხი წლის შემდეგ რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებით ახალციხის სასწავლებელი დროებით დაიხურა. ა. გ. მრევლიშვილი რაჭაში მიავლინეს და დაავალეს გაეხსნა პირველდაწყებითი სასწავლებელი. ანდრია მრევლიშვილმა დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულა და 1856 წლის 18 აგვისტოს ის ამავე სკოლის ზედამხედველის თანამდებობაზე დაამტკიცეს.

1857 წლის 5 ივლისის ბრძანებით ის დანიშნულ იქნა ქუთაისის პირველდაწყებითი სასწავლებლის ზედამხედველად და რუსული ენისა და მათემატიკის მასწავლებლად.

ა. გ. მრევლიშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა ძირითადად ქუთაისის პირველდაწყებით ორწლიან სასწავლებელში გაიფურჩქნა. ამ სკოლას ისე გაუთქვა სახელი, რომ ხშირად მას „მრევლოვის კლასს“ ეძახდნენ.

დავით კლდიაშვილი თავის მემუარებში იგონებს: „როცა ერთრიგად მოვმაგრდი სწავლაში, მაძაჩემმა წიმაზარა მრევლოვის მოსამზადებელ სასწავლებელში... თვით სასწავლებლის გამგე, ანდრეი ივანიჩ<sup>1</sup> მრევლოვი მშვენიერი ტბილი, ბავშვების მოსიკეთე აღამიანი იყო. ჩვენც ძლიერ

<sup>1</sup> დ. კლდიაშვილს ისევე, როგორც თ. ხუსკივაძეს, ანდრია მრევლიშვილის მამის სახელი ეწლებათ. საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული დოკუმენტებითა და მაცუაშვილების მიერ გაცემული ბოძების სიგელიდან დავახუსტეთ, რომ ანდრიას მამას ერქვა გიორგი (ГЕОРГИИЕВИЧ). ა. ც.

გვიყვარდა“. „მრევლოვის კლასი“ ქუთაისის გუბერნიის ერთ-ერთი მოწინავე და ნამდვილი პედაგოგიური სასწავლებელი იყო. სასწავლო მეურნეობა საათივით და რაციონალურად ჰქონდა აწყობილი, ხოლო მასწავლებლებსა და შეგირდებს შორის თითქმის ყოველთვის პარმონიული ურთიერთობა სუფევდა. თვითონ ანდრია გიორგისძე პედაგოგის იდეალურ განსახიერებას წარმოადგენდა, რის გამოც მთელ დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ სანიმუშო მასწავლებლად მიიჩნდათ. „როგორც სასწავლებელში, აგრეთვე გარეთ ცხოვრებაში მოსწავლე ყმაწვილებს გვერდს უდგა მასწავლებელი ამბანაკა, გონიერ გზის მაჩვენებელი, გამწვრთნელი ა. მრევლიშვილი და ყველაფერს, რასაც ცელქი და დაუდგომელი ყმაწვილების ბუნება და ცნობის მოყვარეობა მოითხოვდა—აცნობებდა, უხსნიდა, გონებით ავარჯიშებდა მათ.“<sup>1</sup>

პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში ანდრია მრევლიშვილი უდიდეს სიძნელეებს აწყდებოდა. მარტო ის რადა ღირს, რომ 1861 წელს მხოლოდ ორი პედაგოგი ასწავლიდა 103 მოსწავლეს, ხოლო 1862 წელს—160-ს და ისიც სამად-სამი სახელმძღვანელო წიგნით. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ „მრევლოვის კლასი“ მეტად შეუფერებელსა და უბეირო ბინაში იყო მოთავსებული. მაგრამ აღნიშნულ ნაკლოვანებებს ავსებდა მრევლიშვილის მუყაითი და შემოქმედებითი შრომა. მრევლიშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის ნაყოფიერება იქიდანაც ჩანს, რომ ქუთაისის გუბერნიის სასწავლებლების დირექტორმა პეჩკინმა 1863 წელს სამჯერ შეამოწმა მრევლიშვილის გამგებლობაში არსებული სკოლა, მოსწავლეთა მომზადება, პედაგოგთა საქმიანობა და სამჯერვე დიდად კმაყოფილი დარჩა.

ქუთაისის გუბერნიის სასწავლებლების დირექციის 1863 წლის სასწავლო ნაწილის ანგარიშში აღნიშნულია: „ქუთაისის პირველდაწყებითი სასწავლებლის მოსწავლეების მოსწრება ზედამხედველი მრევლოვისა და სამღვთო სჯულის მასწავლებლის კანდელაკის გულწრფელობისა და ენერგიულობის წყალობით დამაკმაყოფილებელია, მიუხედავად მოსწავლეთა უდიდესი სიჭარბისა“.

მრევლიშვილს პედაგოგის „ორიგინალური ალლო და უნარი ჰქონდა. მოსწავლეთა მიმართ იგი საღი პედაგოგიური ზეგავლენის ხერხებს იყენებდა; მისთვის უცხო იყო წყრომა და შერისხვა. „ყმაწვილები მასში ხედავდნენ წყნარს, ტკბილს, თავის დღეში გაუჯავრებელს უფროსს ამბანაკს და სინდო მეგობარს, ვიდრე სახაზავით და ცემა-ტყეპით აღჭურვილ დესპოტ მასწავლებელს“<sup>2</sup>. მოსწავლის უსაქციელობისა და სიზარმაცის გამო გულნატკენი მასწავლებელი წონასწორობას მაინც არ კარგავდა და აბეზარ მოსწავლეს მზიარული სახით მიაძახებდა: „ჩემო ბამბის

<sup>1</sup> ხუსკივაძე თ. ნეკროლოგი, ქუთაისი, „მწვეთი“, 1889, № 19, გვ. 10—12.

<sup>2</sup> იქვე.

ტომარაო, გინდ ისწავლე, გინდ არაო<sup>1</sup>. ყმაწვილებისათვის ეს უდიდესი სასჯელი იყო. მრევლიშვილს კარგად ესმოდა, თუ რა მწიშველობა ჰქონდა სწავლა-განათლებას, გონების განვითარებასა და ცოდნა-გამოცდილების შეძენას. მან კარგად იცოდა, რომ ხალხის სიღარიბისა და დუხჭირი ცხოვრების ერთ-ერთი მიზეზი ადამიანთა გონებრივი სიჩაღუნვე იყო. იგი იმ აზრისა იყო, რომ გაუნათლებლობა ხალხის არა მარტო სოციალური და პოლიტიკური სიბეცის, არამედ ეკონომიური სიდუხჭირის მიზეზიც იყო. ითვალისწინებდა რა ამას, მრევლიშვილი სასწავლებელში ლებულობდა ასაკგადაცილებულ ყმაწვილებსაც.

ანდრია მრევლიშვილი არაჩვეულებრივად კეთილისმყოფელი და ტკბილმოუბარი იყო. თავისი სათნოებით აოკებდა და იპყრობდა მსმენელებს, ცელქ მოსწავლეებსა და უსაქმოდ მოსიარულე ახალგაზრდებს. მეტად საგულისხმო და საინტერესო ეპიზოდს მოგვითხრობს თ. ხუსკივაძე: „სასულიერო სასწავლებელში ვსწავლობდი; მეოთხე გაკვეთილზედ მასწავლებელი არ გვეყვდა და „მრევლოვის“ კლასშიდ წავედით საყურებლად, რადგან იქაური შეგირდები გვეჯიბრებოდნენ, ჩვენ უფრო კარგათ გვასწავლიანო... შესვლისთანავე გაგვიჯავრდა მამა ზეშედაშვილი და გამოგყარა გარეთ. მამა ზეშედაშვილის ხმაზედ მეორე კლასიდგან უეცრივ თავი გამოყო ტკბილი სახის მოხუცებულმა მასწავლებელმა, რომელმაც ჯერ გაგვიღიმა, მერე მიგვიწოდა, შეგვიყვანა კლასში, დაგვაჯინა და მთელი საათი გვასმენია გეომეტრიის გაკვეთილი, რომელმაც ძლიერ გვასიამოვნა და გავგახარა. შემდეგ მამაშვილურად და ტკბილის სიტყვით დაგვარიგა, რომ ასე ტყულა უბრალოთ გაკვეთილების დროს სხვა სასწავლებელში თრევა-ხეტიალს ნუ დაიწყებთ. ეცადით და ისწავლეთ, რომ კარგი კაცები გამოხვიდეთო“<sup>2</sup>.

მრევლიშვილმა ქუთაისის პირველდაწყებით სასწავლებელში 25 წლის ნაყოფიერი შრომით აღზრდილებისა და ქუთაისის საზოგადოების უდიდესი სიყვარული დაიმსახურა. მან სწორად აუღო ალლო 1860—70-იან წლებში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას და მოქნილი პოლიტიკით სკოლაში გააუმჯობესა როგორც ქართული ენის სწავლება, ისე პოლიტიკური, ფიზკულტურული და მუსიკალური სწავლებაც. „ა. მრევლიშვილი გატაცებით უწყობდა ხელს სწავლების ახალი მეთოდების შემოღებას, თვალსაჩინოების პრინციპის გამოყენებას; აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას და აგრეთვე სკოლისგარეშე კითხვის ორგანიზაციისა და მოსწავლეთა ფიზიკური შრომის რაციონალიზაციის საქმეს“<sup>3</sup>.

ა. მრევლიშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა არ იქნება სრული, თუ ვაკვრით მაინც არ აღინიშნა მისი წვლილი მუსიკის დარგში. მას კარ-

<sup>1</sup> ხუსკივაძე თ. ნეკროლოგი, ჟურნ. „მწყემსი“, 1889, № 19, გვ. 10—12.

<sup>2</sup> თავეზიშვილი გ. სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში, თბ., 1948, გვ. 168.

გად ჰქონდა შეგნებული, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მუსიკას ალ-ზრდის საქმეში. ის იყო ყრმათა გულში ჩამწდომი სიმღერა-გალობის მასწავლებელი. ქუთაისის დაწყებითი სკოლის მოსწავლეები იოთმენლად ელოდნენ სიმღერა-გალობის გაკვეთილს, რათა დამტკბარიყვნენ საყვარელი მასწავლებლისა და აღმზრდელის ტკბილი საამო ჰანგით. და განა მარტო მოსწავლეები შეჰხაროდნენ მის სიმღერებს? მრევლიშვილების მუსიკალური ოჯახის სიმღერა-საგალობლებით ტკებოდნენ არა მარტო ქუთაისის მცხოვრებლები, არამედ თბილისის საზოგადოებაც. სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე, როდესაც ოთხი ქალიშვილით, ვა-ეიშვილებითა და სიმძებით გარშემორტყმული შექალაჩავებული ტკბილი მოხუცი კარბელოვის კილოთი წამოიწყებდა სიმღერას. მოხუცის წყნარი, მშვიდი და ტკბილი ხმა ჰარმონიულად უერთდებოდა ქალიშვილების ნახს, წმინდასა და ნარნარ ხმებს, და ამგვარად შერწყმული გალობა ისეთ მომაჯადოებელ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ მსმენელები გაოგნებული რჩებოდნენ.

ანდრია მრევლიშვილი მუსიკალური ხელოვნების ყველა ხერხების გამოყენებით ღრმად ნერგავდა ძველ ქართულ სიმღერა-საგალობლებს პირველდაწყებითი სასწავლებლისა და ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეებში. გიმნაზიაში სიმღერის წარმატებითი სწავლებისათვის იგი მრავალჯობის იქნა დაჯილდოვებული. ა. გ. მრევლიშვილის ტრადიციებზე აღიზარდა მრავალი ახალგაზრდა, რომლებიც თავის მოგონება-მემუარებში სიამოვნებით იხსენიებენ საყვარელსა და ტკბილმოუბარ მასწავლებელს.

მუსიკალური ნიჭით ყოველმხრივ აღტურვილმა ა. მრევლიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართულ სიმღერა-საგალობლებს, რომლებიც ნელი-ნელ უფერულდებოდნენ და თანდათან მივიწყებას ეძლეოდნენ. ქართული მუსიკალური ხელოვნების გადაგვარებისა და სრულიად დაკარგვის შიშით ანდრია მრევლიშვილს დაუწყია ქართული სიმღერა-საგალობლების ნოტებზე გადაღება. 1878, 1884 და 1886 წ. წ. საქართველოში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებიდან ირკვევა, რომ ა. მრევლიშვილს მრავალი სიმღერა-გალობა აღუდგენია, დაუხვეწია და გადაუღია ნოტებზე, რომლებიც შემდეგში რამდენჯერმე შეუსწორებია და გამოცემაც მოუწადინებია, მაგრამ უსახსრობისა და მთელი რიგი ტექნიკური სიძნელების გამო სურვილი ვერ შეუსრულებია. სამწუხაროდ ა. მრევლიშვილის ნოტების ბედი გამჭურკვევილია. მათი აღმოჩენა კი დიდ სამსახურს გაუწევდა ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას, მის ისტორიას.

დუხპირმა ცხოვრებამ და მძიმე შრომამ მოსტეხეს სახალხო განათლების ერთ-ერთი ქომავის ანდრია გიორგის-ძე მრევლიშვილის დაუცხრომელი ენერგია და ის 1889 წლის 5 სექტემბერს გარდაიცვალა ქუთაისში.

## ლიტერატურა

თ ა ვ ზ ი შ ე ი ლ ი გ. სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში. თბ., 1948.

კ ლ დ ი ა შ ე ი ლ ი დ. მემუარები. თბ., 1932.

ზ უ ნ დ ა ძ ე ტ. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან, თბ. 1951.

„დროება“ 1878, №№ 31, 45; 1880, № 65; 1884, № 272.

„ივერია“, 1886, № 237.

„მწყემსი“, 1884, № 14; 1889, № 19.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 426, საქმე №№ 16, 133, 155, 182, 183; ფონდი 440, საქმე № 265.

Циркуляр по управлению главного инспектора учебных заведений на Кавказе и за Кавказом, 1867, № 8; 1868, № 5; 1869, № 2; 1869, №№ 2, 10; 1873, № 1; 1874, №№ 1, 10; 1878, № 1; 1879, №№ 1, 5 и 6, 12; 1882, №№ 1, 8; 1883, № 12; 1884, № 9; 1885, № 3.

Памятная книжка Кавказского Учебного Округа на 1880 год. Тиф. 1880.

---



### ჰახგანგ თულაშვილი (1834—1910)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი დამაარსებელთაგანი, პედიგოგი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ დიმიტრის-ძე თულაშვილი დაიბადა 1834 წლის 6 ნოემბერს სოფ. ზირბითში. მშობლების ხელმოკლეობის გამო ვახტანგ თულაშვილს კავკასიის სამიჯნო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა აღარ განუგრძია. ეს სკოლა ამზადებდა გამმიჯნულ-მიწისმზომელებსა და ტოპოგრაფებს. იღნიშნულ სასწავლებელში ვახ. თულაშვილი წარჩინებით სწავლობდა და თავის სპეციალობას საუკეთესოდ დაეუფლა.

ნიკიერ ახალგაზრდას სასწავლებლის ხელმძღვანელებმა უურადლება მიაქციეს და მასწავლებლად მიიწვიეს, ხოლო 1859 წლიდან, როდესაც სამიჯნო სკოლასთან ე. წ. საკვირაო სკოლა ჩამოყალიბდა, აქ ვ. თულაშვილი და მიხეილ ზაალის-ძე ყიფიანი სხვებთან ერთად სრულიად უსასყიდლოდ მუშაობდნენ და ახალგაზრდებს მონდომებით ასწავლიდნენ.

ამავე დროს ვახ. თულაშვილი საზოგადოებრივ სალიტერატურო ასპარეზზეც მოღვაწეობდა და ილია ქავჭავაძის წრეში აქტიურ მონაწი-

ლობას იღებდა. თანამშრომლობდა „საქართველოს მოამბეში“ (1863 წ.), დრო გამოშვებით აქვეყნებდა წერილებს თბილისის ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. მან 1862 წელს მ. ზ. ყიფიანთან ერთად შეადგინა და გამოსცა ქართულ ენაზე არითმეტიკის სახელმძღვანელო, ფოგელის რუსული სახელმძღვანელოს მიხედვით.

ვ. თულაშვილი სხვებთან ერთად 1870-იან წლებიდან ენერგიულად იღვწოდა ისეთი საზოგადოების დაარსება-ჩამოყალიბებისათვის, რომელსაც ქართველ ხალხში სწავლა-განათლება უნდა შეეტანა და სკოლები გაეხსნა. ამ სურვილის განხორციელება მოწინავე საზოგადო მოღვაწეთა წრემ შესძლო მხოლოდ 1879 წელს, როდესაც ოფიციალურად დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

ვახ. თულაშვილი მთელი რიგი წლების მანძილზე ამ საზოგადოების წევრი იყო და სარევიზიო კომისიაში მუშაობდა.

ვახ. თულაშვილი გარდაიცვალა 1910 წლის 9 დეკემბერს, თბილისში. სამწუხაროდ უფრო ვრცელი ბიოგრაფიული ცნობები ვახ. თულაშვილის შესახებ არ მოგვეპოვება. არც თუ მისი ღვაწლია სათანადოდ დაფასებული. მისი ცხოვრების შესწავლა კი მე-19 საუკუნის ბევრ საინტერესო საზოგადოებრივ საკითხს ჰყენს ნათელს. კერძოდ ეს ითქმის ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების შესახებ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაარსდა 1879 წლის 31 მარტს (ამ თარიღითაა დამტკიცებული ოფიციალურად საზოგადოების წესდება). აღნიშნულმა საზოგადოებამ საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა. მისი მთავარი მიზანი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის, განათლების გავრცელება, სკოლების გახსნა, სახელმძღვანელო წიგნებისა და პედაგოგიური და სხვა ხასიათის ლიტერატურის გამოცემა.

უდიდეს გამარჯვებას წარმოადგენდა წესდების მე-3 მუხლით მოპოვებული უფლება, რომლის მიხედვითაც „საზოგადოების“ სკოლებში მთელი დაწყებითი განათლება დედაენაზე წარმოებდა. ეს მუხლი წესდების მთავარი მუხლია და მისი შინაარსი ამარჯვლებდა საზოგადოების შექმნასა და არსებობას. იგი შესაძლებლობას ქმნიდა კოლონიური პოლიტიკის შედეგად ასე რიგად შელაბულ დედაენას კანონიერი უფლებანი მოეპოვებინა კერძო სკოლებში მაინც. თავის მხრივ ეს ნაბიჯი აღვივებდა იმედს და ხალხს კიდევ მეტად რაზმავდა გონივრულ საფუძველზე მოწყობილი სკოლების გასახსნელად, სადაც საგნების სწავლება მშობლიურ ენაზე იწარმოებდა.

დიმ. ყიფიანი, ილ. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე და ვახტ. თულაშვილი იყვნენ ის პირნი, რომელთაც ყველაზე მეტი ღვაწლი დასდეს ამ საზოგადოებას. საზოგადოების მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში იმდენად დიდი იყო, რომ მისი დაარსების ისტორიის, საქმიანობისა და გავლენის შესწავლა მრავალმხრივია საინტერესო.



კერძოდ ეს ითქმის იმ მოსამზადებელ პერიოდზე, რომელიც წინ უძღოდა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას.

ამ საკითხზე ჩვენ საკმაო ლიტერატურა მოგვეპოვება. უმთავრესი მათ შორის არის იაკობ გოგებაშვილის წერილი „როგორ დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება“. რადგანაც ი. გოგებაშვილის ამ წერილს ეყრდნობა თითქმის ყველა მკვლევარი, ჩვენც ჯერ ამ წერილის მიხედვით წარმოვადგენთ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების მთავარ მომენტებს.

„შემდეგ ბატონ-ყმობის გადავარდნისა, — წერს „დედაენის“ სახელოვანი ავტორი, — საქართველოში 1864 წელს ქართველ საზოგადოებაში დაიბადა და აღიზარდა ის აზრი, რომ ეს რეფორმა მხოლოდ მაშინ მოიტანს სანატრელს ნაყოფს, როცა გლებობა განთავისუფლდება სიბნელისა და უმეცრებისაგანაო. ვისგან უნდა მოელოდეს ჩვენი გლებობა ამ მეორე განთავისუფლებასაო? რასაკვირველია, არა ბიუროკრატიისგან, რომელიც ამისათვის თავს სულაც არ გაიცხელებს, არამედ ქართველი დაწინაურებული საზოგადოებისაგანაო... ამ მოსაზრებამ დაბადა წადილი „წერა-კითხვის საზოგადოების“ დაარსებისა, მაგრამ წადილის განხორციელებას ესაჭიროებოდა პროპაგანდა საზოგადოებაში, მოძრაობის დაბადება და გაძლიერება. ამას ხელი მოუმართა იმ გარემოებამ, რომ მაშინ, სამოციანა წლებში, ზოგი ქართული ოჯახები ნამდვილს ცენტრებს წარმოადგენდნენ, სადაც იკრიბებოდნენ ძველის და ახალის თაობის საუკეთესო წარმომადგენელნი.

ამგვარ ოჯახთა შორის თვალსაჩინოდ განირჩეოდა ოჯახობა იოსებ მამაცაშვილისა. აქ მესამოცე წლების მეორე ნახევარში იკრიბებოდნენ, ქართველ ინტელიგენტთა გარდა, პროგრესიული რუსები და ზოგი გაქართველებული სომხებიცა.

... აქ დარბაისლური საუბარი ხშირად გადაიქცეოდა ხოლმე კამათად სხვადასხვა საკითხების შესახებ, იკითხებოდა რეფერატები, რჩეული სტატიები და წიგნები და იმართებოდა დებატები... ამ წრეს 1870 წელში მოემატნენ ორნი განათლებულნი ახალგაზრდა ქართველნი... ნიკო ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი.

სწორედ ამ წრეში დაიბადა და აღიზარდა აზრი წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებისა. სულ თავდაპირველად ამ საზოგადოებას ჰქონდა კერძო წრის ხასიათი. ყოველს წევრს ამ წრისასა კასაში შეჰქონდა განსაზღვრული ფული, რომლითაც უნდა დაარსებულიყვნენ კერძო სკოლები სოფლად. პირველი კერძო სკოლა დავაარსეთ სოფელს ხოვლეში იოსებ მამაცაშვილის ასულის მარიამის სახელობაზე, რომელიც მეუღლედ ჰყავდა ხოვლელს მემამულეს თავადს გიორგი ჯავახიშვილსა... ჩვენ გვსურდა სამაგალითო სკოლა დაგვეარსებინა, რომლისთვისაც უნდა მიეზამნათ ყველა სოფლის სკოლებსა; მაგრამ სამოსწავლო ბიუროკრატიათ მე-

ტად დააკოჟლა ჩვენი სკოლა, ნაყოფიერება მისი საგრძნობლად შეამცირა და დაუქარგა მიმზიდველობის ძალა. ამიტომ სკოლამ ვერ იბარტყა და დარჩა ობლად

საქმის მდგომარეობამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენის მიზნის და წადილის მისაღწევად კერძო წრე უძლურია, და საჭიროა ფარ.ო.ო საზოგადოება, ჯერიჟანი წესდებულებით, რომელიც მთავრობის მიერ უნდა იქნას დამტკიცებული და დაკანონებულიო. ჩვენ ვთხოვეთ ვახტანგ თულაშვილს, დაებარებინა რუსეთიდან თავისი სიმამრის შუამავლობით ნორმალური წესდება წერა-კითხვის საზოგადოებისა. მანაც დაიბარა, მაგრამ მიღება დაგვიანდა რალაც მიზეზის გამო. ამ ხანობაში მე შიძიმე ავადმყოფი შევიქენი<sup>1</sup>.

იაკობ გოგებაშვილი სამკურნალოდ გაემგზავრა ჯერ სოხუმში, შემდეგ ჯარიანში. როდესაც თბილისში დაბრუნდა, ვახ. თულაშვილისაგან წესდება მიიღო და ნ. ცხვედაძესთან ერთად დიმიტრი ყიფიანთან მივიდნენ. „გადაეწყვიტეთ: ყოველ შაბათს საღამოს შეგკრებილიყავით მასთან და შეგვემუშავებინა წესდებულება წერა-კითხვის საზოგადოებისა ქართველთა შორის. გაჩაღდა შაბათის კრებები. ჩემდა სამწუხაროდ, მე დავესწარი მხოლოდ რამდენსამე კრებას; ზამთრის სიცივემ ისევ ამიშალა ფილტვების ავადმყოფობა და შინ დამამწყვდია.

...ცხვედაძე თვისი ჩვეულებრივი ენერჯით შეუდგა ამ საქმესა და ყოველ შაბათს საღამოს დაიარებოდა დიმიტრი ივანეს-ძესთან და მხოლოდ ეს ორი ქართველი ადგენდა წესდებულებასა ახალის ქართულის საზოგადოებისა“<sup>2</sup>.

იაკ. გოგებაშვილმა გამოჯანმრთელების შემდეგ, როდესაც წესდება მთლიანად შემუშავებული იყო, მასში შეიტანა ცნობილი მესამე მუხლი, რომლითაც გათვალისწინებული იყო სკოლებში სწავლების წარმოება დედაენაზე. ეს ჩვენი დიდი პედაგოგის უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს.

ბესარიონ ლოლობერიძეს დაევალა წესდებაზე საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა ხელის მოწერის ჩატარება. თანაშემწეებად მას დაუნიშნეს ილია ქავჭავაძე და ვახტანგ თულაშვილი.

ვისაც კი წესდებულება მიუტანეს—წერს ი. გოგებაშვილი—ყველამ სიამოვნებით შოაწერა ხელი და არც ერთს შიში არ გამოუთქვამს ჩემ მიერ ჩამატებულის მუხლის (მესამე მუხლის—მ. კ.) შესახებ, რადგანაც მოხსენებიდან ყველანი ხედავდნენ, რომ იგი დამყარებული იყო იმპერატორ ალექსანდრე მე-II-ს რესკრიპტზედა.

სტაროსელსკიმ არ დააგვიანა საქმე და ნამესტნიკს დაუყონებლივ დაამტკიცებინა“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ჟურნ. განათლება, 1911 წ. № 2, გვ. 57.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 60.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 62.

ი. გოგებაშვილის ამ წერილიდან მოკლედ ასეთი სურათი იხატება:

I. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ქართველ საზოგადოებაში გაძლიერდა აზრი გლეხობაში სწავლა-განათლების დედაენაზე შეტანისა და ამ მიზნით წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებისა.

II. ეს აზრი განსაკუთრებით მომწიფდა იოსებ მამაცაშვილის ოჯახში, სადაც იკრიბებოდნენ მოწინავე ქართველები: დიმიტრი ბაქრაძე, დიმ. მუსხელიშვილი, კონსტ. მამაცაშვილი, გეგე მალალაშვილი, ვახტ. თულაშვილი, ანტ. ფურცელაძე და სხვ. ამ ჯგუფს 1870 წლიდან შეემატნენ ნიკო ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი.

III. წრემ გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი და ხოელეში მარიამ იოსების ასულ ჯავახიშვილის სახელზე გახსნა სოფლის სკოლა, სადაც 3 წლის განმავლობაში სწავლება ქართულ ენაზე უნდა წარმოებულყო, ხოლო მე-4 წლიდან რუსულ ენაზე გადადიოდნენ. ი. გოგებაშვილის აზრით, რაკი სწავლების მე-4 წელიც ქართულ ენაზე არ წარმოებდა, სკოლას ფრთები შეეკვეცა და „ვერ იბარტყა“.

IV. ამის გამო წრემ გადასწყვიტა უფრო დიდი საზოგადოების დაარსება და წესდების ნიმუშის შოვა დაავალეს ვახტანგ თულაშვილს, რომელმაც რალაც მიზნების გამო რუსეთიდან დაგვიანებით მიიღო წესდება.

V. ეს წესდება ი. გოგებაშვილმა და ნ. ცხვედაძემ მიიტანეს დიმ. ყიფიანთან გადასამუშავებლად.

ი. გოგებაშვილის ავადმყოფობის გამო წესდება შეიმუშავა მხოლოდ ორმა ქართველმა—დიმ. ყიფიანმა და ნ. ცხვედაძემ.

VI. ი. გოგებაშვილის დაყინებითი მოთხოვნით წესდებაში შეტანილ იქნა მე-3 მუხლი იმ რედაქციით, რომელსაც ჩვენ ახლა ვიცნობთ. ამ მუხლს წინააღმდეგობა არ გამოუწვევია და ის მეფის ნაცვალს დაუყონებლივ დაუმტკიცებია.

იაკობ გოგებაშვილის ამ წერილს უკომენტაროდ იყენებენ მკვლევარები: ვარ. ქაჯია, ი. ლ. ბოცვაძე, პროფ. გ. თავზიშვილი, პროფ. დ. ლორთქიფანიძე, სოლ. ცაიშვილი და სხვ. საქმის ვითარება კი მთლად ასე არ არის. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების ისტორიის ზოგიერთი საკითხის უფრო ზუსტად გასაშუქებლად ჩვენ მოგვეპოვება ვახტანგ თულაშვილის მეტად საინტერესო წერილი, რომელიც გამოქვეყნდა ქურნალ „მოამბის“ 1895 წლის მეხუთე ნომერში—სახელწოდებით „შენიშვნა“. ვ. თულაშვილის „შენიშვნისათვის“ მკვლევარებს რატომღაც ყურადღება არ მიუქცევიათ, მაშინ როდესაც დასახელებული წერილიდან ბევრი რამ ისეთიც ირკვევა, რაც იაკობ გოგებაშვილისათვისაც არ ყოფილა ცნობილი.

ვახტანგ თულაშვილის „შენიშვნა“, როგორც თვითონ ავტორი აცხადებს, შემდეგ გარემოებას გამოუწვევია: „მოამბის“ მეოთხე ნომერში დაბეჭდილია ბ. ნ. ყიფიანის წერილი: „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება“.

რადგანაც ამ წერილის ავტორი არის დიმიტრი ყიფიანის შვილი, ამიტომ ბევრი საინტერესო რამ არის ხსენებულს წერილში ამ გამოჩენილ და განთქმულ კაცის ცხოვრების შესახებ. მაგრამ ირკვევა, რომ „ამ წერილში ზოგიერთი შეცდომებიც არის, რის გასწორება, ჩემის აზრით, საჭიროდ მიმაჩნია. ეს შეცდომილება მოსვლია ავტორს დ. ყიფიანის იმდროინდელ მოღვაწეობის შესახებ. როდესაც ცოტაოდენად წინწაწევის ნიშნები, სწავლა-განათლებისათვის ზრუნვა და სხვა ამისთანა კეთილი სურვილი აღიძრა ჩვენს საზოგადოებაში. ამიტომ. ვგონებ, საჭიროა ვიცოდეთ, როგორ იყო ნამდვილად საქმე: ვინ იცის, იქნება ჩვენის ქვეყნის ისტორიკოსმა როდისმე გამოიყენოს ეს მაშინდელ გარემოებათა დანამდვილებული ცოდნა“ (ქურ. „მოამბე“, 1895 წ. № 5, გვ. 44).

რა შეცდომებზე მიუთითებს ვახ. თულაშვილი ნ. ყიფიანს? მთავარი, რაც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს, ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას ეხება.

ნ. ყიფიანის სიტყვით, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების იდეა დიმიტრი ყიფიანის მარშლობის დროს ჩაისახა ქართველ საზოგადოებაში და მის დამაარსებელთა შორის მითითებულია კონსტ. მამაცაშვილსა, ილ. ჭავჭავაძესა, ბეს. ლოლობერიძესა, ვახტ. თულაშვილსა და მიხეილ ყიფიანზე. ამათ რიცხვში დასახელებული არ იყვნენ ი. გოგებაშვილი და ნ. ცხევიძე, ხოლო კონსტ. მამაცაშვილს და მიხ. ყიფიანს საზოგადოების დაარსებაში მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული.

ამიტომ ვ. თულაშვილი მოკლედ გადმოგვცემს ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების ისტორიას.

„აი ეს საზოგადოება როგორ დაარსდა: ჯერ ისევ ადრე, ე. ი. 1870 წლებში, შევიყარენით რამდენიმე ახალგაზრდა კაცი (ზოგი ქალეზიკი ერივნენ), რომლებსაც ყოველთვეს შემოჰქონდათ კასაში თითო მანეთი (ზოგს მეტიც). ამნაირად მოგროვილის ფულით დავაარსეთ სკოლა ს. ხოვლეს, გორის მაზრაში, სადაც თ-დნი ჯავახიშვილნი ცხოვრობენ. სკოლა იყო ქ-ნ მარიამ, თ-დ გიორგი ჯავახიშვილის მეუღლის სახელობაზე დაარსებული, ხოლო საჭირო ფულს ჩვენის კასიდან ვიხდიდით. შემდეგ ამ სკოლას თ-დ ჯავახიშვილებმა სახლის ალაგიც შესწირეს... რადგანაც ამ ჩვენს პატარა კრებულს სურვილი დიდი ჰქონდა და ღონისძიება იმდენი არა, რომ თავისი სურვილი განეხორციელებინა, ამიტომ დაიბადა აზრი დაგვეარსებინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. სხვადასხვა აზრი გამოითქვა ამ საგნის შესახებ. ბევრი იმასაც ამბობდა, რომ მთავრობა ნებას არ მოგვცემს ამ საზოგადოების დაარსებისასაო.

დადგა 1877 წელიწადი და, როგორც მკითხველსაც ეხსომება, დაიწყო რუს-ოსმალთ ომი. ამ წლის აპრილის პირველ რიცხვებში გამოვიდა რუსეთის მთავრობისაგან მოწოდება ქართველი ერის მიმართ. მთავრობა ამ მოწოდებაში იხსენიებდა, რომ საქართველო მუდამ რუსეთის

მთავრობის ერთგული ყოფილა და ქართველთა ტომი განთქმულია თვისის ვაჟეცობითა და სხვადასხვა ამისთანა ქება ჩვენის სამშობლოსი და მისის ერისა. ვიფიქრე, რა.მ ეს დრო სწორედ კარგი დროა ჩვენის აზრის განსახოციელებლადა-მეთქი“.

ამის შემდეგ ვახტანგ თულაშვილის „შენიშვნა“ იძლევა განმარტებას, თუ რამ გამოიწვია წესდების მიღების დაგვიანება. ვახტ. თულაშვილს პირველად მიუპართავს პეტერბურგისათვის, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ წერილი გაუგზავნია ხარკოვში, მაგრამ წესდების გამოგზავნაზე იქიდანაც უარი შემოუთვლიათ, მხოლოდ ურჩევით სად შეიძლებოდა მისი შოვა და ამ მიწერ-მოწერის შედეგად ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოების წესდების ასლისათვის მიუკვლევეია თბილისში, ზაქარია ერისთავის ოჯახში.

მაგრამ ზუჯობესია მოეუსმინოთ თვითონ ვახ. თულაშვილს: „ვახუთებში მქონდა წაკითხული, რომ პეტერბურგში კმოქმედობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი კომიტეტი... მივწერე ამ კომიტეტს, რომ თავისი წესდება გამოგზავნა ჩემთვის. მივიღე პასუხი, რომ ჩვენი წესდება თქვენ არ გამოვადგებათ და გირჩევთ ხარკოვის მიჰმართოთ, სადაც დაწესებულია იმისთანა საზოგადოება, როგორიც თქვენა გსურთ და გამოვადგებათო. მე ხარკოვის საზოგადოებასაც მივმართე. იქიდან მოიწერეს, რომ დაბეჭდილი ეგზემპლარი ჩვენის საზოგადოების წესდებისა ამ რამდენიმე წლის წინად ტფილისს თ-დ ზაქარია გიორგის-ძე ერისთავს გაუგზავნეთო.

მაშინვე მივმართე ამ დიდად პატივცემულ პირს, რომელმაც დიდი სიხარულით ვადმოძეა ხარკოვის საზოგადოების წესდება.

ნ. ცხველამე. ი. გოგებაშვილი და მე შეეუარენით და ვთხოვეთ დ. ყიფიანს მონაწილეობა მიეღო ამ სასარგებლო საქმეში.

... დ. ყიფიანმა წინაპირველად არ ისურვა მონაწილეობა მიეღო ამ საქმეში, მაგრამ შემდეგ ჩვენი აზრი მოეწონა, დაგვეთანხმა და კვირაში ერთხელ, ხანდახან ორჯელაც, ვიკრებებოდით ხოლმე იმის სახლში წესდების შესადგენად.

... წესდების შედგენას თითქმის მთელი 1877 წლის ზამთარი და 1878 წ. იანვარი მოუნდა. ვიდრე გავათავებდით მის შედგენას, ზევით მოხსენებულთა გარდა არავის მონაწილეობა არ მიუღია“.

1878 წლის 20 იანვარს გრიგოლ ორბელიანის ბინაზე თავი მოუყრია ყველა იმათ, ვისაც მონაწილეობა უნდა მიეღო საზოგადოების დაფუძნებაში. დიმ. ყიფიანს წაუკითხავს წესდების პროექტი, რასაც შემდეგ მოჰყოლია ცხარე კამათი, თუ რა სახელწოდება უნდა მიეცათ საზოგადოებისათვის.

საქმე იმაშია, რომ გამოთქმა წერა-კითხვის საზოგადოება ან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მანამდისაც (ე. ი. ამ კრებამდისაც) არსებობდა, მაგრამ უნდა განსაზღვრულიყო, თუ ვისთვის

იყო ეს საზოგადოება, ვის უნდა მომსახურებოდა ის. ვახტ. თულაშვილის სიტყვით „გრ. ორბელიანი იმ აზრისა იყო, რომ ის სახელი გვეწოდებინა, რომელსაც ამჟამად ვუწოდებთ“, ე. ი. გრ. ორბელიანის წინადადებით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წინ უნდა დამატებოდა: „ქართველთა შორის“. ამის წინააღმდეგ წასულა დიმი. ყიფიანი, რომელსაც უთქვამს: „ეგ სახელი ვერ გამოვა რიგიანი, რადგანაც სომეხთ, ამ ჩვენთა მოძმეთა და მეზობელთა წილი აღარ დაედებათ იმათში, რომელთა შორისაც უნდა ვრცელდებოდეს წერა-კითხვა“. დიმი. ყიფიანს მიმხრობია გიორგი რომანოზის-ძე ერისთავი. კრება კომპრომისულ გზას დასდგომია. ახალ საზოგადოებას გრ. ორბელიანის წინადადებით უწოდეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, ხოლო იმ სომეხებს, რომელთაც სურდათ, შეეძლოთ ხელი მოეწერათ წესდებაზე.

დაიწყო წესდებაზე ხელის მოწერა: „თითქმის ოთხი თვე ვატარებდი ამ წესდებას ხელის მოსაწერათ იმათთან, ვინც კი ტფილისში სცხოვრობდა,—წერს ვ. თულაშვილი. შემდეგ წესდება გადავეცი დიმი. ყიფიანს და 24 ივნისს 1878 წელს წარდგენილ იქნა იგი მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად... თუმცა ბევრს ვცდილობდით, მაინც დამტკიცებამ ძალიან დიდიგვიანა—ცხრა თვეზე მეტმა გაიარა (დამტკიცდა 31 მარტს 1874 წ.)“.

დაგვიანება გამოიწვია წესდებაში ი. გოგებაშვილის მიერ შეტანილმა ცნობილმა მესამე მუხლმა. ამ მუხლის წინააღმდეგ სასტიკად გაულაშქრია როგორც მეფის ნაცვლის სამმართველოს, ისე კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველსაც.

დასამტკიცებლად წარდგენილი წესდება მეფის ნაცვლის სამმართველოს გადაუგზავნია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის. მზრუნველის მოვალეობას ასრულებდა ნ. ლ. მოძალევსკი. მოძალევსკის მოუთხოვია მესამე მუხლის შეცვლა. „ამიტომ,—აღნიშნავს ვ. თულაშვილი,—ჩვენ წესდების შემდგენლები, იძულებულნი ვიყავით ზოგიერთი რამ დაგვეთმო მესამე მუხლში მოხსენებულიდან და ამ მიზეზით წესდების ზოგიერთი ფურცლის გადაწერა დაგვეკირდა. შემდეგ მოძალევსკიმ ორჯელ კიდევ მოითხოვა ამავე მუხლის გადაკეთება, მაგრამ ჩვენ აღარ დავთანხმდით და პირდაპირ ვუთხარით, რომ შეგიძლიანთ თქვენი აზრი წარუდგინოთ მთავრობას და, თუ ის არ დაამტკიცებს, დაე ნუ დაამტკიცებს, ჩვენ კი მაგ მუხლს ველარ შევეცვლით, რადგანაც მაგ მუხლის შეცვლით საზოგადოებას წაერთმევა ღონისძიება თავისი დანიშნულება აღასრულოს და სხვ.“

ცოტა ხანს შემდეგ კავკასიის ნაწესტიკის მთავარ-სამმართველომ თავის მხრივაც მოითხოვა ამ მესამე მუხლის შეცვლა. ამაზე დიმიტრ ყიფიანმა 25 მარტს 1879 წ. წარადგინა ჩვენ მიერ ერთად შედგენილ განმარტების ქალაქი და არ გაკადო ერთი კვირა (31 მარტს), რ წესდება დამტკიცდა“ (ეურნ. „მოამბე“, 1895 წ. № 5, გვ. 51—52)

ასეთი ვახტ. თულაშვილის მიერ წარმოდგენილი საქმის ვითარება ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისა. ამ ცნობების მიხედვით შემდეგ ახალ მომენტებს ვეცნობით:

I. წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებისათვის პრაქტიკულად ნაბიჯის გადადგმა ჩვენმა მოწინავე მოღვაწეებმა შეუფარდეს გარკვეულ მომენტს—რუსეთ-თურქეთის ომს, როდესაც თვითმპყრობელობამ ძალაუვნებურად „გალიმებული სახით“ გადმოჰხედა ქართველ ხალხს. ამ ომს ადგილი ჰქონდა 1877 წელს. მაშასადამე, საზოგადოების სანიმუშო წესდების მოპოვებისათვის ღონისძიება მიღებულ იქნა 1877 წლის გაზაფხულის შემდეგ და არა 1876 წელს.

II. წესდების გამოგზავნის თხოვნა ჯერ ყოფ. პეტერბურგში გაგზავნეს, შემდეგ ხარკოვში. არც ერთ დასახელებულ ადგილიდან წესდება არ ყოფილა მიღებული. მიწერ-მოწერაში დრო გავიდა, რამაც გამოიწვია დაგვიანებით მისი შოვა. საბოლოოდ ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოების წესდების ასლს ვახტ. თულაშვილმა მიაკვლია თბილისში, ზაქ. ერისთავის ოჯახში.

III. წესდების გადამუშავებაში მონაწილეობას იღებდა არა მარტო დიმ. ყიფიანი და ნ. ცხვედაძე, როგორც ეს მიღებულია ამჟამად, არამედ დიმ. ყიფიანი, ნ. ცხვედაძე, ვ. თულაშვილი. მათ ეკუთვნით წესდების საერთო გადამუშავება და მთლიანი სახის მიცემა, ხოლო წესდების უმთავრესი, ცენტრალური, მესამე მუხლი მასში შეტანილია იაკობ გოგებაშვილის კატეგორიული მოთხოვნით.

IV. ახალ საზოგადოებას შემდეგში ცნობილი მისი ოფიციალური სახელწოდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ეწოდა გრიგოლ ორბელიანის წინადადებით 1878 წლის 30 იანვარს, პოეტის სახლში გამართულ მოწინავე ქართველთა კრებაზე.

V. წესდება უმტკივნეულოდ და უბრძოლველად არ დამტკიცებულა. თვითმპყრობელობის აგენტები და კავკასიის სასწავლო ოლქის ბიუროკრატი მესვეურები გააფთრებით მოითხოვდნენ წესდების მესამე მუხლის მთლიანად შეცვლას, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს და წესდების წარდგენიდან 3 თვის შემდეგ, 1879 წლის 31 მარტს, ის დამტკიცებულ იქნა. ამ დროიდან იწყებს თავის ოფიციალურ არსებობას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამ საზოგადოების დაარსებაში სხვებთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის ვახტანგ თულაშვილს. ის ძალღონეს არ ზოგავდა, რომ სწავლავანათლების გავრცელების ეს უდიდესი კერა ჩამოყალიბებულყოფი და თვითმპყრობელობის ბატონობის მძიმე პირობებში ქართული სკოლები გახსნილიყო, სადაც ქართველ ბავშვებს საშუალება ექნებოდათ მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღებისა.

შევით აღვნიშნეთ, რომ ვახტ. თულაშვილი რამდენიმე წელს მას-

წავლებლობდა კავკასიის სამიჯნო სასწავლებელში და ამ სასწავლებელთან არსებულ ე. წ. საკვირაო სკოლაში. მისი მუშაობა ამ მხრივაც სათანადო დაფასებას მოითხოვს.

ვახტანგ თულაშვილმა კავკასიის სამიჯნო სასწავლებელთან არსებულ საკვირაო სკოლაში მასწავლებლობა დაიწყო 1859 წლიდან. ამ სკოლის ქართული განყოფილება გაყოფილი იყო ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში გაერთიანებულნი იყვნენ ქართველები და მათ ხელმძღვანელობდა და ქართულ ენას ასწავლიდა დიმიტრი გიორგისძე სიღამონ-ერისთავი. ქართული განყოფილების მეორე ჯგუფს, რომელშიც არაქართველი ეროვნების ახალგაზრდები სწავლობდნენ, ამეცადინებდა ვახ. თულაშვილი. მაგრამ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართულ ჯგუფსაც და ყოველმხრივ ცდილობდა ქართველ მოსწავლეებს მეცადინეობის ნორმალური პირობები ჰქონოდათ.

სწორედ ამ მდგომარეობამ გამოიწვია ვ. თულაშვილისა და მ. ზ. ყიფიანის მიერ ქართულ ენაზე არითმეტიკის სახელმძღვანელოს შედგენა. მათი განზრახვის განხორციელებას ხელს უწყობდა სამიჯნო სასწავლებლისა და საკვირაო სკოლის ხელმძღვანელთა ჰუმანიური და გამამხნეველი დამოკიდებულება მოსწავლე ახალგაზრდობასა და მასწავლებლებთან.

ვახ. თულაშვილის სიტყვით „რადგანაც იმ დროს ქართულ ენაზე არ მოიპოვებოდა არითმეტიკის არც ერთი სახელმძღვანელო, რაც მეცადინეობას ძლიერ აბრკოლებდა, ამიტომ გ. ნოსოვიჩის, პ. რერბესგის და პ. პავლოვის წინადადებით მიღებულ იქნა დადგენილება, ქართულ ენაზე გადმოთარგმნილი და გამოცემული ყოფილიყო ფოგელის არითმეტიკა, რომელიც იმ დროს საუკეთესო სახელმძღვანელოდ ითვლებოდა დაწყებითი სკოლებისათვის. ხოლო რადგანაც მისი გადმოთარგმნა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ქართულ ენაზე სხვადასხვა სპეციალური ტერმინების უქონლობის გამო, ამიტომ მე და მ. ზ. ყიფიანმა ფოგელის მიხედვით ქართულ ენაზე შევადგინეთ არითმეტიკა, რომელიც თავისი სახსრებით გამოსცა საკვირაო სკოლამ“.

საერთოდ სამიჯნო სასწავლებელსა და საკვირაო სკოლაში მასწავლებლობის პერიოდს ვახტ. თულაშვილზე წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვებია და მას დიდი კმაყოფილებით იგონებდა. საუკეთესო შეფასებას აძლევდა ის აგრეთვე დასახელებული სკოლების ხელმძღვანელებსაც.

„მათი მხურვალე და გულწრფელი თავდადება ამ წმინდა საქმისადმი (იგულისხმება მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმე.—მ. კ.) არა მარტო სურვილს უღვივებდა მეცადინეობისადმი ბიჭუნებსა და ქაბუკებს, რომელთა რიცხვიც მუდმივად იზრდებოდა, არამედ გვალფრთოვანებდა და იმავე გზაზე გვაყენებდა ჩვენც, იმ დროს ჯერ კიდევ ძლიერ ახალგაზრდა მასწავლებლებს“.



ვახტ. თულაშვილი იყო ქართული კულტურის წყნარი და თავდა-  
ბალი მუშაკი, რომელიც თავისი სპეციალობის გამო თუმცა სამიჯნო  
უწყებაში მუშაობდა, მაგრამ ყოველთვის ჩვენს საზოგადოებრივ საქმიან-  
ობაში იღებდა მონაწილეობას და სახალხო განათლების საქმეს შეძლე-  
ბისდაგვიარად ემსახურებოდა.

#### ლიტერატურა

ვ. თულაშვილი, სხვადასხვა ამბავი, „საქართველოს მოამბე“, 1863 წ. № 1; რამ-  
დენიმე სიტყვა სულხან ბარათაშვილზე, „დროება“ 1866 წ.; შენიშვნა, „მოამბე“, 1895 წ.  
№ 5;

ვახ. დიმ. თულაშვილი (ნეკროლოგი), „სახალხო გაზეთი“, 1910 წ. № 182;

ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, 1 ტ.  
1910 წ. გვ. 425—426;

ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება, ქურონ. „განათ-  
ლები“, 1911 წ. № 2;

გ. წერეთელი, „ა. აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“, „ვეალი“, 1897 წ. № 46;

ს. ხუციშვილი და ნ. ტატიშვილი, „საქართველოს მოამბე“, 1863 წ.

„ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1948 წ. № 4—5, გვ. 335.

---





## ილია წინამძღვარი (1834—1920)

(1834—1920)

საგურამო. 1887 წლის 20 ივლისი. ილია ქავკაძის სტუმართმოყვარე სახლი და ეზო განსაკუთრებული საზეიმო იერით იყო შემოსილი. საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულ სასურველ სტუმართა ლაშქარი გარშემოხვევია ძვირფას მასპინძელს, რომლის დღეობას, ილიობას, იხდიდა არა მარტო ოჯახი ან საგურამო, არამედ მთელი ქართველი ხალხი.

ნადიმი კარგა ხნის დაწყებული იყო, როცა ეზოს სიღრმიდან მოისმა მშვენიერი, მწყობრი ქართული სიმღერა. ხმები ქაბუკებისა იყო. მოიმღეროდნენ „წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლის მოწაფენი თავიანთი მასწავლებლებით. წინ მოუძღვით თვით ილია წინამძღვარიშვილი, ამ სკოლის დამფუძნებელი და მისი მუდმივი დაულალავი მზრუნველი და გულშემატკივარი“, მოგვითხრობს ი. მანსვეტაშვილი („მოგონებანი“, გვ. 148).

ორივე ილია თვალგაბრმავებული შესცქეროდნენ თავიანთი ღვაწლისა და შრომის ნაყოფს—მათ მიერ შექმნილი პირველი ქართუ-

ლი სამეურნეო სკოლის პირველი გამოშვების მომავალ აგრონომებს, რომელთაც ილია ქავეკავაძე ასწავლიდა, რომ: ცოდნა გამოუღლებელი სიმდიდრეა, ჩაუქრობელი ჩირაღდანია, რომელიც „კაცის თვალს დედამიწის გულში ახედებს“, მიახვედრებს სად რა სიმდიდრე სძევს, სად რა განძია, საიდან რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობითო...

ოთხმოციანი წლების საქართველოში პირველად სოფ. წინამძღვარიანთ-კარში აანთო ამგვარი ცოდნის ზირაღდანი. მისი ნამდვილი განჩალებელი იყო დიდი ილიას მეგობარი ილია ივანეს-ძე წინამძღვარიშვილი.

სავსებით მართებული იყო იაკობ გოგებაშვილი, როცა მან სამეურნეო სკოლის დაარსებას ხალხის განათლებაში „ახალი ნაბიჯი“ უწოდა. „სამღვდელოებამ უღალატა ხალხის განათლებასა,—წერდა იაკობ გოგებაშვილი 1883 წლის „დროებაში“—, თავად-აზნაურობაც წას არ ჩამორჩა გულგრილობაში, და ამ სახით განათლების საქმის სამსახური წმინდა ვალად დაედო კისერზედ მხოლოდ ქართველს დაწინაურებულ ინტელიგენციის მცირე დასსა... მაგრამ ამ მცირე დასის მხნეობამ, ერთგულებამ, სისტემატურმა და ტაქტიკურმა მოქმედებამ, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, მიინც სანუგეშო შედეგი მოიტანა. ამჟამად მეტ-ნაკლებობით აღიარებულია, თვით მთავრობის მხრითაც, ძირითადი პრინციპი ხალხის განათლებისა—დედა-ენაზე სწავლება საგნებისა სახალხო სკოლებში, და ეს უფლება იმავე დასის მეცადინეობით ვრცელდება იმისთანა სასწავლებლებზედაც, რომელნიც საშუალო სასწავლებლებს უდრიან თითქმის... ამგვარი მოქმედების ნაყოფია სამეურნეო სკოლა, რომელსაც აარსებს ერთს თბილისის მახლობელს სოფელში ბ-ნი ილია წინამძღვარიშვილი“... (თხზ. ტ. I, გვ. 100, 1910 წ.).

მაგრამ სანამ ამ სკოლის დაარსების ისტორიისა და მასში ილია წინამძღვარიშვილის როლის გაცნობას შევეუდგებოდეთ, ჯერ თვით ამ პიროვნების ვინაობა გავიცნოთ, მისი ცხოვრების გზა და მოღვაწეობის სხვა მხარეც.

ილია ივანეს-ძე წინამძღვარიშვილი დაიბადა 1834 წელს დუშეთის მაზრის სოფელ წინამძღვარიანთკარში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. 1855 წელს დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზიის სრული კურსი. სურვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლისა, ნივთიერი უსახსრობისა გაჟო, მან ვერ შეისრულა. ამიტომ იძულებული შეიქნა გაეგლო აგრონომიული კურსები.

საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მთელი წლების განმავლობაში ილია წინამძღვარიშვილი სხვადასხვა დროს მსახურობდა ხან მომრიგებელ შუამავალად, ხან მომრიგებელ მოსამართლედ და უკანასკნელ ხანებში კი ნოტარიუსად თბილისში. ამგვარი სამსახურის მიუხედავად, ილიას კავშირი ერთი წუთითაც არ გაუწყვეტია არც თავის მეურნეობასთან სოფელში, არც პედაგოგიური ხასიათის მუშაობასთან და არც მწერლობასთან.

სამწერლო ასპარეზზე ილია წინამძღვარიშვილი სამოცდაათიანი წლების მიწურულში გამოვიდა. „ბორეშან გვერდწითელის“ ფსევდონიმით გაზეთი „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მისი წერილები, პუბლიცისტური სტატიები და ნარკვევები უმთავრესად საყოფაცხოვრებო, ეთნოგრაფიულ, სოფლის ცხოვრებისა და მეურნეობის საკითხებს ეხებოდა. მაგალითად, 1881 წლის „დროების“ ნომრებში მას აქვს გამოქვეყნებული წერილები ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორც იმ ხანებში იყო: ქართველი ქალების გადაგვარება, მათი ფუქსავეატობა და ოჯახისადმი გულის აკრუება, რომელსაც ის დაცინებით „ახალ სნეულეზას“ (№ 168) უწოდებდა. ამ სათაურის („ახალი სნეულეზა“) ქვეშ მან გამოაქვეყნა მთელი სერია წერილებისა, რომელთა უმეტესობა ეხებოდა ბიუროკრატიული წყობისა და მოხელეობის გაჩენა-გამრავლების გავლენით მე-19 საუკუნეში ქართველი ხალხის ნაწილის ზნეობის შერყევას, უცხო სასწავლებლებში აღზრდილი თაობის დიდი ნაწილის ფუქსავეატობასა და უსარგებლობას (№ 180), ქართველი დედების მიერ შვილების აღზრდისადმი უყურადღებობას და შინამოსამსახურეების უარყოფით გავლენას ბავშვთა აღზრდაზე (№ 210), თეატრის დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას მოზარდ მკურნებელზე და ხალხზე, მსახიობთაგან როლების კარგად შესრულების მნიშვნელობას და სხვ. მანვე გააჩნია აგრეთვე პიესა „დაქცეული ოჯახი“ ქართულ სცენაზე და მასში ასახული „ახალი სენი“— უთანხმოება ცოლ-ქმარს შორის (№ 222).

მომდევნო სტატიებში ი. წინამძღვარიშვილი შეეხო აგრეთვე თეატრისა და „დრამატული საზოგადოების“ არსებობის მნიშვნელობას, მაგრამ იქვე აღნიშნა მათი მუშაობის სუსტი მხარეებიც და მოითხოვა მათი გადახალისება და თეატრისათვის მტკიცე ფონდის შექმნა (№ 267). ერთ-ერთ ამის მომდევნო წერილში მან გააშუქა სკოლისა და ოჯახის გავლენა ბავშვის აღზრდა-განვითარებაზე, რის საილუსტრაციოდ მოიყვანა თბილისის ქალთა გიმნაზიაში გამეფებული უწესრიგობა და ზნეობის დაბალი დონე (№ 272). ერთ წერილში ი. წინამძღვარიშვილმა მოურიდებლად ამხილა მოხელეთა განუკითხავი თარეში, მექრთამეობა, მათ მიერ ჩადენილი ყოველგვარი სისამაგლე და სამღვდელოების ზნეობრივი დაქვეითება (№ 169).

1882-83-84 წლებში გამოქვეყნებული წერილები ი. წინამძღვარიშვილისა კიდევ უფრო მრავალფეროვანია. მაგალ. ეტიუდი „მკითხავი მელანა“ („დრ“. 1882, № 11) ეთნოგრაფიული ხასიათისაა და ეხება მკითხაობას და მის უარყოფით გავლენას სოფლის ცხოვრებაში. იმავე წლის „დროების“ რამდენიმე ნომერში (№№ 32, 30, 27) ის შეეხო ქართული და სომხური თეატრისათვის შესაფერი ბინების გამონახვისა და მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის საკითხებს. მისი ორი სტატია მიეძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებისათვის მხატვარი მ. ზიჩის მიერ ცოცხალი სურათების დადგმების ღირსება-ნაკლოვანე-

ბათა აღნუსხვას. მან აქვე წამოაყენა წინადადება მ. ზიჩის მიერ „ვეფხისტყაოსნისათვის“ დახატული სურათების ერთ კრებულად დაბეჭდვისა ალბომის სახით და მისი გავრცელების შესახებ ქართული თეატრის ფონდის გასაძლიერებლად.

ამგვარად, ილია წინამძღვარიშვილი, როგორც პუბლიცისტი-მწერალი, ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი უკეთესი მერმისისათვის მებრძოლი ინტელიგენტი, საკმაოდ ჩანს ქართულ, პერიოდულ პრესაში. იგი სამოციანი წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ერთი აქტიური წევრია.

ჯერ კიდევ 1881 წელს აცნობა ილია წინამძღვარიშვილმა ქართველ საზოგადოებას თავისი უანგარო სურვილი წინამძღვარიანთქარში სამეურნეო სკოლის გახსნის შესახებ („ღროება“ №27), რასაც მოჰყვა ამ სკოლის პროექტის განხილვა. როგორც იაკობ გოგებაშვილის ცნობებიდან ჩანს, 1881 წელს ილია წინამძღვარიშვილმა, გადაწყვიტა თუ არა თავისი საკუთარი სახსრებით ამგვარი ტიპის სასწავლებლის გახსნა, ბინაში მიიწვია თორმეტამდე პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. ი. წინამძღვარიშვილი თხოვდა ამ რჩეულთა კრებულს—შემეშუავებინა წესდება, სასწავლო გეგმა და პროგრამები მომავალი სამეურნეო სკოლისათვის. საკითხების გაშუქებას რამდენიმე სხდომა მოუწია და საბოლოოდ დადგენილ იქნა სკოლის პროფილი, სწავლების ხანგრძლივობა და პროგრამის მოცულობა... მაგრამ ერთი „წყეული“ და თავსატეხი საკითხი მაინც ამღვრევდა წყალს და დიდ დაბრკოლებას ქმნიდა. ეს იყო სკოლის წესდების პირველი მუხლი, იაკობ გოგებაშვილის ხელით ჩაწერილი: „სწავლება ყველა საგნისა პირველი წლიდან დაწყებული მეექვსე წლის დასრულებამდინ უნდა მიმდინარეობდეს ქართულ ენაზე“. ამავე დროს მეორე მუხლში, აგრეთვე გოგებაშვილის ნითითებით, ნათქვამი იყო: „რუსული ენის სწავლება სამეურნეო სასწავლებელში უნდა დაწყებულ იქნას მესამე წლიდან“.

კრებამ ორივე ეს მოსაზრება, რასაკვირველია, კეშმარიტებად მიიჩნია, მაგრამ საქმეც ის იყო, რომ სწორედ ამ კეშმარიტებას ჰყავდა იმ ხანებში ყველაზე ძლიერი შტერიც. ეს იყო ცარიზმი, რომელიც „ავიწროებდა, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმ მიზნით, რომ მასები სიბნელეში ჰყოლოდა“ (ი. სტალინი). ცარიზმის მაშინდელი წარმომადგენელი განათლების დარგში, მეფის ერთგული მოხელე იანოვსკი (რომელიც უხეშად ოხუნჯობდა: აბა რად მივაჩინივართ მე ქართველთა ან სომეხთა მოძულედ, როცა პირველ რიგში ვარ სომეხი (იან), შემდეგ რუსი (ოვ) და ბოლოს პოლონელი (სკი), ცხადია, სასტიკად გაილაშქრებდა ამ წესდების პირველი მუხლის წინააღმდეგ. ამიტომ კრებამ მოითხოვა ამ ორი მუხლის შეცვლა არსებული რეჟიმის შესაბამისად იმ მო-

ტივით, რომ შეიძლება ამ ორმა მუხლმა მთელი ამ დიდებული განზრახვის განხორციელება ჩაშალოსო.

მაშინ ი. გოგებაშვილმა მოიშველია კავკასიის მეფის მოადგილის (ნამესტნიკის) თანაშემწე დ. ს. სტაროსელსკი (1832—1884), ლიბერალურად განწყობილი მოხელე, გურამიანთ სიძე, ილია ქავევაძის მახლობელი ადამიანი, რომლისადმი მიმართვის დაწერა თვითონ იაკობმა იკისრა. ამის შემდეგ წესდების მუხლი უცვლელი დატოვეს, ხოლო სასწავლო გეგმა და პროგრამები შესდგა ნიკო ცხვედაძის უშუალო მონაწილეობით. ილია წინამძღვარი შეიღმა დაუყონებლივ წარუდგინა დ. სტაროსელსკის სკოლის წესდებაც, პროგრამებიცა და სასწავლო გეგმაც. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკის თანხმობა არ მიუცია ამგვარი წესდების დამტკიცებაზე, ი. გოგებაშვილის მეოხებით—მან დასწერა ამ საკითხზე ვრცელი, მეცნიერულად და პოლიტიკურად დასაბუთებული მოხსენება—და სტაროსელსკის დახმარებით როგორც სკოლის წესდება, ისე მისი პროგრამები და სასწავლო გეგმაც დამტკიცებულ იქნა.

ამის შემდეგ ილია წინამძღვარი შეიღს არაერთარი დაბრკოლება არ ელობებოდა წინ. მან კიდევაც აცნობა ქართველ საზოგადოებას ამ სკოლის გახსნის შესახებ 1883 წლის პირველ სექტემბრიდან („დროება“, 1883 წ. № 167). ეს გახსნაც საზეიმო ვითარებაში მოხდა აგვისტოს ბოლო რიცხვებში, რომ სკოლა პირველ სექტემბერს ნორმალურ მუშაობას შესდგამოდა. სოფ. წინამძღვარიანთკარის ცხოვრებაში მომხდარი ეს ისტორიული დღე დაწვრილებით არის აღწერილი ეურნალი „ივერიის“ კორესპონდენტის მიერ სექტემბრის ნომერში, სადაც მოთხრობილია:

„... ჩვენ საზოგადოების უხასიათობის დროს, ერთმა კერძო პირმა ხანგრძლივი მეცადინეობის შემდეგ თავისი საკუთარი ხარჯით და საფართო ჩასდგა საძირკველი ფრიად სასარგებლო დაწესებულებისა. ჩვენ ვამბობთ ბ. ი. წინამძღვარი შეიღზედ და მისგან დაარსებულ სამეურნეო სკოლაზე ს. წინამძღვარიანთკარში.

დიდად დასაფასებელია პატივცემული ი. წინამძღვარი შეიღის ღვაწლი,—განაგრძობს კორესპონდენტი—სწორედ დიდად გასაკვირველია მისი მხნეობა და გაბედულება. უნდა მკითხველმა დაწვრილებით იცოდეს ამ მეცადინეობის ისტორია. უნდა იცოდეს—რა ჯაფა და შრომა იყო საკირო, როგორც მისთვის, ისე იმ კერძო პირთათვისაც, რომელნიც ეხმარებოდნენ მას, რომ ამ სკოლის საქმე თავს მოსულიყო, რომ ღირსეულად დაფასოს საზოგადოებრივი მნიშვნელობა ამ მოვლენისა. ჩვენ ძალიან იშვიათად და სრულიადაც არ გვახსოვს, რომ საზოგადო საქმისათვის ასე შეძლებისა და ჯაფის დაუზოგველად კერძო კაცს თავი გამოემეტებინოს. ჩვენში საზოგადო საქმისათვის თავგამოდებას, კონების დაუზოგველობას ბევრი ისევ სხვა თვალთ უცქერის, ჩვენ ჯერ არ შევხედვრით ვართ ჩვენს ცხოვრებაში არამც თუ შემძლებელ მფარველს სახალხო განათლებისას, სკოლისას, მეცნიერებისას, არამედ ლიტერატურის და მწერლობისასაც კი.

რაც შეეხება თვით სამეურნეო სკოლის სარგებლობას ჩვენგვარი ქვეყნის ხალხისათვის, ეს უტყველია და აქ ჩვენ ჩვენთავად ბევრს არას ვიტყვი. დღე, თვით იმან სტყვას აქ სიტყვა, ვინც ეს საქმე დაჰბადა, ხორცშესხმულყო,—დღე ეს სარგებლობა განმართოს იმან, ვინც დაესწრო სკოლის კურთხევის დროს“.

ამის შემდეგ მოყვანილია სიტყვა ამ სკოლის დამაარსებლის და მზრუნველის ილია წინამძღვარიშვილისა და ზემის საპატიო დამსწრის, ქართველი ხალხის დიდი მოამაგის ილია ქავკავაძისა. ილია ქავკავაძის აქ თქმული სიტყვა მარტივად გადმოცემული ღრმა ფილოსოფიური სიტყვაა, რომელიც დღემდე მიჩნეულია ქართული მკვებრმეტყველების უბადლო ნიმუშად. ამ სიტყვის მოყვანა აქ არ დაგვირდება, რადგან ის ფართოდ არის ცნობილი ყველა კულტურული ქართველისათვის. რაც შეეხება თვით სკოლის დამაარსებლის, ილია წინამძღვარიშვილის მიერ იმ დღეს წარმოთქმულ სიტყვას, ის ჩვენი თემის უშუალო ნაწილია და ამიტომ მისი აქ მოყვანა საჭიროდ მიგვაჩნია. ილია წინამძღვარიშვილმა, გახსნა რა ეს ხალხმრავალი საზეიმო შიტინგი, საზოგადოებას მიმართა:

„ბევრს თქვენგანს გააკვირვებს ჩემი მოქმედება, რომ დღეს მე სამეურნეო სკოლას ვხსნი,—მართლა რომ ეს საქმე სამშობლო საქმეა; მაგრამ ეს საქმე მე გამაბედვინა ერთი მხრივ იმან, რომ ყოველის მამულის-შვილის ვაღია შეძლებისამებრ შეეწიოს ღარიბსა და უმეცარს ხალხსა, მეორეს მხრივ აუცილებელმა საჭიროებამ აქაურ ხალხში სასარგებლო და პრაქტიკული ცოდნის გავრცელებისამ. მე დარწმუნებული ვარ, რომ გზახედ ბევრი გაკვირდება მოგველი, მაგრამ ამ გაკვირვების დაძლევა შეუძლიან საქმისადმი სიყვარულს, გულის დადებას და ენერჯიას, როგორც სახალხო სკოლის ისტორია ამტკიცებს. ამ ბრძოლისათვის ერთის ან რამდენიმე პირის ძალა საკმარისი არ არის,—საჭიროა ხელის შეწყობა და თანაგრძნობა თითონ საზოგადოებისა. მაშ ყველანი, ვინც კი ერთგულად ეკიდება სახალხო განათლების საქმეს, ამოუვადგეთ გვერდით მეცნიერების დროშას, გაეუღოთ სასწავლებლის კარი ყოველ ერსა და სარწმუნეობას, წაიხდეთ წინ და მოვფინოთ ბნელს ხალხში ნათელი კვშმარტივებისა.

„მოგმართათ რა თქვენ, ჩემს ამხანაგებს და ახლად გახსნილი სკოლის პირველ მოძღვრებს, უნდა გითხრათ, რომ თქვენ, როგორც მეცნიერების წარმომადგენელთ, შეგებდეთა სასიამოვნო, მაგრამ ძნელი, დანიშნულება. თქვენ პირველთ უნდა გააბნოთ საგურამოს ხეობაში თესლი განათლებისა, უნდა ებრძოლოთ ხალხის ცრუმორწმუნეობას, უნდა აღძვრათ თანაგრძნობა სახალხო განათლებისადმი და ცბადად აჩვენოთ ის სარგებლობა, რაც გამოცდილებას და მეცნიერებას ადამიანისათვის მოუტანია. თქვენზეა დამოკიდებული სკოლის მოწაფეთა ბედი და თითონ სკოლის მომავალი. ჩვენი სკოლა სამაგალითო იქნება მთელი კავკასიისათვის და თქვენ თქვენი სული უნდა ჩაუდგათ მას... მივანებოთ თავი თავმოყვარეობას და ჩუმად, აუჩქარებლად, ყველანი ვემსახუროთ სულიერს და ნითვის ინტერესებს იმ ხალხისას, რომელიც ყოველთვის ჩვენი ზრუნვის საგანი იქნება. მაშინ სკოლის მტერი მეგობრებად გარდაიქცევიან და კრშმარტივება აღდგება.

„დასასრულ მოვუღებ ვრაცხ ჩემს თავს, გამოვუცხადებ ღრმა მადლობა დიმიტრი სიმონის-ძე სტაროსელსკის ამ სკოლისადმი თანაგრძნობისათვის, და აგრეთვე იმ პირთა, რომელნიც ამ სკოლისათვის ზრუნავდნენ. იმედი ვიქონიოთ დიმიტრი სიმონის-ძე მიიღებს ამ სკოლას თავის მფარველობის ქვეშ.

ეს ჩვენი პირველი ნაბიჯი იყოს ნიშნად სკოლის ბედნიერი მომავლისა!“...

ამ სიტყვას, ვფიქრობ, კომენტარა არ სჭირდება. იგი სავსებით გვიხატავს სამაგალითო პატრიოტის, თავისი ეპოქის ნამდვილი შვილის მიმზიდველ პორტრეტს. ილია ქავკავაძემ, რომელმაც აქვე წარმოთქმულ სიტყვაში ცოდნის კარი და მეცნიერების აკვანი უწოდა ამ სკოლას, მისი დამაარსებელიც ასე დაახასიათა: „გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკიცენული კაცი და გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო, თქვენ ოლონდ ხალხის გა-



მოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისი თაოსნობით, დაულაღავი მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუღდა ამ ძნელ საქმეს და თავისი სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში, აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძვები მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვარიშვილია, ის აკვანი—აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიძვები კიდევ მისგან მოწვეულნი ოსტატები არიან მაშ გაუმარჯოს, ხალხო, ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანსა! გაუმარჯოს ილია წინამძღვარიშვილს, ამ აკვნის დამდგმელსა!“.

ილია ჭკვევაძემ თავის ისტორიულ სიტყვაში მომხიბლავი ფერადოვნებით განუმარტა დამსწრე საზოგადოებას იმდროინდელი საქართველოს ვითარებაში ამ სკოლისა და მისგან გამომდინარე ცოდნის უდიდესი მნიშვნელობა. მოუწოდა ყველა წოდების წარმომადგენელთ, რომ თავიანთი შვილები დააწაფონ ამ ცოდნის დაუშრეტელ წყაროს, თუ სურთ, რომ დედამიწის გულში ჩაიხედონ და ამოიღონ ის სიმდიდრენი და უღვევი საგანძური, რაც ბუნებას ჩვენს, პატარძალივით მორთულ კოჭწია ქვეყანაში თავის კალთიდან უხვად გადმოუბერტყიაო.

ამ ზემის შემდეგ ერთი წელიწადი გავიდა. ილია წინამძღვარიშვილმა მოიწადინა მისგან დაარსებული სკოლის პირველი ნაბიჯების შემოწმება. ამისათვის მან დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი მოიწვია წლის ბოლოს გამოცდებზე დასასწრებლად. იაკობი ესტუმრა სკოლას, სადაც უნდა განხორციელებულიყო ის წესდება და პროგრამა, რომელიც მან დიდი ბრძოლითა და ტაქტიკური მცდელობით გამოგლიჯა მთავრობას. სკოლის ნახვით იაკობი მეტად ნასიამოვნები დარჩა. როგორც თვითონვე აღნიშნავს, „სკოლას პირველ წელიწადს იმდენი გაუკეთებია, რომ ოპტიმისტური მოლოდინისათვისაც გადაუჭარბებიაო“ („დროება“, 1884, № 140).

ამ დათვლიერებას იაკობ გოგებაშვილმა სპეციალური სტატია მიუძღვნა: „პირველი ნაბიჯი სამეურნეო სკოლისა“, რომელშიც დაწვრილებით არის აღნუსხული სკოლის მიღწევები როგორც დედა-ენის სწავლებაში, ისე სხვა საგნებში (არითმეტიკა, ფერმაში პრაქტიკული მუშაობის ჩვევები, ელემენტარული მეურნეობის ზოგიერთი საჭირო ცნობები და სხვ.).

ყველა ამ სიკეთის მიზეზად ი. გოგებაშვილი ასახელებს პირველ რიგში მასწავლებლების პატიოსან, გულისხმიერ, მუყით და გონივრულ შრომას, შემდეგ კი თვით სკოლის მზრუნველის ილია წინამძღვარიშვილის მოღვაწეობას. „იგი სამაგალითო ერთგულობით და მუყაითობით ზრუნავდა სკოლაზედ. ყოველ კვირა დადიოდა ქალაქიდან სოფელ წინამძღვარიანთქარში, იგებდა ყოველის გარემოებას სკოლისასა თავის დროზედ და ცდილობდა დაუყონებლივ აეშორებინა მისთვის ყოველი დაბრკოლება. ორ თვეში ერთხელ მართავდა მსუბუქ გამოცდებს სკოლაში, მერე თბილისში ჩამოჰქონდა ვრცელი ანგარიში მასწავლებლებისა იმის

შესახებ, თუ რამდენი და როგორ ასწავლეს ყოველი საგნიდან. ამ ანგარიშს წაუკითხავდა ხოლმე სკოლის საქმეში დახელოვნებულ პირთა, მოისმენდა მათს აზრსა და შენიშვნებსა, მიჰქონდა სოფელში ეს შენიშვნები, ქალაქდღედ დაწერილი, და სკოლის პედაგოგიურს კრებაში, როგორც თავმჯდომარეს, შეჰქონდა გასასინჯავად და ყურადღებაში მისაღებად“ (იქვე).

ი. გოგებაშვილის ეს საგულისხმო სიტყვები ნათლად გვიხატავს ილია წინამძღვარიშვილის თავკამოდებულ მუშაობასა და უანგარო ღვაწლს ამ სკოლის გარშემო. როგორც სხვა წყაროებიდან ჩანს, იგი ბოლომდე დარჩა ამ სკოლის ყოველდღიურ მზრუნველად. ამავე დროს გასაოცარი ის იყო, რომ მთელ სკოლას თავის სახსრებით ინახავდა, ვამუდმებით მუშაობდა, მარად მას დასტრიალებდა თავს, მარად მისი ჭირითა და ლბინით იყო დაინტერესებული. სკოლა ყოველწლიურად იზრდებოდა: ემატებოდა კლასები, ახალ-ახალი მოსწავლეები და მასწავლებლები, რაც განუსაზღვრელ სიხარულს იწვევდა როგორც მის დამაარსებელში, ისე მთელ ქართველ ინტელიგენციაში.

1890 წელს წინამძღვარიანთქარის სკოლა უკვე სრულწლოვანი იყო სრული ექვსი კლასის კურსით, ე. ი. ექვსწლიანი სწავლების კურსით, როგორც ეს მის დებულებაში იყო მოცემული. სკოლის მიღწევებმა, მის მიერ გამოშვებულმა კადრებმა, საზოგადოება აილაპარაკა. ილია წინამძღვარიშვილიც თითოთ საჩვენებელი და სამაგალითო პიროვნება შეიქნა. იაკობ გოგებაშვილი სათავად-აზნაურო ბანკის ერთ-ერთ კრებას მოახსენებდა, რომ საჭიროა მუდმივი დახმარება (სუფსიდი) დაენიშნოს ბანკიდან წინამძღვარიანთქარის სამეურნეო სკოლას, „რომელიც ნაყოფიან განათლების სიყვარულისა, მხნეობისა და თავკამოდებისა ბ-ნ ილია წინამძღვარიშვილისა“ („ივერია“, 1890, № 77). ახასიათებდა რა ამ კრებაზე იაკ. გოგებაშვილი წინამძღვარიანთქარის სკოლას, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ეს უდიდესი სიკეთე ნაყოფი იყო აგრეთვე იმ „ფრიად“ სასიხარულო მოვლენისა, „რომ ეს სკოლა არის“ განხორციელებული პრინციპი კეშმარიტი განათლებისა, იმისთანა პრინციპი, რომლის გარეშე ერის ფეხზედ წამოყენება და მისი წარმატება ყოველად შეუძლებელია. სადაც კი კეშმარიტი განათლების ლამპარი დანთებულა, დედაბოძად მას ჰქონია და აქვს დედა-ენა, სწავლება დედა-ენაზედ. როგორც საუკეთესო ღონე გონების განვითარებისა და ცოდნის შეძენისა, ღონე ბუნებისაგან მინიჭებული, რომელს კვეყანაშიაც კი გადუხვევიათ ამ გზისათვის, იქ გონების გახსნის-მაგიერ მისი დახშობა მიუღიათ, განათლების მაგიერ დაბნელება და ზნეობის გაწმენდისა და ამაღლების მაგიერ მისი დაცემა“ (იქვე).

„ჩვენში,—მოახსენებდა გოგებაშვილი იმავე კრებას,—მხოლოდ წინამძღვარიანთქარის სკოლა ადგია მტკიცედ და შეურყვევლად ამ დალოცვილსა და კეშმარიტ გზას განათლებისას; მარტო იგი ასრულებს ძირი-

თად მცნებას პედაგოგიკისას, მხოლოდ მას უპყრია ხელში დროშა გონებრივი წმინდა სანთლისა; მარტო იგია მოშორებული კვამლსა და ხრჩოლვას, რომელიც მეტნაკლებობით ტრიალებს ყველა სხვა სასწავლებელში და სულს უხუთავს მოზარდ თაობას, ფრთას უკვეცავს გონებას და მისწრაფებას. საკუთარი წესდების ძალით, რომელიც დამტკიცებულია მთავრობისაგან, წინამძღვარიანთკარის სკოლაში სწავლება ყველა საგნების მთელი ექვსი წლის განმავლობაში სწარმოებს დედა-ენაზედ“ (იქვე). ასე ხაზგასმით აღნიშნა ეს ფაქტი დიდმა პედაგოგმა, რომელმაც მართლაც მიაღწია იმასაც, რომ ამ სამაგალითო სკოლას მუდმივი სუფსიდი მიეღო ბანკიდან, რომელსაც ილია ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა.

ეს სკოლა ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე და საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებამდე და მას შემდეგაც არსებობდა. მან მრავალი სამეურნეო სხვა დარგის მუშაკები და გამოჩენილი ადამიანები მისცა საძმობლოს. 1913 წელს, როცა ამ სკოლის 30 წლისთავი აღნიშნეს და სკოლის მუშაობის ერთგვარი შეჯამება მოხდა, გამოჩნდა ამ სკოლისა და მისი დამაარსებლის დიდი დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე („განათლება“, 1913 წ. № 8, აგრეთვე ცალკე წიგნად გამოცემული ბროშურა რუსულ ენაზე — წინამძღვარიანთკარის სკოლა, 1913 წ.).

მიუხედავად იმისა, რომ ილია წინამძღვარიშვილი ყოველდღიური სამსახურითა და ამ სკოლის მზრუნველობით იყო გართული და დატვირთული, კალამი ხელიდან მაინც არ გაუვლია. ის კვლავ განაგრძობდა თანამშრომლობას პერიოდულ პრესაში, სადაც უმთავრესად სამეურნეო და საზოგადოებისათვის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს ეხებოდა. დიდად მგეგობრობდა ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც ი. წინამძღვარიშვილს მიუძღვნა პოემა „აჩრდილი“. გაზეთების: „დროების“, „ივერიის“, „სასოფლო გაზეთის“, „კვალის“, „სახალხო გაზეთის“, „საქართველოს“, „ცნობის ფურცელის“; ჟურნალების — „ივერია“, „თეატრი“, „მეურნე“, „ჯეჯილი“, „განათლება“ ფურცლებზე ხშირად შევხვდებით ილია წინამძღვარიშვილის კალმის ნაყოფს და ან მასზე დაწერილ წერილებსა და ცნობებს.

ცალკე წიგნებად არის გამოცემული ილია წინამძღვარიშვილის შრომები: „ვაზის მოშენება“ (1889 წ.), რომელიც რამდენჯერმე გამოვიდა, როგორც სახელმძღვანელო და ყოველი მეურნისათვის დამხმარე წიგნი; 1919 წელს გამოიცა მისი მეორე ნაშრომი „საუბარი მიწათმოქმედების შესახებ“.

ილია წინამძღვარიშვილი გარდაიცვალა 1920 წლის 2 სექტემბერს თბილისში. დაკრძალულია წინამძღვარიანთკარში, სადაც მან სამაგალითო ამაგი, ადამიანური მხნეობა და საზოგადოებრივი თავდადება გამოიჩინა.

## ლიტერატურა

- ილია ჯავახიანი. „წინაური მიზიხილა“, „ივერია“. 1883 წ. № 9;  
ი. ჯოჯებაშვილი. „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები“, ტ. I,  
1910 წ. გვ. 99, 148, 223, 104, 426;  
„თეატრი“, 1888 წ. № 21;  
საქართველოს კალენდარი, 1903 წ. გვ. 461;  
„მეურნე“, 1888 წ. № 17, 33, 34; 1889 წ. № 45, 12—13, № 21. 1890 წ. № 4;  
„დროება“, 1880 წ. 251, 253, 1881 წ. № 3, 192. 1882 წ. № 54, 1883 წ. № 93,  
107, 109, 136, 174, 187, 192; 1884 წ. № 50, 4, 48, 197, 190;  
„ვანათლება“, 1910 წ. № 9, 1913 წ. № 7, 8.  
„საბჭოთა მასწავლებელი“, 1938 წ. № 58;  
„ორი ილია“, ჟურნალი „კლდე“, 1913 წ. № 33, 34;  
„წინამძღვარიანთქარის სკოლა“ (ბროშურა რუსულ ენაზე) თბილისი, 1913 წ.
-



ნიკო ნიკოლაძე

## ნიკო ნიკოლაძე

(1843—1928)

გასული საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი მეტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სახელოვან მესამოციანელს, დიდ მოაზროვნეს, პუბლიცისტს, ლიტერატორს, ნ. გ. ჩერნიშევსკის იდეურ და პირად მეგობარს ნიკო. იაკობის-ძე ნიკოლაძეს.

ქართველი ხალხის დიად, თავისუფლებისმოყვარულ ტრადიციებსა და რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი ნიკო ნიკოლაძე, დიდ ილიასთან, აკაკისთან და გიორგი წერეთელთან ერთად, XIX საუკუნის 60-იანი წლების სოციალური და პოლიტიკური მოძრაობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი და უნიჭიერესი წარმომადგენელი იყო ჩვენში.

სწორედ ამის გამო შენიშნავდა ილია ჭავჭავაძე გაზეთ „დროებაში“: „ნიკოლაძის გონიერებისა, მიხედვრილობისა და ყველასაგან ცნობილის ნიჭიერების დიდი პატივისმცემელი ვარო“, ხოლო ნიკოლაძისადმი გაგზავნილ კერძო ბარათში პირდაპირ წერდა თავის „მდულარე ბუნების ფაზისელ მეგობარს“: „შენ ჩვენი რაზმის ფალავანად გვეგულებიო“.

ცნობილია, რომ 60-იანი წლები დიდი გარდატეხის ხანა იყო როგორც რუსეთის, ისე ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ შექმნილ ახალ ვითარებაში რუსეთსა და საქართველოში აღმოცენდა 60-იანი წლების საზოგადოებრივ-პედაგოგიკური მოძრაობა, რომელმაც მანამდე უცნობი, პროგრესულ-დემოკრატიული და რევოლუციური აზრები წამოაყენა ახალი თაობის აღზრდისა და განათლების, საერთოდ პედაგოგიკური თეორიისა და პრაქტიკის სფეროში.

პედაგოგიკური აზრის ეს ახალე მიმდინარეობა თავის ლახვარს, უპირველეს ყოვლისა, მიმართავდა ბატონყმურ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან შეფარდებული წოდებრივი სკოლის, აღზრდისა და განათლების იმ რეაქციული პრინციპების წინააღმდეგ, რომელთა დამცველადც ცარიზმი გამოდიოდა. იგი მოითხოვდა სკოლის კარების ფართოდ გახსნას ხალხის შვილებისათვის, ამ უკანასკნელთა გონების შეიარაღებას მეცნიერების მოწინავე, უახლესი მონაპოვრებით, მათ აღჭურვას მალა-

ლი, პროგრესულ-ჰუმანური ზნეობრივი იდეალებით, პატრიოტიზმისა და ხალხის მსახურების მტკიცე შეგნებით.

ცნობილია, რომ რუსეთის რევოლუციურმა დემოკრატებმა აღზრდისა და განათლების ბატონყმური წოდებრივი საფუძვლების კრიტიკადიდ პრინციპულ და პოლიტიკურ სიმაღლეზე აიყვანეს; მათ ჰქმნა რიტად სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს თვითნებობისა და ადამიანის პიროვნების გაუგონარ ჩაგვრაზე აგებული ძველი სკოლის აპოლოგეტებს და ქვეყანას ამცნეს სწავლა-აღზრდის ის ახალი პრინციპები, რომლებიც ორგანულად დაკავშირებული იყო მათ მიერვე წამოყენებულ ახალ, მოწინავე, რევოლუციურ სოციალურ და პოლიტიკურ იდეალებთან.

უეჭველია, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში დაწყებული საზოგადოებრივ-პედაგოგიკური მოძრაობა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული პედაგოგიური იდეების გავლენას განიცდიდა, თუმცა ეს გავლენა არასოდეს მექანიკური არ ყოფილა. იბრძოდნენ რა ძველი, რეაქციული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების დამბობისათვის, ქართველ მესამოციანელებს იმავე დროს ძლიერი იერიშები მიჰქონდათ ამ წყობილებისათვის დამახასიათებელი წოდებრივი სკოლისა და საერთოდ ცარიზმის იმ რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც იგი ხალხის გონებრივ და ზნეობრივ სიბნელეში დატოვების მიზნით ახორციელებდა.

ძლიერი, გაბედული, შეუპოვარი იყო ქართველ მესამოციანელთა ბრძოლა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და, კერძოდ, მშობლიურ ენაზე სწავლების უფლების დასაცავად, რაც მათ წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც ერთ-ერთი მომენტა, ერთ-ერთი მხარე ჩვენი ხალხის საერთო ბრძოლისა სოციალური, პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლებისათვის.

ამ ბრძოლის ერთი „ფალავანთავანი“ ნიკო ნიკოლაძე იყო, რომელიც პედაგოგიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ყოველივე დრომოქმულის, უვარგისის, ჩამორჩენილის ნეგატიურ კრიტიკასთან ერთად, დიდი ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მოძღვრებათა შესაბამისად, დაუღალავად ეწეოდა რევოლუციურ-დემოკრატიული პედაგოგიკის პრინციპების პროპაგანდას, მოითხოვდა ახალგაზრდობის გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის სწორად დაყენებისათვის სწავლა-განათლების მშობლიურ ენაზე შემოღებას, სწავლების შინაარსის მოწინავე მეცნიერულ საფუძვლებზე აგებას, გონებრივი აღზრდის ზნეობრივ და შრომითს აღზრდასთან დაკავშირებას, ახალი თაობის აღქურვას პატრიოტული და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, მის ყოველმხრივ განვითარებას.

\* \* \*

ნიკო ნიკოლაძე დაიბადა 1843 წელს ქ. ქუთაისში. სოციალური წარმოშობით იგი გლეხი იყო; ბაბუამისი მამუკა ნიკოლაძე ახალგაზრდობაში აბაშიძეების ყმა ყოფილა.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების (1860 წ.) შემდეგ ნიკოლაძე სწავლის განსაგრძობად გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც დაუახლოვდა ნ. გ. ჩერნიშევსკის და აქტიურად ჩაება რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობაში. 1861 წელს, პეტერბურგის სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობის გამო, ნ. ნიკოლაძე მეფის მთავრობამ დააპატიმრა და პეტრე-პავლეს ციხეში ჩასვა. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ნ. ნიკოლაძე რამდენიმე ხანს არალეგალურად ცხოვრობდა პეტერბურგში მყოფ აკაკი წერეთელთან. 1862 წლიდან იგი ჟურნალ „სოვრემენიკის“ რედაქციას დაუახლოვდა და ჟურნალ „ისკრის“ თანამშრომელი გახდა.

ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძე თავდავიწყებით ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში, მაგრამ 1862 წელს დაწყებულმა თეთრმა ტერორმა მალე ფრთები შეაკვეცა მის გატაცებას. იმავე წლის ზაფხულში მეფის მთავრობამ ნ. გ. ჩერნიშევსკი დააპატიმრა და ჟურნალი „სოვრემენიკი“ დახურა.

ამ დროს ნ. ნიკოლაძე სამშობლოში ბრუნდება, მაგრამ იმ აზრით შეშინებული, რომ „ვინ თუ პეტერბურგში, ჩემი იქ არ ყოფნის დროს, რევოლუცია მოხდესო“, იგი მალე ისევ რუსეთის იმდროინდელ სატახტო ქალაქს მიაშურებს და 1863 წლიდან აქ ხელმძღვანელობს გაზეთ „ნაროდნოე ბოგატსტვოს“, რომელშიაც პირველად გამოაქვეყნებს თავის წერილებს „სკანდელის“ ფსევდონიმით. ნ. ნიკოლაძის წერილების რადიკალური შინაარსის გამო მეფის მთავრობამ ეს გაზეთი მალე დახურა.

1864 წელს ნ. ნიკოლაძე „სოვრემენიკში“ თანამშრომლობდა. 1865 წლიდან, როგორც ემიგრანტი, იგი ევროპაშია და გერცენის თხოვნით ჟურნალ „კოლოკოლში“ „არიონელის“ ფსევდონიმით ბეჭდავს შესანიშნავ წერილს — „გლებთა განთავისუფლება საქართველოში“. იმავე 1865 წელს ნ. ნიკოლაძემ გაიცნო კ. მარქსი, რომლის „კაპიტალი“ მან პირველად 1869 წელს წაიკითხა რუსული თარგმანის კორექტურაში.

1866 წელს, „კარაკოზოვის გასროლის გამო“, გერცენის „რუსულ თავისუფალ სტამბაში“ დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის რევოლუციური ბროშურა — „მთავრობა და ახალი თაობა“, რომელშიც, ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარის აზრით, თავის დროზე „გერცენისა და ოგარიოვის სხვა გამოცემებთან ერთად უდიდესი სამსახური გაუწია რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას“<sup>1</sup>.

1868 წელს ნ. ნიკოლაძე, ცნობილ რუს ემიგრანტთან ლ. მეჩნიკოვთან ერთად ვენევაში სცემდა სოციალისტურ ჟურნალ „სოვრემენოსტს“, რომლის გამოჩენას, როგორც ცნობილია, გერცენი ალტაცებით მიესალმა ჟურნალ „კოლოკოლის“ ფურცლებზე. ამავე დროს გამოსცეს

<sup>1</sup> ა. გ. დემენტოვი, ნარკვევები რუსული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, 1840—1850 წწ. 1951 წ., გვ. 434.



ნ. ნიკოლაძემ და რუსმა ემიგრანტმა ელპიდინმა საზღვარგარეთ ცალკე წიგნად ჩერნიშევსკის სახელგანთქმული რომანი „რა ვაკეთოთ?“ და შეუდგნენ დიდი რუსი რევოლუციონერის თბულუბათა სრული კრებულიის გამოცემას. უსახსრობის გამო მათ შეძლეს გამოცემა ჩერნიშევსკის თბულუბათა მხოლოდ პირველი ტომისა, რომელსაც წამძღვარებული აქვს ნ. ნიკოლაძის წინასიტყვაობა.

1868 წელს ნ. ნიკოლაძემ დაამთავრა ციურხის უნივერსიტეტი და ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე—„განიარალება და მისი სოციალურ-ეკონომიური შედეგები“.

1869 წლიდან ნ. ნიკოლაძე ისევ სამშობლოშია და გ. წერეთელთან, ს. მესხთან, კ. ლორთქიფანიძეთან და სხვ. ერთად ხელმძღვანელობს „მეორე დასს“, რომლის ორგანოების—გაზეთ „დროებისა“ და „კრებულის“ ფურცლებზე ეწევა მოწინავე, პროგრესულ—დემოკრატიული იდეების პროპაგანდას.

1873 წელს ნ. ნიკოლაძე მიქელაძესთან („მეველესთან“—ე. ზ) და პ. იზმაილოვთან ერთად პარიზში სცემდა სოციალისტურ გაზეთს—„დროშას“, ხოლო 1875 წელს იქვე გამოსცა ფრანგულ ენაზე დაწერილი თავისი ცნობილი ბროშურა „დეკადანსის პრესა“, რომელშიაც იგი შეუბრალებლად ამათრახებს პარიზის კომუნის შემდგომი პერიოდის ფრანგულ რეაქციულ პრესას.

1874—1877წლებში ნიკოლაძე აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“, რომელშიც იგი—კავკასიის საცენზურო კომიტეტის სიტყვებით—„ცდილობდა გაეტარებია რუსეთის სახელმწიფო წყობილების საწინააღმდეგო აზრები“. როგორც ამ გაზეთის ფაქტიურმა ხელმძღვანელმა, ნ. ნიკოლაძემ მის კორესპონდენტად მიიწვია ცნობილი რუსი მესამოციანელი, ფილოსოფოსი-მატერიალისტი მ. ა. ანტონოვიჩი.

1878 წლიდან ნ. ნიკოლაძე თბილისში უშეებდა თავის ცნობილ გაზეთს—„ობზორს“, რომელიც მეფის მთავრობამ ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდის გამო 1880 წელს დახურა და მისი რედაქტორი ნ. ნიკოლაძე სტავროპოლის მხარეში გადაასახლა.

გადასახლებიდან განთავისუფლების შემდეგ ნ. ნიკოლაძე მიემგზავრება ისევ პეტერბურგს, სადაც იგი დიდი რუსი მწერლის სალტიკოვ-შჩედრინის მიწვევით მუშაობას იწყებს ჟურნალ „ოტჩესტვენნიე ზაპისკიში“. მალე მეფის მთავრობამ ეს ჟურნალიც დახურა ნ. ნიკოლაძის რადიკალური შინაარსის სტატიების გამოქვეყნების გამო.

1882—1883 წლებში ნ. ნიკოლაძე აქტიურ მონაწილეობას ლებულობდა ნ. გ. ჩერნიშევსკის განთავისუფლების საქმეში. აღსანიშნავია, რომ დიდი რუსი რევოლუციონერის კატორღიდან განთავისუფლების ამბავს ნ. ნიკოლაძე შეეგება აღფრთოვანებული წერილით, რომელიც მეფის ცენზურამ დააკავა და რომლის გამოქვეყნება მხოლოდ ჩვენს დროში (1945 წ.) მოხერხდა.

1887 წლიდან ნ. ნიკოლაძე ისევ სამშობლოშია და ამ ხნიდან 1891 წლამდე ფაქტიურად ხელმძღვანელობს რუსულ გაზეთს „ნოვოე ობოზრენიეს“. 1894 წლიდან იგი ეურნალ „მოამბის“ პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი იყო.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში ქართველმა მესამოციანელმა სისტემატურ პუბლიცისტურ მოღვაწეობაზე ხელი აიღო და პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაება. 1894 წლიდან, მთელი 20 წლის მანძილზე, ნ. ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა ქ. ფოთის თვითმმართველობას, რომელსაც იგი მეფის მთავრობამ უნდობლობის გამო ძალით ჩამოაშორა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის და ცარიზმის დამხობას ნ. ნიკოლაძე პეტერბურგში შეეგება აღფრთოვანებით, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი სიკვდილამდე ახალგაზრდული გატაცებითა და ენთუზიაზმით მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

85 წლის ასაკს მიღწეული ნ. ნიკოლაძე 1928 წელს გარდაიცვალა თბილისში. მისი ნეშტი ქართველმა ხალხმა მიაბარა მთაწმინდის მიწას, სადაც განისვენებენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი.

\* \* \*

ნ. ნიკოლაძის პედაგოგიკური შეხედულებანი მკიდროდაა დაკავშირებული ქართველი სამოციანელის სოციალ-პოლიტიკურ და ფილოსოფიურ შეხედულებებთან, რომლებიც დიდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა—ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის იდეების ზეგავლენით ჩამოყალიბდა მასში.

ცნობილია, რომ თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში ნ. ნიკოლაძე თემური სოციალიზმის იდეების მქადაგებელი იყო საქართველოში, ვინაიდან, პუბლიცისტის იმდროინდელი შეხედულებით, „საუკეთესო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების (ე. ი. თემური წყობილების—ვ.ხ.) იდეალი... ყველაზე ადრე რუსეთს შეეძლო განეხორციელებინა“. ამიტომ იგი ამტკიცებდა, რომ თუ „საქართველო თავის სვებედს თუნდაც თანამედროვე რუსეთს დაუკავშირებს, იგი უფრო მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება (ალარაფერს ვამბობთ მფარველობაზე) ევროპის რომელიმე ერი, რომ ალარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა და სპარსეთზე, რომლებსაც საქართველოში არც ერთი საღი მოაზროვნე აღამიანი მოწადინებული არ არის“.

ნ. ნიკოლაძეს სრულიად შეუწყნარებლად მიაჩნდა აზრი საქართველოს პოლიტიკური კავშირის შესახებ ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან, რადგან, მისი სიტყვით, ამ შემთხვევაში „ევროპის სახელმწიფოები დაუყოვნებლივ შეუღლებოდნენ საქართველოს ცივილიზებას ალერის მსგავსად, ან მის ექსპლოატაციას ინდოჩინეთის მსგავსად“.

იცავდა რა საქართველოს კავშირს რუსეთთან, ამ „მომავლის ქვეყანასთან“, ნ. ნიკოლაძეს მხედველობაში ჰყავდა „ახალგაზრდა“, დემოკრატიული, რევოლუციური რუსეთი, რომლის გამარჯვებასაც უკავშირებდა იგი ქართველი მშრომელი ხალხის წარმატებას პოლიტიკური, სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ცნობილია, რომ თავის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა განვითარების შემდგომ საფეხურზე ნ. ნიკოლაძემ ხელი აიღო „თემური მიწათმფლობელობის“ იდეის დაცვაზე და ქვეყნის პროგრესის მთავარ ძალად მრეწველობა აღიარა, თუმცა მან, როგორც მცდარი მსოფლმხედველობის მომხრემ, ვერ შეძლო სწორად გაეგო ის საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი, რომლებიც ამ განვითარების საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო ჩვენში.

სწორად შენიშნავდა რა, რომ კაცობრიობა დაავადებულია „მომავლის სენით“, ნ. ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ „არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი არ არის სამარადისონი“ და რომ „არსებულით უკმაყოფილება და ადამიანთა ურთიერთობაში „საზოგადოებრივი ჰარმონიის“ დამყარებისადმი მისწრაფება დამახასიათებელია ყველა ხალხისათვის“.

მასების უკმაყოფილების მთავარ მიზეზს ნ. ნიკოლაძე მათ „ეკონომიერ პირობებში“ ხედავდა. ეს პირობები, პუბლიცისტის აზრით, თანაბრად მძიმე და აუტანელი იყო მშრომელთათვის როგორც რუსეთში, ისე ევროპასა და ამერიკაში, რომელიც, მისი მოსწრებული გამოთქმით, „არც ისეთი არკადიაა, როგორც ეს ჩვენ გულუბრიყვილო იდეალისტებსა დაქარა ნაკლებ გულუბრიყვილო რესპუბლიკელებს წარმოუდგენიათ“. თუმცა ნ. ნიკოლაძე სწორად მიუთითებდა ხალხის „ეკონომიურ სიდუხჭირეზე“, როგორც მასების უკმაყოფილების მთავარ მიზეზზე, მაგრამ ამ სიდუხჭირის დაძლევის სწორ გზაზე მითითება მან ვერ შეძლო, რადგან ისტორიის სწორი, მეცნიერული გაგების სიმალლეზე იგი არასოდეს არ ასულა.

თავისი დიდი მისწავლებლების—ნ. გ. ჩერნიშევსკისა და ნ. ა. დობროლუბოვის მსგავსად, სოციალოგის საკითხებში ნ. ნიკოლაძე ძირითადად იდეალისტად დარჩა, მაგრამ ეს სრულიად არ უშლიდა მას ხელს მთელ რიგ შემთხვევებში სწორად მიეთითებინა ისტორიის განვითარების ძირითად კანონებზე, მის მამოძრავებელ ძალებზე.

ერთი ასეთი სწორი მიგნებათაგანი იყო ნიკოლაძის ის აზრი, რომ „ხალხის ისტორიის პირველი მოქმედი პირია“. აღიარებდა რა ისტორიის შემოქმედად ხალხს, ნ. ნიკოლაძე დაუღალავად ილაშქრებდა პიროვნების კულტის თეორიისა და ხალხოსანთა ტერორისტული ტაქტიკის წინააღმდეგ. ასეთივე ენერგიით ილაშქრებდა იგი ანარქისტების წინააღმდეგ, მაგრამ ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს ნიკოლაძე როდისმე მისულაყო მეცნიერული სოციალიზმის თეორიის აღიარებამდე. ნ. ნიკოლაძე თავისი მოღვაწეობის პირველ, საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში

უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენელი იყო ჩვენში, ხოლო შენდგომში მისმა შეხედულებებმა განიცადეს ერთგვარი ევოლუცია მარჯვნივ. მიუხედავად ამ „ევოლუციისა“, ნ. ნიკოლაძე საერთოდ მაინც ბოლომდე დარჩა განმანათლებელ-დემოკრატად, ცარიზმის შეურიგებელ მტრად და ხალხის ინტერესების დამცველად. მას მუდამ მტკიცედ სწამდა მეფის დესპოტიის დაცემისა და ხალხის გამარჯვების გარდუვალობა.

\* \* \*

თავისი ფილოსოფიური შეხედულებებით ნ. ნიკოლაძე მარქსამდელი მატერიალიზმის წარმომადგენელი იყო ჩვენში და ფილოსოფიის ძირითად საკითხს ცნობიერებისა და ყოფიერების ურთიერთ-მიმართების შესახებ იგი მატერიალისტურად სჭირდა. აღიარებდა რა მატერიის პირველადობას და ცნობიერების მეორადობას, ნ. ნიკოლაძე ამტკიცებდა სამყაროს, ბუნების ობიექტურ არსებობას, ბუნებისა, რომელიც, პუბლიცისტის აზრით, თავისივე ობიექტური კანონების მიხედვით ვითარდება.

აღსანიშნავია, რომ როგორც რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ფილოსოფიურ შეხედულებათა მიმდევარი, ნ. ნიკოლაძე თელეოლოგიზმისა და ინდეტერმინიზმის, „ნებეობის თავისუფლების“ ყალბი იდეალისტური მოძღვრების შეურიგებელი მტერი იყო. ნ. ნიკოლაძე გარკვეულად ემხრობოდა მეცნიერულ დეტერმინიზმს და შეუწელებლად იბრძოდა მექანიცისტური დეტერმინიზმის იმ ყალბი პრინციპების წინააღმდეგ, რომელთა აღიარებას ყოველი ადამიანი ლოგიკური აუცილებლობით მიჰყავს ფატალიზმამდე.

ფატალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით ნ. ნიკოლაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ადამიანის შეიარაღებას ბუნების მოვლენათა კანონების ცოდნით და ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში მათი პრაქტიკულად გამოყენების უნარით.

ნ. ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ პროგრესისათვის ბრძოლის თვალსაზრისით ადამიანი უნდა შეიარაღდეს არა მარტო ბუნების, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონთა ცოდნითაც.

როგორც ყოველი მარქსამდელი მატერიალისტი, ნ. ნიკოლაძეც საზოგადოებრივი ცხოვრების კანონთა გაგებაში იდეალისტი იყო. თუმცა ზოგჯერ იგი იმასაც აღიარებდა, რომ საზოგადოებისა და ბუნების განვითარება „ჩვენს ლოგიკას არ ემორჩილება“, რომ ამ განვითარებას, საფუძვლად უდევს თავისი ობიექტური, ბუნებრივი კანონები. აღიარებდა რა ობიექტურ კანონთა ასეთ ძალას, ნ. ნიკოლაძე ამით ოდნავადაც არ გამორიცხავდა იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში საერთოდ ადამიანის აქტივობას და, კერძოდ, მის შრომითს საქმიანობას აქვს.

ნ. ნიკოლაძის რწმენით შრომა არა მარტო არსებობის საშუალებაა, არამედ იგი ადამიანის გონებრივ, ზნეობრივ და ფიზიკურ ძალთა განვითარების უდიდესი ფაქტორიცაა.

მაგრამ ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ თვისებათა, კერძოდ მისი ცნობიერების განვითარებაში შრომითი საქმიანობისათვის ასეთი დიდი მნიშვნელობის მინიჭებასთან ერთად, ნ. ნიკოლაძე ყურადღებას იმაზე-დაც ამახვილებდა, რომ შრომის ყოველგვარი ორგანიზაცია როდი შეი-ძლება ჩაითვალოს ასეთი დადებითი შედეგების მომტანად. პუბლიცისტი ამტკიცებდა, რომ წარმოების კაპიტალისტური წესის პირობებში, როდესაც „შრომის ნამეტანი განაწილება ხდება“, შრომას დიდი „ენება მიუცია ხალხის გონებისათვის“. ამის აღმოსაფხვრელად ნ. ნიკოლაძე იმდროინ-დელ მოწინავე ახალგაზრდობას მოუწოდებდა ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარებისაკენ, რომლის დროსაც შრომა ნამდვილად შეუწყობდა ხელს ადამიანის განვითარებას.

ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის იდეებზე აღზრდილმა ნ. ნიკო-ლაძემ კარგად იცოდა ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ასეთი მოწინავე სოციალური იდეალებისათვის ბრძოლაში აქვს ახალგაზრდობის აღქურვას მოწინავე თეორიის ცოდნით, თეორიისა, რომელიც, მისი მოხდენილი გამოთქმით, „...ელვასავით გაჰკრავს ცოდნის ნისლიან ცაზე, ბნელ მხა-რეებს გაანათებს, გზას ამოაჩენს, მიზანს გვიჩვენებს“.

რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ ფილოსოფიურ იდეებზე აღ-ზრდილ ნ. ნიკოლაძეს თეორიის სისწორის შემოწმებულ ერთადერთ საშუალებად ადამიანთა პრაქტიკა მიაჩნდა. როგორც იგი წერდა, „პრაქ-ტიკით უნდა გაისინჯოს მისი (ე. ი. თეორიის—ვ. ზ) ნამდვილი ღირსება“. მაგრამ, სწორად მიუთითებდა რა თეორიის ასეთ კავშირზე პრაქტიკასთან, ნ. ნიკოლაძემ, ისე როგორც მისმა იდეურმა წინამორბედებმა, ვერ შეძლო ამაღლებულიყო პრაქტიკის მარქსისტულ გაგებამდე.

მიუხედავად ზოგიერთი ასეთი ნაკლისა, ნ. ნიკოლაძის ფილოსო-ფიურ შეხედულებათა ერთ-ერთი მთავარი ღირსება ის არის, რომ მასში დამაჯერებლადაა წარმოდგენილი სინამდვილის ობიექტური არსე-ბობისა და მისი შეცნობადობის აზრი. როგორც პუბლიცისტი ის წერდა: „...რაც ჩვენ დღეს შეუძლებლად მიგვაჩნია, ათი-თხუთმეტი წლის შემ-დგომ ნამდვილი და ძლიერ შესაძლებელი საქმე იქნება“. ნ. ნიკოლაძის ეს სიტყვები ნათლად მიუთითებენ პუბლიცისტის ოპტიმისტურ რწმენაზე ადამიანის შემეცნებითი ძალისა და იმისადმი, რომ ისტორიული განვი-თარების პროცესში კაცობრიობა თანდათან უფრო და უფრო მიუახლოვ-დება ობიექტურ ჰუმანიტეტს.

ქართველი მესამოციანელის ეს ფილოსოფიური ოპტიმიზმი მტკი-ცედ დაკავშირებულია მის ასევე ოპტიმისტურ საზოგადოებრივ შეხედუ-ლებებთან.

\* \* \*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნ. ნიკოლაძის პედაგოგიკური შეხედუ-ლებანი ორგანულად გამომდინარეობენ მისი სოციალურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობიდან. ნ. ნიკოლაძე საესებით სამართლიანად ამტკიცებ-

და, რომ აღზრდა-განათლების შინაარსსა და მიმართულებას განსაზღვრავს მისი მიზანი, რომელიც, ქართველი სამოციანელის აზრით, ის არის, რომ „აღზრდილ ყმაწვილს ხეირიანად ესმოდეს, რა ბუნება არტყა იმას გარშემო, რა საზოგადოება, რით და როგორ შეიძლება ამ ბუნებით სარგებლობა, ამ საზოგადოების გაუკეთესება. ამას გარდა, აღზრდა იმას შრომისათვის საკმაო ღონისძიებებს, მოხერხებას, ცოდნას უნდა აძლევდეს“ (ხაზგასმა ჩვენია.—ვ. ზ.)

ნ. ნიკოლაძეს სწამდა, რომ მხოლოდ ასეთ საფუძველზე აგებულ სწავლა-აღზრდას შეეძლო მოემზადებინა ქვეყნისათვის მოწინავე სოციალური, პატრიოტული და ჰუმანური იდეებითა და სათანადო ცოდნა-უნარითა და ჩვევებით შეიარაღებული „მხნე, გონიერი, შეურყეველად პატიოსანი და ნიჭიერი პირები, რომლებიც საზოგადო საქმისათვის უნდა ცხოვრობდნენ და საზოგადო მიზნებისათვის კვდებოდნენ“.

როგორც აღზრდა-განათლებაში წოდებრიობის უხამსი პრინციპის სასტიკი მოწინააღმდეგე, ნ. ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ „ადამიანები არსებითად ერთგვარნი და თანასწორნი იბადებიან და მათ შორის განსხვავების ხელოვნური ხაზი მხოლოდ ბედის ანუ წყობილების უსამართლობას გაჰყავს“.

ამის შესაბამისად ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ „აღზრდა და განათლება შესაძლებელია დამოუკიდებელი ყველა ბავშვისა, გარდა კრეტიუნებისა, რომლებიც ისევე იშვიათად იბადებიან ქვეყანაზე, როგორც ფენომენებიო“—და ამიტომ საჭიროა, განაგრძობდა პუბლიცისტი, რომ „...სამრეწველო, გონებრივი და სხვა სახის შრომა... მოეწყოს მშრომელთა სრულ თანასწორობაზე“.

ხაზგასმით აღნიშნავდა რა აღზრდა-განათლების მნიშვნელობას მოზარდი თაობის ჩამოყალიბებაში, ნ. ნიკოლაძე ამასთან ერთად საჭიროდ თვლიდა მხედველობაში ყოფილიყო მიღებული ბავშვთა მემკვიდრეობითი მხარეებიც, თუმცა ამით პუბლიცისტს აღზრდის წამყვანი მნიშვნელობის შესუსტება არასოდეს არ უფიქრია. პირიქით, ნ. ნიკოლაძე მუდამ იმას ქადაგებდა, რომ ადამიანის ემოციების, შეხედულებების, მორალის, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების მთავარი იარაღი აღზრდა არისო.

\* \* \*

ნ. ნიკოლაძე ბავშვის ყოველმხრივი განვითარების მოწინავე იღებს დაულალავი პროპაგანდისტი და დამცველი იყო. ამ განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტად ქართველ მესამოციანელს მიაჩნდა მოწინავე იდეურ-მეცნიერულ საფუძველზე აგებული გონებრივი აღზრდა, რომელსაც, მისი სიტყვით, უნდა უზრუნველყო ახალგაზრდობის შეიარაღება „თანამედროვე ცოდნის ყველა დებულებით, მეცნიერების უკანასკნელი მიღწევებით“, იმის გაგებით, თუ „რა მიზეზით, როგორ და რისთვის არსებობს... ყოველივე, რაც იმას (ე. ი. მოზარდს—ვ. ზ.) გარშემო არტყაია“.

ნ. ნიკოლაძის აზრით, კეშმარიტი განათლება მოზარდ თაობას უნდა უქმნიდეს „ნათელ წარმოდგენას ქვეყნიერებაზე“ და „ნამდვილ ადამიანურ ცხოვრებაზე“. იგი უნდა ეხმარებოდეს ახალგაზრდობას „ნათელი სამოღვაწეო მიზნების დასახვაში“, უნერგავდეს მას მოვალეობის სიწმინდის დაცვისა და საზოგადო საქმისათვის თავდადების შეგნებას.

ამ პრინციპების დამცველი ნ. ნიკოლაძე მთელი სისასტიკით ილაშქრებდა მოზარდი თაობის აღზრდის ძველი, დამაჩლუნგებელი სისტემის წინააღმდეგ, რომელიც, მისი გამოთქმით „საშოშივე ჰკლავდა „თავისუფალი აზრის“ ყოველგვარ გამოვლინებას“ და ანის საწინააღმდეგოდ იგი ამტკიცებდა: „... ძალა და გავლენა... იმ თაობას ეძლევა, რომლის აზრი უფრო ნათლად სცნობს ცხოვრების გარემოებებს და რომლის წევრები უფრო მტკიცედ დამარაგებულნი არიან ამ გარემოებათა გასაგებად, მოსაველელად“. პუბლიცისტის აზრით, ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო მოზარდი თაობის შეიარაღება ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ობიექტური კანონების ცოდნით, რაც მას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიაჩნდა.

აღიარებდა რა გონებრივი აღზრდის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მოზარდი თაობის მომზადებას ხალხის ინტერესების უკეთ მომსახურებისათვის, ნ. ნიკოლაძე მტკიცედ მოითხოვდა, რომ სწავლა-აღზრდის პროცესი აგებული ყოფილიყო თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის საფუძველზე. ამიტომ მიჰქონდა ჩვენს სამოციანელს ასეთი მძლავრი იერიშები ცხოვრებისაგან, სინამდვილისაგან, ხალხის ინტერესებისაგან შორს მდგომი მეცნიერებისა და მისი ისეთი წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლებიც, ნიკოლაძის მახვილი გამოთქმით, „... დაავადებულნი არიან ცოდნის მეტისმეტი კაბინეტურობით“. ცოდნის ეს „კაბინეტურობა“ ნიკოლაძის სწორი შეხედულებით იწვევდა ძველად „გათიშულებას მეცნიერებასა და შრომის წარმომადგენელთა შორის“, მაშინ როდესაც, პუბლიცისტის სწორი შენიშვნით, „ჩვენი სოფლის მეურნეობის, ჩვენი მრეწველობის და მთელი ჩვენი ცხოვრების პროგრესი შესაძლებელია თანამედროვე სამყაროს ამ ორი უდიდესი ძალის (ე. ი. შრომისა და მეცნიერების—ვ. ზ.) არა გათიშულობის, არამედ ერთიანობის საფუძველზე“, იმ ერთიანობის—ვიტყოდით ჩვენ,—რომელიც წარსულში საუკეთესო ადამიანთა ოცნებას წარმოადგენდა და სინამდვილედ მხოლოდ ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოში იქცა.

აღზრდისა და განათლების ზემოაღნიშნულ ამოცანათა შექმნე განიხილავდა ნ. ნიკოლაძე რეალური და კლასიკური განათლების საკითხს. იზიარებდა რა ამ საკითხში „რუსული ლიტერატურის“ (ე. ი. რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა—ვ. ზ.) სწორ შეხედულებებს, ნ. ნიკოლაძემ თავის დროზე სასტიკად და შეუპოვრად გაილაშქრა ოფიციალური კლასიციზმის ისეთი დამცველების წინააღმდეგ, როგორც იყვნენ

დ. ტოლსტოი, კატკოვი, ლეონტიევი, და მკაცრად გააკრიტიკა 1871 წლის სასკოლო კონტრარეფორმა.

ნ. ნიკოლაძე რეალური განათლების მომხრე იყო, მაგრამ ამასთან იგი პრინციპულად არ უარყოფდა კლასიკური განათლების საჭიროებასაც საერთოდ და მოითხოვდა ამ ორი სახის განათლების სწორ შერწყმას. ამავე დროს პუბლიცისტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სპეციალურ განათლებას, რომელსაც, ქართული საზოგადოებრივ-პედაგოგიკური აზრის ყველა იმდროინდელი მოწინავე წარმომადგენლის შეხედულებით, დიდი როლი უნდა შეესრულებია ჩვენი ქვეყნის სამეურნეო წინსვლის საქმეში. ამასთანავე ქართველი სამოციანელი მოითხოვდა, რომ ახალგაზრდობის „ტექნიკური განათლება მჭიდროთ ყოფილიყო დაკავშირებული მის ზნეობრივ განათლებასთან“. აქედან გამომდინარე, იგი საჭიროდ თვლიდა, რომ ახალგაზრდობას სპეციალურ განათლებამდე მიეღო ზოგადი განათლება. ნ. ნიკოლაძე მოითხოვდა სწავლა-აღზრდის ისე დაყენებას, რომ „ტექნიკოსებიც და კლასიკოსებიც“ ყოფილიყვნენ „საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების წმინდა მსახურნი“.

ამ აზრითა და მისწრაფებით შთაგონებული ნ. ნიკოლაძე წერდა: „... ლათინური ენის მასწავლებელიც და გიმნაზიის დირექტორიც, რკინიგზის ინჟინერი და საარტილერიო ლაბორატორიის ტექნიკოსიც—ყველანი ერთნაირად უნდა იყვნენ გამსჭვალულნი ერთგულების გრძნობით საქმისადმი, სამშობლოს კეთილდღეობისადმი და თავგანწირვით ემსახურებოდნენ მას“.

\* \* \*

თავის ბრწყინვალე პუბლიცისტურ და პედაგოგიკურ წერილებში ნ. ნიკოლაძე არა ერთხელ შეხებია ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის საკითხებს, რომლებსაც იგი ჩერნიშევსკის ეთიკური თეორიის შესაბამისად აშუქებდა და კრიდა.

თავს ესხმოდა რა ძველ სკოლას, აღზრდის ძველ სისტემას, რომელიც ნიკოლაძის გამოთქმით, ქვეყანას, ხალხს აძლევდა „ცხოვრებისა და ბრძოლისათვის მოუშაადებელ, სახელმძღვანელო მიზანსა და აზრს მოკლებულ ადამიანებს“, პუბლიცისტი მოითხოვდა აღზრდის ისე წარმართვას, რომ სკოლას ახალგაზრდობაში „ხასიათი და ზნე აღეზარდა, პატიოსნების კანონები გულში ჩაენერგა, პატიოსანი შრომისათვის შეეჩვია და მოქმედების მიზნად მხურვალე საზოგადოებრივი გრძნობა დაესახა“. ამისათვის კი, მისი სწორი შენიშვნით, „არ კმარა ახალგაზრდობის მხოლოდ ცოდნით შეიარაღება“, არამედ უნდა დავეხმაროთ მას „ცხოვრების იდეალების შემუშავებაში, ზნეობრივი პიროვნების ფორმირებაში“.

ნ. ნიკოლაძემ შესანიშნავად იცოდა, რომ ბავშვის „ზნეობრივი პიროვნების ფორმირება“ ერთბაშად არ ხდება, რომ აღზრდის პროცესში



იგი თანდათან უნდა განხორციელდეს ჯერ ოჯახში, ხოლო შემდეგ სკოლაში, სწავლის დაწყების პირველი დღიდანვე. ამიტომ მიმართავენ იგი მშობლებს, სკოლას, მასწავლებლებს: „...დაანახვეთ ბავშვს აღზრდის პირველი წლებიდანვე მისი მაღალი დანიშნულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აუხსენით მას მისი მომავალი მოღვაწეობის წმინდა ამოცანები, აღძვრით მასში უანგარო შრომის სურვილი, დაანახვეთ მის ცხოვრებაში მოსალაგნელი ბრძოლის სირთულენი... და თქვენ ამით ხელს შეუწყობთ აღზრდას მტკიცე ნებისყოფის ისეთი ადამიანებისას, რომლებსაც ემახსოვრებათ, რომ თითოეული წესიერი ადამიანის ცხოვრებაში არსებობს პირად კმაყოფილებაზე და სიამეზე უფრო წმინდა სიამენი, რომლებსაც ადამიანს ანიჭებს საზოგადოების, სამშობლოსა და სახელმწიფოს სასარგებლოდ გაწეული თავდადებული შრომა“.

ნ. ნიკოლაძეს სამართლიანად სწამდა, რომ ყველა ამით სკოლა ქვეყანას შემატებდა „საერთო იდეისათვის“ თავდადებულ, „საერთო კეთილდღეობაზე და არა ვიწროდ გაგებულ პირად სარგებლობაზე“ ზრუნვით გატაცებულ ახალგაზრდობას, „საზოგადოების მდგომარეობის იმ გაუმჯობესების“ მომავალ აქტიურ მონაწილეს, ურომლისოდაც, პუბლიცისტის აზრით, „საზოგადოების ზნეობრივი აღზრდა... სრულიად შეუძლებელია“.

ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ნ. ნიკოლაძეს მიაჩნდა მოზარდი თაობის აღკურვა ჯანსაღი პატრიოტიზმის გრძნობითა და შეგნებით. სწორედ ამიტომ იბრძოდა პუბლიცისტი ასეთი შეუპოვრობით შოვინიზმისა, კოსმოპოლიტიზმისა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ჩვენს ქვეყანაში.

მოუწოდებდა რა მოწინავე ქართველ ახალგაზრდობას ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვისაკენ, ნ. ნიკოლაძე ამავე დროს უაღრესი პრინციპულობით ქადაგებდა და იცავდა ხალხთა მეგობრობის დიად აზრებს. ჩვენი ქვეყნის ყველა მოწინავე ადამიანთან ერთად, იგი უდიდესი ენერჯითა და თანმიმდევრულად იბრძოდა ნაციონალური შუღლის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენში სთესდა ცარიზმი. მაგრამ, მიუხედავად კეთილი სურვილებისა, თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მსოფლმხედველობის შეზღუდულობის გამო ნ. ნიკოლაძეს არ შეეძლო მიეთითებინა ეროვნული საკითხის სწორად გადაჭრის გზებზე.

ცნობილია, რომ ეს ურთულესი პრობლემა ნამდვილად სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში გადაიჭრა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

მეტად საინტერესო აზრები აქვს გამოთქმული ნ. ნიკოლაძეს ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის შესახებაც.

ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მსგავსად, ნ. ნიკოლაძეს ადამიანთა თავისუფალი, შემოქმედებითი შრომა მიაჩნდა იმ ძალად, რომ

მელიც უზრუნველყოფდა საზოგადოებრიობის ნამდვილ პროგრესს და ხელს შეუწყობდა ახალი მორალით აღჭურვილ ახალ ადამიანთა ჩამოყალიბებას. თავისი სოციალ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შესაბამისად, ნ. ნიკოლაძეს სწავლისა და წარმოებითი შრომის შემოქმედებითი შერწყმა მიაჩნდა საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებულ წევრთა აღზრდის ერთ-ერთ პირობად, თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, ამ საკითხის გაგებაში იგი მუდამ რჩებოდა სოციალ-უტოპისტთა მცდარ პოზიციებზე. როგორც უტოპისტს, ნ. ნიკოლაძეს არ ესმოდა, რომ ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა აღზრდის იდეის განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

ქართველ მესამოციანელს სისტემატური და მიზანმიმსწრაფი შრომა მიაჩნდა ბავშვის ბუნებრივი მონაცემების განვითარების ერთ-ერთ მთავარ პირობად. ამგვარ შრომას იგი თვლიდა ადამიანის ისეთ თვისებათა აღზრდის მთავარ საშუალებად, როგორცია სიბუნჯითე, სულიერი სიმტკიცე, დისციპლინა და სხვ. ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ საერთოდ ადამიანთა შორის არ არსებობენ ისეთები, რომლებსაც „ნიჭის უნარის არაერთარი ნასახი არ გააჩნდეთ“, მაგრამ, პუბლიცისტის მტკიცებით, ეს სრულებითაც იმას არ ნიშნავს, თითქოს „ცოდნა, ეთიკა, ნებელობა, სიმამაცე, თავის თავად ჩაგვიფრინდება პირში, შემწვარ ხობობივით“.

თავისი დიდი მასწავლებლის ნ. გ. ჩერნიშევსკის მსგავსად, ნ. ნიკოლაძე მუდამ იმას ამტკიცებდა, რომ ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბება დიდად დამოკიდებულია სოციალურ პირობებზე, რომ ბავშვისა და მოზარდის ხასიათის ჩამოყალიბებაზე გარდამწყვეტ გავლენას ახდენს ოჯახი, სკოლა და იქ სათანადოდ დაყენებული აღზრდა.

შრომითს აღზრდასთან მკიდრო კავშირში განიხილავდა ნ. ნიკოლაძე მოზარდთა ფიზიკური აღზრდის საკითხსაც. სწორად დაყენებული ფიზიკური აღზრდა მას მიაჩნდა მოზარდთა ყოველმხრივი განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ მომენტად, თუმცა, როგორც ვთქვით, თავისი მსოფლმხედველობის შეზღუდულობის გამო, პუბლიცისტმა ყოველმხრივი განვითარების პრობლემის მართებულად გადაჭრა ვერ შეძლო. როგორც ცნობილია, ეს პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის წინააღმდეგობის მოსპობის პრობლემასთან, პირველად მეცნიერულად სწორად დააყენეს მარქსმა და ენგელსმა, ხოლო მისი ამომწურავი გადაჭრა მოცემულია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის გენიალურ შრომებში.

ნ. ნიკოლაძის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში საპატიო ადგილი უკირავს მის დიდაქტიკურ შეხედულებებს. ქართველი სამოციანელი აღმზრდელობითი სწავლების მომხრე იყო. ამიტომ, მისი რწმენით, სწავ-

ლების პროცესში ახალგაზრდობა უნდა იარაღდებოდეს მოწინავე მსოფლ-მხედველობით და მას ერთდროულად უვითარდებოდეს აზროვნება, ინტერესი, ნებელობა და ხასიათი.

ნ. ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ სწავლება აღმზრდელობითი ხასიათის იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელი სწავლების პროცესში გაითვალისწინებს ყველა მოთხოვნას, რომელიც კი შეგნებულობის პრინციპიდან გამომდინარეობს. სწავლების პროცესში იგი ასეთსავე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სისტემატურობის, თანმიმდევრობის, მისაწვდომობისა და ცოდნის განმტკიცების, თვალსაჩინოების პრინციპების მომარჯვებას.

თავისი მატერიალისტური გნოსეოლოგიური შეხედულების შესაბამისად პუბლიცისტი განსაკუთრებულად აღნიშნავდა სწავლებაში თვალსაჩინოების პრინციპის დიდ მნიშვნელობას და ამის ნათელსაყოფად წერდა: „წმინდა თეორიული სწავლება უფრო ზედაპირულია, ვიდრე თვალსაჩინო, რომელიც ცოცხალ კონკრეტ ფაქტებსა და მაგალითებს ემყარება“.

როგორც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მოწინავე პედაგოგიკური აზრის ერთ-ერთი მეთაური, ნ. ნიკოლაძე მოზარდი თაობის მშობლიურ ენაზე აღზრდის იდეის უდიდესი დამცველი და პროპაგანდისტი იყო. მისი შესანიშნავი გამოთქმით, მშობლიური ენა „ხალხის ხასიათის სარკეა“, ის არის „ძვირფასი... მძლავრი კავშირი, რომელიც საზოგადოებრივ ძალას შეადგენს და ხალხს ერთი მიზნისაკენ წინ წაწევის უადვილებს“ ამიტომ მშობლიური ენის უფლებათა დამცველი ნ. ნიკოლაძე მუდამ უშიშრად და გაბედულად ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას და მის იდეოლოგიებს. ამასთან ერთად პუბლიცისტი უდიდესი ენერჯითა და დამაჯერებლობით ქადაგებდა ჩვენი მოზარდი თაობის მიერ მდიდარი რუსული ენის საფუძვლიანად დაუფლების აუცილებლობას, რადგან, მისი გამოთქმით, თვით ხალხია „სისხლხორციულად დაინტერესებული რუსული ენის შესწავლით“. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ რუსული ენის უკეთ შესწავლის მიზნით პუბლიცისტი მოითხოვდა მასწავლებელთა მიერ მოსწავლეების მშობლიური ენის კარგ ცოდნას.

თავის საზოგადოებრივ მისწრაფებათა შესაბამისად, ნ. ნიკოლაძე მუდამ მისაბაძი პრინციპულობით იცავდა იმ აზრს, რომ, ვინაიდან განათლება ხალხის გონებრივ-ზნეობრივი ღონის ამალლების, მისი მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშემწყობი იარაღია, ამიტომ იგი მისაწვდომი უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა თვით ხალხისათვის, მშრომელთათვის. ამის შესაბამისად პუბლიცისტი სახალხო განათლების მთავარ კერად თვლიდა სახალხო სკოლას, რომელიც, მისი გამოთქმით, ხალხის „საჭიროებას უნდა ემსახურებოდეს... ქვეყნის უმრავლესობის მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს“. ნ. ნიკოლაძის დახასიათებით, სახალ-

ბო სკოლა უნდა წარმოადგენდეს არა მარტო „წერა-კითხვის ფაბრიკას“, არამედ სასწავლო-სააღმზრდელო კერასაც, რომელიც „სწორ გავლენას მოახდენს ხალხის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე“.

თავისი მსოფმხედველობის შესაბამისად, ნ. ნიკოლაძე სკოლის დემოკრატიზაციის მხურვალე მომხრე იყო. იცავდა რა საყოველთაო სავალდებულო და უფასო განათლების პრინციპს, იგი წერდა: „ხალხს უნდა მიეცეს უპირველეს ყოვლისა, სრულიად უფასო სწავლის უფლება და მეორეც-თვით სწავლის შესაძლებლობა“. ეს „შესაძლებლობა“ კი, მისი აზრით, უნდა გულისხმობდეს არა მარტო უფასო სკოლების დაარსებას საყოველთაოდ, არამედ „ეკონომიური წყობის ისეთი სისტემის შემოღებას, რომლის დროსაც, ბავშვის სკოლაში გაგზავნის გამო, ოჯახს არ დაეკარგებოდა თავისი შემოსავლის ნაწილი და თვით ბავშვები აღიზრდებოდნენ ამ უკანასკნელთა შრომის გარეშე“.

იღვწოდა რა იმისათვის, რომ „დაწყებით სკოლაში სწავლა-განათლება დაკავშირებული ყოფილიყო ხალხის საარსებო ინტერესებთან“, ნ. ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ ეს სკოლა უნდა ყოფილიყო ზოგადსაგანმანათლებლო და იმავე დროს ახალგაზრდობის შემაიარალებელი „სამიწადმოქმედო და სამრეწველო ტექნიკის ელემენტარული საფუძვლების გამოყენებითი ცოდნით“. ნ. ნიკოლაძე თავის დროზე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა პროფესიულ და სახელოსნო სკოლების შექმნას, რომლებსაც, მისი აზრით, უნდა მოემზადებინათ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისათვის საჭირო ადამიანები.

ქართველი მესამოციანელი არა მარტო სიტყვით ეწეოდა პროპაგანდას ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა ტიპის სკოლების ქსელის გაფართოებისათვის, არამედ, როგორც საზოგადო და მუნიციპალური მოღვაწე იგი პრაქტიკულადაც ბევრს აკეთებდა ამისათვის (თბილისი, ფოთი, დიდი ჯიხიაში და სხვ.), თუმცა ხალხის ნამდვილ მოთხოვნასთან შედარებით ყველა ასეთი ღონისძიება წარმოადგენდა პალიატივს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიიღეს საქართველოს მშრომელებმა ის ფართო სასკოლო ქსელი, რომელიც შეუწელებლად იზრდება ყოველწლიურად.

ნ. ნიკოლაძემ კარგად იცოდა, რომ სახალხო სკოლა თავის საპატრიო მოვალეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებდა, თუ იგი ნამდვილად სახალხო მასწავლებელთა კადრებით იქნებოდა უზრუნველყოფილი. ამიტომ იგი თავის მრავალ პუბლიცისტურ და პედაგოგიურ წერილებში არა ერთხელ შეხებია იმ საპატიო როლს, რომელიც მასწავლებელს— „აღზრდისა და განათლების ამ მთავარ აგენტს“ ეკისრება ახალგაზრდობის გონებრივ და ზნეობრივ ფორმირებაში.

ნ. ნიკოლაძის აზრით, მასწავლებელი უნდა იყოს განათლებული, იდეური, ჰუმანური, პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული მოქალაქე, რომელიც ამასთანავე თავისი საქმის ოსტატიცაა. ახალგაზრდობის ზნე-

ობრივი აღზრდის ერთ-ერთ უძლიერეს საშუალებად ნ. ნიკოლაძეს მასწავლებლის პირადი მაგალითი მიაჩნდა. „მოსწავლე ყმაწვილის ხასიათის და ზნეობის გასაწვრთნელად, მისგან ზეირიანი მამულიშვილის გამოსაზრდელად. მის გონიერ და მარჯვე კაცად გამოყვანისათვის... აუცილებლად საჭიროა ჩინებულად დამარიგებელი და დამზადებული მასწავლებლების ყოლა, რომელთაც ხანგრძლივი სწავლით, შრომით და პიროვანი მაგალითით გავლენის შეძენა შეეძლოთ როგორც მოსწავლე ყმაწვილებზე, ისე იმათ დედ-მამაზეო“ — წერდა იგი. ნ. ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ მასწავლებლის პირად თვისებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ამა თუ იმ სასწავლო საგნით გატაცების საქმეშიაცო.

ამასთან ერთად მოწინავე მასწავლებელი, პუბლიცისტის შეხედულებით, ქვეყნის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილე უნდა იყოს. ამიტომ ილაშქრებდა ნ. ნიკოლაძე ისეთი პედაგოგების წინააღმდეგ, რომელნიც, თავის პროფესიულ ნაქუქში. მომწვედულები, „ემიჯნებიან დანარჩენ საზოგადოებას... ჰკარგავენ ინტერესს მეცნიერებისა და ლიტერატურისადმი, თვალს არ აღევნებენ თანამედროვე პოლიტიკას, რომლისადმი ინტერესს, პუბლიცისტის სიტყვით, უკანასკნელ დროს წერა-კითხვის ოდნავ მცოდნე სოფლის მოსახლეობაც კი იჩენს“.

ნ. ნიკოლაძე თავის პუბლიცისტურ წერილებში დიდი ენერგიით იბრძოდა სახალხო მასწავლებლის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვისაც, რადგან ამ გაუმჯობესების გარეშე, ამბობდა იგი, „სახალხო სკოლას მეტისმეტად მცირე რაოდენობით ეყოლება საქმიანი მასწავლებლები“. „საქმიანი მასწავლებელი“ კი, ნ. ნიკოლაძის დახასიათებით, ის არის, ვინც არა მარტო „წერა-კითხვის სწავლების ოსტატია“, არამედ ხალხის განმანათლებელი, მისი მეგობარი და მრჩეველიცაა. ამიტომ წერდა პუბლიცისტი: „სახალხო მასწავლებელი არ უნდა ისაზღვრებოდეს წერა-კითხვის სწავლებით, რადგან ხალხი ყოველგან და ყოველთვის მხოლოდ იმას დაემორჩილება, ვისაც მისი გაჭირვების ესმის და მზადაა დასახმარებლად, ვინც ახერხებს პირდაპირი გზით დაუკავშირდეს ხალხის პრაქტიკულ ინტერესებს“. ასე წარმოედგინა ნ. ნიკოლაძეს სახალხო მასწავლებლის საზოგადოებრივი მოვალეობა, რომლის შესრულებას იგი, პუბლიცისტის აზრით, მკიდროდ უნდა უკავშირებდეს თავის ყოველდღიურ სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობას.

ნ. ნიკოლაძის პედაგოგიურ შეხედულებათა ეს ზოგადი და მოკლე სურათიც ნათელყოფს მათ მოწინავე, პროგრესულ-დემოკრატიულ შინაარსს.


ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ თავისი სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური მსოფმხედველობის შეზღუდულობის გამო ნ. ნიკოლაძემ ვერ შეძლო პედაგოგიკის ძირითადი საკითხების (მა-

გალითად. ბავშვის პიროვნების ყოველმხრივი განვითარების, საწარმოო შრომასთან სწავლების დაკავშირების და სხვ.) ვადაქრაში კეშმარიტად მეცნიერულ. მარქსისტულ სიმაღლეზე ასვლა.

მიუხედავად ამისა, ნ. ნიკოლაძის პედაგოგიკური აზრების საერთო პროგრესულ-დემოკრატიული ხასიათი უფლებას გვაძლევს მათი ავტორი მოვიხსენიოთ ქართული კლასიკური პედაგოგიკის ისეთი კორიფეების გვერდით, როგორც არიან ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი და სხვ. უეჭველია, რომ ნ. ნიკოლაძის მდიდარი პედაგოგიკური მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისება მნიშვნელოვანი შენამატი იქნება ჩვენი ქვეყნის საბჭოთა პედაგოგიკური აზრის საგანძურისათვის.

### ლიტერატურა

- ნიკო ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1931 წ.  
ნიკო ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1932 წ.  
ნიკო ნიკოლაძე, „მამულის სიყვარული და მსახურება“, 1914 წ.  
ნიკო ნიკოლაძე, ჩემ პოლიტიკაზე, 1913 წ.  
Н. Николодзе. Армяно-грузинские отношения, 1920 г.  
ნიკო ნიკოლაძის გამოუქვეყნებელი ავტობიოგრაფია.  
ნიკო ნიკოლაძის არქივი, საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკა.  
Первый период „Обзора“, Тифлис 1879 г.  
Письма русских литературно-общественных деятелей к Н. Я. Николадзе, Тифлис. 1919 г.  
ნიკო ნიკოლაძის არქივი, საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკა, საქ. №№ 40/941, 40/942, 10/30, 40/243, 10/24, 5/1, 8/10, 13/10, 40/1361: ოლღა გურამიშვილისა და ნ. ნიკოლაძის მიწერ-მოწერანი.  
ეკ. მელიქიშვილისა და სერ. მესხის მიწერ-მოწერანი, საქ. სსრ სახ. ლიტ. მუხ. ხელნაწ. №№ 16809—16975.  
ფურ. „ცისკარი“—1860 წ. № 10, 1867, № 2.  
გახ. „დროება“, 1869—1871—1872—1873—1876, 1877, 1879 წ. წ.  
ფურ. „ერებული“—1871, 1872, 1873 წ. წ.  
ფურ. „მნათობი“—1870 წ. № 1.  
გახ. „ივერია“—1878 წ. № 7; 1889 წ. № 13; 1894 წ. № 193.  
ფურ. „მოამბე“—1894 წ. №№ 6, 8, 9, 12; 1895 წ. № 3; 1897 წ. № 6.  
ფურ. „კვალი“—1894 წ. № 45; 1895 წ. № 40; 1897 წ. № 46.  
გახ. „თემი“—1912 წ. № 93.  
ფურ. „კლდე“—1913 წ. № 37.  
ფურ. „განთიადი“—1915 წ. №№ 6, 7, 9.  
გახ. „კომუნისტი“—1927 წ. № 178 (1923).  
ფურ. „დროშა“—1934 წ. № 14—15.  
გახ. „ხარია ვოსტოკა“—1940 წ. № 172 (5094)  
ფურ. „საისტორიო მოამბე“—1945 წ. № 1.  
გახ. „კომუნისტი“—1948 წ. № 74  
Журн. „Искра“—1862 г. №№ 11, 12, 28, 29.  
Журн. „Современник“. 1864 г. № 8.  
Журн. „Колокол“—1865 г. №№ 198, 199.  
Газ. „Московские Ведомости“—1865 г. №№ 154, 194.  
Газ. „СПБ Ведомости“—1871 г. № 220, 225.  
Газ. „Тифлисский Вестник“—1874 г. 1875, 1876 г. г.  
Газ. „Обзор“—1878, 1880 г. г.  
Газ. „Новое Обозрение“— 1887— 1844 г. г.  
Журн. „Северный Вестник“—1889 г. №№ 2, 3.  
Журналы заседаний Полтавской Гор. Думы за 1897, 1899, 1902, 1905, 1907, 1911 и 1912 г. г.  
ქ. ფოთის კოლხიდის მბარემცოდნეობის მუზეუმი, ფ № 1.



## ანთიმოზ ჯულაი

(1846—1925)

ანთიმოზ ივანეს-ძე ჯულელი იმ პედაგოგთა სახელოვან პლეადას ეკუთვნის, რომელიც შეუღლებულ ბრძოლას აწარმოებდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებისათვის. ის დაულაღაოდ ემსახურებოდა ქართული ეროვნული კულტურის ისეთ მნიშვნელოვან უბანს, როგორცაა სახალხო განათლება, მისი განვითარება და განმტკიცება.

ანთიმოზ ივანეს-ძე ჯულელი<sup>1</sup> დაიბადა იმერეთში, სოფელ სვირში 1846 წელს იმ დროისათვის საკმოდ განათლებულ ოჯახში. მამა მისი ივანე სოფლის მღვდელი იყო. ანთიმოზი სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, ამ სასწავლებლის დასრულების შემდეგ კი სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში.

<sup>1</sup> ანთიმოზ ჯულელის ბიოგრაფიის შედგენისას ჩვენ ძირითადად ვყურდნობოდით ცნობილი მოღვაწის თედო სახოკიას გამოუქვეყნებელ მოგონებას „ანთიმოზ ჯულელი“.

როგორც ცნობილია, სემინარიაში მაშინ გამეფებული იყო დამამ-  
ცირებელი რეჟიმი და იეზუიტური მეთოდები: ჯაშუშობა, სულში ჩაძვ-  
რომა, აბუჩად აგდება, „ერთი სიტყვით აქ სქოლასტიკურად და საერ-  
თოდ საეგზეით ანტიპედაგოგიური სისტემა ბატონობდა“ (ი. სტალინი,  
თხზ., ტ. 13. გვ. 119).

სწორედ სწავლა-იღბრდის ამ უკუღმართმა სისტემამ აიძულა ბევ-  
რი ნიჭიერი ყმაწვილი და მათ შორის ანთიმოზ ჯუღელიც სწავლის  
მეორე წელსვე დაეტოვებია აღნიშნული სემინარია და დამოუკიდებელი  
ცხოვრების მძიმე უღელი შეეღვა მხრებზე.

იგი მუშაობას იწყებს სოფელ სუჯუნის სკოლაში ქართული ენის  
მასწავლებლად. ანთიმოზი როგორც სკოლაში, ისე მის გარეთ ხმას იმაღ-  
ლებს ხალხთა ჩაგვრის წინააღმდეგ და ენერგიულად ეწევა თანასწორ-  
უფლებიანობის, ძმობისა და მეგობრობის პროპაგანდას, რისთვისაც იგი  
დააპატიმრეს და „სამი თვე აღესინეს სატუსაღოს კედლები“.

სუჯუნიდან ანთიმოზ ჯუღელი გადადის სოხუმში და მუშაობას  
იწყებს მთიელ ბავშვთათვის გამართულ სკოლებში. ანთიმოზ ჯუღელის  
ცხოვრებაში ეს პერიოდი განსაკუთრებით რთულია. მე-19 ს. მეორე ნახე-  
ვარში სოხუმში სკოლები ძალიან ცოტა რაოდენობით იყო, ქართული  
ენა განდევნილი იყო ხმარებიდან, ბევრმა სოხუმელმა არც კი იცოდა,  
რომ სოხუმი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, „ცოტა იცნობდა  
ქართველი ერის ისტორიას და მის კლასიკურ ლიტერატურას.

ამ პერიოდში „სამღვდელოებამ უღალატა ხალხის განათლებას,  
თავად-აზნაურობაც მას არ ჩამორჩა გულგრილობაში, და ამ სახით გა-  
ნათლების საქმის სამსახური წმინდა ვალად დაედო კისერზედ მხოლოდ  
ქართველს, დაწინაურებული ინტელიგენციის მცირე დასსა...“ (ი. გოგე-  
ბაშვილი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 100, 1910 წ. გამოცემა). ამას ემა-  
ტებოდა მეფის მოხელეთა მიერ ამიერ-კავკასიის ყველა ხალხთა შორის  
შოვეინისტურ-ნაციონალისტური გრძნობების გულმოდგინედ გავლევება.

ანთიმოზ ჯუღელს კარგად ესმოდა, რომ პედაგოგიურ ასპარეზზე  
ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის აუცილებელია საგნის ღრმა ცოდნა და  
პედაგოგიური დახელოვნების განუწყვეტელი სრულყოფა. ამ მიზნით იგი  
საფუძვლიანად სწავლობს ქართული ენის სწავლების საკითხებს დაწყე-  
ბით სკოლაში და დაწვრილებით ეცნობა იან ამოს კომენსკის, პესტალო-  
ცის, დისტერვეგის, უშინსკის, ტიხომიროვის, ვოდოვოხოვის, მიროპოლ-  
სკისა და სხვა გამოჩენილ პედაგოგთა ნაწერებს.

1875—1876 წლებში ანთიმოზ ჯუღელი აქვეყნებს (ცალ-ცალკე)  
რამოდენიმე საყმაწვილო მოთხრობას, დედა-ენის სწავლების სახელმძღ-  
ვანელოს, წერის დიდანს, რეცენზიებს და საქართველოს ბუნებასა და  
გეოგრაფიაზე რამოდენიმე პატარა თხზულებას, სადაც გადმოცემულია  
მისი შეხედულება სწავლა-იღბრდის ცალკეულ საკითხებზე.



სოხუმში ანთიმოზ ჯუღელი აჩალებს ფართო საზოგადოებრივ, სა-  
განმანათლებლო მუშაობას. იგი იბრძვის დედა-ენაზე სწავლების უფლე-  
ბისათვის, ავრცელებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს სოხუმელ მოსახლეთა  
შორის. ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიას ცნო-  
ბით, ანთიმოზ ჯუღელს პირველად შემოუღია სოხუმში აბრეშუმის ქიის  
მოვლა, უსწავლებია იგი ხალხისათვის და ისე განვითარებულა ეს საქმე,  
რომ „მეაბრეშუმეობის ამხანაგობაც“ კი დაარსებულა სოფელ დრანდა-  
ში. მისავე ხელმძღვანელობით დაარსებულა ამხანაგობა „სააგარაკო მი-  
წების შექმნისა“, რაც აგრეთვე ხალხის კეთილდღეობას ემსახურებოდა.  
ამ საქმის გამო რეაქციულ პრესას და პირველ რიგში „ნოვოე ვრემიას“  
ერთი ამბავი დაუწვევია. საქმეში ჩარეულა ენდარმერია... მაგრამ ამჯე-  
რად ყველაფერი მშვიდობით დამთავრებულა. ანთიმოზ ჯუღელმა თავი-  
სი თავდადებული და ენერგიული მუშაობით სოხუმელ მშრომელთა დი-  
დი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ამით უნდა აიხსნას ის  
ფაქტი, რომ იგი ქალაქის გამგეობის წევრად იქნა არჩეული.

ვალმოხდილი პედაგოგი 1925 წლის 13 ივლისს გარდაიცვალა. და-  
საფლავებულია ქ. სოხუმში.

ანთიმოზ ჯუღელი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში  
ენტკიცედ მისდევს თავის სოციალურ მრწამსს. მასზე დიდი გავლენა  
მოუხდენიათ სოციალ-უტოპისტებს და ვულგარულ მატერიალისტებს.  
იგი ბევრ რამეში იმოწმებს მოლეშოტს და, სოციალ-უტოპისტების მსგავ-  
სად, სწავლა-განათლებლით, სკოლების გამრავლებით, საერთოდ, ახალ-  
გაზრდობის ახლებური აღზრდით ცდილობს არსებული საზოგადოებრი-  
ვი წყობილების გარდაქმნას ისეთ წყობილებად, რომელსაც საფუძვლად  
დაედება კაცთმოყვარეობა, ძმობა და მეგობრობა.

სტატიაში „ლიუტერი როგორც პედაგოგი“ ანთიმოზ ჯუღელი  
მთლიანად იზიარებს და იწონებს ლიუტერის აზრს იმის შესახებ, რომ  
„როდესაც სკოლები გამრავლდება, თავის დანიშნულებას შეასრულებს,  
იკოდეთ, რომ ხალხთა შორის კეთილდღეობა ჩამოვარდება“ („ივერია“,  
№ 5—6, 1884 წ., გვ. 134).

აღზრდის მიზნად ანთიმოზ ჯუღელს მიაჩნია ახალგაზრდობაში კაცთ-  
მოყვარეობის, ერთგულებისა და სიმართლის მოყვარულობის აღზრდა,  
ერთი სიტყვით ის, რაც ბავშვს ზომიერად და მართებულად აამოქმე-  
დებს“ („ივერია“, № 5—6, გვ. 133, 1884 წ.).

ანთიმოზ ჯუღელი აღზრდას უდიდესი მნიშვნელობის საქმედ თვლის.  
ის ხშირად იმეორებდა: „ყველა საქმეზე უდიდესი საქმეა ყმაწვილების  
აღზრდა“.

ანთიმოზ ჯუღელი აღზრდას მჭიდროდ უკავშირებს სწავლებას. მას  
შეგნებული აქვს სწავლების აღმზრდელობითი ბუნება, მისი ძლიერი ზე-  
გავლენა ადამიანის მორალურ ფორმირებაზე, სწავლას და აღზრდას იგი  
ერთ მიზანს უსახავს და მიზნის მთლიანობით მთლიანსა და განუყო-

ფელს ხდის თვით სწავლისა და აღზრდის პროცესსაც. სწავლა მისი აზრით სარკეა, რომელშიდაც კარგად მოჩანს ხალხთა ცხოვრება, ამ ცხოვრების ნაკლოვანი მხარეები და მისი გამოსწორების გზები. და საშუალებები. „მეცით ხალხს საშუალება,—წერდა ანთიმოზ ჯუღელი,—რომ ჩაიხედოს სწავლით თავის ნაკლოვანებაში, დაინახოს თავისი მდგომარეობა. სწავლა იყოს მისი სარკე. ხალხი და სახელმწიფო მხოლოდ მაშინ მიაღწევენ კეთილმდგომარეობამდის, როდესაც ყველა მცხოვრებნი (HACEЛЕННЕ) თანასწორად მიიღებენ სწავლა-განათლებას საშუალო სკოლებში თუ არა, სახალხო სკოლებში მაინც“ („იმედი“, 1881 წ., № 5, გვ. 60).

სკოლა „ხელს უნდა უმართავდეს თავის შეგირდებს ცხოვრების ახალი პირობების შემუშავებაში. სკოლამ უნდა შეაჩვიოს ახალგაზრდობა ნაყოფიერ მუშაობას, თავისი ძალღონის მიზანშეწონილად გამოყენებას, რათა მათ (ამ ახალგაზრდობას) შეეძლოთ საზოგადოების მოთხოვნა და თავის თავი დააკმაყოფილონ“. ასე აქვს წარმოდგენილი ანთიმოზ ჯუღელს სწავლა-აღზრდის მიზანდასახულობა.

თუ აღზრდა საწინააღმდეგო მიზანს ისახავს, ძმობისა და მეგობრობის ნაცვლად ხალხთა შორის შუღლსა და მტრობას სთესავს, ხოლო კაცმოყვარეობისა და სამართლიანობის მაგიერად ძარცვა-გლეჯისა და მოტყუებისაკენ უბიძგებს ახალგაზრდობას, მაშინ, ანთიმოზ ჯუღელის სამართლიანი აზრით, თვით საზოგადოებასაც არ მოელის კარგი. იგი მაგალითისათვის განიხილავს გერმანული სკოლების სწავლა-აღზრდის მიზანდასახულობას და გონებამახვილად შენიშნავს: „ახლანდელი სწავლა ნემსებისა ზრდის არა პატიოსან მამულის შეილს, არამედ ადამიანის მოშურნეთ, თუ ამ ახალმა სწავლამ დიდ ხანს გაატანა გერმანიაში, დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ ამ ქვეყნის წარმატებას სასურველად ვერ აწარმოებს“ („ივერია“, 1884 წ., № 5—6, გვ. 131).

ანთიმოზ ჯუღელის აზრით სწავლების შინაარსი უნდა შეიცავდეს საკითხებს, რომელიც ხალხის გონებასა და გულში კეთილშობილურ გრძნობებს გააღვიძებს, მეგობრობისა და ძმობის ლამპარს აანთებს. ამ საკითხებმა პირველყოელისა ასახვა სასწავლო პროგრამებში უნდა ჰპოვონ. იგი მკაცრად აკრიტიკებდა სოფლის სკოლების პროგრამებს. „პროგრამაში არ იხატება ხალხის სული და გული, არ არის აქ ჩვენი ხალხის სულისა და გულის ამალორძინებელი მეცნიერებაო“. ის მოითხოვდა პროგრამების შედგენის საქმე გამოცდილ მასწავლებელთა მსჯელობის საგანი გამხდარიყო. პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენისას, ანთიმოზ ჯუღელის აზრით, ანგარიში უნდა გაეწიოს პირველყოელისა ბავშვს, მისი განვითარების დონეს. ყოველი სასწავლო საკითხი ხელს უნდა უწყობდეს ბავშვთა გონების ამოქმედებას, ინტერესს სწავლისადმი. ეს მოთხოვნა წითელი ზოლივით გასდევს მთელ მის ნაწერებს. „უმაწვილს შიშით, ძალდატანებით და მეტადრე ქადაგებით კი არ უნდა

ვაყვარებდეთ სწავლას,—წერს იგი,—თვით სწავლება ისეთ გზაზე დაე-  
ყენოთ, რომ ყმაწვილი თვით ამან მიიზიდოს\* („იმედო“, 1881 წ.  
№ 5, გვ. 51—52).

ანთიმოზ ჯუღელს, უშინსკის და იაკობ გოგებაშვილის მსგავსად.  
დედა-ენა მიაჩნია „ყმაწვილთა გონების გასაღებად“, ბაგშეთა გულის-  
კენ გზის გაკაფვის მთავარ საშუალებად და მათი მეტყველებისა და აზ-  
როვნების ნორმალური განვითარების ძირითად ფაქტორად. ამას-  
თან იგი მტკიცედ იცავს დიდაქტიკის ენობილ დებულებას სწავლებაში  
მარტივიდან რთულზე, ახლობელიდან შორეულზე, ნაცნობიდან უცნობ-  
ზე გადასვლის შესახებ. განსაკუთრებით მოითხოვს დაწყებით სკოლებში  
თვალსაჩინოების ფართოდ გამოყენებას. ამ საკითხებს იგი მეტნაკლება-  
ყველგან ეხება, განსაკუთრებით კი „ყმაწვილის სარკესა“ და იაკობ გო-  
გებაშვილის „დედა-ენის“ (მესამე გამოცემა) შესახებ დაწერილ რე-  
ცენზიაში.

1875 წ. თბილისში გამოდის ანთიმოზ ჯუღელის მიერ შედგენილი  
წერა-კითხვის წიგნი „ყმაწვილის სარკე“, რომელიც გათვალისწინებუ-  
ლია სოფლის ორ-სამ განყოფილებიანი სკოლებისათვის. აღნიშნული  
წიგნი შედგება სამი განყოფილებისაგან. პირველი განყოფილება (6—14  
ჯვ.) შეიცავს ანბანს და მითითებებს წერის სწავლების შესახებ, მეორე  
განყოფილებაში (15—40 გვ.) მოცემულია საკითხავი მასალა (სავარჯი-  
შო ანღაზებიდან, გამოცანებიდან, საქართველოს გეოგრაფიიდან და  
სხვ.), მესამე განყოფილებაში (40—46 გვ.) კი წარმოდგენილია ლოცვე-  
ბი. წიგნს აქვს წინასიტყვაობა, სადაც გაშუქებულია ის პრინციპები.  
რაც წიგნს უძევს საფუძვლად, და დახასიათებულია წიგნის თითოეუ-  
ლი განყოფილების თავისებურება.

წერის შესწავლა მეტად სერიოზული საქმეა. იგი ბავშვის განვითარების  
თავისებურებათა გამო ბრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებუ-  
ლი და მოითხოვს ბავშვთა ბუნების ღრმა ცოდნას, დიდ პედაგოგიურ  
დახელოვნებას. „პირველ დაწყებით სწავლაში,—წერს ანთიმოზ ჯუღე-  
ლი,—ისეთი ძნელი არ არის რა ჩემი დაკვირვებით, როგორც ყმაწვი-  
ლის ხელის გაქნა პირველი წერის დაწყების დროს. ამ სიძნელის დაძ-  
ლევის გასაადვილებლად მიზანშეწონილია ბავშვები ასოების წერის დაწყე-  
ბამდე შევაჩვიოთ სხვადასხვა ხაზების გავლებას, გავარჯიშოთ მათი ხე-  
ლი, შემდეგ შეუდგეთ ასოების წერას“ („ყმაწვილის სარკე“, გვ. 1).  
მაგრამ ამის ასრულება დროის სიმციროს გამო სახალხო ორ-სამ განყო-  
ფილებიან სკოლებში შეუძლებელია. და ამიტომ ანთიმოზ ჯუღელი მიზან-  
შეწონილად ცნობს ბავშვებს ვახაზიოთ ისეთი ხაზები და ფიგურები.  
რომლებიც მათაც უფრო მეტად დააინტერესებს და ასოების წერის  
სწავლებასაც ხელს შეუწყობს. ამ მოსაზრების თანახმად ანთიმოზ ჯუღე-  
ლი ცდილობს დასახელებულ წიგნში სწორედ ასეთი ნახაზები და ფიგურ-  
ები მოათავსოს. ანთიმოზ ჯუღელი საქმეს წერტილებით იწყებს იმ მო-

ტივით, რომ თითქოს ყმაწვილი ამით:უნებურად მიეჩვენა ხელის თითების ძოძრაობაში შოყვნას წერის დროს და ჩქარაც კააკეთებს ამ წერტილებს. შემდეგ მოსწავლე გადადის ადვილად შესასრულებელ ნახაზებზე და, რაკი ამ საქმეში იგი ხელს გაიწაფავს, დაიწყება ხატვა. მართალია, ნახაზებისა და ნახატების შესრულება ანვითარებს ბავშვის ხელის თითებს, მაგრამ წერტილებით საქმის დაწყება გამართლებული არ არის, ვინაიდან შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ წერტილის წერის დროს თითები აქტიურად ვითარდებოდეს. თითების განვითარებას სხვადასხვა სახის მრუდი და სწორი ხაზების გავლება იწყებს, რომელზედაც თვითონ ანთიმოზ ჯუღელიც მიუთითებდა.

ანთიმოზ ჯუღელის მიხედვით ხატვის დროს დახატული სურათის გვერდით თავსდება ამ სურათის მსგავსი ასო. კითხვა ჯერ დაწყებული არ არის და არც დაიწყება მანამდე, სანამ მოსწავლეები ხატვას არ შეერვევიან. ამავე დროს მასწავლებელი მათ ავარჯიშებს „სხვადასხვაგვარი ბაასით“. როდესაც მოსწავლეები საწერი სტრიქონების გავლებას შეერვევიან, იწყება კითხვის სწავლებაც. წერისა და კითხვის შესწავლის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს დააწყებინებს წერას, ასოების ნამდვილი ფორმის გამოხატვის, კარგად წერის ჩვევების დაუფლების მიზნით. ასოების ნამდვილი ფორმის გამოხატვა და საერთოდ ასოების წერა დასახელებულ შემთხვევაში ასეთნაირად უნდა იქნეს გაკებული: თავდაპირველად, ასოების წერის დაწყებისას ანთიმოზ ჯუღელს დასაშვებად მიაჩნია, ასოები ყმაწვილმა წეროს უხაზოდ ისე, როგორც მას სურს. ასოების წერის შესწავლის შემდეგ კი იწყება ასოების ხაზებში წერა, ასოების ნამდვილი ფორმით გამოხატვა.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ პირველად მოსწავლეებს ვასწავლოთ მარტივი, ადვილად დასაწერი ხმოვანი ასოები. მათ გარკვევით უნდა განემარტოთ ასოების შემადგენელი ნაწილებიც. მაგალითად, ასო „ს“ შედგება სწორი ხაზისაგან და „ა“-საგან ან „ნამგლის პირისაგან“ (სწორ ხაზს მიემატება მარჯვნივ „ნამგლის პირი“ და გამოვა ასო „ს“), ცოტაოდენი ცვლილებით მივიღებთ „ბ“-ს; ამგვარადვე მივიღებთ „ძ“-ს; „ძ“-ს მიემატება თავში „ი“ და მივიღებთ ასო „მ“-ს, „მ“-ს მიემატება თავში კიდევ ერთი „ი“ და მიიღება ასო „შ“ და ა. შ. ანთიმოზ ჯუღელი თითოეული ასოს შესწავლას მკვიდროდ უკავშირებს თვალსაჩინოებით გამოწვეულ ბავშვთა აზრობრივი წარმოსახვის აქტიუზაციას. მაგალითად, ასო „უ“-ს შესწავლა ასე იწყება: მასწავლებელი ბავშვებს აგონებს მგელს, შემდეგ კი ეკითხება—ვინ მეტყვის მგელმა როგორი ყმული იცის? მოსწავლე პასუხობს: „უ უ უ უ...“. მასწავლებელი ამის შემდეგ ბავშვებს ეუბნება: ეს მგლის ხმა „დავინიშნოთ ისეთი ნიშნით, რომ, როცა ის კნახოთ, ყოველთვის მოგვაგონდეს ხმა უ უ უ“. ეს ნიშანი აღვნიშნოთ „უ“ ასოთი; ამ ასოს თავი მგლის კბილებს გავს და, როცა მას შეხედებით, მოიგონეთ მგლის ხმა უ უ უ... (ყმაწვილის სარკე“, გვ. III)-

ანალოგიურად წარმოებს სხვა ხმოვანი ასოების შესწავლაც. ხმოვანი ასოების კარგად შესწავლის შემდეგ მოსწავლეები იწყებენ კითხვას. კითხვის სწავლაც სწარმოებს თვალსაჩინოების საფუძველზე. ანთიმოზ ჯუღელი გვიჩვენებს, ჯერ დაეხატოთ იმ საგნის სურათი, რომელიც საკითხავ მასალას უკავშირდება ან თვით ეს საგანი, მაგალითად ხე (პატარა ნერგი) მოვიტანოთ გაკვეთილზე, მოკლედ ავაწერინოთ მოსწავლეებს, რა ნაწილებისაგან შედგება იგი, მარტივად გავარკვიოთ, რა არის თვით ხე და მოსწავლეებს ვათქმევინოთ და გავამეორებოთ სიტყვები: „ეს ხე არის“ და მათვე გავარჩევინოთ ეს სიტყვები მარცვლებად და ხმებად. ამის შემდეგ მოსწავლეები მასწავლებლის მითითებით თავიანთ წიგნებში მონახავენ ხის სურათს და ნიშნებს ამ სურათის ქვეშ. მოსწავლეებმა უნდა დაითვალონ, ეს ნიშნები რამდენ ადგილას არის ცალ-ცალკე. ირკვევა, რომ ნიშნები განრიგებულია სამ ადგილას. ამის შემდეგ მასწავლებელი ახდენს მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებას და უხსნის მათ, რომ „ეს სამი ნიშანი იმ სამ სიტყვას ნიშნავს, რომელსაც წელიწადი ვამბობდით“, ე. ი. „ეს ხე არის“; შემდეგ კი ვარკვევთ, პირველად რა ვთქვით (ეს). მასწავლებელი მოსწავლეებს აქვე მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ ერთი სიტყვა ვთქვით, აქ კი ორი ნიშანია, რატომ? და თვითონვე ეხმარება მოსწავლეებს პასუხის გაცემაში. მასწავლებელი გამოთქვამს ამ სიტყვას ისე „ხმა გრძლად და განცალკევებით“, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ სიტყვის გარჩევა ხმებად (ე ე ე და ს ს ს), შემდეგ მონახება „პირველი (ე ე ე) და მეორე (ს ს ს) ხმა“ (ბგერა). ამ ნიშნებს მასწავლებელი მოსწავლეებს აწერინებს ჯერ ფიცარზე და მერე დაფაზე ცალ-ცალკე (ე...ს), აგრეთვე პირდაპირი წყობით (ეს) და შებრუნებულად (სე). მოსწავლეები, რაკი კარგად გაერკვევიან როგორც ცალკე ასოებში, ისე მათ წყობაში, ამ ნიშანს მონახავენ წიგნში, განამტკიცებენ შეთვისებულს და ასეთივე მეთოდით იწყებენ შემდეგი სიტყვისა და ამ სიტყვის გამომხატველი ასოების შესწავლას. როდესაც ეს საქმე მორჩება, მაშინ მასწავლებელი დახაზავს ფიცარს ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზებით ისე, რომ ფიცარი რამოდენიმე თანასწორ ოთხკუთხედიან დაიყოს და ოთხკუთხედი უჯრედებში ჩაიწერება ერთგვარმარცვლოვანი სიტყვები, მაგალითად: ხაო, ხარი, ხასო და სხვ. მას შემდეგ, რაც ყველა მოსწავლე ან მოსწავლეთა უმრავლესობა ფიცარზე დაწერილ ასოებს დაისწავლის, იწყება წიგნის კითხვა. საკითხავი განყოფილების მთელი მასალა ისეა შერჩეული, რომ ყოველი თანხმოვანი ასოს შემდეგ ხმოვანია დაწერილი.

სავარჯიშოში ანდაზები, გამოცანები და წიგნში შეტანილი სხვა მასალები ბავშვისათვის საინტერესოდ არის შერჩეული. მათი დიდი უმრავლესობა აღებულია მათი (ბავშვთა) ცხოვრებიდან და მიზნად ისახავს პატარებს სწავლისადმი და ბეჯითობისადმი სიყვარული, მშობლებისა და უფროსებისადმი პატივისცემა ჩაუნერგოს („სათვალე“, „ყმაწვილი და

თხა“, „აბა ვინ გაჰყოფს“ და სხვ.). შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან წარმოების უმარტივეს იარაღებს, აგრეთვე მცენარეებს, ცხოველებს, ფრინველებს, წიგნებს, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. აქვეა ცნობები მადნეულობაზე, წლის დროებზე, თევებზე, კვირებზე, დღეებზე და დღის ნაწილებზე, ელვაზე, ღრუბლებზე და ბუნების სხვა მოვლენებზე.

ანთიმოზ ჯუღელი დიდად არის დაინტერესებული სასკოლო სახელმძღვანელოების საკითხით და სისტემატურად ზრუნავს მათი ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამით უნდა აიხსნას ის საკმაოდ ვრცელი და შინაარსიანი რეცენზიები, რომელიც ანთიმოზ ჯუღელმა მიუძღვნა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“.

1881 წელს „იმედში“ (№ 3—4, გვ. 42—52) ანთიმოზ ჯუღელი „გადაღმელის“ ფსევდონიმით აქვეყნებს რეცენზიას იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილის „დედა-ენის“ შესახებ (მესამე გამოცემა). როგორც ხსენებულ რეცენზიიდან. ისე იაკობ გოგებაშვილის მიერ ამ რეცენზიის გამო დაწერილ პასუხზე გაცემული პასუხიდან ჩანს („უფ. იაკობ გოგებაშვილის უმეცრობის ამაყობა“, „იმედი“, № 7—8, 1881 წ. გვ. 120—149.), ანთიმოზ ჯუღელი პირველ ყოვლისა დიდ მნიშვნელობას აძლევს სახელმძღვანელოს გაფორმებას, შრიფტს და ნახაზ-ნახატებს. „ყოველი წიგნი საყმაწვილოთ დაწერილი, შენიშნავს იგი, მახვილი და გარკვეული ასოებით უნდა იყოს დაბეჭდილი, რადგანაც ახლად მოსწავლის თვალს დიდი ჯაფა ადგია კითხვის დროს“. ამ საკითხზე ანთიმოზ ჯუღელი იმეორებს ევროპის პედაგოგებს და სკოლიდან გამოსული ახალგაზრდობის აღრე სიბრძავეს მიზნად იმ წვრილ შრიფტს თვლის, რომლითაც „საყმაწვილო წიგნები იბეჭდებოდა“.

ანთიმოზ ჯუღელისათვის უდავოა, რომ ბავშვთა გონების შემოქმედებით მდგომარეობაში ყოფნა ახალი ცოდნის შეთვისების მეტად მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამიტომ იგი სავსებით სამართლიანად მოითხოვს, რომ „დედა-ენაში“ მოთავსებულმა მასალებმა გონების სავარჯიშო მისცეს მოსწავლეებს, განავითაროს და განამტკიცოს მათი აზროვნება, ახალი ცოდნით გაამდიდროს ბავშვთა მეხსიერება. ამისათვის კი იგი აუცილებლად თვლის საკითხავი მასალები, გამოცანები თუ ანდაზები ბავშვთათვის ამავე დროს საინტერესოც იყოს. ეს კი მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ მასალები „... უსათუოდ ყმაწვილის ცხოვრებიდან იქნები ალებული“. ანბანში, ხაზგასმით აღნიშნავს ი. ჯუღელი, ერთი სიტყვაც არ უნდა იყოს ყმაწვილისათვის უცნობი და უინტერესო.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს იგი სასაუბრო მასალის შერჩევას. ეს მასალა „ბევრი ჩიჩინის“ გარეშე უნდა გაიგოს ყმაწვილმა. სასაუბრო მასალამ მოსწავლეს უნდა გაუადვილოს „სტატიებზე მუშაობა“ იმით, რომ გააცნოს მთელი რიგი სიტყვები, თუ საგნები, რომლებზედაც სტატიაში იქნება ლაპარაკი. თუ მოსწავლისათვის სტატიაში რამოდენიმე სიტყვა გაუგებარია, მაშინ იგი სტატიის ვერც აზრს გაიგებს და

ვერც ხეირიანად წაიკითხავს მას. მაგალითად, როდესაც მოსწავლე კითხულობს სტატიას არწივზე და კუზე, მან წინასწარ უნდა იცოდეს, რაა არწივი, კუ, რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან და ა. შ. აქვე ანთიმოზ ჯუღელი იმორწმებს გრეკოვს, ტიხომიროვს, ვოდოვოზოვს და ამტკიცებს ანდაზების, გამოცანების და მოკლე ლექსების ანბანში ჩართვის აუცილებლობას. „ასეთ ანდაზებს, გამოცანებს, აღნიშნავს იგი, ძლიერ გამაცხოვრებელი და მიმზიდველი გავლენა აქვს ყმაწვილის გონებაზე“ („იმედი“, 1881 წ. № 7—8, გვ. 136). ანდაზები და გამოცანები, აგრეთვე პატარა ლექსები აღებული უნდა იყოს იმ ხალხის ცხოვრებიდან, რომლისათვისაც წიგნი დგება. ამ მასალაში აისახება თვით ხალხის ზნე-ჩვეულებები და სულისკეთება. მათი გაცნობით პატარები ეცნობიან ხალხს, მუშავდება მათში ხალხისადმი პატივისცემა და სიყვარული.

ჩვენ გვესაქიროება ისეთი ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, აღნიშნავს ანთიმოზ ჯუღელი, „სადაც მშვენიერი ხელოვნებით არის დახატული ყმაწვილის და მისი გარეშემო ბუნების ცხოვრება და სიმშვენიერე“ („იმედი“, 1881 წ. № 7—8, გვ. 146).

ანთიმოზ ჯუღელს მასწავლებლობა მიაჩნდა ყველაზე საპატიო, კეთილშობილურ, მაგრამ ამავე დროს რთულსა და ძნელად შესასრულებელ საქმედ. მასწავლებელს, გარდა ღრმა ცოდნა-განათლებისა, მოეთხოვება ბავშვის ყოველმხრივად შესწავლა და მისი ფსიქო-ფიზიკური განვითარების თავისებურებათა გათვალისწინება მუშაობაში. სახალხო განათლების ჩამორჩენის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ანთიმოზ ჯუღელი სამართლიანად თვლიდა მასწავლებლობის პოლიტიკურ უუფლებობას, მის ნივთიერ სიბეჩავეს.

მასწავლებელს აბუჩად იგდებს სოფლის მამასახლისი, ურიადნიკი და მეფის სხვა დანარჩენი მოხელენი. თავისი ისედაც მცირე ხელფასის ნახევარზე მეტს, წერს ანთიმოზ ჯუღელი, მასწავლებელი ქრთამად აძლევს მამასახლისს, ხელფასი რომ აუკრიფოს. შიმშილ-სიტიტვლით იტანჯება მასწავლებლის ოჯახიც. ანთიმოზის „სამართლიანი აზრით ძლიერ ჯანმრთელი უნდა იყო, ასეთ პირობებში სოფლის მასწავლებლად „სულ დიდი 10—12 წელიწადი რომ ვასძლო“. „სოფლის მასწავლებლის აწინდელი მდგომარეობა, დაასკვნის იგი, სოფლის მოჯამაგირის მდგომარეობაზე ძირსა დგას“ („იმედი“, 1881 წ. № 5, გვ. 62). ჯუღელი მასწავლებელთა უმწეო მდგომარეობის მართა აღწერით როდი კმაყოფილდება. იგი აყენებს მთელ რიგ კონკრეტულ მოთხოვნებს მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და დაბეჯითებით მოითხოვს მათ ცხოვრებაში გატარებას. ეს მოთხოვნებია: საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფართოდ ჩარევის უფლება, ხელისშეწყობა კვალიფიკაციის ამაღლებაში, ნივთიერი უზრუნველყოფა, პენსიები და სხვ.

ამ მოთხოვნათა განხორციელება, ცხადია, შეუძლებელი იყო ცარიზმის პირობებში, მაგრამ ამას, როგორც პროტესტს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასწავლებლობის შეკავშირებისათვის.

ანთიმოზ ჯუღელი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ოჯახისა და სკოლის ურთიერთობის საქმეს. ოჯახში აღზრდის წესიერად დაყენებისათვის ანთიმოზ ჯუღელს პირველ რიგში აუცილებლად მიაჩნია შრობელსა და შვილს შორის პატივისცემასა და სიყვარულზე დამყარებული ურთიერთობის შექმნა, შრობლის მიერ მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნება, სახელი და საქირო ავტორიტეტი. მისი აზრით დაუშვებელია ამ საქმეში ძალადობის გამოყენება და შიშის ჩანერგვა პატარებში. „ყმაწვილს შრომლების სიყვარული და პატივისცემა უნდა ჰქონდეს და არა შიშო“, ამბობდა იგი.

ანთიმოზ ჯუღელი სასტიკი წინააღმდეგი იყო „ყმაწვილთა ფიზიკური დასჯის“ როგორც სკოლაში, ისე ოჯახში. ცემა-ტყეპა „სულმოკლეს ხდის ყმაწვილს“. მშიშარა და გაუბედავია იგი, ხოლო „სიყმაწვილში შეშინებულ“ ახალგაზრდას თავის დღეში ველარ გახდი „თამამ და გამბედავ კაცად“. ცემა ამახინჯებს ახალგაზრდის ფიზიკურ და სულიერ ძალებს. „ამიტომ, ხაზგასმით შენიშნავს ანთიმოზი, შრომლებსა და მასწავლებლებს უნდა ახსოვდეს, რომ ცემა-ტყეპით სიცულის მეტს სიკეთეს ვერ მოუტანენ ყმაწვილებს. ბევრი მასწავლებელი ლანძღვა-გინებით, სიფიცხით და ცემა-ტყეპით აფუჭებს წარჩინებულ ნიჭიერ ყმაწვილებს“ („ივერია“, 1884 წ. № 5—6, გვ. 131).

ანთიმოზ ჯუღელი ოცნებობდა იმაზე, რომ „ყმაწვილთა სწავლა-აღზრდა“ საყოველთაო სახალხო საქმედ გამხდარიყო, და ამიტომ მან, სახალხო განათლების ამ ღირსეულმა პატრიოტმა, მთელი თავისი სიცოცხლე ამ ოცნების სინამდვილედ გადაქცევას მოანდომა.

#### არასრული ხია ანთიმოზ ჯუღელის ნაშრომებისა

ჯუღელი ანთიმოზი—მგზავრის შენიშვნები. „ივერია“ № 165, 1886 წ. „უფ. იაკობ გოგებაშვილის უმცრობის ამყობა“, ხელმოწერა გადაღმელი. „იმედი“ № 7—8, 1881 წ. ბიბლიოგრაფია (რეცენზია იაკობ გოგებაშვილის დედა-ენაზე, მე-3 გამოცემა), ხელმოწერა გადაღმელი. „იმედი“ № 3—4, 1881 წ. რეცენზია წიგნზე „გაზაფხული“, „ივერია“, № 138, 1881 წ. ლიტერატი როგორც პედაგოგი, „ივერია“, № 5—6, 1884 წ. „ჩვენი სოფლის სკოლები“, „იმედი“, № 5, 1881 წ.

გაზაფხული—ყრმათათვის საკითხავი წიგნი, ანთიმოზ ჯუღელის რედაქციით, 1881 წ. ქართული წიგნის მაღაზიის გამოცემა, გრ. ჩიქოვანის სტამბა.

ყმაწვილის სარკე ანუ წერა კითხვის წიგნი, შედგენილი ანთიმოზ ჯუღელისაგან. 1875 წ. თბილისი, კავკასიის ნამუსტრიის უმფ. გამგეობის სტამბა.

სიყვარული—შედგენილი ანთიმოზ ჯუღელისაგან. თბილისი, ექ. ხელაძის სტამბა, 1879 წ.

ჯუღელი ანთიმოზი წერის სასწავლო დედანი. თბილისი, გ. დემუროვისა და დაისის ლითოგრ. 1875 წ. ამბები სოფლის ცხოვრებიდან. თბილისი, ექ. ხელაძის სტამბა, 1880 წ. აფხაზეთიდან დრანდის ძველი მონასტრის განახლება (გაბრიელ ეფისკოპოსის, გამოსათხოვარი სიტყვის გამო აფხაზეთის საეპარქიოს დაარსების გამო) „მწყემსი“ № 28, 1886 წ. თხადვე საეკლესიო სამრევლო სკოლების დროით დაარსების შესახებ. „მწყემსი“, 1884 წ. № 24 თედო (მოთხრობა), „წყარო“ № 3—4, 1881 წ. კინკველები (მოთხრობა). ბუნების მეტყველებიდან, „წყარო“ № 3—4 1881 წ.





## პოლიევჰო კვისარიძე

(1849—1904)

1904 წლის 19 იანვარს 55 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ნიჭიერი მკვლევარი და სახელმძღვანელოს ავტორი, მწერალი პოლიევჰო კვიცარიძე.

პოლიო კვიცარიძემ დაიმსახურა ამხანაგ-მეგობრებისა და ფართო საზოგადოების უმწიკლო სიყვარული და განუსაზღვრელი პატივისცემა. მისმა სიკვდილმა დიდად დაამწუხრა ის ახალგაზრდობა, რომელთანაც, როგორც აღმზრდელსა და მასწავლებელს, პოლიევჰოს უშუალო და განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა. ეს ჩანს იმ მეტად მკძნობიარე ნეკროლოგში, რომელიც 1904 წლის № 5 გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნდა და რომელიც ასე მთავრდებოდა: „პოლიევჰო კვიცარიძე, როგორც სამაგალითო მასწავლებელი ძლიერ ბევრ მის მოწაფეს უყვარდა და ეს სიყვარული კიდევ გამოიხატა სავსებით მის საფლავზე წარმოთქმულ რამდენიმე გულწრფელ სიტყვებში“.

პოლიევჰო კვიცარიძე საშუალო განათლების მიღების შემდეგ შედის პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე.

რომლის დამთავრებას ვერ ახერხებს სხვადასხვა მიზეზების გამო და სამშობლოში დაბრუნებული იწყებს მასწავლებლობას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პოლიევქტო კვიცარიძის მასწავლებლობა და დაუღალავი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქუთაისში, სასულიერო სასწავლებელში. ავადმყოფობამ ნება არ მისცა პოლიევქტო კვიცარიძეს, რომ გაეგრძელებინა მისი საყვარელი საქმე და ის, ჯანლონე გამოღეული, იძულებული ხდება დაინებოს თავი სამსახურს, ჩამოცილდეს მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის მეტად საპატიოსნა და საყვარელ საქმეს. ამას გულის ტკივილითა და მწუხარებით აკეთებს ის 1902 წელს.

არა მარტო ქუთაისის საზოგადოებაში, არამედ მთელ საქართველოში პოლიევქტოს დიდი ავტორიტეტი და სიყვარული ჰქონდა მოპოვებული. მას განსაკუთრებით კარგად იცნობდნენ, როგორც ქართული ენის საუკეთესო მცოდნეს და საზოგადო მოღვაწეს.

არ იყო ქუთაისში არც ერთი საზოგადოებრივი საქმიანობა, რომლის დამაარსებელთაგანად და სულისჩამდგმელად პოლიევქტოც არ ყოფილიყოს. პოლიევქტო კვიცარიძის ინიციატივითა და ხელისშეწყობით დაარსდა ქუთაისში მეტად სიმპათიური და დიდად ნაყოფიერი საზოგადოება «წიგნების გამავრცელებელი ქუთათური ამხანაგობა». პოლიევქტო ამ საზოგადოების სარედაქციო კომისიის მუდმივი წევრი იყო. ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა ხალხში წიგნების გავრცელების საქმეში ამ საზოგადოებამ. მისი ნაყოფიერი მუშაობის შესახებ ბევრჯერ ყოფილა წერილები მოთავსებული ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

«წიგნების გამავრცელებელი ქუთათური ამხანაგობის საზოგადოება» პოლიევქტო კვიცარიძის პირმშოაო, ამბობდნენ ქუთაისში და ეს სრული სიმართლე იყო. პოლიევქტო კვიცარიძე წევრი იყო იმ ჯგუფისა, რომელმაც გამოსცა კრებული «ცდა». მასში მოთავსებული წერილების, ნარკვევების, მოთხრობა-ლექსების, რეცენზიებისა და მიმოხილვების გაცნობა გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ აღნიშნული კრებულის გამოცემით ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრება ქუთაისში საგრძნობლად წავიდა წინ.

უთუოდ ყურადღების ღირსია, კერძოდ, აღნიშნულ კრებულში მოთავსებული პ. კვიცარიძის ნარკვევი «ალექსანდრიანი» / პ. კვიცარიძე ნარკვევს შემდეგი სიტყვებით იწყებს: «გაგიგონიათ, მკითხველო, ძველი ქართული ხელთნაწერი წიგნი ამ სახელით „ალექსანდრიანი“?—არა მგონია, და თუ გაგიგონიათ, წაკითხული მაინც არ გექნებათ. წაკითხვა რომ მოგენდომებინა, ძნელი საშოვნელი იქნებოდა.—ერთი ცალი დაცულია წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავში, მაგრამ თავში სამი ფურცელი აკლია და ბოლოში კიდევ მეტი. მეორეც ე. მ. ხოშტარიას აქვს სამეგრელოში. მესამეც იქითგან გადმოღებული მე მაქვს. ეგებ კიდევ სადმე მოიპოვებოდეს, მაგრამ რათ გინდა? მსურველს ხელი არ მიუწვდება წასაკითხათ. დიდი მოთმინებაც ხომ უნდა ამოდენა ხელთნაწერის წაკითხვას. მაშ არ დამემღურები, რომ გაგაცნო ეს შუა სა-

უკუნოების დამახასიათებელი პოემა. შორითგან კი უნდა დავიწყო... („ცდა“, 1889 წ. № 1, გვ. 77).

„ალექსანდრიანი“, რომლის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა ერთობ ვრცლად გააკეთა პოლიევქტო კვიციარიძემ, საყურადღებო ნაწარმოებად არის აღიარებული. აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე არკვევს საგმირო-ზღაპრულ თავგადასავალს ალექსანდრე მაკედონელისას „ალექსანდრიანს“, ჩერდება ამ პოემის ქართულად მთარგმნელის ვინაობაზე და მის მიერ დასმულ კითხვაზე, თუ ვინ თარგმნა ის ქართულად,—თვითონვე ასე უპასუხებს: „ამ კითხვაზე პასუხს იძლევა მეორე ლექსითი რედაქცია, რომელსაც ეწოდება „ამბავი ძველმოსახსენებელი დიდისა და პატრიოსანისა კეთილის მოქმედისა კაცისა და ცათქვეშეთ მყრობელისა და მეფისა მაკედონელისა ალექსანდრესი,—შობისა და ცხოვრებისა და სიმ-ბხნისა მისისათვის“, დამყარებულია ახლახან დასახელებულ პროზაულ რედაქციაზე და წარმოადგენს, ნამდვილად რომ ვთქვათ, უკანასკნელის გალექსვას. ის შედგება 141 თავისა და 1921 სტროფისაგან და იწყება ასე: „ესე ამბავი ჩრდილოეთს რუს ქვეყანად იყო დებული: ეამთა სიგრძისა ძველქმნილთა ყოვლს ქვეყნად დავიწყებული, გადმოეთარგმნა ქართულად არჩილს ვინ იყო ქებული; მიბრძანეს ლექსად გამოეთქვი, მსმენელო იყავ შევებული“.

პოლიევქტო კვიციარიძეს, როგორც მკვლევარსა და ლიტერატორს: ბევრი წერილი აქვს მოთავსებული „დროებაში“, „იმედში“, „ივერიაში“ (ეჟურნალი), „თეატრში“, „ნობათში“ და სხვ.

ამ ეჟურნალ-გაზეთებში პოლიევქტო წერდა, სხვათა შორის, ლექსებსაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ლექსი „ყრმას“, რომელიც ავტორმა 1885 წლის № 3, 4, 5, გვ. 140 ეჟურნალ „ნობათში“ მოათავსა. აღნიშნული ლექსი გვაცნობს პ. კვიციარიძის შეხედულებებს მოზარდთაობაზე და იმ სულიერ სიფაქიზეს, რითაც ხასიათდება ის—მასწავლებელი და მწერალი. ავტორი წუხს, კაეშანი აწვება გულზე, რადგან ვერ ახერხებს, რომ უთხრას ბავშვს, რაც სურს, ვინაიდან ის ნორჩია, მცირეწლოვანია და ყველაფრის გაგება გაუჭირდება.—„აბა რა გითხრა მცირეწლოვანსაო“, მიმართავს ის პატარას, რომლის სიყრმეს ნორჩსა და ყვავილოვანსა კენესა-ხენეშანი მოსდევს, რადგანაც ქვეყნად ჯერ კიდევ ბლომად იმყოფებიან ბოროტი და დაუნდობელი ადამიანები.

ხალხში გავრცელებული ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგაა მიმართული პოლიევქტო კვიციარიძის ბალადა „ქაჯი“. ეს მეტად საყურადღებო ბალადა ავტორმა 1885 წლის № 3, 4, 5 ეჟურნალ „ნობათში“ მოათავსა. მძიმე შრომით დაღლილ-დაქანცული გლეხი მიდის საღამოს სახლში. გზაზე მას შემოაღამდება. გლეხს შიში იპყრობს, რადგანაც მან უნდა გაიაროს ის გზა და ლელე, სადაც „ქაჯებს“ მოელოდა შეშინებული, დამხმარედ უხმობს ყველა წმინდანს, მაგრამ... ვილაც ბანჯგვლიანი, ერთი ციდა ლოჯებიანი კრუნჩხვა-გრებით აედევნება მას და არ ცილ-

ღებმა. გლეხი ხედავს, რომ „ქაჯი“ ხან გამოჩნდება და ხან კიდევ მიიმა-  
ლებმა. ამ ტანჯვა-წამებაში რომ არის, მას უეცრად ეკალი მოედება  
კალთაზე. ძალზე შეშინებული ის რწმუნდება რომ „ბოროტი სული“  
ჩაეჭიდა და არ ეშვება.

ენა ჩავარდნილი

„გარბის ქშენითა, რაც აქვს ილაჯი,  
აბა, რა ექნა, თან მიდევს ქაჯი,  
და მაშინ მხოლოდ გაქრა მაცდური,  
რა გლეხს წინ დახვდა მისი სადგური.  
იგი შიგ შერბის ჯან-დაკარგული“.

თავზარდაცემული ცოლი ცივი ხმით შეკვივლებს ქმარს:

„რას შემოიჭერ? რა შევმთხვევია?  
უბედურება ხომ არ გწვევია?  
მაგრამ უენოს ხმა ვერ გაეცა,  
მუხლთ მოესერა, იქვე ჩაეცა“...

ვერ მოარჩინეს. ის მსხვერპლი გახდა უმეცრებისა და ცრუმორ-  
წმუნეობისაო, წერს პ. კვიციანიძე და ასე ამთავრებს ბალადას:

„ან რით არგებდნენ? თავი მოცული  
ცრუმორწმუნებით სიყრმითვე ჰქონდა  
და, გლეხს საგნებზე ცნობა ნამდვილი  
თუმცა ჰქონდა, თვით მიხვდებოდა,  
რომ ტვინი ჰქონდა ფიქრით ავსილი  
და თავისივე მსდევდა აჩრდილი“.

პოლიექტო კვიციანიძეს დიდი შრომა მიუძღვის ქართული ენის  
სწავლების გაუმჯობესების საქმეში. ვერც ერთი ჩვენი მეცნიერი—მკვლე-  
ვარი ენის დარგში გვერდს ვერ აუხვევს „ქართულ სწორმეტყველებას“  
რომელიც პ. კვიციანიძემ შეადგინა. ეს საყურადღებო ნაშრომი 1889  
წელს გამოიცა. „სწორმეტყველების“ გამოსვლას მიესალმა ცნობილი  
მწერალი და დიდი მოღვაწე გ. წერეთელი. იგი აღნიშნავდა, რომ  
პ. კვიციანიძის „სწორმეტყველება“ საფუძვლად დაედება ახალი ქართუ-  
ლი ენის შესწავლის საქმესო. „სწორმეტყველების“ გამოსვლას ჟურნალი  
„მეურნე“ რამოდენიმეჯერ განცხადებების გამოქვეყნებით გამოეხმაურა  
და იქვე დასძინა, რომ ამ სასარგებლო ნაშრომის გაცნობით ჩვენ ქარ-  
თული ენის წესებს შევისწავლით და ეს ფრიად დიდი სასარგებლო და  
საქირო იქნებაო.

პოლიექტოს — განზრახვის შესახებ, შეედგინა „სწორმეტყველე-  
ბიდან“ „ღრამატიკული თავთავები“, ჟურნალმა „მწყემსმა“ სიხარუ-  
ლით ასე აცნობა მკითხველ საზოგადოებას: „პ. კვიციანიძე აპირებს და-  
ბეჭვდას ერთი პაწაწა წიგნისას, რომლისთვისაც სახელად დაურქმევია  
„ღრამატიკული თავთავები“. ამ წიგნაკის შინაარსი გამოკრებილია თურ-

მე მისივე „სწორმეტყველებიდან“ და გამოსადეგი იქნება პატარებისათვის“.

1885 წლის № 28 ჟურნალ „თეატრში“ დ. დეკანოზიძე (დ. კარიკაშვილი) ვრცლად ეხება და არჩევს „სწორმეტყველებას“. დ. კარიკაშვილი საკმაო შენიშვნებს აძლევს პ. კვიციარიძეს, მაგრამ ამასთან ერთად ხაზს უსვამს, რომ ავტორის საკმაოდ კარგად აქვს გარჩეული სიტყვის აგებულება, ფესვი, თავსართი და ჩასართიო.

„სწორმეტყველება“ მერად ცუდად გამოიცა, რის გამოც ბევრჯერ გამოთქვა პრესამ თავისი აღილება, რომ ასე საჭირო და კარგად დაწერილ წიგნს ვერ გამოუჩნდა კარგი გამომცემელი.

კერძოდ ჟურნალი „მწყემსი“ (1888 წ. № 8—9, გვ. 9) წერს: „გამოვიდა ახალი წიგნი „ქართული სწორმეტყველება“, შედგენილი პ. კვიციარიძის მიერ. ეს წიგნი, როგორც თვით ავტორმა გვიამბო, ბევრი შეცდომით გამოუშვია გამომცემელს, რაისა გამო ავტორი აპირებს ხელახლად ამ წიგნის გამოცემას“.

პ. კვიციარიძე „ქართული სწორმეტყველების“ გამოქვეყნებამდე ზოგიერთი საკითხების გამოსარკვევად და დასაზუსტებლად წერილით გამოვიდა გაზეთ „დროებაში“... მე შევადგინე მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოდ ქართული გრამატიკა. მაგრამ, სანამ თვითონ წიგნს გამოეცემდე, გარდაწვევიტე წინდაწინვე გამოევაქვეყნო ჩემ მიერ ნახმარი თერმინოლოგია დაწვრილებითი სარკვევის დაბეჭდვით. აქ ისიც ცხადად ხჩანს, თუ რა უარმიყვია, რა მომიწონებია და რა ახალი შემომიტინია. ამით მცოდნე პირნი და ნამეტურ ქართული ენის მასწავლებლნი ზნეობითად ვალდებულნი ხდებიან, რომ ამაზე ასე თუ ისე ხმა გაიღონ საზოგადო ორგანოში.

შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთი პირნი, რომელთაც საჭიროდ არ მიიჩნიონ ამაზედ საკვეყნოდ წერილების ბეჭდვა საზოგადო ორგანოში, იგებ იმიტომ, რომ ცოტა რამ აქვთ სათქმელი და საკამათო ჩემთან; აი, იმისთანა პირთ უმორჩილესად ვსთხოვ პირდაპირ ჩემთან იქონიონ მიწერმოწერა (ადრესი: ქუთაისი, სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს პოლ. კვიციარიძეს) და მზად ვარ პასუხი მივუგო თუნდ კერძოდ, თუნდ გაზეთისავე საშუალებით. ანარადა ყოველივე მათი მონაწერი სახეში მიღებული იქნებიან იმ კერძო კრებაზე, რომელიც მოკლე დროში უნდა მოხდეს ქუთაისში ქართულ საგრამატიკო თერმინოლოგიის შესამუშავებლად.

აი ის სარკვევიცა, ზემოდ რომ მოგახსენებდით:

შესავალი

საგანი. საგანი გრძნობითი და განყენებითი. ნიშნეულობა საგნისა. ნიშნეულობა არსებითი და შემთხვევითი...

ნაწილი პირველი

სიტყვათა წარმოება. შენადგენობა სიტყვისა. ბგერა ხმანი. ანბანი...

ნაწილი მეორე  
სიტყვათა თხზულება

1.

ფიქრი და მსჯელობა. ჩვეულებრივი და საუკეთესო საშუალება მის განოსახატავად. წინადადება. მთავარნი წვერნი წინადადებისა: ქვემდებარე და შემასმენელი. განმარტებითი სიტყვები. მოკლე და ვრცელი წინადადება...“

ყოფილი მოსწავლენი მაღალ შეფასებას აძლევენ პოლიექტოს როგორც მასწავლებელს.

აწ განსვენებული ცნობილი პედაგოგი და მწერალი დ. თომაშვილი სიყვარულით იგონებს პოლიექტო კვიცარიძეს და დაწვრილებით გვიამბობს, თუ როგორი პატივისცემით სარგებლობდა ის მოსწავლეებში. მოგონების ავტორი მოგვითხრობს თუ როგორ აყვარებდა ის პატარებს ქართულ ენას, ქართულ დამწერლობას და რა ხერხებს მიმართავდა, რომ ბავშვებიც დაწაფებოდნენ მშობლიურ ლიტერატურას. პოლიექტო კვიცარიძე ისე გვიყვარდაო, წერს დ. თომაშვილი, რომ მას, უბრალოდ პოლიას ვეძახდით და ყოველთვის მასთან ყოფნა გვინდოდაო.

არას დროს არ უნახავს მოსწავლეებს პოლიექტო, რომ ის ხელცარიელი მისულიყოს სკოლაში და რომელიმე ქართული წიგნი არ მიეტანოს. საყვარელი მასწავლებელი კარგად გრძნობდა, რომ ასეთი მოქმედება მას იაფად არ დაუჯდებოდა, უფროსებს რომ შეემჩნიათ, და ამისათვის იყო ერთგვარ ხერხსაც მიმართავდა, რომ ქართული წიგნის კიოხვის დროს მოსწავლეებიც არ ჩავარდნილიყვნენ ხიფათში.

დ. თომაშვილის მოგონებაში ერთი ადგილი ასე იკითხება: „პოლიას გაკვეთილებზე მოჰქონდა სხვადასხვა ქართული წიგნი. გადაგვაშლევინებდა „დავითის“ და ჩვენ კი ხან „ცდას“ ვკითხულობდით და ხან „ივერიას“ და ასე. „დავითის“ გადაშლა საჭირო იყო, თუ ვინიცობაა „სმოტრიტლის“ ქროლა თვალები მოულოდნელად შემოანათებდა“...“

მოგონების ავტორის გადმოცემით ის ისე ხსნიდა კლასში გაკვეთილს და ისე მიიტანდა მას მოსწავლეებამდე, რომ მათი უმრავლესობა ახსნილ მასალას სკოლაშივე სწავლობდა.

შეამჩნევდა თუ არა პოლიექტო მოსწავლეს, რომ ის შეუძლოდ იყო, მივიდოდა ნასთან, მიუალერსებდა, მოეფერებოდა, გამოკითხავდა-ზოგიერთ რამეებს და ექიმთან წაიყვანდა.

— პოლიას რომ ველაპარაკებოდით, გვეგონა მშობლებთან ვიყავით და მათთან ვსაუბრობდითო, ამბობენ მისი ყოფილი მოსწავლეები და იქვე უმატებენ: თუ გინდა კარგი და საყვარელი მასწავლებელი იყო, ისე უნდა გიყვარდეს მოსწავლეები, როგორც ჩვენ პოლიექტო კვიცარიძეს ვუყვარდითო.



## ანასტასია თუმანიშვილი-ნეკუთელისა (1849—1932)

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა ეკუთვნის ქართველ მოღვაწე ქალთა იმ მოწინავე ჯგუფს, რომელსაც ამშვენებდნენ ეკ. გაბაშვილი, კეკე მესხი, ნინო ორბელიანი, მარ. ვ. ორბელიანი, ოლგა გურამიშვილი-ნიკოლაძისა, ოლღა ქავჭავაძე, კატო და ანიკო ნიკოლაძეები, ელ. ყიფიანი-ლორთქიფანიძისა, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია და მომღვენო თაობის სხვა მოღვაწენი, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ქალთა სასარგებლო შრომასა და მონაწილეობას კულტურულ-საგანმანათლებლო-სააღმზრდელი და სხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ანასტასია თუმანიშვილი დაიბადა თბილისში 1849 წლის 25 აგვისტოს (6 სექტემბერს) ქართულ მწერლობაში კარგად ცნობილი მიხეილ ბირთველის-ძე თუმანიშვილის (1818—1875) ოჯახში. მრავალი წყაროებით და პერიოდული პრესის ფურცლებზე გაფანტული მასალებით ცნობილია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობრის—პოეტისა და პუბლიცისტის მიხ. თუმანიშვილის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ დიმი. ყიფიანი,

გ. ერისთავი, ნიკ. ბარათაშვილი, ვ. ორბელიანი, ზ. ფალავანდიშვილი, ლევან მელიქიშვილი, ი. ანდრონიკაშვილი, დიმ. ბაქრაძე და სხვ. როგორც სხვადასხვა წყაროებიდან ჩანს, მათი შეკრებისა და მსჯელობის უმთავრესი საგანი იყო „ქართლის ბედი“, ქართველი ხალხის ცხოვრება და ქართული ლიტერატურა.

ამგვარს ატმოსფეროსა და წრეში იზრდებოდა ანასტასია. 1858 წ. 16(28) თებერვალს შეიძინა ხევიარი წლის ანასტასია მშობლებმა მადამ ფავრის პანსიონში მიაბარეს. მაშინდელს თბილისში მადამ ფავრის პანსიონი ერთადერთი იყო, სადაც ქართულ ენას ასწავლიდნენ. თვით ეს „მადამ ფავრი“ უფროსი ქალი იყო გურიაში ცნობილი მეზალის იაკობ მარისა, რომელიც საბოლოოდ სოფ. დაბლა-ციხეში (ამჟამად ჩოხატაურის რაიონი) დასახლდა და შვილებიც ქართულად აღზარდა. მადამ ფავრის პანსიონში გარდა რუსი პედაგოგებისა ასწავლიდნენ ცნობილი ქართველი პედაგოგებიც, მაგალითად: ალ. ცაგარელი, ნ. დედაბრიშვილი, ნ. ინაშვილი და სხვ. ამავე პანსიონში მიიღო აგრეთვე განათლება მეორე ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა ქალმა ეკატერინე გაბაშვილმა.

პანსიონის დასრულების შემდეგ ანასტასია მიაბარეს კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში, რომლის სრული კურსი დაასრულა 1865 წლის 13 ივნისს.

მთელ რუსეთში სახელგანთქმული მეცნიერის ივ. რ. თარხნიშვილის თბილისში წაკითხულმა ლექციებმა ანასტასია თუმანიშვილს ახალი ჰორიზონტი და პერსპექტივა გადუშალა. ამას დაერთო ისიც, რომ ამ ლექციების გავლენით გატაცებული ახალგაზრდა ქართველი ქალები ოლგა გურამიშვილი, კეკე მელიქიშვილი და სხვ. საზღვარგარეთ, შვეიცარიაში გაემგზავრნენ უმაღლესი განათლების მისაღებად და მოკალათდნენ ქ. ციურიხში, რომელიც იმ ხანებში რუსეთისა და ევროპის ემიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული და ტრადიციული თავშესაფარი იყო.

1876 წელს ანასტასია თუმანიშვილიც ესტუმრა თავისი საყვარელი მწერლისა და მოაზროვნის ჟან-ჟაკ რუსოს სამშობლოს. ის იქ გაეცნო პესტალოცის მეთოდებზე დამყარებულ ბავშვთა აღზრდას, ახალ პედაგოგიურ იდეებს, სკოლების მუშაობას როგორც შვეიცარიაში, ისე საფრანგეთში, აითვისა ის, რაც იმ დროისათვის მოწინავე, ახალი და სასარგებლო იყო, მოინახულა პარიზი, ენენვა, ციურიხი, იქ მყოფი ქართველები და სამშობლოში დაბრუნდა.

თბილისში დაბრუნებისთანავე ანასტასია მთელი თავისი შესაძლებლობით ჩაება კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობაში. მას ჯერ კიდევ 1876 წელს ჰქონდა „დროების“ (№ 76) ფურცლებზე გამოქვეყნებული თარგმანი ალფ. დოდეს მოთხრობისა „მარშლის გულმტკიცუნეულება“. 1879 წ. ქართველ ქალთა მიერ ქუთაისში გამოცემულ იქნა



ვალტერ სკოტის „ჰირლანდელი ქვრივი, თარგმნილი ფრანგულიდან ანასტასია თუმანიშვილის მიერ.

1881—1884 წლებში გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა ანასტასიას ორიგინალური მოთხრობებისა და სტატიების მთელი წყება. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: „მოლოდინი“ (სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან), „ნუკა“ (სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან), „ინსტიტუტკას დღიური“, „სოფელი ხელთუბანი“ (ეხება სკოლის გახსნას), „საზოგადოების საყურადღებოდ“ (მასწავლებელთა და აღმზრდელ ქალთა დამხმარე საზოგადოების შექმნის განზრახვა), „ქალების პროფესიონალური ხელსაქმის სკოლა თბილისში“, „მამის მსხვერპლი“ (მოთხრობა), ეურნალ „ივერიაში“ დაიბეჭდა მისივე ორიგინალური „რძალ-მული“ და სხვ.

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ცალკე გამოცემულ საბავშვო წიგნებიდან აღვნიშნავთ ორიგინალურ და თარგმნილ წიგნებს:—„მოლალურს“, „ხუთ ამბავს“, „ხატაურს“, „რობინზონ კრუზოს“, „თეთრსა და ზანგს“, „ტახტის მექვიდრე და მათხოვარს“, „ცხოველების გამკრიახობას“, „საბავშვო თეატრს“ და ა. შ. (მანვე გადმოთარგმნა ფრანგულიდან ლეზიშის კომედიები: „თვალთმაქცობა“, „ჯერ თავო და თავო და მერე ცოლო და შვილო“). ამ წიგნებს თავის დროზე მრავალრიცხოვანი მკითხველი ჰყავდა. მათი ავტორი თუ მთარგმნელი საზოგადოებისა და მოზარდი თაობის გარკვეულ ყურადღებასა და სიყვარულს იმსახურებდა.

ანასტასიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუშაობაში. ეკ. გაბაშვილი და ანასტასია თუმანიშვილი ის ქართველი ქალები იყვნენ, რომელნიც პირველ დაარსებიდანვე ჩაებნენ ამ საზოგადოების საქმიანობაში. ანასტასია მრავალი წლის განმავლობაში იყო მისი გამგეობის წევრი და ერთ-ერთი აქტიური მუშაკი. მან საკუთარი უნარითა და შრომით მოახერხა თავის მშობლიურ სოფელ ხელთუბანში, გორის მახლობლად 1884 წელს დაეარსებინა დაწყებითი სკოლა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მფარველობაში. ვინ მოსთვლის თუ რამდენი ბრძოლა და დავიდარაბა დასჭირდა წლების მანძილზე 32 წლის ახალგაზრდა ქალს ადგილობრივ ბოზოლებთან, მამასახლის-ხუცებთან და სოფლის სხვა წურბელებთან, რომ ამ სკოლისათვის შესაფერი შენობა იეგო, რათა აქ ლაირბი გლეხის ბავშვებს ესწავლათ.

პირველ ხანებში ეს სკოლა დროებით თვით თუმანიშვილების სახლში იყო მოთავსებული. აქვე მოხდა მისი საზეიმოდ გახსნა 1884 წლის 1 ოქტომბერს. როგორც თვითონ ანასტასია მოგვითხრობს, სკოლის გახსნა საზეიმო ვითარებაში მომხდარა, რომელსაც დასწრებია აკაკი წერეთელი, ნიკო დიასამიძე, პოეტი იოსებ დავითაშვილი, რომელმაც მიართვა სკოლას თავისი ხელით გაკეთებული საბაზავები. ეს დღე მაშინდელ გაზეთებშიაც აღინიშნა. ანასტასიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ ამ ბრძოლაში ასე ბრწყინვალედ გაიმარჯვა და საკუთარი შრომით სოფელს სკოლა შეუქმნა.

ამის შემდეგ საჭირო იყო სკოლისათვის სპეციალური შენობის აგება. როგორც აღვნიშნეთ, აქაც დიდი დაბრკოლება იყო გადასალახავი. „აშენებას დიდი ძალღონე მოუნდა,—მოგვითხრობს ანასტასია ერთს თავის მოგონებაში, რომელსაც ჰქვია „ხელთუბნის სკოლის ამბავი“,—ყველას ველრიგებოდი და ვისაც მოვატანინებდი, უსათუოდ საუკეთესოს თვითონ მიმალავდნენ, ქვიშის და ქვის მოსატანად ფარაჯები უნდა მეყიდნა. საძირკვლის მოსათხრელად ღვინო უნდა დამეღვინებინა. კალატოზი, რომელსაც ფული წინდაწინ მიღებული ჰქონდა—უცბად მოკვდა. მაგრამ სახლის აგება მაინც მოვათავე და სკოლა იქ გადმოვიტანეთ“ (საქართველოს სახ. მუზეუმი, 9—451).

შემდეგ, როგორც ცნობილია, „ამ სკოლაში ანასტასიამ მასწავლებლად მოიწვია გორის საოსტატო სემინარიის კურსდამსრულებული, ნიკიერი პოეტი და ბელეტრისტი, უბაღლო საბავშვო მწერალი თედო რაზიკაშვილი, რომელიც სიკვდილამდე არ გასცილებია ღირსეული ქართველი ქალის ამ დიდ ნაამაგარს და არც სკოლა მოჰკლებია მისი დამაარსებლის მუღმივ ზრუნვას. სხვათა შორის დიდი უბედურება დაატყდა ამ სკოლას 1905 წელს. მისი მასწავლებელი თედო რაზიკაშვილი რევოლუციური პროპაგანდისათვის დააპატიმრეს, შიგ კაზაკთა დამსჯელი რაზმები ჩააყენეს და შენობა და ეზო ერთბაშად ააოხრეს და გააჩანაგეს, მაგრამ ანასტასიას დაუღალავმა თავგამოდებამ იგი კვლავ აღადგინა და თავისი საყვარელი მასწავლებელიც დაუბრუნა მას.

ანასტასია ყოველთვის იჩენდა განათლების საქმისადმი დიდ ინტერესს. 1883 წელს ერთმა მასწავლებელმა ქალმა ნივთიერად აუტანელი პირობებისა გამო თავი მოიკლა. ამას მოჰყვა ანასტასიას წერილი გაზეთ „დროებაში“ (№ 225) სათაურით: „საზოგადოების საყურადღებოდ“, სიდაც გაშუქებულია იმდროინდელი მშრომელი ქალების მძიმე მდგომარეობა როგორც მატერიალურად, ისე მორალურად. ამ სტატიაში ანასტასია წერდა: „რა საშუალებით შეიძლება მშრომელ ქალს ხელი ისე გავუშართოთ, რომ ერთი ორი თვე შეეძლოს თავის დარჩენა, ვიდრე შრომის ნახევარ ფასს მაინც შეაძლებენ? ავადმყოფობის დროს და გაჭირვებაში როგორ იშოვოს იმან სესხით ფული ცოტა ხნობით მაინც, როგორ გაუადვილონ საზოგადოებას მასწავლებლის შოვნა და მასწავლებლებს გაკვეთილებისა, რომ ორივე მხარე კმაყოფილი დარჩეს და არ მოუნდეთ კარდაკარ სიარული?!“.

ანასტასიას ამ მოწოდებას ის მოჰყვა, რომ 1886 წელს ოფიციალურად ჩამოყალიბდა ე. წ. „მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარედ 33 წლის განმავლობაში, ე. ი. მის დახურვამდე, იყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. ეს საზოგადოება შემდეგში ისე გაიშალა და გაფართოვდა, რომ მასში მასწავლებლების გარდა სხვა პროფესიის ქალებიც ჩაებნენ. საზოგადოება გარდა ნივთიერისა, იდეურ დახმარებასაც უწევდა მშრო-

მელ ქალებს: აწყობდა ლექციებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ თემებზე, მართავდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, საკვირაო და სამაგალითო სკოლებს, საბავშვო სამკითხველოებს და სხვ. 1893 წ. „მასწავლებელ ქალთა საზოგადოების“ მიერ დაარსებული სამაგალითო სკოლა თბილისში იმდენად პოპულარული დაწესებულება იყო, რომ ერთ ხანობაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც არსებობდა... მაგრამ ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის საზოგადოებრივი, მისი ლიტერატურული და პედაგოგიური მოღვაწეობის ნამდვილი გვირგვინი, მისი დაუცბრომელი შრომითა და ძალღონით შექმნილი საბავშვო ეურნალია, მისი „ჯეჯილი“—ხატოვანად რომ ითქვას, მისი პირმშოა, რომელმაც უკედღვეყო ანასტასიას სახელი ქართული ლიტერატურისა და ეურნალისტიკის ისტორიაში.

საქართველოში საბავშვო ეურნალის გამოცემის ისტორია იწყება ანდრია ლულაძის ყოველთვიური ეურნალ „ნობათით“, რომელიც 1883—85 წლებში გამოდიოდა. ანასტასია თუმანიშვილი ამ ეურნალის გამოცემას აღფრთოვანებული მიეგება და მასში თანამშრომლობა დაიწყო. მაგრამ ეურნალმა უსახსრობისა გამო სულ ორნახევარი წელიწადი იარსება. დრო და პირობები ამგვარი ხასიათის გამოცემის არსებობისათვის საკმაოდ იყო მომწიფებული—საკირო იყო საქმის მოყვარული და პრაქტიკულად მოქმედი ადამიანი, რომელიც ამ დიდ საქმეს იკისრებდა, რომელიც „აქამდის თოვლის ქვეშ დაფარულ-დამალულ“ ჯეჯილს ააბიბინებდა. ამგვარი ადამიანიც გამოჩნდა. ეს იყო ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი.

იმ ხანებში ახალი პერიოდული ორგანოს დაარსება, და ისიც ქართულ ენაზე, დაკავშირებული იყო დიდ სიძნელებთან, გმირობასა და გამბედაობასთან. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი 1882—1892 წლებში, ალექსანდრე II მკვლელობის შემდეგ რეაქცია ფართოდ შლიდა ფრთებს. „ჯეჯილის“ გამოცემაც სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა. დიდი ბრძოლის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს 1889 წ. 3 (15) ოქტომბერს ანასტასიამ მიიღო საბავშვო ეურნალ „ჯეჯილის“ ყოველ ორ თვეში გამოცემის ნებართვა. შინაგან საქმეთა მინისტრი პლევეს მიერ დამტკიცებული „ჯეჯილის“ პროგრამაში ჩამოთვლილი იყო ის დარგები და განყოფილებანი, რაც ამ ეურნალში უნდა ყოფილიყო: I. მოთხრობები, ამბები, ზღაპრები, მოგზაურობა, ბიოგრაფიები, პოემები, ეტიუდები, II. ლექსები, III. მეცნიერება და ხელოვნება, IV. ნარევი, V. წვრილმანი, VI. საბავშვო, პედაგოგიკური, საჰიდრაკო და სხვ. თამაშობანი, რებუსები, მათემატიკური ამოცანები, ანეგდოტები, გამოცანები, იგავები, ანდაზები, VII. ილუსტრაციები, VIII. სიმღერები ნოტებით, პასუხები და განცხადებანი.

როგორც ვხედავთ, პროგრამა ეურნალისა საკმაოდ ფართო მოცულობისაა. საკირო იყო ამ პროგრამის განხორციელება. ანასტასია დაუ-

კავშირდა ინტელიგენციის მოწინავე და საუკეთესო ნაწილს. ბევრი მათგანი აღფრთოვანებით მიეგება ახალდაბადებული ჟურნალის უვლასათვის სასურველ რედაქტორ-გამომცემელს, პირველ სარედაქციო თათბირზე დამსწრეთა შორის იყვნენ: იაკობ გოგებაშვილი, ეკ. მესხი, ეკ. გაბაშვილი, დიმ. ბაქრაძე, ვახ. ორბელიანი, ოლღა ქავჭავაძისა, რომელიც დაჰპირდა ანასტასიას, რომ ილიას მიალებინებდა მონაწილეობას ჟურნალის პირველ ნომერში. ეს დაპირებაც გამართლდა. ამ ნომერში დაიბეჭდა პირველად ილიას ცნობილი ლექსი „ბაზალეთის ტბა“. ჟურნალის სახელწოდებაშიაც, ჯერ კიდევ სანამ თხოვნას მიართმევდა მთავრობას, ანასტასიას ჰქონდა ერთგვარი კონსულტაცია გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან, რომლებმაც მხარი დაუჭირეს იაკობ გოგებაშვილის წინადადებას მომავალ საყმაწვილო ჟურნალს „ჯეჯილი“ დარქმეოდა.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ჟურნალი „ჯეჯილის“ ეპიგრაფად, მის მუდმივ დამამშვენებელ სამკაულად, რომელიც ერთგვარი სიმბოლოც იყო მოზარდი თაობის აღზრდისა, დაირჩიეს სტრიქონები გლეხი პოეტის ი. დავითაშვილის ცნობილ ლექსიდან „ჯეჯილი“:

„იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო.“

არსებობს გადმოცემა, რომ ეპიგრაფის არჩევანი აკაკი წერეთელს ეკუთვნისო. ჟურნალის პირველი ნომერი მეტად მრავალფეროვანი, შინაარსიანი იყო და ტექნიკურადაც ლამაზად; გაფორმებული. მის გვერდებს ამშვენებდა ისეთი სახელები, როგორიცაა ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ვ. ორბელიანი, რ. ერისთავი, ი. გოგებაშვილი, ეკ. გაბაშვილი, შიო მღვიმელი; მათ მისდევდა ი. მანსვეტაშვილი, ალ. ჭიჭინაძე, ეფროს. ჭიჭინაძე და სხვა მწერლები და ლიტერატორები.

„ჯეჯილის“ ამ პირველმა ნომერმა იმ პერიოდის მოწინავე ქართულ და რუსულ პრესაში („ივერია“, „ნოვოე ობოზრენიე“, „ტიფლისკი ლისტოკ“) მაღალი შეფასება მიიღო. იგი პირველ ხანებში (190—96) ორ თვეში ერთი ნომერი გამოდიოდა, მაგრამ როცა მომძლავრდა მისი ეკონომიური ბაზა, ჟურნალის ავტორიტეტი და მოთხოვნილება გაიზარდა. მან ყოველთვიურად იწყო გამოსვლა. იმავე ხანებში მოხდა ჩვენი სახელოვანი ბელეტრისტის გიორგი წერეთლისა და ანასტასიას დაახლოება, რაც მათი შეუღლებით დამთავრდა. ეს დამეგობრებაც გახდა ერთ-ერთი ფაქტორი „ჯეჯილის“ გამოცემის გაძლიერებისა და მის გარშემო მეტად ნაყოფიერი, საქმის მოყვარული და ავტორიტეტული მწერლების შემოკრებისა.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გ. წერეთლისა და ანასტასიას შეერთებული ძალონით მოხერხდა 1893 წლიდან ყოველკვირეული ილუსტრირებული ჟურნალი „კვალის“ გამოცემა, რომელიც შემდეგ შესამე დასელების უმრავლესობის ორგანოდ იქცა და რომელმაც მარ-

თლაც თვალსაჩინო და საგულისხმო კვალი გააელო 90-ნი და 900-იანი წლების ქართული აზროვნების ისტორიაში. ამ ახალი ეურნალის რედაქტორ-გამომცემელიც ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა იყო. მართალია „კვალი“ პირველ ხანებში „ჯეჯილის“ დამატებად იყო გამოცხადებული, მაგრამ საცენზურო კომიტეტი მიხვდა რედაქტორების თანდებს. როგორც წესი მოითხოვდა, ყოველკვირეული ორგანო „კვალის“ დამატებად ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი“ აქციეს. ეს კი „ჯეჯილისათვის“ კინალამ საბედისწერო შეიქმნა. გიორგის გარდაცვალების შემდეგ, როცა ანასტასია მთელი თავისი ძალღონით ცდილობდა ორივე ჟურნალის წესიერად გამოცემას, მესამე დისელების ორგანო „კვალი“, როგორც „არასისურველი მიმართულების“ ორგანო, შინაგან საქმეთა სამინისტროს 1904 წლის 3 თებერვლის განკარგულებით დახურულ იქნა, რაც დეპეშით ეცნობა ჟურნალების გამომცემელსა და რედაქტორს.

ანასტასია სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ამ ამბავმა. იგი ნათლად გრძნობდა, რომ საცენზურო კომიტეტის წესდების 148 მუხლის თანახმად, ე. ი. „მეფის ხელისუფლებისათვის მავნე აზრების მქადაგებელი“ ორგანოს აღდგენაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

მაგრამ „ჯეჯილი“!.. ეს მისი პირშეშო, საკუთარი შრომითა და განუწყვეტელი მზრუნველობით გამოზრდილი, უკვე საკმაოდ აღაღანებული ჯეჯილი, რომლითაც 14 წელიწადი ხარობდა და იკვებებოდა ნორჩი გონება ქართველი ბავშვებისა, როგორც დამატება „კვალს“ უნდა გაჰყოლოდა უკვალოდ. მართლაც, კვალის დახურვასთან ერთად „ჯეჯილის“ დახურვაც იყო გათვალისწინებული მთავრობის განკარგულებაში. დაიწყო დიუცბრომელი ბრძოლა და საქმის წარმოება „ჯეჯილის“ კვლავ აღსადგენად. ანასტასია უმტკიცებდა მთავრობას, რომ „ჯეჯილი“ კი არ იყო „კვალის“ დამატება, არამედ, პირიქით, „ჯეჯილი“ როგორც საყმაწვილო ჟურნალი გარკვეული პროგრამით გაცილებით უფრო აღრიდანვე გამოდიოდა და სხვ.

ამ ამბებითა და დავით გაწვალებული და ქანცმილეული ანასტასია წერდა თედო რაზიკაშვილს: „გთხოვთ არ დაიფიწყოთ სკოლის (იგულისხმება ანასტასიას მიერ დაარსებული ხელთუბნის სკოლა—ს. ც.) ერთგულება. ხომ ხედავთ, რომ მე სკოლას დედინაცვლად ვეკიდები, ცხოვრების ვარამმა გამიტაცა... ჯეჯილის საქმეზე ისე გაწვალებული ვარ, რომ, მგონი, აღარ გამოვდგე სამუშაოდ. ის არაწმინდები საშინლად მაწვალებენ. აქამდის არც ჰოს ამბობენ, არც არას, ახლა პეტერბურგიდან მომივიდა ამბავი, რომ ამ ცოტა ხანში ყველაფერი კარგად მოეწყობა. ამან ცოტა გამაცოცხლა, უნდა მთლად ჩემი ენერჯია მოვიკრიბო. მომიხდება თვეში ორ-ორი წიგნის გამოცემა, რომ ხელისმომწერლებთან, რომელნიც მცირე არიან, პირნათლად გამოვიდე და იანვარში ისევე ჩვეულებრივ მივცე ყმაწვილებს „ჯეჯილი“. აქედან აშკარად დაინახავ, რომ ჩემთვის რა ძვირფასნი არიან ისინი, ვინც მომაწოდებს

მასალას და ამით გამოადვილებს ამ ძნელ საქმეს—სანამ თვალები ღია მაქვს გაუძღვე“ (1904 წ. 16 სექტ. პუბლიკაცია ს. ყუბანეიშვილისა).

ანასტასიას დაუცხრომელმა ბრძოლამ გასკრა. ამის შესახებ მისი მეგობარი და თანამშრომელი სოფიო ციციშვილი აცნობებდა თედო რაზიკაშვილს: „ძნაო თედო, ვიცი სასიამოვნოდ გეკნებათ: ანასტასიას წუხელის ტელეგრამა მოუვიდა ნ. ნიკოლაძისაგან, რომ „ჯეჯილის“ გამოცემის ნებართვა მოგევა, საქმე გათავდაო“... მართლაც, ბექდვითი საქმის მთავარმა სამმართველომ 1904 წ. 23 სექტემბერს აცნობა ანასტასიას „ჯეჯილის“ განახლების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი, რაც ანასტასიას საოცარ შრომისმოყვარეობასა და საზოგადოებრივი საქმიანობით გატაცებაზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ „კვალი-ჯეჯილის“ დაკეტვის შემდეგ ის მთელი ექვსი თვე იბრძოდა „ჯეჯილის“ აღსადგენად და ნერვიულობდა, საზოგადო საქმიანობას არ მოწყვეტია. ეკ. შესხთან, ალექსანდრე სარაჯიშვილთან, სალომე მალალაშვილთან, სეთ იაშვილთან და ნიკოლოზ ავალიშვილთან ერთად ანასტასიამ ჩამოაყალიბა ქართული პოპულარული და საბავშვო წიგნების გამომცემლობა ამხანაგობა „სხივი“. ამხანაგობა წლების მანძილზე ნაყოფიერად მუშაობდა და საუკეთესო წიგნების მთელი სერია გამოსცა.

ეურნალი „ჯეჯილის“ დაარსების 10 წლისთავზე ანასტასია მიმართავდა თავის მკითხველებს: „ათი წელიწადი შესრულდა, რაც მე ეურნალ „ჯეჯილს“ გაწვდით საკითხავად. მე და ჩემი თანამშრომლები ვცდილობდით, რომ თქვენ დედა-ენაზე წერა-კითხვა ვესწავლათ და დედ-მამის და და-ძმების და სამშობლოს სიყვარული ჩაგნერგოდათ გულში“... ეს ცდა ძირითადად გამართლებული იყო. „ჯეჯილის“, როლი თავის დროზე დიდი იყო. მან შექმნა ტრადიცია საბავშვო პერიოდული პრესისა, ასე რომ უიმისობა უკვე წარმოუდგენელი იყო. „ჯეჯილის“ მიერ მოტანილი ნაყოფი აშკარად ჩანდა.

კიდევ ათი წელიწადი გავიდა და 1910 წ. „ჯეჯილის“ დაარსების 20 წლისთავი აღინიშნა. ამავდარი რედაქტორი თავის მკითხველებსა და საზოგადოებას ახლაც ასეთი სიტყვებით მიმართავდა: „...სულით და გულით ვემსახურებოდი ამ საქმეს და ვცდილობდი აღმესრულებინა დიმიტრის (იგულისხმება დ. ბაქრაძის მიერ გამოთქმული სურვილი დაარსების დღეს) წინასწარმეტყველება. როდესაც ვხედავ, ჩემო პატარა მეგობრებო, რომ „ჯეჯილს“ ხალისით კითხულობთ, გიყვართ და იმას მოაქვს თქვენთვის სარგებლობა,—მეც თქვენთან ერთად ვხარობ“...

აკაკი წერეთელმა მალალი შეფასება მისცა ეურნალ „ჯეჯილს“. მისი დაარსების ათი წლისთავის გამო დაწერილ პატარა წერილში ის აღნიშნავდა, რომ „არც ერთი ყოველთვიური ან დროგამოშვებით გამოცემა არ ყოფილა ჩვენში ისე სათანაგრძნობო ჩემთვის, როგორც ეს პატარა ეურნალი. უნაკლულო ქვეყნად არა არის რა, მაგრამ ის არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს საყმაწვილო ეურნალი უხვიროდ გამოდიოდა“... („ჯეჯილი“, 1899, № 12).

აკაკი მართალი იყო. პატარებისა და მათი მშობლების საყვარელ ჟურნალს ნაკლიც ახლდა. ეს ის, რომ იგი თანმიმდევრულად და ამომწურავად ვერ პასუხობდა დროის მოთხოვნილებას, ვერ ასახავდა სისრულით ყოველდღიურ საზოგადოებრივ მოვლენებსა და ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზიც იმ კრიტიკისა, რომელიც ცნობილმა პედაგოგმა ლ. ბოცვაძემ რამდენიმე ფელეტონად გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“ 1898 წელს. „ჯეჯილის“ ნომრები გააკრიტიკეს აგრეთვე ნ. ნიკოლაძემ, ი. ჯაბადარმა და სხვ. მაგრამ ამგვარი გარჩევა და კრიტიკა „ჯეჯილის“ მუშაობას კიდევ უფრო აჯანსაღებდა. მისი რედაქტორი კიდევ უფრო მხნედ ეკიდებოდა ამ დიდ ეროვნულ საქმეს.

ანასტასიამ თავის „ჯეჯილს“ მესამე ათეული წლისთავიც გადაუხადა. ეს იყო ერთგვარი ვრცელი ანგარიში არა მარტო ჟურნალის დიდი დამსახურებისა ქართველი ხალხის წინაშე, არამედ თვით მისი რედაქტორის დიდი ამაჯის შეჯამებაც. უთუოდ მოხდენილი იყო ამ შემთხვევისათვის თქმული შიო მღვიმელის ლექსი, რომლის დასაწყისშივე მიმართავდა პოეტი ამაგდარ მანდილოსანსა და მის ჟურნალს:

„ოცდაათი წელიწადი თავს ევლები ჩვენს ყმაწვილებს,

ისე ზრდი და უსათუთებ როგორც დედა პირმშო შვილებს“...

ამ პირმშოებისა და საერთოდ ახალი თაობის აღზრდას მოახმარა ანასტასიამ მთელი თავისი ენერჯია. ტყუილად კი არ ეძახდა ნიკო ნიკოლაძე ანასტასია წერეთელს მეორე იაკობ გოგებაშვილს, ან კიდევ ოხუნჯობით — გოგებაშვილს კაბაში. მართლაც, იმდროინდელს საქართველოში ანასტასია წერეთლისა იაკობ გოგებაშვილის შემდეგ მეორე პიროვნება იყო, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე სწავლა-აღზრდის გავრცელებას, სახალხო განათლებისა და საბავშვო მწერლობის აღორძინებას შეაღია.

ანასტასიას დიდი ამაგი მიუძღვის აგრეთვე საბავშვო ბიბლიოთეკასამკვიდრელოებისადმი, რომელთა გავრცელება დაიწყო 1891 წლიდან თბილისის მუშათა უბნებში (კუკიაში, აელაბარში, ვერაზე და სხ.).

ანასტასიას ენერჯიული მოქმედებით და მისი მეგობარი ქალების (ეკ. მესხის, ვ. მიქაბერიძის, ელ. ყაზბეგის, ნინო და მარიამ ბარათაშვილებისა, ა. თიკანაძის, უგრელიძისა და კოლუმბელის) თანამშრომლობით 1902 წელს თბილისში, ვერაზე გაიხსნა ქალთა ახალი დაწყებითი სკოლა, რომელსაც შემდეგში მისი ყაზბეგის ქუჩაზე მდებარეობისა გამო „ყაზბეგის სკოლა“ დაერქვა.

1908 წელს ანასტასიას ინიციატივით არსდება ქალთა ახალი საზოგადოება „განათლება“, რომელმაც სახალხო განათლების საქმეში საგრძნობი წვლილი შეიტანა. ამავე წლებში ანასტასიამ განიზრახა ყაზბეგის პატარა სკოლის ქალთა საშუალო სასწავლებლად გარდაქმნა. ცხადია, ეს საშუალო სკოლაც ქართული სკოლა უნდა ყოფილიყო, რის გამო დიდი წინააღმდეგობის გადალახვა იყო საჭირო. დები კ. და ა. ნიკო-

ლაძეების, სოფ. კალანდარიშვილისა, ალ. ფალავას, მარიამ მაჩაბლის, მასწავლ. იაკ. ზელგენიძისა და სხვათაგან შემდგარმა წრემ ანასტასიას ენერგიული მეთაურობით ამ მხრივაც მიაღწია მიზანს. ამას მოჰყვა საზოგადოება „განათლების“ მუშაობის გაშლა და მისი ნივთიერად მოლონიერება. ამ საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ანასტასია და ვიდრე ეს საზოგადოება არსებობდა, მისი თავმჯდომარე არ შეცვლილა. თავმჯდომარის მოადგილედ იყო ნინო ბარათაშვილისა, გამგეობის წევრებად—ეყ. მესხი, ალექსანდრა ფალავა, ვ. მიქაბერიძე, ან. პავლიაშვილი (შემდეგ თიანაძისა) და ელ. ბარათაშვილი, ხაზინადრად—პ. ქურდიანი, ხოლო მდივნად იყო ნ. ერისთავისა.

გამგეობის ენერგიულმა მუშაობამ საზოგადოება „განათლებას“ საკმაოდ დიდი პოპულარობა მოუხვეჭა ქართველ საზოგადოებაში. მას გამოუჩნდა მრავალი ქველმოქმედი და მეცენატი, რომელთა შემწევობით ის მატერიალურად ისე გაძლიერდა, რომ საკუთარი სახსრებით ინახავდა ქალთა საშუალო სკოლას, მასთან შემდეგ ჩამოყალიბებულ პროფესიულ განყოფილებებსა და სხ. მარიამ მაჩაბლის ხელმძღვანელობით და დახმარებით აქვე ჩამოყალიბდა სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელიც. საზოგადოება „განათლების“ ეს სკოლა და მისი პროფ-განყოფილებები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პროფესიულ ტექნიკუმად გადაკეთდა.

ამგვარი საგანმანათლებლო და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობის პარალელურად უკვე მხცოვანი ქალი ენერგიულად განაგრძობდა ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოცემას, რომელმაც 1923 წლამდე მოაღწია. ამ წელს კი ვალმოხდილმა აღამიანმა ითხოვა „ჯეჯილის“ რედაქტორობიდან განთავისუფლება, რასაც მოჰყვა როგორც „ჯეჯილისა“, ისე საზოგადოება „განათლების“ ლიკვიდაცია. გამარჯვებული მშრომელების სახელმწიფოში ამგვარი საქველმოქმედო საზოგადოება უკვე აღარ იყო საჭირო, ხოლო ანასტასია თუმანიშვილის საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი“ და ნინო ნაკაშიძის—„ნაკადული“, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს თვითმპყრობელობის პირობებში ბავშვების ეროვნული და სოციალური შეგნების განმტკიცებაში, ახალი, სოციალიზმის თაობისათვის წარმოშობილმა ჟურნალებმა „პიონერმა“ და „ოქტომბრულმა“ შესცვალეს.

სამოცდახუთმეტი წლის ვალმოხდილმა ანასტასიამ დასვენება და უქმად ყოფნა მაინც არ ისურვა. ის ჩაება განათლების სახ. კომისარიატის მუშაობაში, საბავშვო წიგნების გამომცემლობაში; 1925 წელს მისი ხელისშეწყობით გამოიცა ქალთა აღმანახის რამდენიმე ნომერი. 1932 წლის 7 თებერვალს ანასტასია გარდაიცვალა. მადლიერმა ქართველმა ხალხმა მას დიდი პატივი სცა. 11 თებერვალს ქართველ მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში დაკრძალულ იქნა იმის ნეშტი, ვინც

„ობლებს ედევნავა, რძე აწოვა ტკბილი...“

არ უნახავს შვება, არ უნახავს ძილი.

ვაჟაკურად ეპყრა ხელში ბრძოლის ხმალი

და ღირსეულადაც მოიხადა ვალი“... (ვ. რუხაძე)



## ლიტერატურა

ან. ლვინიაშვილი, „ქართული საბავშვო ლიტერატურა“, „დროება“, 1881, № 65—66 „ინსტიტუტკას დღიური“. ჟურნ. „ერი“, 1910 წ. № 2. საქართველოს მუხუ-  
უმის 9 ფონდის მასალები; ან. თუმანიშვილის არქივი—468, 451, 442, 468 და ა. შ.

ი. მანსვეტაშვილი—მემუარები.

სოფრ. მკალაბლიშვილის მოგონებანი. „ლიტ. მემკვიდრეობა“, I.

გ. წერეთლის წერილები.

ანასტასია თუმანიშვილი წერეთლის ავტობიოგრაფია (დაცულია მის არქივში).

„ქართველ მწერალ ქალთა აღმანახი“ წ. 2. „განათლება“, 1919 წ., № 2, „დროება“,  
1883 წ. № 225, 1881 წ. № 222; 1882 წ. № 183, 1884 წ. № 23, 53, 54. „ივერია“,  
1885 წ. № 6; „კეჯილი“, 1891 წ. № 6, 4, 6 და ა. შ. „თეატრი“, 1886 წ. № 42 № 41,  
1887 წ. № 2; „ივერია“. 1881 წ. № 9; „მწეპსი“, 1889 № 20 „კვალი“, 1900, № 50, 9,  
42, 21; გახ „კომუნისტი“, 1932 წ. 11—11.

---





## არისტო ქუთათელაძე

(1850—1912)

არისტო ქუთათელაძე არის მთელი რიგი სახელმძღვანელოებისა და მეცნიერულ-პოპულარული წერილების ავტორი და საუკეთესო პრაქტიკოსი—პედაგოგი. იმ დიდი ზრუნვის შედეგად, რასაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იჩენდა იგი სწავლა-აღზრდის საქმეში, საზოგადოების დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული.

სამართლიანად წერდა ჟურნალი „განათლება“ არ. ქუთათელაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რომ „ყველა მისი ნამოწაფარი, ნაცნობი და მეგობრები სიამოვნებით იგონებენ განსვენებულს და გულწრფელად სტირიან მის უდროოდ გარდაცვალებას. მართლაც განსვენებულმა არისტომ თავისი ხანგრძლივი მუშაობით საპედაგოგო ასპარეზზე, როგორც ქართული ენის მასწავლებელმა, დიდი ამაგი დასდო ახალგაზრდობას იმით, რომ მან შეაყვარა მოწაფეებს მშობლიური ღვიძლი ენა და სამშობლოს ისტორია“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ჟურ. „განათლება“, 1912 წ. № 10. გვ. 783.

არისტო ვასილის-ძე ქუთათელაძე დაიბადა 1850 წელს დაბა ხონ-ში. წერა-კითხვა იმერეთში ცნობილ სემიონ—კუტი-ფირცხალავას შინაურ სკოლაში შეისწავლა. ბავშვობაში დიდ ცნობისმოყვარეობას ამჟღავნებდა და ძალიან ბევრს კითხულობდა. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა და წარჩინებით დაასრულა აღმოსავლური ენების ფაკულტეტი და ამის შემდეგ პედაგოგიურ მუშაობას შეუდგა.

არისტო ქუთათელაძემ სამსახური პირველად დაიწყო გორის საოსტატო სემინარიაში, ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. აქ მან თავი გამოიჩინა როგორც ჰუმანურმა აღმზრდელმა და თავისი საგნის საუკეთესო მცოდნემ. არ. ქუთათელაძე ყოველთვის სიხარულით ხვდებოდა მოსწავლეთა კულტურულ-ლიტერატურული ხასიათის საქმიანობას და მათ როგორც მორალურ, ისე მატერიალურ დახმარებასაც ხშირად უწევდა.

ცნობილი ქართველი პედაგოგის ალ. ნათაძის მოგონებიდან ირკვევა, რომ 1881 წელს გორის სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეებმა, როდესაც ხელნაწერი ეურნალის „რიერაის“ დაარსება განიზრახეს, წინასწარ ეს დირექტორს სემიონოვსა და არ. ქუთათელაძეს უთხრეს. სემიონოვი კმაყოფილებით შეხვედრია ამ წამოწყებას, „ხოლო არ. ქუთათელაძეს ისე გაუხარდა ეს ამბავი, რომ იმ წამსვე თუმნიანი ამოგვიყაქა.“<sup>1</sup>

1882—83 წლებში არ. ქუთათელაძე ხონის სამასწავლებლო სემინარიაში ასწავლიდა. აქაც მან „ჩინებულად დააყენა ქართული ენის, ლიტერატურისა და სიტყვიერების სწავლება. ქართული ენის პროგრამა სემინარიაში ვრცელი იყო, და ამ სემინარიიდან ქართული ენის კარგი მცოდნე მასწავლებლები გამოდიოდნენ. 1884 წელს, როცა ხონის სემინარიაში მოწაფეების აჯანყება მოხდა მაშინდელი დირექტორის სოკოლოვის რეჟიმის გამო, განსვენებული არისტო სულ დაითხოვეს სამსახურიდან“<sup>2</sup>.

ხონიდან არ. ქუთათელაძე მოიწვიეს თბილისის ქართულ (სათავდაზნაურო) გიმნაზიაში. აქ მან მასწავლებლობა დაიწყო 1885 წელს და განუწყვეტლივ 1906 წლამდე განაგრძობდა მუშაობას. არ. ქუთათელაძეს ამავე დროს გაკვეთილები ჰქონია თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში. გ. ტყეშელაშვილი თავის მოგონებებში—„ექვსი წელიწადი თბილისის სასულიერო სემინარიაში—1884—1890 წ.წ.“ აღნიშნავს, რომ ინსტიტუტში სემინარიელების მიღებას ძლიერ ხელს უწყობდა ამ სასწავლებლის მასწავლებელი არისტო ქუთათელაძე, აკაკის დიდი მეგობარი“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ს. ყუმანიეიშვილი. ვაჟა-ფშაველა, 1937, გვ. 99.

<sup>2</sup> ურ. „განათლება“, 1912 წ. № 10, გვ. 783.

<sup>3</sup> „მოგონებები“ (ინახება სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში).

მისწავლელობასთან ერთად არ. ქუთათელაძე მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის წერილებს, ადგენდა და ბეჭდავდა სასკოლო სახელმძღვანელოებს და ყოველმხრივ ცდილობდა შეძლებისდაგვარად თავისი წვლილი შეეტანა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

არ. ქუთათელაძე გარდაიცვალა 1912 წელს ქ. თბილისში.

მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და მე-20 საუკუნის პირველ ათეულ წლებში, მიუხედავად იმისა, რომ ი. გოგებაშვილის „ღედა ენას“, „ბუნების კარს“ და „რუსკოე სლოვოს“ დიდი სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი და ჩვენი ახალგაზრდობის მთელი თაობები იზრდებოდნენ მათზე, მაინც ხშირად იყო ცდები შეექმნათ ახალი სახელმძღვანელოები. ამ ახალ ავტორებს შორის უფრო ნაყოფიერი არისტო ქუთათელაძე იყო. მის კალამს ეკუთვნის „პირველდაწყებითი ქართული გრამატიკა“ (1888 წ.), „წყარო—სახელმძღვანელო მოსამზადებელი კლასებისათვის“ (1891 წ.), „ქართული ზმნების კლასიფიკაცია“ (1897 წ.), „წყარო—სახელმძღვანელო მოსამზადებელი კლასებისათვის, ნაწ. II“ (1898 წ.), „საზოგადო გეოგრაფია“ (1908 წ.) და სხვ.

თითოეული მათგანის რამდენიმე გამოცემა არსებობს. მათ ახლავს წინასიტყვაობანი და მეთოდური ხასიათის წერილები, რომლებიც გვაცნობს ავტორის შეხედულებებს სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებულ ანა თუ იმ საკითხებზე და მეთოდურ ხერხებზე.

ამ წიგნებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „წყაროს“ პირველი ნაწილი—ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი.

ამ სახელმძღვანელოს 1908 წ. გამოცემას ბოლოში დართული აქვს ავტორის წერილი „წინასიტყვაობის მაგიერ“, რომელშიც არ. ქუთათელაძეს კარგად აქვს გააზრებული მოთხოვნილება, რომ „ბავშვს ჯერ უნდა გააცნო ის საგანი, რომელიც მის გონებისათვის ადვილი მისაწვდომია და მერე უფრო ძნელი ცნებისკენ გადაიყვანო. ... ამის მიხედვით იგი უნდა გაეცნოს, თუ რა შენობებია ეზოში და რის მაქნისია თვითოეული მათგანი, რა ცხოველებია თავლაში, ბოსელში, ბაკში, რა მოვალეობა აწევს თვითოულს მათგანს კისერზე ან რა დამოკიდებულება აქვს მათთან პატრონს. ... რომ ბავშვმა თავისი ოჯახი, ეზო, მიწდორი, ყანა, ტყე, სოფელი, ქვეყანა კარგად გაითვალისწინოს და თავის ერის მისწრაფების ნამდვილი შვილი გახდეს, საჭიროა, თავის ერის პოეზია ზედმიწევნით იცოდეს როგორც ხალხური, ისე მწერლობითი და არ დავისგავსოს უხეიროდ გადმორგულს ეგზოტიურ მცენარეს.

ყველა ამას პასუხს აძლევს ჩვენი წიგნი მოკლედ და დახასიათებით, სხვადასხვა გარემოებაში.

ერთი სიტყვით წიგნის მიზანია [გვიჩვენოს—მ. კ.] აღამიანის ბრძოლა ბუნებასთან და გამარჯვება ბუნებაზე ჰქუის, ცოდნის, გამოცდილების, დაკვირვების და განუწყვეტელ შრომის შემწეობით.<sup>1</sup>

<sup>1</sup> „წყარო“, ნაწ. 1, 1908 წ. გვ. 1.

მართლაც წიგნში მასალები ისეა შერჩეულ-დალაგებული, რომ ბავშვი, განსაკუთრებით სოფლელი ბავშვი, სავსებით ბუნებრივად გადადის ნაცნობიდან უცნობზე, აღვილიდან უფრო რთულზე, ახლობელიდან-შორეულზე და თანაც ღრმად იმსჯელებს იმ გრძნობით, რომ ადამიანი თავისი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის შედეგად ბუნებას იმორჩილებს და ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავს.

„წყაროს“ პირველი ნაწილისათვის (ანბანის შემდეგ საკითხავი განყოფილება) მასალები აღებულია ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან, ცნობილი ქართველი მწერლების სულხან-საბა ორბელიანის, აკაკის, ვაჟას, ირ. ვედოშვილის, შ. მღვიმელის, თ. რაჭიკაშვილის, ი. დავითაშვილის თხზულებებიდან, აგრეთვე წარმოდგენილია ფრანგულიდან თარგმნილი ზოგიერთი ნიმუში (კეთილი მზე, ვინ გვაცხოვრებს, მასწავლებელი ავად არის და სხვ.) და თვით სახელმძღვანელოს ავტორის მიერ გადმოკეთებული და ორიგინალური რამდენიმე მასალა. ეს მასალები ბავშვს აცნობენ ცხოველთა სამყაროს, წელიწადის დროებს, ბუნების მოვლენებს, შრომის ზოგიერთ პროცესს და სოფლის ცხოვრებას.

ქალაქის ცხოვრებისა და მრეწველობის შესახებ კი სახელმძღვანელოში თითქმის არავითარი მასალა არაა წარმოდგენილი, რაც სახელმძღვანელოს ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

„წყარო“, თვით ავტორის განცხადებით, სხვა ანალოგიური სახელმძღვანელოებიდან განსხვავდება იმით, რომ მასში არაა „სასაუბრო გაკვეთილები“. ჩვენს წიგნში არ არის სასაუბრო, მხოლოდ გვაქვს სურათები სასაუბროს მაგიერ. რატომ?—იკითხავთ. ჩვენის აზრით ეს ნაწილი—დღეს მიანიც—საჭირო აღარ არის: წინეთ, როცა სხვა საშვალეა არ იყო, სრულიად კანონიერად ითვლებოდა სასაუბროს მოთავსება სახელმძღვანელოში, მაგრამ დღეს ისეა წინწასული თვით შეგნება და მწიგნობრობა, რომ მასწავლებელს ყოველთვის შეუძლიან იქონიოს ან სკოლის დახმარებით და ან საზოგადოების ხარჯზე მიუცილებელი არა ერთი თხზულება, ურომლოდ რიგიანად სწავლება ყოველად მოუხერხებელია.

მშრალი ფაქტების გადაცემა არ კმარა: მზა-მზარეულმა მასალამ მასწავლებელიც გამოაყურა და მოსწავლეც, როგორც მასწავლებელს, ისე მოზარდს ეძლევა ყოველმხრივ დაღეპილი და გადაღეპილი მასალა, ბავშვმა, უნდა-არ უნდა, უნდა იკითხოს და ულაპოს კიდევ, რადგან სხვა გზა არ დარჩენია. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ არც მასწავლებლის და არც მოსწავლის გონება აღარ ვითარდება, აღარ ვარჯიშობს, არ თვითმოქმედებს, არ თვითცნობიერდება, არ ეშლება გონების ჰორიზონტი და, მაშასადამე, მისი გონება წინსვლის მაგიერ, დგება, ჩლუნგდება, არასოდეს არ უნდა გვაფიწყებოდეს, რომ ნამდვილი მასწავლებლობა, შინ იქნება თუ გარეთ, განუწყვეტელი თვითგანვითარებაა

და, თუ ეს დაიცვა მასწავლებელმა, მასალას, რამდენიც უნდა, იმდენს •შოვის.

სირცხელია, დღეს სოფლის მასწავლებელს და, საზოგადოდ. პირველ დაწყებით სკოლას არ ქონდეს სკოლაში ბოტანიკისა და ზოოლოგიის სრული ატლასი და ყოველგვარი სასკოლო სურათი, კედელზე ჩამორიგებული. კიდევ მეტი. კედლის სურათი უსათუოდ უნდა იყოს. თორემ წიგნის შავ სურათებით ბავშვი ყველა საგანს ნათლად ვერ წარმოიდგენს. ჩვენც დავიცავით ეს წესი, სადაც შესაძლებელი იყო,—მაგალითად, წიგნში თითქმის არ არის მცენარეები<sup>1</sup> (მცენარეების სურათი—მ. კ.).

აქედან ჩანს, რომ არ. ქუთათელაძე წინააღმდეგია სახელმძღვანელოებში მზა მზარეული სახით იქნეს შეტანილი ისეთი „სასაუბრო“, რომელზეც მასწავლებელიც და მოსწავლეებიც შაბლონურ კითხვა-პასუხს იძლევიან. ამიტომ „წყაროში“ სასაუბროს ნაცვლად (სურათები მოთავსებულია 29—30—31—32 გვ. და ანბანს შემდეგ საკითხავი ნაწილის 25—26 გვერდზე, აგრეთვე 37, 44, 52, 56, 66, 78 გვერდებზე). რასაკვირველია, საუბრები, რომლებიც ამ სურათების ირგვლივ უნდა ჩატარდეს, ემსახურება მოსწავლის ლექსიკის გამდიდრებას, მისი გონებრივი პორიზონტის გაფართოებას და ბავშვის ცოდნის გაღრმავებას. ამდენად არ. ქუთათელაძე „სასაუბროს“ პრინციპულად მოწინააღმდეგე კი არ არის, არამედ მოითხოვს ამ საკითხში მასწავლებელს მეტი თავისუფლება ჰქონდეს და შაბლონური გზით სიარულს თავი დააღწიოს, რათა ის ნამდვილი შემოქმედი მასწავლებლის როლში გამოვიდეს.

თავისებური შეხედულება აქვს გამოთქმული არ. ქუთათელაძეს წერის შესახებაც. როდის და როგორი ასოები უნდა შევასწავლოთ ბავშვებს? მისი აზრით ასო-ბგერის შესწავლას თან სდევს ასოს წერის სწავლებაც სტამბური სახით. ამით აიხსნება, რომ საანბანო პერიოდში ასოს კითხვის შესწავლას თან არ ახლავს ხელნაწერი ასოს ნიმუში. იგი მიუთითებს: „რაკი ბავშვმა გარკვევით ისწავლა სტამბურ ასოების წერა და წაკითხვა ისე, რომ ასოებს ერთმანეთში აღარ ურევს, მაშინვე, ჩვენის აზრით, ნუსხური წერა უნდა დავაწყებინოთ. რა საჭიროება გვიწყვეს დღეს, სტამბურ ასოებით ვსწეროთ, როცა ნუსხური ანბანი ხელთა გვაქვს? (არ. ქუთათელაძე ტერმინის „ნუსხური“ სახით გულისხმობს მხედრულ ხელნაწერ ასოებს—მ. კ.). ეგ მოვლენა მხოლოდ ქართულ სკოლებშია გაბატონებული. გვახსოვს, ქართულ გიმნაზიაში წესად იყო, პირველ კლასამდე, ესე იგი ოთხ წელიწადს, ეწერა ბავშვს სტამბურ ასოებით, პირველი კლასიდან კი იწყებდნენ ნუსხურს (მხედრული ხელნაწერი ასოებით წერას—მ. კ.). მაგრამ ამას წინაღუდგა ცხოვრება: ბავშვმა, რაკი ანბანი კითხვა ისწავლა, მაშინვე უბის წიგნი გაიჩინა და

<sup>1</sup> „წყარო“, გვ. 11.

შიგ თავისთვის საინტერესო ამბავს და ლექსებს სწერდა თავისებურ ნუსხურით. თუ ბავშვმა, ოთხი წლის განმავლობაში, თავისებურად გადამახინჯებულ ნუსხურით სწერა, მისი გამობრუნება შემდეგში ერთობ ძნელია“. შემდეგ იგი დასძენს: „თუმცა წინეთაც იმ აზრის ვიყავით, ადრე დაგვეწყო ნუსხური, მაგრამ ზემოდ-მოყვანილმა ფაქტმა კიდევ უფრო აკვაჩქარა და ეს იყო მიზეზი, რომ მეორე განყოფილებიდანვე (ჩვენ ვასწავლიდით ამ განყოფილებიდან) დავაწყებინეთ ბავშვს ნუსხურის წერა ორ ხაზიან რვეულში და ჩვენი მოსაზრება კეთილად დაგვირგვინდა: მეოთხე განყოფილებაში საზოგადოდ კარგად სწერდნენ და ზოგიც სამაგალითოდ“ (გვ. III—IV).

არ. ქუთათელაძის „წყაროს“ შედარება ი. გოგებაშვილის „დედაენასთან“ იმას ადასტურებს, რომ „ქუთათელაძე ძირითადად ი. გოგებაშვილის პოზიციებზე იდგა, თუმცა ზოგ რამეში განსხვავებაც მნიშვნელოვანი იყო მათ შორის. მაგალითად, საკითხი, თუ რომელი ასოს წერა უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს ადრე და რომლისა—გვიან, ე. ი. როგორ დავალაგოთ „ანბანის“ წიგნში ასოები ისე, რომ ჯერ მოხაზულობით უფრო ადვილი ასო შევასწავლოთ ბავშვებს და შემდეგ—მოხაზულობით უფრო ძნელი, რაც გააადვილებდა წერის შესწავლის პროცესს, უფრო მართებულადაა გადაჭრილი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაში“ და ამიტომაც. ბუნებრივია, სკოლებში მას უაღრესად ფართო გამოყენება ჰქონდა.

არ. ქუთათელაძის „წყაროს“ ღირსებად უნდა-ჩაითვალოს ის, რომ ზოგიერთი ასოს შესწავლისათვის მის მიერ მოცემული სურათი გამოყენებულია ახლანდელ „დედაენაშიც“. უდავოდ მისაღებია არ. ქუთათელაძის აზრი, რომ საანბანო წიგნში ფერადი სურათები იბეჭდებოდეს, რადგან ბავშვებზე ასეთი სურათები მეტ გავლენას ახდენს და საგანს მათ უფრო ცხოვლად წარმოუდგენს.

არ. ქუთათელაძის „წყაროს“ მეორე წიგნი პირველი ნაწილის ბუნებრივ გავრძელებას წარმოადგენდა. ამ წიგნსაც გააჩნდა თავისი ღირსება-ნაკლოვანებანი, მაგრამ ობიექტურად ის თავის დროზე არ შეფასებულა. რეცენზენტები მასში უვარგისს უფრო ამჩნევდნენ, იწუნებდნენ მასალების შერჩევას, თანმიმდევრობას მასალის დალაგებაში სიმარტივესიძნელის მიხედვით, ენას და ა. შ. ამ საყვედურებიდან უფრო სწორი იყო ის, რაც სახელმძღვანელოს ენას შეეხებოდა.

საერთოდ კი „წყაროს“ მეორე ნაწილი იმ პრინციპზეა აგებული, როგორზეც ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“. მასში უხვადაა წარმოდგენილი ს. ს. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჰავეკავაძის, აკ. წერეთლის, რაფ. ერისთავის, ნ. ლომოურის, სოფრ. მგალობლიშვილის და სხვათა რჩეული მოთხრობები და ლექსები. არის პატარ-პატარა სტატიები ცხოველებზე, ფრინველებზე, ბუნების მოვლენებზე, ისტორიულ პირებზე, მოცემულია ცნობები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებზე და ქალაქებზე.



რასაკვირველია, „წყარო“ ყოველმხრივ გამართულ სახელმძღვანელოს არ წარმოადგენდა, მაგრამ მას გირაკვეული ღირსებაც უდავოდ გააჩნდა. მის შეფასებაში უფრო ობიექტური იყო დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი.

მართლაც იმ სახელმძღვანელოებს, რომლებიც „დღეა ენისა“ და „ბუნების კარის“ პარალელურად გამოდიოდა და რომელთა ავტორები გულწრფელად იყვნენ დაინტერესებულნი სარგებლობა მოეტანათ ჩვენი სკოლისა და ბავშვებისათვის, ჰქონდათ „თავ-თავისი ღირსება, ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები“, დაუშვებელია, მათი დავიწყება, რადგან მათ, მათ შორის „წყარომაც“, თავისი წვლილი შეიტანეს სახელმძღვანელო წიგნების განვითარების საქმეში.

1900 წელს არ. ქუთათელაძემ გამოსცა „კონსპექტი საქართველოს ისტორიიდან“ (ნაკვეთი I და II). წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „განვიზრახეთ რა „კონსპექტის“ გამოცემა, ჩვენ სახეში გვქონდა შეგვემსუბუქებინა ახალ-მოზარდისათვის გაჭირვებული მდგომარეობა, რომელშიც ის არის დღეს ჩავარდნილი სამშობლო ისტორიის შესწავლის დროს: მას არ აქვს დაბალ კლასებისათვის ისეთი მოკლე სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიიდან, საიდანაც ადვილად შეეძლოს ეპიზოდურად შეისწავლოს ჩვენი წარსული.“

იქნება ეს „კონსპექტიც“ ვერ აკმაყოფილებს სრულიად ჩვენს განზრახვას, მაგრამ თუ წარმოვიდგენთ, რა სიჩქარით არის შედგენილი— ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო—წინამდებარე წიგნაკი, მკითხველი აღარ დაგვემდურება ერთობ და ნაკლსაც გვაპატივებს ამჟამად“.

ორივე ნაკვეთში გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის დასაწყისამდე. წიგნი პოპულარული ენით არის დაწერილი და ღირსებასთან ერთად შეიცავს ნაკლოვანებებსაც: რაც გამოწვეული იყო საერთოდ მაშინდელი ჩვენი ისტორიოგრაფიის განვითარების დონით. ეს ეხება როგორც ქრონოლოგიის სიზუსტეს, ისე ისტორიულ მოვლენათა შეფასებასაც.

ავტორი ძირითადად ემყარება „ქართლის ცხოვრებას“, მაგრამ ამავე დროს მთელი რიგი ფაქტები გაშუქებული აქვს მეცნიერებაში მოპოვებული ახალი ცნობების საფუძველზე. მაგალითად, „კონსპექტის“ (I ნაკვეთი) 21—22 გვერდზე განხილულია ქართული ანბანის წარმოშობის ისტორია და გატარებულია აზრი, რომ ქართული მხედრული ანბანი განვითარებულია ქართული ასომთავრული ანბანისაგან. „ჯერ გაჩენილა ხუცური ასომთავრული ანბანი, რომელიც შემდეგ ნუსხა ხუცურად გადაქცეულა და ნუსხა ხუცური კი მხედრულად შეცვლილა დროთა განმავლობაში“. მოსწავლეთათვის გასაგებად არის წიგნში დახასიათებული დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ვახტანგ VI ცხოვრება. თითოეული ეპოქის ისტორიასთან ერთად წიგნი იძლევა საქართველოს კულტურული ვითარების მოკლე მიმოხილვას.

არ. ქუთათელაძის „კონსპექტი საქართველოს ისტორიიდან“, რომელიც უმცროსი კლასების მოსწავლეებისათვის იყო განკუთვნილი, თავის დროზე უდავოდ სასარგებლო წიგნი იყო.

რამდენიმე სიტყვით უნდა შევეჩერდეთ არ. ქუთათელაძის „პირველდაწყებით ქართულ გრამატიკაზე“, რომელიც ოთხჯერ გამოიცა. მეცნიერული თვალსაზრისით ეს წიგნი, რასაკვირველია, მოძველებულია, მაგრამ მეთოდურად იგი დღემდე ინარჩუნებს ინტერესს. ამ წიგნის შესაბამე გამოცემის პირველ ნაწილში განხილულია სინტაქსის საკითხები, ხოლო მეორეში — „ეტიმოლოგია“ (მორფოლოგია). წიგნს დართული აქვს განმარტება, „დარიგება“.

ავტორი ასეთი წესით ურჩევს მასწავლებლებს გრამატიკის სწავლებას: „გრამატიკის სწავლების დროს, მასწავლებლის პირველი და უმთავრესი მოვალეობაა, ყოველი კანონი, რომელიც კი ამ სახელმძღვანელოშია მოყვანილი, პრაქტიკულად მაგალითებიდან გააცნოს მოსწავლეს... მაგალითად, როდესაც ჩვენ ვუხსნით მოსწავლეს თუ, რა არის საგანი, ჩვენ სახეში ის გვაქვს თუ, როგორ მიაღწიოს მოსწავლემ იქამდის, რომ რასაც ჰხედავს ან გონებაში წარმოიდგენს, თქვენის შემწეობით, ყველას იმას საგანი დაარქვას... თუკი მოსწავლე დაასახელებს ყველაფერს, რასაც ჰხედავს კლასის ოთახში, ეზოში და, მის შემდეგ ცაში და მერე, თქვენივე კითხვების შემწეობით, იმასაც, თუ რასაც ვერ ჰხედავს, ან არ შეუძლიან შეჰხედოს, ...მაშინ თქვენთვის მხოლოდ ერთი-ღა დარჩენილა“ კანონი განუმარტოთ, დაასკვნის ავტორი.

გრამატიკული წესებისა და კანონების შესწავლის ის გზა, რომელსაც არ. ქუთათელაძე გვირჩევს, ამჟამადაც ერთ-ერთ სწორ გზად ითვლება გრამატიკის პირველდაწყებითი შესწავლისას. საერთოდ „დარიგებაში“ მოცემული მეთოდური მითითებანი ამჟღავნებს არ. ქუთათელაძის ღრმა პედაგოგიურ ცოდნასა და ოსტატობას.

„პირველდაწყებითი ქართული გრამატიკის“ მეორე გამოცემას (1889 წ.) ვრცელი რეცენზია უძღვნა ცნობილმა პედაგოგმა სილ. ხუნდაძემ (იხ. „ივერია“, 1888 წ. №№ 12, 14 და 15). რეცენზენტი არ. ქუთათელაძეს სხვათა შორის უსაყვედურებს: „ავტორი შიშობს, ვაი თუ მასწავლებელი ძველებურ წესს მიჰყვა და „აქედან აქამდის“-ით იხელმძღვანელა ჩემი გრამატიკის კანონების გადაცემაშიო, და მთელი თორმეტი გვერდი სწავლების გადაცემის მეთოდის ახსნისათვის მოუნდომებია. ჩვენის აზრით, ამისთანა წინასიტყვაობა დღეს მეტია“. ამასთან სილ. ხუნდაძე ავტორს აძლევს მთელ რიგ საყურადღებო შენიშვნებს, რომელთაგან ერთი „ჰ“-ზე ბგერის საკითხს ეხება, ხოლო მეორე პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების ბრუნების საკითხს.

არ. ქუთათელაძემ სილ. ხუნდაძეს უპასუხა „ივერიის“ იმავე წლის ნომრებში (იხ. №№ 40, 41, 42, 44, 45 და 46). თავისი მეთოდური წერილის შესახებ არ. ქუთათელაძე სავესებით მართებულად შენიშნავს: „სა-

უბედუროდ, არათუ „პაწია შეგირდს“, მასწავლებელსაც ბევრს ვხედავთ დღეს იმისთანას, რომ სწორედ ისე უნიშვნელ გასაკვეთს მოსწავლეებს, როგორც ჩვენ მოვიხსენიეთ წინასიტყვაობაში. ...აი, ამ გარემოებით ვხელმძღვანელობდით ჩვენს წინასიტყვაობაშიც, რომ „12 გვერდი სწავლების გარდაცემის მეთოდის ახსნას მოვანდომეთო“. ამას გარდა სხვებიც არიან ისეთნი, რომელთაც პედაგოგიური სასწავლებელი არ გაუთავებიათ და უნდათ-კი თავიანთ ყმაწვილებს ასწავლონ, მაგრამ არ იციან, როგორ მოიქცნენ. ესეც არ უნდა დავივიწყოთ.

არისტო ქუთათელაძეს, გარდა ზემოდსახელებული წიგნებისა, ეკუთვნის სახელმძღვანელო „სახოგადო გეოგრაფია“ (ნაწ. I, 1908 წ.) და მთელი რიგი წერილებისა, რომლებიც ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა.

მისი წერილებიდან ჟურნალ-გაზეთებში განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ლიკორწმინდა“ („მომამე“, 1894 წ. № VII), „არხეოლოგიური მოგზაურობა“ („კვალი“, 1897 წ. № 15), „სოფ. მარტყოფი და „ხელთ-უქმნელ ღვთაების ეკლესია“ („კვალი“, 1897 წ. № 31) და სხვ.

არ. ქუთათელაძე საუკეთესო მცოდნე იყო ჩვენი წარსულისა და, სხვათა შორის, ძველი ქართული სიმღერა-გალობისა, რომელიც მას ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი იმერეთში ცნობილ სვიმონ კუტ-ფირცხა-ლაევას „სკოლაში“ სწავლის პერიოდში. კომპოზიტორი ფილიმონ ქორიძე 1905 წლის „მოგზაურში“ (№ 37, გვ. 587) წერდა: „ქართულ მუსიკას აქვს თავისი კანონები ხმათა შეწყობისა და მათ შორის განწყობილებისათვის, მაგრამ ზოგიერთ უცხოელთ და ჩვენებსაც დაუწყიათ წერა ზეპირი მუსიკისა, რომელშიაც არ არის დაცული ის კანონი, ურომლისოთ სიმღერა კარგავს სინამდვილეს და იმცირებს ღირსებას. ვამბობ, ქართული მუსიკა მდიდარია რაოდენობით და მრავალგვარ კილოებით, მაგრამ ეს სიმდიდრე მთლად ვერ ჩაივადეთ ხელში, რადგანაც ხმარება მათი მცირდება და თითქმის ისპობა. ამ გარემოებას მოულოდნელმა შემთხვევამ გაუღიმა. ჩვენს მოღვაწეს ბ. არისტო ქუთათელაძეს ზედმიწევნით ცოდნია ზეპირი ძველი საგალობლები. მას უსწავლია ცნობილ მგალობლის სიმონ კუტისაგან ხონში და დამაწერინა ნოტებზე 551 ცალი საგალობლები, რომელნიც სავსეა მელოდიური სიტკბოებით, მეტადრე კრელები და წარდგომები, დიდებულად შედგენილი ძველი მგალობლების მიერ. დიდი მადლობის ღირსია ბ. ქუთათელაძე, რომელმაც უსასყიდლოდ შესძინა ეს ძვირფასი განძი ქართულ მუსიკას და დაკარგვას ააშორა“.

არ. ქუთათელაძის პედაგოგიური მემკვიდრეობის უფრო ღრმად შესწავლა აუცილებელია საქართველოში სახალხო განათლების ისტორიის ზოგიერთი საკითხის დასაზუსტებლად და გასაშუქებლად.

ლიტერატურა

- 1 არ. ქუთათელაძე—„პირველდაწყებითი ქართული გრამატიკა“, 1898 წ.  
(აგრეთვე 1889, 1894, 1907 წწ. გამოცემები) —„წყარო“ ანბანი და პირველი საკითხავი  
წიგნი, 1891 წ. „წყარო“ ნაწ. II. 1898 წ. „ქართული ზმნების კლასიფიკაცია“, 1897 წ.  
„კონსპექტი საქართველოს ისტორიიდან, 1900 წ. „საზოგადო გეოგრაფია“, 1908 წ.  
ეჟრნ. „განათლება“, 1912 წ. № 10.  
მ. კეკელიძე, გორის სამასწავლებლო სემინარია, 1955 წ.
-

## პარლამ გუბიჩვაძე

(1850—1908)

ვარლამ დავითის-ძე გაბიჩვაძე გასული საუკუნის 70-იანი წლების ქართველ ნაროდნიკთა ჯგუფს ეკუთვნოდა. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა საკმაოდ მრავალფეროვანი და შინაარსიანი იყო. თუმცა მრავალი მასალა მოიპოვება მისი მოღვაწეობის შესახებ როგორც დაბეჭდილი, ისე გამოუქვეყნებელი, მაგრამ ამ საინტერესო ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა დღემდე შესწავლილი არ არის. ეს პატარა ნარკვევი არ წარმოადგენს ვ. დ. გაბიჩვაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრულ და ყოველმხრივ ამომწურავ შრომას. აქ მოცემულია მხოლოდ ზოგადი დახასიათება ვ. გაბიჩვაძის საზოგადო მოღვაწეობისა საარქივო მასალებისა და გამოკვლევათა საფუძველზე, რომელთაც ამჟამად ჩვენთვის მისაწვდომი გახდა.

ვ. დ. გაბიჩვაძე დაიბადა 1850 წ. რაჭის მაზრის სოფ. ჩორჯოში. მისი მამა მღვდელი იყო. 1860 წ. პატარა ვარლამი შეიყვანეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთან არსებულ პირველ სამრევლო კლასში. სასწავლებლის მოსწავლეთა წარმატების უწყებაში აღნიშნულია, რომ მოსწავლე გაბიჩვაძე ძალიან კარგი ყოფაქცევისაა და საკმაოდ კარგი ნიჭი და წარმატება აქვსო.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვ. გაბიჩვაძემ 1871 წელს განცხადებით მიმართა თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობას მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ. ეს განცხადება შესრულებულია მეტად ლამაზი კალიგრაფიული ხელით და სწორი, გამართული ენით. სასულიერო სასწავლებლებიდან სემინარიაში შესვლა ძნელი იყო მკაცრი გამოცდების გამო, იქ ბევრი ვერ იჭერდა გამოცდებს. მისაღებ გამოცდებზე ვ. გაბიჩვაძემ საკმაოდ კარგი წარმატება გამოიჩინა, განსაკუთრებით ქართულ ენასა და არითმეტიკაში; ის სემინარიის დაბალ განყოფილებაში ჩარიცხეს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> 1872 წელს მომხდარ რეფორმამდე სემინარია სამი განყოფილებისაგან შედგებოდა: დაბალი, საშუალო და მაღალისაგან. თითო განყოფილება ორწლიანი იყო სემინარიის რეფორმის შემდეგ. 1872 წლიდან განყოფილების მაგივრად კლასები ჩამოყალიბდა. სემინარია სულ ექვსი კლასიდან შედგებოდა.

სემინარიაში სწავლის პირველსავე წელს მას უბედურება დაატყდა თავს.—გარდაეცვალა მამა და დედის ანაბარად დარჩენილს გაუძნელდა სწავლის გაგრძელება. დაქვრივებული და მატერიალურად შევიწროებული დედა მოკლებული იყო საშუალებას შეიღისათვის დახმარება აღმოეჩინა. ამ გარემოების გამო ვარლამი იძულებული გახდა სემინარია დაეტოვებინა.

მაგრამ იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელის დახმარებით, რომელმაც მიიღო მხედველობაში მისი სიღარიბე და სწავლაში კარგი წარმატებები, დაენიშნა მას ხაზინიდან ნახევარი სტიპენდია, რამაც მისცა შესაძლებლობა სემინარიას დაბრუნებოდა და იქ სწავლა გაეგრძელებინა. სტიპენდიას საეკლესიო ხაზინა გადარიცხავდა ხოლმე სემინარიის გამგეობის სახელზე, რომლის ანგარიშზე სტიპენდიანტი უნდა შეენახა მას სემინარიის საერთო საცხოვრებელში ანუ ბურსაში. ვ. გაბიჩვაძეც ამის გამო მოათავსეს ბურსაში.

მეტად ძნელი იყო ბურსაში ცხოვრება განსაკუთრებით იმ რეჟიმის გამო, რომელიც შემოიღო იქ ინსპექტორმა ივ. კუჭუშინსკიმ. თითოეული მოსწავლე განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ ჰყავდა მას და გასაქანს არ აძლევდა ქალაქში წასულიყო, როდესაც მას ეს დასჭირდებოდა. კუჭუშინსკი ხშირად აწარმოებდა მოსწავლეთა ჩხრეკას ბურსაში და კერძო ბინებზედაც. ხშირი ჩხრეკით და დილა-სალამოს სავალდებულო ლოცვებზე სიარულით მოსწავლეები მობეზრებული იყვნენ.

ცნობილია, რომ „სამოციანი წლების მიწურულიდან რევოლუციური იდეოლოგია საშუალო სკოლის მოწაფეებშიც შეიქრა. ამ მხრით თბილისში განსაკუთრებით ის საშუალო სასწავლებელი გამოირჩა, სადაც ყველაზე მეტად იყო თავმოყრილი ქვედა, დემოკრატიული ფენებიდან გამოსული ახალგაზრდობა. ეს იყო თბილისის სასულიერო სემინარია<sup>1</sup>. ამიტომ სემინარიელები აღნიშნულ პერიოდში, ე. ი. სამოცდაათიან წლებში განსაკუთრებულის ინტერესით კითხულობდნენ რუსეთის გამოჩენილ რევოლუციონერ დემოკრატთა ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, აგრეთვე პისარევის და სხვათა თხზულებებს, რაც მათ სასტიკად აკრძალული ჰქონდათ.

ასეთი წიგნების კითხვა განსაკუთრებით სახიფათო იყო სემინარიის ბურსაში. ამ გარემოების გამო მოსწავლეები სხვადასხვა საბაბით ცდილობდნენ ბურსისათვის თავი დაეღწიათ და კერძო ბინაზე გადასულიყვნენ საცხოვრებლად. ვ. გაბიჩვაძე ბურსაში ინსპექტორ კუჭუშინსკის განუწყვეტელი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, რადგან უკანასკნელს ეკვი ჰქონდა, რომ ის ნებადაურთველ წიგნებს კითხულობდა, რაც სინამდვილეს შეეფერებოდა. ვ. გაბიჩვაძემ თხოვნით მიმართა სემინარიის გამგეობას 1873 წლის თებერვალში, ნება დაერთოთ მისთვის კერძო ბინა-

<sup>1</sup> ტ. ბუნდაძე, ნარკვევი სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, გვ. 209.

ზე გადასულიყო, რადგან „ჯანმრთელობის მხრივ სემინარიის საერთო საცხოვრებელს ვერ შევეგუეო“. განცხადებას სემინარიის ექიმის მოწმობაც დაურთო, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ „მოსწავლე გაბიჩვადე დაავადებულია ფილტვების ქრონიკული კატარით“. ამის გამო სემინარიის გამგეობამ მას და პოლიევქტო კვიცარიძეს ნება დართო კერძო ბინაზე ცხოვრებისა. ნაროდნიკული იდეებით გატაცებული სემინარიელები აკრძალული ლიტერატურის კითხვას კერძო ბინებზე უფრო მეტად დაეწაფენ. ამ გარემოებამ აიძულა სემინარიის გამგეობა წინადადება მიეცა ყველა მათგანისათვის, კერძოდ, ვ. გაბიჩვადისა და პოლ. კვიცარიძისათვის, უკანვე დაბრუნებოდნენ ბურსას.

1873 წ. იენისში სემინარიაში გაბატონებული მძიმე და აუტანელი რეჟიმის გამო ვ. გაბიჩვადე იძულებული გახდა ავადმყოფობის მოტივით წასულიყო სემინარიიდან დროებით, ვიდრე გაჯანსაღდებოდა. მაგრამ იმავე წლის აგვისტოში მან მიმართა თხოვნით გამგეობას მიეღოთ მხედველობაში, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო ის იძულებული იყო გასულიყო სემინარიიდან და რადგან „ახლა ჩემი ჯანმრთელობა გაუმჯობესდა და შემიძლია სწავლის გაგრძელებაო“, ნება დაერთოთ მისთვის გამოცდები ჩაებარებია მესამე კლასში შესასვლელად. გამგეობას მაინცდამაინც არ უნდოდა მისი სემინარიაში დაბრუნება და რადგან ფორმალური საფუძვლები მას არ გააჩნდა იმისათვის, რომ თხოვნაზე უარი ეთქვა, ნება დართო მესამე კლასში მისაღები გამოცდების ჩაბარების. მაგრამ იგი ისეთი პირობით - იქნა დაშვებული გამოცდებზე, რომ წინასწარ გამორიცხული იყო მისი სემინარიაში ჩარიცხვა: მას მოთხოვეს ჩაებარებია სემინარიაში ორი წლის განმავლობაში განვლილი საგნები. ამ გარემოების გამო ვ. გაბიჩვადე იძულებული გახდა დაენებებია სემინარიაში სწავლისათვის თავი. 1873 წლის სექტემბრიდან მან საბოლოოდ დატოვა სემინარია და შეუდგა დამოუკიდებელ ცხოვრებას.

1875 წლის თებერვლიდან ვ. გაბიჩვადე დაინიშნა სუფთა წერის მასწავლებლად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. მან დიდი გულმოდგინეობა გამოიჩინა მუშაობაში, რომ სუფთა და გამართული ხელით წერის ჩვევები შეეთვისებინა მოსწავლეთათვის და, მართლაც, საკმაოდ მოკლე ხნის განმავლობაში გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია. სასწავლებლის გამგეობის 1874/75 სასწავლო წლის ანგარიშში ნათქვამია: „მოსამზადებელ კლასებში წერას ასწავლიდა ვ. გაბიჩვადე... ახალი მასწავლებელი სამსახურის დაწყებისთანავე შეუდგა სწავლებას ორი ხერხით: გენეტიკურითა და ტაქტიკურით. მთავარი ყურადღება კლასში მიქცეული იყო მოწაფეთა ჯდომის და სხეულის მდგომარეობისადმი წერის ვარჯიშის დროს და სხვ. სახელმძღვანელოდ გამოყენებული იყო გერბაჩის წერის დედანი. მასწავლებელს დამაკმაყოფილებლად ჰქონდა შეთვისებული სწავლების რაციონალური ხერხები და ლამაზი ხელი, მან გამოცდებამდე მოასწრო შეეთვისებია მოსწავლეებისათვის მთავრული და ნუსხუ-

რი ასოების წერა. მასწავლებელს გამტკიცებული ჰქონდა კლასებში დისციპლინა, თავის საქმეს დიდი სიყვარულით აწარმოებდა და მოსწავლეებიც დააინტერესა შეეთვისებიათ ლაშაზი და ჩქარი ხელი<sup>1</sup>.

1875 წლის გაზაფხულზე ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის საფუძვლიანი რევიზია ჩაატარა თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორმა ივ. კუეშინსკიმ. ის დაესწრო ყველა მასწავლებლის გაკვეთილებს. სემინარიის გამგეობისადმი წარდგენილ ვრცელ ანგარიშში რევიზორი იძლევა მისგან მოსმენილის თითოეული მასწავლებლის გაკვეთილის ანალიზს. კუეშინსკი დასწრებია ახლად დანიშნული მასწავლებლის ვ. გაბიჩვაძის გაკვეთილებსაც და დადებით შეფასებას აძლევს მას. ის ამბობს: „მოსამზადებელი კლასების წერის მასწავლებელი გაბიჩვაძე ცდილობს დააყენოს თავისი საგანი თანამედროვე მოთხოვნილებათა სიმალლეზე“<sup>2</sup>.

რევიზორ კუეშინსკისათვის, ამ უკანასკნელის მოთხოვნით, ახლად დანიშნულ მასწავლებელ გაბიჩვაძეს წარუდგენია მეთოდური ხასიათის განმარტებითი ბარათი წერის სწავლების შესახებ. განმარტებითი ბარათი სამი ნაწილისაგან შედგება.

პირველ ნაწილში განმარტებული არის წერის სწავლების მიზანი, სადაც აღნიშნულია, რომ წერის რაციონალური სწავლების დროს მასწავლებელი ორ მიზანს აღწევს: მატერიალურს და ფორმალურს. შემდეგ განმარტებულია მატერიალური და ფორმალური მიზნის არსი.

განმარტებითი ბარათის მეორე ნაწილში ავტორი სწავლების მეთოდს ეხება. წერის სწავლებაში რაციონალურ მეთოდად მას მიაჩნია მესერის მეთოდი, რადგან სწავლების ამ მეთოდში გაერთიანებულია ყველა საუკეთესო ხერხი სწავლებისა: ხაზობრივი, გენეტიური და ტაქტიკური. შემდეგ მას განმარტებული აქვს ყველა ამ ხერხის რაობა და თვისება. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ მეთოდის განხორციელება ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში არ შეიძლება, ვინაიდან საკლასო მერხები ამ მიზნისათვის შეუფერებელი არიანო.

განმარტებითი ბარათის უკანასკნელ ნაწილში ავტორი ქართული წერის სწავლებას ეხება და აღნიშნავს, რომ ქართული წერისათვის არ არსებობს ისეთი განსაკუთრებული წესები, როგორც რუსული წერისათვის, მაგრამ მოსწავლეები მაინც ითვისებენ ლაშაზ და ჩქარ (გაკრულ) ხელსო.

შემდეგ წელს, ე. ი. 1876 წ. ამ სასწავლებლის რევიზია ჩაატარა თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელმა პ. პოტოცკიმ. რევიზორი თავის ანგარიშში აღნიშნავს, რომ 1876 წლის ოქტომბრამდე წერას ასწავლიდა ვ. გაბიჩვაძე და რადგან ის „პოლიტიკური დანაშაულის“ გამო დაპატიმრებულ იქნა ოქტომბერში, ამიტომ ის დათხოვნილი იქნა

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 440, საქ. № 716, ფ. ფ. 50—51.

<sup>2</sup> სცსსა, ფონ. № 440, საქ. 726, ფ. 427.



მასწავლებლის თანამდებობიდან და წერის გაკვეთილენი სხვა მასწავლებელთა შორის იქნა განაწილებულიო“<sup>1</sup>.

და მართლაც 1876 წლის ოქტომბრიდან მეფის მთავრობა ენერგიულად შეუდგა ნაროდნიკული ორგანიზაციების დევნას. დაიწყო ამ ორგანიზაციების წევრთა დაპატიმრება და გადასახლება. დააპატიმრეს ქ. ქუთაისის ნაროდნიკებიც და მათ შორის ვ. გაბიჩვაძე.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო მეფის ხელისუფლებამ ვ. გაბიჩვაძეს წაართვა საშუალება სკოლებში უშუალო-პედაგოგიური მოღვაწეობისა,—ის მაინც განაგრძობდა ასეთ მოღვაწეობას არაპირდაპირი გზით, ე. ი. სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენით. ვ. გაბიჩვაძე შესანიშნავი კალიგრაფი იყო და მოწადინებული, რომ სუფთა და ლამაზი ხელით წერა ესწავლებინა ახალგაზრდობისათვის. ამ განზრახვით მან შეადგინა თავის დროზე კარგად ცნობილი „ქართული წერის დედანი“, რომელიც რამდენიმეჯერ იქნა გამოცემული სათანადო შესწორების შემდეგ, თანახმად იმდროინდელ ქართულ პრესაში მოთავსებული კრიტიკული შენიშვნებისა. ეს კრიტიკული შენიშვნები და „დედნის“ განხილვა მოთავსებული იყო 1882, 1884 და 1885 წლების გაზ. „დროებაში“ და 1883 წლის გაზ. „შრომაში“.

1884 წლის გაზ. „დროების“ № № 176 და 177-ში მოთავსებულია გამოჩენილი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის ზემოდასახელებული დედნის ვრცელი კრიტიკული განხილვა. გოგებაშვილი აღნიშნავს დედნის როგორც ნაკლს, ისე დიდებითი მხარესაც. ის ეხება საერთოდ დედნის შედგენის მეთოდს და წერს: „როცა თქვენ დედანს ადგენთ რომლისაზე გავრცელებული ანბანის მიხედვით, იძულებული ხართ დაემორჩილოთ იმ რიგს ასოებისას, რომელიც მოცემულია ამ ანბანში. მაგრამ თუ თქვენი დედანი ამ მხრით დამოუკიდებელია, იგი უთუოდ უნდა ემორჩილებოდეს ეგრედწოდებულს გენეტიურს მეთოდს, რომელიც მოითხოვს წინძლოლას იმ ასოებისას, რომელნიც უფრო მარტივნი არიან ელემენტებით და რთულ ასოების ელემენტს შეადგენენ. გაბიჩვაძე დასდგოდა ამ დამოუკიდებელ გზასა, გენეტიურს მეთოდს“. შემდეგ რეცენზენტი აღნიშნავს დედნის ავტორის მიერ ასოების ფ, უ, ღ, ლ და ლ წერის დროს წვრილი და მსხვილი ხაზების არასწორ გამოყენებას. „დანარჩენ ასოებში კი, განაგრძობს რეცენზენტი,—წვრილი და მსხვილი ხაზები წერის კანონს ემორჩილებიან. რაც შეეხება ასოების სილამაზეს, ზოგი მართლაც მოსაწონია“.

ეხება რა დედანში ასოების განლაგებას, გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ ასოები „რ, ბ და ნ უძლიან ზ-სა და უ-სა მაშინ, როდესაც უკანასკნელნი ბევრად ადვილნი არიან წინებზედ“ და ამიტომ ადვილი, გოგებაშვილის აზრით, წინ უნდა უსწრებდეს ძნელსა და გიდასკლა უნდა-

<sup>1</sup> სცსა, ფონ. 440, საქ. № 737, ფ. ფ. 105, 226.

ხდებოდა მარტივიდან რთულზე თანახმად პედაგოგიურ პრინციპისაო. შემდეგ რეცენზენტი დასკვნის, რომ „შიგა და შიგ სწორედ მოსვლია ასოების ჩარიგება, ასე რომ დედნის რიგს სრულიად ვერ დავიწუნებთ და აე-კარგვიანად უნდა ჩაითვალოს“.

„ქართული წერის დედნის“ გამოცემას იმ დროს ბევრი დაბრკოლება ელოებოდა წინ. ამ დაბრკოლების შესახებ თვით ავტორი 1884 წლის გაზ. „დროების“ № 184-ში გვიამბობს შემდეგს: „თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩემს წერის დედანს ყოველთვის ვასწორებ, თუ ვინმე ქართული წერის მცოდნე პირი გამომჩნდება და სალი შეხედულებით წერის საგანს ამიხსნის. ამასთანავე ცნობილი გაქვთ ჩემგან, რომ ქართული ასოების ქვაზედ ამოჭრა ერთობ საძნელო შემექნა თბილისში. რუსული დედნის შედგენა ერთი ასად უფრო საადვილოა ჩემთვის, და საადვილოა იმისათვის კი არა, რომ ქართულ წერაზე უფრო რუსული ვიცოდე, სულაც არა. საქმე ის არის, რომ თბილისის გრავეორებმა ქართული ასოების თვისება არ იციან. ივინი უფრო ევროპიულ შრიფტებზე არიან გაწვრთნილნი, და ის მიზეზი უნდა იყოს, რომ ჩემს ასოებს ისე ვერა სჭრიან ქვაზედ, როგორც დაწერილი მაქვს. დღეს სინიღისმა. ნება მომეცა, რამოდენიმეჯერ ვასწორების შემდეგ, გამომეცა ჩემი დედანი“.

გაზეთი „დროება“ 1885 წლის № 18 წერდა ვ. გაბიჩვაძის მიერ შედგენილი დედნის შესახებ: „დღეს მივიღეთ ბ-ნი ვარლამ გაბიჩვაძის „ქართული წერის დედანი“ მეორე ნაწილი. დედნის პირველი გვერდის პირველ სტრიქონში მოყვანილი არის ასოთგადაბმის ნიმუშები, შემდეგ იწყება მრგვალი გადაბმული ხელი. ეს მეორე ნაწილი „წერის დედნისა“ გაცილებით სჯობია ასოთ მოხაზულობითა და შნოთი ამავე დედნის პირველ ნაწილს. ეტყობა, ბ-ნი გაბიჩვაძეს მიუღია ყველა ის საფუძვლიანი შენიშვნები, რომელიც წარმოსთქვა კრიტიკამ მის დედნის პირველი ნაწილის შესახებ და სინიღისიერად უშრომნია ჩვენს თვალწინ მღებარე გამოცემისათვის“...

ცნობილმა ქართველმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ალ. მირიანაშვილმა 1885 წლის გაზ. „დროების“ № 33-ში მოათავსა დედნის კრიტიკული განხილვა. „ქართული წერის დედნის“ გამოცემა ალ. მირიანაშვილს სასიხარულო მოვლენად მიაჩნია, ვინაიდან „წერა შეადგენს ერთ სასწავლო საგანთაგანს და მისი მნიშვნელობა იმდენადვე დიდია, რამდენადაც დიდია კითხვის მნიშვნელობა. წერა და კითხვა განუშორებელი, უერთგულესი ძმები არიან. უერთმანეთოთ მათ ცხოვრება არ შეუძლიანთ—ამიტომ სწავლაში სხვათა საგანთა შორის უსათუოდ წერაზედაც უნდა ჰქონდეს მიქცეული განსაკუთრებული ყურადღება მასწავლებელსო“, —დაასკვნის რეცენზენტი. ის ზრჩევს მასწავლებლებს გულდასმით შეარჩიონ დედნები და გამოიყენონ პრაქტიკაში. ალ. მირიანაშვილი აღნიშნავს ქართული წერის დედნის შედგენის სიძნელეს, რაც გამოწვეულია მით, რომ ქართული ანბანის მოთავსება ბადეში ძნელია.

ამის გამო ზოგიერთი ასო (ე, ვ, ზ, მ, ნ, ჩ) უღაბათო გამოდის. ქართული ასოების ბადესთან შეგუების სიძნელე ვ. გაბიჩვაძის მიერ შედგენილ ქართული წერის დედანსაც დასტუბიაო. „საზოგადოდ რომ ესთქვათ, ქართულ ასოებს ერთობ რთული ბადე ეკირვებათ, ასე რთული, რომ თვითონ პატარა მოსწავლე თავის საშუალებით ვერას გზით ვერ მოახერხებს მის დახაზვას და იძულებული შეიქმნება ყოველთვის დაბეჭდილი რვეული იყიდოს ხოლმე... ბ. გაბიჩვაძეს, როგორც ეტუბა, ამ გარემოებისთვის მიუქცევიან ჯეროვანი ყურადღება და ამიტომ ამოურჩევიან ისეთი მარტივი და ადვილად დასახაზი ბადე, რომლის უმარტივესი, ვკონეპ, ველარც კი შეიძლებოდეს კაცმა გამოიგონოს“. შემდეგ რეცენზენტს აწერილი აქვს ამ ბადის შემადგენელი ნაწილები. განაგრძობს რა რეცენზენტი დედნის ავ-კარგადნობაზე საუბარს, ამბობს: „დედნის ორსავე ნაწილში საყურადღებონი არიან: ა) მაჯისა და თითების სავარჯიშონი, ბ) ქართული ასოების ელემენტები და გ) ასოების გადაბმა... საზოგადოდ დედნის ორივე ნაწილი ძლიერ სუფთად და ლაზათიანად არიან გამოცემული. ავტორი გვიპირდება მესამე ნაწილსაც; ეტუბა ნუსხური ხელი უნდა იყოს მესამე ნაწილში. ვისურვებთ, რომ მალე ველირსოთ იმასაც და ისიც ისე მადლიანად იყოს ნაშრომი, როგორც პირველები. ბოლოს არ შეგვიძლიან მხარი აუქციოთ და მოვიხსენიოთ ავტორის ერთი კაი თვისება. ამ თითქმის ორი წლის წინად ბ. გაბიჩვაძემ პირველად დაბეჭდა ის დედანი, რომელსაც ამჟამად ჩვენ ვეხებით. გამოსვლისთანავე, ჯერ მალაზიებში არც კი იყო დაწყობილი გასაყიდად, რომ ჩვენ იგო გავარჩიეთ და შეძლებისა და გვარად აღმოვაჩინეთ საკმაო ნაკლულევა-ნებანი. ავტორმა იხმარა იმდენი სულგრძელობა, რომ არ შეხედა იმოდენა დანახარჯს და სრულიად გათავებული, დაბეჭდილი დედანი აღარ გამოუშვა გასაყიდად და მთლიან თავისი შრომა ქარსა და წყალს მისცა. ეს გარემოება იმას ნიშნავს, რომ ავტორი არის აღკურვილი მხოლოდ ერთადერთის ხელმძღვანელის აზრით: საზოგადოებას უსათუოდ მოუტანოს სარგებლობა და არ განავრცელოს თავისი შრომა განურჩევლად იმისა, თუ რა შედეგი ექმნება ამისთანა გავრცელებას: კარგი თუ ავი. ღმერთმა ჰქმნას, რომ ყველა ჩვენი ავტორები ასეთი თვისებისანი იყვნენ“.

ასე გამოეხმაურა საზოგადოებრივი აზრი ვ. გაბიჩვაძის „ქართული წერის დედანს“, რომელიც კარგა ხანს იხმარებოდა ჩვენს სკოლებში.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა და მოწინავე ინტელიგენცია ხარბად ითვისებდა რუსეთის დიდი განმანათლებლების იდეებს და ჩაება რუსეთის რევოლუციური მოძრაობაში. XIX საუკუნის 70-იან წლებში ნაროდნიკული მოძრაობა რუსეთიდან საქართველოსაც მოედვა. ამ დროს როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ის ატარებდა რევოლუციურ ხასიათს, რითაც განსხვავდებოდა 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობისაგან.

ცნობილია, რომ ნაროდნიკული მოძრაობის მთავარ ცენტრად დასავლეთ საქართველოში ქუთაისი იყო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში—გორი. ვ. გაბიჩვაძემ თავის სამოღვაწეო ასპარეზად ქუთაისი აირჩია. ის იყო სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად და ამჟამად დროს აქტიურ და ხელმძღვანელ როლს ასრულებდა ნაროდნიკულ ორგანიზაციაში.

თბილისის ეანდარმთა სამმართველოს მხედველობიდან არ გამოპარვია ნაროდნიკული ორგანიზაციების მუშაობა საქართველოში; მათ ნაბიჯს ის გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა. თბილისის ეანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე შტაბს-კაპიტანი ზრისტოფოროვი, რომელსაც დავალებული ჰქონდა თვალყური ედევნებია ნაროდნიკული ორგანიზაციების მუშაობისათვის საქართველოში, თავის მოხსენებაში ასწერს ქუთაისის ნაროდნიკული ორგანიზაციის მუშაობას. ამ მოხსენებიდან ირკვევა, რომ ხალხში რევოლუციური აზრების გავრცელების მიზნით ვარ. გაბიჩვაძეს უთარგნინია ზღაპარი „ოთხი ძმა“. გარდა ამისა 23 მაისს 1876 წელს ქუთაისში მის ბინაზე სათათბიროდ შეკრებილან: მიხ. ყიფიანი, ილია ბახტაძე (ხონელი), ვ. გაბიჩვაძე, ნათაძე, ანტონ ლორთქიფანიძე და ოლლა ყიფიანი. ამ სათათბიროზე გაურჩევიათ შემდეგი საკითხები: ა) საერთო სალაროს დაარსება, რომლის შემოსავალი შეგროვდება: ბელისმოწერით, წარმოდგენების გამართვით, ბ) მოლარის, არჩევა, გ) გლეხებში პროპაგანდის წარმატებისათვის პროგრამის შედგენა.

სალაროს წესდების შედგენა მიუხედავად მიშო ყიფიანისათვის, პროგრამის შედგენა კი ვარლამ გაბიჩვაძეს აუღია თავის თავზე. ეს პროგრამა მას შესასწორებლად უნდა წაეღო ეგნატე იოსელიანთან<sup>1</sup>.

1876 წ. ნოემბერში საქართველოში ნაროდნიკული ორგანიზაციების ყველა წევრი გაჩხრიკეს და დააპატიმრეს, მათ შორის ვ. გაბიჩვაძეც. შემდეგ ყველა დაპატიმრებულის საქმე გაარჩია თბილისის საოლქო სასამართლომ, რომელმაც ვ. გაბიჩვაძეს ერთი წლის ციხეში პატიმრობა მიუსაჯა.

1888 წელს ქუთაისში ალექსანდრე III ჩამოსვლასთან დაკავშირებით ვ. გაბიჩვაძე გაძევებული იყო ქუთაისიდან რაჭაში.

ალსანიშნავია აგრეთვე ის ღვაწლი, რომელიც ვ. გაბიჩვაძეს მიუძღვის ქართული ხელოვნებისადმი, კერძოდ, ქართული თეატრისადმი. ცნობილია, რომ ნაროდნიკები თავისი იდეების ხალხში გასავრცელებლად და სწავლა-განათლების ხალხში შესატანად ფართოდ იყენებდნენ თეატრსაც. როგორც ჩანს, ნაროდნიკულ ორგანიზაციას ქუთაისში ვ. გა-

<sup>1</sup> შიო და ვი თა შვილი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, 1933 წ., გვ. 40—46.

ბიჩვადე და ელენე ყიფიანი სამუშაოდ მიუვლენია დრამატულ წრეში<sup>1</sup>. ვ. გაბიჩვადეს, როგორც ქვევით დავინახავთ, საკმაო არტისტიკული ნიჭი გამოუჩენია.

თეატრის შენობის უქონლობის გამო დრამწერს სხვადასხვა ნაქირავებ შენობაში უხდებოდა წარმოდგენების დადგმა. ეს შენობები სრულიად შეუფერებელი იყო წარმოდგენების დასადგმელად. დაისვა საკითხი თეატრის შენობის აგების შესახებ. დიდი გაკვირვებით ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას თეატრის შენობა აუგია. თუმცა ამ შენობას ბევრი ნაკლი ჰქონებია და მოუწყობელიც ყოფილა, მაგრამ მაინც შესაძლებელი გამხდარა წარმოდგენების გამართვა. ამასთან დაკავშირებით სცენის მოყვარეთა წრეს გადაუწყვეტია მუდმივი თეატრის დაარსება და შეუდგენია დასი, რომელშიაც სხვებთან ერთად ვ. გაბიჩვადეც შედიოდა. ერთ-ერთი სპექტაკლის შესახებ 1880 წლის გაზ. „დროების“ № 80-ში მოთავსებულია რეცენზია, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „შესანიშნავ კარგად გამოვიდა რაქველი (გაბიჩვადე) პეტრუას როლში. გაბიჩვადეს ჩვენ პირველად ვხედავთ სცენაზე და მართალი უნდა ვთქვათ, რომ ოსტატურად წარმოადგინა რაქველი სიტყვის გამოთქმით და ტანის მოძრაობით“.

1885 წ. ცნობილ საზოგადო მოღვაწეს და გამოჩენილ არტისტს კოტე მესხს შეუდგენია ქუთაისში დასი. ამ დასში მას მიუწყვევია ცნობილი მსახიობები, რომელთა შორის დასახელებულია ვ. გაბიჩვადეც.

როგორც მასალებიდან ირკვევა, ვ. გაბიჩვადე თეატრალურ ასპარეზზე მოღვაწეობდა ხან ქუთაისში და ხან თბილისში. მაგალითად, ვ. გაბიჩვადეს, როგორც 1884 წ. გაზ. „დროების“ № 178-ში მოთავსებულ განცხადებიდან ჩანს, მ. საფაროვას, ვ. აბაშიძესა, ა. მოხევესა და სხვებთან ერთად მონაწილეობა მიუღია არწრუნისეულ თეატრში დადგმულ კომედიაში „საქმრო გაკვირვებულ მღვთმარეობაში“.

აღსანიშნავია, რომ მას სხვა დამსახურებათა გარდა თავისი წვლილი შეუტანია გამოგონების დარგშიც. როგორც 1881 წლის გაზ. „დროების“ № 147-ში მოთავსებულ წერილიდან ჩანს, მას გამოუგონია ისეთი საშუალება, რომლითაც „დიდ მდინარე წყლის სიღრმეში წისქვილის ბორბალს ადვილად ატრიალებს, ასე რომ ამ საშუალებით შეიძლება რიონში, მტკვარში, ან მაზე მომეტებულს და ნაკლებ წყლებში წისქვილებიც გაკეთდეს, ხეების სახერხავი ქარხნებიც და სხვა“. სამწუხაროდ მასალებიდან არა ჩანს, იყო თუ არა გამოყენებული ეს გამოგონება და ან რა ბედი ეწია მას.

უკანასკნელი პერიოდი თავისი სიცოცხლისა ვ. გაბიჩვადემ გაატარა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სამსახურში, სადაც ის გიორგი ზდანოვიჩმა მიიწვია. ის მსახურობდა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ქუთაისის

<sup>1</sup> ს. გერსამია, ქუთაისის თეატრი, 1847 წ., გვ. 17.

კანტორაში საქმეთა მმართველად 1899 წლის მარტიდან 1907 წლის 15 ივლისამდე. ამ წლიდან მძიმე ავადმყოფობის გამო იძულებული იყო სამსახურისათვის თავი დაენებებია. ვ. გაბიჩვაძე 58 წლისა გარდაიცვალა 1908 წლის 9 აგვისტოს ამბროლაურის რაიონის სოფ. ჩორჯოში. მისმა ახლო ნათესაებმა ვერ მოახერხეს საზოგადოებისათვის თავის დროზე ეცნობებიათ მისი გარდაცვალება. ასე რომ განსვენებულის შესახებ უბრალო ნეკროლოგიც არავის მოუთავსებია იმდროინდელ გაზეთებში. ასე უბმოდ მიბარდა მიწას ის ადამიანი, რომელმაც თავისი მოვალეობა სამშობლოსადმი პირნათლად შეასრულა და ნაყოფიერად ემსახურა მას. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მისი საფლავიც კი დღეს უყურადღებობის გამო შეიძლება დაკარგულად ჩაითვალოს.

---



## ჯანგონ ნახოშვილი

(1852—1930)

გავეცნობით რა ანტონ ნატროშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, თვალწინ წარმოგვიდგება ადამიანი სამშობლოს ერთგული და მოსიყვარულე, კეთილშობილი აღმზრდელი, საზოგადო მოღვაწე, რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნე პატიოსან, ნაყოფიერ და სასარგებლო შრომას მოანდომა.

ანტონ ნატროშვილი დაიბადა 1852 წ. სოფ. მაჩხაანში (ქიზიყში). მამა ანტონისა სოფლის მღვდელი იყო. ის მისდევდა ხენა-თესვას, მევენახეობას და მეცხოველეობას. ანტონი და მისი უფროსი ძმები მამასთან ერთად შრომობდნენ და ბავშვობიდანვე კარგად იცნობდნენ სოფლის მეურნეობის იმ დარგებს, რომელსაც ქიზიყის მეცხოვერებნი ეწოდნენ. ბავშვობის შთაბეჭდილებათა გავლენის ქვეშ იგი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე კალმით თუ საქმით ქიზიყის მეურნეობის განვითარებისათვის იბრძოდა.

ანტონის მამა ივანე ნატროშვილი სწავლა-განათლების დიდი პატივისმცემელი იყო. მან ყველა თავის შვილს მიაღებია განათლება. რვა

წლის ანტონი თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, სადაც მისი ორი უფროსი ძმა სწავლობდა.

თელავის სასულიერო სასწავლებელი ანტონ ნატროშვილმა წარჩინებით დაამთავრა და სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში.

თბილისის სასულიერო სემინარიაში ანტონს სულშემხუთავი ატმოსფერო დახვდა: ყაზარმული რეჟიმი, უაზრო ზეპირობა, სქოლასტიკა. ქართველი ხალხის მოძულე აღმზრდელ-მასწავლებლები, რექტორი და ინსპექტორი რუსი მოხელე—მონარქისტები იყვნენ. ეს ანათორაგადაცმული ქანდარმები აბუჩად იგდებდნენ, ყოველგვარად ავიწროვებდნენ მოსწავლეებს და, რაც ყველაზე მეტად შემაწუხებელი და აუტანელი იყო ახალგაზრდა სემინარიელებისათვის, დევნიდნენ ქართულ ენას.

გონებაგახსნილი, სწავლამოწყურებული მოწინავე ახალგაზრდა სემინარიელები გმობდნენ სემინარიაში დამკვიდრებულ სქოლასტიკურ რეჟიმს, აშკარად ილაშქრებდნენ მის წინააღმდეგ.

„ჩემს მოსწავლედ ყოფნის დროს,—წერს ანტონ ნატროშვილი,—ტფილისის სემინარიაში მოხდა მოსწავლეთა აჯანყება, მოსწავლენი გმობდნენ სქოლასტიკურ მიმართულებას, სასწავლებელში გამეფებულს. მოითხოვდნენ ბუნებისმეტყველების, ახალი ენების სწავლის შემოღებას, ზათემატიკის სწავლის გაფართოებას, უნივერსიტეტში შესვლის უფლებას. ბურსაში სმა-ქამის და კვება-ცხოვრების გაუმჯობესებას. ამ მოძრაობაში, როგორც ყველანი, მეც მონაწილეობას ვიღებდი.“

სემინარიის წლები ახალგაზრდა ანტონმა მკაცრ რეჟიმთან ერთად დიდ ეკონომიურ სივიწროვეში გაატარა. აი, როგორ იგონებს იგი ამ წლებს: „ტფილისის სემინარიაში დაგლეჯილი და დაფლეთილი წულებით დავდიოდრი, მშვიერი მუცლით ვალამებდი, ცარიელი ხმელი პურიც არა მქონდაო“. მიუხედავად ასეთი სასტიკი პირობებისა, სემინარიის წლებს ანტონისათვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

სემინარიაში დაუახლოვდა ანტონი მოწინავე ახალგაზრდებს: შ. შიუკაშვილს, სანებლიძეს, სოფრომ მგალობლიშვილს, მოსე ჯანაშვილს, ეფრემ მარჯანიშვილს და სხვ... მისი მასწავლებლები იყვნენ: დიდი პედაგოგი და ქართველი ერის დიდი მოამაგე იაკობ გოგებაშვილი, ნ. ცხევადაძე, გ. იოსელიანი, პეტრე კოჩუაშვილი, ძმანი ცვეტკოვები და სხვ...

დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა მოსწავლეთა შორის ი. გოგებაშვილი. ასევე დიდი იყო მისი გავლენა ანტონ ნატროშვილზე, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დარჩა თავისი დიდი მასწავლებლის იდეების დამცველი და გამტარებელი.

თბილისის სასულიერო სემინარია ანტონ ნატროშვილმა პირველ მოსწავლედ სტუდენტის ხარისხით დაასრულა და არჩეულ იქნა სემინარიის მასწავლებლთა კორპორაციისაგან სახელმწიფო ხარჯზე გასაგზავნად ყაზანის სასულიერო აკადემიაში, რომ მიეღო უმაღლესი განათლება.



ყაზანის სასულიერო აკადემიაში ანტონ ნატროშვილმა პირველ კურსიდანვე მიიქცია ლექტორთა და მასწავლებელთა ურადლება: მის შიერ შესრულებული სავალდებულო თემა „Что такое идеи Платона“ საუკეთესოდ დაწერილი აღმოჩნდა. 1877 წელს 25 წლის ანტონ ნატროშვილმა სასულიერო აკადემია მაგისტრის ხარისხით დაამთავრა. მან თბილისის სასულიერო სემინარიაში ითხოვა სამსახური, მაგრამ სემინარიის აღმინისტრაციამ უარი უთხრა: აღმზრდელმა სემინარიამ არ მიიღო, როგორც „ბუნტის“ მონაწილე. ის გაიგზავნა სამარის სასულიერო სემინარიაში ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის მასწავლებლად, პედაგოგიკასვე ასწავლიდა პარალელურად ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში.

სამარაში ანტონი შვიდი წელიწადი მუშაობდა. 1884 წ. ის გადმოიყვანეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში არითმეტიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლად, ხოლო ერთი წლის შემდეგ თბილისის სასულიერო სასწავლებელში ინიშნება იმავე საგნების მასწავლებლად. ანტონი სხვა სასწავლებელშიაც მასწავლებლობდა, მაგ. 1886—1888 წ.წ. თბილისის ქართულ გიმნაზიაში ისწავლიდა რუსულ ენას, ჰქონდა გაკვეთილები მე-2 კომერციულ სასწავლებელში. 1898—1899 წ.წ. საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებს ხელმძღვანელობდა, სადაც ლექციებსაც კითხულობდა. ძირითადად კი ანტონ ნატროშვილი სასულიერო სასწავლებელში მოღვაწეობდა. ამ სასწავლებელში მან გაატარა 34 წელი.

1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ სასულიერო სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ ანტონი სასწავლებლის ზედამხედველად აარჩია.

ანტონ ნატროშვილისათვის ძნელი წარმოსადგენი არ იყო, რომ სასულიერო სასწავლებელი თანამედროვეებისათვის დიდ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა. ამიტომ მან შუამდგომლობა აღძრა სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთების შესახებ.

1918 წელს სასულიერო სასწავლებელი სასულიერო სემინარიის, შუერთდა და გიმნაზიად გადაკეთდა (VIII სასულიერო გიმნაზია). ახლად დაარსებული გიმნაზიის მოსწავლე ახალგაზრდობამ „პატრონად“ ანტონ ნატროშვილი მოინდომა და შემდეგი თხოვნით მიმართა საკათალიკოსო საბჭოს: ჩვენ გვინდა გამოცდილი, დამსახურებული და ყველგან პატივისცემით მიღებული, ჩვენზედ დაუღალავად მზრუნველი, რომლის კალთის ქვეშ აღვიზარდებით და გონებით განვითარდით...ეს კეთილი და ბრწყინვალე კლარით მოსილი ადამიანი არის ბ-ნი ნატროშვილი, იგი უნდა იყოს ჩვენ პატრონად, დირექტორად“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> სახალხო განათლების მუხეუმი, № 232.

ახალგაზრდა თაობის ეს გულწრფელი განცხადება ანტონ ნატროშვილის, როგორც აღმზრდელისა და პედაგოგის შესანიშნავი დახასიათებაა.

1919 წლიდან ანტონ ნატროშვილი თავის მშობლიურ კუთხეს, ქიზიყს დაუბრუნდა. ბავშვობიდანვე უყვარდა ანტონს, როგორც აღვნიშნეთ, ქიზიყის მინდორ-ველები, ძველი ციხე-კოშკების ნანგრევები, მისი ტყეები და ვენახები.

თანასოფლელები ანტონს გულთბილად შეხვდნენ, გამოუცხადეს დიდი ნდობა და მოსამართლედ აირჩიეს. ამ თანამდებობაზე მან თავისი ხალხის უზომო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

1923 წლიდან ანტონ ნატროშვილს შესაძლებლობა მიეცა კვლავ დაბრუნებოდა თავის საყვარელ საქმეს, ბავშვებს, სკოლას. ჯერ ქვემო მაჩხაანის შვიდწლედში მასწავლებლობდა, შემდეგ სოფ. ყანდაურის შრომის სკოლის გამგედ დაინიშნა. ბოლოს ჯანმრთელობამ ელაღა და ხანდაზმულმა, ჯანგატეხილმა დამსახურებულმა პედაგოგმა 1927 წლიდან თავი დაანება ახალთაობის აღზრდის საქმეს.

საბჭოთა მთავრობამ დააფასა მისი ხანგრძლივი პედაგოგიური მუშაობა და პენსია დაუნიშნა.

ანტონ ნატროშვილი პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად საზოგადოებრივ ასპარეზზედაც ნაყოფიერად მოღვაწეობდა. მის კალამს ბევრი საყურადღებო წერილი ეკუთვნის. განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეს მან ბევრი საინტერესო სტატია უძღვნა.

1895 წლის ეურნალ „კავკაზსკოე სელსკოე ხოზიისტეოს“ 99-ე ნომერში დაიბეჭდა ნატროშვილის წერილი, რომელშიც „დედოფლის არხის“ აღდგენასა და ალაზნის ველის მორწყვაზე ლაპარაკობს. ამ მოთხოვნას ასე ასაბუთებს: ეს არხი, გარდა იმისა, რომ გაადიდებს ყურძნისა და პურის მოსავალს, შესაძლებლობას მისცემს კახეთსა და ქიზიყს, რომ გაშენდეს, განსაკუთრებით ალაზნის ველზე, მაღალ-კულტურული ძვირფასი მცენარეები: ჩაის ბუჩქი, შაქრის ლერწამი, თამბაქო, ბამბა, ნუშის, ფშატისა და თუთის ხეები“.

აღსანიშნავია აგრეთვე 1897 წლის ზემოდასახელებული ეურნალის 203-ე ნომერში დაბეჭდილი წერილი „კახეთის რკინიგზის შტოს საკითხისათვის“. სტატიის ავტორი კახეთისათვის დიდად სასარგებლო და საჭირო საქმეს—რკინიგზის ხაზის გაყვანას მოითხოვს.

ანტონ ნატროშვილი, დიმიტრი მაჩხანელთან ხელჩაკიდებული ერთგულად და ენერგიულად მუშაობდა თავისი ხალხის ჭირვარამის შესამსუბუქებლად. ქიზიყის ორი მოკირანხულე შვილი საქმით და კალმით იბრძოდა, რომ ჩარჩ-ვაჭრების, ექსპლოატორებისა და „არაწმინდა კაცუნებისაგან“ ეხსნათ ეს მხარე.

ერთ თავის კერძო წერილში დიმიტრი ნადირაძე (მაჩხანელი—მ. მ.). აი, რას წერს ანტონ ნატროშვილს:

„შენ როგორც ქიზიყის მიწა-წყლის ძუძუთი აღზრდილი და მისი ცნობილი შვილი, კარგი იქნებოდა... მოსულსავე და ყოველივე ადგილობრივ გამოგვერკვივნა და გადაგვეწყვიტა ქიზიყის სოფლის წარმომადგენელთა თანდასწრებით“.

ანტონ ნატროშვილისა და დიმიტრი მაჩხანელის თაოსნობით ქიზიყში დაარსდა მატყლის საწყობი, ქვემო მაჩხანში გაიმართა „დეპო“ და სავაჭრო შემნახველ-გამსაღებელი „კასსა“.

მრავალი საჭირობოროტო საკითხი წამოქრა ანტონ ნატროშვილმა თავისი ხალხის საკეთილდღეოდ, რომელთაც ბორცი შეესხა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ანტონ ნატროშვილი წვერი იყო წერა-კითხვის გაშავრცელებელი საზოგადოების, ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოებისა, სვეტიცხოვლის სარესტავრაციო კომიტეტის და სხვ.

ანტონ ნატროშვილი დიდად დაინტერესებული იყო საქართველოს წარსულით, მისი მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლითაც. მან საფუძვლიანად შეისწავლა მცხეთისა და ჩვენი შორეული წარსულის შესანიშნავი ძეგლის მცხეთის ტაძრის ისტორია და 1901 წელს გამოქვეყნა ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის ნაშრომი „მცხეთა და მისი ტაძარი სვეტიცხოველი“. დიდი შრომა და ენერჯია დახარჯა ავტორმა ამ სერიოზული ნაშრომის შესადგენად.

ანტონ ნატროშვილმა ეს სქელტანიანი ნაშრომი საკუთარი სახსრებით და თაოსნობით შესძინა ქართული კულტურის ისტორიას. აღსანიშნავია ისიც, რომ წიგნის რეალიზაციით შეგროვილი თანხა მცხეთის ტაძრის რესტავრაციისათვის იყო განკუთვნილი.

ანტონ ნატროშვილი ამ ნაშრომით მულამ მოიხსენიება ქართული კულტურის ისტორიაში.

ანტონ ნატროშვილის კალამს ეკუთვნის იმგვარივე ხასიათის სხვა ნაშრომებიც. 1893 წელს დაიბეჭდა ანტონ ნატროშვილის „კრებული არითმეტიკის ამოცანებისა და სავარჯიშო მოქმედების წარმოების მასალა“. კრებული მოწონებული და მიღებული იყო სახელმძღვანელოდ სასულიერო სკოლებისა და სამოქალაქო პირველდაწყებითი სასწავლებლებისათვის. კრებულის ავტორის მიზანი იყო, დახმარებოდა აღნიშნულ სასწავლებლებს მშობლიურ ენაზე შედგენილი სახელმძღვანელოებით, რაც იმ დროისათვის ასე საჭირო იყო.

„კრებულის“ გამოსვლას გამოეხმაურა ცნობილი პედაგოგი ვასილ ყიფიანი. ის 1894 წლის ეურნალ „მოამბის“ მე-3 ნომერში მოთავსებულ რეცენზიაში ამბობს: „ბ.ნი ნატროშვილის კრებულის შესამჩნევ ღირსებათა შორის უნდა აღინიშნოს ციფრების სწავლება პირველ განყოფილებაში ნულების, ჯერების და კვადრატების საშუალებით. ასეთი ჩარ-

თვა კრებულში მეთოდურ სახელმძღვანელოების ელემენტებისა ჩვენ ძალიან სასარგებლოდ მიგვაჩნია; სხვადასხვა ნიშნების სხვადასხვა რიგზე დაწყობა, მათი სხვადასხვა რიგად შეჯგუფება და ამით თვალსაჩინოდ გამოხატვა იმისა, თუ როგორ შეიძლება შესდგეს თვითოელი რიცხვი, ჩვენ აუცილებელ საკირობებად მიგვაჩნია... ბ-ნი ნატროშვილის კრებულში მოსაწონია აგრეთვე ტაბულები რუსულ და ქართულ ზომებისა და დამატება, რომელიც შეიცავს მრიცხველობას ქართულ ასოებით.“ ბოლოს შენიშნავს რეცენზენტი, რომ „ენა ნატროშვილის კრებულისა საკმაოდ მსუბუქი და ფაქიზია“.

ანტონ ნატროშვილის სახელმძღვანელომ საერთო მოწონება დაიმსახურა და 1899 წელს მესამედ გამოიცა.

ანტონ ნატროშვილის მთავარ საზრუნავ საგანს სახალხო განათლების საქმე წარმოადგენდა და ამ დიდ საქმეს ის პრაქტიკული და ლიტერატურული მოღვაწეობით ემსახურებოდა.

სახალხო სკოლების გაჯანსაღების საქმეს უძღვნა ანტონ ნატროშვილი ერთი ბროშურა: „Обучение на родном языке и его культурное народное значение“. 1903 г.

ავტორი ხაზს უსვამს სახალხო სკოლების დიდ მნიშვნელობას, როგორც ხალხის სულიერი კულტურის ამალღების მძლავრ იარაღს და უდიდესი სარგებლობის მომტან წყაროს.

„სახალხო სკოლა იმ შემთხვევაში მოუტანდა ხალხს სიკეთეს—წერს ანტონ ნატროშვილი—თუ ის იქნებოდა ხალხთან ახლოს და სწავლება იქნებოდა დედაენაზე. სწავლა, მოგლეჯილი ძირითად ფესვებიდან, როგორსაც წარმოადგენს მშობლიური ენა, მოსწავლეთათვის ხდება ამ შემთხვევაში მექანიკური, შეუგნებლად გადადის უმიზნო ზეპირობაში და უკიდურესად აღუნებს ბავშვის მეხსიერებას, უსპობს მას უნარს, რომ შემდეგშიაც ისწავლოს სწორად“.

ანტონ ნატროშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალთა განათლებას. „ჩვენს ქვეყანაში ქალთა განათლების ზრდა თავდებია ხალხთა ეკონომიურად გაძლიერებისა, ქალზეა დამოკიდებული ერის მომავალი, ქალი, განათლებული დედა, შემოუნახავს ერს ტომობრივ თავისებურებას და ტომობრივ კილოს“.

ანტონ ნატროშვილი სახალხო სკოლებში დედაენაზე სწავლებასთან ერთად აუცილებლად თვლიდა რუსული ენის შესწავლას.

ანტონ ნატროშვილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ერთგულად ემსახურებოდა საბჭოთა სკოლას.

როდესაც განახლებულმა ცხოვრებამ შრომის სკოლებს ახალი მოთხოვნილებები წამოუყენა და სკოლებს დაევალა შესწავლა და გაცნობა იმ მხარისა, სადაც მათ უხდებოდა მუშაობა, სკოლის ამ ახალ მოთხოვნილებებს, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ანტონ ნატროშვილი კვლავ მისთვის ჩვეული ენერგიით გამოეხმაურა. მან შეადგინა „მხარეთა-მცოდ-

ნეობა. კახეთის ოლქი. ძირითადი ფიზიკო-გეოგრაფიული ცნობარი და დედა-მიწის ზოგადი მიმოხილვა“—სახელმძღვანელო II და III საფეხურის შრომის სკოლებისათვის.

სახელმძღვანელოს ავტორი სოციალისტური ქვეყნის მშენებელთა აღზრდაში საბჭოთა შრომის სკოლის როლის შესახებ წერდა: „შრომის სკოლა და სასოფლო-სამეურნეო სკოლები უმთავრეს იარაღს წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო განვითარების საქმეში. მათი საშუალებით შესაძლებელია ფართოდ იქნეს გავრცელებული მოსახლეობაში სამეურნეო ცოდნა და ამ ცოდნით აღჭურვილი მუშაკების და კადრების მომზადება“.

ცხოვრების პირობების გარდაქმნისათვის შრომის სკოლებში მხარეთმცოდნეობის სწავლების მაღალ დონეზე დაყენება ანტონ ნატროშვილს გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა. „ამ დიდმა საქმემ რომ სასურველი შედეგი გამოიღოს, საკიროაო—ამბობს ანტონ ნატროშვილი—არა ცალკეულ პიროვნებათა შრომა, არამედ მასწავლებლების ურთიერთ შეთანხმებული კოლექტიური მუშაობა“—ანტონ ნატროშვილის დასახელებული სახელმძღვანელო არ დაბეჭდილა.

გარდაიცვალა ა. ნატროშვილი 1930 წლის 18 აპრილს. დაკრძალულია დიდუბეში.

#### ლიტერატურა

სოფ. მგალობლიშვილის „მოგონებანი“.

ლ. ა. ნატროშვილის „მოგონებანი“ სახალხო განათლების მუზეუმი. № 6308. ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი განყოფილების ფონდი №№ 9465—6, 9491—6, 9492—6.

ა. ნატროშვილი „მხარეთა-მცოდნეობა“. სახალხო განათლების მუზეუმი № 6309.

„Кавказское сельское хозяйство“, 1895 г. №№ 75, 82, 99, 103, 122.

„Духовный вестник“, 1900 г., № 11.

„განათლების მუშაკი“, 1925 წ., № 1.





## მარიამ ორბელიანი

(1852—1941)

მარიამ ჯამბაკურიან-ორბელიანისა ერთადერთი ასული იყო გამოჩენილი ქართველი პოეტის ვახტანგ ვახტანგის-ძე ჯამბაკურიან-ორბელიანისა, რომლის დიდი ოჯახი თბილისში თავის დროზე განთქმული იყო თავისი კულტურით. ვახტანგის ოჯახი 40-ანსა და 50-ან წლებში წარმოადგენდა აგრეთვე შესანიშნავ სალონს, სადაც ხშირად იყრიდა თავს იმ პერიოდის მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა იმ დროისათვის საჭირო და აქტუალური სხვადასხვა საკითხების გასარჩევად და გადასაწყვეტად. მათი შეყრისა და მსჯელობის უმთავრესი: საგანი, ცხადია, ქართული ლიტერატურა იყო.

ამგვარს კულტურულ და პატრიოტულ ოჯახში დაიბადა 1852 წლის 11 ივლისს (ძვ. სტ.) მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანისა. 4 წლის ასაკამდე პატარა მარიამი მხოლოდ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდა. მაგრამ როცა მის უფროს ძმას ნიკოლოზს ფრანგი ქალი მოუყვანეს მასწავლებლად, სწავლებაში მარიამიც ჩაბმულა და 7 წლის რომ ყოფილა,

თავისუფლად კითხულობდა თურმე ფრანგულ საბავშვო წიგნებს. 9 წლის მარიაში დედამ და ძმამ ევროპაში წაიყვანეს. მათთან ერთად მოგზაურობდნენ ირაკლი ალექსანდრეს-ძე ბაგრატიონი (1827-1882), მეფე ერეკლე II შვილის შვილი, რომელიც ამჟამად დროს ვახტანგ ორბელიანის ბიძა-შვილი იყო დედით (ვახტანგის დედა თეკლე ერეკლეს უკანასკნელი ქალი იყო), ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე და სხვა ქართველები, რომელნიც იმ ხანებში იტალიაში მომხდარი დიდი ამბებით იყვნენ დაინტერესებულნი. ერთ-ერთ სადგურზე ირაკლი ბატონიშვილს წაუქვებია პატარა მაშო მატარებლის ფანჯრიდან დაეძახა ჯ. გარიბალდის იტალიელ ჯარებისათვის „გაუმარჯოს თავისუფალ იტალიასო“, რასაც ჯარისკაცთა ძლიერი ვაშა და აღფრთოვანებული შეძახილები გამოუწვევია. „პირველად მაშინ გაიღვიძა ჩემში პატრიოტულმა გრძნობამ დიდი სიძლიერით“ — წერს იგი თავის მოგონებებში („ლიტ. მატრიანე“, № 5/1).

სხვადასხვა საგნის მასწავლებლებისა და გუვერნიორთაგან მომზადებული, უკვე ქართულ, რუსულ, ფრანგულ და იტალიურ ენებს დაუფლებული 16 წლის მარიაში სიმწიფის ატესტატის მისაღებად თბილისის ქალთა კურსებზე მოეწყო. აქ მოღვაწეობდნენ თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის მასწავლებლები, რომელთაგან მარიაში დიდი სიყვარულით იგონებს ცნობილ ქართველ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ნიკოლოზ ლოდობერიძეს, მასწავლებელ ივანიძეს და სხვ. 1870 წელს მარიაშმა აღნიშნული კურსები დაასრულა და უმაღლესი განათლების მიღებისათვის მზადებას შეუდგა.

1872 წელს დალისტანში მოგზაურობისას მარიაში დაუახლოვდა მაშინ ქ. პეტროვსკში მყოფ სამხედრო პირს ალექსანდრე ივანეს-ძე ორბელიანს, რომელსაც მისთხოვდა კიდევ და, ამგვარად, 20 წლის ასაკიდან ის ოჯახურ უღელში შეება. ორივე ცოლ-ქმარი საცხოვრებლად გადავიდნენ სოფ. ლამისყანაში. აქ მარიაშმა ლამისყანელ გლეხთა ბავშვებისათვის მოაწყო დაწყებითი სკოლა, რომლის მასწავლებლობაც თვითონ იკისრა. მარიამის სკოლა იყო ნამდვილი მშობლიური სკოლა, სადაც ყველა საგანი მშობლიურ ენაზე ისწავლებოდა. ამ სკოლის გახსნისათვის მარიამს არავინ შეუწუხებია, არც გლეხობა და არც უმაღლესი მთავრობა, მისი დაარსების ნებართვა არავისათვის უთხოვია და არც მისი მასწავლო გეგმა და პროგრამა იყო ოფიციალურად ვინმესთან შეთანხმებული, რამაც ხელისუფლების თვალში ერთგვარი უნდობლობაც გამოიწვია.

სახალხო სკოლების ერთ-ერთი ინსპექტორი გაცნობია მარიამის მუშაობას და სადილის შემდეგ, წასვლის ხანს ენთუზიასტ მასწავლებლისათვის სერიოზულად უთქვამს: „ადვილი შესაძლებელია დიდი უსიამოვნება მიიყენოთ თქვენ თავს, თუ უნებართვოდ განაგრძობთ ბავშვების სწავლებასო“ (იქვე, გვ. 84). ამ გაფრთხილებასა და მუქარას მარიაში ოდნავადაც არ შეუშინებია. მას ენერგიულად, სიყვარულით და დიდი ხალისით განუგრძია დაწყებული საქმე. სანამ სოფელში იყო, მას თავის ამ



სკოლისათვის ზრუნვა არ მოუკლია. უფრო მეტიც, ის ყოველ საახალ-წლოდ სოფლის პატარა ბავშვებს ნაძვის ხეს უწყობდა, რომელიც მანამდე არასოდეს არ ენახათ მათ. მთელი კვირის განმავლობაში მის სახლში იყო ბავშვების განუწყვეტელი ქრიაბული, სიმღერა, ცეკვა, მხიარულება და ტრიალი მრავალფერად გადაქცევილი ნაძვის ხის გარშემო.

მარიამ ორბელიანისა, როგორც ასული გავლენიანი პირისა და მეუღლე მეფისნაცვლის ადიუტანტისა, თავადაც გავლენიანი ქართველი ქალი, დიდი მფარველი იყო ლამისყანელებისა ყოველმხრივ. მრავალ შემთხვევისაგან თითო-ოროლა ეპიზოდი მაინც დავსახელოთ. იყო შემთხვევა, როცა ლამისყანელებს რალაც უმნიშვნელო დანაშაულისათვის ყაზახების მთელი რაზმი ჩაუყენეს. ერთ დღეს, როცა მამაკაცები ყანებში იყვნენ სამუშაოდ გასულნი, ყაზახები ქალებს დარევიან და სოფელში ერთი წიოკობა შექმნილა. მაშინვე პატარა გოგო გაუფრენიათ მარიამ ორბელიანთან, რომელიც აღეშფოთებია ამგვარ თავხედობას და მაშინვე ინციდენტის ადგილზე გაჩენილა. შეხვედრია თუ არა პირისპირ მათ ოფიცერს, სასტიკი გულისწყრომა გამოუთქვამს და განუცხადებია მისთვის: გავიგე, ჯარისკაცებს სოფლის დედაკაცები დაუქერიათ და ფეხით გორში მიჰყავთ. გიცხადებთ, რომ მეც იმათ გავყვები, თუ ახლავე ბრძანება არ გავციოთ გაანთავისუფლონ დაქერილი ქალები, (და იცოდეთ ისიც, ამ ძალმომკრეობისათვის პასუხს მოვათხოვნიებ თქვენთვის)... ოფიცერს ბოდიში მოუთხოვია, თავის მართლებას მოჰყოლია და ბრძანებაც გაუცია დაებრუნებით ეს ქალები. ამასობაში დაბრუნებული და შეშინებული ქალებიც თავის მხსნელს შემოხვევიან და დიდი მადლობა გადაუხდიათ (იქვე).

მარიამ ორბელიანმა დიდი შრომა გასწია სოფ. ლამისყანის კეთილმოწყობისათვის. მისი თაოსნობით სოფელში დაარსდა ფოსტა, გამოყვანილ იქნა წყალი და ა. შ. ასეთსავე ზრუნვას იჩენდა მარიამი სოფ. ატენის მიმართაც.

1879 წელს თბილისში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ დაარსდა. მარიამ ორბელიანი მისი ნამდვილი და დამფუძნებელი წევრი ხდება. იმავე 1879 წელს ეს საზოგადოება თბილისში ხსნის ქართულ სკოლას, რომელთანაც ყალიბდება სკოლის დამხმარე კომიტეტი. ამ კომიტეტის გამგეობაში არჩეულ იქნენ კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-მატონი (თავმჯდომარე), მარიამ ორბელიანი (თავმჯდომარის ამხანაგი), მიხ. ყიფიანი, ილია წინამძღვრიშვილი, პავ. ყიფიანი, ნიკოლოზ ცხვედაძე და რაფიელ ყაზბეგი. სკოლის ინსპექტორად არჩეულ იქნა ექვთიმე თაყაიშვილი. როგორც ამ კომიტეტის მუშაობის მასალებიდან ჩანს, მისი წევრები და თავმჯდომარეები ხშირად იცვლებოდნენ, ყოველი არჩევნების დროს ხდებოდა რამდენიმე წევრის ან თვით თავმჯდომარის შეცვლა, რაც მარიამ ორბელიანს არასოდეს არ შეხებია. 35

წლის განმავლობაში ის იყო ამ კომიტეტის უცვლელი თავმჯდომარის მოადგილე, ფაქტიური თავმჯდომარე და ნამდვილი ხელმძღვანელი.

როგორც თვით მარიამ ორბელიანი აღნიშნავს, სკოლაში ისეთი მოსწავლეებიც სწავლობდნენ, რომელთაც პურიც კი არ ჰქონდათ საკმარისად. მარიამი კომიტეტის რომელიმე წევრის თანხლებით დადიოდა მოსწავლეთა ოჯახებში, სწავლობდა მათი ცხოვრების პირობებს, შველოდა მათ სასწავლო ნივთებისა და ტანისამოსის შეძენაში. მისივე ინიციატივით 1888 წელს ამ სკოლის მოსწავლეებისათვის გაიხსნა უფასო სასადილო, სადაც თვით კომიტეტის წევრები მორიგეობდნენ ყოველ სადილის დროს და აწესრიგებდნენ მოსწავლეების სადილის მიღებას. სასადილოსათვის საჭირო თანხებს მარიამი აგროვებდა სხვადასხვა წყაროებისა და შემოწირულების სახით. ხშირად აწყობდა ლატარია-ალეგროებს და შემოსული თანხებით სკოლის სასადილოს ამარაგებდა.

1886 წლიდან მარიამ ორბელიანი არჩეულ იქნა აგრეთვე ამავე წელს ჩამოყალიბებულ „მასწავლებელ ქალთა საზოგადოების“ გამგეობის წევრად. ამ მოვალეობას ის 33 წლის განმავლობაში ასრულებდა მაღალი პასუხისმგებლობით. საზოგადოება მიზნად ისახავდა მასწავლებელ ქალთა მიტერიალურ და იდეურ დახმარებას, პედაგოგიურ სარბიელზე ქალის შრომის გამოყენებას, ქალის უფლების დაცვასა და სხვ. ამ საზოგადოების თავმჯდომარე იყო გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ეურნალი „ჯუჯილის“ დამაარსებელი და მისი მუდმივი რედაქტორ-გამომცემელი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. მარიამ ორბელიანთან ერთად ანასტასია წერეთლის მუდმივი ხელმძღვანელობით „მასწავლებელ ქალთა საზოგადოებამ“ და მისმა სკოლამ თვალსაჩინო როლი შეასრულეს სახალხო განათლების გავრცელების საქმეში.

ილია ქავკავაძე, რომელიც ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალთა დედათა აღზრდის საქმეს, 1886 წელს წერდა: „პირველი მგალითია, რომ ქალებს თავისი საქმე დაუწყიათ... თავისი საკუთარი მხნეობა, საკუთარი თაოსნობა და საკუთარი თვითმოქმედება ფარხმლად აუღიათ, რომ თავის საკუთარს ძალ-ღონით წინ აღუდგნენ ქალთა დამჩაგრავს გარემოებასა და ბედი, შეძლებისამებრ, თავისკენ მოატრიალონ. ამ თვითმოქმედებაშია მთელი სიმძიმე ამ თავმოსაწონი და პატიოსანი საქმისა, აზასთანვე მთელი სახელოვნებაც, და ამაზედვეა დამყარებული იმედი გაჰარჯვებისა“... (ტ. VII, გვ. 235).

მარიამ ორბელიანი 1887 წლიდან იყო აგრეთვე წევრი სამუსიკო სკოლის კომიტეტისა. ამ სკოლის დირექტორად მაშინ მუშაობდა ცნობილი მუსიკოსი იპოლიტოვ-ივანოვი. ამ ორმა ადამიანმა ფეხზე დააყენა, გააძლიერა და განამტკიცა ეს სასწავლებელი, რომელიც ნამდვილი წინამორბედი და ურყევი საფუძველი შეიქნა ქართული მუსიკალური განათლების შემდგომი განვითარებისა („ლიტ. მატრიანე“, № 5/1).

იმ მუშაობას, რასაც მოწინავე ქართველი ქალები ეწეოდნენ ქალთა

განათლებისათვის მ. ორბელიანთან ერთად, მაღალ შეფასებას აძლევდა ი. გოგებაშვილი 1884 წელს გაზეთ „დროებაში“ (№ 189) გამოქვეყნებულ მის სპეციალურ წერილში ქალთა განათლების აუცილებლობის შესახებ მშობლიურ ენაზე. ი. გოგებაშვილის აზრით „ნასწავლი და ნიჭიერი ქალი, დაიარაღებული ქართული ენის და ლიტერატურის ცოდნით, ადვილად გაიკვლევს გზასა, ადვილად დაადგება პატიოსანს და სასარგებლო შრომას, ადვილად იპოვნის დამოუკიდებელ სახსარს ცხოვრებისათვის, გადაიქცევა საზოგადოებრივ რაოდენობად და პირნათლად შეასრულებს ადამიანის დანიშნულებას“.

ზედმეტი არ იქნება აქვე მოვიყვანოთ ერთი ცნობა „შეუძლებელ მოსწავლეთა კომიტეტის“ 1888 წლის ანგარიშიდან, რომელიც მარიამ ორბელიანის ღვაწლს ერთგვარ დახასიათებას აძლევდა. ანგარიშში აღნიშნულია, თუ როგორ მოქმედებდა მარიამ ორბელიანის თავმჯდომარეობით ის ქალთა კომიტეტი, რომლის წევრებად იყვნენ: ოლგა ქავჭავაძისა, ეკერისთავისა, ელენე ყურაევსკისა, ეკატერინე გაბაშვილისა, ანასტასია თუმანიშვილის ასული და ეფროსინე ქიქინაძისა. „ეს განყოფილება იღწვის, აღნიშნულია ანგარიშში, — როგორც განყოფილება ჩვენი კომიტეტისა და მრავალი თანაგრძნობიცი აღმოიჩინა, რომელთაც კომიტეტის დახმარება იკისრესო. ამგვამად ქალთა ამ კომიტეტს მოგროვილი აქვს 600 მან.“ და სხ., რის შემდეგ იქვე წარმოდგენილია მთელი ანგარიშწარმოება 1888 და 1889 წლებისა („ივერია“, 1889 წ. № 99). გაზეთი „ივერის“ ამავე წლის ფურცლებზე ქართული სკოლის გამგე კომიტეტი მადლობას უცხადებს მარიამ ორბელიანს იმ საღამო-ბალის გამართვის გამო, რომლის შემოსავალი მთლიანად სასწავლებლის კომიტეტს გადაეცა ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ (№ 44).

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, თბილისის გუბერნიის „ღარიბ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოება“, ქართული სკოლის „სამშროუნველო კომიტეტი“, „მასწავლებელ ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოება“, ქართული წიგნის საგამომცემლო „ამხანაგობა“, „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება“ და კიდევ ვინ მოსთვლის, თუ სად და სად იყო მ. ორბელიანი, ეს სამაგალითო ქართველი ქალი, ჩაბმული ზოგან როგორც წევრი, ზოგან როგორც მფარველი, დამფუძნებელი, თავმჯდომარის ამხანაგი ან თვით თავმჯდომარე.

მარიამის ამგვარი მოღვაწეობით სულიერად კმაყოფილი მისი სახელოვანი მამა კიდევ უფრო ახალისებდა თავის საყვარელს და ერთადერთ ქალს. მას ეს თავისი განწყობილება გამოთქმული აქვს მარიამისადმი მიძღვნილ ღრმად ლირიულ ლექსებში, რომელთაგან ზოგი ჯერაც გამოუქვეყნებელია. თავისი სიცოცხლის მიწურულში იგი „სოფლისაგან გულით დაწყლულებული“ ასე მიმართავდა მარიამს:

სხვას არას ველი, არავის ვსწყევლი,  
თუმცა ამ სოფელს არცა რას ვლოცავ,  
მაგრამ კი შენთვის და სამშობლოსთვის  
იმ დიდ ქარს წინა ცრემლით ვილოცავ (გვ. 134).

მამის ეს განწყობილება და ანდერძი მარიამს მთელ თავის სიცოცხლეში შერჩა. მან საყვარელი მამისაგან იცოდა, რომ ყველაზე უკვნობი ძეგლი ხელთუქმნელი ძეგლია, რომლის მოპოვება მხოლოდ ხალხის სამსახურით შეიძლებოდა. მხოლოდ ამგვარი სამსახურით მოპოვებული ძეგლი

არს შენი ძეგლი მკვიდრი, მდიდარი,  
მას ვერ შემუსრვენ დრო და ავდარი,  
და იგი ძეგლი სჯობია ძეგლთა,  
მარმარილოთ და თითბრით ნაგებთა (გვ. 117).

1890 წ. მამის სიკვდილის შემდეგ მარიამმა ნათესავეებთან ერთად საზღვარგარედ იმოგზაურა. დაბრუნების შემდეგ კი ის კვლავ ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში კიდევ მეტი მონღომებით.

დავასახელოთ რამდენიმე ფაქტი:

1891 წლის 14 ოქტომბერს ცნობილი საზოგადო მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი სწერდა მწერალ იონა მეუნარგისას: „იონა, მშვენიერი მარია, ვახტანგ ორბელიანის ქალი, ამ დღეებში დაბრუნდა საზღვარგარეთიდან და აპირებს მამის ლექსების დაბეჭდვას. წუხელის გამოცემის თაობაზე მასთან ვიყავით გოგებაშვილი, თაყაიშვილი და მე. დაიბეჭდება სურათით, ბიოგრაფიით და წინასიტყვაობით. ეს წინასიტყვაობა და ბიოგრაფია შეხ მოგანდეს. ამისათვის მასალები უნდა შეგკრიფოთ და გამოგიზავნოთ“ (ზუგდიდის მუზეუმის შრომები ტ. 1, გვ. 225). ეს საქმე მარიამ ორბელიანის საფასით და თაოსნობით შესრულდა კიდევც. 1894 წელს გამოიცა ვახტანგ ორბელიანის ლექსების სრული კრებული, რომელიც დღემდე ითვლება საუკეთესო გამოცემად.

1906 წელს, როცა თვითმპყრობელობის დამსჯელი რაზმები გენერალ ალიხანოვის სარდლობით გასანადგურებლად შეესია დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით კი გურიას, და ცეცხლს მისცა მთელი ეს მხარე, მარიამ ორბელიანმა შეადგინა ქართველ ქალთა სპეციალური წრე, რომელმაც საპროტესტო წერილი გაგზავნა საზღვარგარეთ. ეს წერილი საზღვარგარეთულმა გაზეთებმა დაბეჭდეს. მარტო ამ პროტესტებით როდი დაკმაყოფილდა მარიამ ორბელიანი და მისი წრე. მან შეადგინა რეაქციის ცეცხლით დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი. რომლის მთავარი მონაწილენი იყვნენ თვით მარიამ ორბელიანი, დავით ჭავჭავაძის ასული თამარ ბაგრატიონი და ჩვენი დამსახურებული მწერალი ქალი ნინო ნაკაშიძისა. ქალთა ეს კომიტეტი ენერგიულად შეუდგა მუშაობას. შემოწირულების სახით აგროვებდნენ საგრძნობ თანხებს და უგზავნიდნენ

ცეცხლით დაზარალებულ რევოლუციონერთა ოჯახებს. ამგვარი მუშაობისათვის ერთ-ერთი მათგანი (ნინო ნაკაშიძე) დაპატიმრებულ იქნა კიდევ, მაგრამ კომიტეტი არ შეშინებულა და თავის საქმიანობას ბოლომდე განაგრძობდა (გ. ლასხიშვილის მემუარები, გვ. 223-4).

მარიამ ორბელიანს შესამჩნევი ნივთიერი და მორალური დახმარება აქვს გაწეული საბავშვო ჟურნალების „ჯეჯილისა“ და „ნაკადულის“, აგრეთვე 1908 წელს ჩამოყალიბებული ქალთა საზოგადოება „განათლების“ ფონდის გაძლიერებისათვის.

1908 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ ჩამოყალიბებულ წიგნსაცავ-მუზეუმისათვის მარიამ ორბელიანს, გარდა ფულადი სახსრებისა და წიგნადი ფონდისა, შეუწირავს შემდეგი ნივთებიც: 1. ვერცხლით მოქედელი კეხი, 2. ოქროთ დაფერილი ხატი ისტორიული მნიშვნელობისა, 3. ვერცხლის რახტი, 4. ოქრომკედით ნაკერი ქალის პირსაბურთი, 5. ვერცხლის ჯილა ქალისა, 6. ოქრომკედით ნაკერი სარტყელი, 7. სამზეური, 8. ხელოვნური ნაწნავეები, 9. სამღვდლო ფილონი, სტიქარი, ქამარი, ოლარი და სხვა, ყველა მარგალიტებით შემკული (იხ. „ძველი საქართველო“ ტ. 1, ოქმი № 14).

უკვე ხანში შესული, 60 წელს მიღწეული მარიამ ორბელიანი კვლავაც განაგრძობდა მოღვაწეობას მისგან არჩეულ თვითმოქმედების იმ გზაზე, რომელზედაც მან ეგზომ დიდი სახელი მოიხვეჭა. მისი დაბადების 50 წლისთავზე ვალერიან გუნიას საქართველოს კალენდარი აღნიშნავდა, თუ როგორი თანდათანობით მოიკიდა ფეხი სწავლა-განათლებამ ჩვენში ისეთი მოამბაგეების უანგარო მოღვაწეობით, როგორიც პატივცემული მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანი იყო. მარიამ ორბელიანი.—აღნიშნულია დასახელებულ გამოცემაში, სათავეში უდგას ისეთ დიდ საქმეს, როგორიცაა ქართველ ქალთა სკოლა, „რომელიც ისეთივე ხასიათისა და მიმართულებისა იქნება, როგორიც სხვა ქართული სკოლები. ქალთა სკოლის გამგე კომიტეტი, რომლის სულის ჩამდგმელი და თავმჯდომარედ მარიამ ვახტანგის ასულია, მხნედ მუშაობს საჭირო სახსრების შესაქმნელად, რომ ხუთიოდე წლის შემდეგ თბილისში დაიწყოს თავისი ნაყოფიერი მოქმედება ხსენებულმა სკოლამ“ (1903 წ. საქკ.გვ.463).

ამ ინფორმაციის ავტორი, აცხობდა რა საზოგადოებას მარიამ ორბელიანის ცხოვრებასა და მისი ღვაწლის მნიშვნელობას ქართველი ხალხისათვის, დასძენდა, რომ იგი „ჯერ ახალგაზრდა და ჯანლონით სავსე ადამიანია, რაც სრულ იმედს გვაძლევს საკეთილოდ დაამთავრებს ამ საშვილიშვილო საქმეს და მით ხელთუქმნელ ძეგლს დაიდგამს მაღლიერ ქართველთა სულსა და გულში“ (იქვე).

ამ „საშვილიშვილო საქმის“ ერთგვარი დაგვირგვინება იყო 1919 წელს „სახალხო გაზეთისა“ და ჟურნალ „კლდეში“ (№ 22) გამოქვეყნებული საინსტრუქციო წერილი მარიამ ორბელიანისა, რომელიც ქართული გიმნაზიის გამგე კომიტეტს წარედგინა განსახილველად და დასამტკიცებლად.

აღნიშნულ წერილში ნათქვამი იყო, რომ ქართველ ქალს მშვენივრად შეუძლია ხელი მოჰკიდოს მეურნეობას, როგორც არის მებოსტენობა, მეხილეობა, აბრეშუმის მოყვანა, ფუტკრის მოვლა, მეფრინველეობა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგები, რითაც დიდ სარგებლობას მოუტანდა ის ოჯახსა და საზოგადოებას. ჩვენში უყურადღებოდ მიტოვებულია შინაური აღზრდა. დედებს ამ მომენტის მნიშვნელობა სრულიად არ ესმით ან არ სცალიათ ამისათვის, რის გამო ჩვენს ახალგაზრდობას სათანადო აღზრდა არა აქვს. ამიტომ, აღნიშნულია ამ წერილში, ჩვენი დღევანდელი საზოგადოების ვითარება ითხოვს მომზადებულ დედებს, რომელნიც პატრიოტულ და ყველა კეთილ გრძნობებს განუვითარებენ მომავალ თაობას... და რადგან დედაკაცის გავლენა დიდია ყოველ აღსაზრდელზე, თვით დედაკაცი უნდა იყოს აღზრდილი, მომზადებული და ესმოდეს მას საზოგადო საკითხები, შეეძლოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის შეგნებული ანგარიშის გაწევა. ამგვარ საკითხებში ჩამორჩენილ დედაკაცს არ შეუძლია იყოს გონიერი დედა და მეუღლის ნამდვილი მეგობარი.

ქალმა უნდა იცოდეს საბავშვო და საოჯახო ჰიგიენა. ამიტომ ჩვენი ქალები უნდა იყვნენ შეჩვეულნი ფიზიკურ შრომას და სხვა საოჯახო საქმიანობას (ქრა-კერვა და სხვ.). მან უნდა იცოდეს აგრეთვე სიმღერა, ხატვა და სხვა ამგვარები, რომელნიც აფაქიზებენ და აკეთილშობილებენ აღამიანის ხასიათს. წერილის ავტორის აზრით, ქართველი საზოგადოებისათვის საჭიროა ისეთი ქალთა სასწავლებელი, რომელსაც შეეძლება შემო აღნიშნული თვისებებით აღჭურვილი ქალების აღზრდა. ამიტომ, ავტორის მოთხოვნის თანახმად, განზრახული სასწავლებელის პროგრამა არ უნდა შეიზღუდოს დღემდე არსებული ოფიციალური სასწავლო გეგმებით, ვინაიდან მას თავისებური ხასიათი ექნება და იმუშავებს იმ მოთხოვნილებების მიხედვით, რაც ამ სასწავლებელს წარედგინება. აქვეა წარმოდგენილი აღნიშნული სკოლის სასწავლო გეგმა, რომელიც 5 ძირითად მუხლისაგან შედგება. ესენია: 1. ზოგად-საგანმანათლებლო საგნები, 2. აღმზრდელი ქალის მომზადებული საგნები, 3. სასოფლო-სამეურნეო საგნები, 4. საშინაო-საოჯახო და 5. ხელოვნება. თითოეულ მუხლს ახლავს იმ ძირითადი საგნების დასახელება, რომელთა დაუფლება აუცილებელი იყო ამ სასწავლებლის ყოველ კურსდასრულებულისათვის. დებულების მიხედვით სასწავლებელი შედგებოდა სამი მოსამზადებელი განყოფილებისა და ექვსი კლასისაგან.

თვითმპყრობელობის დამბობამდე ეს ქალთა სკოლა თავის „მამულსა უზრდიდა შვილსა“ მომავალი ქართველი დედების და აღმზრდელი მასწავლებლების სახით.

1917-18 წლებში მარიამ ორბელიანი იყო ერთი აქტიური მებრძოლ-თაგანი და მარჯვენა ხელი პროფესორი ივანე ჯავახიშვილისა თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. როგორც უახლოესი მეგობარი და ნათესავიც (ივანეს მეუღლის მამიდა იყო) ივანე ჯავახიშვილისა, იგი ერთი წუთითაც არ მოსცილებია დიდ ქართველ მეცნიერს ქართული უნივერსიტეტისათვის ბრძოლის პროცესში. 1918 წელს მარიაში არჩეულ იქნა ახალდაარსებულ უნივერსიტეტთან ჩამოყალიბებული დამხმარე საზოგადოების წევრად. დაკისრებულ მოვალეობას იგი პირნათლად ასრულებდა.

70 წლისა შეეგება მ. ორბელიანი საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებას და მას შემდეგაც რამდენიმე წლის განმავლობაში განაგრძობდა კულტურულ მოღვაწეობას, როგორც მთარგმნელი და უცხო ენების მასწავლებელი.

მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანი გარდაიცვალა 90 წელს მიწვენილი 1941 წლის 23 აგვისტოს ქ. თბილისში.

#### ლიტერატურა

მოგონებანი მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანისა „ლიტერატურის მატრიანე“ წ. 5/1; ილია ქავჭავაძე, ტ. I, IV, VI, VII, აკაკი წერეთელი, ტ. 1, 1940 წ.; ნ. ბარათაშვილი. ლექსები, 1945 წ.; გ. ლასხიშვილი, მემუარები; მ. ხელთუბნელი „საბავშვო ლიტერატურის მოამბე“; ნინო ნაკაშიძე, მოგონებანი; ი. გოგებაშვილი, ტ. 1, 1910 წ.; ს. კილიაია, „ვახტანგ ორბელიანი“, „ქართველთა შ. წ. კ. გ. საზოგადოების ანგარიშები“ (1915, 1914, 1909 და სხვა წ. წ.); „ლიტ. მატრიანე“ წ. 3-4, შარვაშიძის [მოგონებები; იქვე, ან. ერისთავი-ხოშტარისა მოგონება: ზუგდიდის მუზეუმის შრომების ტ. 1; „ლიტერატურის მატრიანე“ წ. 5); ვალერიან გუნია „საქართველოს კალენდარი“ 1903 წლისა; ფურნალი „კლდე“ 1913 წ. № 22; ვაჟა-ფშაველა, ტ. I; „ძველი საქართველო“, ტ. 1; ილია ქავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, კრებული, 1907 წ. გვ. 255; გაზეთი „ივერია“, 1886 წ. № 2, 37, 40, 1887 წ. № 95, 100, 1888 წ. № 105, 106. 1889 წ. № 44, 99, 1890 წ. № 2, 12; ცნობის ფურცელი, 1901 წ. № 1347; სეთ იაშვილი, მასალები თბილისის ქართული გიმნაზიის ისტორიისათვის, 1914 წ.







## რომანოზ ძამსაშვილი-სამსიიანი (1853—1885)

რომანოზ დავითის-ძე ძამსაშვილი-ცამციევის საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა მეტად მრავალფეროვანი და საინტერესოა. იგი ცნობილი იყო, როგორც მოწინავე პედაგოგი, სიმღერა-გალობის საუკეთესო მკოდნე, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. რომანოზს ახასიათებდა პედაგოგის შემოქმედებითი ნიჭი, ფართო ცოდნა, მუშაობის ორიგინალური სტილი და მეცნიერული ძიების უნარი.

რომანოზ ძამსაშვილი დაიბადა 1853 წელს კახეთში, სოფელ შრომაში (ყოფ. ვაჩნაძიანში). პირველდაწყებითი განათლება მან მიიღო სოფ. ვაჩნაძიანის სკოლაში, სადაც რომანოზის მამა ასწავლიდა. წიგნისა და მუსიკის სიყვარული მშობლებზე არანაკლებად რომანოზს შთაუწერდა ბიძამ გრიგოლ ისაკის-ძე ძამსაშვილმა, რომელიც ძლიერი და ტკბილი ხმით იყო ცნობილი. 10 წლის რომანოზს მამა გარდაეცვალა. ბიძამ გრიგოლმა, რომელსაც თარგმნილ-გამოცემული აქვს რამდენიმე რუსული წიგნი, რომანოზი თბილისში წამოიყვანა.

1863 წელს რომანოზი შიდაბარეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც აუტანელი რეჟიმი სუფევდა, მაგრამ ზედამხედველად იაკობ გოგებაშვილის დანიშვნის შემდეგ მოსწავლე ახალგაზრდობამ შეება იგრძნო. 1871 წლის 30 ივლისს რომანოზმა ვასილ ბარნოვთან ერთად წარმატებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი და იმავე წელს იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაერთო.

როგორც ცნობილია, 1872 წლის პირველ ნახევარამდე სასულიერო სემინარიის პედაგოგიურ საბჭოში უმთავრესად პროგრესული ან ზომიერი მიმართულების ქართველი მოღვაწეები შედიოდნენ. სხვებთან ერთად რომანოზი გატაცებით კითხულობდა მშობლიურ წიგნებს, რუს და ევროპელ კლასიკოსებს: პუშკინს, ლომონოსოვს, ბელინსკის, შილერს, ჰეინესს და სხ.

რომანოზი მკიდრო კავშირში იმყოფებოდა თავის ბიძაშვილ სიმონ გრიგოლის ძე ძამსაშვილ-ცამცივევთან, რომელიც თავის მხრივ დაახლოებული იყო დ. კეზელთან და სხვა რევოლუციურად განწყობილ მოსწავლე ახალგაზრდებთან. რომანოზი გატაცებით დაეწიფა აკრძალული ლიტერატურის კითხვას. სემინარიის არქივში შემონახულია ივანოვის ბიბლიოთეკის სააღრიცხვო დავთარი, საიდანაც ჩანს, რომ რომანოზსა და სიმონს იმ დროისათვის მრავალი აკრძალული წიგნით უსარგებლიათ.

მაგრამ 1872 წლის ზაფხულზე თვითმპყრობელობის მიერ წარმოგზავნილი კერსკის სასტიკი რევიზიის შემდეგ სემინარიაში აუტანელი ატმოსფერო შეიქმნა. სემინარიელთა საერთო ჩხრეკის დროს განხრეკეს ძამსაშვილ-ცამცივევების ბარგიც. მიუხედავად იმისა, რომ საეკვო ვერაფერი აღმოაჩინეს, კერსკი მოხსენებით ბარათში მაინც აღნიშნავდა: „დ. კეზელთან მიწერ-მოწერაში გარეუღნი არიან სამღვდელოებიდან სემინარიის გამგეობის წევრთა შვილები და ნათესავეები—ცამცივევის... კონჩუევის, მანსვეტოვის“. ამის შემდეგ განსაკუთრებით რომანოზს ყოველ ფეხის გადადგმაზე უთვალთვალდნენ და კონტროლს უწყევდნენ.

1877 წლის ივნისში რომანოზმა წარმატებით დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსი და სემინარიის სამმართველოს 1877 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით რ. ძამსაშვილი-ცამცივევი ჩარიცხული იქნა სემინარიის აღზრდილთა პირველ თანრიგონებში. მასთან ერთად სწავლობდნენ და სემინარია წარმატებით დაამთავრეს: ვასილ ბარნოვმა, იოსებ სანებლიძემ, ქრისტეფორე უღრელიძემ, პოლიევქტო კვიცარიძემ, დიმიტრი მეტრეველმა, ივანე მახარობლიძემ და სხვებმა.

ბიძა გრიგოლი და სხვა ახლო ნათესავეები რომანოზს დაბეჯითებით ურჩევდნენ მღვდლად კურთხევას, მაგრამ მისი ოცნება და მიზანი, პირიქით, ცრუმორწმუნოებისა და უმეცრების წინააღმდეგ ბრძოლა იყო.

რომანოზმა ჯერ კიდევ სასულიერო სასწავლებელში გამოიჩინა მუსიკალური ნიჭი, ხოლო სასულიერო სემინარიაში ისე დახელოვნდა სიმღერაში, რომ თავისი მშვენიერი ხმის გამო მიღებულ იქნა მგალობლად არქიელის გუნდში.

1876 წელს თელავის სასულიერო სასწავლებლის მმართველობამ შემინარის გამგეობას სთხოვა რომანოზის თელავში დანიშვნა. რომანოზის არჩევანიც სწორედ თელავი იყო, ეს ულამაზესი კუთხე მშვენიერი კახეთისა. 1877 წლის 1 ოქტომბერს დამსაშვილმა-ცამცივემა მუშაობა დაიწყო თელავის სასულიერო სასწავლებელში ქართული ენისა და ქართულ-რუსული გალობის მასწავლებლად. 1883 წელს დამსაშვილი-ცამცივეი-მაზრის აღმინისტრაციასთან შეხლას გამო იძულებული გახდა მიეტოვებინა კახეთი და ქუთაისში გადასულიყო, სადაც 1885 წლამდე მუშაობდა ქართული ენისა და სიმღერა-გალობის მასწავლებლად სათავადაზნაურო სასწავლებელში.

კაბუჯი პედაგოგი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე მთლიანად მიეცა საყვარელ საქმეს. საქმისადმი გულწრფელი დამოკიდებულებით რომანოზმა იმთავითვე მოიპოვა ავტორიტეტი და დაიმსახურა სიყვარული პროგრესულ საზოგადოებაში.

დამსაშვილი-ცამცივეი თელავის სასულიერო სასწავლებელში ყოფნის დროსაც მოსწავლეებს საამო ხმით უმღეროდა და ბეჯითად ასწავლიდა ძველ ქართულ სიმღერა-გალობას. აღსაზრდელებს იგი საკუთარი ტკბილი სიმღერით უნერგავდა ნაციონალური მუსიკის სიყვარულს, კვირა-უქმეებში კი თავს უყრიდა თავის შეგირდებს და ამღერებდა საზოგადოების თავშესაყარ ადგილებში. ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ქართულ სიმღერა-გალობას რომანოზი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. „სიმღერა-გალობას შეუძლია იქონიოს უაღრესი ნაციონალური (ხალხოსნური) მნიშვნელობა, ამბობდა ის, — მუზიკალურის განათლების დედაბოძათ, ქვა-კუთხედად უნდა იყოს მშობლიური სიმღერა, სამშობლო კილო. ხალხის სიმღერა არის იდეალური განხორციელება ხალხის ცხოვრებისა, ხალხის ისტორიისა: იგი არის მქონი ნაციონალურის აღზრდის საფუძველისა“ (ეურ. „იმედი“, 1881 წ., № 9, გვ. 86—101).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ნაციონალური კულტურის გულშემატკივარნი ხედავდნენ, რომ ერის მორალურ-პოლიტიკური ძლიერების, სამშობლოს სიყვარულისა და ხალხის მეგობრობის ერთ-ერთი გამომხატველი ძალა, ძველი მშობლიური სიმღერა-გალობა, — დავიწყებას ეძლეოდა და მისი აღდგენა-ჩაწერის მიზნით სათანადო მუშაობას ატარებდნენ. ბევრი რამ კეთდებოდა კახეთშიც. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს აპოლონ დავითის ძე დამსაშვილი-ცამცივეის გამოუქვეყნებელი მუსიკალური კრებული (47 სიმღერა) და რომანოზ დავითის-ძე დამსაშვილი-ცამცივეის შრომები. რომანოზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ძველი ქართული სიმღერა-გალობის აღდგენის, აღორძინებისა და ნოტებზე გადაღების რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს.

რომანოზი ქართული სიმღერა-გალობის მარტო მოყვარულ-მოთაყვანე როდი იყო ან კიდევ მარტო ქართული გუნდების ლოტბარი. იგი პეკლურადაც ემსახურებოდა ქართული მუსიკის ზრდას და განვითარებას.

მაგალითად, ი. ქავჭავაძის „ნანას“ მგრძნობიარე სიტყვები მან გადაიღო ნოტებზე და ყრმათა საკითხავ ჟურნალ „ნობათში“ გამოაქვეყნა. „ნანაში“ ჩაქსოვილია მშობლიური ტკბილი მელოდია, რომელიც საამო სამღერე და მოსასმენია. აღსანიშნავია, რომ ყოველკვირეულ „ივერიაში“ ვინმე „ქართული გალობის მოყვარე“ წერდა: „უფ. რ. ცამცივეს ქართული სიმღერები ჰქონია 30-მდის გადაღებული ნოტებზე და უფროენოვის „ნოტების ანბანიც“ გადაუთარგმნია ქართულად. სახალხო სიმღერები და უფ. როენოვის „ნოტების ანბანი“ თ. ი. ქავჭავაძისათვის გადაუცია 1877 წელში და ეხლაც იმას აქვს თურმე“ (ვაზ. „ივერია“, 1878 წ., № 43, გვ. 8—9). სამწუხაროდ ეს კრებული ჯერ-ჯერობით არ არის ნახული. როენოვის ანბანი კი საქართველოს მუზეუმშია დაცული.

ქართული სიმღერა-გალობის მოტრფიალე რ. დ. ძამსაშვილი-ცამცივე ვი თვალყურს ადევნებდა სამუსიკო მწერლობას. მან დაწვრილებით განიხილა მ. შაქავარიანის „სამშობლოს ხმები“. რეცენზენტი უსაყვედურებდა ავტორს ქართული კილოების დამახინჯებას და ხალხის მიერ შემონახული მუსიკალური საუნჯის უგულვებელყოფას და დისძენდა: „სიმღერა არის ერთი იმ საშუალებათაგანი, რომლის შემწეობითაც მკვიდრდება ხალხის სხვადასხვა განცალკევებულის ნაწილების ერთობა“ (ჟურ. „იმედი“, 1881 წ. № 9, გვ. 86—101).

რ. ძამსაშვილი-ცამცივე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლიური ენის შესწავლას და უდიდესი ოსტატობით უნერგავდა მოსწავლეებს ქართული ენისა და ლიტერატურისადმი სიყვარულს. თავისი საქმისათვის თავდადებული ახალგაზრდა პედაგოგი მუდამ იმას ცდილობდა, რომ მშობლიური ენის ღრმა მცოდნე და პატრიოტული გრძნობებით შეიარაღებული სპეტაკი მამულიშვილები აღეზარდა. მთელ რიგ წერილებში, რომლებსაც იგი იმდროინდელ პრესაში აქვეყნებდა, რომანოზი ქართული ენის სწავლების გაფართოებისა და განმტკიცების საკითხებს განიხილავდა. ჟურნალ „ივერიაში“ იგი წერდა: „საქმე ის კი არ არის, რომ მასწავლებელი მხოლოდ ნასწავლი და „განათლებული“ იყოს. პედაგოგმა უნდა მოიგოს იმ საზოგადოების გულიც, რომელშიაც იგი მოქმედებს, იმოდენი მოხერხება უნდა ჰქონდეს მას, რომ შეეძლოს შთააგონოს ხალხს სწავლის სარგებლობა და საჭიროება“ („ივერია“, 1878 წ., № 23, გვ. 4—6).

რ. დ. ძამსაშვილი-ცამცივე სწავლებისას დიდ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობის მორალურ აღზრდასაც. „საქმე მართო წერა-კითხვის სწავლება კი არ არის,—წერდა იგი,—არამედ საქმე ხასიათის გასწორებაა, ხასიათისა! უხასიათო კაცი, რაც გინდა ნასწავლი იყოს მეთქი, უსარგებლოა და უვარგისი“ (ვაზ. „ივერია“, 1878, № 23, გვ. 4—5). რომანოზის გაკვეთილებზე კლასში დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს არ ჰქონდა ადგილი, რადგან მისი გაკვეთილები იმდენად საინტერესო და მიმზიდველი იყო, რომ სმენად გადაქცეული მოსწავლეები ზარის შემ-

დეგაც კი, თითქოს მოჯადოებულნი ყოფილიყვნენ, ადგილიდან არ იძროდნენ.

რომანოზს მშრომელი ხალხი უდიდეს მამოძრავებელ ძალად, ისტორიის შემოქმედად მიაჩნდა. ხალხში ხედავდა ძალასა და ერის სახეს. ეს ნათლად ჩანს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიმოწერიდან, რომელიც საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდშია დაცული. საზოგადოების გამგეობა 1881 წლის 23 ოქტომბერს დასაფასებლად წარდგენილ „შემოკლებული საქართველოს ისტორიის“ შესახებ ავტორს რ. დამსაშვილ-ცამცივეს უსაყვედურებს: „...ისტორიულად უფრო გამოჩენილნი გმირნი თითქმის ერთ რიგზე დგანან იმ ფაქტებთან და პირებთან, რომელნიც ნაკლებ შესანიშნავნი არიან“-ო ამბზე რომანოზი უპასუხებდა: „მამ, როგორ გნებავთ. ნუთუ მცირედ შესამჩნევი პირნი სრულიად უნდა განქრნენ ჩვენის ისტორიიდან, მეტადრე ეხლა, როდესაც ჩვენ ჯერედ ღირსეულად არ დაგვიფასებია თითქმის არც ერთი ისტორიული პირი?“ თქვენ იმას ბრძანებთ: სადაც ი. გოგებაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, თ. ჟორდანიას არიან, საწყალის რ. დამსაშვილის მოხსენება შეუძლებელი და ცოდვითაა!...“ (ცსია. ფონ. 481, ან 1, საქ. 30, ფურ. 24—25.)

„შემოკლებული საქართველოს ისტორიის“ წინასიტყვიობაში რომანოზი სინანულით წერდა: „საზოგადოდ ჩვენს ისტორიულ თხზულებებში (თვით „ქართლის ცხოვრებაშიც“) ფრიად მცირე ადგილი უჭირავს „ხალხის“ შინაურის ცხოვრების განხილვისა; ამისათვის ნურვის გაუყვირდება, თუ ჩვენი შრომაც მოკლებულია ამ მხრით ღირსებას...“.

საერთოდ ხალხის ფართო ფენებთან მჭიდრო კავშირს რომანოზი პედაგოგიური საქმიანობის აუცილებელ წინაპირობად თვლიდა. იგი წერდა: „მასწავლებელმა თუ იმ საზოგადოების უოფაცხოვრება, ენა, ჩვეულება და ხასიათი არ იცის, რომელშიაც იგი მოქმედებს, ან უნდა იმოქმედოს, რაც უნდა კარგად იცოდეს საგნები, ვერა სარგებლობის მოტანა ვერ შეუძლიან“ (გაზ. „ივერია“, 1878, № 23, გვ. 4—6).

თელავის სასულიერო სასწავლებელში საქართველოს ისტორია ცალკე საგნად არ ისწავლებოდა. რ. დამსაშვილმა პირადი ინიციატივით თავის სამუშაო გეგმაში შეიტანა საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიის გაკვეთილების გადაცემის დროს იგი დიდ სიძნელეებს აწყდებოდა ლიტერატურის სიმციროსა და სახელმძღვანელოს უქონლობის გამო. „დროებაში“ იგი წერდა: „თვალეები ჩაწყალებული მაქვს ჩემის მოსწავლეებისათვის საქართველოს ისტორიის გაკვეთილების წერვაში“.

რ. დამსაშვილმა თითქმის მთელი საქართველო შემოიარა, გაეცნო ძველ ისტორიულ ძეგლებს და კალამიც აამოძრავა.

1880 წ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ „საქართველოს ისტორიისათვის“ 400 მანეთი პრემია გამოაცხადა. ახლოობე-

ბის რჩევით რომანოზმა გამოგზავნა თავისი ხელნაწერი, რომელიც ერთი წლის შემდეგ საზოგადოების გამგეობამ დაიწუნა. ამის გამო გულნატყენი ავტორი სამართლიანად საყუედურობს: „სემინარიიდან გამოველ ქართული კითხვა არ ვიცოდი (კითხვით ი. ჰავეკვადეს). ამ ოთხ წელიწადში ცოტა რამ შევისწავლე და გავიგე და თქვენ კი ჰსციდილობთ მე დასაწყისშივე მომიღოთ ბოლო... ეხლა ვასრულებ მე „კახეთის ისტორიასა“, „თელავის მაზრას ისტორიკო-გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული აღწერაც“ მალე მზად მექნება. ამათს გარდა „ექვსი საყმაწვილო მოთხრობა ჩვენის ცხოვრებიდამ“ (ისეთი-კი არა, როგორც არიან საზოგადოებისაგან გამოცემული „ხატაური“ და „წითელი ფარანი“... და სხვა სტატიები). მაგრამ როგორღა წარმოვადგინო თქვენს წინაშე?“ (ცნია, ფ. № 481, საქ. № 30, გვ. 26).

რომანოზმა ხელნაწერი უკან დაიბრუნა, ხოლო „საზოგადოებას“ შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „მე ხომ პრეზიისათვის არ შემიდგენია იგი, მე ვწერდი მას გაკვეთილებით და ჩემს მოსწავლეთ ვასწავლიდი 1878 წლიდან და ბოლოს, როდესაც გამოცხადდა პრემია, გამოვგზავნე, თუ ღირსი იქნება დაჰბეჭდენ, თუ არადა საფუძვლიანის შენიშვნებით დამიბრუნებენ მეთქი... მაგრამ მოვსტყუედი. აქამდის ჩემი ისტორია დაბეჭდილი და შესწორებული იქნებოდა... მე მაინც უეჭველად ვაპირებ მის დაბეჭდვას, რაც გინდ იყოს, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ იგი უეჭველად სარგებლობას მოუტანს ჩვენს ახალგაზრდობასა და მეც მიჩვენებს ნაკლულევანებას შემდეგისათვის გასასწორებლად. მე მხოლოდ დაბეჭდვა მინდოდა მისი, თორემ პრემია ჩემი საქმე არ არის. პრემია მიეცით იმას, ვინც ფულისა და თავის გამოსაჩენად შრომობს და არა სასარგებლოდ. მე ჩემით დამიწყევია შრომა, ჩემის ნება-ყოფლობით ვშრომობ და ვიშრომებ სიკვდილამდინ, რამდენადაც და როგორც შემიძლება. მხოლოდ ეს არის, რომ აგრე გული არ უნდა აუცრუოთ ხოლმე საწყალს პროვინციაში ჰყოფს სემინარიელსა“ (იგივე ფონდი, გვ. 25—26). 1882 წ. რ. ძამსაშვილ-ცამციევემა დავით ვახტანგის ძე ჯორჯაძის, ს. რ. მელვინეთ-უხუცესის, ი. პ. როსტომაშვილის და სხვათა დახმარებით გამოცა „შემოკლებული საქართველოს ისტორია“. წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ამ შრომას მრავალი ნაკლოვანება ექნება, მაგრამ თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენის სამშობლოს ისტორია ჯერ ისევ შეუშუშავებელია და ისე ცოტაა ნაწერი იმის შესახებ, რომ ისტორიის სახელმძღვანელოს შემდგენელმა არ იცის რომელ გზას დაადგეს, რომელ ამბავს დაუჯეროს სიმართლის აღსადგენად, — მაშინ ცხადი იქნება, რომ ამ გვარს შრომას „ჯერ“ ბევრი არ უნდა მოეთხოვებოდეს“.

მართალია, რ. ძამსაშვილ-ცამციევის „შემოკლებულ საქართველოს ისტორიას“ ბევრი ნაკლი ჰქონდა როგორც ფაქტიური მასალების, ასევე მათი გაშუქების თვალსაზრისით, მაგრამ იმ დროისათვის იგი მაინც მნიშვე-

ნელოვანი მოვლენა იყო. იგი იყო პირველი ცდა, რომელშიც ასე თუ ისე სისტემატურად იყო მოკეპული ძირითადი ფაქტები და მოვლენები. იგი მოსწავლეებს უნერგავდა სამშობლოსა და მისი ისტორიისადმი სიყვარულს.

თუ როგორი გავლენა ჰქონდა ამ წიგნს მოსწავლეებზე, ნათლად ჩანს თედო სახოკიას მოგონებიდან: „1883—1884 სასწავლო წელია. მე-სამე კლასში ვართ. ქართულის მასწავლებელი ერმალოზ კანდელაკი ხელში რაღაც წიგნით შემოვიდა წლასში და გამოგვიცხადა: „მე ახლა თქვენ უნდა გასწავლოთ „საქართველოს ისტორია“. მოწაფეებმა ყურები ვცქვიტეთ. სიტყვა „ისტორია“ პირველად გვესმოდა. ჩვენ თავს ვეკითხებოდით თუ რა იყო „ისტორია“ და როგორ უნდა გვესწავლა. ასე გვეგონა, რომ ჩვენი ქართულის სწავლება ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ სწავლით უნდა ამოწურულიყო. მასწავლებელმა აგვიხსნა თუ რანი იყვნენ ძველად ქართლ-კახელები, რომელთა ჯარებს „ქულაჯები“ სცემიათ და რომლებიც საქართველოს მტრებს—სპარს-ოსმალთ ლომებივით ეკვეთებოდნენ და მუსრს ავლებდნენ, ომიდან სულ მუდამ გამარჯვებულნი ბრუნდებოდნენ. სანატრელ ჩასაცემლად მოგვეჩვენა ეს „ქულაჯები!“ ქულაჯა ჩემს ბავშვურს ფანტაზიას წარმოუდგა საოცნებო, მომაჯადოებელ ტანისამოსად... სამად-სამი გაკვეთილი გექონდა საქართველოს ისტორიისა... ასე ხანმოკლე იყო ჩვენი სიხარული...“

ამ მხრივ საინტერესოა ერთი ფაქტიც. თელავის სახალხო სასწავლებლის ინსპექტორს ვასილ იოსების-ძე კიკნაძეს 1883 წელს აუკრძალავს დამსაშვილის ისტორიის ხმარება, განკარგულება გაუცია, მოსწავლეთათვის ჩამოერთმიათ ეს წიგნი, წინააღმდეგ შემთხვევაში კიკნაძე იმუქრებოდა, რომ საქმის ვითარებას აცნობებდა „ვისაც ჯერ არს“. მაგრამ თელავის მოსწავლე ახალგაზრდობას მტკიცე უარი განუცხადებია წიგნის დაბრუნებაზე.

ამ წიგნის შესახებ გაზეთი „შრომა“ 1882 წ. 3 ნომბერს წერდა: „ყოველს მამულის და თავისი წარსულის დროის და მომავლის მოიმიედეს ქართველს ცამციშვილის თბზულება მარადის სახელადო წიგნათ უნდა ჰქონდეს“. გრიგოლ ყიფშიძეც, საფუძვლიანად განიხილავდა და აკრიტიკებდა რა რომანოზის ნაშრომს, საბოლოოდ ასკენიდა: „ისე ძლიერია ჩვენში საქართველოს მოკლე ისტორიის წიგნის საჭიროება და მოთხოვნილება, ისე სწყურია ხალხს ცოდნა თავის წარსულისა, რომ იგი არ ერიდება არც წიგნის სიძვირეს და არც მის ნაკლულევანებას... ბ-ნს დამსაშვილს მადლობა უნდა ვუთხრათ, რომ მას შეუგნია ხალხის უალრესი საჭიროება და როგორც შესძლებია, ისე მოუნდომებია მისი დამკმაყოფილება“ (გაზ. „ივერია“, 1883 წ. № 3, გვ. 86—102).

რ. დამსაშვილი-ცამციევის კალამს ეკუთვნის რამდენიმე საბავშვო მოთხრობა და გეოგრაფიული წერილები კახეთსა და იმერეთზე. რომანოზი ამ პატარ-პატარა მოთხრობებში მიმზიდველი და ლამაზი ენით აღ-

წერს საქართველოს ლამაზ ბუნებას. იგი საინტერესოდ გადმოგვცემს ისტორიულ ფაქტებს და დამაჯერებლად გვიხატავს მშრომელი ხალხის გაპირვებულ მდგომარეობას. იაკობ გოგებაშვილი, მიუთითებს რა ამ მოთხრობების ნაკლებზე, იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალში „უკეთეს წერილებს წარუდგენს თავის პატარა მკითხველსა. ჩვენ ასე ვფიქრობთ იმის გამო, რომ ამ წერილებშიაც კი ეტყობა ავტორს საზოგადო გახსნილობა და გონების განვითარება“.

რ. ძამსაშვილი-ცამციევი ჩვენთვის დაუვიწყარია, როგორც ეთნოგრაფი. მან თითქმის მთელი საქართველო შემოიარა, განსაკუთრებით დეტალურად აღწერა კახეთის ისტორიული ძეგლები, ხალხის ზნე-ჩვეულები. იგი აკვირდებოდა ამ მოგზაურობის დროს ხალხის ყოფა-ცხოვრებას, სწავლობდა მის ჩვეულებებს და ამის შედეგად ბეჭდავდა მეტად შინაარსიან და საინტერესო ეთნოგრაფიულ წერილებს. მრავალთაგან უნდა აღინიშნოს ფშავის აღწერა ისტორიული ძეგლებით, მცხოვრებლებით, ადათით. ეს საინტერესო მასალა ქვეყნდებოდა 1880 წლის „დროებაში“. კორესპონდენციებმა ისეთი ცხოველი ინტერესი გამოიწვია, რომ 1886 წელს „ივერიამ“ ამავე საკითხზე ვაჟა-ფშაველას წერილები დაბეჭდა, ხოლო დ. სოსლანმა (კეზელი) „ნოვოე ობოზრენიეში“ გადათარგმნილი თუ საკუთარი წერილები მოათავსა. რომანოზი საინტერესო ცნობებს იძლევა სოფ. ირთანის სპილენძის საბადოებზე, სოფ. ლალის-ყურისა და წყაროსთავის წმ. გიორგის ეკლესიაზე, „ტაბტის-გორის“ შესახებ და აღვანთან არსებულ თამარ მეფის სასახლის, ეკლესიისა და მასში მოთავსებული თამარის სურათზე. იგი აღწერს ალავერდობა-ნეკრესობას და გულისტიკვილით აღნიშნავს ისტორიული ძეგლების კატასტროფულ მდგომარეობას.

რ. დ. ძამსაშვილი-ცამციევი 1876 წლიდან ქართული ჟურნალ-გაზეთების მუდმივი კორესპონდენტი იყო. როგორც თვითონვე აცხადებდა, ანდერძად ჰქონდა მიღებული „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. მართლაც, „რომანოზის“, „ქართველის“, „ვაჩნაძიანელის“, „ლობემძვრალას“, „დ. რ.“ „კახელი წინწიბურას“, „მაყურებლის“, „კახეთის მემარტიანეს“ და სხვა ფსევდონიმებით იგი გაბედულად ამხელდა საზოგადოების ნაძირალა ელემენტებსა და რეაქციონერი ჩინოვნიკების მიერ ხალხის დაჩაგვრის კონკრეტულ შემთხვევებს. დამახასიათებელია, რომ 1880 წ. „დროების“ ფურცლებზე თელავის მაზრის უფროსის ჩოლოყაშვილის დანაშაულებრივ საქციელზე მამხილებელი წერილების ავტორია რ. ძამსაშვილი-ცამციევი იყო. სწორედ ამის გამო გახდა იგი იძულებული თელავი მიეტოვებინა და ქუთაისში გადასულიყო. მაგრამ მას არც აქ გაუგდია კალამი ხელიდან და კვლავ კეთილსინდისიერად ასრულებდა კორესპონდენტის მოვალეობას. 1883—1885 წლებში იგი ქუთაისიდან ფელეტონებს წერდა „X“-სა და „რაულ-დე-ლა ტრამბლეს“ ფსევდონიმით.



რ. ძამსაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სალამო-წარმო-დგენებში და, როგორც შეეძლო, ეხმარებოდა სცენის მოყვარეთა დასს. იგი „დროებასა“ და „ივერიაში“ განიხილავდა კახეთში ახალი სკოლების გახსნის, სასამართლოს განყოფილების დაარსებისა და კლუბების მოწყობის საკითხებს.

რომანოზი სპეტაკი, პატიოსანი და უანგარო ადამიანი იყო. მასში აღშფოთებას იწვევდა ზოგიერთი პედაგოგის უპასუხისმგებლო მოქმედება. მაგალითად, სოფ. საბუის მასწავლებელ ყაასოვზე, რომელიც სწავლის პერიოდში თელავის ბაზარზე უსაქმოდ დასეირნობდა, რომანოზი „ივერიაში“ წერდა: „ახლა, მუქთად რომ გლეხების ფულებსა სკამს—რა პასუხს აძლევს, ან გლეხებს ან თავის მოსწავლეებს“ (ვაზ. „ივერია“, 1878 წ. № 8, გვ. 1—2).

რ. ძამსაშვილი-ცამციევი იმედის თვალით შესცქეროდა მომავალს. მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში იგი გაბედულად აკრიტიკებდა თვითმპყრობელურ რეჟიმს და ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებდა: „შვეერთდეთ ერთად, შევესძრათ ძველი, დაობებული, დამყაყებული, ცილისწამებით შეიარაღებული და ცრუმორწმუნეობით მოკული ცხოვრება და შევატაკოთ ახალს, ცოცხალს, კაბუქს და ძლიერის ელემენტებით შეჭურვილს. შემდეგ ჩვენშიაც ბუნებაც ცოტა-ცოტათი შეიცვლება, გონება გაიხსნება და განათლდება, ზნეობა დამშვენდება და... ეს ჩვენი დრო... წარსულს მაინც, ჩემის ფიქრით, სჯობია და მომავალი აწმყოს აჯობებს“ (ვაზ. „დროება“, 1882 წ. № 123, გვ. 1—2).

რ. ძამსაშვილი-ცამციევი მძიმე ნივთიერ გაკირვებას განიცდიდა. თავის უმწეო მდგომარეობაზე იგი გაზეთ „შრომაში“ ჩიოდა: „დღეში სამი-ოთხი გაკვეთილი უნდა მიეცე ცივს და მტვრიანს კლასში და დაღლილ-დაწყვეტილი დავბრუნდე სახლში, რომელიც კლასზედ უკეთესი არ არის და შეუდგე სახლშიაც რვეულების გასწორებას და წავიკითხო რამე; ნუ თუ გასაკიცხავი ვიქნები, რომ კლასის გარეთ ნაშრომი მცირე მქონდეს და მასში ნაკლულევანებაც მოიპოვებოდეს? და რითი ჯილდოდება ჩემი და ჩემისთანა მოსამსახურეთა შრომა—დღეში ერთის მანეთით და ექვსის შაურით!“.

ასეთმა პირობებმა უდიდესი ზიანი მიაყენა მის ჯანმრთელობას, რის გამოც მან მხოლოდ 32 წელი იცოცხლა. ტუბერკულოზით დაავადებული იგი 1885 წლის 8 აგვისტოს გარდაიცვალა ქ. თელავში.

ყურნალმა „თეატრმა“ რომანოზის გარდაცვალების გამო მცირე, მაგრამ ბევრის მთქმელი ცნობა მოათავსა, „დროების“ რედაქციამ კომოზრდილი ნეკროლოგი გამოაქვეყნა, რომელიც საქართველოს ხალხს ამცნობდა: „სიკვდილმა კიდევ წაართვა ჩვენს ქვეყანას ერთი პატიოსანი და მშრომელი ახალგაზრდა... თავისი ნიჭი და გონება მიწაში არ ჩაუშარხავს და რაც მისცა ბუნებამ და ქვეყანამ, უკანვე დაუბრუნა სამშობლოს“ (ვაზ. „დროება“, 1885 წ. № 183, გვ. 1).

გოგება შვილი ი. რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. 1, თბ., 1910.

თბილისის სასულიერო სემინარიის არქივი. ფონდი № 440, საქმეები №№ 39, 680, 581, 684, 669, 691, 692. 697, 700—707, 731, 742, 754.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების ფონდი II : 785.

კავკასიის კალენდარი. 1877-დან 1886 წლამდე.

სახოკია თ. მოგონება, თბ., 1954.

საქართველოს კალენდარი. 1893.

ძამსა შვილი ი-კამციევი რ. დ. შემოკლებული საქართველოს ისტორია. ტფ., ბელაიის სტამბა. 1882, 190 გვ.

ხუნდაძე ტ. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან. თბ., 1951.

გახ. „დროება“, 1880. №№ 23, 38, 98, 100—102, 106, 107, 117, 133, 136, 155, 180, 195, 224—226, 262, 263, 265, 272; 1881. № 193; 1882, №№ 9, 121, 123, 148, 160, 161, 225; 1884, №№ 2, 193, 222, 234, 245; 1885. № 183, გახ. „ივერია“, 1877, № 44; 1878, №№ 8, 9, 14, 18, 22, 23, 37, 43; 1879. №№ 2, 3, 9—10; 1883. № 3; გახ. „შრომა“, 1881. № 5; 1882. №№ 5, 40, 43, 45, 200. 1883. №№ 7, 8, 15, 17, 20. ჟურნ. „თეატრი“. 1885. № 2. ჟურნ. „იმედი“, 1881, № 9. ჟურნ. „მოამბე“, 1895, № 5. ჟურნ. „ნობათი“, 1883. № 1; 1884. № 1.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქალაქეობრივი მდგომარეობის საქტო ჩანაწერების რესპუბლიკური არქივი. 1885 (ჩუკუ) წლის წიგნი, ნაწილი ნესამე, აქტი 11.

ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდი № 481, საქ. № 30, გვ. 5—8, 21—22, 24—26.



**აკილენ ჯაჯანაშვილი**  
(1853—1899)

რაქდენ სოლომონის-ძე (არჯევანის-ძე) ჯაჯანაშვილი დაიბადა 1853 წლის პირველ ოქტომბერს სოფ. კავთისხევში (გორის მაზრა). ჯაჯანაშვილი მანგლისის სკოლაში სწავლობდა, როდესაც თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორმა ზახაროვმა თვითონ გამოსცადა მანგლისის სკოლის მოსწავლეები და იგი, როგორც საუკეთესო მოსწავლე, ინსტიტუტში გადაიყვანა.

თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი ჯაჯანაშვილმა 1874 წლის ივნისში დაამთავრა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი დანიშნულ იქნა მასწავლებლად ახალციხის მაზრაში, სოფ. ხერთვისში. 1881 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ჯაჯანაშვილი მასწავლებლად იყო თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში (იგივე ვაჟთა ქართული გიმნაზია).

პრაქტიკულ პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ჯაჯანაშვილი სხვა სახის საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. „რაქდენი სხვა-და-

სხვა ქართულ დაწესებულებათა წევრადაც ითვლებოდა. თანაზიარი იყო აგრეთვე ყოველგვარ საზოგადო კრებისა, სადაც-კი ირკვეოდა რაიმე ჩვენთვის საკირ-ბოროტო საქმე. თავისის გულწრფელის სიტყვით ყოველ წლიურ სათავად-აზნაურო ბანკის კრების დროს ცდილობდა სასიკეთო რამე განზრახვა განეხორციელებინა<sup>1</sup>. 1882 წელს იგი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრების მიერ არჩეულ იქნა საზოგადოების ნამდვილ წევრად. ჯაჯანაშვილმა შეადგინა და გამოსცა სასკოლო სახელმძღვანელოები. ამავე დროს, იგი სისტემატურად ბეჭდავდა სხვადასხვა ხასიათის წერილებს თითქმის ყველა იმდროინდელ პერიოდულ გამოცემაში.

რაცდენი უაღრესად სათნო და კეთილი ადამიანი იყო. მიუხედავად მძიმე ეკონომიური პირობებისა, იგი მამობრივ მზრუნველობას და დახმარებას უწევდა თავის უმცროს ძმებს.

1899 წლის 25 თებერვალს, 25 წლის დაუღალავი პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ, რაცდენ სოლომონის-ძე ჯაჯანაშვილი გარდაიცვალა. ამ პატიოსანი და ერთგული მუშაკის გარდაცვალებამ დიდი მწუხარება გამოიწვია საზოგადოების მოწინავე ნაწილში. განსაკუთრებით მძიმე იყო ეს დანაკლისი თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლისათვის.

ჯაჯანაშვილის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა „კვალმა“ და „ივერიამ“ (აქვე გამოქვეყნდა ნეკროლოგიც). როგორც გაზეთები იუწყებიან, დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო. დაკრძალვაზე სიტყვები წარმოსთქვეს სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებლებმა ნ. ვ. მთვარელიშვილმა და ი. გ. რატიშვილმა. ძვირფასი მასწავლებლის ცხედარს გამოსათხოვარი სიტყვებითა და ლექსებით მიმართეს აგრეთვე ამავე სასწავლებლის მოსწავლეებმა.

რაცდენ ჯაჯანაშვილს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ უწყვეტი თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობა და საზოგადო საქმისათვის სასარგებლო ზრუნვა. იგი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში თავდადებით იბრძოდა პედაგოგიურ ასპარეზზე. მას იცნობდნენ და აფასებდნენ, როგორც „პატიოსან მუშაკს“, „სამაგალითო მასწავლებელს“ და „საუკეთესო მოღვაწეს“.

რაცდენ ჯაჯანაშვილი როგორც პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობით, ისე თავისი წერილებითა და სტატიებით ხელს უწყობდა სახალხო განათლების საქმის გაუმჯობესებას საქართველოში. იგი კარგად გრძნობდა რომ საზოგადოების ზნეობრივი დაქვეითების, ქვეყნის სოციალური და ეროვნული უბედურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გაუნათლებლობა იყო. „ვინც ჩვენ ცხოვრებას ცოტაც არის იცნობს—წერდა იგი ერთ თავის სტატიაში,—ისიც ეცოდინება, რომ ჩვენა გვლუპავს ჩვე-

<sup>1</sup> „ივერია“, 1899 წ. № 45.

ნი უცოდინლობა. რით უნდა აღვადგინოთ ის გმირული მამულის სიყვარული, რომელსაც ისე ძვირად აფასებდნენ ჩვენი წინაპრები და რომელსაც მსხვერპლად სწირავდნენ თავის სიცოცხლეს?—ცოდნით... რით შეგვიძლიან მოვსპოთ მდაბალი თავ-მოყვარეობა, რომელმაც დასთრგუნა და გაანადგურა ცხოვრების იდეალი: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის?—ცოდნით. რით შეიძლება ცოტაც არის გაუმჯობესდეს ნივთიერი დაცემა ჩვენი ხალხისა თუ არ ცოდნის გავლენით? ერთი სიტყვით, რით შეიძლება ადამიანი გახდეს ადამიანად, თუ არ ცოდნის და სწავლის დახმარებით?¹ (ხაზი ჩემია ლ. ს.). ამიტომ, ბუნებრივია, რომ ჯაჯანაშვილი დიდად აფასებდა მასწავლებლის ღვაწლს, მის როლს ხალხის გონებრივი განვითარების, ზნეობრივი აღზრდისა და საერთოდ ყოველგვარი წინსვლელობის საქმეში. აი, რას წერდა იგი მასწავლებლის შესახებ: „მასწავლებელი, ამბობს პედაგოგიკა, არის სული სკოლისა“, —მე დაუმატებ: სკოლა არის სული ხალხისა. აქედან სჩანს, რა უნდა იყოს მასწავლებელი ხალხისათვის. მასწავლებელი არის დედა-ბოძი, რომელზედაც დამყარებულია ხალხის გონებითი და ზნეობითი კეთილდღეობა; მასწავლებელი არის ის ქვა-კუთხედი, რომელზედაც აშენებულია ხალხის წინ-მსვლელობა“².

ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ჯაჯანაშვილს კარგად ჰქონდა შეგნებული პედაგოგის მოვალეობის უდიდესი დანიშნულება. იგი სწავლა-განათლების საკითხს უყურებდა, როგორც მეტად რთულ და სერიოზულ საკითხს. მაგრამ იმისათვის, რომ მასწავლებელმა შესძლოს თავისი უაღრესად პასუხსაგები მოვალეობის პირნათლად შესრულება, საჭიროა, რომ იგი იყოს ყოველმხრივ განათლებული და კარგად მომზადებული, დაუფლებული მეცნიერულ ცოდნას. ამიტომ ჯაჯანაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა მასწავლებელთა კადრების მომზადების საკითხს. იგი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ არსებული პედაგოგიური სასწავლებლები მთლიანად ვერ უზრუნველყოფდნენ პედაგოგების მომზადების საპასუხისმგებლო საქმეს.

ჯაჯანაშვილმა, სხვა სასწავლებლებთან ერთად. არ დაინდო თავისი მშობლიური თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი და მკაცრად გააკრიტიკა ამ ინსტიტუტში მიღებული სწავლების მეთოდი. ჯაჯანაშვილი მიუთითებდა, რომ თანამედროვე პედაგოგიურ სასწავლებლებში ბევრი დრო იხარჯება ისეთი საგნების შესწავლაზე, რომლებიც, თუმცა საჭირონი არიან, მაგრამ არა აუცილებელნი მასწავლებლებისათვის (მაგ. ხელოსნობა, მებაღეობა, წიგნების აკინძვა და სხვა). იგი მოითხოვდა—გადედიდებინათ სწავლების ვადა პედაგოგიურ სასწავლებლებსა და ინსტიტუტში, რათა გაცილებით მეტი დრო დათმობოდა სპეციალური საგნე-

¹ „დროება“, 1881 წ. № 256.

² „დროება“, 1881 წ. № 79.

ბის შესწავლას, კერძოდ პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკას, აღზრდის ისტორიასა და თანამედროვე მდგომარეობას. წერილში „კიდევ ცოტა რამ პედაგოგიიდან“<sup>1</sup> ჯაჯანაშვილი მოითხოვს, რომ მომავალმა მასწავლებლებმა „წაიკითხონ და გაარჩიონ პედაგოგიური თხზულებანი“, შეისწავლონ ჩვენი ენა, ისტორია, გეოგრაფია და სხვა. მაგრამ, ამავ დროს, ჯაჯანაშვილს კარგად ესმოდა ისიც, რომ ოფიციალურ დაწესებულებაში მიღებული სწავლა-განათლება, როგორი მაღალი ხარისხისაც არ უნდა იყოს იგი, მაინც არ არის საკმარისი. საჭიროა, პედაგოგები სისტემატურად გაეცნონ მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის ახალ მიღწევებს, არ ჩამორჩნენ ცხოვრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერ შესძლებენ ახალი თაობის საფუძვლიანად მოწაადებას.

ჯაჯანაშვილის ფხიზელ თვალს ყურადღებიდან არ გამოპარვია ის გარემოება, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაკლებად ზრუნავდა თავისი ცოდნის ამაღლებაზე. ჯაჯანაშვილი აღიარებდა, რომ „საუბედუროთ, ჩვენი სოფლის მასწავლებლები, რა საკვირველია, ყველანი არა, გამოვლენ თუ არა სასწავლებლიდან, თავს ანებებენ ყოველ გეარ სწავლას და ეცემიან გონებით და ზნეობით. იმათ თითქოს სკამს ის წრე, რომელშიაც ტრიალობენ. იმათ გონებას უნებურათ ედება ის ზნეობრივი მტვერი, რომელიც იმათ გარს ახვევია. გადის ხუთი, ათი წელიწადი და განმანათლებელს ვერ გაარჩევთ იმ ხალხში, რომლის გასანათლებლადაც არის ეს მოსული. რა ზნეობითი ძალა უნდა იქონიონ ხალხზე ამისთანა მასწავლებლებმა?“<sup>1</sup>

რაც შეეხება თვითონ ჯაჯანაშვილს, იგი არა მარტო სტატიებით, არამედ თავისი ყოველდღიური საქმიანობითაც ყველას იმის საუკეთესო მაგალითს აძლევდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სახალხო მასწავლებელი. რაედენ ჯაჯანაშვილი არ იყო შემოფარგლული რომელიმე ვიწრო სპეციალობის ჩარჩოებით. იგი თანაბრად ერკვეოდა როგორც მათემატიკისა და პედაგოგიკის, ისე ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიისა და პოლიტიკის საკითხებში.

ამ მრავალმხრივ განვითარებულ პედაგოგისათვის უცხო არ იყო ის, რომ განათლების საქმის მოწესრიგებისათვის მთავარ საფუძველს სწორად შედგენილი სასწავლო პროგრამები და წესდება შეადგენდა. მაგრამ ისინი სატახტო ქალაქის სამეცნიერო კაბინეტებში ღგებოდა ოფიციალური ქალაქების ნაკლებად საიმედო მასალებზე დაყრდნობით. პროგრამის შემუშავებაში არაერთგვაროვნად ანგარიში არ ეწეოდა ხალხთა ნაციონალურ თავისებურებებს და ადგილობრივ პედაგოგთა პრაქტიკულ გამოცდილებას. ამიტომ ჯაჯანაშვილი კანონიერად მოითხოვდა, რომ სასწავლო პროგრამების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა იმ ხალხმა მიიღოს, „ვინც უფრო ახლოს დგას ამ საქმესთან, ე. ი. მასწავლებ-

<sup>1</sup> „დროება“, 1881 წ., № 67.

ლებმა<sup>1</sup>. ჯაჯანაშვილი გულისწყრომას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ ნაწილი მასწავლებლებისა ნაკლებად ფიქრობდა ამ საქმეზე. იგი საკიროდ სცნობდა პედაგოგიური ჟურნალის დაარსებას, რომელსაც უნდა გაეშუქებინა თანამედროვე სკოლის ყველა მტკივნეული საკითხი. „ამ ჟურნალმა—წერდა ჯაჯანაშვილი სტატიაში „პედაგოგიურ ჟურნალზე“—უნდა გამოაშკარავოს<sup>2</sup> და გამოიკვლიოს ის მიზეზები, რომლებიც აბრკოლებდნენ და ეხლიც აბრკოლებენ ჩვენში სწავლა-განათლებას. ჟურნალმა უნდა გვიჩვენოს, რა აღგილი უნდა ექიროს დედა-ენას სწავლების სისტემაში. ჟურნალმა უნდა გამოიკვლიოს, როგორ უყურებს ხალხი სკოლას და რას მოელის მისგან. ჟურნალმა უნდა შეიმუშაოს სწავლების მეთოდები, ყურადღება უნდა მიაქციოს მასწავლებლის მომზადებას“<sup>3</sup>.

ასეთი აქტიური და თავდადებული საქმიანობისაკენ მოუწოდებდა ჯაჯანაშვილი ყველა იმას, ვისაც კი შეეძლო რაიმე სარგებლობის მოტანა საზოგადო საქმისათვის ისევე, როგორც თვითონ იგი არ ზოგავდა ძალასა და ენერჯიას, რათა ხალხისათვის სასარგებლოდ გამოეყენებინა მთელი თავისი უნარი და შესაძლებლობა.

ჯაჯანაშვილს კარგად ესმოდა ისიც, რომ საქართველოში სწავლა-განათლების კარგად წარმართვისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების არსებობა წარმოადგენდა. სახელოვანმა პედაგოგმა თავისი ძალა ამ საქმეშიც სცადა. მან გამოსცა ორი სასკოლო სახელმძღვანელო—„კრებული არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი მაგალითებისა“ და „მეგობარი“, მეორე წიგნი ანბანის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებამ კარგად მიიღო ეს სახელმძღვანელოები. კრიტიკამ თავის დროზე დადებითი შეფასება მისცა მათ.

1894 წელს ჟურნალ „მომამბეში“ გამოქვეყნდა ცნობილი სპეციალისტის ვასილ ყიფიანის რეცენზია ჯაჯანაშვილის არითმეტიკის ზემოხსენებულ სახელმძღვანელოზე. ამ რეცენზიაში ავტორი იწონებს კრებულის შედგენის მეთოდოლოგიურ პრინციპს და საერთოდ დადებით შეფასებას აძლევს მას. ჯაჯანაშვილის „არითმეტიკული კრებულის“ წარმოტებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ იგი რვა წლის განმავლობაში ოთხჯერ გამოიცა.

ჯაჯანაშვილის მეორე სახელმძღვანელო წიგნი—„მეგობარი“—1889 წელს გამოვიდა. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, იგი წარმოადგენს ანბანის შემდეგ საკითხავ წიგნს. წიგნი დაყოფილია რამდენიმე განყოფილებად: შინ და გარეთ, სკოლაში, სახლის ცხოველები და სხვა. თითოეულ განყოფილებაში წარმოდგენილია სათანადო ხასიათის მოთხრობები, ლექსები, ანდაზები, აფორიზმები და შეკითხვები ბავშვებისადმი. ასე მაგ.: პირველ მოთხრობაში—„ჩვენი სახლობა“—აღწერილია ოჯახის შემადგენლობა, რასაც თან ერთვის კითხვა: „აღწერეთ თქვენი სახლობა.

<sup>1</sup> „დროება“, 1884 წ., № 74.

შეადარეთ ალწერილს“ და ანდაზა: „შვილმა რო დედისათვის ხელის გულზედ ერბო-კვერცხი მოწვას, ამაგს მაინც ვერ გადაუხდის“.

„მეგობარში“ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის მასალა, რომელთა უმრავლესობა აღებულია „ბუნების კარიდან“. „მეგობარში“ ვხვდებით დ. გურამიშვილის, აკაკი წერეთლის, რ. ერისთავის, ნ. ლომოურის, კრილოვისა და სხვათა ნაწარმოებებს. რ. ჯაჯანაშვილის „მეგობარმა“ გასული საუკუნის დასასრულს, „ბუნების კართან“ და „დედა ენასთან“ ერთად, გარკვეული როლი ითამაშა მომავალი თაობის აღზრდის საპატიო საქმეში.

ჯაჯანაშვილის თეორიული მოღვაწეობა და პრაქტიკული საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სკოლით და სახალხო განათლების საკითხებზე მუშაობით. როგორც უკვე მივეუთითეთ, იგი სხვადასხვა საზოგადოებრივი დაწესებულებების მუშაობაშიც იღებდა მონაწილეობას და ამავე დროს, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ათავსებდა ლიტერატურულ, გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ, ისტორიულ, კრიტიკულ და სხვა ხასიათის წერილებს.

ჯაჯანაშვილი ფიზიკად ადევნებდა თვალყურს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მტკივნეულ და საკირბოროტო საკითხს და გამოსთქვამდა საკუთარ აზრს მასზე. ამ მხრივ საყურადღებოა ერთი შეტად საგულსხმო ფაქტი. 1881 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია მუხრანსკის ტყის მცველების უდიერი საქციელის გამო. როგორც გაზეთი იუწყებოდა, მუხრანსკის ტყის მცველებმა გზა შეუკრეს სოფელ ზემო და ქვემო ნიჩბისის გლეხებს და მათრახებით სცემეს მათ. ჯაჯანაშვილი აღაშფოთა მუხრანსკის და მისი ტყის მცველების უდიერმა საქციელმა. მან ამავე წლის „დროების“ № 114-ში გამოაქვეყნა თავისი შენიშვნა. ჯაჯანაშვილის ეს შენიშვნა საყურადღებოა არა მხოლოდ იმით, რომ აქ ავტორი ექომაგება გლეხობას და მოითხოვს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ იმითაც, რომ ჯაჯანაშვილი სწორად აფასებს არსებულ სოციალურ ვითარებას და მე-19 საუკუნის დასასრულის ქართული საზოგადოებრივი ყოფის ამომწურავ დახასიათებას იძლევა. მოგვყავს შედარებით ვრცელი ამონაწერი ამ შენიშვნიდან. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ „გლეხები ნივთიერად ისევ დარჩნენ მემამულეთა ყმებათ—წერს ჯაჯანაშვილი აქ,—რადგანაც არ მიეცათ მამული და საშუალება<sup>1</sup> კი არც ჰქონიათ და არც ეხლა აქვთ შეისყიდონ ეს მამულები. ეს უკანასკნელი ყმობა უფრო მძიმე ღოდათ დააწვათ სიღარიბით გაჟულული გლეხებს, რომლებიც ჩაითვლებიან თავის უფალ მონებათ.

ჩვენი თავად-აზნაურები, გადაჩვეულნი შრომას, რადგანაც ყოველ საქმეს აკეთებენ ყმების ხელებით, ეხლაც არ იშლიან ცუდობას და ზანტობას. რაც ყმების ფულები მიიღეს, სულ ქარაფშუტობაზედ დახარჯეს;

<sup>1</sup> გაზეთში შეცდომით დაბეჭდილია „შუამავლობა“.



ეს ფულები რო შემოაკლდათ, დაიწყეს მამულების დაგირავება პრიკაზში და ეხლა, ვისაც რამე მამული დარჩა, აგირავებს თავადაზნაურების ბანკში. სამწუხარო ის არის (,) რომ ეს ფულები იხარჯება ცუდ უბრალოთ და არა იმ დაგირავებულ მამულის გაუმჯობესობაზე! ჩვენში მეურნეობა დავარდნილია; ხვნა თესვა მიდის მამა-პაპის წესზედ; ვენახები ფუქლებიან, ისე რომ შემოსავილმა ყოველ მხრივ იკლო<sup>1</sup>.

ეს არის უაღრესად სწორი, თითქმის ამომწურავი, შეფასება იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ორი ძირითადი ფენის—თავადაზნაურობის და გლეხოზის—მდგომარეობისა, მდგომარეობისა, რომელმაც შესანიშნავი მხატვრული ასახვა ჯაჯანაშვილის თანამედროვე, გამოჩენილ ქართველ რეალისტთა ქმნილებებში ჰპოვა.

საგულისხმოა ისიც, რომ ჯაჯანაშვილი არა მარტო სწორად აფასებდა არსებულ სოციალურ ვითარებას, არამედ, ამავე დროს, იგი კარგად ხედავდა საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწყესრიგებლობის მთავარ არსს. ერთ თავის წერილში, რომელიც მან შვეციას და ნორვეგიას უძღვნა, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა: „... შორს არ არის დრო, როდესაც კერძო საკუთრება სრულიად ღირს იქნება, და შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ ამ ქვეყნების კეთილ-დღეობაც ერთი-ორად იმატებს ამის გამო<sup>2</sup>“. უდავოა, როდესაც ჯაჯანაშვილი ამ სიტყვებს წერდა, იგი თავის დაბეჩავებულ, კერძო-მესაკუთრულ უღლის ქვეშ მგმინავ სამშობლოსაც იგონებდა. ამიტომ ხაზგასმით ლაპარაკობდა იგი, თავისი დიდი თანამედროვის ილია ჭავჭავაძის მსგავსად, თავისუფალ შრომაზე, როგორც ქვეყნის კეთილდღეობის ძირითად საშუალებაზე (იხ. „ივერია“, 1884 წ., № 1).

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული წერილი შვეციასა და ნორვეგიას შეეხება, როგორც უკვე მივუთითეთ, ავტორი აქაც არ ივიწყებს თავის სამშობლოს და ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში იხსენიებს მას. მაგალითად, ერთგან იგი გულისტკივილით აღნიშნავს მისი თანამედროვე ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის მორალური და ზნეობრივი დაცემის სამწუხარო ფაქტს. აქ იგი კიცხავს იმ „წურბელებს“, რომლებიც თავისუფლად დაპარპაშებენ და ხელს უშლიან ცხოვრების გაუმჯობესებისა და წინსვლის საქმეს.

რაჟღერ ჯაჯანაშვილმა თავისი კალამი ლიტერატურულ ასპარეზზედაც სცადა. მას უთარგმნია რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი ძირითადად ისეთი ხასიათის მასალას სთარგმნიდა, რომელიც სწავლა-აღზრდის საკითხებს ეხებოდა. მაგ. ვაზეთ „თეატრში“ 1885 წელს ჯაჯანაშვილმა გამოაქვეყნა ჟიულ ნარიაკის „ვიკონტის აღზრდის“ თარგმანი, რომელშიაც ავტორი დასციინის მდიდარ გრაფს, რომელიც ცხენის მოვლა-პატრონობისათვის გაცილებით

<sup>1</sup> „დროება“, 1881 წ., № 114.

<sup>2</sup> „ივერია“, 1884 წ., № 3, გვ. 108.

მეტ ფულს ხარჯავდა, ვიდრე შვილის აღზრდაზე. ლიტერატურულ თემებზე, გარდა თარგმანებისა, ჯაჯანაშვილს უწერია კრიტიკული ხასიათის წერილებიც.

ასე მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო რაქედნ სოლომონისძე ჯაჯანაშვილის შინაარსიანი ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელმაც თავის დროზე, სასარგებლო სამსახური გაუწია ქართულ კულტურას.

#### ლიტერატურა

რ. ჯაჯანაშვილი. კრებული არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი მაგალითებისა, თფ., 1886, 1895, 1890, 1903 წწ.

რ. ჯაჯანაშვილი, „მეგობარი“, თფ., 1889 წ.

გაზ. „დროება“, 1881 წ. №№ 67, 74, 79, 110, 114, 256; 1882 წ. №№ 71, 72, 88, 118, 127.

გაზ. „თეატრი“, 1885 წ. № 19. 1886 წ. № 6.

ჟურნ. „ივერია“, 1884 წ. №№ 1, 3.

გაზ. „ივერია“, 1899 წ. №№ 44, 45.

გაზ. „კვალი“, 1893 წ. №№ 30, 31, 32; 1899 წ. № 10.

ჟურნ. „მომბე“, 1894 წ. № 3.

საქართველოს ცენტრალური არქივის ფონდი № 436 და № 447.



**ვასილ ყიფიანი**  
(1855—1936)

სახალხო განათლების ქართველ მოღვაწეთა შორის ცნობილ პედაგოგს ვასილ როსტომის-ძე ყიფიანს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ვასილ როსტომის ძე ყიფიანი დაიბადა 1855 წლის 15 მარტს ზემო ქართლის სოფელ ყიფიანთუბანში. სწავლას იგი იწყებს ახალციხის სამაზრო სასწავლებელში, შემდეგ ქუთაისის გიმნაზიაში გადადის და წარჩინებით ამთავრებს მას 1873 წელს. სკოლაში ვასილი განსაკუთრებულ მიღრეკილებას იჩენდა მათემატიკისადმი, და ამით აიხსნება, რომ 1873 წელს ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტზე შედის.

სტუდენტობის წლებში ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა მეტად ინტენსიურ გონებრივ მუშაობას ეწევა. ამ პერიოდში ვ. ყიფიანის ინტერესთა სფერო მარტო მათემატიკურ მეცნიერებათა შესწავლით როდია შემოზღუდული. იგი ძალზე ბევრს კითხულობს და ლექციებზე დასწრებით გულმოდგინედ სწავლობს საერთოდ საბუნებისმეტყველო დისციპ-

ლინებს. ამასთან იგი გატაცებულია მხატვრული ლიტერატურით. საფუძვლიანად იცნობდა რა ქართული ლიტერატურის ძეგლებს, ასეთივე გატაცებით კითხულობს იგი რუს და ევროპელ კლასიკოსებს.

1877 წელს ვასილ ყიფიანიმა პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტი. იჩენდა რა წლების მანძილზე განსაკუთრებულ წარმატებას მათემატიკურ მეცნიერებებში, უნივერსიტეტის გამგეობამ მას იქვე კათედრაზე საპროფესოროდ დარჩენა შესთავაზა. მაგრამ ვ. ყიფიანი სტუდენტობის წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის სტიპენდიანტი იყო და მას მთავრობამ ნება არ დართო უნივერსიტეტში, დარჩენილიყო. მან გადაწყვიტა სამშობლო ქვეყანაში დაბრუნებულიყო და სამოღვაწეო უბნად პედაგოგიური ასპარეზი აერჩია, მაგრამ არც ეს სურვილი შეუსრულდა მას.

ჩამოვიდა თუ არა თბილისში, იგი თემირ ხანშურის რეალურ სასწავლებელში დანიშნეს მათემატიკის მასწავლებლად. ვასილმა მთელი გატაცებითა და კეთილსინდისიერებით მოჰკიდა ხელი მისთვის უცნობ მხარეში ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს. საგნის ღრმა ცოდნასთან ერთად ყველას აოცებდა ის დაუცბრომელი ენერჯია და პედაგოგიური ალღო, რასაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვასილი იჩენდა სასწავლებელში. თემირ ხანშურის რეალურ სასწავლებელში მოღვაწეობის წლებში მან როგორც ადამიანი და აღმზრდელმა დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის.

თემირ ხანშურიდან იგი გადაყვანილ იქნა ვლადიკავკაზის (ახლანდელი ორჯონიკიძე) პროგიმნაზიაში ამავე საგნის მასწავლებლად. ვასილ ყიფიანი ახალ ვითარებაშიც მისთვის ჩვეული გულმოდგინებითა და მხნეობით ემსახურება თავის საყვარელ საქმეს.

1883 წელს ილია ჭავჭავაძის ინიციატივით, რომელიც ამ ხანებში ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას ხელმძღვანელობდა, ვასილ ყიფიანი მოწვეულ იქნა თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში ჯერ მასწავლებლად, ხოლო შემდეგ იგი აქ ინსპექტორადაც მუშაობდა. ნიჭიერი პედაგოგის ვასილ ყიფიანის საქართველოში გადმოყვანას ჩვენი მოწინავე საზოგადოებრიობა კმაყოფილებით შეხვდა. 1883 წელს გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი წერდა: „წარსულ კვირას სალამოს სხდომაზედ სააზნაურო სკოლის კომიტეტს გადაუწყვეტია ბ. ლომოურის მაგიერ სკოლის ინსპექტორად მოიწვიოს ბ. ყიფიანი, რომელიც ვლადიკავკაზის პროგიმნაზიის მასწავლებლად იყო“ („დროება“, 1883, № 106).

ახალი ინსპექტორი მთელი ენერჯიითა და მონდომებით შეუდგა საქმეს. შედარებით მცირე ხნის განმავლობაში გამჭირაბმა ხელმძღვანელმა საგრძნობი ღონისძიებები გაატარა, რითაც ყველას პატივისცემა დაიმსახურა. სკოლის კომიტეტის სხდომებზე ხშირად აღნიშნავდნენ ვ. ყიფიანის კარგი მუშაობის შესახებ. ახალგაზრდა ინსპექტორის მუშაობით კმაყოფილი იყო, კერძოდ, ილია ჭავჭავაძე, რომელსაც ვასილ ყიფიანთან მე-

გობრობა სიკვდილამდე არ გაუწყვეტია. სააზნაურო სკოლაში ვასილს ნაყოფიერი მუშაობისათვის დიდ სტიმულს აძლევდა ის, რომ დაწყებით კლასებში სწავლება მშობლიურ ენაზე სწარმოებდა.

თბილისიდან ვ. ყიფიანი ქუთაისის სააზნაურო სკოლაში ვადადის 1884 წ. მძიმე პირობებში მოუხდა ვასილ ყიფიანს ქუთაისში თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის გაშლა. რეაქციამ განსაკუთრებით ფართოდ გაშალა ფრთები XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან. ალექსანდრე II მკვლელობის შემდეგ დაიწყო სკოლებში ქართული ენის განსაკუთრებულად შეეწროების პერიოდი. როგორც მოსალოდნელი იყო, ვასილ ყიფიანიც სხვებთან ერთად, მკაცრად იბრძოდა დედა ენის აღდგენისათვის თავის უფლებებში.

ქუთაისის სააზნაურო სკოლაში ვ. ყიფიანის მიწვევამდე ინსპექტორის პოსტზე მუშაობდა და სასწავლო-სააღმზრდელი საქმიანობას უნარიანად ხელმძღვანელობდა გამოცდილი და დახელოვნებული პედაგოგი ალექსი კიჭინაძე. სკოლას მაღალი დეური პედაგოგიური კოლექტივი ჰყავდა და მოსწავლეთა წარმატებაც მაღალი იყო. ამ ფაქტს ჩვენი სახელოვანი პოეტი აკაკი ადასტურებს, როცა ერთ თავის ფელეტონში წერს: „ამ დღეებში დავესწარი ეგზამენებს და მოსწავლეების წარმატებამ გაგვაკვირვია“ („დროება“, 1884 წ., № 115).

ამგვარად ვასილ ყიფიანს კარგად დაყენებული სასწავლებელი დახვდა ქუთაისში.

რათა კიდევ უფრო აემიღლებინა სკოლის მუშაობის ხარისხი, ვასილმა დიდი ყურადღება მიაქცია გაკვეთილების ხარისხის გაუმჯობესებას. იგი ამის ყველაზე ცხოველ მაგალითს უპირველეს ყოვლისა თვითონვე იძლეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ვასილი თავისი საგნის საუკეთესო მცოდნე იყო, მასალის ოსტატურად გადაცემის მეთოდურ ხერხებსაც შესანიშნავად იყო დაუფლებული, იგი მაინც აუცილებლად თვლიდა ყოველი გაკვეთილისათვის საგულდაგულოდ მომზადებულ იყო. ამავე დროს მასწავლებელთა მომზადების გაღრმავება-გაფართოების მიზნით ახალი ინსპექტორი დაჟინებით მოითხოვდა მისი სკოლის მასწავლებლებს სპეციალობის შესაბამისად გამოწერილი ჰქონოდათ პერიოდული ეურნალ-გაზეთები.

ერთ-ერთი საანგარიშო მოხსენებიდან, რომელიც ვასილ ყიფიანს 1885 წელს ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის კრებაზე გაუკეთებია, ირკვევა, რომ სკოლა შედგებოდა მოსამზადებელი კლასის 4 განყოფილებისაგან და 3 პროგიმნაზიული კლასისაგან. 1884 წელს სასწავლებელში ყოფილა 210 მოსწავლე, რომელთაგან გამოცდების შედეგად შემდეგ კლასებში გადასულა 152 მოსწავლე; სუსტი მომზადების შედეგად დარჩენილა 58, ხოლო 16 მოსწავლე სკოლიდან გასულა.

1885/86 სასწავლო წლისათვის სკოლაში ყოფილა უკვე 267 მოსწავლე. თუ როგორი პროგრამითა და სისტემით ყოფილა დაყენებული

სწავლის საქმე, ამაზე ვ. ყიფიანის საანგარიშო მოხსენებაში შემდეგს ვკითხულობთ: „პროგრამა იგივეა, რაც კლასიკურ გიმნაზიაში, მხოლოდ ქართულს ენას უჭირავს ყველგან ჯეროვანი ადგილი და ამის გარდა ბერძნულს ენას მოწაფენი მესამე კლასში არა სწავლობენ“ („დროება“, 1885 წ., № 89).

მოსამზადებელი კლასის მესამე განყოფილებიდან ვიდრე პროგიმნაზიის მესამე კლასამდე სწავლა საგნობრივი წესით სწარმოებდა. ხოლო პირველსა და მეორე განყოფილებაში ყველა საგანი ერთ მასწავლებელზე იყო გაპიროვნებული. ყველაზე მტკივნეულ და მოუგვარებელ საკითხად კვლავ სკოლის მატერიალური ბაზის საკითხი რჩებოდა.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში ვასილ ყიფიანმა 1892 წლამდე იმუშავა. ამ ხნის განმავლობაში ნიჭიერმა ხელმძღვანელმა მრავალი ახალი და საყურადღებო რეფორმა გაატარა სკოლაში.

\* \* \*

1892 წელს ვასილ ყიფიანი ემშვიდობება თავის საყვარელ სასწავლებელს და კვლავ ქ. თბილისში სათავად-აზნაურო სკოლაში გადმოდის სამუშაოდ. პარალელურად იგი მიწვეული იქნა თბილისის საურთიერთო სასოფლო-სამეურნეო ბანკის დირექტორად, რომელსაც 1917 წლამდე უძღოდა. მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს ვასილი კვლავ ძველებური ენთუზიაზმით განაგრძობდა.

ვასილ ყიფიანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა თბილისში საზოგადოებრივ საქმიანობაში. როგორც ავტორიტეტული პიროვნება, 1897 წელს იგი არჩეულ იქნა ქალაქის საბჭოს ხმოსნად, სადაც მას ილია ჭავჭავაძესთან და ნ. ნიკოლაძესთან ერთად ენერგიული ბრძოლა უხდებოდა ხალხისათვის სსსარგებლო ღონისძიებათა გასატარებლად. სამწუხაროდ, ვასილ ყიფიანს შესაძლებლობა არ მიეცა ამ მიმართულებით თავისი კვალი უფრო ღრმად აღენიშნა. იგი იძულებული გახდა ილიასთან და ნ. ნიკოლაძესთან ერთად ხმოსნობისათვის თავი დაენებებინა.

როგორც აღვნიშნეთ, ვასილ ყიფიანი მოსწავლეობის წლებიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა მათემატიკური მეცნიერებისადმი. ეს ინტერესი მასში პრაქტიკული მოღვაწეობის წლებშიც არ დამცხრალა. მიიღო რა პრაქტიკული მოღვაწეობის წლებში საუცხოო მეთოდური დახელოვნება მათემატიკის სწავლებაში და ყოველთვის იყო რა მათემატიკის თეორიული განვითარების კურსში, ვასილ ყიფიანმა დიდი საქმე განახორციელა. ქართულ ენაზე მინ პირველმა შექმნა სასკოლო მათემატიკის ლერძეული დისციპლინის, ალგებრის ფუნდამენტური კურსი. მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „დაწყებითი ალგებრა“ პირველად 1893 წელს ავტორისავე ხარჯით გამოიცა ქ. თბილისში, მეორედ კი გამოიცა ქუთაისში 1918 წ. ვასილ ყიფიანის განსაკუთრებული დამსახურება ჩვენში საშუალო განათლების განვითარების საქმეში სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ

ეს საქმე მან დიდის ცოდნით, სიყვარულით და მონდობებით განახორციელა. ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ეს დამსახურება, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ვ. ყიფიანის წიგნის ქართულ ენაზე გამოსვლა დანებდა იმ ხანას, როცა მეფის ერთგული მოხელეები გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინებისადმი, როცა სასტიკად კრძალავდნენ მშობლიურ ენაზე სწავლებას.

სახელმძღვანელოს შედგენა ისეთ ზუსტ მეცნიერებაში, როგორიც ალგებრაა, მრავალგვარ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. საქმარისია ითქვას, რომ ამ ხანებში მათემატიკურ ცნებათა გამოშხატველი ტერმინოლოგია თითქმის სრულიად დაუდგენელი იყო, მისი დამუშავება არსებითად პირველად ვასილ ყიფიანს ხვდა წილად. მის დიდ სიყვარულზე თავისი საქმისადმი ის ფაქტიც მოწმობს, რომ მან თავისი ხარჯით საგულდაგულოდ დაამზადებინა სპეციალური მათემატიკური ნიშნები, რომელიც მაშინ ქართველთა ამხანაგობის სტამბას არ გააჩნდა.

რაც შეეხება სახელმძღვანელოს ღირსებას, სპეციალისტების აზრით იგი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ალგებრის რევოლუციამდე გავრცელებულ რუსულ საუკეთესო სახელმძღვანელოებს, როგორც მასალის სიზღობითა და მისაწვდომობით, ისე მეთოდური დალაგების ორიგინალობით. ამ წიგნს საქმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა საბჭოთა პედაგოგი გ. ბურჭულაძე თავის წერილში „ალგებრის სახელმძღვანელოს პირველი ავტორი“ (იხ. გაზ. „სახ. განათლება“, 1948 წ., 3/VI).

ვ. ყიფიანის მიერ შედგენილი წიგნი შეიცავდა 680 გვერდს. მასში იმდროისათვის საშუალო სკოლებში მიღებული ალგებრის სრული კურსი იყო წარმოდგენილი. ოსტატურად იყო გაშუქებული როგორც თეორიული საკითხები, ისე საღარჯიშო მგაალითები და ამოცანები. ქართული ალგებრა და ქართული მათემატიკური მეტყველების ჩამოქნა-ჩამოყალიბება რევოლუციამდელი სკოლის ეროვნული აღორძინების ერთ-ერთი საგულისხმო ფაქტორი იყო. წიგნის ეს ღირსება შეუძნეველი არ დარჩენია მოწინავე საზოგადოებას. ამ მხრივ საყურადღებოა მოკლე რეცენზიები ბლიოგრაფია, რომელიც უცნობ ავტორს ეკუთვნის. მასში ვკითხულობთ: „ამისთანა ვრცელი სასწავლო წიგნი, ვგონებ, ჯერეთ არ გამოცემულა. ჩვენს ღროში ასეთი ვრცელი (680 გვ.) სახელმძღვანელოს სასწავლო წიგნად გამოცემა, როდესაც ყოველივე საგნის სწავლება რუსული სახელმძღვანელოებით სწარმოებს, სწორედ ავტორის ამ საგნისადმი დიდ სიყვარულს ამტკიცებს. ქართველი ნასწავლი საზოგადოება საქიროდ და სასიქადულოდ დაინახავს ამ წიგნითაც შეამკოს თავისი სამაცადინო სტოლი და თავის წიგნთსაცავი.“

ეს წიგნი დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ნასწავლ ყმაწვილებსაც, რომელთაც რუსულად უსწავლიათ ალგებრა და ქართულად ახსნაკი არ შეუძლიათ“ („მწყემსი“, 1895 წ., № 7).

არა მარტო როგორც თავისი საგნის ღრმა მკოდნესა და ალგებრის პირველი სახელმძღვანელოს ავტორს, ვასილ ყიფიანს სხვა მხრივაც იცნობდა ქართველი საზოგადოება. იგი თავისი დროისათვის მოწინავე სწავლულ მეთოდისტად გვევლინება. მისი რეცენზიები მათემატიკის სახელმძღვანელოებზე ნათლად ადასტურებს ამას. ვ. ყიფიანის ბევრი მოსაზრება ახლაც ანგარიშგასაწევია.

ვ. ყიფიანს ბევრი მეთოდური წერილი აქვს დაწერილი მათემატიკის საკითხებზე. შეეჩრდეთ ზოგიერთ მათგანზე. 1894 წელს ჟურნალ „მომამბეში“ (1894 წ. № 2 განყ. II, გვ. 129—134) ვ. ყიფიანმა საკმაოდ ვრცელი რეცენზია მიუძღვნა ვ. რ. რცხილაძის მიერ შედგენილ არითმეტიკულ ამოცანათა კრებულს. წერილის შესავალ ნაწილში ვ. ყიფიანი აღნიშნავს, რომ დღეს სახელმძღვანელოს შემდგენელთა ხვედრი არაა სახარბიელო, ვინაიდან „მათ შრომას არამც თუ არავეითარე მატერიალური სარგებლობა არ მოჰყვება, არამედ ის ზნეობრივი დაკმაყოფილებაც კი, რომელსაც უნდა ჰკრძნობდეს ამგვარი მოღვაწე“. ასეთ უანგარო მოღვაწეებს, რომელთაც მთავრობისგან ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე უხდებათ წარმოუდგენელი შრომის გაწევა, რეცენზენტი ანუგეშებს იმით, რომ „მომავალში ოდნავ ბეუტავს მათთვის იმედი ცხოვრების განმაახლებელი ნიავისა, რომელიც ოდესმე დაჰბერავს სხვათა შორის წიგნთსაცავთა თაროებსაც, მოაცლის სახელმძღვანელოებს უმეცრების დროთა მტვერს და მრავლად მოჰყენს მათ ჩვენი ქვეყნის სასწავლებლებში“. იხსენებს რა ქებით რცხილაძის მიერ გაწეულ შრომას, რომელსაც სკოლებისათვის ქართულად გადმოუთარგმნია როსკის ქიშია და მშობლიურ ენაზე შეუდგენია არითმეტიკულ ამოცანათა კრებული, ვ. ყიფიანი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ დღევანდელ სასწავლებლებში, უკიდურესი სქოლასტიციზმის ბატონობის გამო, გამოყენებითი მეცნიერებანი და მათ რიცხვში მათემატიკაც ერთგვარ უპატივემლობას განიცდის. „ეს წიგნები,—წერს რეცენზენტი,—ისეთ სწავლა მეცნიერებას ეხებიან, რომ არც ერთ მათგანს ჩვენს ცხოვრებაში გასავალი არ ექნება. მათი ხსნა მომავალშია, რადგან ჩვენში ჯერ არ არსებობენ ისეთი სასწავლებლები, სადაც შეიძლებოდეს მათი ხმარება“.

კრებულის ძირითად ღირებულებას რეცენზენტი იმაში ხედავს, რომ მასში უპირატესობა ეძლევა ისეთ ამოცანებს, რომელნიც „ავითარებენ მოზარდის გონებას, მათემატიკურ გამჭკრიახობას, მოსაზრებას და მიხედვრილობას“. მასალის შეთვისების გაადვილების მიზნით, რეცენზენტს არითმეტიკული კრებულის მეთოდურ სიახლედ მიაჩნია ის, რომ შედგენილ ამოცანებში უხვადაა ხმარებული ბავშვებისათვის მახლობელი, ეროვნული ზომა-წონის ერთეულები თავისი შესატყვისი ტერმინებით. ვ. ყიფიანს მეტად საინტერესო პარალელი გაჰყავს იმ უპირატესობის



აღსანიშნავად, რაც ვ. რცხილაძის წიგნს გააჩნია ევტუშევსკის კრებულ-  
თან შედარებით.

ვ. ყიფიანი საფუძვლიანად აშუქებს კრებულის ნაკლოვანებებსაც-  
იგი მართებულად მიუთითებს შემდგენელს, რომ „წერიტი საანგარიშებე-  
ლი ამოცანათა რიცხვი არის მხოლოდ ოციოდე, როდესაც ზეპირად  
საანგარიშებელი ასზე მეტია“. რეცენზენტი ჩამოთვლის მთელ რიგ ძნე-  
ლად ამოსახსნელ ამოცანებს (მაგ. 539, 540, 541) და მოითხოვს, რომ  
ისინი ავტორის მიერ მომავალში მაინც შეცვლილ იქნას მოსწავლე-  
ებისათვის მისაწვდომი ამოცანებით. გამოჰყოფს რა არსებითს უნებლიე-  
თი სახის შეცდომებისაგან, ვ. ყიფიანი საჭიროდ თვლის; კრებულში შე-  
ტანილი ამოცანები რეალური სინამდვილიდან იყოს აღებული, დაძ-  
ლეული იქნეს აბსტრაქტულობა.

ვ. ყიფიანი რეცენზიაში განსაკუთრებულ აღვილს უთმობს წარმოდ-  
გენილი კრებულის ენის საკითხს და ამავე დროს ყურადღების ამახვი-  
ლებს ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის დადგენის აუცილებ-  
ლობაზე. კრებულის ენის უვარჯისობის ძირითად მიზეზად რეცენზენტს  
ის გარემოებაც მიაჩნია, რომ ამოცანების უმეტესობა რუსული სახელმძღვა-  
ნელოებიდანაა გადმოქართულებული და ეს გავლენა, ქართული ტერ-  
მინოლოგიის უქონლობის გამო, ენობრივადაც იგრძნობა. „ამოცანათა-  
ენა, — შენიშნავს რეცენზენტი, — მეტად მძიმეა და მოუხეშავი; სიტყვათა  
წყობა, ანუ კონსტრუქცია სრულებით რუსული აქვს“.

ვ. ყიფიანი ელაგება სარეცენზიო კრებულის ავტორს მის მიერ ხმა-  
რებული ზოგიერთი მათემატიკური ტერმინის აეკარგიანობაში. მაგ. ნაც-  
ვლად „ათწილადიანი ნაწევრისა“ იგი მოითხოვს ვიხმაროთ „ათწილადი  
ნაწევარი.“ მას მართებულად მიაჩნია იხმარებოდეს ნაცვლად „თანაზომი-  
ერი რიცხვისა“ — „შეფარდება“, ნაცვლად „ღირსების მაჩვენებლი-  
სა“ — „რაოდენობა“ და სხვ. რეცენზენტი გადაუდებელ ამოცანად თვლის  
მათემატიკური ცნების ზუსტად გამომხატველი ერთიანი ტერმინოლოგიის  
შემუშავება-დადგენას. ამაზე იგი შენიშნავს: ტერმინოლოგიის გაურკვევ-  
ლობა და უქონლობა საზოგადოდ დიდ ნაკლს შეადგენს ჩვენი მწერლო-  
ბისას“.

\* \* \*

ამავე წლის, „მომამბეში“ (1894 წ. № 3, განყ. III, გვ. 173—178)-  
ვ. ყიფიანმა გამოაქვეყნა ვრცელი რეცენზიები ა. ნატროშვილისა და  
რ. ჯაჯანაშვილის მიერ შედგენილ არითმეტიკულ ამოცანათა კრებუ-  
ლებზე.

დგას რა რეცენზენტი თავისი დროისათვის მოწინავე მეთოდიკურ  
შეხედულებათა საფუძველზე, ორ სარეცენზიო კრებულთა შორის პრინ-  
ციპულ განსხვავებას ხედავს. „ნატროშვილი, — წერს იგი, — ასწავლავს  
არითმეტიკულ მოქმედებებს ცალ-ცალკე, ე. ი. ჯერ შეკრებას, მერმე გა-  
მოკლებას, გამრავლებას და სხვ. ჯაჯანაშვილი კი მოქმედებათა ასეთ

განცალკევებას უარპყოფს და ავარჯიშებს ყველა მოქმედებებში ერთად... ვერ ვიტყვით, რომ ამოცანათა დაყოფა მოქმედებებზე, როგორც ნატროშილის აქვს თავის კრებულში, ეთანხმებოდეს პედაგოგის მოთხოვნილებას“.

აკრიტიკებს რა ა. ნატროშილის მეთოდს, რეცენზენტი საინტერესო მოსაზრებებით ცხადყოფს ყველა მოქმედებაში ერთდროული ვარჯიშის უპირატესობას. „ჩვენი ფიქრით,—წერს ის,—პირველ-დაწყებითი სწავლება რაც უფრო ახლო იქნება ბუნებაზე, რაც უფრო მეტად დაემსგავსება გაკვეთილებს, რომელსაც ბუნება დღე მუდამ აძლევს ბავშვებს, მით უფრო ნაყოფიერი იქნება. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ცხოვრებაში ბავშვი მთელი კვირაობით მარტო საგნების შეკრებაში იყოს და გონება მისი მხოლოდ ამაში ვარჯიშობდეს, ან მარტო გამოცხვებაში ან გამრავლებაში და სხვა. სხვა არა იყოს რა, ამნაირი ერთგვარი მუშაობა თავს მოაწყენს ბავშვსა და დაუღალავს მას გონებას“.

სალი პედაგოგიური პრინციპების ლალატად მიიჩნია ვ. ყიფიანს ისიც, რომ ხშირად ა. ნატროშილი ძნელი ამოცანებით იწყებს, მაშინ როცა მარტივიდან უნდა ვიწყებდეთ და თანდათან რთულზე გადავდიოდეთ. რეცენზენტი წერს: „ხშირად შევხვდებით მის კრებულში, რომ რთული და ძნელად გამოსაგნები ამოცანა უსწრებს მარტივს და ადვილად გამოსაანგარიშებელს. დიდ რიცხვზე სავარჯიშოები ხშირად ბევრით წინ არის ჩართული წიგნში პატარა რიცხვების საანგარიშობებზე“.

სარეცენზიო კრებულის ნაკლთან ერთად ვ. ყიფიანი უყურადღებოდ არ ტოვებს, რაც კარგი და სასარგებლოა სახელმძღვანელოებში. კრებულის ერთ-ერთ ღირსებათა შორის „უნდა აღინიშნოს ციფრების სწავლება პირველ განყოფილებაში ნულების, ჯვრების და კვადრატების საშუალებით. მოსაწონია აგრეთვე ტაბულები რუსული და ქართული ზომებისა და დამატება, რომელიც შეიცავს მრიცხველობას ქართულ ასოებით და ანგარიშს ქართული ფულისას ამავე ასოების საშუალებით“.

ა. ნატროშილის კრებულისაგან განსხვავებით რ. ჯაჯანაშვილის მიერ შედგენილი ამოცანების უპირატესობას რეცენზენტი ხედავს იმაში, რომ „ის განიხილავს თვითფულს რიცხვს ყოველის მხრით; ამრავლებს, ჰყოფს, აერთებს, აკლებს და ამნაირად ნელ-ნელა მიდის ერთიდან ათამდე, ოცამდე, ორმოცამდე და ასამდე“.

ნატროშილის კრებულის მსგავსად, ჯაჯანაშვილის კრებულის სუსტ მხარედ ვ. ყიფიანს ისიც მიიჩნია, რომ შემდგენელი ვერ არჩევს რთულ რიცხვს მარტივისაგან, ვერ ითვალისწინებს თითოეულის სპეციფიკას, რასაც იგი მათემატიკის ელემენტარული კანონის დარღვევად სთვლის. „ჯაჯანაშვილი,—წერს ის,—არ არჩევს რთულ რიცხვს მარტივისაგან; ყოველი რთული რიცხვი, როგორც შემდგარი რამდენიმე მწარმოებლისაგან, მტკ კომბინაციას წარმოადგენს, ვიდრე მარტივი და, მაშაქადამე, მის შესასწავლად მეტი ამოცანა საჭირო“.

ანიკებს რა რეცენზენტი სახელმძღვანელო წიგნის ენას უდიდეს მნიშვნელობას მოზარდი თაობის სწორი მეტყველების გაზომუშაების საქმეში, ენობრივად ორივე კრებული წინ გადადგმულ ნაბიჯად მიაჩნია. „ენა, — შენიშნავს იგი, — როგორც ჯაჯანაშვილისა, ისე ნატროშვილის კრებულისა საკმაოდ მსუბუქი და ფაქიზია. ამ მხრივ ესენი უფრო მალა სდგანან რეცხილადის კრებულზე“.

ვასილ ყიფიანი თავისი დაკვირვებული მოსაზრებებით დიდად უწყობდა ხელს კარგი სახელმძღვანელოების შედგენისა და მათემატიკური დისციპლინების უკეთ სწავლების საქმეს, ქართული, ნაციონალური სკოლისათვის ამ აუცილებელ საქმეს.

\* \* \*

ისე, როგორც ჩვენი სხვა მოწინავე მასწავლებლებიც, ვასილ ყიფიანი ფართო განათლების მქონე პიროვნება იყო და მისი ინტერესთა სფერო მარტო თავისი სპეციალობით, ამ შემთხვევაში მათემატიკური დისციპლინების, ცოდნით არ იყო შემოფარგლული.

ქართული ლიტერატურის საფუძვლიანმა შესწავლამ გზა გაუკაფა მას ღრმად შეესწავლა რუსული და საზღვარგარეთული მწერლობის უდიდეს წარმომადგენელთა მდიდარი მემკვიდრეობა. ასევე დიდ ინტერესს იჩენდა იგი ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მატერიალური და სულიერი კულტურისადმი, მისი გმირული ისტორიისადმი.

ამასთან ერთად ვასილ ყიფიანს მხატვრული ნიჭი და ალლოც უწყობდა ხელს და მან მხატვრულ მწერლობაშიც დატოვა თავისი კვალი. ამ მხრივ მისი საყვარელი ქანრი დრამატურგია შეიქნა და რამდენიმე პიესით კიდევაც დაამშვენა მხატვრული შემოქმედების უროთულესი ფორმის ეს სფერო. კერძოდ ვ. ყიფიანის კალამს ეკუთვნის საკმაოდ ცნობილი 5-მოქმედებიანი ისტორიული დრამა „სამეგრელოს მთავარი ლევან“, რომელშიაც ასახულია სამეგრელოს დესპოტი მთავრის ლევან დადიანისა და სასახლის არისტოკრატიის მუხანათობითა და გარყვნილებით აღსავსე ცხოვრება. აღსანიშნავია, რომ რევოლუციამდე ეს პიესა ხშირად იდგმებოდა როგორც ქალაქად, ისე სოფლად და წარმატებითაც სარგებლობდა.

აღნიშნული პიესა, გადათარგმნილი ავტორისაგან რუსულად, მწერალად შ. დადიანის ინიციატივით 1926 წელს დაიდგა მოსკოვში ცნობილი რეჟისორის ვახტანგ მკედლიშვილის მიერ მოსკოვის სამხატვრო თეატრთან ჩამოყალიბებული ქართული თეატრალური სტუდიის ახალგაზრდა ძალების მონაწილეობით. ამის შესახებ ვ. მკედლიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად მიძღვნილ ერთ წერილში გ. ბუხნიკაშვილი აღნიშნავდა: „В 1926 году постановкой исторической драмы В. Кипиани „Мингрелский владетель Леван“ состоялся выпуск студии“ („Заря востока“, 1944 г. 21 V). როგორც დამსწრენი გაღმომგვცემენ, პიესას მაყურებელზე ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია.

ვასილ ყიფიანს დარჩა რამდენიმე პიესა ხელნაწერის სახით (ინახება მის დისწულთან მარიამ ანდრონიკაშვილთან). ესენია: „სისხლის ძიება“ 4-მოქმედებიანი დრამა, რომლის სიუჟეტი აღებულია მე-17 საუკუნის მთიულეთის ცხოვრებიდან და გადმოგვცემს მოთარეშე აბრაგების სისხლიან თავგადასავალს. მეორე პიესაა „ზილოთი“, რომელიც ბიბლიურ თემაზეა გაშლილი. ვასილ ყიფიანს გადმოუთარგმნია ქართულად შექსპირის „მაკბეტი“, მაგრამ ვინც მაჩაბლისეულ თარგმანებს იცნობს, მასზე ვ. ყიფიანის თარგმანი მეტად ფერმკრთალ შთაბეჭდილებას დასტოვებს.

1918 წლიდან ვასილ ყიფიანი მძიმე ავადმყოფი შეიქმნა. მას გონებრივი აფაზია (მეხსიერების დაქვეითება) სტანჯავდა, რის გამოც საბოლოოდ ჩამოსცილდა საზოგადოებრივ ასპარეზს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მას აღარ უმუშავნია.

\* \* \*

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მას პერსონალური პენსია დაენიშნა. ღრმა მოხუცებაში ვასილ ყიფიანი გარდაიცვალა 1936 წლის 27 იანვარს ქ. თბილისში (დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე). თავის გამოსათხოვარ სიტყვაში მწერალმა თედო სახოკიამ ვასილ ყიფიანი ასე დაახასიათა: „მთელი შენის ხანგრძლივის სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ ერთი აზრი გასულდგმულებდა—აზრი შენის ხალხის სამსახურისა. მთელის შენის ხანგრძლივის სიცოცხლის განმავლობაში ერთს ნატვრასა და სურვილს ატარებდი გულში—გენახა შენი ხალხი ბედნიერი, განათლებული, ეკონომიურად წარმატებული... ბედნიერია ის ერი, ვისთვისაც შენისთანა შვილს გული უძგერდა“.

ცხოვრების ასეთი სახელოვანი და მისაბაძი გზა განვლო ზნეობით მაღალმა ადამიანმა ვასილ როსტომის-ძე ყიფიანმა.

## აბელ ბაირამაშვილი

(1856—1908)

პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე აბელ ნიკოლოზის-ძე ბაირამაშვილი დაიბადა 1856 წელს ინგილო გლეხის ოჯახში.

როგორც ცნობილია, საქართველოდან მოწყვეტის შემდეგ საინგილოს მთელი მიწა-წყალი ილისუს ხანების ხელში იყო. აბელის მამა ნიკოლოზ ბაირამაშვილი თავისი თანამემამულეების გულშემატკივარი, მხნე, მებრძოლი ვაჟკაცი ვერ ურიგდებოდა ამ უსამართლობას და მთელი სიცოცხლე ებრძოდა ილისუს ხანებს. ამისათვის ნიკოლოზი სამოციან წლებში გადასახლებულ იქნა ციმბირში, საიდანაც იგი დაბრუნდა ათი წლის შემდეგ. ბაირამაშვილები ადრე თარხნიშვილები ყოფილან, სოფ. ყორალანის მკვიდრნი, მაგრამ, როდესაც ისინი ძალად გაუმაჰმადიანებიათ, ბაირამაშვილებად დაწერილან. 1850 წლიდან დაიწყო სოფ. კახის ინგილოების ხელახალი მოქცევა ქრისტიანებად, ბაირამაშვილებისაც მათ შორის.

აბელის მამას, ნიკოლოზს ხუთი შვილი ჰყოლია, სამი ქალი და ორი ვაჟი.

აბელი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი ინგილო ახალგაზრდობიდან, რომელსაც განათლება მიეღო. აბელს დამთავრებული ჰქონდა ზაქათალის ექვსკლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი და თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი. ინსტიტუტის დამთავრებისას იგი დაინიშნა მასწავლებლად ზაქათალის სამოქალაქო სასწავლებელში, შემდეგ გადავიდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში და მეორე კლასიკურ

გინაზიში ქართული ენის მასწავლებლად. აბელ ბაირამაშვილი ფართოდ განათლებული პიროვნება იყო. მას ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელშიაც მეცნიერულ წიგნებთან ერთად კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებიც მრავლად იყო თავმოყრილი. თავისი საქმის უსაზღვროდ მოყვარულ აბელ ბაირამაშვილს დიდი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული თავის კოლეგებსა და მოსწავლეებში, როგორც ამას ადასტურებს მისი თანამედროვე მხცოვანი მწერალი თ. სახოკია.

ახალგაზრდა აბელი განაგრძობდა მამის—ნიკოლოზის მიერ დაწყებულ საქმეს,—ბრძოლას ინგილოებისათვის მიწების დაბრუნებისათვის ილისუელი ხანებისაგან. სიცოცხლის ბოლო ხანებში მან მიაღწია იმას, რომ ინგილოებმა უკან მიიღეს წართმეული მიწები. სიზმრად თუ ცხადლივ აბელი თავისი ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრობდა. თ. სახოკია მოგვითხრობს: „ზოგჯერ საღამოობით თავისთან შემიწვევდა განსვენებული აბელი და გულდაწყვეტით მომიყვებოდა თავისი მხარის გამწარებული წარსულის თავგადასავალს. ბოლოს მკითხავდა: რა ვქნათ, რა ეილონოთ, რა წამალი გამოვნახოთ ჩვენის ეროვნულის წყლულისა. მაშინდელ მეფის მთავრობისათვის ოლონდაც რომ ხელსაყრელი იყო გათიშვა და დაქუცმაცება საქართველოს სხვადასხვა კუთხისა, როგორც იყვნენ საინგილო, აქარა-ქობულეთი, სამეგრელო. ისედაც მცირე რიცხოვან ქართველებისათვის დიალაც რომ სავალალო პერსპექტივა იშლებოდა. წინ... აბელის გულშემატკივარ თხოობას საინგილოს შესახებ მე ჩემის მხრივ მიუშვებდი სამეგრელოს სავალალო მდგომარეობის სურათის გაშლას. ვუზიარებდი ჩემს თანამოსაუბრეს, თუ დეკანოზი ვოსტორგოვი და მისი აგენტები აშორდია-ხორავები როგორის უტიფრობით ცდილობდნენ სამეგრელოს სკოლებში ქართულის ენის ამოკვეთას და მგერელთა რუსიფიკაციას. ამ ბაასში ჩვენის ქვეყნის ოცნებას იმ ზომამდე გავეტაცვინებოდი, რომ ზოგჯერ დილის 1—2 საათამდე ვათენებდით ღამეს\*...“

აბელ ბაირამაშვილი მეტად პოპულარული პიროვნება იყო. არც ერთი საზოგადოებრივი საქმე არ ჩატარდებოდა ისე, რომ აბელი არ ყოფილიყო მისი ხელმძღვანელ-ინიციატორი.

შეუდარებელი იყო აბელი, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მკოდნე და მასწავლებელი. მისი გაკვეთილები განსაკუთრებით საინტერესო და მიმზიდველი იყო—იგონებენ თანამედროვენი. იმ დროს, როდესაც საქართველოში ქართული ენა იღვევებოდა, აბე-

ლი არამცთუ სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენას, არამედ მას დაარსებული ჰქონდა ივანე როსტომაშვილთან ერთად ქართული ლიტერატურის წრეები. ამ წრეების საშუალებით მან ბევრ ქართველ ახალგაზრდას ჩაუნერგა ქართული ლიტერატურის სიყვარული და გაუღვიძა ეროვნული გრძნობა. მათ შორის აღსანიშნავია ცნობილი პედაგოგი და დამსახურებული სახალხო მასწავლებელი, ბელეტრისტი ალექსი მირიანაშვილი.

„ალექსი მირიანაშვილის .გათვითცნობიერებაში საგრძნობი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურის იმ კვირეულმა ერთსაათიანმა უფასო გაკვეთილებმა, რომელსაც მასწავლებელი ა. ბაირამაშვილი (ინგილო) და ცნობილი პედაგოგი ივანე როსტომაშვილი ატარებდნენ საქალაქო სასწავლებელში“ (ვაზ. „სახალხო განათლება“, 1950 წ. 14 ივნისი). „სწორედ ამ გაკვეთილებზე პირველად მოესმა ჩემს ყურებს—წერს ალექსი თავის მოგონებაში—ჩვენი უკვდავი ნ. ბარათაშვილის „მერანი“ და „ბედი ქართლისა“, დიდებული ილიას „კაცია—აღამიანი“ და სხვა, რომელთა კითხვამ, თამამად შემიძლია ვთქვა, საბოლოოდ შემაყვარა ქართული წიგნი და, ვგონებ, ყველაფერი ეროვნულიო“...

აბელ ბაირამაშვილი მთელი სიცოცხლე წევრი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა. იგი თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის ნ. ნიკოლაძის „ინჰიპ“—ში. „ბაირამაშვილი აბელი იყო კორესპოდენტი ნიკოლაძის „ინჰიპ“-ისა და თავის წერილებს ფსევდონიმად „ახიელ-ს“ აწერდა, ქართულ გაზეთებშიაც შრომობდა. მისი შვილი კოწია, უნივერსიტეტის სტუდენტი, დაიღუპა ადესას 1905 წ. ხოლო თვითონ გარდაიცვალა 1908 წ. მისი ქალიშვილი ასრულებს უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელს პეტერბურგში“ (მ. ჯანაშვილი „საინგილო“, გვ. 45, 1913 წ.).

აბელ ბაირამაშვილის 6 შვილიდან, რომელთაც მან უმაღლესი განათლება მიაღებია, აღსანიშნავია კოწია, მეტად ნიჭიერი, დინჯი და ამავე დროს მებრძოლი სულის პატრონი ახალგაზრდა, ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი. მას დამთავრებული ჰქონდა სტავროპოლის რეალური სასწავლებელი სახელმწიფო ხარჯზე, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას. ოდესის უნივერსიტეტში სწავლის დროს იგი მუშაობდა მარქსისტულ წრეში. 1905 წელს მეფის მოხელეებთან სტუდენტთა შეტაკების დროს იგი დაიღუპა ბარიკადებზე (მასთან ერთად დაიღუპა დოც. კლდიაშვილი).

აბელი არა მარტო თავისი შვილების აღზრდა-განათლებაზე ზრუნავდა, იგი დიდ ზრუნვას იჩენდა სხვა ინგილო ახალგაზრდების სწავლაზეც. მისი ინიციატივით მრავალი ინგილო ახალგაზრდა გაიგზავნა სხვადასხვა სასწავლებლებში სახელმწიფო ხარჯზე; მათ შორის შემდეგში კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწეები კოტე ტარტარაშვილი, გიორგი გამხარაშვილი და სხვ.

აბელ ბაირამაშვილი ინიციატორი იყო საინგილოში სოფლის მეურნეობის აყვავებისა. მან პირველმა შემოიტანა საინგილოში სხვადასხვა ახალი კულტურები: პამიდორი, კარტოფილი და სხვა. თანამშრომლობდა აგრეთვე ქურნალ „Сельскохозяйственный вестник“-ში. ამ საქმეში მას მეტად უწყობდა ხელს მეუღლე ელენე, დარბაისელი, ჭკვიახი დიასახლისი და საზოგადო საქმისათვის მებრძოლი ქალი. ელენე დიდი ძეგობარი იყო ცნობილი მასწავლებლის სოფიო ყულოშვილისა. მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით ინგილო ქალების გათვითცნობიერებისა და მათში კულტურის შეტანის საქმეში.

ელენეს მეტად უყვარდა მეურნეობა, განსაკუთრებით მეაბრეშუმეობა, რაშიაც მან მედალი მიიღო 1901 წელს თბილისში მოწყობილ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მის მიერ გაგზავნილი პარკის განსაკუთრებული სანიმუშო ხარისხისათვის.

შვილის, კოწიას სიკვდილმა გასტება წელში ესოდენ ენერგიული და თავისი ხალხის მოყვარული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე აბელ ბაირამაშვილი. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ იგი გარდაიცვალა სოფ. კახში 1908 წელს. დასაფლავებულია იქვე, მთისძირის სასაფლაოზე.

---





## გრიგოლ ყივშიძე

(1858—1921)

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ჟურნალისტიკისა და ახალი საერთო ეროვნული ლიტერატურული ენის დამკვიდრების ისტორია გრიგოლ ყივშიძეს გვერდს ვერ აუვლის. იგი ათეული წლების მანძილზე ედგა გვერდით დიდ ილია ქაჯავაძეს ახალი ლიტერატურული ენის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

გრიგოლ, ანუ შინაურობაში გიგა, ყივშიძე 1858 წლის 10 იანვარს (ძვ. სტ.) დაბადებულია გორის მაზრის სოფ. წვერში, სადაც მამა მისი თევდორე იმ ხანებში მღვდლად ყოფილა გამწესებული. როგორც ყივშიძეების საოჯახო საბუთებიდან ჩანს, მათ წინაპარს თევდორე ყივშიძეს 1813 წელს თავი დაუხსნია თავად აბაშიძის ყმობიდან და სოფელ კაცხიდან ქართლში, სოფელ დირბში ვადმოსახლებულა. ამით დასაბამი მიუცია ყივშიძიანთ გვარის ქართლური შტოისათვის.

რვა წლისა ყოფილა პატარა გიგა, როცა ის მშობლებს მოსამზადებელ კლასში მიუბარებიათ, ხოლო შემდეგ სწავლა გაუგრძელებია თბილი-

სის სასულიერო სასწავლებელში. 1874 წელს ამ სასწავლებლის კურსი დაუსრულებია და თბილისის სასულიერო სემინარიაში შესულა. აქ კი მას მხოლოდ 4 წელიწადს მოუხდა ყოფნა. სემინარიის მაშინდელი ინსპექტორ ივანე კუეშინსკის საშინელი რეჟიმის პირობებში თავისუფლების მოყვარულ გივას ყოფნა გასკირვებია. სოფრომ მგალობლიშვილისა და იონა მეუნარგიას ცნობებით ეს კუეშინსკი იყო თავაშვებული რუსიფიკატორი, ქართველთა მოძულე. იგი ყოველი შეგირდის გულში უჩვეულო ლალატს დაეძებდა. მისმა უმსგავსო საქციელმა და თითქმის ყოველკვირა მოსწავლეთა ჩხრეკამ და აწიოკებამ სემინარიაელთა რამდენიმე ამბოხება და პროტესტი გამოიწვია, რასაც მოსდევდა მოსწავლეთაგან კუეშინსკის შეურაცხყოფა და შემდეგ მათი გარიცხვა სემინარიიდან. ერთი ამგვარი ამბოხების მსხვერპლი უკანასკნელ კურსზე მყოფი „მაღბაზი, ნიკიერი და ომახიანი მოლაპარაკე“ გიგაც გამხდარა.

1877 წელს 19 წლის გიგა პეტერბურგში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. იქ უნივერსიტეტშიც კი ჩაერიცხა როგორც თავისუფალი მსმენელი, მაგრამ სწავლას დიდხანს არ შერჩენია. ოჯახური პირობებისა და უსახსრობისა გამო სამშობლოში დაბრუნდა.

1878 წლიდან გიგა მასწავლებლობას იწყებს ჯერ სოფელ წრომში და შემდეგ ახალქალაქში, სადაც მასწავლებლობდნენ აგრეთვე ცნობილი ხალხოსნები შაქრო გულისაშვილი და ნიკო ხუციშვილი. მათი მეშვეობით გიგა ყიფშიძე ხდება გორის ხალხოსანთა ჯგუფის აქტიური წევრი და კორესპონდენტი ილია ქავკავაძის კვირეული გაზეთი „ივერიისა“ და სერგეი მესხის ყოველდღიური გაზეთი „დროებისა“.

როგორც პრაქტიკოსი მასწავლებელი, გრიგოლ ყიფშიძე სკოლას დიდხანს არ შერჩენია, მაგრამ, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, თავისი კალმითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ის სახალხო განათლების საქმის მუდმივი მსახური იყო და აქტიური მონაწილეც ამ უბანზე წამოკრილი აქტუალური საკითხების გარჩევა-გადაწყვეტაში. მას ახარებდა, რომ ბატონყმობიდან ახალგანთავისუფლებულ გლეხთა შვილები სწავლას ეწაფებოდნენ, რომ მათ თანდათან ეხსნებოდათ გონება, უფართოვდებოდათ თვალთახედვა, ეზრდებოდათ სწავლისადმი მისწრაფება და სიყვარული. გლეხის პატარა ბიჭებმა თვითონვე დაიწყეს ძახილი: „მასწავლეთ წიგნი, მასწავლეთ, მასწავლეთ წერა-კითხვას!“ და როცა ერთ-ერთი სასოფლო სკოლის მუშაობის წლიურ შეჯამებას აღწერდა გრ. ყიფშიძე, სიყვარულით აღნიშნავდა: „ეს დაგლეჯილი გლეხის ბიჭები ისეთის გრძნობათ ამბობდნენ ზეპირად ლექსსა, რომ ღმერთმა შეარცხენოს იმათთან კაი რიტორები და პეეტარნი. რა ცოდნით უჩვენებდნენ ისინი გლობუსზე სხვადასხვა ადგილებს და გზებს—საამური იყო თვალისა და გულისათვის. ეგრე, ეგრე, სოფლის მასწავლებლო! იშრომე ხალხის კეთილ-დღეობისათვის, ჩემად, შეუნიშნავად როგორც ფუტკარი თავის სკაში. შენ დაუფიწყარი იქნები შენს პატარა სამშობლოში. დეე, რაც

უნდა ქნას მტრის გესლიანმა ენაბა, შენ მაინც კიდევ იშოვი პატიოსან შრომას, შენ მაინც კიდევ შესწირავ, განდევნილო სემენარიელო, შენს აშუიათ ენერგიას და მტკიცე სულს შენს საყვარელს ხალხს“... („ივერია“, 1878 წ. № 14, გვ. 3).

1878 წლის „ივერიის“ (№ 14, 15, 23, 36 და ა. შ.) ფურცლებზე „გ. გოდორიას“ ფსევდონიმით თავსდება გ. ყიფშიძის ამგვარი კორესპონდენციების მთელი სერია ფრონის ხეობიდან და საერთოდ ქართლიდან. ამ წერილების უმთავრესი საკითხებია: ქართლის სოფელი, გლეხების ყოფა-ცხოვრება, სკოლა, სოფლის მასწავლებელთა მდგომარეობა, სახალხო განათლება და ა. შ.

ამავე ხანებში სკადა გიგამ თივისი კალამი ბელეტრისტიკაშიც. მან ზედი-ზედ დაბეჭდა რამდენიმე მოხდენილი ნოველა: „ერთი მიცვალებულის ბედი“ („ივერია“, 1878 წ. № 23), „ერთი ღამე თოვლქვეშ“ („ივერია“, 1883 წ. № 12), „ქართლელის ფიქრი გაზაფხულის პირზედ“ („ივერია“, 1878 წ. № 14), „ძალიან დღეობა კი იყო ი დალოცვილი“ („ივერია“ 1885 წ. № 3) და სხვა, რომელნიც იმდროინდელი სოფლის ცხოვრების სიდუხჭირესა და ჭირვარამს ასახავენ. ეს იყო გიგას სამწერლო დებიუტი, მისი გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე როგორც ბელეტრისტისა. მაგრამ ეს დებიუტი არც ისე ეფექტური გამოდგა. გიგა ყიფშიძის კალამი მხატვრულ პროზაში სუსტი აღმოჩნდა და მისი ქმნილებებიც ფერმკრთალი, რის გამო ისინი მალე ჩაიძირა, დავიწყებას მიეცა. ეს ავტორმაც კარგად იგრძნო და სარბიელიც სხვაგან გადაიტანა, სამშობლოს სამსახური სხვა სფეროდან გადაწყვიტა.

1879 წელს გიგა ყიფშიძე თბილისშია. ის იწყებს ახალფეხადგმული ქართული სცენის სამსახურს, ხდება 1879 წელს ჩამოყალიბებული პირველი მუდმივი ქართული დასის წევრი და რამდენიმე წლის განმავლობაში ემსახურება ქართული თეატრის განმტკიცებას, როგორც მოკარნახე და ქართული სცენის ენთუზიასტი. ის აქვე უახლოვდება დასის ცნობილ მსახიობ ქალს ბაბო კორინთელს (ს. ტყვიავიდან იყო) და 1882 წელს მასზე იქორწინებს. ამის შემდეგ გიგა ყიფშიძე მომეტებულად თბილისში ცხოვრობს, თანამშრომლობს ქართულ პერიოდულ პრესაში, როგორც ლიტერატორი, თეატრალი და პუბლიცისტი. ამასთან ერთად 1882 წლიდან 1885 წლამდე მუშაობს საქმის მწარმოებლად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“, სადაც ამავე საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ილია ჭავჭავაძის ყურადღება და სიყვარული დაიმსახურა. მართლაც, როცა ილია ჭავჭავაძემ თავისი კვირეული გაზეთი „ივერია“ ჯერ ყოველთვიურ ეურნალად (1880—85) და შემდეგ ყოველდღიურ გაზეთად გადააკეთა (1886), გიგა ყიფშიძე მისი რედაქციის მუდმივი თანამშრომელი და მარჯვენა ხელი ხდება („ტრიბუნა“, 1921 წ. № 76).

ჩვენი მსოვანი მწერალი, გიგა ყიფშიძის თითქმის თანამედროვე

და მასთან დაახლოებული, თედო სახოკია გადმოგვცემს: „განსაკუთრებით კი 1886 წელს იწყება გიგა ყიფშიძის საარაკო სამწერლო მუშაობა. მას კისრად აწვა ის ჩუმი, უჩინარი, ყოველდღიური და შეუწყვეტელი ტვირთი, რომელსაც საგაზეთო მუშაობა ჰქვია და რომლის სიმძიმე მხოლოდ იმით იცინა, ვისაც ამგვარი შრომა გაუწყვიათ“ (იქვე).

გაზეთი „ივერიის“ მაშინდელი თანამშრომლები და რედაქციასთან დაახლოებული პირები: ი. მანსვეტაშვილი, სოფ. მგალობლიშვილი, ი. მეუნარგია და სხვები თავიანთს მოგონებებში გადმოგვცემენ, რომ გიგა ყიფშიძე ილიას დიდი ნდობით სარგებლობდა, რომ რედაქციაში ერთსა და იმავე დროს ის სტილისტურად ასწორებდა, რედაქციას უკეთებდა და დასაბეჭდად ამზადებდა უამრავ მასალას, რომლის ანაწილების კორექტურასაც თვითონვე ასწორებდა. ამ დროიდანვეა დარჩენილი დამახასიათებელი გადმოცემა, სადაც ნათქვამია, რომ ჩენი სასიქადულო ბელეტრისტი ალ. ყაზბეგი, რომელიც იქვე, რედაქციის ოთახში სოცარის სისწრაფით წერდა თავის რომანებს, იშვიათად თუ სვამდა სასვენ ნიშნებს. როცა ამ ნაკლებ მიუთითებდნენ, ის გულდამშვიდებით იტყოდა თურმე:—ეგ ჩემი საქმე არ არის, ეგ გიგას საქმეა, იმან გაუკეთოსო—... და გიგაც, რა თქმა უნდა, ენერგიულად და გულმოდგინედ განაგრძობდა „თავის საქმეს“, რომ ხვალისთვის კარგი და შინაარსიანი გაზეთი მიეწოდებია მკითხველისათვის. დააკლდებოდა თუ არა რომელიმე ნომრისათვის მასალა, იმასაც თვითონვე დასწერდა სახელდახელოდ, ან თარგმნიდა მოთხრობას, რომ გაზეთი დროზე და შეუფერხებლივ გამოსულიყო. ყველაზე ძნელად ამოსაკითხი დედანიც გიგას უნდა წაეკითხა, რადგან ის იყო მისი ხელოვანი, ყველას „თავისებურად ჩაბულბულებდა“ თურმე, რისთვისაც მას ხუმრობით რედაქციის მედავითნეს ეძახდნენ.

სოფრომ მგალობლიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ ხშირად ილია გიგა ყიფშიძის რჩევითა და დასტურით იწყებდა რედაქციაში მუდმივ თანამშრომლად საუკეთესო მწერლებსა და ნიჭიერ ეურნალისტებს, რომელთაც ყიფშიძისავე განსაზღვრის მიხედვით ენიშნებოდა რედაქციიდან თვიური გასამრჯელო და ჰონორარი (მოგონებანი, გვ. 197).

ცნობილი ეურნალისტი იაკ. მანსვეტაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ მაშინდელი ცენზორის „სულო ბოროტოს“ მიერ ჯვარედინად გადახაზულ-გადმოხაზული და წითელი მელნით შეთუთხნული გაზეთის კაბადონების გამოხსნისათვის ბრძოლაში ერთად-ერთი ფარი და ციხე-სიმაგრე გიგა ყიფშიძე იყო. მხოლოდ ის უმკლავდებოდა თავისებური ხერხიანი ბრძოლებით ქართული მწერლობის ჯალათად დანიშნულ ლუკა ისარლოვის შარებსა და გულქვაობასაო (მოგონებანი, გვ. 88).

ერთი სიტყვით გიგა ყიფშიძე „ივერიის“ მარტო მდივანი, ან რედაქციის გამგე როდი იყო, როგორც მაშინ ეძახდნენ, არამედ ხშირად ფაქტიური რედაქტორი, რაკი ილია ჰეგავაძე სხვადასხვა საქმეებით დატვირთვის გამო გაზეთისათვის ყოველდღიურად ვერ იცლიდა. ამაზე მი-

გვეთითებენ ილიას წერილები გიგა ყიფშიძისადმი. მაგალითად, ერთს უთარილო ბარათში ილია მიმართავს გიგას: „ბატონო გიგა! მოთხრობა წაფიქთებ და არ ვარგა... თუ ფელეტონები დაგაკლდეთ, ჰთარგმნეთ რაიმე“... (იხ. ილია ქავკავაძის წერილები, გვ. 96).

სხვა შემთხვევაში რედაქციისათვის მოუცლელი ილია ქავკავაძე სწერს თავის საიმედო თანამშრომელს: „ბატონო გიგა! დღეს „მედიცინსკოე ობშჩესტვოში“ კრებაა ავკალის წყლის თობაზედ. ფრიად საინტერესოა და რომ წაბრძანდეთ ჩვენის გაზეთისათვის ანგარიში დასწერეთ, ურიგო არ იქნება... ხვალ კიდევ საქალებო გიმნაზიის ზალაში მეორე კრებაა ქალებისა, ანასტასია თუმანიშვილის თავმჯდომარეობით, ამისიც რომ ვიცოდეთ რაიმე ურიგო არ იქნება“ (იქვე).

გრიგოლ ყიფშიძე აქტიურად წაება ქართული სალიტერატურო ენის დადგენის გარშემო 50-იან წლებში ქართველ ლიტერატორთა (პ. მირიანაშვილი, პ. ჯარაია, ს. ხუნდაძე და სხვ.) შორის გაჩაღებულ კამათში და რამდენიმე საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა.

მისი აზრით „მწერლობის დიდ კერაში განუქრობლად ღვივის ცეცხლი იმ ციხე მონიკებულ მადლისა, რომელსაც დედა-ენა ეწოდება. მწერლობაა მისი მცველი, მისი ხმა-ამოღებული დარაჯი“ („მოამბე“, 1895, № 4). ამიტომ იგი დიდი ყურადღებით ეკიდება იმ მწერლებს, რომელნიც პირველად გამოდიან ასპარეზზე. ეკატერინე გაბაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ვასილ ბარნოვი, დუტუ მეგრელი, შიო არაგვისპირელი, მელანია, ეგნატე ნინოშვილი, იო გვალაძე და კიდევ ბევრი სხვა ის მწერლებია, რომელთაც თავდაპირველად „ივერიაში“ დაიწყეს ფეხის ადგმა, ამ გაზეთში გამოაწრთეს და დახვეწეს თავიანთი სამწერლო ენა.

გ. ყიფშიძე დამცველია ქართულ ენაში ერთგვარი, ერთიანი მართლწერისა. მაგრამ ვიდრე ეს დადგინდებოდეს, მისი აზრით, არაფერს უშლის ერთიმეორეს „ორისა და სამის ერთგვარი ფორმის ერთად არსებობა... ამ ფორმებს შორის ჩუმი ბრძოლა იწარმოებს, ბუნებრივი შერჩევის კანონით, გულმოდგინე რედაქტორებ-კორექტორების მეოხებით, და ერთი გაიმარჯვებს მათ შორის, ხოლო დანარჩენნი განიღვენებიან უდავი-დარაბოდ, თავპირდაუმტკრეველად, ყიფინა დაუცემლად“.

როგორც ჟურნალისტსა და ქართული გაზეთის ერთ-ერთ წამყვან მუშაკს, გრ. ყიფშიძეს ყველაზე მეტად აფიქრებდა ბარბაროზების შემოქრა ქართულ ენაში. მისი ბრძოლა და დაუნდობელი დოსტაქრობა ამ მხრივ, როგორც სტილისტიკისა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართულ ჟურნალისტიკაში.

გრიგოლ ყიფშიძეს სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული აქვს მთელი სერია სტატიებისა, სადაც ის მკვეთრად იცავს დებულებას სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების შესახებ. ჟურნალ „განათლებაში“ (1911 წ. № 9) ის წერს: „როგორც ვუწყით, ჩვენში უმაღლესი მთავრობის განკარგულებით პირველ დაწყებით სკოლებში საგნების სწავლება უმთავრე-

სად ქართულ ენაზედ უნდა სწარმოებდეს. ამავე დროს სასწავლო მთავრობის წარმომადგენელი ჩვენებურ სოფლის სკოლებში მასწავლებლად ნიშნავენ ქართული ენის უცოდინარს, — როგორც, მაგალითად, სუფსის სასწავლებელში გაუწესებიათ რუსის ქალი.“

ქალზე საინტერესოა გრ. ყიფშიძის სტატია „ენა და ეროვნება“, რომელიც მან 1895 წ. დაწერა ხარკოვის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი ა. პოტებნიას გარდაცვალების გამო.

ამ სტატიაში გრ. ყიფშიძე აღნიშნავს „უცხო ენების ცოდნის საჭიროებას, აგრეთვე თარგმანების დიდ მნიშვნელობას დედა-ენისა და მშობლიური ლიტერატურის წარმატების საქმეში. გოეთესავეთ, რომელიც ამბობს, ვინც უცხო ენა არ იცის, იმან არც თავისი დედაენა იცისო, განსვენებული პროფესორიც (პოტებნია, — ს. ც.) იმ აზრისაა, რომ უცხო ენების ცოდნა და თარგმანი უცხო ლიტერატურის ნაწარმოებისა ფრიად საჭიროა და სასარგებლო დედაენისა და მშობლიური ლიტერატურის გაძლიერებისათვისაო“... (12). ამით, — ავტორის აზრით, — ერთი ენა არ ისპობა მეორის მიერ. „ძველად და ეხლაც, — დასძენს იგი, — გავლენა ერთი ერის ენისა მეორისაზედ უფრო ლექსიკური იყო. დამორჩილებული ერის ენაში ვრცელდებოდა ცალკე სიტყვები დამორჩილებულის ერის ენისა. მაგრამ ლექსიკა ენისა ისეთი რამ არის ენაში, რომ მტკიცე ბურჯივით უძლებს ყოველგვარ ზედმოდველებულ მტრის მოსევას. ყოველი უცხო სიტყვა, შეპარული ამა თუ იმ ენაში, უნდა გადაიქმნას, გადაიცვალოს და დაექვემდებაროს მის მუხრუქს, რომელიც არის გრამატიკა“... (იქვე, გვ. 37). მისი აზრით „ქართული ენის სისუფთავისა და კანონიერებისათვის საქმე ასოები, მარცვლები და სიტყვები კი არ არის, საქმე თვით ბუნებაა ენისა, მისი სული, მისი ბუნებრივი მიმოხვრა, მისი ზოგადი აგებულობაო“ („მოამბე“, 1895 წ. № 4).

ლიტერატორთა შორის 1894 წელს ატეხილ კამათისას, რომელშიაც უმთავრესი ყურადღება წვრილმანებს მიექცა, გ. ყიფშიძე წერდა: „მართოდენ სიტყვები იგივეა ენისათვის თითქმის, რაც ქვა და ქვიშა, — აგური და ხურდა შენობისათვისო, მასალის სიკეთესაც, რასაკვირველია, მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ქვა ქვაა, აგური აგურია და კირს ვერ წაუფა, ხოლო ისიცა და ისიც არაფრის მაქნისია, სრულიად გამოუსადეგარია, ვიდრე აბროვია ერთს ადგილას და ხელი ოსტატისა არ შეჭებდია თვით შენობის ასაგებადო“ (იქვე). მისი აზრით ენის საქმეში გრამატიკა იგივე ხუროთმოძღვრებაა, რაც არქიტექტურა შენობათა აგების. საქმეში, მაგრამ ენის შესწავლისათვის, მისი წარმოდგენით, ალფა და ომეგა გრამატიკა მაინც არ იყო. „შეიძლება გრამატიკა გაიზეპიროს“ კაცმაო, — წერდა ის, — მაგრამ ენა კი არ იცოდეს; დავითნს სხაპა-სხუპით წაიკითხავს ზოგიერთი დიაკვანი, მაგრამ შინაარსი კი არ ესმისო“ (იქვე).

მშობლიური ენის დაცვისა და უმაღლესი განათლების საკითხებს ეხება აგრეთვე გრ. ყიფშიძე თავის პოლემიკურ სტატიაში ნ. ხუდადოვ-

თან და აღ. ნანეიშვილთან. გრ. ყიფშიძე ღრმად არის დარწმუნებული, რომ ქართველი „სტუდენტობის რიგიანი წარმომადგენელი აღარ ადგანან თავის ქვეყნის შესახებ სამარცხვინო უმეცრების გზას..“ და ეს ისეთი ნიშანია, დასძინდა ის, რომელსაც გულის ძგერით და ალტაცებით უნდა ვეგებებოდეთ, თუ გვწამს კიდევ ჩვენის ქვეყნის ბედი და ველით მის უმჯობეს მომავალსაო“ („ივერია“, 1882 წ. № 6). გრ. ყიფშიძის მართებული აზრით „ცოდნა და ფილოსოფიური განვითარება ერთია და აღზრდა და დადგენა ხასიათისა—მეორე, ერთი სწავლის საგანია, მეორე—აღზრდელობისა“ (იქვე).

გრ. ყიფშიძეს ვერ უპატიებია რუსეთსა და საზღვარგარეთ მოსწავლე ქართველი სტუდენტისათვის, როცა ის „ისმენს მსოფლიო ისტორიას მეცნიერულად და ნუთუ შეცოდებად არ უნდა ჩაეთვალოს მას ის გარემოება, რომ გადმოვიდეს აქ და იჩივებს არ იცოდეს საქართველოს ისტორიისა: (ამის მაგალითი კი რამდენია!) სიარცხვილით არა სწოთლდება უმაღლესად განათლებული, სრულიად შეცოდებად არ მიაჩნია, რომ მან არც სამშობლო ისტორიი იცის და ვერც ერთს ქართულ ლექსს ვერ წაგიკითხავს ზეპირად თავის ქვეყნის პოეტების თქმულს“ (იქვე).

სახალხო განათლების საკითხებში გრიგოლ ყიფშიძე ნამდვილი დემოკრატიული ეროვნული განათლების მედროშედ გვევლინება. იგი ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის პოლიტიკური მრწამსისა და პედაგოგიური იდეების პოპულარიზატორია. გ. ყიფშიძე იბრძვის ნაციონალური სკოლისათვის, რომელიც აღზრდის აბალგაზრდობაში ეროვნულს მიდრეკილებას, მამულის სიყვარულსა და შეასწავლის თავის ქვეყანას და ხალხს, მის კულტურას. ამგვარი სტუდენტობა, სწავლა-აღზრდით შემთავრებული, გინდ რუსეთში გაგზავნე მერე, გინდ ჩინეთში, იგი არ დაიკარგება, ყველგან შეილია თავის ქვეყნისა. იმითომ რომ მას ღრმად ექნება გართხმული ფესვები სამშობლო ქვეყანაში ნაციონალური სკოლის შემწეობით. სულ რომ კონსმოპოლიტობა ჩასჩიჩინოთ... ის მაინც ეროვნულს დროშას არ უღალატებს“ („ივერია“, 1882 წ. № 6). მაგრამ, განაგრძობს იმავე სტატიის ავტორი, „ვიდრე კი ეს ჯერ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, არ მომხდარა, ჩვენდა სამწუხაროდ და ჩვენი სამშობლო ქვეყნის სავალალოდ, ჩვენს სტუდენტობას, სხვაგან გაგზავნილს, ყოველგვარი შიში და ხიფათი მოელის, გადაბირებაცა, გადაგვარებაცა და გადამახინჯებაცა, როგორც კორპუსების (ლაპარაკია კადეტთა კორპუსზე—ს. ც.) დროს მოსდიოდა“ (იქვე).

ამასთან დაკავშირებით ჩვენი პუბლიცისტი რამდენიმე პრაქტიკულ ღონისძიებაზედაც მიუთითებს: „სტუდენტობა რომ მაგრად და მტკიცედ იდგეს ამ შემთხვევების წინააღმდეგ უცხოეთში, ჩვენის ფიქრით, მას უნდა ჰქონდეს შედგენილი მკიდრო წრე, რომელსაც თავისი საკუთარი ინტერესები ექნება, თავისი ცხარე გულის დამწველი „სავარამო და დაწ-

ყველილი კითხვები“, რომელთა გადაწყვეტისათვის იგი უნდა ემზადებოდეს, როგორც ეროვნების წარმომადგენელი გონიერი ჯგუფი, მის (ეროვნობის) ხორცი ხორცთაგანი და ძვალი ძვალთაგანი. ამ წრემ უნდა შეივსოს ის ნაკლი, რომელიც აწინდელმა გიმნაზიულმა განათლებამ მას უძღვნა: უნდა შეისწავლოს ქართული ენა, ისტორია, ლიტერატურა, მშობლიური კლასიკური და აწინდელი პოეტები, სამშობლო მხარე, რამდენადაც შეიძლებოდა უცხო ქვეყანაში; უნდა გამოიკვლიოს საერთო პროგრამა მოქმედებისა, სამშობლოს მიმართ საზნაურისათვის, მისგან წამოყენებულის პრობლემის და არსობითი ვარამის, ასე თუ ისე გადასაწყვეტად, აქ—თეორეტიკულად და აქ, — ადგილობრივ, — პრაქტიკულადაც“ (იქვე).

გ. ყიფშიძე ნაყოფიერი ლიტერატორი იყო. მისი კრიტიკული ეტიუდები, გაფანტული ქართულ პერიოდულ პრესაში, მრავალ საინტერესო მასალას შეიცავს ქართული კულტურის თითქმის ყველა დარგიდან. გაზეთ „დროებიდან“ დაწყებული ჟურნალ „იმედით“ და შემდეგ „ივერიით“ და „მოამბეთი“ დამთავრებული, მისი კალმის უმთავრესი თემა იყო ქართული მწერლობა; თეატრი, სხვა მრავალი სადღეისო საკითხი, რომელთა გვერდის ავლა მას, როგორც გაზეთის მუშაკს, არ შეეძლო.

გ. ყიფშიძე წერდა როგორც ცალკეულ კრიტიკულ ნარკვევებსა და ეტიუდებს, აგრეთვე საგაზეთო და საჟურნალო შინაურ მიმოხილვებს. 80-იანი წლების ქართველ ბელეტრისტებს შორის უპირველეს ადგილს ის ალ. ყაზბეგს აკუთვნებს. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ალ. ყაზბეგის ნაწერებში ცხოვრება იხატება სავსებით ქეშმარიტი სახელოვნებო შემოქმედებით, კალმის ისეთი მოსმით, რომ ზოგიერთ ევროპელ მწერალ-მხატვარსაც გაუქირდებოდაო“. გ. ყიფშიძეს მიმოხილული აქვს აგრეთვე იმდროისათვის ახალგაზრდა ბელეტრისტების ნ. ლომოურის, ეკ. გაბაშვილის, სოფ. მგალობლიშვილის და სხვათა შემოქმედების ნიმუშები და საერთო დასკვნაში აღნიშნავს, რომ, მართალია, ესენი არ არიან ისეთი მაღალნიჭიერნი და ნაყოფიერნი, როგორც ალ. ყაზბეგი, მაგრამ დასაფასებელი არიან, რაკი ჩვენს ცხოვრებას ასურათებენ საკმაო მხატვრული სიმართლით და 'ქეშმარიტის შემოქმედებითო. გ. ყიფშიძე დიდად აფასებს იმ გარემოებას, რომ ეგნ. ნინოშვილმა, შ. არაგვისპირელმა, ეკ. გაბაშვილმა, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ, ნ. ლომოურმა, სოფ. მგალობლიშვილმა, დურთუ მეგრელმა და სხვ. „მთელი თავისი ძალღონით, მთელი თავისი ნიჭით, რომელიც საკმაოდ შესამჩნევი ზომისაა, მიმართეს დღევანდელი ჩვენი ცხოვრების, ჩვენი მდაბიო ხალხის, გაუნათლებელი სოფლელი ხალხის დასურათებასო“ („მოამბე“, 1896 წ. 11).

შემდეგ წლებში მას გარჩეული აქვს დავით კლდიაშვილის მოთხრობები, რომელთაც ის განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს ქართულ ლიტერატურაში. მომდევნო სტატიაში მას მიმოხილული აქვს ანასტასია ერი-



სთავის, თომბანთ კობას (ია. ეკალიძე), — თ-ლის (ჟიარალო) და სხვათა-  
თხზულებანი, ლალიონის „ფირალი დავლადე“ და სხვა.

1895 წლის ჟურნალ „მოამბის“ № 10-ში გრიგოლ ყიფშიძემ გამოა-  
ქვეყნა საკმაოდ ვრცელი კრიტიკული ეტიუდი „რაფიელ ერისთავი და მისი  
სალიტერატურო მოღვაწეობა“. ეს წერილი მიძღვნილი იყო რაფ. ერის-  
თავის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესადმი, რომელიც მას  
ქართველმა ხალხმა გადაუხადა და რომელიც „სახალხო დღესასწაულად“  
იქცა. გრ. ყიფშიძემ, რაფ. ერისთავის მჩქეფარე პოეზიის ამ პირველმა  
გამარჩევმა, მეტად მაღალი შეფასება მისცა პოეტს.

გრ. ყიფშიძე ავტორია აგრეთვე მრავალი ცალკეული წიგნის რეცენ-  
ზიებისა და თეატრალური ხასიათის სტატიებისა. ის, გარდა გაზეთ „ივე-  
რიისაჲ“, ჟურნალ „მოამბეშიც“ იყო მიწვეული, როგორც საუკეთესო სტი-  
ლისტი, დღიდან ამ ჟურნალის დაარსებისა (1893—1905). ამ ჟურნალში  
დაბეჭდა მან თავისი სანიმუშო თარგმანების უმეტესობა. როგორც სამა-  
რთლიანად აღნიშნავენ, 80-ანი წლების მანძილზე გრ. ყიფშიძემ შექმნა  
მთელი სკოლა საუკეთესო მოქართულეთა და ქართული თარგმანის ოს-  
ტატებისა, რომელთაც (თ. სახოკია, შ. ბილანიშვილი, ალ. ნიკიტინი და  
სხვა) საკმაოდ გაამდიდრეს ქართული ლიტერატურა განსაკუთრებით  
პროზაული თარგმანებით. პირადად გრიგოლ ყიფშიძის თარგმანებში  
აღსანიშნავია: სენკევიჩის „ცეცხლითა და მახვილითა“, პოლ ბურეეს  
„ანდრე კორნელი“, ედმონდ დე ამიჩის „კარმელა“, ფრანსუა კოპკეს  
„იაკობელები“, მათილდა სერანოს „ამბავი სიყვარულისა“, დე-ვოგუეს  
„მართლმსაჯულება“, ლუიჯი კაპუანის „გათახსირებული“, ალ. სუმბა-  
თაშვილის (იუჟინის) „ლალატი“ და სხვა მრავალი.

„ლალატის“ გარშემო უნდა ითქვას, რომ იგი თარგმნეს აგრეთვე  
აკაკი წერეთელმა (1905 წ.), ქართული სცენის დიდმა ოსტატმა კოტე  
მესხმა (1903 წ.) და ცნობილმა თეატრალმა ნიკო ავალიშვილმა (1906 წ.),  
მაგრამ სცენაზე მხოლოდ ყიფშიძის თარგმანმა გაიმარჯვა. როცა „ლა-  
ლატის“ ავტორი სტუმრებია საქართველოს და მისი პიესის უბადლო  
მთარგმნელს შეხვედრია დავით სარაჯიშვილის მიერ ოჯახში გამართულ  
ბანკეტზე, საუბრის დროს გიგასათვის უთქვამს:

— პატივცემულო გრიგოლ, ამ პიესის ორიგინალობა თქვენ გეკუთ-  
ვნით, მე კი ასე მგონია, ქართულიდან რუსულ ენაზე ვთარგმნეო.

საინტერესოა, რომ უკანასკნელ ხანებში გ. ყიფშიძე მარქსის,  
ენგელსის, ბებელის, ლასალის და სხვათა თარგმანებზე მუშაობდა, რო-  
მელთა დასრულება მას ვერ მოუხწრია.

გრიგოლ ყიფშიძე, კირონთან ერთად, ავტორია ქართული სიტყვი-  
ერების თეორიისა, რომელიც პირველად 1898 წელს გამოიცა როგორც  
სახელმძღვანელო წიგნი ქართული გიმნაზიებისა და სკოლებისათვის. აღ-  
სანიშნავია, რომ ეს წიგნი პირველი სიტყვიერების თეორია იყო მე-19  
საუკუნის საქართველოს სინამდვილეში, ასეთი სქელტანიანი (650 გვ.) და-

საკმაოდ პოპულარობამოხვევილი. ის რამდენიმეჯერ გამოიცა (1908 წ., 1920 წ.) და პირველ ხანებში საბჭოთა სკოლასაც უწევდა სამსახურს.

გრიგოლ ყიფშიძეს ეკუთვნის აგრეთვე პირველად ჩვენს სინამდვილეში შედგენილი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი რუსულ ენაზე „პერიოდული ბეჭდვითი სიტყვა კავკასიაში“ (Периодическая печать на Кавказе), რომელიც 1901 წელს გამოიცა თბილისში. ნაშრომი ორ უმთავრეს განყოფილებასაგან შედგება. პირველში მოკლედ გარკვეულია რუსული პერიოდული პრესის ისტორია კავკასიაში, მეორეში კი მოცემულია მოკლე მიმოხილვა ქართული პერიოდული პრესისა, სადაც კონკრეტულად გაშუქებულ-დახასიათებულია: ა) საერთო-ლიტერატურული გამოცემანი: „საქართველოს გაზეთი“ (1817—1820), „ქართული გაზეთი“ (1821—1825), „თბილისის უწყებანი“ (1830—1832), „მახარობელი“ (1845), „ციცკარი“ (1852—1875), „საქართველოს მოამბე“ (1863), „დროება“ (1866—1885), „მნათობი“ (1869—1872), „კრებული“ (1872—1874), „უერია“ (1877—1907), „შრომა“ (1881—1883), „იმედი“ (1881—1883), „კვალი“ (1893—1904), „მოამბე“ (1893—1905), „მოგზაური“ (1901—1904) და ბ) სპეციალური პერიოდული გამოცემანი: „გუთნის დედა“ (1861—1876), „საქართველოს სასულიერო მახარობელი“ (1864—1868), „სასოფლო გაზეთი“ (1868—1881), „ქართული ბიბლიოთეკა“ (1883—84), „ნობათი“ (1883—1885), „თეატრი“ (1885—1890), „მწყემსი“ (1883—1910), „ჯეჯილი“ (1890—1923) და „აკაკის კრებული“ (1897—1897). გრ. ყიფშიძის ეს ნაშრომი, მიუხედავად ზოგიერთი ხარვეზისა და მასში დაშვებული უსწორობისა, დღემდე ერთ-ერთ დამხმარე წყაროდ და ცნობარად ითვლება ამ დარგის ლიტერატურაში.

იშვიათია მწერალი, დიდი იქნება ის თუ პატარა, რომელსაც თავის ქმნილებათა გვირგვინად არ აღმოაჩნდეს ერთი რომელიმე თხზულება. ამგვარი გვირგვინი გ. ყიფშიძისა არის საქმის ღრმა ცოდნითა და პატრიოტული მგზებარებით დაწერილი ილია ქავკავაძის ვრცელი ბიოგრაფია, რომელიც დაერთო 1814 წელს მიხ. გედევანიშვილის მიერ ილია ქავკავაძის თხზულებათა მდიდრული გამოცემის 1 ტომს. ამავე დროს ისიც აღსანიშნავია, რომ დასახელებული გამოცემის მთავარი რედაქტორი, მასალების შემრჩევი და კომენტატორიც გიგა ყიფშიძე იყო. მისი ზრუნველი და მადლიანი ხელიდან არის გამოსული ეს ძვირფასი გამოცემა.

ბიოგრაფმა შეძლო საკმაოდ ფართოდ წარმოედგინა მკითხველის წინაშე ის გარემო, სადაც წარმოიშვა მომავალი პოეტი, დამაჯერებლად დაეხატა პოეტის მშობლები, და-ძმანი, მათი მთელი ოჯახი, იქ გაბატონებული ჩვეულებანი და აღზრდის წესები, პოეტის ბავშვობა, ყრმობა და ქაბუკობა, მისი დაახლოება გლეხების ბავშვებთან და მათგან მიღებული შთაბეჭდილებანი, როგორც უმთავრესი წყარო დემოკრატიზმის ნაკადისა ილიას აზროვნებაში. საკმაოდ ძლიერი ფერებით არის მოცე-

მელი ილია თბილისში: ჰაკეს პანსიონში და გიმნაზიაში, თბილისის გავლენა მასზე და ზოგიერთი გარდატეხანი, რასაც მოსდევს პეტერბურგის უნივერსიტეტში გამგზავრება, პოეტის ცხოვრების იქაური ეპიზოდები და პირველი ლექსები.

ბიოგრაფიის შემდეგ თავებში განსაკუთრებული გულისხმიერებითა და საკითხის ცოდნით არის გაშუქებული ილიას საქართველოში დაბრუნება, მისი სამწერლო ასპარეზზე მძლავრად და აქტიურად გამოსვლა, პირველი წერილები ქართული მწერლობის წარმომადგენელთა ძველი ბანაკის წინააღმდეგ, „თერგდალეულების“ გამოსვლა. ეურნალი „საქართველოს მოამბის“ დაარსება ილიას მიერ და ბრძოლა ახალი, საერთოეროვნული ლიტერატურული ენისათვის, ილიას დიდი მოთხოვნების „კაცია ადამიანისა“ და „გლახის ნამბობის“ გამოსვლა და მათგან შექმნილი ეპოქა ქართულ ლიტერატურაში.

ამის შემდეგ ავტორი აშუქებს ლიტერატურიდან ილიას დროებით ჩამოცილების მიზეზებს, მის დაოჯახებას (1863) და სახელმწიფო სამსახურში შესვლას, რის გამო მას მთელი ათეული წლის განმავლობაში გლახობაში უხდება ტრიალი, სწავლობს გლეხი კაცის ფსიქიკას, ყოფას, ცხოვრებასა და ჰკრებს უამრავ მასალას ქართული მწერლობის გასამდიდრებლად; ამ პერიოდშივე გამოდის ის აქტიურად გლახთა განთავისუფლების საკითხებზე. იცავს გლახთა განთავისუფლებას ბატონყმობიდან მიწების გადაცემით, რისთვისაც მას უხდება სასტიკი ბრძოლა თავადაზნაურებთან და განსაკუთრებით დიდი შეჯახება სახელგანთქმულ ქართულ მემამულესთან, გულზეიად თავადსა და გენერალ-ლეიტენანტ ივანე ბაგრატიონ-მუხრანბატონთან. როგორც მისი ბიოგრაფი აღნიშნავს,—„ილიას ერთყა ვარშემო ბრწყინვალე შარავანდედი ქართველთა დიდი პატრიოტისა, ეროვნული მგონისა, ქვეყნის მესვეურისა და მესაიდუმლესი“—და ამიტომ ის, როგორც მართალი, ყოველ ბრძოლაში გამარჯვებული გამოდიოდა.

ბიოგრაფიის შემდეგ თავებში გიგა ყაფშიძისათვის დამახასიათებელი, დინჯი „ტკბილქართულით“, საინტერესოდ მოთხრობილია: ილიას სახელმწიფო სამსახურიდან გამოსვლა, კვლავ თბილისში დაბრუნება, ბანაკის დაარსება და მისი მნიშვნელობა და დედააზრი, კვირეული ეურნალი „ივერიის“ დაარსება, ილიას პოემების: „დიმიტრი თავდადებულის“ დაბეჭდვა „ივერიაში“ და „განდეგლის“ წაკითხვა ქართველ ლიტერატორთა და მეგობართა წრეში, ეურნალი „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთება (1886 წ.), ცენზორებთან ბრძოლა, რომელსაც მოსდევს ილიას დახასიათება, როგორც ენაზე ორატორისა, უძლეველი პოლემისტისა და უბადლო პუბლიცისტისა, რომლის მიზანი იყო ქართველი ხალხის სრული კონსოლიდაცია, მისი ერთიან, მთლიან ერად ჩამოყალიბება და ეროვნული კულტურის აყვავება.

ამიტომაც ავტორს აქვე თანმიმდევრულად აქვს გაშუქებული ილიაბ

ღვაწლი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“ როგორც მისი უცვლელი თავმჯდომარისა, ქართული თეატრისა და სათეატრო საზოგადოების გარშემო, სწავლა-განათლების, სოფლის მეურნეობის საკითხებზე და ა. შ. დასასრულ ავტორი აღწერს ილიას ცხოვრებას საგურამოში, მის სტუმრიანობას, რომელიც მხოლოდ ქართული კულტურის სამსახურისა და აღორძინების მიზნით იმართებოდა.

ბიოგრაფიის ავტორი სამართლიანად ახასიათებს და გამოჰკვეთს ილიას პიროვნებას, როგორც „მამულიშვილობის ბურჯს“, „ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის“ დიდ მებრძოლს და ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებულ მებრძოლს. აღწერს რა იგი ილიას ვერაგული მკვლელობის ზოგიერთ მომენტსაც, დასკვნაში აღნიშნავს: „აღბათ, დრო მოვა და პირუთენელი ისტორია ყველას თავისას მიუწყავსო“ (გვ. 75).

დიდი ილიას ღირსეული ბიოგრაფის ეს წინაგრძნობა სავსებით გამართლდა. სულ რაღაც 30 წელიწადი დასჭირდა ისტორიის განაჩენის განხორციელებას. 1936 წ. გაზეთმა „პრავდამ“ (№ 224) ილია ქავჭავაძეს „საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარული საზოგადო მოღვაწე“ უწოდა. დიდმა სტალინმა კი ილია ქავჭავაძე ლევ ტოლსტოის შეადარა და თავის ერთ-ერთ საუბარში აღნიშნა: „იმიტომ ხომ არ ვერიდებით ილია ქავჭავაძეს, რომ ის თავადთაგანი იყო? მერე და განა რომელიმე ქართველმა მწერალმა მოგვცა ისეთი ფურცლები მემამულეთა და გლეხთა ფეოდალური ურთიერთობის შესახებ, როგორიც მოგვცა ქავჭავაძემ? მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველ მწერალთა შორის ილია ქავჭავაძე უთუოდ დიდი ფიგურა იყო“ („მნათობი“, 1939 წ. № 12).

პირად ცხოვრებაში გიგა ყიფშიძე უბრალო, თავმდაბალი და თავზიანი ადამიანი იყო. სოფელში დაბადებულს და გაზრდილს უყვარდა სოფელი და მისი მეზობელი გლეხები, რომლებთანაც ის ხშირად ატარებდა დროს, როცა სოფლად ჩადიოდა. მისი შვილებისა და მახლობელთა გადმოცემით, მას უყვარდა გლეხებთან ხშირი საუბარი, მათთან ნადიმი, მუშაობა, ნადირობა და თევზაობა. თუ რაიმე ისეთს დაწერდა, სადაც სოფლის ცხოვრება იყო ასახული, ან გლეხთა საკითხი, პირველად გლეხებს წაუკითხავდა, ინათ მსჯავრს მოისმენდა, ენობრივადაც იქ გასინჯავდა თუ რამდენად მათთვის გასაგებად იყო დაწერილი, ან რომელიმე გაუგებარი სიტყვა ხომ არ ჰქონდა ხმარებული და სხვა. სიტყვისა და საერთოდ ქართული მეტყველების დაუშრეტელ საუნჯედ მას ხალხი მიაჩნდა, რომლისგანაც მუდამ სწავლობდა ენასა და გამოთქმას, ანდაზებსა და იდიომებს. როცა უკანასკნელ დღეებს სოფელში ატარებდა, ის თვითონვე წერდა ერთ თავის ფელეტონში: „ქალაქის მიტოვება და დროე-

ბით სოფელში გადასახლება არც იაე სანთაჲო იყო ჩენთაჲთა. მართალია, ქალაქში გავატარე უმეტესი დრო ჩემი სიცოცხლისა, ჩემი წყაროე საქმიანობისა, მაგრამ სოფელში ცხოვრებისაჲც ხაში არ ვიყავ. იქ დაეიბადე. აღვიზარდე. პატარაობა იქ გავატარე. შემდეგეჲც ხშირი სტუმარი ვიყავ სოფლისა. სოფელთან კავშირს ისევე ძლიერ ვგრძნობდი. როგორც ქალაქთან („ტრიბუნა“, 1921 წ. № 89).

აქ უნდა მოვიგონოთ გიგა ყიფშიძის სახელთან დაკავშირებული ერთი დამახასიათებელი შტრიხი, რომელიც პროფ. სიზონ ყაუხაჩიშვილმა გვიამბო: სალოლაშენში გიგა ყიფშიძის, მისი ძმებისა და სხვათა ყოფილ მამულებზე ჩამოყალიბებულ საბჭოთა მეურნეობას „გიგანტი“ უწოდეს. ეს სიტყვა ადგილობრივი მოსახლეობის ერთ ნაწილს იაე გაუგია, ვითომც გიგა ყიფშიძის საპატივეცემულოდ იყო დარქმეული და ამ მეურნეობას ისინი დღესაც გიგანთ მეურნეობას ეძახიანო.

გიგა მის ქალაქელ მეგობართა შორისაც ასეთივე ტკბილი და თავაზიანი იყო ყოველთვის. გაზეთი „ივერიის“ დახურვის (1907 წ.) შემდეგ ის იძულებული გახდა ეკისრა ქართული სამეურნეო ბანკის ჯერ მოლარეობა და შემდეგ დირექტორობაც, რომელ თანამდებობასაც ის თითქმის 1921 წლის ივნისამდე ასრულებდა.

საბჭოთა მთავრობამ გრიგოლ ყიფშიძეს მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის პერსონალური პენსია დაუნიშნა. საესებით მართებულა გრიგოლ ყიფშიძის პიროვნების დასახასიათებლად თქმული თედო სახოკიას სიტყვები, რომ მას „თამამაჲ შეეძლო ეთქვა: რამდენად ძალმედეა, ვიშრომე ჩემი ხალხისათვის, ვიტანჯე მისი ტანჯვითა, ვილხინე მისი ლხენითა... და მომესწრო იმდენი ხნის ნატვრის ფრთების შესხმაც, მოვესწარ იმ სანეტარო წუთსაც, როს ჩემმა სამშობლომ მონობის ბორკილები დაამსხვრია“... („ტრიბუნა“, 1921 წ. № 76).

ამ „სანეტარო წუთებში“ გრიგოლ ყიფშიძე მხოლოდ 63 წლისა იყო, აღსავსე შრომის უნართა და სურვილით—აქტიური მონაწილეობა მიელო ახალი, სოციალისტური საქართველოს მშენებლობაში. მაგრამ ეს უკანასკნელი სურვილი მას არ შეუსრულდა. 1921 წლის გაზეთი „კომუნისტი“ (№ 213) ქართველ საზოგადოებას აღუწყებდა: „13 ნოემბერს უეცრად გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, ლიტერატორი და მწერალი გ. თ. ყიფშიძე. განსვენებული დიდი ხანი რედაქტორობდა და თანამშრომლობდა სხვადასხვა ქართულ გამოცემებს. გრ. ყიფშიძის გასვენება იკისრა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმაო“. ამ განცხადებას თავის მხრივ გამოეხმაურა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი („კომუნისტი“, 1921 წ. № 215), გაზეთი „ტრიბუნა“ (№ 75, 76, 89) და ქართველი საზოგადოება. გიგა ყიფშიძე დაკრძალულ იქნა თავის ანდერძისამებრ იქ, სადაც მას ბავშვობა და ყრმობა გაუტარებია და სადაც ის თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ცხოვრობდა, ქარელის რაიონის სოფელ სალოლაშენში.

## ლიტერატურა

- ი. ბ. სტალინი, ტ. I, გვ. 22.  
„ივერია“, 1878 წ. № 14, 15, 23, 36; 1882 წ. № 6; 1883 წ. № 12; 1885 წ. № 3;  
„მოამბე“, 1895 წ. № 4, 10, 12; 1896 წ. № 1, 2;  
„განათლება“, 1911 წ. № 9;  
ილია ჭავჭავაძის წერილების კრებული, გამოქვეყნებული ი. ზოცუაძის მიერ;  
ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებული 1914 წ. მ. გუდუწანიშვილის გამოცემა;  
„მოამბე“, 1903 წ. 4;  
„კვალი“ 1894 წ. № 26, 27, 28; 1896 წ. № 19, 27; 1901 წ. № 39;  
აკაკის კრებული 1899 წ. № 2;  
საქ. კალენდარი, 1894 წ.  
გახეთი „ტრიბუნა“, 1921 წ. № 75, 76, 89;  
გახეთი „კომუნისტი“, 1921 წ. № 213.
-



## თომა მთავრიშვილი (1859—1928)

ოქტომბრის რევოლუციამდელ ქართველ მასწავლებელთა სახელოვან პლეადას უნდა მიეკუთვნოს ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე თომა აბრამის-ძე მთავრიშვილი.

თ. ა. მთავრიშვილი დაიბადა სიღნაღის მაზრაში, სოფ. ჯიმითში, 1859 წლის 6 ოქტომბერს. მის სახლს არც ჭერი ჰქონია, არც იატაკი, არც ფანჯრები; შუა ცეცხლისაგან აღენილი ბოლით ჩალის სახურავი გიშერივით ბრწყინავდაო,—იგონებს თომა მთავრიშვილი. თომას დედას, ბერიძის ქალს კარდნახიდან, წერა-კითხვა სცოდნია და კარგად ჰქონია შესწავლილი ხელსაქმე. ამიტომ სოფ. ჯიმითის შეძლებულ ოჯახთა პატარა ქალები მასთან წერა-კითხვასა და ხელსაქმეს სწავლობდნენ.

ექვსი წლის თომა მამას სოფ. ჯიმითის სამრევლო სკოლაში მიუბარებია, სადაც მასწავლებლად სემინარიის კურსდამთავრებული მღვდელი დ. შიშნიაშვილი ყოფილა, რომელიც მოსწავლეთა წარმატებაზე ნაკლებად ზრუნავდა და დროს უმთავრესად მრევლსა და ნადირობაში ატარებდა

თურმე. ამ სკოლაში თომა სამ წელიწადს დარჩენილა და შეუსწავლია ქართული წერა-კითხვა, ხუცური ანბანი და დავითნის კითხვა.

ერთი გავლენიანი ნათესავის მეოხებით პატარა თომა საცხენისის სამხედრო სასწავლებელში მიუღიათ, სადაც ყველა მოსწავლე (სულ ასი იყო) სკოლასთან არსებულ პანსიონში ცხოვრობდა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან საცხენისი თელავის მაზრის მთიან ადგილასაა მოთავსებული. ლეკთა შემოსევების დროს აქ სამხედრო უწყებას ყაზარმები აუგია შემოსევებისაგან კახეთის დასაცავად, ხოლო როდესაც იქ მცველი ჯარის საჭიროება მოისპო, მიტოვებული ყაზარმები სკოლად გადააქციეს პანსიონით, რომელსაც სამხედრო უწყება ინახავდა. მასწავლებლებადაც აქ სამხედრო პირები იყვნენ.

დიდი ტანჯვა განუცდია აქ თომა მთავრიშვილს, რადგან მან რუსული ენა არ იცოდა, ხოლო ქართულად დალაპარაკებისათვის სასტიკი სასჯელი მოელოდა. აი, როგორ აგვიწერს საცხენისის სკოლაში გაბატონებულ წესებს თომა მთავრიშვილი თავის ავტობიოგრაფიაში: „სასწავლებელში შესვლისთანავე გამაფრთხილეს, ქართულად ხმა არ ამოიღო, თორემ უსადილოდ დაგტოვებენო. პანსიონში რომ დამაბინავა, მამაჩემი ერთი დღედაღამე კი დარჩა ჩემთან და, რითაც შეეძლო, მამხნეებდა და მანუგეშებდა, რომ არ მედარდა და არაფრის შემშინებოდა, მაგრამ როცა შინისაკენ დააპირა წასვლა, თითონაც ცრემლი მოერიდა და მეც ხმამალა მოვრთე ტირილი და ცხარე ცრემლით გამოვემშვიდობე მამაჩემს. დავემორჩილე ჩემს მწარე ბედს და დავრჩი სრულიად უცხოთა შორის, სადაც ყოველი ნაბიჯი შიშსა და მწუხარებას მიმზადებდა. თითქმის მთელი თვის განმავლობაში მუნჯად ვიყავი, რადგან უსადილობისა მეშინოდა. ამ დროს ერთი ჩემისთანა ახლად ჩამოსული ყმაწვილი ამედეგნა და ქართულად ლაპარაკი დამიწყო. მე ჯერ ხმას არ ვცემდი, მაგრამ სიმუნჯით რომ მეტად შევწუხდი, ქართულად პასუხი გავეცი; თურმე იმასაც ეს უნდოდა: მოწმის თანადასწრებით მომაწოდა პატარა მრგვალი ხის ფირფიტა, რომელზედაც გარკვეული ხელით ეწერა „За грузинский язык без обеда“. მე ჯერ არ ვიღებდი ამ საზიზღარ ფირფიტას, მაგრამ მიჩივლა. უფროს მოსწავლესთან, რომელმაც ძალით ჩამაბარა და დამემუქრა, რომ ბნელ ოთახში—ქარცერში—ჩამსვამდნენ, თუ ფირფიტას არ ავიღებდი. უბედურება ის იყო, რომ ვისაც ეს ფირფიტა ჰქონდა, იმას ისე უკრიდებოდნენ ამხანაგები, როგორც კეთროვანს... სანამ ქართულად მოლაპარაკეს არ ვიპოვიდი, ყოველდღე უსადილოდ უნდა ვყოფილიყავ. ჩემი უსადილობა გაგრძელდა თითქმის კვირა-ნახევარი. დავაპირე კიდევ შინისაკენ გაპარვა, მაგრამ შორი გზა (60 ვერსი) ვერ დავიმახსოვრე, თან გზაზე ალაზანი მქონდა გასავლელი და მეშინოდა მისი, რადგან ხიდი არ იყო. შემდეგ, როგორც იქნა, ჩემსავით რუსული ენის უცოდინარო ამხანაგი ვიშოვე და ის საზიზღარი ფირფიტა მას გადავეცი. ის უბედური ჩემზე უფრო სუსტი აღმო-



ჩნდა და შიმშილისაგან ისე შეწუხდა, რომ სააღმკურანო დაწოლა მოუხდა. მუნჯობა ჩემი თითქმის ოთხი თვე გაგრძელდა, მერვე შევი-თვისე რაღაც რუსული ელურტული და რას და როგორ ვლაპარაკობდი ან მე და ან ჩემი ამხანაგები, ღმერთმა იცის; მასწავლებლის თვალში საუკეთესო მოწაფედ ვითვლებოდი, რადგან ყველაფერი კაქკაპივით მქონდა გაზეპირებული... ჩემი გვარი აღნიშნული იყო სამ სხვა მოწა-ფესთან ერთად წითელ ფიცარზე, როგორც საუკეთესო მოსწავლისა\*.

საცხენისის სასწავლებელი მალე სასწავლო უწყებას გადაეცა. სა-ცხენისის სასწავლებელზე დაწვრილებით იმიტომ შეეჭრდით, რომ მრავალ ქართველ სახალხო მასწავლებელს დაწყებითი განათლება საცხენი-სის სკოლაში ჰქონდა მიღებული. ეს სასწავლებელი თომა მთავრიშვილს 1877 წელს დაუსრულებია და იმავე წელს თბილისის ალექსანდრეს სა-ხელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოუხერხებია შესვლა. აქაც საკმა-რისად მკაცრი რეჟიმი ბატონობდა. სასწავლებელს ამ დროს სათავეში ედგა ცნობილი შავრაზმელი ნ. პ. ზახაროვი, რომლის შესახებ თომა მთა-ვრიშვილი ამბობს: „...კაცი შესახედავად საზარელი, დეარდნილი, მი-სუსტებული და ნერვებ-აშლილი, რომლის შიში დიდსა და პატარას თავზარსა სცემდა... ქართულ წიგნს, ქართულ ეურნალ-გაზეთს აქ ადგი-ლი არ ჰქონდა, მაგრამ უფროსი კლასის მოწაფეთა შორის იყო ორი-სამი გაბედული პირი, რომელთაც ჩუმად შემოქონდათ მაშინდელი კვი-რეული გაზეთი „ივერია“, რომელსაც ინსტიტუტის ბაღის მიყრუებულ კუთხეში ფარულად ვკითხულობდით“.

მიუხედავად იმისა, რომ თომა მთავრიშვილს არც ერთ სასწავლე-ბელში ქართული არ უსწავლია, თვითგანვითარებას და 70—80-იან წლებ-ში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დაწყებული ეროვნულ-კულტურული აღორძინების ზეგავლენას უნდა მიეწეროს ის, რომ იგი მშვენივრად ფლობდა ქართულ ენას, იცნობდა ლიტერატურას და საქართველოს ისტორიაში იმდენად გათვითცნობიერებული იყო, რომ ერკვეოდა „ქარ-თლის ცხოვრების“ შემადგენელ ნაწილებში, რაშიც მისი მოსწავლე—ამ სტრიქონების ავტორი მრავალჯერ დარწმუნებულია. „ამხანაგთა შო-რის—აღნიშნავს თ. მთავრიშვილი თავის ბიოგრაფიაში—თავისი ნიჭით, წრომის მოყვარეობით და ძვირფასი ხასიათით ჩემს ყურადღებას იქცეე-და ალექსი მირიანაშვილი, რომელსაც მე დავეუახლოვდი, დავემეგობრდი და ეს მეგობრობა სიბერემდის გაგვეყვა და სიყველიამდი შეგვრჩება. გავათავეთ ერთად სწავლა და სიტყვა მივეციეთ ერთმანეთს მე და ალექ-სიმ, რომ უეჭველად ქართულ სასწავლებელში დავრჩენილიყავით მასწა-ვლებლად“. 1881 წელს მთავრიშვილმა და მირიანაშვილმა<sup>1</sup> დაასრულეს

<sup>1</sup> ალექსი მირიანაშვილი ცნობილი პედაგოგი იყო, „დროების“ და სხვა გაზეთების თანამშრომელი. ერთხანს წ.-კ. განავრცელებული საზოგადოების გამგეობის წევრი, ეკამა-თებოდა ი. გოგებაშვილს „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ ლირება-ნაკლოვანების წესახებ.

საოსტატო ინსტიტუტი და პირველი მთავანი ქუთაისის ქართულ სკოლაში მოეწყო მასწავლებლად, ხოლო მეორე თბილისის სააზნაურო სკოლაში. თომა მთავრიშვილმა ქუთაისის უპერსპექტივო კერძო ოთხგანყოფილებიან ქართულ სკოლაში არჩია მუშაობა, თუმცა მას ოლქის მზრუნველი სტავროპოლის სამოქალაქო სასწავლებელში აგზავნიდა.

ქუთაისის სათავად-აზნაურო ქართული სკოლა გაიხსნა 1880 წლის 3 თებერვალს. სკოლას ინახავდა სააზნაურო ბანკი, ხოლო მისი ხელმძღვანელობა მიენდო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელიც ადგილობრივი სამზრუნველო კომიტეტის მეშვეობით ხელმძღვანელობდა მას. განზრახული იყო პირველად ოთხი მოსამზადებელი განყოფილების გახსნა. მაგრამ 1882 წელს, როდესაც ოთხი განყოფილება დასრულდა, პირველი პროგიმნაზიული კლასი გაიხსნა, შემდეგ კი მომდევნო კლასებიც. ასე რომ, 1886 წელს ეს სკოლა ოთხი მოსამზადებელისა და ოთხი პროგიმნაზიული კლასებისაგან შესდგებოდა.

1881/2 სასწავლო წლის სექტემბრიდან ქუთაისის სააზნაურო სკოლას ორი ახალი განყოფილება უნდა მიმატებოდა, მე-3 და მე-4 პარალელური. საჭირო იყო ორი მასწავლებლის მოწვევა; ერთი მთავანი იყო თბილისის საოსტატო ინსტიტუტის ახლად კურსდამთავრებული თომა აბრამის-ძე მთავრიშვილი. „ჩემი საუკეთესო დღენი 33 წლის განმავლობაში ამ სასწავლებელს შევალიე—აღნიშნავს თომა მთავრიშვილი,—და არცა ვნანობ, რომ ასე მოვიქეცი. ჩემი გულითადი სურვილი იყო მეშრომა ქართულ სასწავლებელში და კიდევ ამისრულდა ეს ნაჭერა“. არ არის ინტერესს მოკლებული თომა მთავრიშვილის აზრი ქუთაისის სააზნაურო სკოლის პირველი ინსპექტორის ალექსი ჭიჭინაძის შესახებ: „მე, როგორც გამოუცდელ მასწავლებელს ხელმძღვანელად ისეთი დახელოვნებული და მაღალ ნიჭიერი პედაგოგი შემხვდა, როგორიც იყო აწ განსვენებული ალექსი ბესარიონისძე ჭიჭინაძე (გარდაიცვალა 1916 წელს, ტ. ხ.). ის იყო განხორციელებული ენერჯია, შრომის მოყვარული ადამიანი, სასწავლებლის წარმატების სურვილით გატაცებული. მე არ ვიცნობ მეორე ამისთანა თავგანწირულ ადამიანს: სასწავლებელში ყველაზე ადრე უნდა მოსულიყო და ყველაზე გვიან უნდა წასულიყო. [სასწავლებელს არ მოსცილდებოდა, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ ყველაფერი რიგზედ არის მოწყობილი. დალლა მისთვის არ არსებობდა, მთელი დღე ნაყოფიერად მუშაობდა და ხშირად შუალამემდი იჯდა ერთ უბრალო ოთახში და სასწავლებლის წარმატებაზე ფიქრობდა და შრომობდა. ამასთან ფრიად სამართლიანი, მიუდგომელი და უანგარო ადამიანი იყო. ერთხელ შემოღებულ წესს არც თვითონ არღვევდა და არც სხვას დაარღვევინებდა. ამიტომაც მის დროს დაწყებითი სასწავლებელი და მასთან არსებული ოთხკლასიანი პროგიმნაზია საუკეთესო მდგომარეობაში იყო. ...მე დიდი მადლობელი ვიყავი მისი, და, ვფიქრობ, არც ის იყო ჩემი უკმა-

ყოფილო, რადგან კარგად ხედავდა, რომ სწავლის საქმეს გულგრილად არ ვეკიდებოდი და სრული ჩემის ძალღონით სასწავლებელს ერთგულად ვემსახურებოდი\*.

თომა მთავრიშვილს, როგორც კარგ მასწავლებელს, სათანადო შეფასებას აძლევდა იაკობ გოგებაშვილიც. ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომაზე, 1898 წლის 3 აგვისტოს, მან წინადადება შეიტანა, რომ „ქუთაისის სააზნაურო სკოლის მასწავლებელი თომა მთავრიშვილი დაჯილდოებული იქნეს პროგიმნაზიულ კლასებში გადაყვანით ან გაკვეთილების შემცირებით ჯამაგირის შეუმცირებლადო (იხ. საქ. ც. არქ. ფ. 481, საქ. № 616, გვ. 176). მართლაც, მალე თ. მთავრიშვილი პროგიმნაზიულ კლასებში იქნა გადაყვანილი. ამ სტრიქონების დამწერს ის I კლასში (1901—1902 წ.) ასწავლიდა ქართულ ენას, მესამე კლასში კი — ბუნების მეტყველებას. მის გაკვეთილებს მოსწავლენი ინტერესითა და ბეჯითად სწავლობდნენ.

თომა მთავრიშვილს მხოლოდ პედაგოგიური მუშაობით არ შემოუფარგლავს თავისი მოღვაწეობის არგ. ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა 80-იან წლებიდან აღორძინების გზაზე დამდგარ ქართულ კულტურულ საქმიანობაში. „ინსტიტუტიდან რომ გამოვედი და სამსახურში შევედი, სრულიად არაფერი არ ვიცოდი არც ჩემი ქვეყნის წარსულისა და არც აწმყოსი. ხარბად დავეწაფე მაშინდელ ეურნალ-გაზეთებს და ჩენი საუკეთესო მწერლობის ნაწარმოებებს და ვატაკებებთ ვკითხულობდი... ჯერ კიდევ ინსტიტუტის მოსწავლე ვიყავი, როცა წავიკითხე ი. ქავჭავაძის მოწოდება. რომლითაც თხოულობდა ხალხური ნაწარმოებების შეკრებას დასაბეჭდათ ეურნალ-გაზეთებში. ჩემს უბის წიგნში ჩავსწერე მრავალი ზღაპარი და ლექსი, რომელნიც ჩემი მოხუცებული მეზობელი ქალი-საგან ვავიგონე. ეს ზღაპრები მოთავსებული იყო გაზ. „ივერიაში“ და ერთი მათგანი, „სიზმარა“ აწ განსვენებულმა ილია ზონელმა<sup>1</sup> რუსულ ენაზე საუცხოოდ გადათარგმნა და მოაქცია თავის „ЧСКИЗЫ И ЭТЮДЫ“-ში... მონაწილეობას ვიღებდი ქუთაისის ინტელიგენტთა წრეში, რომელმაც გამოსცა სამი ნომერი აღმანახისა „ცდა“; ერთ მათგანში მოთავსებულია ჩემი ნათარგმნი შვეიცარიელი გამოჩენილი პედაგოგის „პესტალოცის ცხოვრება“, გადავთარგმნე და გამოვეცი ელიზბერტის თხზულება—„პაველი პატარა ქალი ემმა“. ვითვლებოდი გაზ. „ივერიის“ მუდმივ კორესპოდენტათ და ვათავსებდი მასში კორესპოდენციებს ქ. ქუთაისის ცხოვრებიდან, ვათავსებდი პოლემიკურ წერილებს ღირეკტორ ლევიტსკის მუნჯური მეთოდის წინააღმდეგ...“

თომა მთავრიშვილს, რომლის ავტობიოგრაფია დაწერილია მისი მოხუცებულობის წლებში, დავიწყებია, რომ ის „ივერიაზე“ ადრე თანამშრომლობდა გაზ. „დროებაში“ და ქუთაისის გაზ. „შრომაში“ ფსევდონიმებით—კახელი თომა და ზიარელი თ, რომლებშიც აშუქებდა კახეთის გლეხკაცობის გაქირვებულ მდგომარეობას, სკოლების საქიროებას.

(„ დროება“, 1884 წ. № 97, 80, 107, 144, 142, 71, 1835 წ. № 188, 190, „ შრომა“, 1882 წ. № 32).

თ. მთავრიშვილი ეთნოგრაფიულ წერილებს ათავსებდა აგრეთვე კავკასიის სასწავლო ოლქის რუსულ პერიოდულ კრებულებში. ალბად ამით უნდა აიხსნას, რომ მოსკოვის სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებმა მოითხოვეს თ. მთავრიშვილის შესახებ ცნობები. ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები მთავრიშვილს მოთავსებული აქვს „მოაზბეში“, თანამშრომლობდა „ჯეჯილშიც“.

დიდი ღვაწლი დასდო თომა მთავრიშვილმა ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან პოპულარული წიგნების გამოცემისა და გავრცელების საქმეს. თომა მთავრიშვილი აღნიშნავს: „შევადგინე საყმაწვილო წიგნების გამომცემელი წრე და გამოვეცი ათიოდე საყმაწვილო წიგნი, რომელთა სახელწოდება აღარ მახსოვს. ამხანაგებისა, და მეგობრებისაგან ვკრებდი ყოველთვიურად შემოწირულებას, ვაღგენდი მცირე ფონდს და ამ ფულით ვყიდულობდი ქართულ წიგნებს და ქართველთა შორის წ.-კ. გამაგრებელი საზოგადოების სახელით ვაარსებდი სოფლად ბიბლიოთეკებს მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის“. ეს ცნობა წ.-კ. საზოგადოების საქმეებიდანაც დასტურდება, სახელდობრ, რომ თომა მთავრიშვილი კირილე ლორთქიფანიძესთან და სილოვან ხუნდაძესთან ერთად იყო წ.-კ. საზოგადოების დამხმარე წევრი, და რომ ის მეტად ენერგიულ მუშაობას ეწეოდა წ.-კ. საზოგადოების სახსრების დაგროვებისა და წიგნების ხალხისათვის მიწოდების საქმეში, რაც დიდ სიძნელეს წარმოადგენდა მაშინ და აუცილებელს მასის კულტურულ გზაზე დასაყენებლად. 1896 წლის 25 სექტემბერს წ.-კ. საზ. გამგეობა თავის სხდომაზე ადგენს: „ეთხოვოს ქუთაისში მესამე დამხმარე წევრობა თომა მთავრიშვილს, რომელსაც თანხმობა განუცხადებია“.

1896 წლის 8 ოქტომბერს: „თომა მთავრიშვილი წიგნებს თხოულობს გასაგრცელებლად მცირე წრის სახელით“. 1897 წლის 22 აპრილს: „თომა მთავრიშვილი ითხოვს 90 მანეთის წიგნს სოფლებში უფასოდ დასაბრუნებლად“. 1898 წელი 10 მარტს: „თომა მთავრიშვილმა შეაგროვა ფული და აქედან 30—30 მანეთის წიგნები გაგზავნა ზუგდიდსა და ოდესაში“.

„დამხმარე წევრმა თ. მთავრიშვილმა გამოგზავნა 230 მან. და თანახმად შემომწირველთა სურვილისა უფასოდ დაეგზავნა ამ თანხის წიგნები სოფლებში პატარ-პატარა ბიბლიოთეკების შესაქმნელად“. ასეთ დახმარებას უწევდა თ. მთავრიშვილი ათეული წლის მანძილზე ქართველთა შორის წ. კ. საზოგადოებას წიგნების უფასოდ გავრცელების საქმეში.

1908 წელს იოსებ და სიმონ ოცხელებთან ერთად თომა მთავრიშვილმა დააარსა წიგნის გამომცემელი ამხანაგობა, რომელმაც 73 სახელწოდების სახელმძღვანელო და სამეცნიერო წიგნი გამოსცა; მათ შორის


აღსანიშნავია ალ. ხაბანაშვილის—„ბატონყმობა საქართველოში“, ივ. ჯავახიშვილის—„ქართული სამართლის ისტორია“ წ. 1, იაკობ ხუცესი—„წამება წმ. შუშანიკისი“, ს. გორგაძის „ჩვენი ძვ. მწერლობა და ხალხური პოეზია“, მისივე—„საქ.ოს ისტორია“, მისივე „ქართული მართლწერა“, კ. აბაშიძე—„ეტიუდები“, ტ. I და II, მ. ზაალიშვილის სახელმძღვანელოები გეოგრაფიასა და ბუნებისმეტყველებაში. ამ გამომცემლობამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოს სკოლებში სწავლების დედაენაზე დაფუძნებას.

თ. მთავრიშვილმა იოსებ ოცხელთან და ს. ყიფიანთან ერთად შეადგინა ქართული ენის სახელმძღვანელო წიგნი „გუთანი“, რომელიც თავის დროზე ერთ-ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოდ ითვლებოდა, გამოვიდა ექვს გამოცემად; იმავე ავტორებმა გამოსცეს „ქართული ანბანი“, რომელიც ოთხ გამოცემად გამოვიდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა თომა მთავრიშვილის ღვაწლი და 1925 წელს საქართველოს ცაკის დადგენილებით მას პერსონალური პენსია დაენიშნა. გარდაიცვალა თომა მთავრიშვილი თბილისში 1928 წლის შემოდგომაზე, დაკრძალულია ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე.

---





**მიხეილ ნასიძე**  
(1859—1935)

მიხეილ ალექსანდრეს-ძე ნასიძე დაიბადა 1859 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროში.

1880 წელს 21 წლის კაბუჯი წარჩინებით (ოქროს მედლით) ამთავრებს თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტს. ამ წარმატებისა გამო იგი დატოვებულ იქნა მასწავლებლად იქვე. მიხეილ ნასიძე თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა 16 წლის განმავლობაში.

მ. ნასიძემ დაუსწრებლად, გამოცდის ჩაბარებით, დაამთავრა აგრეთვე იურიდიული ფაკულტეტი, მიიღო ვეჟილად მუშაობის უფლება და ერთ დროს კიდევაც მუშაობდა ვეჟილად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სხვადასხვა დროს, მიხეილ ნასიძე მუშაობდა სიღნაღის ჰუმანიტარული ტექნიკუმის მასწავლებლად. მასწავლებლობდა წითელ წყაროს საკოლმეურნეო სკოლაში და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო

სკოლებში, თანაზრობადა სიღნაღის გაზეთ „სინათლეში“. ერთდროს მსახურობდა აგრეთვე სამაზრო სტატბიუროს გამგედ. მან სამსახური მი-  
ატოვა, როგორც თვითონ აღნიშნავდა, „ღრმა მოხუცებულობისა გამო“.

მიხეილ ალექსანდრეს-ძე ნასიძე გარდაიცვალა 1935 წლის 5 აპრილს სიღნაღში, 76 წლის ასაკში.

მ. ნასიძეს მნიშვნელოვანი ამაგი მიუძღვის ჩვენს პერიოდულ პრე-  
საში პედაგოგიური ხასიათის პრობლემების დამუშავებაში. იგი არის ავ-  
ტორი რამდენიმე დამხმარე წიგნისა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ეურნალ „ივერიის“ 1884 წლის მე-4 (აპრილის) ნომერში მიხეილ  
ნასიძე ბეჭდავს საკმაოდ ვრცელ სტატიას „პედაგოგიური მოსაზრებანი“;  
მასში მოცემულია საყმაწვილო ეურნალ „ნობათის“ მეორე და მესამე  
ნომრის მიმოხილვა. სტატიის შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ „სა-  
ყმაწვილო ეურნალი პედაგოგიური საქმეა“, რომ „იგი უნდა ჰმველოდეს  
მშობლებს და აღმზრდელებს ბავშვების აღზრდაში და განათლებაში, სწავ-  
ლებაში“. მ. ნასიძე მოითხოვს გათვალისწინებულ იქნას მკითხველის ასა-  
კი. რომ საბავშვო ეურნალს ჰქონდეს განყოფილებები: „სულ პატარა  
ყრმათათვის“, „ბავშვთათვის“ და, ბოლოს, „მოზრდილ ყრმათათვის“.

ამიტომ მ. ნასიძე წერს: ... „არ უნდა იქნას დავიწყებული... პედა-  
გოგიური პრინციპები: ჯერ ადვილი, მერე ძნელი, მერე უძნელესი; ჯერ  
ის, რაც ახლოა, რასაც იცნობ და შემდეგ შორეული საგნები და მოვ-  
ლენანი; ჯერ მარტივი და ადვილი ასახსნელი და გასაგები მოვლენა,  
შემდეგ რთული და ძნელი გასაგები“. ამასთან ერთად მთავარია თემატიკა.  
ბავშვს, ნორჩ მკითხველს უყვარს მრავალფეროვნება. ამ მხრივ  
„ნობათში“ ყველაფერი ვერ არის რიგზე. ის შემოიფარგლა ვიწრო თე-  
მატიკური ჩარჩოთი. „ნობათი“ ყველა ნომერში ჩიტებზე ლაპარაკობს.  
ეურნალი ჩიტების მეტს ვერაფერს ჰხედავს. მკითხველი ძალაუნებურად  
იფიქრებს: „ქართველი ბავშვები მარტო ჩიტებს იჭერენ და აფრე-  
ნენო“.

სტატიაში აღძრულია ზღაპრის საკითხი. მ. ნასიძე იცავს იმ აზრს,  
რომ ზღაპარი საჭიროა, „დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობისაა“. აუ-  
ცილებელია ზღაპარში იყოს ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა, რომ კეთილმა,  
ბოლოსდაბოლოს, აჯობოს ბოროტს, მკითხველის სიმპატია იყოს ჩაგ-  
რულისადმი“, სიმართლისადმი. ზღაპარმა უნდა შეგვავყვაროს პატიოსნე-  
ბა... მაგრამ კარგ ზღაპარს არ სჭირდება გაშიფრვა, დასკვნის მიცემა.  
მორალი თავისთავად ნათელია. მაგალითი: ზღაპრიდან „მელიას ხრიკე-  
ბი“. ერთმა ვაჭნილმა, მაცდურმა მელიამ ბევრი ბოროტმოქმედება, ბევ-  
რი უსამართლობა ჩაიდინა, ბევრი გლეხი დასვა თვალცრემლიანი. მაგ-  
რამ არ შერჩა ეს. მელია ძალღების მსხვერპლი ხდება. ტექსტი თავდე-  
ბა, მაგრამ სხვა შრიფტით მიწერილია: „ამნაირი ბოლო აქვს ყოველს  
გაუმძღარს, ჯანჯალსა და მოდავე კაცსა“.



— „რა საქიროა ეს ორგროშობანი დარიგება?— კითხულობს მ. ნასიძე. პასუხს თვითონვე აძლევს მიმომხილველი: „დასკვნასაც რომ თქვენ ეუბნებით, რაღა დარჩეს ბავშვს მოსაფიქრებლად, რილათი ივარჯიშოა მასმა გონებაზე?“

მიხეილ ნასიძემ „ივერიაში“ (1885 წლის № 3) დაბეჭდა სტატია „პედაგოგიური მოსაზრებანი ქართული ენის სწავლების შესახებ“. ამ სტატიაში მან გაილაშქრა „მწყემსი“-ს 1885 წლ. 22-ე ნომერში დაბეჭდილი ქ. უ-ს წერილის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი (ქ. უ-ე) აღნიშნავდა: „ძლიერ საქირო არის, რომ ამ მოკლე ხანში შესდგეს ერთი საბელმძღვანელო წიგნი... ეს წიგნი უნდა იქმნეს ან „ქრისტომატია“ ან „საქართველოს ლიტერატურის მიმოხილვა“... შემდეგ: „ქრისტომატიის შემდგენელმა არას-გზით არ უნდა დაივიწყოს საეკლესიო გრამატიკა, თორემ მის ქრისტო-მატიას არც ფასი ექნება და არც მსვლელობა“.

ამის გამო მ. ნასიძე წერდა: „უპირველესად დააკვირდით ამას: ან ქრისტომატია, ან საქართველოს (აღბათ ქართული უნდა ეთქვა) ლიტერატურის მიმოხილვაო“. როგორ შეიძლება აქ ითქვას: ან ის, ან ისაო. განა ეს ორი საგანი ერთი და იგივეა? განა შეიძლება ითქვას: ან არით-მეტრია მასწავლეთ ან ალგებრაო?.. ალგებრის შესწავლა უარიმეტრი-კოდ ისევე შეუძლებელია, როგორც ის, რომ დაასკვნათ რამე არაფრიდან. ქრისტომატიის საგანი სხვა არის, ლიტერატურის მიმოხილვისა სულ სხვა. ქრისტომატია მხოლოდ გაძლევთ რჩეულ ნაწყვეტებს წარჩინებულ მწერალთა ნაწერებიდან. „მიმოხილვა“ კრიტიკაა, დაფასებაა მწერლისა და მისი ღვაწლისა. ვიდრე რაიმეს დაფასებას შეუდგებით, ჯერ უნდა შე-ისწავლოთ დასაფასებელი საგანი... მაშასადამე, ერთი არის წინმავალი შრომა, მეორე მისი შედეგი. ერთი იძლევა ფაქტებს, მეორე დასკვნას. ახირებულია თქვენმა მზეშ, აქ ვსთქვათ: ან ერთი ან მეორეო“. მ. ნასიძე განაგრძობს: „ჩვენ ეს ცნება „საეკლესიო გრამატიკა“ ვერ მოგვიწოდებია. ჩვენ რაღაც განსაკუთრებული საეკლესიო ენა არა გვაქვს, მაშასადამე, არც გრამატიკა უნდა გვქონდეს. ჩვენი ენა ერთია—ქართული და გრამატიკაც ერთია“.

მიხ. ნასიძეს მშობლიური ენის შესწავლა მიაჩნია ყველაზე მთავარ ამოცანად. მისი აზრით ენის შესწავლამ უნდა გაამდიდროს, გაავსოს მო-სწავლის სიტყვიერება, მისი ლექსიკონი. მისი მეოხებით მოსწავლეს უნდა შეეძლოს ყოველივე წაკითხულის გაგება სწორედ ისე, როგორც ესმის თვით დამწერს, ავტორს. ეს არ კმარა. იგი კითხვის დროს უნდა აღელ-დეს იმ გრძნობით, რა გრძნობაც აღელვებდა დამწერს... დასასრულ იგი მოითხოვს: შეიქმნას ქრესტომატიები (კლასების მიხედვით) საუკეთესო მწერალთა ნაწარმოებების კრებულის სახით, ასევე დაიბეჭდოს ქართული ენის გრამატიკა და ქართული ლიტერატურის ისტორია.

1885 წლის „ივერიის“ (იანვრის) № 1-ში მოთავსებულია მიხ. ნა-სიძის „პედაგოგიური მოსაზრებანი“, განხილულია „არიმეტრია“, სახელ-

მძღვანელოდ სოფლის სასწავლებელთათვის, შედგენილი მიხეილ ზაალის-ძის ყიფიანისაგან. თბილისი, 1884 წ.

ამ რეცენზიაშიც მიხ. ნასიძე ბევრ საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს. განსაკუთრებით საინტერესოა ის ადგილი, სადაც ლაპარაკია მასწავლებელზე, როგორც მთავარ ფიგურაზე, და სახელმძღვანელოს მნიშვნელობაზე. მოუშაადებელია, ჩამორჩება კლასი? მიზეზი უნდა ვეძიოთ აღმზრდელში და სახელმძღვანელოშიო. «დადგენილია, რომ, — წერს მ. ნასიძე, — თუ ბავშვს ვერ შევავნებინეთ რომელიმე საგანი, უეჭველად ან თქვენივე მეთოდია უვარგისი, ან თითონ თქვენ ბრძანდებით მოუშაადებელი ოსტატი და ბავშვი არაფერ შუაშია». ამ რეცენზიაში საყურადღებოა აგრეთვე ის მოსაზრებანი, რაც დასახელებული სახელმძღვანელოს ენას შეეხება.

1886 წელს „ივერიის“ ფურცლებზე დაბეჭდილმა მიხ. ნასიძის წერილმა „ორი საგრამატიკო საგანი“ მკითხველთა ყურადღება მიიპყრო და ცხოველი კამათიც გამოიწვია. იმავე წლის გაზეთ „თეატრის“ № 11-ში გამოქვეყნდა ზ. კიკინაძის წერილი, სადაც სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი: „ბ. მიხ. ნასიძე ახალგაზრდა კაცია, მეცადინე ქართულს პედაგოგიურს მწერლობაში და მან თავისი მეცადინეობა არაერთხელ დაამტკიცა თუ ქართულ ეურნალ-გაზეთების ფურცლებით და თუ შარშან თვისგან გამოცემულის ქართულის ქრისტომატიით. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ბ. ნასიძე მარტო ქრისტომატიით არ დააბოლავებს თავის შრომასა და იგი სხვებსაც ბევრს რასმე გამოსცემს ჩვენს ღარიბს მწერლობაში. ჩვენ უკვე დღეს ისიც შევიტყვეთ, რომ ბ. ნასიძე ქართული სახელმძღვანელო გრამატიკის გამოცემას აპირებსო. ღმერთმა ქნას, რომ ეს ხმა მართალი გამოდგეს და ამ ახალგაზრდა პედაგოგმა თავის დაპირებას არ უმტყუნოს“.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის სტატიები, რომლებიც დაიბეჭდა მიხ. ნასიძის წერილებთან დაკავშირებით (1886 წლის გაზ. „ივერიის“ №№ 25 და 26). პირველი სტატია იწყება ამგვარად: „ამ დღეებში „ივერიამ“ დაბეჭდა ბ. ნასიძის წერილი სათაურით „ორი საგრამატიკო საგანი“, ავტორმა წერილი დააბოლავა განცხადებით, რომ ამ მოკლე ხანში მეც ვაპირობ ქართულის გრამატიკის გამოცემასო“.

იაკობ გოგებაშვილს მოსწონს ნასიძის ეს ნაბიჯი. ამასთან მას აუცილებელ საპირობებად მიაჩნია „საგანში ღრმად ჩაკვირება“, გონების განვითარება. „გრამატიკა ფილოსოფიაა ენისა, და როგორც მოგეხსენებათ, ყოველგვარი ფილოსოფია ითხოვს კარგ ცოდნას“... ი. გოგებაშვილი არჩევს მიხ. ნასიძის წერილს და აღნიშნავს: „პირველი საგანი, რომელსაც ჩასჭიდებია ბ-ნი ნასიძე, არის რაოდენობა ბრუნვათა. დიახ, მიხეილ ნასიძე იმ აზრისა იყო, რომ „ქართულ ენას აქვსო მხოლოდ ხუთი ბრუნვა“. აბათილებს რა მ. ნასიძის მოსაზრებებს, ი. გოგებაშვილი ას-

კენის: „გამოდის, რომ ქართულს ენას აქვს არა ოთხი ბრუნვა, როგორც ბრძანებს დიმიტრი ივანეს-ძე (ყიფიანი—შ. შ.), არა ხუთი, როგორც ამტკიცებდა ბატ. ნასიძე, არამედ შვიდი, სახელდობრ: სახელობითი (პატარა კაცი), ნათესაობითი (პატარა კაცისა), მაცემითი (პატარა კაცს), მოთხოვითი (პატარა კაცმა), მოქმედებითი (პატარა კაცით), ცვლილებითი (პატარა კაცად) და წოდებითი (პატარა კაცო)“.

მიხეილ ნასიძე არ დაეთანხმა ამ შენიშვნებს, რამაც გამოიწვია იაკობ გოგებაშვილის „მეორე საგრამატიკო ბაასი“. იაკობ გოგებაშვილი წუხს, რომ ნასიძე „მიმართავს ბანზე სიტყვების სროლას“, „წერილმან კინკჳს“, გადაბრალებას იმისთანა რამეებისა, რომელიც აზრადაც არ მოგვესვლიაო“. ი. გოგებაშვილი წერს: „რად ჯავრობს და რად გვირისხდება ჩვენი მოკამათე? განა ჩვენ ურიგოდ ვახსენეთ იგი? სრულიადაც არა. ჩვენი წერილი, როგორც მკითხველს მოეხსენება, იყო ობიექტიური, საგნებრივი და ბატონის ნასიძის პიროვნებას იოტის ოდენადაც არ შეეხებოდა. სწორედ გითხრათ, არც წადილი და არც განზრახვა გვქონდა შევხებოდით. „სცდება“, „დავიწყებია“, აი, ორი უწყინარი და მართებული სიტყვა, რომელიც ჩვენ ვიხმარეთ და რომელიც ყოველთვის იხმარება თვით ფრიად დარბაისლურ ბაასშიც“.

ცნობილი პედაგოგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მისი შენიშვნა ნასიძისათვის სასარგებლო იყო, „რადგანაც ღროიანად აფრთხილებდა: თქვენი გრამატიკა ჯერედ მკუხეა, შეცდომით არის სავსე, კარგად გადაასწორეთ, შეიმუშავეთ, თორემ საზოგადოების წინაშეც შერაცხვებით და ხარჯიც ტყუილუმბრალოდ ჩაგიელისო“.

რა იწვევს მ. ნასიძის შეცდომებს, რით ხსნის ყველაფერ ამას იაკობ გოგებაშვილი. აი, მისი სიტყვები: ... „ასეთივე დაბნევა, ასეთივე მარცხი მოელის ყველას, ვინც ქართულის ენის შენობის შესწავლისათვის და გრამატიკის შედგენისათვის ქვა-კუთხედად არ დასდებს მის საგრამატიკო ანალიზს, კეთილ-სვინდისიერსა და მრავალ-მხროვანს, და დაიწყებს ნეკერაობასა უცხო ენების მიხედვით“.

გაზეთ „ივერიის“ იმავე 1898 წლის (16 და 17 აპრილის) 80 და 81 ნომრებში გამოქვეყნდა ფელეტონად „მე გახლავარი“ს სტატია „პრივატ დოცენტი მარრი და მისი სამეცნიერო მეტოდი“ (მისი პოლემიკის გამო აკაკისთან).

მ. ნასიძე აქ აკაკის მხარეზეა და აკრიტიკებს მარის აზრებსა და შეხედულებებს ლიტერატურის საკითხებზე. იგი წერს: „ბატონმა ნ. მარრმა ორი პატარა წერილი დაბეჭდა „ნოვოე ობოზრენიე“-ში აკაკის წინააღმდეგ. ამ ორ წერილში აი რამდენჯერ მოიხსენია თავისი თავი მეცნიერად: „ჩვენ არა გვაქვს არც ღრო, არც ხალისი გავებაასოთ ხოლმე იმ პირთ, რომელთაც „ჩვენი მეცნიერება ვერ იცნობსო“, შემდეგ... „თავადს (აკაკის) არა აქვს ამისათვის საჭირო „სამეცნიერო“ მომზადება... „ჩვენ უნდა მეცნიერულად დავამტკიცოთ, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ სპარსულიდან

არის ნათარგმნი, დედანის შესწავლა ჰბადებს ჩვენში „მეცნიერულს“ რწმენას, რომ უეჭველად იგი ნათარგმნია (!) და სხვ. ბევრი ასეთი „მარგალიტი“ ბ. მარის „სამეცნიერო“ ფელეტონებში, რომლებიც დაიბეჭდა „ნოვოე ობოზრენიე“-ში. მარის ყველა დებულებას დასაბუთებულად არღვევს მ. ნასიძე.

წერილში „თეატრის მატრიანე“ („ივერია“, 1898 წ. № 66) მიხ. ნასიძე „მე გახლავარის“ ფსევდონიმით არჩევს გუცკოვის ხუმრობებშიანი ტრალედიის „ურთიელ აკოსტას“ დადგმას. გარჩეულია წამყვანი არტისტების თამაში. მიხ. ნასიძე განსაკუთრებით ვრცლად ლაპარაკობს ახალგაზრდა ძალებზე, მოითხოვს ყურადღებას მომავალი თაობისადმი. ებნება ცალკეულ შემსრულებელთ, ახასიათებს მათ ყოველგვარი პირფერობის გარეშე.

აი, ამის ნათელი მაგალითი. მოგვყავს ამონაწერი რეცენზიიდან: „ბენ-იოხაი—ბ-ნი ჯაფარიძე. ამ მსახიობის შესახებ უნდა ითქვას, რომ მისი აღგილი სცენა არ არის. ამას ყველა ჰხედავს. ვერა ჰხედავს მხოლოდ თვით ბ-ნი ჯაფარიძე და, რაც ძალიან საკვირველია, ვერა ჰხედავს ბატონი ალექსი მესხიშვილიც—რეჟისორი. ჩვენ გვჯერა, რომ ბ-ნი ჯაფარიძეს ძალიან უყვარს თეატრი. ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად ბევრი რამ როდია საკირო: ბილეთის ყიდვა და პარტერში დაბრძანება. ხოლო თვით სცენა—საკუთხვეელი უნდა იყოს ხელოვნებისა, სადაც შესვლა შეეძლოთ მარტოოდენ „გაწმენდილთ“.

„მე გახლავარ“ მალაღ შეფასებას აძლევს მესხიშვილს, გედევანოვს და სხვებს. რეცენზენტი დასასრულ აღნიშნავს: „განგებ სულ ბოლოში მოვაქციეთ პატივცემული არტისტი, რომელმაც შეასრულა დე-სილვას როლი. არტისტი დადიანი ჩვენ ორჯელ ვნახეთ მხოლოდ სცენაზედ და ისე მოგვხიბლა თავისის დარბაისელისა და კვიციანურის თამაშიო, რომ გვეშინიან გარდამეტებული ქება დიდება არ შევასხათ. მკაფიო და სასიამოვნოა მისი ქართული, დარბაისელი და მიმზიდველი თავის დაქერა სცენაზედ, მოხერხებული და ყოველთვის ზომიერი მიხერა-მოხერა, ყოველივე ეს ჰხიბლავს მაყურებელს. ეს ისეთი არტისტია, რომლის შესახებაც სავსებით ითქმის: ეს ემსახურება „დიდის ღმერთის საკურთხეველს“.

ამ რეცენზიიდან ჩანს, რომ მ. ნასიძე კარგად იცნობს თეატრალურ ცხოვრებას, იცის ის საკითხი, რაზედაც წერს.

მ. ნასიძე არის ცალკე ბროშურების ავტორი ჩვენი კლასიკოსების შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი „ილ. ქავკავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი“<sup>1</sup>, „დავით გურამიშვილი“. ეს უკანასკნელი წარმოადგენს კრებულს, რომელშიაც გარჩეულია დ. გურამიშვილის შემოქმედება და გადამოცემულია მისი ბიოგრაფია. კრებულში შეტანილია რჩეული

<sup>1</sup> მ. ნასიძის ბროშურას ილია ქავკავაძის შესახებ „ქაილის“ 1898 წ. № 31-ში გამოეცანურა ფ. მახარაძე, რომელიც საქართველოში რეალისტური მწერლობის მამამთავრებად დ. არდახიანსა და დ. კონჯაძეს თვლის და ი. ქავკავაძის როლს აქვეითებს.

ადგილები „დავითიანიდან“, შერჩეული ახალკვაჭ-ღვინასათვის, ძნელი სიტყვების განმარტებით.

მ. ნასიძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე „ქართული მწერლები, სახელმძღვანელო წიგნი ქართული ენისა და ლატერატურის შესწავლისათვის“. ამ წიგნის მნიშვნელობის შესახებ შემდეგი მოსაზრება არის გამოთქმული ჟურ. „მწყემაში“: „ჩვესის აზრით, ასეთი წიგნები ძალიან სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხისათვის... იმედია, ბ. ნასიძე დაუშტკიცებს საზოგადოებას, რომ ჩვენში ერთ პირს გარდა მოიძებნებია ისეთი პირნი, რომელთაც სახელმძღვანელო წიგნების შედგენა შეუძლიათ“.

**ბიბლიოგრაფიული ცნობები მიხეილ ნასიძის შრომებზე და სტატიებზე (ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით)**

ნასიძე მიხეილ—პედაგოგიური მოსაზრებანი (ივ. 1884, № 4, გვ. 68—90).

ნასიძე მიხეილ—პედაგოგიური მოსაზრებანი ქართული ენის სწავლების შესახებ (1884 წ. ჟურნალ „მწყემის“ 22-ე ნომერში მოთავსებული ქ. უ-ეს წერილის საპასუხო მიხეილ ნასიძის ჩაწერილი „სამნი ძმანი“ (ხალხური ზღაპრები) ნომ. 1884, № 7, —8—9, გვ. 353—356.

მიხეილ ნასიძის ჩაწერილი „ბერიკაცი და დევი“ (ხალხური ზღაპარი). ნომ. 1885, № 1, გვ. 21—22.

ნასიძე მიხეილ—ქართული ქრისტომატია უნცრლის კლასებისათვის. თბილისი. 1885 წ. ივ. № 7, გვ. 121. № 9, გვ. 119, № 10, გვ. 140.

ნასიძე მიხეილ—პედაგოგიური მოსაზრებანი (რეც.—ართმეტყიკა—სახელმძღვანელოდ სოფლის მასწავლებლებისათვის, შედგენილი მ. ზ. ყიფიანისაგან. ივ. 1885 წ. № 1, გვ. 69—88.

ნასიძე მიხეილ—ქართული სახელმძღვანელო. მწყ. 1887, № 21, გვ. 13—16.

ნასიძე მიხეილ—ვახტანგ მეექვსე. თბილისი. გრ. ჩარკვიანის სტამბა. 1887. 54 გვ. კიკინაძე ზაქარია—ორი საგრამატიკო შენიშვნის გამო (მიხ. ნასიძის წერილები ქართული გრამატიკის შესახებ. თბილ., 1886, № 11, გვ. 117—119).

ნასიძე მიხეილ—ფელეტონი „ცხოვრება და მწერლობა“ („ივერია“ 1898, № 48).

მე გახლავარ (ნასიძე მიხეილ)—ილია კავკავაძე—ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი: წერილი პირველი. თბილისი, „ცნობის ფურცლის“ სტამბა. 1898. 48 გვ.

ნასიძე მიხეილ—დავით გურამიშვილი. წინასიტყვაობა. ბიოგრაფია, რჩეული ლექსები. ძნელი სიტყვების განმარტებით და ისტორიული შენიშვნებით. 1887 წ.

ნასიძე მიხეილ—საბა-სულხან ორბელიანი. 1. წინასიტყვაობა. 2. ბიოგრაფია. 3. რჩეული ლექსები. ძნელი სიტყვების განმარტებით. 1886 წ.





**იაკობ ზედგინიძე**  
(1859—1943)

ცნობილი ქართველი პედაგოგი იაკობ სიმონის-ძე ზედგინიძე 64 წლის განმავლობაში ემსახურებოდა მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს.

იაკობ ზედგინიძე ავტორია ბევრი მეთოდურ-პედაგოგიური ხასიათის წერილისა და სახელმძღვანელოებისა. საკმარისია დავასახელოთ მისი ავტორობით გამოსული რუსული ენის სახელმძღვანელო „Методическая хрестоматия“ ოთხ ნაწილად (ე. ჯაფარიძესთან ერთად), „ახალი ქართული ანბანი“, „როგორ უნდა ვასწავლოთ ახალი ქართული ანბანი“, „დასურათებული მოძრავი ქართული ანბანი“, „პირველი მეგობარი“, „სასაუბრო სურათების ალბომი“ (ორ ნაწილად), „პედაგოგიური კითხვების გარშემო“ და სხვ., რომ ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგეს ენერგიული მუშაკის სახე.

იაკობ სიმონის-ძე ზედგინიძე დაიბადა 1859 წელს სოფელ ვალეში, ყოფილ ახალციხის მაზრაში. მამა მისი წარმოშობით გლეხი, სოფლის ღარიბი მღვდელი იყო. იგი საკმაოდ განათლებული კაცი იყო და ყოველ-ნაირად ცდილობდა თავისი შვილებისათვისაც აუცილებლად მიეცა განათლება. იაკობმა 1874 წელს ახალციხის სამაზრო სასწავლებელი დაამთავრა, ხოლო 1879 წელს—თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი.

სამასწავლებლო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იაკობ ზედგინიძემ დაიწყო მასწავლებლობა ახალგახსნილ სათავადაზნაურო სკოლაში, რომელიც შემდეგ ქართულ გიმნაზიად გადაკეთდა. ამ სასწავლებელში ახალგაზრდა მასწავლებელი დარჩა 1880 წლის თებერვლამდე, რის შემდეგაც კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს მიერ გადაყვანილ იქნა ქ. შუშაში სამოქალაქო სკოლის მასწავლებლად. ქ. შუშაში იაკობ ზედგინიძემ 20 წელი იმუშავა, ხოლო 1899 წელს ყოფ. განჯაში გაამწესეს ჯერ სამოქალაქო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ სახელოსნო სკოლაში. 1905 წლიდან ის პედაგოგიურ მუშაობას ეწევა ქ. თბილისში, მე-5 გიმნაზიაში, 1917 წელს კი დანიშნულ იქნა მასწავლებლად თბილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიაში, რომელსაც ამჟამად 1-ლი საშუალო სკოლა ეწოდება. იაკობ სიმონის-ძე ზედგინიძე გარდაიცვალა ღრმა მოხუცებული, 84 წლის ასაკში, 1943 წელს.

ი. ზედგინიძე დახელოვნებული პედაგოგი იყო. იგი არაჩვეულებრივი ბეჯითობით ხასიათდებოდა, თავგამოდებით ცდილობდა, რომ მოსწავლეებს მიეღოთ საფუძვლიანი და მტკიცე ცოდნა. იაკობი მოსწავლეებთან ნამდვილ ჰუმანურ დამოკიდულებაში იყო და მისი ასეთი ქცევა ბავშვებს ხიბლავდა.

გარდა პრაქტიკულ-პედაგოგიური მუშაობისა, იაკობ ზედგინიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. სადაც კი ამის საშუალება ჰქონდა, აარსებდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, მხურვალე დახმარებას უწევდა საზოგადოება „განათლებას“, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენში ქართული სკოლების გახსნას და დედაენაზე სწავლების შემოღებით ქართველი ბავშვებისათვის დახმარების გაწევას.

ი. ზედგინიძის ინიციატივით დაარსდა ჩვენში პირველი ქართული ქალთა საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარია 1916 წელს. ეს სასწავლებელი თავის დროზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაწესებულება იყო, რომელიც ახალგაზრდა ქალების აღზრდის გარკვეული ეროვნული მიმართულებით წარმართვის შესაძლებლობას ჰქმნიდა. ქალთა საოსტატო სემინარიის დაარსებას ხელი შეუწყო რუსეთში 1914 წელს გამოსულმა კანონმა კერძო სასწავლებლების შესახებ. სემინარიაში ყველა საგანი ქართულად ისწავლებოდა და მისი მიზანი იყო ქართველი ქალების მოზადება მასწავლებლებად, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსასვლელად. ერთ თავის მოახსენებაში იაკობ ზედგინიძე ამ სასწავლებელთან დაკავშირებით წერს: „თქვენ თქვენის თვალთ ხედავთ, რა გატაცებით ელ-



ტვის ქართველი ხალხი სწავლას. ამავე დროს ისიც კარგად იცით, რა-  
რიც უკულმართად არის დაყენებული ჩვენში სწავლა-აღზრდის საქმე და  
როგორ ცხადლივ ემსახურება ჩვენში სკოლა ჩვენს გადაგვარებას. და აი,  
სწორედ ასეთ უკულმართობასთან საბრძოლველად და ეროვნული სკო-  
ლის შესაქმნელად არის დაარსებული ჩვენი სემინარია. იგი არ ემსახუ-  
რება განსაკუთრებით, გინდა უმთავრესად, რომელიმე წოდებას, ან კლასს,  
ან რომელიმე რაიონს, — მისი სამოქმედო ასპარეზი მთელი საქართველოა,  
მიზანი — განათლების შეტანა ხალხში, მოზარდი თაობის ნორმალურად  
აღზრდა.“

როგორც აღვნიშნეთ, ქალთა საოსტატო სემინარია გაიხსნა 1916  
წელს და მის გამგედ დაინიშნა საზოგადოება „განათლების“ აქტიური  
წევრი ალექსანდრა ფაღავა. რიგი მიღვა მასწავლებლების შერჩევაზე.  
სემინარიას, როგორც კერძო დაწესებულებას, მცირე თანხა გააჩნდა და  
არ შეეძლო მასწავლებლის სათანადო ხელფასით უზრუნველყოფა. მაგრამ  
აღმოჩნდნენ საზოგადოებრივი ინტერესებით გამსჭვალული მოწინავე  
მასწავლებლები. მათ გადაწყვიტეს სულ მცირე ხელფასით ემუშაენათ  
სემინარიაში და ქართველი ქალების აღზრდის საქმეში შეეტანათ თავი-  
ანთი წვლილი.

ქართულ ენას პირველ ხანებში ასწავლიდა ქრისტიანე შარაშიძე,  
შემდეგ ფატი სილოვანის ასული ხუნდაძე და ბოლოს ცნობილი საზო-  
გადო მოღვაწე იპოლიტე ვართაგავა. საქართველოს ისტორიას ასწავ-  
ლიდნენ სიმონ ყაუხჩიშვილი და ვლადიმერ ფუთურიძე, მსოფლიო ისტო-  
რიას — ილია ბაკურაძე, ფიზიკას — მიტროფანე კორძაბია, ალგებრა-გეო-  
მეტრიას — კონსტანტინე თოთიბაძე, ბუნებისმეტყველებას — თამარ იშ-  
ხნელი, მეთოდიკას — თამარ მაჩაბელი, ხატვას — თამარ თურქესტანიშვილი,  
სიმღერას — გიორგი სვანიძე, ფიზიკურ ვარჯიშს — თამარ ნიკოლაძე, ხელ-  
საქმეს — ელენე ვირსალაძე, ხოლო პედაგოგიურ პრაქტიკას ხელმძღვანე-  
ლობდა დახელოვნებული მასწავლებელი ნინო ჩაგუნავა-გელაშვილისა.  
ქალთა საოსტატო სემინარიასთან დაარსებული იყო სასკოლო მუზე-  
უმი და საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა.

1918 წელს; როდესაც სემინარიამ გამოუშვა 25 ახალგაზრდა კურს-  
დამთავრებული მასწავლებელი ქალი, საზეიმო აქტზე იაკობ სიმონის-ძე  
ხედგინიძემ ასეთი სიტყვებით მიმართა ახალ კურსდამთავრებულებს:  
„ძვირფასო კოლეგებო! დღევანდელ თქვენთვის ბედნიერ დღეს გილო-  
კავთ სწავლის დამთავრებას. სემინარიამ მოგცათ თქვენ საშუალება მომ-  
ზადებულიყავით მშობლიურ ნიადაგზე საზოგადო ასპარეზზე სამოღვა-  
წეოდ. ახლა თქვენზეა დამოკიდებული რამდენად გაამართლებთ თქვენზე  
დამყარებულ იმედებს. თქვენ ხართ პირველი მერცხლები, რომლებიც  
სამშობლოს სხვადასხვა კუთხეს მოემსახურებით ახალი ოჯახის, ახალი  
სკოლის ასაშენებლად. ნუ შედრკებით და ნუ შეუშინდებით ნურაფერს.  
ბომ იცით, ქართველი ქალისათვის არ არის უცხო საზოგადო ასპარეზზე

მოღვაწეობა. თქვენ არ დარჩებით მარტონი. ერთი წლის შემდეგ თქვენ გვერდში ამოგიდგებათ მეორე წყება თქვენი ამბანაგებისა, შემდეგ მესამე და ასე შემდეგ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს გაიმარჯვებს ის აზრი, რომ დაწყებითი სკოლა საქართველოში უთუოდ უნდა გადავიდეს ქალების ხელში და რაც ჩქარა მოხდება ეს, მით უკეთესი“.

რაც შეეხება ი. ზედგინიძის მეცნიერულ მუშაობას, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მის ნამუშევარს აზის ბეჭედი ახალი პედაგოგიური აზროვნებისა. მისი „მეთოდური ქრესტომათია“ (რუსულ ენაზე) მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი სკოლის ისტორიაში. მაშინ, როდესაც ყველა არსებული ქრესტომათია გაქვითილი იყო მონარქიულ-ბიუროკრატიული, თვითმპყრობელურ-ქანდარმული სულისკვეთებით, მისი ქრესტომათია მიზნად ისახავდა მოყვასისადმი სიყვარულს, ჩაგრულისადმი თანაგრძნობას, ალტრუიზმს, ხოლო მეთოდური თვალსაზრისით, იმდენად დაკვირვებით და უნარიანად იყო შედგენილი, რომ საუკეთესო მეთოდური სახელმძღვანელო გახდა ახალგაზრდა მასწავლებლებისათვის და სწორედ ამით აიხსნება, რომ გამოცემული სახელმძღვანელოდ არარუსთათვის, უმთავრესად, ამიერკავკასიაში სახმარებლად, იგი სცდება ამიერკავკასიის ფარგლებს და რუსეთის სკოლებშიც იკიდებს ფეხს.

ი. ზედგინიძე ნოვატორია ანბანის სწავლების საკითხშიც. პირველმა მან დაიწყო მეცნიერული კვლევა-ძიება ქართული ანბანის სწავლებაში. ი. ზედგინიძის პედაგოგიურმა ალლომ ადვილად მიიღო ახალი სკოლის კვლევა-ძიებითი მეთოდი; ზედგინიძე პირველია ჩვენს პედაგოგიურ ლიტერატურაში, რომელმაც პირველი საკითხავი წიგნებისათვის გამოიყენა ბავშვთა შემოქმედება. მან თავისი წვლილი შეიტანა აგრეთვე ჩვენი საბავშვო ბალების მუშაობაშიც თავისი „სასაუბრო სურათების ალბომით“, რომელთა საშუალებითაც გაადვილებულია ბავშვთა ენის გამდიდრება და შეუმჩნეველად კითხვის შესწავლა“ (ი. ზედგინიძის არქივი, საქმე № 47).

სახელმძღვანელოებიდან ჩვენ აქ საკიროდ მიგვაჩნია ვრცლად შევხებით ი. ზედგინიძის პირველი კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოს „ახალი ქართული ანბანი“, რომელიც პირველად გამოვიდა 1920 წელს, და იმავე ავტორის მეთოდურ ნარკვევს: „ანბანის სწავლება ახალი ანბანით.“

ყოველი ერის ცხოვრებაში კარგად შედგენილ ანბანს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში ბევრმა ავტორმა შეადგინა ქართული ანბანის სახელმძღვანელო. საკმარისია დავასახელოთ პლ. იოსელიანი, პ. უმიკაშვილი, ისარლიშვილი, ვ. თულაშვილი, ივ. კერესელიძე, ალ. ნათაძე, არ. ქუთათელაძე, ი. ზედგინიძე და სხვ., რომ ნათელი წარმოდგენა მივიღოთ, თუ რამდენ დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ქართველი საზოგადოების მოწინავე ადამიანები კარგად შედგენილ ანბანს. მაგრამ იაკობ გოგებაშვილის გარდა ეერავინ შესძლო ყოველმხრივ გამართული ქართული ანბანის სახელ-

ქმდვანელოს შექმნა. დიდი ქართველი პედაგოგის ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ იყო ის შესანიშნავი წიგნი, რომელზეც ათეული წლების მანძილზე ქართველი ბავშვების მთელი თაობები აღიზარდა.

მიუხედავად ასეთი წარმატებისა, ჩვენში თვით იაკობ გოგებაშვილის სიცოცხლეშიც იყო ცდა ქართული ანბანის ახალი სახელმძღვანელოს შექმნისა (ალ. ნათაძე, არ. ქუთათელაძე) და ი. გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგაც (ი. ზედგინიძე). ახალი ავტორები ცდილობდნენ ახალი ხერხების, ახალი ან გადამუშავებული მეთოდების საფუძველზე აეგოთ თავიანთი სახელმძღვანელოები. თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი მისწრაფება მისასაღმებელი იყო. იაკობ გოგებაშვილი თავის წერილებში ხშირად აღნიშნავდა, რომ რაც მეტი იქნება ამგვარი ცდა, მით უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნება ანბანის სახელმძღვანელოს გაუმჯობესებისა, რადგანაც შეუძლებელია ყოველ ახალ წიგნში რაიმე სასარგებლო მარცვალი არ იყოსო. ასეთი პრინციპით უნდა განვიხილოთ იაკობ ზედგინიძის „ქართული ანბანი“.

სანამ უშუალოდ სახელმძღვანელოს შევხებოდეთ, საჭიროა მოვიგონოთ, რომ წერა-კითხვის სწავლება სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეთოდით წარმოებდა. სინთეზური მეთოდებიდან ცნობილია: ასოთშეერთების მეთოდი, მარცვალთშეერთების მეთოდი, განყენებული მეთოდი. ანალიზურ მეთოდებიდან: მთლიან სიტყვათა მეთოდი და ანალიზურ-სინთეზური მეთოდი. ცნობილია, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ აგებულია სახმო ანალიზურ-სინთეზურ მეთოდზე, კითხვა-წერის ხერხით. ახალ ბგერა-ასოს მოსწავლეები ეცნობიან მთლიან სიტყვაში. ანალიზის საფეხურებია: ფრაზა—სიტყვა—მარცვალი—ბგერა. სინთეზის საფეხურებია: ბგერა—მარცვალი—სიტყვა—ფრაზა.

იაკობ ზედგინიძე სხვა გზას ირჩევს. თავის „ანბანის სწავლებაში“ იგი წერს: „მთავარი სიძნელე, რომელიც ხვდება ბავშვს ანბანის შესწავლის დროს, არის ეგრეთწოდებული ბგერათა გადაბმა (слияние звуков). ვისაც როდისმე უსწავლებია ანბანი, იმას კარგად აქვს შემჩნეული, რომ ბავშვი შედარებით ადვილად ახერხებს სიტყვების მარცვლებად და მარცვლების ბგერებად დაშლას, რაც სავალდებულოა დღევანდელ სკოლებში გამეფებულ მეთოდით ამა თუ იმ ბგერის შესასწავლად. მაგრამ, როდესაც ამ დაშლილ ბგერებს მოწაფე ხელახლა აერთებს პირვანდელი სიტყვის მისაღებად, სწორედ ამ დროს იჩენს თავს ზემოხსენებული სიძნელე: ბავშვს ვერ მოუხერხებია ადვილად ბგერების ნორმალური გადაბმა, ისეთი, როგორც იყო სიტყვის დაშლამდე. ამაში, ჩვენი აზრით, დამნაშავეა დღევანდელი სწავლის მეთოდი. ...თვით პროცესი სწავლისა მოკლედ ასეთია: ასახელებენ (მასწავლებელი ან მოწაფე) რომელიმე სიტყვას, რასაკვირველია, კონკრეტულს, ბავშვებისათვის გასაგებს, მაგალითად, წყალი. მოწაფე შლის ამ სიტყვას მარცვლებად (წყა-ლი), შემდეგ მარცვლებს ბგერებად (წყ-ა-ლ-ი). მოწაფე გამოპყოფს ამ სიტყვაში

მორიგ ახალ ბეგრას, ვთქვათ წ-ს. დანარჩენი ბეგრები უკვე გაცნობილი აქვს. შემდეგ მისდევს ამ ბეგრის შესწავლა: სათანადოდ, სუფთად გამოთქმა, მისი შედარება ისეთ ბეგრასთან, რომელსაც გამოთქმით ენათესავენ (ამ შემთხვევაში ც-სთან), სხვა სიტყვებში ამ ბეგრის (წ-ს) აღმოჩენა, დასახელება ისეთი სიტყვებისა, რომლებშიც არის (ან არ არის) ეს ბეგრა და სხვ. ახალი ბეგრის ასეთ შესწავლას მოსდევს მისი გამოსახულების (ასოს) გაცნობა—ბეკდურის თუ ხელნაწერისა. დარჩა სიტყვის წაკითხვა; ამისათვის მოწაფე აერთებს ასოებს (ბეგრებს) მარცვლებად და მარცვლებს სიტყვათ. ამით თავდება ახალი ბეგრის (ასოს) შესწავლა, შემდეგ არის მხოლოდ სათანადო მასალის კითხვა“ (გვ. 3—4).

მაგრამ, ი. ზედგინიძის აზრით, სინთეზის დროს წამოიჭრება ისეთი დაბრკოლებანი, რომლებიც მანამდე გაუთვალისწინებელი იყო ანდა არ შეიმჩნეოდა. რაშია ეს დაბრკოლება?

„თუ დავაკვირდებით ჩვენს ლაპარაკს, ადვილად შევამჩნევთ, რომ თანხმობიანი ბეგრები ისე გამოითქმებიან სიტყვაში, რომ ვერ ვარჩევთ, სად თავდება ერთი ხმა და სად იწყება მეორე; ხოლო თუ ამავე სიტყვის შემადგენელ ბეგრებს ჩამოვთლით ცალ-ცალკე, მაშინ სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება: ბეგრებს ცალკე გამოთქმას თან სდევს, რაც უნდა მოკლედ და ძალდაუტანებლად ითქვას, რალაც ზ ე დ მ ე ტ ი ხ მ ა“... ავტორის აზრით ამ შემთხვევაში ბეგრითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდი კვლავ იქცევა ყველასაგან უარყოფილ ასოთშეერთების მეთოდად, რაც იმის ნაცვლად, რომ ბავშვს გზა გაუკაფოს და კითხვა მალე ასწავლოს, პირიქით, დაბრკოლებას ქმნის და მოსწავლეს ჩათვლით კითხვას ასწავლის.

ი. ზედგინიძის სიტყვით, „ჩვენ ვერ ვამჩნევთ, რომ ზემოხსენებულ დაბრკოლებას ბავშვს ჩვენვე ვუმზადებთ ხელოვნურად, როდესაც სიტყვის დამარცვლის შემდეგ ვავალებთ კიდეც, სრულიად ზედმეტად, მარცვლების ბეგრებადაც დაყოფას, მაშინ როდესაც საკმარისია შეეჩერდეთ მარცვალზე. და თუ ამავე დროს შევცვლით კითხვის პროცესს, სახელდობრ, ჩათვლით ანუ ასო-ასო კითხვას, რომელიც ეხლა არის მიღებული, უკუ ვაგდებთ და მოწაფეს მივაჩვენებთ თავიდანვე მთლიანი მარცვლებით კითხვას, მაშინ ზემოხსენებული სიძნელე ბეგრათა გადაბმისა თავიდან იქნება აცილებული. მაგალითისათვის ავიღოთ სიტყვა თ ი თ ი. ვთქვათ, ბავშვმა დაპყო ეს სიტყვა მარცვლებად: თი-თი და გაიცნო მარცვალი თი. ეს მარცვალი თავის მოხაზულობით ესახება მას როგორც მთლიანი რამ (ჯერ-ჯერობით, რასაკვირველია). ორი ასოს ერთად ჩვენება, თუნდაც პირველსავე გაკვეთილზე, არ უნდა გვაშინებდეს: ასოები თ და ი ერთად აღებული, თავისი სახით, ყოველ შემთხვევაში ნაკლებს თუ არა, იმაზე მეტ სიძნელეს არ წარმოადგენენ, რასაც ზოგიერთი ჩვენი ასო, მაგ. ფ, შ, რ, ლ, ჰ, ჯ და სხვ. შემდეგ ავიღოთ სიტყვა თ ა თ ი. იმავე წესით ბავშვი გაიცნობს ამ სიტყვიდან მარცვალს თა-ს. ეხლა ის ამ ორი მარცვალის შემწეობით კითხულობს კიდეც ნორმალურად, ასოების ჩაუთ-

ვლელად, სიტყვებს: თი-თი, თა-თი, თი-თა, თა-თა. შემდეგ, როდესაც გაეცნობა ორ ხმოვან ასოს ი-ს და ა-ს (სიტყვა ია), მოწაფეს უკვე შეეძლება მთელი წინადადების წაკითხვა: აი თი-თი, აი თი-თა, ათი თა-თი და სხვ.

...ყოველ ახალ ასოს (ბგერას) მოწაფე სწავლობს არა განცალკევებულად, არამედ მარცვლებში, ნორმალური სიტყვების შემწეობით და სათანადო სურათების დახმარებით“ (გვ. 7—8).

ყოველივე ამის შემდეგ იაკობ ზედგინიძეს ასეთი დასკვნები გამოაქვს: „1. ანბანის სწავლებაში სიტყვის ბგერებად დაშლა უნდა უკუგდებულ იქნეს, რადგანაც დახმარების მაგივრად ხელს უშლის ანბანის სწავლების ნორმალურ მსვლელობას“;

2. ბგერა უნდა ისწავლებოდეს არა განცალკევებულად, არამედ სიტყვაში;

3. ბგერების ნორმალურად გადაბმას სხვა ბგერებთან მოწაფე უნდა სწავლობდეს მარცვალში და მარცვლის საშუალებით;

4. კითხვის პროცესს თავიდანვე საფუძვლად უნდა დაედოს მარცვალი. მთლიანი მარცვლობით კითხვა, როგორც პირველი საფეხური მთლიანი სიტყვებით კითხვაზე გადასასვლელად“ (გვ. 9).

ეს მეთოდი ენათესავება მარცვალთშეერთების მეთოდს, მაგრამ მისგან იმით განსხვავდება, რომ წინასწარ რამდენიმე მარცვლის გაზეპირება ამ შემთხვევაში საჭირო არაა. ყოველი სიტყვის დამარცვლის შემდეგ (ანალიზი), ხდება მარცვლებით მისი აღდგენა (სინთეზა) და წაკითხვა. ეს მეთოდი იყენებს ანალიზურ-სინთეზურ მეთოდსაც, მაგრამ ის ჩერდება მარცვლებამდე და ასო-ბგერის ცალკე შესწავლა არ წარმოებს. ავტორის სიტყვით, საკუთრივ ასოს გაცნობა ხდება სხვათა შორის და „არ შეადგენს გაკვეთილის ღერძს“.

საერთოდ კი ი. ზედგინიძის მეთოდი რამდენიმედ სახეშეცვლილი და გაუმჯობესებული იგივე მარცვალთშეერთების მეთოდია, მაგრამ პრაქტიკამ დაადისტურა, რომ ეს მეთოდი მეტოქეობას ვერ გაუწევდა ბგერით ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს, რომელიც ყველაზე უფრო მისაღებ მეთოდად უნდა ჩაითვალოს წერა-კითხვის სწავლების დროს. იმავე დროს ი. ზედგინიძის მიერ მოწოდებული მეთოდი დაბრკოლებას ქმნის წერის შესწავლაში. ბავშვი ასოების წერას კი არ სწავლობს, არამედ მარცვლების „გადმოხატვას“ მიმართავს, რაც ძლიერ აძნელებს ასოების მოხაზულობის შეგნებულად შესწავლას.

ამავე დროს იაკობ გოგებაშვილის „დედაენისაგან“ განსხვავებით ის პირველ რიგში შესასწავლ ასოებად იღებს თ-სა და ი-ს (თი-თი), შემდეგ ა-ს (მარცვალში, თა-თი), რასაც რიგით მიჰყვება—ია. უნდა ითქვას, რომ ეს ექსპერიმენტი გამართლებულად ვერ ჩაითვლება და „ია“ ყოველთვის დარჩება ქართული ანბანის პირველ შესასწავლ ასოებად, „დედაენის“ ერთ-ერთი რეცენზენტი ნიკოლოზ ტატიშვილი სა-

მართლიანად აღნიშნავდა: „Составитель книги отыскал на грузинском языке слово, изображающее реальный предмет и состоящее из двух гласных букв; поставив первым рисунком изображение этого предмета, он счастливо избег антипедагогической необходимости начать азбуку с отдельных гласных букв“ (იაკობ გოგებაშვილი, დოკუმენტალური მასალები, 1951 წ. გვ. 44, ა. იოვიძის პუბლიკაცია).

მიუხედავად იმისა, რომ ი. ზედგინიძის სახელმძღვანელოს ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ სერგო გორგაძემ დადებითი შეფასება მისცა და მისი შემოღება სკოლებში სასარგებლოდ სცნო, ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია მაინც ტ. ხშიადაშვილისა და ფ. მგელაძის რეცენზიები. კერძოდ, ეს უკანასკნელი შემდეგს აღნიშნავდა: „მიუხედავად იმისა, რომ ავტორს ბევრი უმუშავნია, თითქოს ახალი გზა გამოუნახავს წერა-კითხვის სწავლების საქმეში, მე მაინც არ შემიძლია დავეთანხმო მას მისი მეთოდის უპირატესობაში სხვა მეთოდებთან შედარებით. პირიქით, მე მწამს, რომ თუმცა გოგებაშვილის დედა ენას ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ მასში გატარებული მეთოდი უფრო ნამდვილია და მიზანსაც უფრო ადვილად მიაღწევს. რასაკვირველია, ჩემი დასკვნა უფრო თეორიულია და დარწმუნებული ვარ, ყველა დასკვნა თეორიული იქნება „ანბანის“ შესახებ, რადგან მისით ჯერ არავის უსარგებლია და პრაქტიკას მის შესახებ თავისი მსჯავრი არ წარმოუთქვამს. ... ხსენებულ „ანბანს“ ღირსებაც ბევრი აქვს, როგორც ეს ზევით აღვნიშნე, მაგრამ სწავლების პრინციპს, მე მოსაწონად ვერ ვაღიარებ“ (ი. ზედგინიძის არქივი, საქმე № 62).

გარდა ქართული ანბანისა, ი. ზედგინიძეს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ვ. ჯაფარიძესთან ერთად შედგენილი ჰქონდა „Методическая хрестоматия“, რომელიც სკოლებში სახმარებლად საკმაოდ იყო გავრცელებული. ამ წიგნმა მის ავტორებს თავის დროზე ბევრი უსიამოვნება მიაყენა.

ამის მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ დასახელებული ავტორების ეს სახელმძღვანელო პედაგოგიური საზოგადოებრიობის ზოგიერთმა ჯგუფმა იაკობ გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს“ წინააღმდეგ მიმართულად მიიჩნია. რასაკვირველია, ეს სწორი არ იყო. ჩვენ გვინდა მოკლედ იმ პოლემიკის სურათი აღვადგინოთ, რომელიც ამ წიგნის ირგვლივ წარმოებდა.

ქართულ სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს“ I და II ნაწილს დიდი პოპულარობა ჰქონდა მოპოვებული. ეს, რასაკვირველია, აიხსნებოდა ამ სახელმძღვანელოს შესანიშნავი ღირსებით. მესამე და მეოთხე კლასში „რუსკოე სლოვოს“ მიხედვით ასწავლიდნენ რუსულ ენას. ი. ზედგინიძისა და ვ. ჯაფარიძის „მეტოდიჩესკაია ხრესტომატია“ კი, შემდგენლების აზრით, შემდეგი საფეხურისათვის იყო გათვალისწინე-

ბული. კერძოდ ამ ქრესტომათიას უსაყვედურებდნენ, რომ ის უფრო რუსი ბავშვებისათვის არის განკუთვნილი და არა ქართველებისათვის, მაშინ როდესაც, როგორც ჟურნალ „განათლების“ ერთი თანამშრომელი აღნიშნავს, ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო ამ მოთხოვნას სავსებით აკმაყოფილებს. „ქართველ ბავშვებს გონების გასავითარებელ მასალას დედა ენის სახელმძღვანელო აძლევს, მაშასადამე, აუცილებლად საჭიროა დედა ენისა და უცხო ენის სახელმძღვანელოს შორის სუფევდეს რაიმე კავშირი. ეს აუცილებელი კავშირი არსებობს „დედაენასა“ და „რუსკოე სლოვოს“ შორის. ... ის სული, რაც „დედაენაში“ ტრიალებს, „რუსკოე სლოვოშიც“ გადადის და ბავშვის ფსიქიკა ნორმალურადაც ვითარდება და რუსულსაც გაუჭირვებლად სწავლობს“. ამ ღირსებას ი. ზედგინიძის სახელმძღვანელოც არ იყო მოკლებული. რაც შეეხება იმ მოსაზრებას, თითქოს „მეტოდიჩესკაია ბრესტომათისი“ ავტორებს მიზნად ჰქონდა დასახული „რუსკოე სლოვოს“ სკოლებიდან განდევნა, სიმართლეს არ შეეფერებოდა. 1911 წლის გაზ. „კოლხიდის“ № 159-ში ი. ზედგინიძე და ვ. ჯაფარიძე გარკვევით აღნიშნავენ: „კერძოდ ქართველი მოწაფე უნდა გადავიდეს ჩვენს წიგნზე მხოლოდ შემდეგ ბ. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს (ორივე ნაწილის) გავლისა.“

ის კამათი, რომელიც ამ წიგნის გარშემო წარმოებდა, ხშირად უფრო პირადულ ხასიათს ატარებდა, ვიდრე ობიექტურსა და პრინციპულს. ამიტომ მართალი იყვნენ ავტორები, როდესაც წერდნენ: „ჩვენი მეთოდური ქრისტომათიის დაფასება-დაწუნება უსათოდ შემდეგის მხრივ უნდა ხდებოდეს: 1. რამდენად უადვილებს სახელმძღვანელო ბავშვებს უცხო ენის შესწავლა-შეთვისებას? 2. რამდენად შეწონილია წიგნის შინაარსი ბავშვების ასაკთან? 3. რამდენად სალია და ფაქიზი წიგნში მოთავსებული მასალა და რამხრივ არის იგი განხილული.“

ჩვენი შეხედულება რუსული ენის შესასწავლ სახელმძღვანელოზე, რომელიც დანიშნულია არარუსთათვის, ასეთია: რუსული ენის სახელმძღვანელომ უნდა შეასწავლოს მოწაფეს ნამდვილი რუსული ენა მხატვრულ ნიმუშებზე, გაამდიდროს მისი რუსული ენის ლექსიკონი, გააცნოს მის მდიდარ ფორმებს. შინაარსის მხრივ მასალა უნდა იყოს ყოვლად ფაქიზი, წმინდა გრძნობათა გამალღვიძებელი მოწაფეებში და საუკეთესო მისწრაფებათა აღმზრდელი. თავისუფალი უნდა იყოს წიგნი ტენდენციური შინაარსიდანაც და არ უწყობდეს ხელს სულმდაბალ მასწავლებელს, კიდევ რომ მოინდომოს, არასასურველი ხასიათი მისცეს თავის მოღვაწეობას. შემდგენელის მიერ ისე უნდა იყოს მასალა დამუშავებულ-დალაგებული, რომ მოწაფე შეისწავლიდეს მას სრული შეგნებით, მოკლე დროში, რაც შეიძლება ნაკლები ენერჯის დახარჯვით; აჩვენდეს კითხვას, კრიტიკულ მსჯელობას, ერთი სიტყვით, შემდგენელმა უნდა შეუწყოს ხელი მასწავლებელს—ისე შეასწავლოს წიგნი მოწაფეს, რომ მან თითქმის ვერც კი შეამჩნიოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, როცა უცხო

მწერლების ნაწარმოებს სწავლობს, ყველაფერი თავისიანად უნდა ეჩვენოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ან საკუთარი თვალსაზრისი ასწონ-დასწონოს, და თუ მაინცა და მაინც შეხვდა უცხო ბუნების, ან ხალხის ზნე-ჩვეულების დამახასიათებელი სურათები, ისინიც სრული შეგნებით მიიღოს, როგორც სასარგებლო ცოდნა უცხო ხალხის ცხოვრებიდან. ასეთი უნდა იყოს, ჩვენი შეხედულებით, რუსული ენის სახელმძღვანელო ჩვენ სკოლებში სახმარებელი განსაკუთრებით მესამე საფეხურზედ“ (ი. ზედგინიძის არქივი, საქმე № 87).

დაკვირვებული მკითხველისათვის ცხადია, რომ აქ წამოყენებული დებულებანი სახელმძღვანელოს შექმნის საკითხში არაფერს არ შეიცავს ისეთს, რაც მიუღებელი იყოს და ან აზრთა სხვადასხვაობას იწვევდეს. ამ პრინციპების გამოყენებით ცდილობდნენ ავტორები ამ ქრესტომათიის გამართვას. ცხადია, ბევრი რამ ამ მითითებებიდან განუბორციელებელი რჩებოდა, მაგრამ ეს წიგნი მაინც გარკვეულ სამსახურს უწევდა ჩვენს სკოლებს.

დასასრულ მოკლედ გვინდა შევხვთ იმ მუშაობას, რომელიც ი. ზედგინიძემ ჩაატარა ქართული წერის დედნის შემუშავების საქმეში. ამ საკითხისადმი მას მრავალი წერილი აქვს მიძღვნილი და ბოლოს წიგნიც გამოაქვეყნა: „ქართული წერის მეთოდისა“ (1934 წ.).

ქართული წერის დედნის შემუშავებისათვის ჩატარებულ მუშაობას თავისი ისტორია აქვს. საკმარისია აღინიშნოს, რომ წერის დედნები გამოცემული ჰქონდათ ვ. გაბიჩვაძეს, ს. დათეშიძეს, ა. ჯულელს, პ. უმიკაშვილს, გ. ვაფრინდაშვილს, ა. მირიანაშვილს და სხვ. მაგრამ ჩვენი ასოების მოხაზულობისათვის და ამ მიზნით სათანადო რეეულის შექმნისათვის პედაგოგიურად ყველაზე მეტად გამართლებული იყო ი. გოგებაშვილის მიერ შემუშავებული დედანი.

ი. გოგებაშვილის თავგამოდებული ბრძოლის შედეგი იყო აგრეთვე ისიც, რომ ქართული ასოების დაწერილობას პირდაპირი სახე მიეცა. მის მიერვე იქნა ჩვენში შემოღებული ბადიანი რვეული, რომელიც ძლიერ უწყობს ხელს ბავშვებს უფრო ადვილად და სწრაფად დაეუფლონ წერის ხელოვნებას. ამ საკითხზე იაკობ გოგებაშვილს გამოთქმული აქვს მეტად საგულისხმოდ მოსაზრებანი (იხ. მისი რჩეული ნაწერები, II, 1940. პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციით). „ქართული დედნის შესახებ“ „დედაენის“ სახელოვანი ავტორი წერს: „საწერი ბადის შემოღება ჩვენში ახალი საქმეა და საჭიროა ცოტა დაწვრილებით და ვრცლად მოვილაპარაკოთ. რუსული და სხვა ევროპული ანბანები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარტივნი არიან,—შესდგებიან შუალა ასოებიდან, რომელნიც ორს ხაზს შუა ეტევიან; მხოლოდ მცირეოდენი წილი ასოებისა გადასცდება ამ ხაზებს ზემოთ და ქვემოთ და ისიც პატარა მანძილზედ; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველგან ევროპაში სამწერლო ბადე მიღებული აქვთ, როგორც დამხმარებელი და გამაადვილებელი ღონისძიება. მით უმეტეს საჭიროა



იგი ჩვენთვის — ქართველებისათვის, რომელთა ანბანი ძალიან რთულია, იპყრობს მხოლოდ ოთხიოდე შუალა ასოსა, ყველა სხვა ასოები — კი მოზრდილ მანძილზედ აღიან და ჩადიან ზემო-ქვემო. მართალია, ზოგნი უარპყოფენ ბადესა, მაგრამ ამათი აზრი ყველა დაწინაურებულს კუდაგოგებს უსაფუძვლოდ მიაჩნიათ, რადგანაც ბადეში წერის დროსაც ბავშვს რჩება საკმარისი თავისუფლება, სწორედ იმდენი, რამდენისაც ატანა შეუძლიან პირველს ხანებში; ვიდრე ხელი ხამი აქვს, ბადე იფარავს ბავშვს შეცდომილებისაგან და კალმის თავისუფალი ხმარებისათვის ისევე ჩქარა ამზადებს, როგორც კოჭინა ეხმარება უსუსუსს ბავშვს დროიანად ფეხის აღგმაში. მაგრამ ბადის ხმარებას შეუძლიან ნამდვილი ვენბაც მოუტანოს ბავშვსა, თუ დიდხანს აწერინებენ მასში.

...ჩვენი ბადე ორი თვისებითაც განსხვავდება რუსული და საზოგადოდ ევროპიული ბადისაგან: ხაზები არის სწორი და ოთხი მწოლარე ხაზის მაგიერ ექვსი ხაზი გვაქვს მიღებული.

...ჩვენებურს ასოებს სამი უმთავრესი ნაწილი აქვს: თავი, შუა წელი და ბოლო. ბადე უთუოდ უნდა უჩვენებდეს ბავშვს, რა სიდიდე მისცეს არა მარტო შუა წელს, არამედ თავსაცა და ბოლოსაც“ (გვ. 219—223).

ი. გოგებაშვილის მიერ შემუშავებული პრინციპები ამჟამადაც მიღებულია და ძირითადად მას ეყრდნობა პროფ. ვ. თოფურიას მიერ შემუშავებული „ქართული წერის დედანი“. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქართული წერის დედნის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა თავის დროზე ი. გოგებაშვილის „დედნის“ გამოშვებასთან ერთად შეწყდა. პირიქით, იყო საკმაოდ სერიოზული და დასაბუთებული ცდები მთელი რიგი საკითხების ახლებურად გადაწყვეტისა. ასეთ მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილი უქირავს იაკობ სიმონის-ძე ზედგინიძესაც.

1934 წელს გამოცემულ „ქართული წერის მეთოდისათვის“ იაკობ ზედგინიძემ დედნის მნიშვნელობა ასე განსაზღვრა: „რა გზით შეგვიძლია უზრუნველვყოთ ბავშვი შეითვისოს ლამაზი და უნაკლო ფორმების ასოები, თუ არა დედნის საშუალებით, რომელსაც ასრულებს ხელოვანი, კალიგრაფი. მაგრამ ამით არ თავდება დედნის მნიშვნელობა. დედანი შევლის ბავშვს: 1. დაიცვას წერაში ერთნაირი მიმართულება ასოებისა. 2. დაიცვას თანაბარი მანძილი როგორც ასოებს შორის, ისე სიტყვებს შორის. 3. დაიცვას ასოების ნორმალური ზომა, ხოლო მათ ნაწილებს შორის — პროპორცია. 4. შეისწავლოს ასოების გადაბმა“ (გვ. 12).

ამ უკანასკნელ საკითხზე ი. ზედგინიძეს ბევრი მუშაობა აქვს ჩატარებული. მოცემული აქვს ტიპები, რომელი ქართული ასოები რომელსა გადაეხმის და როგორ, აგრეთვე ცალკეული ასოების დაწერილობის მოხაზულობა გამბული ხელის უკეთ დაუფლების მიზნით. მართალია, ბევრი მის მიერ მიღებული წესი ამჟამად ხმარებაში არაა, მაგრამ საერთოდ მისმა წიგნმა თავის დროზე მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია სკოლებს.

შეტად საყურადღებოა აგრეთვე მისი მოსაზრებანი ბადიანი რვეულის შესახებ. ბადიანი რვეული წინათ ჩვენ არ გვქონდა. იგი შემოიღო ი. გოგებაშვილმა. ქართულ ბადეში მან შეიტანა ის ცვლილება, რომ გამკვეთ ხაზებს, დახრილი მიმართულების ნაცვლად, მისცა ვერტიკალური მიმართულება, ქართული წერის პირდაპირ მიმართულებასთან შეფარდებით“. ი. ზედგინიძე სწუნობდა ქართული წერისათვის მიღებულ ოთხკუთხოვან ბადეს. „ქართული ანბანის სტრუქტურა მრგვლოვანია. ქართულ შრიფტში არ მოიპოვება ასო, რომელშიც არ შედიოდეს წრე—შეკრული თუ ღია, ან მისი მკირე ნაწილი მაინც. ამავე დროს ვერ ნახავთ ასოს, რომელიც მსგავსად რუსულისა, იწერებოდეს მარტო სწორი ხაზით. ...ცხადია, ამიტომ ჩვენ უნდა ვეძიოთ სხვა სახის ბადე, რომელიც ნამდვილად შეფარდებული იქნება ქართული ასოების მრგვლოვან მოხაზულობასთან, მიუთითებდა იგი.

...გადავავლოთ თვალი ქართულ ანბანს, დავაკვირდეთ კარგად ასოების ფორმებს, იქნება თვით ანბანში ვიპოვოთ ის, რასაც ჩვენ ვეძებთ და რაც ჩვენთვის ასეა საჭირო. მართლაც, ქართული ანბანის პირველსავე შეხედვაზე თვალში გვეცემა სიჭარბე წრეების და ოვალებისა, შეკრული თუ ღიასი, რომლებიც ჩრდილავენ თავის სიმრავლით აქა-იქ, მათ შორის გაბნეულ სწორ ხაზებს (იხ. ი. ზედგინიძის არქივი, საქმე № 73. წერილი „ქართული წერის ბადე“).

ი. ზედგინიძემ ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით შექმნა რვეულის ბადის ახალი ფორმა, რომელშიც სწორკუთხა ოთხკუთხედების ნაცვლად მოცემულია წრეები (ოვალები). იქვე ნოყვანილია ნიმუში, თუ როგორ უნდა დაიწეროს ქართული ასოები ამ ახალი ფორმის მიხედვით. სამწუხაროდ, ეს რვეული, რამდენადაც ვიცით, არ გამოცემულა და ამჟამად შეუძლებელია თქმა, როგორ შეფასებას მიიღებდა პრაქტიკოს მასწავლებლებისაგან. ისე კი შეიძლება აღინიშნოს, რომ ი. ზედგინიძის მოსაზრებები უჯრედებიანი და წრეებისაგან შემდგარი ქართული წერის დედნის რვეულის ფორმების შესახებ სერიოზულად დააფიქრებს კაცს. ავტორის აზრი ოვალებისაგან შემდგარი ბადის უპირატესობის შესახებ ყურადღების ღირსია. იგი მიუთითებს ავტორის ცხოველ ინტერესზე კვლევა-ძიებისადმი.

იაკობ ზედგინიძის სახით ჩვენ გვყავდა სახალხო განათლების დარვის ენერგიული მუშაკი. მისი მოღვაწეობის ფართო დახასიათება მომავლის საქმეა. ამჟამად ჩვენ ამ მოკლე ნარკვევით ვკმაყოფილდებით და ვუფიქრობთ, რომ დაინტერესებულ მკითხველს მისი წაკითხვით საქმალ წარმოდგენა ექნება ჩვენი კულტურის ერთ-ერთ გულწრფელ მოღვაწეზე.

#### ლიტერატურა

ზედგინიძე და ჯაფარიძე. „Методический хрестос


ი. ზედგინიძე. „ახალი ქართული ანბანი“, 1920 წ.

ი. ზედგინიძის პირადი არქივი: საქმე № 1312, 47, 62, 73, 87.

„იაკობ გოგებაშვილი დოკუმენტალური მასალები“. 1951 წ. ცენტრ. არქივის გამოცემა.

ი. ვოსტეგბაშვილი. „რჩეული ნაწერები II ტ. 1940 წ. პროფ. ზ. თავიშვილის რედაქციით.

1911 წლის ვახუთი „კოლხიდა“, № 159.



## ლადო აღნიაშვილი

(1860—1904)

ლადო აღნიაშვილის ხანმოკლე ცხოვრება და მოღვაწეობა ქართული კულტურის ისტორიის ერთი პატარა, მაგრამ შესამჩნევი და დამამშვენებელი ფურცელია.

ვლადიმერ (შინაურობაში ლადო) დიმიტრის-ძე აღნიაშვილი დაიბადა 1860 წელს მღვდლის ოჯახში, სოფელ შილდას—დიდი ილია ქავკაეძის მშობლიური სოფლის—ყვარლის მეზობლად, შიდა-კახეთში. თელავის სასულიერო სასწავლებლის კურსის დასრულების შემდეგ მშობლების სურვილის წინააღმდეგ, რომ ლადოს სასულიერო სემინარიაში მიეღო განათლება, იგი გორის საოსტატო სემინარიაში შევიდა. 1881 წელს ამ სასწავლებლის კურსი ლადომ ჩინებულად დაასრულა და იმავე წელს დაინიშნა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში. ორი წლის შემდეგ ლადო გადაიყვანეს თბილისის ქართველ კათოლიკეთა სკოლაში, სა-

დაც უფრო ხანგრძლივი მუშაობა მოუხდა. ორივე ამ სასწავლებელში ლადომ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ლადო აღნიაშვილის მოღვაწეობის ამავვე პერიოდს ეკუთვნის მისი გატაცება ერთი მეტად მტკივნეული საკითხით. ეს იყო ქართველი ბავშვებისათვის რუსული ენის სწავლების საკითხი. ი. გოგებაშვილის ეპოქალური სახელმძღვანელო „რუსკოე სლოვო“ იმ ხანებში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი. უშინკისა და ვოდოვოზოვის სახელმძღვანელოები მხოლოდ რუსი ბავშვებისათვის იყო შედგენილი; მათი დაძლევა ქართველ ბავშვებს ძლიერ უჭირდათ. ამ მხრივ მდგომარეობას ცოტაოდნავ ამსუბუქებდა გერასიმე კალანდარიშვილის „რუსული ენის კურსი ქართველთათვის“, რომელიც მოზრდილებისათვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ ეს წიგნი უკვე საკმაოდ მოძველებული იყო და მოთხოვნილებას ვერ პასუხობდა.

ლადო აღნიაშვილმა ამ ხარვეზის შესაყებად 1883 წელს თბილისში გამოსცა სპეციალურად ქართული სკოლებისათვის შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელო „Первый шаг в изучении русского языка для начальных грузинских школ“. ეს წიგნი შედგება ხუთი ნაწილისაგან. I ნაწილი—ლექსიკური განყოფილება ქართულ ენაზეა, რომ პატარებმა იცოდნენ მახლობელი საგნის სახელები მშობლიურ ენაზე სწორად, გამართულად და მათივე არსი და მნიშვნელობა ადამიანისათვის, მის შრომა-საქმიანობაში და სხვა. თანდათან ბავშვის მეტყველების გასავითარებლად აქვე მოცემულია მოკლე, მარტივი წინადადებანი, ციფრები და რიცხვები, კვირის დღეებისა და თვეების სახელები, ადამიანის სხეულის ნაწილების დასახელება და სხვა საჭირო ცნობები. ლექსიკას მოსდევს რუსული ასოების ნიმუშები, რომლის შემდეგ, II—ნაწილიდან, იწყება რუსული ანბანის სწავლება.

ანბანის გაცნობისათვის მოცემულია სხვადასხვა საგნის სურათი (ნახატი), რომლის ქვეშ ბეჭდურად და ხელნაწერით აღნიშნულია ამ საგნის სახელწოდება დაუმარცვლავად. ავტორი არ იყენებს ბგერით ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს. ის მხოლოდ მთლიან სიტყვებს მიმართავს, გამოყოფს მარტო ახალს, გასაცნობ ასო-ბგერას და იმასაც ადრე, ვიდრე საგნის მთელ სახელწოდებას უჩვენებდეს. ლ. აღნიაშვილის ამ წიგნის მიხედვით წერა და კითხვა, ან კითხვა და წერა წარმოებს ერთსა და იმავე დროს... ამგვარად, სულ 12—13 გაკვეთილის მანძილზე მთავრდება ანბანის დაუფლება და წერა-კითხვის შესწავლა, რასაც მოსდევს საკითხავი მასალა და სავარჯიშო წინადადებანი. სავარჯიშოებს შიგადაშიგ ჩართული აქვს რუსულ-ქართული პატარა ლექსიკონები. ისინი განმარტავენ იმ სიტყვებს, რომლებიც მოცემულია ამ სავარჯიშოებში. წიგნის III, IV და V ნაწილები თანდათან უფრო და უფრო ფართოვდება, ხელნაწერის ნიმუშებიც უფრო წვრილდება—სუფთავდება და რთულდება. წიგნში მოთავსებულია ლექსები, მოთხრობები, იგავები. ბოლოს დართული აქვს ვრცელი ქართულ-რუსული ლექსიკონი. წიგნი გათვალისწინებულია ორი წლისათვის.

ლ. აღნიაშვილის სახელმძღვანელოს ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ იგი მაშინ მაინც უწყობდა ხელს რუსული ენის სწავლების ერთგვარ გაუმჯობესებას. თავმდაბალი ავტორიც ასევე აფასებდა თავის წიგნს: «დღევანდლადის ჩვენს სკოლებში რუსული ენის სწავლებას აწყობენ ბუნდვან კალანდარიშვილის წიგნით და ან იმგვარი ანბანით, როგორც არიან: უშინსკის, პავლენკოვისა, ბუნაკოვისა, გერბაჩისა, ვოდოვოხოვისა და სხ... თუმცა ამ ბოლო დროს ყველა მასწავლებელს ესმის, რომ არც ერთი ზემოხსენებული წიგნი სრულებითაც არ აკმაყოფილებს თავისი დანიშნულების შესაფერ მოთხოვნილებათა. მაგრამ იმ რუსული ანბანისა არ იყოს—უთევზობაში კიბოც თევზიაო,—რა გაეწყობა, როცა მეტი არ არის რა. ყველამ კარგად იცის, რომ ამგვარი სახელმძღვანელოებით ენის შესწავლაში ძლიერ დიდი და ამასთანავე შეუსაბამო შრომა მიუძღვის პაწაწა ბავშვს და თუ ძლიერ დახელოვნებული და გამოცდილი მასწავლებელი არ შეჰხვდა, შეიძლება, სარგებლობის მივიჩიო, დააზარალოს თავისი მოსწავლეები.

აი ამის გამო განვიზრახე და შევადგინე სახელმძღვანელო წიგნი ჩვენს სკოლებში სახმარებლად «პირველი ნაბიჯი» რუსული ენის შესწავლაში. ამით ის კი არ მინდა ვთქვა, რომ ეს წიგნი დააკმაყოფილებს თავისი დანიშნულების ყოველგვარ მოთხოვნილებას და ან ეს ნამდვილი «ვარდისახარია»-მეთქი. სრულებით არა, მხოლოდ ვცდილობდი, რომ ცოტად თუ მეტად შემემცირებინა ბავშვებისათვის «ჯოჯობეთი» და მასასადამე, შეძლებისა და გვარად დამეკმაყოფილებინა უპირატესი პედაგოგიური მოთხოვნილებანი».

ლადო აღნიაშვილის ეს სახელმძღვანელო, მიუხედავად მისი დადებითად შეფასებისა ქართული პრესის ფურცლებზე («დროება»), მეორედ აღარ გამოცემულა. მან ვერ ჰპოვა პოპულარობა და ფართო გავრცელება. ამასთანავე სულ მოკლე ხანში, 1885 წელს, ქართულმა სკოლებმა მიიღეს დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის საყოველთაოდ ცნობილი და მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელო «რუსსკოე სლოვო».

ლადო აღნიაშვილმა 1887 წელს შეადგინა «უბის ლექსიკონი», რომელიც თავის დროზე ერთგვარ სამსახურს უწევდა მკითხველს. 1890 წელს მანვე შეკრიბა და ერთ რჩეულ კრებულად გამოსცა ქართული ხალხური ზღაპრები, რომელიც დღემდე იმსახურებს ფოლკლორის სპეციალისტების მოწონებას. ეს წიგნი ათეული წლების განმავლობაში ბავშვების საამური საკითხავი კრებული იყო.

ლადოს კალამს ეკუთვნის აგრეთვე ოჯახში საკითხავი «ახალი ანბანი», თავისებური გვგვით მოფიქრებული და მეტად შინაარსიან მასალაზე აგებული. ეს ნაშრომი დაყოფილია სერიებად. ყოველი სერიის პატარა, პორტატიული წიგნაკი ერთ ცალკე ასო-ბგერაზე იყო შედგენილი და ერთი რომელიმე საგნის გაცნობასა და შესწავლას გულისხმობდა. მაგალითად, პირველი წიგნაკის სახელწოდება არის ან და იგი წერა-კითხვის,

ანბანის შესწავლას გულისხმობს, II წიგნაკი—ბან წერილ ამბებს მოგვითხრობს, გან—წერილ ლექსებს შეიცავს, დონ მოთხრობების კრებულია, ენ—გასართობისა, ვინ და ზენ—ბოტანიკასა და მინერალოგიას გვაცნობს, თან—ზოოლოგიას და ა. შ. ყოველივე წიგნაკს მკითხველზე შთაბეჭდილების მოსახდენად გარეკანზე და სატიტულო გვერდზე წამძღვარებული აქვს, თითქოს საგანგებოდ დაწერილი აკაკი წერეთლის ლივლია ლექსის „ქართული ანბანის“ თითო ბგერისადმი მიძღვნილი სტროფი. მაგალითად პირველ წიგნაკს, რომელსაც ჰქვია ან, ეპიგრაფად უძღვის:

ყმაწვილო თუ გსურს გიყვარდეს  
შენი სამშობლო ძალიან,  
ჯერ წიგნი უნდა ისწავლო...  
პირველი ასო არის: „ა“.

მეორე მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ წიგნაკი ვინ (პაწაწა მინერალოგია), რომელსაც აკაკის იმავე ლექსიდან ასეთი ეპიგრაფი უძღვის:

თავანწირულსა მუშასა  
ვერ შეაშინებს ვერავინ:  
ვერც ცეცხლი, წყალი, ვერც ტყვია,  
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს „ვ“.

ეს წიგნაკები მოწონებით სარგებლობდნენ და ეს გასაგებიც არის. სახალისო საკითხავი და ლამაზად გამოკეთებული საყმაწვილო წიგნები მაშინ სანთლით საძებარი იყო, რადგან ეურნალი „ნოპათი“ უკვე დაბურული იყო და „ჯეჯილი“ და „ნაკადული“ ჯერ კიდევ არ დაბადებულ იყვნენ.

ლადო აღნიაშვილმა ასეთი ხალისით დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ განახორციელა, განზრახული 33 წიგნაკის ნაცვლად მხოლოდ რვა გამოსცა. სხვადასხვა გარემოებებმა იგი აიძულეს ამ კეთილ და სასარგებლო საქმისათვის თავი გაენებებია. მაგრამ ლადოს გული არ გასტეხია და ბოლომდე მტკიცედ ადგა ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის ბრძოლის გზას. ერთ-ერთი პედაგოგიური ხასიათის პოლემიკურ წერილში იგი მიუთითებდა, თუ როგორ ამალღებენ და ავრცელებენ სახალხო განათლებას, ზოგიერთ დაწინაურებულ ქვეყნებში. მისი აზრით არც ერთი შეგნებული ხალხი არ დაიშურებს არაერთარ ღონისძიებას, შრომასა და ხარჯს ახალი თაობის აღზრდის წესიერ გზაზე დაყენებისათვის სახალხო განათლების ფართოდ გავრცელება, უმაღლესი და პროფესიული განათლება დაწინაურებულ და შეგნებულ ხალხებში დღითიდღე მტკიცდება და წარმატებას ეძლევაო. ყველაფერ ამას თან სდევს მდიდარი საბავშვო ლიტერატურა, საბავშვო ბაღები, თავშესაფრები და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებანი, რომელნიც წინ სწევენ განათლებისა და სწავლა-აღზრდის საქმესო. ამის შემდეგ, ახასიათებს რა ჩვენს ქვეყანაში არსებულ სწავლა-განათლების მდგომარეობას, აღნიშნავს: „ჩვენ არ გვაქვს არც

საკუთარი სკოლები საზოგადოდ, არც სახალხო სკოლები კერძოდ, არც პირველდაწყებითი სავალდებულო სწავლა, არც საყმაწვილო „პრიუტები“, არც საბავშვო ბალები, არც საბავშვო ლიტერატურა და არა თუ ესენი, — არა გვაქვს სურვილი მისი შექმნისა“ დი ეს იმ დროსო, აღნიშნავს იგი, როცა ინტელიგენცია მომრავლდა და მასწავლებლებიც ბლომად გვყვანან და არც ჩვენი ხალხია მაინცა და მაინც შეუგნებელიო. აქვე იგი დაასკვნის: „შეუგნებელი რად ვიქნებით, რომ შემგონებელიც გვყავდეს. მაგრამ აი სწორედ ეს არის უბედურება, რომ ინტელიგენცია არა ჰყავს ჩვენს ხალხს შესაფერი. პედაგოგებისა ხომ რალა მოგახსენოთ! თქვენ იქნება ყველა მასწავლებელი პედაგოგი გგონიათ? ეს დიდი შეცდომა იქნებოდა: კუსაც კი აქვს 4 ფეხი, მაგრამ ნახირში არავის გაურყვია“...

ლ. აღნიაშვილის ეს გულისტკივილი, სამწუხაროდ, საფუძველმოკლებული როდი იყო. ამ მხრივ იგი მრავალ ცოცხალ ფაქტსაც ასახელებდა თავის ამ სტატიაში. მისი აზრით არიან „მანქანა-მასწავლებლნი, რომელნიც არაფერს ასწავლიან გარდა ცარიელი სიტყვებისა“, რომელთაც ემატებიან ლოთები და უზნეო მასწავლებლებიც.

გვაქვს თუ არა ჩვენ სკოლები?— სვამდა კითხვას ის და ამგვარად პასუხობდა:— როგორ არა: აქამდისინ საერთო ? განათლების სკოლები იხსნებოდა ყველა სოფელში, ეხლა და ამას მიემატა სასულიერო წოდების სკოლებიც. მაგრამ განა ამას ჰქვია სახალხო განათლება? — აყენებდა კვლავ ის კითხვას და პასუხში სასტიკად აკრიტიკებდა არსებულ სახალხო განათლების სისტემას და სკოლებს.

ლ. აღნიაშვილის აზრით ეს სკოლები ხალხის გადაგვარებას ისახავენ მიზნად და ნამდვილი სწავლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მათ არ შეუძლიათ. ახალგაზრდობას არც სკოლის გარეშე ლიტერატურა უწყობდა ხელს ამ ხარვეზების შესავსებად. არ არის ისეთი წიგნები, საბავშვო თუ მოზრდილი ასაკისათვის, რომ ახალგაზრდის გონება გახსნას, რომ მან გარემო შეიგრძნოს და მომავალს ჩაუფიქრდეს. ვინმე ასპატელოვის, მდივანოვის და სხვათა გამოცემები, ან კიდევ „ყარამანიანი“ (რომელსაც კომერციული მიზნით ვიღაცა ყოველწლიურად ბეჭდავდა) და მისი მსგავსი წიგნები ვერ შეაყვარებენ ბავშვს კითხვას, მეცნიერებას, სამშობლოს ისტორიას, მშობლიურ მხარეს, მშობლიურ ენასა და ლიტერატურასო, დასძენდა იგი.

ლადო აღნიაშვილი შართალი იყო. ცნობილია, რომ ჩვენს ლიტერატურაში 90-ან წლებიდან ფეხმოკიდებული და მომრავლებული იყო ე. წ. „ბაზრული ლიტერატურა“ — უმთავრესად კომერციული მიზნით გამოცემული ვიღაც არამწერლებისა და ლიტერატურისაგან დაშორებულ პირთა მიერ. აღსანიშნავია, რომ ამას ფართო გავრცელება ჰქონდა, მშინ როცა მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურის გამოცემა დიდად შევიწროებული იყო ცენზურული პირობებით. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამგვარმა მდგომარეობამ გამოიწვია „ქართველთა წიგ-

ნების გამოცემელი ამხანაგობის“ დაარსება 1887 წელს. ამ საქმეში ლ. აღნიაშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ალ. ჯაბადართან, რ. ფანცხავასთან (ხომლელო), ნ. ზედგენიძესთან, ს. ინასარიძესთან, გრ. ჩარკვიანთან და სხვებთან ერთად.

ეს გამოცემლობა იმ ზომამდე ვაფართოვდა, რომ საკუთარი სტამბაც კი გამართა და შესამჩნევი სამსახური გაუწია იმდროინდელ ქართველ საზოგადოებას. საკმაოა გავიხსენოთ, რომ გარდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი წიგნებისა ეს „ამხანაგობა“ ათეული წლების მანძილზე სცემდა ყოველდღიურ გაზეთ „ცნობის ფურცელს“ თავისი ყოველკვირეული სურათებიანი დამატებითა და სქელტანიან ყოველთვიურ ჟურნალ „მომამბეს“. ამავე ამხანაგობას ეკუთვნის აგრეთვე ილია ქაქავაძის 5 წიგნის, აკაკი წერეთლის ორი ტომის, ალ. ყაზბეგის ოთხტომეულის, იოსებ დავითაშვილის ლექსთა კრებულისა და სხვა შესანიშნავი გამოცემები.

როგორც მისი ცხოვრების აღმწერი და მასთან დაახლოებული ჩვენი ცნობილი ჟურნალისტი ი. იმედაშვილი გადმოგვცემს, „მასწავლებელი და აღმზრდელი ლადო—ყოველი მოსწავლისათვის იყო მიმზიდველი, ბავშვის სულიერი ვითარების შემცნობი, საგნის უმარტივესად, ამომწურავად და გასაგებად გადაცემი, თითქოს ყოველ მოსწავლეს სულში უძვრებო... იგი სასკოლო პროგრამებით გათვალისწინებულ მასალის გარდა, მოსწავლეებს უნერგავდა მეცნიერების სხვადასხვა დისციპლინების შესწავლისადმი მისწრაფებას, გათვითცნობიერებისა და თვითგანვითარების წყურვილს“ (ი. იმედაშვილი, „ლადო აღნიაშვილი“, გვ. 17).

1896—1904 წლების განმავლობაში ლადო აღნიაშვილი იყო ერთი ნაყოფიერი თანამშრომელთაგანი ანასტასია წერეთლის საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილისა“, რომლის ფურცლებზე სისტემატურად თავსდებოდა მისი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის მხატვრული საუბრები საერთო სათაურით „საკვირველებანი ბუნებისა“. ლადო ნაყოფიერად თანამშრომლობდა აგრეთვე იმ პერიოდის ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „თეატრი“, „კვალი“, „მომამბე“, „მეურნე“ და სხვ.) როგორც კორესპონდენტი, პუბლიცისტი, ეთნოგრაფი, მკვლევარი და მოგზაური. მისი თანამედროვეების გადმოცემით ლადო აღნიაშვილი ეკუთვნოდა იმ პლეადას, რომელსაც სწამლა ქართველი ხალხის იდეური მისწრაფების გამარჯვება და კოლექტიური აღორძინება. იგი იმედიანი თვალთ შესცქეროდა მომავალს და დაუცხრომლად გრძნობდა აწმყოს ბურუსიან ღლებს. ლადო მთელი თავისი მონდომებით, სულითა და გულით ეკიდებოდა ყოველ კულტურულ საქმეს, რაც უნდა სიძნელეები ყოფილიყო მის მოსაგვარებლად გადასალახი. იგი უეჭველად დიდი ინიციატივისა და საქმის დამორჩილების უნარის მქონე მებრძოლი მოღვაწე იყო („ცნობის ფურცელი“, 1904 წ. № 2468).

ერთი ასეთი დიდად გაბედული ნაბიჯი გადადგა მან 1885 წელს, პირველად მე-19 საუკუნის ქართულ სინამდვილეში, მომღერალთა ქარ-



თული გუნდის შესაქმნელად. ამ პატარა ნარკვევში ვერ ჩამოითვლება ყველა ის სიძნელე, ნივთიერი და სხვა სახის დაბრკოლებანი, რაც ლადო აღნიაშვილმა წარბშეუბრელად დასძლია, სანამ ის მისგან შექმნილი მომდერალთა ქართული გუნდის პირველ კონცერტს გამართავდა. ეს კონცერტიც გაიმართა.

1886 წელს, 15 ნოემბერს ქართული თეატრის სცენაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული და ქართულ ქულაჯებში გამოწყობილი 30 რჩეული ვაჟკაცი იდგა და ხალხურ სიმღერას მღეროდა. მათს ძირითად რეპერტუარში შედიოდა: „მალა მთას მოდგა“, „ქალსა ვისმე ერქვა შროშანა“, „მიყვარს ამფერად სუფრა გაშლილი“, „შავო ყურშაო“, „ქვედრულა“, „წვეური“, „ოდლია“ (ნადური), „ქონა“, „ნანა“ (იმერული), „წითელი ვაშლი“ (კახური), „ოდელა და დელია დელა“ (კახური), „პატარა საყვარელი“, „გალიაში რომ ვაგზარდე“, „ზამთარია“, „მშვიდობით ძმაო“, „ფერსა ბნელს“, „მამითადი“, „გახსოვს ტურფავ“, „მუშა ბოქულაძე“, „ოდელია“ (გურული), „კუჩხაბედნიერი“ (მეგრული), „წაიყვანეს თამარ ქალი“ და სხვ., რომელთა მოსმენით ალტაცებული და აღფრთოვანებული ფართო საზოგადოების შთაბეჭდილებასა და სულისკვეთებას გამოხატავდა ილია ქავჭავაძე გაზეთი „ივერიის“ მეთაურ წერილში.

ამ გუნდის გამოსვლის გამო ილია წერდა: „მუსიკის მცოდნე კაცნი, რომელნიც დღეს მიუზიღნია ქართული სიმღერების სიკეთეს და სიტკბოებას, ბევრ ღირსებას ჰპოულობენ და ბევრსაც მეკადინეობენ გადაიღონ ნოტებზედ საყოველთაოდ საცნობელად. ამ მხრით თვითონ ჩვენი ყმაწვილი კაცებიც შრომობენ და ამ შრომის ნაყოფიც დიდი სიამოვნებით მოვისმინეთ ჩვენი ყურით შაბათს 15 ნოემბერს... ხალხი ბლომად დაესწრო და სიამოვნებით კი არა, ალტაცებით მიეგება ამ ახალ სასიამოვნო ამბავს. თუმცა ვერ გეტყვით, რომ ყველა ქართული ხმები კარგად იყოს გადაღებული, მაგრამ მაინც ქება და დიდება ეკუთვნით ამ საქმის დამწყებთა, დიდი მადლობა გვმართებს ბ-ნ აღნიაშვილისა, რომელმაც ეს მართლა სახელოვანი საქმე იკისრა“ (№ 250, 851).

დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი აღფრთოვანებულია ლ. აღნიაშვილის ამგვარი ნაბიჯით. მისი აზრით ამგვარ სიმღერებსა და გუნდის შექმნას, მის ხშირად გამოსვლას დიდი აღმზრდელითი გაელენა აქვს საზოგადოებაზე. ლ. აღნიაშვილმა „თავისი ხოროს დაარსებით, — წერდა ი. გოგებაშვილი, — გამოიჩინა იშვიათი უნარი და თაოსნობა. უწინაც გაუმართავთ ქართული ხორო სიმღერის მცოდნეთა (მაგ. ბერიძე, ბალანჩივაძე), მაგრამ არც ერთს ამ ხოროს იმისი მეთადი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რაც აღნიაშვილის ხოროსა აქვს“... („ივერია“, 1889, № 73).

ჩვენი სასიკადულო ბელეტრისტი ალექსანდრე ყაზბეგი, რომელსაც ქუთაისში მოუსმენია ლ. აღნიაშვილის გუნდის გამოსვლა, სოფრომ მგალობლიშვილს სწერდა: „... ჩვენმა ახლადშედგენილმა მგალობელთა დას-

მა აქ ქუთაისში ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, რომ მოვალედ ვრაცხ ჩემი სიხარული გაგიზიაროთ გორელებს. არამც თუ მხოლოდ აღსრულება სხვადასხვა ხმებისა იყო სასიამოვნო და ალტაცებაში მომყვანი მსმენელისა, არამედ მთელმა საზოგადოებამ იგრძნო ამ დასაწყისის სარგებლობა, სწორედ და ქეშმარიტის თვალით შეხედა და გარდა საჩუქრებისა მოთავეთა, დღეს კიდევ თხოვნით გაამართინა საღამო. მომილოცავს ამგვარი გამარჯვება“... (ს. მგალობლიშვილი, „მოგონებანი“, გვ. 116).

თვითონ ს. მგალობლიშვილი ამ გუნდზე იმ მოსაზრებისა იყო, რომ იგი პირველი მერცხალი იყო ფრთებიდან ნელნელა გამომსვლელ და აღორძინების გზაზე დამდგარი საქართველოს ხალხის გაღვიძებისა (იქვე, გვ. 220). ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და ჟურნალისტ გ. ლასხიშვილს დიდ და გადამწყვეტ ნაბიჯად მიაჩნია ლ. აღნიაშვილის მიერ იმ გუნდის შექმნა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენში ქართული სახალხო მოტივების პირველად საკონცერტო სცენაზე გამოტანას, რამაც მოძრაობაში მოიყვანა საზოგადოება (მემუარები, გვ. 289).

ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევს გამოჩენილი ქართველი ჟურნალისტი იაკ. მანსვეტაშვილი თავის მოგონებებში ლ. აღნიაშვილის ამ ნაბიჯს. მისი დაკვირვებით ლ. აღნიაშვილი რასაც განიზრახავდა, უსათუოდ ბოლომდე მიიყვანდა, ხორცს შეასხამდა... „სერენკი კოზლიკის“ სიმღერით ჩვენი მოზარდი ახალგაზრდობა სრულიად გადაგვარდებოა, ჩვენი მდიდარი, ტკბილ-ხმოვანი ხალხური სიმღერები სამულამოდ დაგვეკარგებოა, —თქვა ეს და შეუდგა სიტყვის საქმედ ქცევას... ამგვარად მთელი საქართველო მოჰფინა ქართული სიმღერებით... დიდი მადლიერნი უნდა ვიყვნეთ ლადო აღნიაშვილისა, რომელმაც პირველმა ჩაუდგა საძირკველი ამ საშვილიშვილო საქმეს და ქართული სიმღერა იხსნა განადგურებისა და გადაგვარებისაგან (97—98).

ლადო აღნიაშვილის ამ სახელოვანი ნაბიჯის განხორციელებაში დიდი როლი შეასრულა საქართველოში მცხოვრებმა ჩეხმა კომპოზიტორმა და ლოტბარმა იოსებ რატილმა. ამასთანავე სხვადასხვა დროს აღნიშნული იყო გუნდში მონაწილეთა გვარებიც, რომელთა შორის იყვნენ: ზაქ. ფალიაშვილი, ია კარგარეთელი, ვ. ბაგრატიონი, კ. მალრაძე, მ. იანქოშვილი, კ. ქანტურია, ლ. ცისკარიშვილი, ალ. ბერიძე, გ. ჭკუასელი, ს. აღნიაშვილი და სხვ. რაც შეეხება ი. რატილს, ის ლადომ მიიწვია გუნდის ლოტბარად, რომელსაც თითქმის მთელი რეპერტუარი გადააღებინა ნოტებზე, რაც შემდეგ სახალხო სკოლებსაც კი დაურიგდა სახელმძღვანელოდ. უსაზღვროდ ალტაცებული ქართველი საზოგადოება ეაშას ძახილითა და ოვაციებით აჯილდოვებდა გუნდის ყოველ გამოსვლას, დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდა სრულიად დაიმედებული, რომ მკვდრებით აღადგინეს ის დამარხული კილო-სიმღერები, რომელიც სამუდამოდ უნდა შთაენთქა ეამთა ვითარებას“ („ივერია“, 1904, № 90).

არც ამ დიდ საქმეზე შეჩერებულა ლადოს მოუსვენარი ბუნება.

1894 წელს ის გაემგზავრა სპარსეთში იმ მიზნით, რომ გაცნობოდა შაჰ-აბაზის დროს ისპაჰანში გადასახლებულ ქართველთა ცხოვრებას. მან ეს განზრახვა ბრწყინვალედ შეასრულა. წელიწად—ნახევარი დაჰყო ფერეიდანში. დაათვალიერა, შეისწავლა და აღწერა თითქმის ყველა სოფელი. შიგნით და გარე-ქაბეთიდან ვერაგულად გარეკლ ქართველებს, რომელთა მცირე ნაწილს მიუღწევია შორეულ ისპაჰანამდე და ფერეიდანის პროვინციაში დასახლებულან ერთად, ახალდასახლებული ადგილებისათვის თავიანთი სოფლების სახელები მიუციათ: ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, თელავი, ჩულურეთი, ვაშლოვანი, ნინოწმინდა, რუისპირი, შავსოფელი და სხვ... ლადო ესტუმრა ამ სოფლებს, რომელთაც იგი მეგობრულად და სიყვარულით მიიღეს როგორც „დიდი საქართველოდან“ (გურჯისტანიდან) წამოსული ქართველი. ლადოს განსაკუთრებულად დაუმეგობრდნენ სეიფოლა იოსელიანი, ყოლა-მრზა ხუციშვილი, ჰუსეინ ონიკაშვილი, ალაჯან-ბეგ ხუციშვილი, მადუსენა ყალაბეგიშვილი, და სხვ., რომელთაც თხოვეს მას დახმარება ქართული სკოლების გახსნაში. ქართული ენა, როგორც ლადო აღნიშნავს, მეტნაკლებად ყველა სოფელშია დაცული, როგორც შინაური სალაპარაკო ენა. თავის წიგნში ლადოს ჩაწერილი აქვს ასეთი მოხდენილი ეპიზოდი. როცა მან, შათთვის ჯერ კიდევ უცნობმა, ყანის პირად მიმავალმა ყური მოჰკრა მშვენიერ ქართულს, გლეხური კილოთი ლაპარაკს, გული აუჩქარდა, თავი ველარ შეიკავა, ცხენი შეაჩერა და გადასძაბა გზის პირად მდგომ ბიქს, რომელიც ყანას არუებდა:

— ბიქო, ეი! შენ ვინა ხარ, გურჯი ხარ?.. იგი გაკვირვებული კარგა ხანს უტკეპროდა და შემდეგ თავისებურად მიაძაბა:

— ჰო, გურჯი ვარ! მაგრამ შენ ვინა ხარ? ჩვენებური სად იცი?

— მეც გურჯი ვარ, გურჯისტანიდან მოველ თქვენს სანახავად!

— იიი, გურჯი კი არა.

— ჰო მართლა გეუბნები!

— მაშ გურჯი ხარ! უთხრა ეს და მისკენ წაეიდა, შემდეგ გააჩაღეს ქართული ლაპარაკი და ბიქმა ეს სასიხარულო ამბავი, დიდი გურჯისტანიდან ასეთი სტუმრის ჩაპოსვლისა, მთელ სოფელს გააგებინა. ამგვარად, ლ. აღნიაშვილმა შემოიარა მთელი ფერეიდანი, სადაც კი ქართველები მოსახლეობენ, გადაიღო მრავალი ფოტოსურათი, შეისწავლა სპარსული ენა და საქართველოში დაბრუნდა.

ამ მოგზაურობის შედეგია ლადო აღნიაშვილის ვრცელი, საყურადღებო ნაშრომი „სპარსეთი და იქაური ქართველები“, რომელიც ჯერ ეურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა და შემდეგ ცალკე წიგნად გამოიცა (1896). თავის დროზე ამ წიგნმა მაღალი შეფასება მიიღო რუსეთის განათლების სამინისტროს ეურნალში. იგი არც თანამედროვე ეტაპზე ინტერესს მოკლებული, როგორც წყარო საისტორიო-საეთნოგრაფიო და ლინგვისტური კვლევა-ძიებისა. ლადოს კალამს ეკუთვნის აგრეთვე ეურ-

ნალ „მეურნეში“ გამოქვეყნებული ნაშრომი „სპარსეთის ქართველობა და მათი მეურნეობა“ (1896). ამგვარს და სხვა საზოგადოებრივ მუშაობას ის უთავსებდა ლიტერატურულ მოღვაწეობასაც. გარდა ორიგინალური ბელეტრისტული ხასიათის ნაწარმოებებისა ის თარგმნიდა გამოჩენილ რუს მწერალთა ნაწარმოებთაც. მაგალითად, მას ეკუთვნის ან. ჩეხოვის მოთხრობის „რაშევიჩის“ თარგმანი და ბევრი სხვა.

ენერგიის ამგვარმა დაუზოგავობამ და შეუსვენებელმა მუშაობამ ადრე გასტეხა მისი ჯანმრთელობა. ლადო აღნიაშვილი გარდაიცვალა 1904 წელს, 23 აპრილს (ძვ. სტ.) ტუინის დაძმლით. იმ ხანების ქართულ პრესაში („ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „მომამბე“, „მოგზაური“) მრავლად მოიპოვება ამ შემთხვევისადმი მიძღვნილი წერილები, ნეკროლოგები და ქრონიკები. იგი დაკრძალულ იქნა კუკიაში, ქართველ მსახიობთა და თეატრალურ მოღვაწეთა სასაფლაოზე. ლადო აღნიაშვილის უზადო სახელს საბჭოთა საზოგადოებაში აცოცხლებს მისი მგზნებარე პატრიოტიზმი და ხალხის უანგარო სამსახური.

#### ლიტერატურა

ვახუთი „დროება“, 1881 წ. № 36; 1883. № 170; 1884 წ. № 243; 1885 წ. № 14, 174; ჟურნალი „ივერია“, 1883 წ. № 9; ვახუთი „ივერია“, 1886 წ. № 250, 251; 1889 წ. № 73, 1904 წ. № 85, 90, 91; „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. № 2464; ჟურნ. „თეატრი“, 1889 წ. № 1, 11; 28—29—30; 1887 წ. № 1, 6, 7, 8, 13—14; 1885 წ. № 16; 1888 წ. № 15; [44—45; „მეურნე“, 1892 წ. № 12; 1896 წ. № 31—32; „მომამბე“, 1904 წ. № 4, 1896 წ. № 2, 3, 4, 5, 6, 7, 8; მოგზაური, 1904. № 5—6. საქ. კალენდარი, 1899 წ.; კვალი, 1893. № 25, 30, 32; 1895 წ. № 35. 1900 წ. № 26, 1902 წ. № 34; ჯეჯილი; 1896. № 2. 1897. № 5, 6, 9; 1898. № 2, 3, 9, 10, 11; 1899 წ. № 7—8.


ლ. აღნიაშვილი—პასუხად ჯანალ კრიტიკოსებს“ ცალკე ბროშურა, თბილისი, 1893 წ.; „სპარსეთი და იტალიური ქართველები“, 1896; *Первый шаг в изучении русской жизни для начальных русинских школ* 1883; ხალხური ზღაპრები“, 1890 წ. „ახალი ანბანი“, 1892—98 წ.

გ. ლასხიშვილი, „მემუარები“. გვ. 243—44, 289—90.

ი. მანსვეტაშვილი, „მოგონებები“, 97—98.

სოფ. მვალაბლიშვილი, „მოგონებანი“, გვ. 116. 220.

იოსებ იმედაშვილი, „ლადო აღნიაშვილი“, თბილისი, 1929 წ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1954 წ. № 17



## ბათლოშ ხუშივილი

(1860-1923)

პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ბათლოშე ზაქარიას-ძე ხუციშვილი სოფ. კახის ხუციშვილების ერთ-ერთი შტოიდან წარმოსდგებოდა. იგი ეკუთვნოდა მე-19 საუკუნის საინგილოს მოღვაწეთა ბრწყინვალე თაობას. „ხუციშვილი ბათო ცნობილია მთელს მაზრაში, როგორც მეგვართომეთა ქირისუფალი, მოენე და დამცველი. იგი ცნობილია საპედაგოგო მწერლობაშიაც. მის მიერ შედგენილი არითმეტიკის სახელმძღვანელო ერთხანს იხმარებოდა მთელ ამიერკავკასიის დაწყებით სკოლებში“ (მ. ჯანაშვილი, „საინგილო“).

ბათლოშე ზაქარიას-ძე ხუციშვილი დაიბადა 1860 წელს სოფელ კახში, ინგილო გლეხის ოჯახში. ბათლოშეს მამა ზაქარია ხუციშვილი წყნარი, უსიტყვო კაცი ყოფილა. ოჯახის თავი და გამძლოლი ბათლოშეს დედა ნაზლუ ყოფილა, მტკიცე ნებისყოფის, მხნე და თადარიგიანი ქალი. წერა-კითხვა იმ დროს საინგილოში ცოტამ იცოდა, მაგრამ ბათლოშეს დედა ნაზლუ განთქმული ყოფილა სოფელში ანგარიშის ცოდნით,

ძალიან მარჯვედ აწარმოებდა თურნე კენჭებზე არითმეტიკის ოთხსავე მოქმედებას. ამის გამო მას ხშირად ეძახდნენ მეზობლებში, როდესაც სკირდებოდათ ვაჭრებისათვის ღვინის, აბრეშუმის პარკის, თხილის თუ სხვა რაიმეს მიყიდვა. საერთოდ იმ დროს სწავლა საინგილოში დიდ პატივში არ ყოფილა, მაგრამ ბათლომეს დედას მოუნდომებია თავისი ვაჟებისათვის ესწავლებია. ამ მიზნით მას სამივე ვაჟი მიუბარებია კახის ვაჟთა ორკლასიან სასწავლებელში. ეს ორკლასიანი სასწავლებელი იმ დროს ახალგაზნისილი ყოფილა კახში. ბათლომეს ძმებს დიდი ხალისი არ გამოუჩენიათ სწავლაში, თვითონ კი კარგად დაუმთავრებია კახის ორკლასიანი სასწავლებელი და სხვა ინგილო ახალგაზრდებთან ერთად ზაქათალის სამოქალაქო სასწავლებელში გაუგზავნიათ. ამ სასწავლებელში ინგილო ბავშვებს არ მოსწონებიათ მასწავლებლების მოქცევა და გადაუწყვიტიათ გაქცევა. ამ მიზნით ოთხი ბიჭი უკვე გადამხტარა ლამით სასწავლებლის ეზოს შიდალ გალავნიდან და გაპარულა კახში, ხოლო ბათლომესათვის კი ლამის დარაჯს წაუვლია ფეხში ხელი და არ გაუშვია.

ძალაუნებურად დარჩენილა ბათლომე ზაქათალის სამოქალაქო სასწავლებელში, შეჩვევია იქაურ გარემოს და პირველი მოსწავლის სახელით დაუმთავრებია იგი. ამის შემდეგ ბათლომე შესულა გორის სამასწავლებლო სემინარიაში და მისი კურსიც დაუმთავრებია პირველ მოსწავლედ (პირველი გამოშვება). იგი ითვლებოდა საუკეთესო მოსწავლედ განსაკუთრებით მათემატიკაში. სემინარიის დამთავრების შემდეგ ბათლომე ხუციშვილი გაგზავნეს მასწავლებლად დარუბანდში, შემდეგ ალბულაში და დუშეთში. მხოლოდ 1893 წელს მოახერხა ბათლომე ხუციშვილმა თავის მშობლიურ სოფელ კახში მასწავლებლად მოწყობა, სადაც მან 18 წელი იმუშავა.

საინგილოში იმ დროს ძალიან მტკიცედ იყო დაცული ძველი ადათჩვეულება. ქალი მამაკაცთან ხმას ვერ ამოიღებდა, სუფრასთან ვერ დაჯდებოდა, ქალი ოჯახში შეიღად არ ითვლებოდა. ბათლომე ხუციშვილი, სხვა იმდროინდელ ინგილო მოღვაწეებთან ერთად, ყოველმხრივ ებრძოდა ამ ჩვეულებას, ყოველთვის დაურიდებლად არღვევდა ამ ადათს და არღვევინებდა სხვებსაც არა მარტო კახში, არამედ ინგილოთა სხვა სოფლებშიაც. ბათლომე კარგად იცნობდა კახის ინგილოთა ოჯახებს, მათ შემადგენლობას და ავლა-დიდებას. იგი ხშირად დადიოდა ამ ოჯახებში, დაუწყებდა გამოკითხვას და იმდენს იზამდა, რომ ქალსაც კი ამოაღებინებდა ხმას, თუმცა ხანში შესულებს მხოლოდ, ახალგაზრდებზე კი არავითარი ძალა არ სჭრიდა.

„საუცხოვო დარწმუნების ნიჭი ჰქონდა ბათლომეს, გასაოცარი მკერმეტყველი იყო“, ამბობენ მისი თანამედროვე ინგილოები კახიდან. ამ მკერმეტყველების საშუალებით მან არა ერთი და ორი ინგილო გამოი-

ყვანა სინათლეზე და ასწავლა ცხოვრება. ნამდვილი მამა იყო ბათლომე სოფლისათვის. არზრუმ ბიზნისთან (ასე ეძახდნენ ბათლომეს ლეკები და მულალები) მთელი სოფლის მოსახლეობა მოდიოდა რჩევა-დარიგებისათვის, რაიმე დავის გამოსარკვევად, საჩივრის არზის დასაწერად, მოდიოდნენ ახლო-მახლო სოფლებიდანაც არა მარტო ინგილოები, არამედ ლეკები და მულალებიც. კვირაობით წირვის შემდეგ ეკლესიის ეზოში დიდი მუხის ქვეშ რომ შეიკრიბებოდნენ სოფელები, თითქმის ყოველი ინგილო ცდილობდა თავისი ქირვარაში ეამბნა, თავისი გაქირვება გაეზიარებია ბათლომესათვის. ბათლომეც უსმენდა მათ თავისებური სიღინჯით და ცდილობდა რაიმე გზის გამოინახვას, რჩევა-დარიგების მიცემას, დახმარების აღმოჩენას. ქირში და ლბინში ბათლომე ყველგან პირველი, ყველგან დამხმარე იყო ინგილო ხალხისა. მისი სიტყვა ხმალივით სკრიდა და გადამწყვეტი იყო. „ბევრი დავა და უთანხმოება ჩაუქვრია მას, ბევრჯერ აუცილებია სოფლისათვის აწიოკება გამძინვარებული ლეკებისაგან“, ამბობენ ბათლომეზე კახის თანამედროვე ინგილოები. მისი წარმოსადგეი გარეგნობა, დარბაისლური ყოფაქცევა, რიხიანი ხმა, ნათელი და სალი გონება ძალაუნებურად რიდს იწვევდა ყველაში.

უნდა ითქვას, რომ ბათლომე ხუციშვილი არა მარტო ინგილოებისათვის იყო საყვარელი და პატივსაცემი, არამედ ისევე პოპულარული იყო იგი სხვა არაქართველი მცხოვრებლებისათვის. ამიტომ, როდესაც რაიმე დავა ჩამოვარდებოდა ინგილოებსა და ლეკებს შორის, ერთნიცა და მეორენიც ბათლომეს მიმართავდნენ ხოლმე. ასეთი დავა კი არც ისე იშვიათი იყო იმ დროს. ზოგჯერ სულ უბრალო შემთხვევა იყო საკმარისი. მაგ. ინგილოს მიერ ღორის გაჩენა თავის ეზოში მაჰმადიან მცხოვრებთ შეეძლოთ შეურაცყოფად მიეღოთ და ჩხუბი აეტეხათ. ერთხელ რაღაც უთანხმოების გამო ლეკებსა და ინგილოებს შორის ორმოცამდე თავით ფეხებამდე შეიარაღებული ინგილო მიაღვა ბათლომეს ქიშკარზე და თხოვა წაყოლოდა მათ ლეკების ასაკლებად. ბათლომემ შეიყვანა ისინი ეზოში, დაუწყო დამშვიდება, გამოკითხა დაწერილებით ყველაფერი, თანდათან დააშოშმინა აღელვებული ხალხი, დააჯინა თალარში და გაუწყო პურმარილი. ბევრი ელაპარაკა, ბევრნაირი რჩევა-დარიგება მისცა მათ და შემდეგ დაპირდა, რომ თვითონ წავიდოდა მოსალაპარაკებლად და მოაგვარებდა ამ საკითხს. ამით მან მიახწია იმას, რომ უმრავლესობას ჩამოართვა იარაღი და შეინახა მარანში, დანარჩენები კი გაისტუმრა შინ.

ბათლომე თვითონ აღელვებული იყო მომხდარი ამბით და ცხენი მოითხოვა წასასვლელად, მაგრამ ვერ მოასწრო შეჯდომა, რომ ქუჩიდან ხმურის შემოესმა. ბათლომემ იფიქრა, რომ ინგილოები უკან დაბრუნდნენო, მაგრამ გამოირკვა, რომ ახლა იმავე ამბევით აღელვებული ლეკები მოსულიყვნენ ბათლომესთან და თხოვდნენ წაყოლოდა მათ ინგილოებთან. ათასნაირ დავაში ინგილოებსა და ლეკებს შორის ბათლო-

მეს ისე ხშირად შეუხსრულებია ნამდვილი მსაჯულის როლი და ისე გან-  
თქმული ჰქონდა სამართლიანი კაცის სახელი, რომ აღელვებული ლეკები  
დარწმუნებული იყვნენ, ბათლომე მათ გაამართლებდა. ეს კარგად ადასტუ-  
რებს ბათლომეს გამჭირაზობას, კეთილშობილებასა და ობიექტურობას.

ბათლომე ხუციშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა მარტო სკოლის  
კედლებით არ შემოიფარგლებოდა. შეიძლება ითქვას, რომ სკოლის  
კედლებში დაწყებული მუშაობა ბათლომეს ოჯახში გრძელდებოდა. სკო-  
ლიდან დაბრუნებულ ბათლომეს საღამოობით თხოთმეტი, ოცი ახალგაზ-  
რდა, თუ ხანში შესული ინგილო ესტუმრებოდა ყოველდღიურად.  
ბათლომე მათ დააჯენდა თალარში, გრძელი მაგიდის ირგვლივ, ასწავ-  
ლიდა წერა-კითხვას, უკითხავდა ეურნალ-გაზეთებს, უამბობდა ქვეყნის  
ამბებს, იგავ-არაკებს, ქუთის სავარჯიშო და სხვა გასართობ ამბებს.  
გლებები ღამით გვიანამდე რჩებოდნენ ბათლომეს ოჯახში და შემდეგ  
უალრესად ნასიამოვნევი მიდიოდნენ სახლებში.

ბათლომე ხუციშვილი მორწმუნე არ იყო. მღვდლისა და ეკლესიის  
არაფერი სწამდა, მაგრამ ეკლესიაში ყოველკვირას მიდიოდა და იქ, საყ-  
დრის ეზოში, წირვის შემდეგ, იფნების ჩრდილში შეკრებილ ხალხს თა-  
ვისებური მქერმეტყველებით უამბობდა „ღუნიის“ ამბებს და ეხმარებოდა  
სახალხო საკითხების გადაწყვეტაში.

არა მარტო გაჭირვებაში იყო ბათლომე ხუციშვილი ინგილო ხალ-  
ხის მოამაგე, დამხმარე, ასევე საჭირო იყო იგი მათთვის ლხინშიაც. სოფ-  
კახში და მის ახლომახლო სოფლებში ისე ლხინი არ გაიმართებოდა,  
რომ იქ ბათლომე არ ყოფილიყო.

ბათლომე ხუციშვილი მაღალი მორალის ადამიანი იყო. ერთი მი-  
სი შორეული ნათესავი ქალი გაყვა ცოლად აზერბაიჯანელს, ბაქოს ნავ-  
თის მრეწველს, რომელსაც მის გარდა სამი ცოლი ჰყავდა. ქალი რამ-  
დენიმე ხნის შემდეგ ჩამოსულა კახში მდიდრულად მორთული და ბათ-  
ლომეს ოჯახს სწევია. ბათლომე მას მწყურალად შეხვედრია და უთქ-  
ვამს: „მე მიჩვენოდა შენ მენახე ხიდის ყურზე სამათხოვროდ ხელგაწე-  
დილი, ვიდრე ახლა გხედავ ასე ძვირფას სამკაულებით მორთულს“.

ბათლომე ხუციშვილი ხეხილის საუკეთესო მცოდნე და ახალი ჯიშების  
გამოყვანის ნამდვილი ოსტატი იყო. დაიწყო თუ არა კახში მასწავლებ-  
ლობა, ბათლომე ხუციშვილმა უარი განაცხადა მამის მემკვიდრეობაზე-  
თავისი შრომით აიშენა სახლი და გააშენა საუცხოო ხეხილის ბაღი ვე-  
ნახით. ეს ბაღი არა მარტო იმით იყო შესანიშნავი, რომ ყოველი ხე მი-  
სი ხელით იყო დარგული, არამედ იმითაც, რომ აქ მრავალ ისეთ ხეხილს  
შეხვედბოდით, რომელიც სხვაგან არ იყო საინგილოში. ბათლომე ამ  
ბაღს თვითონ უვლიდა: რწყავდა, სხლავდა, ამყნობდა. ამ ბაღის ქება  
შორს იყო გავარდნილი. მრავალი ინგილო გლეხი მოდიოდა მის სანახა-  
ვად და მეხილეობის შესასწავლად. საინგილოში საერთოდ კარგი ხილი  
იცის, მაგრამ ბათლომეს ხილი განსაკუთრებით იყო განთქმული. მან



დაამყნო და გამოიყვანა განსაკუთრებული ჯიშის ატამი, რომლის თითო ცალი ნახევარ კილომდე იწონიდა. როდესაც იგი შემოდგომაზე ამ ატამს უგზავნიდა შეილებს რუსეთში, ყველა განცვიფრებაში მოდიოდა და არავის არ სჯეროდა, რომ ეს ნამდვილი ატამი იყო. ბათლომე მრავალნაირ ცდებს აწარმოებდა ხეხილზე და ხშირად გასაოცარ შედეგებს აღწევდა. ერთხელ მან ტყის ვაშლზე დაამყნო გარგარი და გამოვიდა რალაც უცნაური (ნახევრად ვაშლი, ნახევრად გარგარი), ძალიან დიდი და გემრიელი ნაყოფი. ხე იმდენ ნაყოფს იხამდა, რომ ტოტები ვერ იმაგრებდა და სარების შეყენება სჭირდებოდა, რომ არ ჩამომტვრეულიყო.

ბ. ხუციშვილი მათემატიკის საუკეთესო მცოდნე იყო. როგორც მ. ჯანაშვილი აღნიშნავს, მის მიერ შედგენილი არითმეტიკის სახელმძღვანელო კარგა ხანს იხმარებოდა ამიერკავკასიის სკოლებში, ხოლო მის გაკვეთილებს არითმეტიკაში, მის ნათელ, თვალსაჩინო ახსნას მართლაც რომ არაფერი სჯობდაო. მისი ცხრა შეილიდან, რომელთაც მან უშაღლესი განათლება მიაღებინა, ორი გამოჩენილი ფიზიკოსი იყო. ბათლომემ შეასწავლა თავდაპირველად თავის შეილებს რუსული ენა, რაც მან ზედმიწევნით იცოდა. მაგრამ თუ ზაფხულში იგი შეილებს აღზრდასა და ბალ-ვენახის მოვლას ანდომებდა დროს, ზამთარში, როდესაც შეილებს თბილისში და რუსეთის სხვადასხვა ქალაქში გაისტუმრებდა სასწავლებლად, მარტოდმარტოდ დარჩენილი მოხუცი მთელ დროსა და ენერჯიას თავისი სოფლელების საქმეებს, მათ კირავარამს, მათ განათლება-გათვითცნობიერებას ახმარდა. მას დაუშრეტელი ხალისი და ენერჯია ჰქონდა.

ბათლომე ხუციშვილი მთელ თავის სიცოცხლეში იყო წევრი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა. აგრეთვე იგი სისტემატურად წერდა წერილებს და ათავსებდა „ქურმუხელასა“ და „მოსულის“ ფსევდონიმით ქურნალ-გაზეთებში („ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „ონავი“-ი) საინგილოს ყოფა-ცხოვრების შესახებ. ბათლომე ხუციშვილის უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით ჩამოყალიბდა კახში დრამატული წრე. ამ წრეში მონაწილეობას იღებდნენ საინგილოს იმდროინდელი სხვა საზოგადო მოღვაწეებიც (ს. ყულოშვილი, ზ. ედილაშვილი, ივანიკები, ბაირამაშვილები და სხვები). ეს წრე ხშირად დგამდა წარმოდგენებს და შემოსულ ფულს უგზავნიდა ღარიბ ინგილო სტუდენტებს და მოსწავლეებს რუსეთისა და საქართველოს ქალაქებში.

ასეთი დაუღალავი ენერჯიის და მოღვაწეობის შედეგად, რომელიც გაიღო ინგილო ხალხის 900-ანი წლების მოღვაწეთა ბრწყინვალე თაობამ (დიმ. ჯანაშვილი, ბათლომე ხუციშვილი, სოფიო ყულოშვილი აბელ ბაირამაშვილი. მიხეილ ყულოშვილი და სხვები), შეიქმნა საინგილოში მომყოლი თაობის საკმაოდ დიდი ფენა ინტელიგენტ ახალგაზრდობისა. საკმარისია დავისახელოთ ბათლომეს ცხრა შეილი, რომ-

ლებმაც უმაღლესი განათლება მიიღეს. ასეთივე განათლებული ოჯახები იყო გამახარაშვილებისა, ჯანაშვილებისა, ივანიცკებისა, ბაირამაშვილებისა, ყულოშვილებისა, პაპიაშვილებისა და სხვა.

1917 წელს, როდესაც აზერბაიჯანში მუსავატელები გაბატონდნენ და ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო ინგილო ხალხის ამოწყვეტა, ბათლომე ხუციშვილი, როგორც თავისი ხალხის მოპირნახულე, გულშემატკივარი ვერ შეურიგდა ამ ამბავს და ამის გამო მუსავატელების რისხვა დაიმსახურა. იგი იძულებული იყო გასცლოდა საინგილოს საზღვრებს. საყვარელი კუთხის—საინგილოს დაკარგვამ გასტეხა იგი წელში და ლოჯინად ჩააგდო. მან რამდენიმე წელს იავადმყოფა და გარდაიცვალა სოფ. ცოდნის კარში, ლაგოდების მახლობლად 1923 წელს.

ასე დასრულდა იმ ადამიანის სიცოცხლე, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა და დაუშრეტელი ენერჯია შესწირა ინგილო ხალხის გათვითცნობიერებასა და ინგილო ახალგაზრდობის აღზრდას.

---



## პეტრე მირიანაშვილი (1860—1940)

პეტრე მირიანაშვილი მრავალფეროვანი მოღვაწე იყო, დაუღალავი ენერგიისა და მტკიცე ნებისყოფის პატრონი; ჟურნალისტი და მკვლევარი, ლინგვისტი და ისტორიკოსი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი და უბადლო მთარგმნელი, პირველ რიგში კი პედაგოგი—სახალხო განათლების მებრძოლი. მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ენერგიულად იდგა იგი ქართული ენის დაცვის სადარჯოზე.

ილია ქავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკ. გოგებაშვილის, სერგეი მესხის, ნ. ნიკოლაძის და სხვათა მიერ გაშლილ დიდ ბრძოლაში პეტრე მირიანაშვილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. ვინც ამ მხრივ მეცხრამეტე საუკუნის 80-ან წლებიდან მეოცე საუკუნის 30-ან წლებამდე ქართულ პერიოდულ პრესას და საერთოდ ქართულ ლიტერატურას გაეცნობა, ის გვერდს ვერ შეუვლის ისეთ მოღვაწეებს, როგორც იყვნენ: სილოვან ხუნდაძე, გრ. ყიფშიძე, ალ. მიქაბერიძე, პეტრე ჭარაია, პეტრე მირიანაშვილი და სხვა მრავალი, რომელთა ღვაწლითა და მადლიანი

შრომით საგრძნობლად შემაგრებული და განმტკიცებულია საფუძველი ახალი ქართული ლიტერატურისა და სწორმეტყველებისა.

პეტრე გრიგოლისძე მირიანაშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში 1860 წლის 21 თებერვალს (ძვ. სტ.). საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1882 წ. პეტრე შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ მან აქ დიდხანს ვერ დაჰყო. იმ დროს უნივერსიტეტში და საერთოდ პეტერბურგში გამეფებულმა მძვინვარე რევოლუციამ, ალექსანდრე II-ის მკვლელობის გამო ალექსანდრე III-ის რეჟიმის სუსხმა, და ისიც განსაკუთრებით „ინოროდ-ცელ“ სტუდენტებისადმი მიმართულმა, პ. მირიანაშვილი აიძულა ადრევე დაეტოვებინა პეტერბურგის უნივერსიტეტი.

1884 წლის შემოდგომისათვის, მიუხედავად ხელმოკლეობისა, პეტრემ მოახერხა პარიზში გამგზავრება. პეტრე სობორონის უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაერთო. აქ ის ისმენდა ისეთი გამოჩენილი მეცნიერებისა და პროფესორების ლექციებს, როგორიც იყვნენ იმ ხანებში რამბო, რენანი, ფლამარიონი, ლეტურნო, დეშანელი და სხვ.

ცოდნითა და შთაბეჭდილებებით დატვირთული 26 წლის ქაბუკი პეტრე მირიანაშვილი 1886 წელს სამშობლოში დაბრუნდა. თავიდანვე ხალხის სამსახურით გატაცებულმა მან თავისი სიმპათიური მიზნების განსახორციელებლად მასწავლებლობა აირჩია. ის თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ასწავლიდა ქართულსა და ფრანგულ ენებს ქუთაისის და თბილისის გიმნაზიებში, შემდეგ საცხოვრებლად საბოლოოდ თბილისში დაბინავდა და აქ ჩაება საზოგადოებრივ და სამწიკრო მოღვაწეობაში.

კალამი პეტრე მირიანაშვილმა ჯერ კიდევ გიმნაზიელობის დროს, 1880 წელს აიღო („დროება“, № 223). ამას მოჰყვა მისი მეორე, იმ დროისათვის უთუოდ გაბედული და საგულისხმო წერილი სათაურით „ჩვენი ქართველი კათოლიკობა“ („დროება“, 1882 წ. № 215). ამ წერილში პ. მირიანაშვილი სასტიკად ილაშქრებს კათოლიკური ეკლესიის ზოგიერთი დოგმატისა და მათი გამავრცელებელი მატყუარა პატრების წინააღმდეგ, რომელთა ჩაგონებით ყველა ეროვნების კათოლიკე თავისთავს ფრანგად აღიარებდა.

პეტერბურგის პერიოდის მისი კორესპონდენციებიდან აღსანიშნავია წერილი, რომელშიც მიმოხილულია ალექსანდრე ცაგარლის ნაყოფიერი შრომა, მისი სამეცნიერო ღვაწლი და უნივერსიტეტში წაკითხული ლექციები ქართულ ლიტერატურაზე, რომელიც, პ. მირიანაშვილის ცნობით, ოთხ პერიოდად ჰქონია დაყოფილი სახელოვან პროფესორს: I—უძველესი პერიოდი—IV-XI საუკუნეები, II—ძველი, ან კლასიკური—XIII საუკუნემდე, III—ახალი—XIII-XVIII საუკუნეები და IV—უახლოესი—XIX საუკუნე. რაც შეეხება იმას, დაასკვნის წერილის ავტო-

რი, არსებობდა თუ არა ჩვენში ლიტერატურა ახალ ერად, ეს არქეოლოგიური ძიებით უნდა დამტკიცდესო. რაკი გადმოცემა მოგვეპოვება, რომ ფარნაოზ მეფის დროს ანბანი და წიგნი არსებულა, შესაძლებელია, არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა რაიმე საყურადღებოს აღმოჩენებით ეს გადმოცემა დაადასტუროსო („დროება“, 1882 წ. № 273).

მუდამ აქტიური პ. მირიანაშვილი პეტერბურგიდან მოწერილ თავის სტატიებში მრავალ საგულისხმო ცნობას აწვდის ქართველ მკითხველებს „დროების“ ფურცლებიდან. გაზეთის მაშინდელი რედაქტორი სერგეი მესხი და შემდეგ ივ. მაჩაბელი სიამოვნებით უთმობენ ადგილს პეტრეს ხალისიან და პატრიოტული გრძნობით გაყვანილ წერილებს. ერთ-ერთ წერილში ის აწვდის ქართველ მკითხველს ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ხდება საერთოდ მეცნიერებაში, კერძოდ, ქართული ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლის გარშემო. მაგალითად, „თუ რამდენად მიიქცია ჩვენმა ძველმა ხელნაწერებმა ევროპელ მეცნიერთა ყურადღება, ეს იქიდან ჩანს, რომ შარშან ზაფხულს პარიზელი ორიენტალისტები ოფიციალურად ითხოვდნენ აქაური პალესტინის საზოგადოებისაგან სამეცნიერო აკადემიის საშუალებით პეტრე ქართველის ბიოგრაფიის პირს. თუ მოგეხსენებათ, რომ ეს პეტრე ქართველი იყო მათუნის ეპისკოპოსი და ქართველთა მეფის ვარაზ-ბაქურის-ძე, მის ბიოგრაფიაში, რომელიც სირიულიდან არის თარგმნილი, ზემოხსენებული ორიენტალისტები ბევრს იმისთანა ცნობებს ჰპოებენ, რომელნიც ზოგიერთ ისტორიულს ფაქტებს ნათელსა ჰფენენ“ („დროება“, 1883 წ. 220).

იქედანვე პ. მ. ქართველ მკითხველს ატყობინებს, რომ ბერლინის უნივერსიტეტს გამოჩენილი ქართველი პროფესორის დაე. ჩუბინოვისათვის უთხოვია ვახტანგ მეფის კანონთა კრებული რუსული თარგმანი, რომ სომხებს უთარგმნიათ „ქართლის ცხოვრება“, რომ ი. ოქრომქვედლი-შვილი აპირებს ქართული წიგნების გამოცემას და ა. შ.

სტუდენტი პ. მირიანაშვილი უკვე გამოჩენილ ქართველ პუბლიცისტებს შორის ატეხილ პოლემიკასა და კამათშიც ებმება ხოლმე. მან მონაწილეობა მიიღო, როგორც სტუდენტმა, 1883 წელს გრ. ყიფ-შიძესა, პ. უმიკაშვილსა და ალ. ნანიშვილს შორის გამართულ კამათში.

პეტერბურგში მყოფ პ. მირიანაშვილს არც ქუთათური გაზეთი „შრომისათვის“, მოუკლია მისი მრავალფეროვანი კორესპოდენციები. მაგალითად, 1883 წლის „შრომის“ ნომრებში დაბეჭდილ მის წერილთა შორის აღსანიშნავია „პეტერბურგის მოსწავლე ქართველი სტუდენტობის დახასიათება“ (№ 3); „სომხები საქართველოში“ (№ 9); „უჩინარი თვალსაჩინო“ (№ 13), რომელიც ეხება სახალხო განათლების გავრცელებას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში და მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ამ ორი ნაწილის ერთმანეთთან მტკიცედ დაკავშირებას.

პეტრე მირიანაშვილი პარიზიდანაც ცხოველ მონაწილეობას ღებულობს ქართულ პრესაში. პარიზიდან გამოგზავნილ და „დროებასა“ და „ივერიაში“ დაბეჭდილ სტატიებს შორის მეტად საყურადღებოა მისი „ექტორ ჰიუგო“. პ. მირიანაშვილი პირადად „დასწრებია ერის საამაყო მწერლის გასვენების გრანდიოზულ პროცესიას“. წერილში საკმაოდ ვრცლად არის გაშუქებული ვ. ჰუგოს შემოქმედება. რედაქტორმა ივ. მაჩაბელმა ამ ვრცელ ნარკვევს ვრცელი ადგილიც დაუთმო თავის გაზეთში (ივ. დაბეჭდილია 1885 წლის „დროების“ № 111, 112 და 113-ში). ამავე პერიოდს ეკუთვნის ავრეთვე მისი საგულისხმო სტატიები „არიელ ენათა ჯგუფი და ქართული ენა“ („ივერია“, 1884 წ. № 1), „ბაბელის შენობა ჩვენი ენის ფორმების ხმარებაში“ („მწყემსი“, 1886 წ. № 19, 20), „უცხო სიმღერების გავრცელების გამო“ („თეატრი“, 1886 წ. № 4) და სხვა მრავალი, რომელთა უმეტესობა საზოგადოების ყურადღებას იმსახურებდა.

პ. მირიანაშვილის წერილები, სხვადასხვა ხასიათის ნარკვევები, გამოკვლევები და პოლემიკური სტატიები, „პ. მ.“, „პეტრე მირიანაშვილის“, „კლდიას“ და „მოგზაურის“ ხელმოწერით, დაბეჭდილია ისეთ ქართულ ორგანოებში, როგორიც თავის დროზე იყვნენ: „დროება“ „ივერია“, მწყემსი“, „შრომა“, „სახალხო გაზეთი“, „სახალხო საქმე“, „მოამბე“, „თემი“, ცნობის ფურცელი“, „თეატრი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „ტრიბუნა“, „ფასკუნჯი“, „ლომისი“ და სხვ. მისი ამგვარი ხასიათის მართო წერილები, თარგმანების გამოკლებით, რომ ერთად შეიკრიბოს, ალბათ, რამდენიმე ტომს შეადგენენ.

1900 წელს პეტრე მირიანაშვილი—უკვე საკმაოდ დამსახურებული პედაგოგი და ცნობილი ჟურნალისტი—აჩრეულ იქნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის მდივნად, ნაცვლად ალექსანდრე მიქაბერიძისა, რომელმაც თავი დაანება ამ თანამდებობას გადალლილობის გამო. პეტრე, რომელიც გატაცებული იყო აღნიშნული საზოგადოების საგანმანათლებლო საქმიანობით, წლების მანძილზე ემსახურა მას.

1901 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ № 153—188) „კლდიას“ ფსევდონიმით ათ განყოფილებად დაბეჭდა ნარკვევი: „ცხოვრების გამოძახილი“. ნარკვევის პირველ განყოფილებაში „როგორ ვეწევით მწერლობას“ ავტორი ბევრი ნაკლოვანების მამხილებელია ქართველი საზოგადოების ცხოვრებიდან; მისი აზრით ამ ნაკლთა გამოსწორება აუცილებელია და შესაძლებელიც, თუ კი საზოგადოება და მისი მწერლობა ჯეროვან დონეზე იდგომება. „მწერლობა დიდი ძალაა, წერს ნარკვევის ავტორი, თუ მისი წარმომადგენელი ერის ნამდვილი მოძღვარია, მის გავლილ და აწმყო ცხოვრებასთან სულიერად დაკავშირებული, მოკლედ რომ ვთქვათ, მისი ნამდვილი შვილია. ერი და მისი მწერალი მხო-

ლოდ მაშინ იცნობენ ერთმანეთის გულს, მხოლოდ მაშინ აღორძინდება მათ შორის საერთო მოქმედება, თორემ ზერელე მწერლობა, ერის თავგადასავლის უმეცარი, ხოლო აწმყო ცხოვრების აღლოაულებელი და მწერლისაგან მარტოოდენ თავის გამოსაჩენად გამოხობორიკებული, ერთი მეცა ვჰსოქვაო, საქმეს წინ ვერ წასწევს და მის უკან დაწევას კი ხელს შეუწყობს, თუმცა შეიძლება თვითონ მწერალმა ვერც კი იგრძნოს“...

ამ წერილში ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბრძოლას მშობლიური ენის აღსადგენად. აქვე მხილებულია ისიც, თუ როგორ დაადგა ვადაგვარები გზას ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომ ზოგიერთები მშობლიური ენის უვიციები არიან და მწერლობას იწყებენ. მაშ, დაასკვნის ავტორი, „ქართული მწერლობა, დაბალი ლობე ყოფილა, რომ მშობლიური ენის სწავლას არაფრად ვადგებთ და საზოგადოებას ვიბრიყვებთ, გამოვდივართ რა სამწერლო ასპარეზზე მოუშვადებელნი და ქართული წიგნის უცოდინარნი, ამას, მეტი რომ არა ვსთქვა, თავხედობა ჰქვიახო“.

ნარკვევის მომდევნო განყოფილებაში—„ჩვენი ერთგვარი მოღვაწეობის ნაყოფი“—3. მირიანაშვილი მოითხოვს მეცნიერული გამოკვლევების შექმნას საქართველოს ისტორიაზე და ლიტერატურაზე, მაგრამ არა მხოლოდ რუსულ ან რომელიმე უცხო ენაზე, როგორც ამას დღემდე ადგილი აქვსო, არამედ მშობლიურ ენაზე, ვინაიდან არანორმალური მოვლენაა ჩვენი ანბანის სხვისი ანბანით გაკვლევაო. აქვე მოჰყავს მაგალითები ივანე თარხნიშვილის, ალ. სუმბათაშვილისა და სხვათა, რომელნიც მხოლოდ ფიზიკურად არიან ქართველნი და არა გონებრივად და სულიერად. ასეთი ქართველობა და ღვაწლი ქართველ ხალხს ბევრს არაფერს შესძენსო. მან ამავე განყოფილებაში დასვა აგრეთვე საკითხი ძველი მწერლობის ნიმუშების, საცავეში დაცულ უამრავ ძველ ქართულ ხელნაწერთა შერჩევით გამოცემისა, რომელთა გაცნობით და გავრცელებით უთუოდ გამაგრდება დღეს დევნილი ქართველი ერის პოზიციები და ენის ცოდნაც წინ წაიწევსო.

ეხება რა ის მომდევნო განყოფილებაში ქართული ეურნალ—გაზეთების საქმიანობას, აღნიშნავს, რომ ქართული პრესა სუსტია, „გონებისა და გრძნობის გაბედული ვარჯიში მას არ ეტყობა, არც ცხოვრების აღლო აქვს ჯერ აღებული, რომ ერმა ხან გულის პასუხი ამოიკითხოს იქ და ხან ჰკუთავიცი დაუჯდეს ის ახალი რამ, რასაც გონებისა და გრძნობის საზრდოდ იპოვის“. ამის მიზეზად მას ის მიაჩნია, რომ ეს პრესა უცხოურ ნიადაგზეა დამყნული და არა მშობლიურზე. ის მოითხოვს, რომ ქართული პერიოდიკაც ქართული კულტურის სინამდვილიდან გამოდიოდეს, ანგარიშს უწევდეს ძველ კლასიკურ მწერლობას და ქართული ენის ბუნებას“.

ნარკვევის მეხუთე თავში ის ჩერდება ქართული მეღპომენის გარშემო, მიუთითებს დრამატიული საზოგადოების გამგეობას იმ უმთავრეს

ნაკლოვანებებზე, რომელიც უახლოეს პერიოდში პირველსავე რიგში უნდა იქნეს გამოსწორებული. ეს არის პიესის უზადო ქართული ენით გამართვა, მსახიობთა მეტყველების დამუშავება, კოსტუმის ეროვნულობა, ისტორიული კოლორიტის დაცვა, შესაფერი დეკორაციების შექმნა და სხვა. მისი სამართლიანი აზრით აქაც პრესა უნდა იყოს თეატრის ერთი მთავარი და თანმიმდევარი დამხმარე.

შემდეგ საკითხად სტატიაში გამოტანილია საზოგადო მოღვაწეობის სახეები. მისი აზრით „მოღვაწეობა მართო მწერლობა არ არის“. ამის მაგალითად ის ასახელებს ცნობილ ქართველ პედაგოგს ნიკო ცხვედაძეს. უაღრესად დიდ შეფასებას აძლევს ნ. ცხვედაძის ამაგს ქართული გიმნაზიის შენობის აგების საქმეში, რომ მან ამ დიდი ეროვნული ღვაწლით დაიმკვიდრა უკვდავი სახელი და მარადიული ხსოვნა ერის გულში. „მას ამოკმედებდა მხოლოდ ერთი მრწამსი საქმის წარმატებისა და „დამხმარე კომიტეტის“ ხელისშეწყობით კიდევ მიიყვანა ეს საშეილიშვილო საქმე იმ ზომამდე, რომ ზოგიერთ გულგატეხილ და გულძვირ ადამიანს სხვადასხვა ექვეები გაუფანტა და ყველა ერთნაირი თანაგრძნობით გამსკვალა... ამ სასურველი ყოფადის დაახლოების თავმდები ისევ იშვიათი მხნეობაა პატივცემული ნიკოლოზისა, რომელსაც მას როგორც სახელმწიფო სამსახურისაგან თავისუფალს, საზრუნველი აღარაფერი დარჩენია იმის მეტი, რომ თავისი ნაამაგარი სკოლა კიდევ დაასრულოს. ეს პატარა სკოლა, ეს ჩვენი სკოლა ისეთი დიდი რამ იქნება (ლაპარაკია შენობაზე—ს. ც.), რომ უნივერსიტეტსაც კი დაიტევს! აი, ეს შეუძლია ადამიანს, იმედით მოღვაწეს და მოწოდებულს კეთილგამზრახველის კრებულისაგან საერო საქმის გასაძლოად“ (ივერია, 1901 წ. № 160). პეტრეს ოცნება, რომელიც აგრეთვე მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ოცნებაც იყო მაშინ, მომავალმა ცხოვრებამ გაამართლა. მოყვანილი სტრიქონების ავტორმა საკუთარი თვალთ ნახა და აღტყინებული გრძნობით განიცადა ქართული უნივერსიტეტის საზეიმო გახსნა ამ შენობაში.

შემდეგ საკითხად ავტორს გამოყოფილი აქვს მცხეთის ტაძრის და საერთოდ ქართული მატერიალური კულტურის უდიდესი ძეგლების დაცვის საქმე, რომელიც მეტ ყურადღებას ითხოვდა იმ ხანებში, როცა უცხო და უღმობელი ძალა თავისი მსახვრალი ხელით ცდილობდა მათს აღკვასა და გაქრობას, როგორც ერის არსებობის ერთ-ერთი ურყევი საფუძვლისას.

საგულისხმოა აგრეთვე ავტორის შეხედულება ევროპაში განათლებამიღებულების უნაყოფობაზე, რომ მათი უმეტესობა ბევრს ვერაფერსა ქმნისო. ის მოითხოვდა კლასიკოსების საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმნას ქართულ ენაზე, მოითხოვდა აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგში მოპოვებული მიღწევებისა და ახალი აღმოჩენების პოპულარიზაციას.



ნარკვევის მეცხრე განყოფილებას ავტორმა ასეთი ეპიგრაფი გაუ-  
ყვთა: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. წერილი ეხება  
საქართველოს დედაქალაქის მაშინდელ მდგომარეობასა და საზოგადო-  
ებრივ ვითარებას. ავტორი იხსენებს რაფიელ ერისთავის ვოლდვილის  
„ბიძიასთან გამოხუმრება“—ერთ-ერთი მთავარი გმირის იორამ უძლომე-  
ლაძის ტიპიურ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ ქალაქი მართლაც  
რომ ძალზე გამოიცვალა, ეს რაფ. ერისთავის „ბიძიამაც“ კი შენიშნაო,  
მაგრამ მხოლოდ „განცვიფრებითა“... ე. ი. სხვა, საწინააღმდეგო ლო-  
ნისძიების გატარება და შექმნილი ვითარების მიზეზის შეცნობა და ანა-  
ლიზი მას არ შესწევდა. იგ. მოუწოდებს ქართველი ხალხის მოწინავე  
ნაწილს მეტი აქტიურობითა და გონივრული, წინდახედული მოქმედე-  
ბით „გამოეხმაურონ ჩვენს ქალაქს“.

ამ სადღეისო ნარკვევების მიმოხილვით ჩვენ, ვფიქრობთ, საკმაოდ  
გავეცანით პეტრე მირიანაშვილს როგორც საზოგადო მოღვაწეს. ამ წე-  
რილებში გამელაგნებულია, თუ რა საკითხებითა და სადღეისო საქმიან-  
ობით იყო ის დაინტერესებული, თუ რითი იყო მისი პატრიოტული  
გრძნობა და საღი გორება შეპყრობილი, თუ რა აღელვებდა, რა აწუხებ-  
და და ახარებდა მას 900-იანი წლების საქართველოს ცხოვრებაში.

როგორც აღვნიშნეთ, პეტრეს ქართულ ისტორიოგრაფიაში და  
ლინგვისტიკაშიც უღვეს წილი. მრავალ ამ თემაზე გამოქვეყნებულ ნაშ-  
რომთა შორის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ მისი ერთი გამოკვლე-  
ვა „რას ნიშნავს ქართველი, ივერი და სომეხი“. ამ ნაშრომში ავტორს  
გამოთქმული აქვს უთუოდ ინგარიშგასაწვეი აზრი, რომლის გაზიარებაც  
ნაწილობრივ დღესაც ხდება. მისი აზრით „საქართველო“ წარმოებული  
სიტყვაა, თვითონ „ქართველიც“ წარმოებული სიტყვაა და ნიშნავს „ქარ-  
თუს“ (კაცს) ისე, როგორც ჩინელი—ჩინს. „სწორედ ეს ქართუ იყო და  
არის ის პირვანდელი სახელი,—აღნიშნავს ის,—საიდანაც მომდინარეობს  
სახელწოდება ქორთუ და ქართლი, რომელიც ჩვენს ქვეყანას დარქმე-  
ვია“. იგი საკმაოდ დაკვირვებით ხსნის და ასაბუთებს ქორთუს ქარ-  
თუ—ურართუდან წარმოშობილობას, რაც საუკეთესო ორიენტალისტებ-  
მა ლურსმული წარწერების ამოკითხვის დროს დაადასტურესო. მისი  
მტკიცებით ქართი და ქართუც წარმოსდგება სიტყვისაგან ქალდე, ქალ-  
დი, რომელიც ქართველთა წინაპრის ღმერთი ყოფილა და ქალდეველთა  
თემის ეპონიმიც, რასაც ის უამრავი დამაჯერებელი საბუთებით ადასტუ-  
რებს („ივერია“, 1901 წ. № 222).

სიტყვა „ივერია“ მას გამოყავს აგრეთვე „ურართუდან“, „ურ“,  
რომელსაც სომხებმა ურის ან ვურის ქვეყანა უწოდეს (ვურის-ტან, ვრის-  
ტან, ვრასტ—ან), საიდანაც წარმოებულ იქნა შემდეგში ბერძნული  
„ივერია“. „ნამდვილი სახელწოდება ური-სა უნდა შეგვრჩენოდეს „ერიში“  
(ერი-ური, ურ, ვერ და სხვ.).

მისივე აზრით, ასევე წარმოებულ სიტყვაა „პაიას-ტან“ (პაჲ, ხაჲ),

ქართულში და სხვა ენებში ხაიასტან, რომელსაც მიემატა ქართულისათვის დამახასიათებელი მ (მ-ხა, მ-ხი) და შემდეგ პრეფიქსი სო. აქედან კი—სო-მ-ხი, ან სრულად—სომეხი. პეტრე არ იზიარებს იმ აზრს, რომ ეს სიტყვა ვითომ „სამხრეთისაგან“ ყოფილიყოს წარმოქმნილი. ისტორიულად ასეთი რამ არც დისტურდება და არც მეცნიერულად შეიძლება იმის გაზიარება ისე, როგორც არ შეიძლება გავიზიაროთ სიტყვათა შემთხვევითი შეხვედრა და თამაში ქართველზე, რომ ის „ქართა ველის“ ან „ქართა ველისაგან“ არის წარმოშობილი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პეტრე მირიანაშვილის, როგორც პედაგოგისა და სიტყვიერების მასწავლებლის როლი ქართული სწორ-მეტყველების დადგენისა და მისი სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლაში. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ დაწყებული რეფორმა ქართული ენისა ჯერაც არ იყო დამთავრებული, როცა ასპარეზზე გამოჩნდა ახალი ენის პოპულარიზატორი იაკობ გოგებაშვილი თავისი „დედა-ენითა“ და „ბუნების კარით“. გოგებაშვილს გვერდით ამოუდგნენ პედაგოგები და სახალხო მასწავლებლები, რომელთაც იკისრეს გოგებაშვილის მიერ დაწყებული საქმის ბოლომდე გატარება. აქ ჩვენ უნდა დავასახელოთ ნ. ცხვედაძე, ივ. როსტომაშვილი, ანთ. ჯულელი, პეტრე ქარაია, პეტრე მირიანაშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ლ. ბოცვაძე და სხვები, რომელთაც ამ საქმეს დიდი ამაგი დასდეს.

პეტრე მირიანაშვილი აქტიური მონაწილეა იმ პაექრობისა და ნამდვილად ნაყოფიერი კამათისა, რომელიც გასული საუკუნის 90-ან წლებში გაიშალა ქართულ პრესაში. პეტრე არ იზიარებდა ზოგიერთ მოკამათეთაგან წარმოდგენილ დებულებას, რომ საერთო ეროვნული ლიტერატურული ენა ამა თუ იმ ენის ყველა კილოკავზე უნდა იყოს თანაბრად დამყარებული ისე, რომ მის შემადგენლობაში ქვეყნის ყველა კუთხემ უნდა მიიღოს მონაწილეობაო. პეტრე მირიანაშვილი იზიარებდა დებულების იმ ნაწილს, რომ ენის დაბეწვა-დადუღებაში, მის გამდიდრებასა და ლიტერატურულად დამუშავებაში ქვეყნის ყველა პროვინციამ, ცხადია, უნდა მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ ეს მონაწილეობა მისი აზრით თანაბარი ვერ იქნება და ამას თავისი მიზეზებიც აქვს; მეორედ, ლიტერატურული ენა ქვეყნის ერთ რომელიმე წამყვან პროვინციას უნდა ემყარებოდეს ძირითადად. ასეთ პროვინციად კი მას მიაჩნდა ქართლი.

ერთ-ერთ პოლემიკურ წერილში პეტრე მირიანაშვილი წერს, რომ „ენა და მწერლობა (წარსულში—ს. ც.) მხოლოდ ქართლისა იყო და იმ მწერლობის საგრამატიკო ფორმებს ქართლის (კახეთიც ქართლია) ენის ფორმები ეთანხმება. მაგრამ ეს გარემოება იმას არ ამტკიცებს, რომ სხვა თემებს წილი არ ედოთ კლასიკური ქართული ენის განვითარებაში. არა. დედა-ენა განვითარებულა და კიდევაც უნდა განვითარდეს ისეთი ადგილობრივი სიტყვის საქცევით, რომელიც დედა-ენას არ მოეძებნება. ხმათა ცვლაც იმავე დროს შეფარდებულ უნდა იქნეს დედა-ენის ფონე-

ტიკასთან. ქართლის ქართულში გრამატიკული ფორმები მტკიცეა და კლასიკურ ქართულთან შეთანხმებული, ხოლო ხმათა ცვლა უფრო მაგარი, ე. ი. დარბილება ხმებისა არ სქარბობს“ („სახალხო საქმე“, 1919 წ. № 695).

ცნობილი ქართველი პედაგოგი და მწერალი სილოვან ხუნდაძე, რომელსაც პრინციპული უთანხმოება ჰქონდა როგორც პეტრე მირიანაშვილთან, აგრეთვე პეტრე ქარაიასთან ენის საკითხში, ბოლომდე საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა: ის ქართული ლიტერატურული ენის დადგენაში უპირატესობას დასავლურ კილოს აძლევდა და თავისი გრამატიკაც ამ ფონზე ჰქონდა აგებული, რომელსაც აკრიტიკებდნენ მოწინააღმდეგენი. პ. მირიანაშვილი ამ კრიტიკოსთა შორის ყველაზე აქტიური, ძლიერი და შეუვალი იყო. „ქართლის ქართველი კი ისევე, როგორც პარიზელი, ან მოსკოველი, თემის კილოთი ვერ ილაპარაკებსო.—წერდა პ. მირიანაშვილი ს. ხუნდაძესთან ერთ-ერთ კამათში,—წინდა ქვემო იმერული და წმინდა გურული არა თუ უბრალო კილოა, არამედ სახიერების ისეთ მდგომარეობაშიც არიან, რომ სულ მოკლე ხანში ახალი ენები გაჩნდება, რომ მათებურად ვბეჭდოთ გაზეთები და წიგნები“.

პ. მირიანაშვილის აზრით, თუ სილოვან ხუნდაძის გრამატიკას დავადგებით, „იძულებული ვიქნებით მოუსპოთ, ქართლის ქართველობას ღონისძიება, რათა ლაპარაკში ზმნათა უღვლილების დროს აღარ გამოსთქვას სახელ—ნაცვალი ძირი პ, რომელიც ზმნას თავს დაერთვის, როგორც პიროვნების მარჯვენა და სანად იქცევა, თუ ზმნა იგი რბილი ხმით იწყება (გაჰყავ, ჰყავ, ჰყო; ესწერ, სწერ, სწერს). ასე უნდა მოვიქცეთ მხოლოდ იმისათვის, რომ იმერლის ყანყარატოში საბგერალი ხმა პ აღარ მოისმის. ამისათვის უნდა დავამახინჯოთ ხანდახან აზრიც, ე. ი. ორაზროვნება შევჰქმნათ (ქონია, ჰქონია; მიყო, მიჰყო, ყვავის, ჰყვავის; ცა, სცა; მოხდა, მოჰხდა) და ვიხმაროთ მრავალი სხვა ურიგო გამოთქმა“ („სახალხო საქმე“, 1919 წ. № 695).

მისი აზრით: „ქართველ მწერალს რა თემისაც უნდა იყოს, ქართული ერუდიცია უნდა ჰქონდეს. ცოდნა, რომელიც შეუძენია უცხო ენითა, ქართველ ხალხს ვერ გამოადგება, თუ მისი გამავრცელებელი ქართულადაც განსწავლული არ იქნა“.

პ. მირიანაშვილის ზოგიერთი საენათმეცნიერო და ლიტერატურულ-ფილოლოგიური მოსაზრება დღესაც, ი. სტალინის ფუძემდებელი საენათმეცნიერო შრომების გამოქვეყნების შემდეგაც, ინარჩუნებს გარკვეულ მნიშვნელობას. შეიძლება ითქვას, მთელი რიგი მისი შეხედულებებისა სალიტერატურო ქართლის დადგენის სფეროში ახალმა ცოვრებამ გააპართლა.

პეტრე მირიანაშვილი—მწერალი და მასწავლებელი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ღრმად უნერგავდა ქართველ ახალგაზრდობას მშობლიური ენის სიყვარულს. „ენის კულტურის დროშა ყველას თავს

უნდა დაგვეტრიალებდეს, ჰქადაგებდა ის ახალგაზრდებში,—ყველა პატრივისცემით და მოწინააღმდეგით უნდა ვეპყრობოდეთ მასო... მოსწავლე ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, რომ დაუცხრომელი ბრძოლაა საქირო თავისუფალი, სულიერი კულტურის დასამყარებლად“ („ბურჯი“, 1909 წ.). მირიანაშვილის ამ ქადაგებას ამოვად არ ჩაუვლია. ის თვითონ მოესწრო თავისუფალი სულიერი კულტურის აღმავლობასა და აღორძინებას.

პეტრე მირიანაშვილი არ იყო ვიწრო პატრიოტი, შოვინისტი და სხვა ერთა მოძულე. პირიქით, ის ამიერკავკასიის ერების ძმური კავშირისა და მეგობრული ურთიერთობის მქადაგებელი იყო. მას ამ საკითხისადმი აქვს მიძღვნილი მთელი რიგი სტატიებისა, როგორცაა მისი „ოსმალეთის სომეხთა საქმე“ („ივერია“, 1901 წ. № 253), „ქართველი გრიგორიანები“, „სომეხთა ინტელიგენცია და თათრობა“ და სხვ.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი პეტრე მირიანაშვილი ღრმა პატივს სცემდა დიდ რუს ხალხს, რომელმაც შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის დიდი ლიტერატურა და მოწინავე დემოკრატიულ-რევოლუციური ინტელიგენცია. ერთს ვრცელ სტატიაში მას მიმოხილული აქვს საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხები, სადაც გამოაქვს დოკუმენტები, რომ ჯერ კიდევ მე-16 საუკუნიდან იყო ქართველ ხალხში დამის მეფეებში ლტოლვა რუსეთთან დამეგობრებისაკენ, რის განხორციელება მხოლოდ ერეკლე მეორემ შესძლო. ამის შემდეგ მას გამოკრებილი აქვს ყველა ის დადებითი მონენტი, რაც რუსეთთან ცხოვრებამ მოუტანა ქართველ ხალხს. აქვე მოყვანილი აქვს და შეფასებული დ. გურამიშვილის, ბესიკის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის და სხვათა პოეზიის ის ნაწილი, რომელშიც ისინი უმღერიან რუსი ხალხის გმირობასა და ამაგს ქართველთა წინაშე. ხაზგასმულია აგრეთვე იმ მთავარ მომენტზე, თუ როგორ დაისვენა საქართველომ და მოიშუშა ლეკ-ოსმალთა, ირანელთა და სხვა მტაცებელთაგან მიყენებული კრილობები. ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს ნ. ბარათაშვილის პოეტურ ალლოს და აღნიშნავს, რომ „მუხლმოდრეკილმა პატარა კახის საფლავის წინ ინატრა მსკოვანი გმირის წმინდა აჩრდილის გაცოცხლება, რომ გადაეხედა ახალი ქართლისათვის და ეხილა აღსრულება თავისი ხელმწიფური სიტყვისა, რომელიც სიკვდილის ეამს უთხრა დაობლებულ საქართველოს“ („განათლება“, 1913 წ. № 2).

პ. მირიანაშვილს გარკვეული ღვაწლი მიუძღვის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშთის განჯიდან გადმოსვენებაში. 90-იან წლებში, განჯაში სამსახურის დროს მას დაწერილებით შეუსწავლია ეს საკითხი, დაუძებნია ბარათაშვილის საფლავი და ყველაფერი უცნობებია ილაო კავკავაძისა და იაკ. გოგებაშვილისათვის, რომელთა თაოსნობით ეს დიდი საქმეც შესრულებულ იქნა 1893 წელს.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია პეტრე მირიანაშვილის ღვაწლი სახელგანთქმული ქართული კლასიკური ოპერის „აბესალომ და ეთერის“

შექმნაში. თვითონ პეტრე აცხადებს ერთს თავის საუბარში: როგორც დედაბერი დისევამს კრუხსა და არ მოეშვება სანამ წიწილებს არ გამოაჩეკინებს, ისე ამ ჩემს მიერ შედგენილ ლიბრეტოზე დავსვი ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორი ზ. ფალიაშვილი, არ მოვეშვი, თავი მოვაბეზრე, მანაც არ დაიშურა თავისი შესაძლებლობა და რასაც ხედავთ ეს გამოვიდაო. ამავ დროს კიდევ ხაზგასასმელია მისი ღვაწლი „ქართული მუსიკალური კულტურის წინაშეც. ზ. ჩხიკვაძესთან ერთად იგი ქართული ფილარმონიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელია“ („ლიტ. ხელოვნება“, 1945 წ. № 7/ 60).

„პეტერბურგში, 1904—5 წ. სეზონში ქართველ შემსრულებელთა ძალებითვე დაიდგა პირველად ქართულ ენაზედ პ. მირიანაშვილის მიერ ნათარგმნი „დემონი“ (რუბინშტეინისა); მასვე აქვს ნათარგმნი ოპერა „მარგალიტის მადიებელი“... მოთავსებული აქვს წერილები ჩვენს პრესაში ქართული ოპერისა და ხალხური სიმღერების შესახებ“ (შ. კაშმაძე „ლიტ. ხელოვნება“, 1945 წ. № 7).

პეტრე მირიანაშვილი, როგორც ხევითაც აღენიშნეთ არის მთარგმნელი რუსული, გერმანული, ფრანგული, ბერძნული, არაბული და სომხური ენებიდან. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პეტრე ყველა აქ დასახელებულ ენაზე მეტნაკლებად ლაპარაკობდა, წერდა და კითხულობდა, ის ნამდვილ პოლიგლოტად წარმოგვიდგება. მის კალამსა და გაუტეხელ შრომას ეკუთვნის კლასიკური ლიტერატურის მრავალი შედევრის ქართული თარგმანი. მან პირველმა წააკითხა ქართველ მკითხველს გოეთეს „ფაუსტი“ (1889 წ.), ჰომეროსის „აქილიანი“, „ილიადა“ და „ოდისეა“, ევრიპიდეს „მედეა“, ესქილეს „მიჯაქული პრომეთე“, ვირგილიუსის „ენეიდა“, რენანის „ერისათვის“, მრავალი უცხოური ზღაპრები, ჰინდური და ებრაული პოემები („სიყვარულის ჰიმნი“, „ქებათა-ქება“) და სხვა. აქვე უნდა დავსახელოთ აგრეთვე შარლ-ბიგოს „ერი და მამული“, დაწერილი რენანის „რა არის ერის“ გამო(დაიბეჭდა 1901 წლის გაზეთი „ივერიის“ ნომრებში,—31, 40, 41, 42, 46, 47, 52, 53, 54, 60, 64). მას დარჩა მრავალი დაუბეჭდავი მასალა, რომელთა უმეტესობა კლასიკური ლიტერატურის თარგმანებს შეიცავს.

პეტრე ავტორია აგრეთვე 15-მდე ცალკე გამოცემული წიგნისა, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს: „ამირანის ლექსი“—შეკრებილი და დაწყობილი პ. მირიანაშვილის მიერ ილუსტრაციებით (1913), „აბესალომ და ეთერის ლექსი“, „როსტომიანი“ და სხვ. (1914), „ვეფხისტყაოსანი“ ხუთ სურათად (1915), „ძველი და ახალი ქართული შაირობა“—XI და XII საუკ. (რუსთაველი, შავთელი, ჩახრუხაძე), თბილისი, 1915 წ. „აბესალომ და ეთერი“—ლიბრეტო ოპერისათვის (1918 წ.), ქართული ენის პრაქტიკული კურსი (რუსულ ენაზე გამოცემული 1951 წ.) „გახსოვდეს წერა-ლაპარაკის დროს ქართული გრამატიკის წესები“ და „ქართული სიტყვიერების განარკვევი დასაწყისიდან ჩვენს დრომდე“, 1929 წელს გამოცემული.

„ქართული სიტყვიერების განარკვევი“ ან საშუალო ტანის წიგნში ავტორს მოკლედ გარკვეული აქვს ქართული სიტყვიერება დასაწყისიდან, ე. ი. უძველესი დროიდან ჩვენს, საბჭოთა პერიოდამდე. იგი მოკლედ, კონსპექტურად, მაგრამ საკმაო საბუთიანობით და დამაჯერებლად ახერხებს დაახასიათოს: ქართველი ერის წარმოშობის საწყისები, ქართველი ტომები და მათი კილოკავები, ზეპირსიტყვიერება, ქართველი ხალხის კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების პერიოდები, ქართული ანბანის შემოღება და კულტურული მოღვაწეობის ცენტრები შინ და გარეთ მეთერთმეტე საუკუნემდე. აქვეა მიმოხილული ქართული ეპოსი (ამირანი, აბესალომ და ეთერი, როსტომიანი), ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში, აგიოგრაფიული ძეგლები. ამას მოსდევს იმდროინდელი იურიდიულისა და ისტორიული ძეგლების განხილვა, რომლის დასკვნაში ავტორი წერს: „ქართლის ცხოვრება“ ისე, როგორც ურბასტანის და ელადის ისტორია, ემყარება ხალხურ თქმულებას, ზღაპრულ ამბებს და თანდათან გადადის სინამდვილის აღწერაზე, რაც დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს“ (24).

შემდეგ მიმოხილულია ქრისტიანობისა და კერპთმსახურების მეტოქეობა საქართველოში, საერო მწერლობის დასაწყისი და ქართული წელთაღრიცხვა, რომლის შემდეგ გადმოცემულია: ხელოვნება და მწერლობა მეთექვსმეტე საუკუნისა, დიდი კულტურული მოღვაწეობის ცენტრები და ცნობილი ქართველი მოღვაწენი: იოანე პეტრიწი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელეები. ამას მოსდევს, როგორც ბუნებრივი განვითარება, ხოტბითი პოეზია, მისი სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობა; გარჩევა მეხოტბე პოეტებისა (იოანე შავთელი და ჩაბრუხაძე), მოსე ხონელი როგორც საერო პროზის პიონერი; ამირან-დარეჯანიანი და ხალხური თქმულება „ამირანისა“, „ვეფხისტყაოსანი“. როგორც საგმირო პოემა—მისი გმირების სულისკვეთება და მამოძრავებელი იდეალები, რომლის რეზუმედ ავტორი იძლევა ასეთ ფორმულას: „ვეფხისტყაოსანი“ უკვდავია თავისი სოციალ-პოლიტიკური იდეებით, რომელიც ავტორს განუვითარებია საოცარი დრამატიული ხლართით. ვისრამიანის, აბდულმესიის, თამარიანის და ამირანდარეჯანიანის პარალელების ქონება ხელს არ უშლის პოემის ორიგინალობას, რომელიც გენიის იშვიათ შემოქმედებას გვიხატავს, საუკეთესო საკაცობრიო იდეალების მატარებელს“ (51).

შემდეგ თავებში ავტორს გაშუქებული აქვს მომდევნო საუკუნეების სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების სიღუბლირე, მისი გავლენა მწერლობის განვითარებაზე, ახალი გენის პოენა პოლიტიკაში და ზრუნვა მწერლობის აღორძინებისათვის. აქ გარჩეულია თეიმურაზ პირველის, არჩილის, იოსებ თბილელისა და მათი თანამედროვე პოეტებისა და მწერლების მოღვაწეობა და ეროვნულ—ისტორიული კილო მეჩვიდმეტე საუკუნეში.

ცალკე თავად, განსაკუთრებული დაკვირვებითა და ერუდიციით

არის გადმოცემული ქართველი ხალხის პოლიტიკური ტრაგიზმი მეთვრამეტე საუკუნეში და დავით გურამიშვილი როგორც „ქართლის ჰიროს“ მემბტიანე და მისი პოეტური მოტივები. აქვეა გაშუქებული ბესიკის ლირიკა, მისი პოეზიის ისტორიული და სატირული მოტივები, სულხან-საბა ორბელიანი როგორც ხელოვანი მწერალი, მისი „სიბრძნე სიცრუის“ წიგნი; პეტრე ლარაძე როგორც აღმადგენელი სარგის თმოგველის საგმირო მოთხრობის „დილარიანისა“.

წიგნში ფართოდ არის წარმოდგენილი მეცხრამეტე საუკუნე და მეოცე საუკუნის 30-ანი წლები. „მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, წერს ავტორი,—ქართველი ხალხის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა. ქართველ ხალხს მოეშალა ოცდა ორი საუკუნის კულტურულ-პოლიტიკური, თუმც მრავილჯერ ბედუკუღმართი, მაგრამ მაინც თავისუფალი ეროვნული ცხოვრება“. აშუქებს რა პ. მირიანაშვილი ამ ეროვნულ თავისუფლებას მოკლებულ ცხოვრებას. ასკვნის: „ფეოდალიზმის წყალობით დაქუცმაცებული საქართველო რუსთ ხელმწიფის ბიუროკრატიულ-პოლიციური რეჟიმის დროს გაერთიანდა, ხალხმა იგრძნო ერთობა, ერთად ცხოვრების საჭიროება, თუმც პოლიტიკურად უფლებდა აყრილი იყო და ბატონყმობის უღელ ქვეშ მშრომელი გლეხობა იზნიქებოდა“ (92).

იგი ამ საუკუნის მწერლობას მართებულად ხსნის ალექსანდრე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლით. ამას მოსდევს გრ. ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, მათი პოეზიის ეროვნული და სოციალური მოტივების გარკვევა. ავტორი არკვევს აგრეთვე გიორგი ერისთავის მოღვაწეობის დროინდელი საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობას და ამ ფონზე მიმოიხილავს გ. ერისთავის შემოქმედებას, მის დრამატურგიას, ქართული თეატრის ისტორიას გ. ერისთავამდე გ. ავალიშვილისა და თეიმურაზ მეორის ღვაწლის დახასიათებით ამ სფეროში. შემდეგ ის გადადის „თერგდალეულების“ დახასიათებაზე, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ ისტორიულ მნიშვნელობაზე, ლავრენტი არდაზიანის შემოქმედების უმთავრეს მომენტებზე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ბურჟუაზიის საწყისების ამსახველზე და ა. შ.

წიგნის მომდევნო თავებში საკმაოდ ფართოდ არის გაშუქებული ილია ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი სამწერლო სკოლა ლექსებისა და მოთხრობების მიხედვით, ილია როგორც ხელოვანი—ავტორი „განდევილისა“. პოეტის იდეალი და დანიშნულება. აქაკი წერეთლის პოეზია, ისტორიული მოტივები აქაკის პოეზიაში, პოემები და ლირიკა, აქაკი როგორც დრამატურგი. ვახტანგ ორბელიანის პოეზიის საერთო ხასიათი. გიორგი წერეთელი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მემბტიანე. მისი მოთხრობების (მამიდა ასმათი, რუხი მგელი, პირველი ნაბიჯი) გარჩევა, ბახვა ფულავას მოღვაწეობა, როგორც დასაწყისი დასავლეთ საქართველოს ბურჟუაზიის ისტორიისა. რაფიელ ერისთავის გლე-

ხური ლირიკა, — დროებით ვალდებული გლეხები და მათი უმწეო მდგომარეობა, — პირველყოფილი სოციალიზმის ნაშთი მშრომელი ხალხის ცხოვრებაში და „მამითადი“ მისი მაჩვენებელი.

შემდეგ განყოფილებაში წარმოდგენილია ალ. ყაზბეგის სამწერლო მოღვაწეობა — „ელისოს“, „მოდღვარის“ და „ხევის ბერი გოჩას“ მიხედვით; ვაჟა-ფშაველა, მისი პოეზია და პროზა, „გოგოთურ და აფშინა“, „ალუდაქეთელაური“ და „ბახტრიონი“, როგორც საგმირო პოემები. ამას მოსდევს ეგნ. ნინოშვილის, შიო არაგვისპირელის, დავით კლდიაშვილის სამწერლო მოღვაწეობის გარჩევა-გაშუქება, მათი დამსახურება ქართულ ლიტერატურაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ავტორს ამავე განყოფილებაში შემოაქვს ი. გრიშაშვილის პოეტური შემოქმედების გარჩევაც. მისი აზრით: ი. გრიშაშვილის პოეზიის საფუძველია მშვენიერების ტრფობა, მზიური ღიმილი და სიცოცხლის სიხარული; პოეტს ახასიათებს აგრეთვე ფორმის პაეროვნება და დედაქალაქელობა; გარჩეულია მისი პოეზიის სამოქალაქო მოტივები.

შრომისა და ბრძოლის პოეტებად მას წარმოდგენილი ჰყავს იოსებ დავითაშვილი, იროდიონ ევდოშვილი, გიორგი ქუჩიშვილი და ალიო მაშაშვილი. მისი აზრით ამ პოეტებს ახასიათებთ მშრომელთა ერთგულება, უსამართლობის წინააღმდეგ მედგარი შებრძოლება, მუშის იდეალის სწორად გადმოცემა. ის ცალკე ჩერდება რა ალიო მაშაშვილის პოეზიაზე, წერს, რომ მისი „პოეზია არის განუწყვეტელი რევოლუციური აღტყინება, ცეცხლით და სისხლით ნაზავი, ძველი ცხოვრების გარდასაქმნელად, შრომის სუფევის დასამყარებლად და გაპოეტურება ელექტრო-ტექნიკის სასწაულმოქმედებისა, როცა სოფელი გაქალაქებას ეტანება და როცა ქარხნის ქურა და ჩაქუჩი ხმაშეწყობილად უკრავს, ხოლო მუშა მღერის: „არ მინდა ვიყო მე მონა სხვისი, ჩემი ოფლითა სხვები ვასუქო“, მაგრამ ადამიანის შემოქმედებას, მის გენიალობას წინ გადაშლია ბუნების დიადობა, მისი იღუმალობა, რომელიც გენიას ამოქმედებს არა მარტო დაჩაგრული სიმართლის აღსადგენად. დანარჩენი იდეალები სიკეთისა და სიტურფისა, რომელიც ისეთივე მამოძრავებელია გენიისა, როგორც იდეალი სიმართლისა, ნუთუ პოეზიის გარეშე დაეტოვოთ? მაშინ ხომ ცალმხრივობა და ერთფეროვნება დასჩემდება პოეზიას, ხომ დაბრკოლდება გენიის გაქანება, რომელსაც ასე ესწრაფვის ალიო მაშაშვილი?“ (215).

მთელი ამ წიგნის მანძილზე პეტრე მირიანაშვილი გვევლინება ძველი და ახალი ქართული მწერლობის საუკეთესო მცოდნედ, ერუდიტ მკვლევარად, რომელსაც თითქმის თანაბრად ემორჩილება კალამი აღმოსავლეთი და დასავლეთი ლიტერატურის უმთავრესი ძეგლების შინაარსის გადმოსაცემად და მათი, შედარებით სწორი, კრიტიკული ანალიზის მოსახდენად. მართალია, იგი ყველგან თანმიმდევრული ვერ არის, ან კიდევ თანამედროვე თვალსაზრისით მთელ რიგ შემთხვევაში სათანადო



სიმაღლეზე ვერა დგას, მაგრამ ეს სრულიად არ უშლის ხელს, მისი შრომისა და ღვაწლის შეფასებისას ვიყოთ დადებითი შეხედულებისა. პეტრე მირიანაშვილის გულწრფელი, საქმის სიყვარულით და პატრიოტული გრძნობით გამთბარი ლიტერატურული შრომები თუ ხიდი არა, ერთი მყარი ბურჯთაგანი მაინც იქნება იმ უზარმაზარი, გრანდიოზული ხიდისა, რომელსაც ახალი ეპოქა, ბედნიერი შერმისი აგებს.

საბჭოთა მთავრობამ მხცოვანი პედაგოგისა და მწერლის პეტრე მირიანაშვილის 50 წლის ეს ნაყოფიერი ღვაწლი ჯეროვანად შეაფასა. იგი ეგზომ ნაამაგარი და უანგარო შრომით დამაშვრალი, უკანასკნელ პერიოდში ფიზიკურად დაუძლურებული, უზრუნველყოფილი იყო პერსონალური პენსიითა და ნივთიერი და სულიერი დახმარებით. ფიზიკურად დაუძლურებული, მაგრამ სულით ჯანსაღი ის კვლავაც განაგრძობდა ფუნქციონირებას თავის სამუშაო ოთახში, წერდა, თარგმნიდა, იკვლევდა. მისი საყვარელი საქმის გარშემო კალამი სიკვდილამდე არ გაუშვია. პეტრე მირიანაშვილი გარდაიცვალა 1940 წლის 15 აგვისტოს. დაკრძალულ იქნა ვაკის ახალ სასაფლაოზე ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

#### ლიტერატურა

„მუშა“ 1916 წ. № 52; „კომუნისტური განათლება“, 1933 წ. № 30; „საბჭოთა მასწავლებელი“, 1938 წ. № 56; „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945 წ. № 7 (60); „კვალი“, 1900 წ. № 48. თეატრი, 1887 წ. № 3, 1886 წ. № 71, 1889 წ. № 1; საქარ. თველოს კალენდარი 1889 წ. მწყემსი, 1886 წ. № 28; „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ. № 10; განათლება, [1913 წ. № 3, № 5; ივერია, 1884 წ. № 9; ჯუჯილი, 1900 წ. № 9, 1901 წ. № 3, 1; 1902 წ. № 3, 4, 5, 2; 1904; № 10, 1; 12; 1905 წ. № 2; ივერია 1901 წ. № 151, 153, 155, 157, 160, 166, 177, 188; „დროება“, 1883 წ. № 220, 1882 წ. № 215, 273, 1891 წ. № 195, 1883 წ. № 220, 1884 წ. № 133, 1880 წ. № 233, 1885 წ. № 111, 112, 113; შრომა, 1883 წ. № 3, 9, 13.





ლუკა რაზიკაშვილი

## ლუკა ჩაზიკაშვილი

(1862—1915)

გენიალური ქართველი პოეტი ლუკა პავლეს-ძე ჩაზიკაშვილი, რომელიც ვაჟა-ფშაველას ფსევდონიმით წერდა, მთელი რიგი წლების მანძილზე პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა.

მისი შემოქმედება ფართოდ არის ცნობილი საზოგადოებისათვის. ვაჟამ ქართული ლიტერატურა გაამდიდრა ბრწყინვალე ლირიკული ლექსებით, პოემებით და მოთხრობებით.

ის იყო ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის დიდი და ერთგული თანამებრძოლი და მათთან ერთად სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სამშობლოსა და მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის იღვწოდა. თავისი შეხედულება სამშობლოსადმი სიყვარულისა და სამსახურის შესახებ ვაჟამ საუცხოოდ გამოჰხატა აკაკისადმი მიძღვნილ ერთ ლექსში:

მშობელი ქვეყნის მოხარვე,  
უნდა გიმღერო მთურადა:  
იმავე ჳირით ვარ სნეული,  
რაც შენ გატყვია წულულადა,  
რა ვუყოთ, ბედი, შავ-ბედი  
თუმცა გვეცევა მგლურადა,  
მაინც ვაჟღერებ ჩონჯურ სა  
მტარეალთა შესამუსრადა.

დღევანდელ დღესა არ ძალმიძს,  
არ ვღერდეს ჩემი ფანდური!  
ილიაც მესაუბრება,  
უნდა დაუგდო მას ყური.  
დავალებული გულისა  
უნდა ამოთქვას ენაშა:

წყლულები საქართველოსი  
გაიგო შენმა სმენამა.

მეც ამატირა ბევრჯერა  
შენს თვალზე ცრემლის დენამა,  
ნეტავი, ბევრი გაზარდოს  
შენისთანები დედამა!..  
რომ მიყვარს მამულიშვილი,  
დაე, იცოდეს ყველამა,

გადაგვარების შოსურნე  
შაჰამოს ტურა-მელამა!..  
მადლობელი ვარ გულითა  
შოთაის სულის ლხენამა,—  
სამშობლოს სამსახურისთვის  
ჩანგი გიყურთხოს ზენამა!..

ვაჟა-ფშაველამ ბრწყინვალედ შესძლო თავის შემოქმედებაში აესახა და გაეშუქებინა სოციალური და ეროვნული საკითხები, რომელთა სამართლიანი გადაჭრისათვის იბრძოდა ქართველი ხალხი დიდი საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების ილიასა და აკაკის მეთაურობით. მას ღრმად სწამდა თავისი ქვეყნის მომავალი და წერდა: „თუ ჩემს მკითხველებს ამისთანა რამეს აგარძნობინებს ჩემი ნაწერები, საკმარისია. მაშა-

სადამე, საქმარისად წარმოდგენილი მქონია საქართველოს მომავალი სვე-ბედი, ხოლო თავისუფლება ისეთი ცნებაა, იმას ბევრი კომენტარები არა სჭირდება<sup>1</sup>.

მართლაც ვაქას შემოქმედება ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ოქროს ფონდში დამკვიდრდა და სამშობლოს მოსიყვარულე ახალგაზრდობის აღზრდის ერთ-ერთ სპეტაკ წყაროდ იქცა.

ლუკა რაზიკაშვილი დაიბადა 1862 წლის 15 მაისს<sup>2</sup> სოფ. ჩარგალში, პავლე რაზიკაშვილის ოჯახში. პავლეს ექვსი შვილი ჰყავდა: გიორგი, მართა, ლუკა, ნიკო, თედო და სანდრო. ამათგან ქართულ მწერლობაში, ვაქას გარდა, ცნობილი შეიქნენ ნიკო (ბაჩანა) და თედო. მისმა დედამ თუმცა წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ ნიკიერი იყო და შესანიშნავი მოლექსე. იგი არაჩვეულებრივი გულკვთილობით გამოირჩეოდა.

ვაქას მამას, პავლე რაზიკაშვილს, სკოლაში არ უსწავლია, მაგრამ ანბანი მწყემსობის დროს თვითონ შეისწავლა და თვითგანვითარებით დიდ წარმატებას მიაღწია. „ეს პატარა ტანის კაცი განხორციელებული მხნეობა, ენერჯია იყო, ამასთანავე იშვიათი ნ. სკის პატრონი, ორატორი, ცნობისმოყვარე და მწიგნობარი, გარდა სასულიეროსა, ქართულ ენაზე წიგნი არ მოიპოვებოდა, იმას არ შეეძინა, არ წაეკითხა... როცა-კი შინ იმყოფებოდა. მუდამ მიაძებოდა მოთხრობებს ძველი საღმთო ისტორიიდან, წერა-კითხვას მასწავლიდა ძველებურს წესზე. ჩაუჯდებოდა ხორცს ზინკლისათვის საკეპად ფიცარზე, იქვე ტახტზე მეც დაუჯდებოდი პირდაპირ და ვუგდებდი გაფაციცებით ყურს იმის ტკბილ საუბარს. რვა წლამდე ვიზრდებოდი ძველ წიგნებზე: „ვეფხისტყაოსანი“, „მზეკაბუქისა, და ჯიმშერის ამბავი“, „გრიბული“ ეორე ზანდისა შეიქმნა ჩემ საყვარელ საკითხავ წიგნებად“ (ვაქა-ფშაველა, თბზულებანი, ტ. V, 1936 წ. „ჩემი წუთი სოფელი“, გვ. 510—512).

რვა წლის ლუკა რაზიკაშვილი შეიყვანეს თელავის სასულიერო სასწავლებელში. როგორც ვაქას ავტობიოგრაფიიდან ჩანს, სკოლას ბავშვზე კარგი შთაბეჭდილება არ იტოვებდა. თვითონ ვაქა თელავში სწავლის პერიოდს ასე ახასიათებს: სასწავლებელში ყოფნამ ჩემს გულს და გონებას ვერაფერი შეჰმატა. ჩემს ფანტაზიას, გრანების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა ლათინური და ბერძნული ფრაზების ზეპირობა. უვარგისი სისტემა სწავლისა ვერ აკმაყოფილებდა ჩემს ცნობისმოყვარეობას. ვერ აწვდიდა ნოყიერს საზრდოს. იძულებული ვიყავი მიმემართნა სხვადასხვა წიგნებისათვის, რაც ძნელი საშოვარი აღმოჩნდა. ვკითხულობდი, რაც შემხვდებოდა განურჩევლად, რადგან ხელმძღვანელი არა მყავდა და ამის გამო ასტრონომიულს, რისაც არაფერი გამეგებოდა,

<sup>1</sup> ს. ყუბანეიშვილი ამ თარიღს (1862 წლის 15 მაისს), რომელიც თვით ვაქამ დაასახელა, არ იზიარებს და სხვა საბუთებზე დაყრდნობით ლუკა რაზიკაშვილის დაბადების თარიღად ადგენს 1861 წლის 14 ივლისს (იხ. „ვაქა ფშაველა“, 1937 წ. გვ. 49).

უფრო ბევრს ვკითხულობდი, ვიდრე სხვა საბუნებისმეტყველო ან საისტორიო წიგნებს.

...ექვსი წლის ჩემი თელავში ყოფნის დროს სწავლის ნაყოფად ჩაითვლება რამდენიმე რუსულ-ბერძნულ-ლათინური ფრაზა, ქართულს ვინ გვალირსებდა“ (ვაჟა-ფშაველა, თბზულებანი, ტ. V, 1936 წ., ჩემი წუთი სოფელი“, გვ. 513).

1877 წელს ვაჟა მშობლებმა გადმოიყვანეს თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში, რომლის კურსიც დაასრულა 1879 წლის ივნისში. 1879 წლის სექტემბერში ვაჟამ ჩააბარა გამოცდები და ჩაერიცხა გორის საოსტატო სემინარიის პირველ კლასში. 1882 წელს მან დასახელებული სემინარია დაამთავრა და იმავე წლის ივნისში ატესტატიც მიიღო.

გორის სამასწავლებლო სემინარიაში ვაჟა წარჩინებულად სწავლობდა. პედაგოგიურ პრაქტიკასაც საფუძვლიანად დაეუფლა, ხშირად აძლევდა საცდელ გაკვეთილებს და ნამდვილად შრომით, ბეჯითი მუშაობით შესძლო საკმაოდ დახელოვნებულიყო. ვაჟას ერთ-ერთი საცდელი გაკვეთილის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება ცნობილი ქართველი პედაგოგის ალ. ნათაძის საინტერესო მოგონება. 1879 წელს გორის რაიონს კალია შესევია. კალიასთან საბრძოლველად მოსახლეობასთან ერთად მონაწილეობა მიუღიათ სემინარიის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს დირექტორ დ. სემიონოვისა და ქართული ენის მასწავლებლის არისტო ქუთათელაძის ხელმძღვანელობით. ვაჟას განსაკუთრებით გამოუჩენია თავი კალიების მოსპობის საქმეში და ამიტომ სემიონოვს მისთვის დაუვალეზბია საცდელი გაკვეთილის ჩატარება ამ თემზე. ერთი კვირის შემდეგ ვაჟამ გაკვეთილი მისცა. „უფროსი კლასების მოწაფეები ყველანი იქ ვიყავით. ასისტენტებად იყვნენ ფარნაოზ ნათიშვილი, მასწავლებელი პირველდაწყებითი სასწავლებლისა სემინარიასთან, არისტო ქუთათელაძე, ქართული ენის მასწავლებელი სემინარიაში და თვითონ დირექტორი. მოწაფეები რეცენზენტების როლსა ვთამაშობდით და ყველას ხელში ქალაქდი და ფანქარი გვეკირა შენიშვნების დასაწერად. არ გასულა სამი წუთი, რომ დირექტორი შემოვიდა და კლასში წესიერება დამყარდა... იგი მივიდა ვაჟასთან, რალაც წასჩურჩულა და უბრძანა გაკვეთილი დაეწყო. გაკვეთილი ქართულ ენაზე იყო მიცემული. პირველი ნაწილი გაკვეთილისა თითქო წესიერად მიმდინარეობდა: ყოველი წესი იყო დაცული, ყველა დიდაქტიკური მოძღვრება შესრულებული... მეორე ნახევარი გაკვეთილისა კი ნამდვილი „წამება“ იყო ვაჟასათვისაც და მოწაფეებისათვისაც. ...მოწაფეები დალაღა, დაქანცა, თვითონაც დაიქანცა, ოფლი თქრიალით ჩამოსდიოდა. დისციპლინა დაირღვა, თვალსაჩინო საგნები მიყარ-მოყარა და კარგად დაწყებული საქმე უშედდგოდ გაათავა. გაკვეთილის შემდეგ ყველანი გარეთ გამოვედით, ამხანაგებს ჰმა-კრინტი არ დაგვიძრავს, რომ ისედაც გაბოროტებული ვაჟა არ გაგვეჯავრებინა,

...დირექტორმა შენიშნა ყველა ეს და ვაჟი თავისთან წაიყვანა, ჩაი და-  
ალევიანა, ასაუზმა თავის ოთახში. მალე ვაჟი კმაყოფილი დაბრუნდა იქი-  
დან. ჩვენც გულდამშვიდებით მოველოდით საღამოს, როდესაც ვაჟს  
გაკვეთილი გარჩეული იქნებოდა დირექტორის თავჯდომარეობით. დად-  
გა ეს დროც... ყველამ თავი მოვიყარეთ სკოლის დარბაზში. დირექტორ-  
მა ჯერ ვაჟს მისცა წინადადება, თვით მას აღენუსხა თავის გაკვეთილის  
ნაკლულევაწებანი. მერე ჯერი ჩვენზე მოდგა. უნდა გეყურებინათ, რა  
ქარცეცხლში გაატარეს ამხანაგებმა ეს გაკვეთილი, რა კრიტიკის ხორ-  
ხოშელა დააყარეს ჩვენს მომავალ სიამაყეს ამ პაწაწინა ვაჟებმა. ლადო  
აღნიაშვილის კრიტიკა ხომ მწარეზე-მწარე იყო. ვაჟაც ცეცხლობდა, გუ-  
ლი საგულეში აღარ ეტეოდა... ყველას პასუხს აძლევდა, ყველას უშკლავ-  
დებოდა. დირექტორმა ცოტახნობით შესწავლია კამათი, მოინდომა  
კრიტიკის ჩანელება, განკიცხვის შთაბეჭდილების შესუსტება და გაკვე-  
თილის ღირსებაზე დაგვაწყებინა ლაპარაკი. პირველად მე შეიხბა: მეც  
გაკვეთილის პირველს ნახევარს მივაქციე ყურადღება და ბევრი კარგი  
მხარე გადაუშალე კრებას ამ გაკვეთილის შესახებ.

...ფარნაოზ ნათიშვილმა და არისტო ქუთათელაძემ უქვეს ვაჟს ქარ-  
თული ენის ცოდნა, ტერმინების გათვალისწინება და ერთხმად აღწინა-  
შინეთ ყველამ გაკვეთილის კეთილსინდისიერად შესრულება“ (ეურნ. „თე-  
ატრი და ცხოვრება“, 1916, № 36).

გორის სემინარიაში ყოფნის დროს ვაჟა-ფშაველაზე განსაკუთრე-  
ბული შთაბეჭდილება მოახდინეს ქართული ენის მასწავლებლებმა მიხეილ  
(მიშო) ყიფიანმა და არისტო ქუთათელაძემ.

ამ დროს ვაჟა-ფშაველა დაუახლოვდა ხალხოსანთა წრეს და ერთ-  
ერთ არალეგალურ კრებაზე (1882 წ.) მას უთქვამს: „კოკისპირულ წვი-  
მასა და ქარბუქში მე გამოვიარე თითქმის მთელი ფშავ-ხევსურეთი და  
ყველგან ერთსა და იმავეს მეკითხებოდნენ—როგორ გადაწყდება მიწის  
განაწილების საკითხი. უკეთუ გლებებს მივცემთ მიწას, ჩვენს მუშაობას  
ექნება დასაყრდენი სოფლად და წელში გაწყვეტილ გლებობას გადმო-  
ვიყვანთ ჩვენს მხარეზე. მაშინ საფუძველი ეცლება მთაერობას და ჩვენ-  
თვის საშიშარი არ იქნება არც მემამულეების მუქარა, არც მეფის რუ-  
სეთის ხიშტიანი ლეგიონები“.

1882 წლის 1 ივლისიდან ვაჟა-ფშაველა დაინიშნა მასწავლებლად  
სოფ. ტოლათსოფლის ერთკლასიან სკოლაში. ეს სკოლა ეკუთვნოდა  
„კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგა-  
დოებას“, რომლის სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების საქმე მოუ-  
წესრიგებელი იყო. ლუკა რაზიკაშვილმა იმავე წლის ოქტომბერში თხოვ-  
ნით მიმართა „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და  
აღნიშნა, რომ „რადგანაც იგი საზოგადოება (ე. ი. კავკასიაში მართლ-  
მადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება) გულგრილად  
უცქერის დედაენაზე სწავლის მსვლელობას, ამიტომ არ აკმაყოფილებს

ამ მოთხოვნის და არცა გზავნის სახელმძღვანელო წიგნებს სამშობლო ენაზე. ამისათვის ვსთხოვე საზოგადოების (ქ. შ. წ. კ. გამაერცელებელი საზოგადოება) მმართველობას უმორჩილესად, დააკმაყოფილოს ეს ჩემი თხოვნა და გამომიგზავნოს ხუთი ეგზემპლიარი „ბუნების კარი“ და ხუთმეტი „დედა-ენა“ (სოლ, ყუბანეიშვილი ვაჟა-ფშაველა, 1937 წ. გვ. 167). პოეტი-მასწავლებლის ეს თხოვნა გამგებამ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა.

1883 წლის აპრილში ვაჟა ამ სკოლიდან „ცუდი ჯანმრთელობის“ გამო გაათავისუფლეს და იმავე წლის სექტემბერში პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაერიცხა თავისუფალ მსმენელად. ვაჟა ესწრებოდა ლექციებს და ბევრს კითხულობდა, მაგრამ 1884 წელს უსახსრობის გამო იძულებული შეიქნა უპალესი სასწავლებლისათვის თავი დაენებებინა და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

1886 წლის სექტემბრიდან ლუკა რაზიკაშვილი მასწავლებლად დაინიშნა სოფ. დიდთონეთის სკოლაში, რომელიც ქ. შ. წერა-კითხვის გამაერცელებელ საზოგადოებას ეკუთვნოდა. დასახელებულ სოფელში მასწავლებლობის დროს ვაჟა-ფშაველას შეტაკება მოუხდა ადგილობრივ მამასახლისთან, რომელიც მოსახლეობას ტერორის ქვეშ აყენებდა. ამ ნიადაგზე დიდი უკმაყოფილება შეიქმნა, რამაც გამოიწვია დიდთონეთის სკოლის შემოწმება ცნობილი მოღვაწის იაკობ მანსვეტაშვილის მიერ (1887 წლის ოქტომბერი).

ქართულთა შორის წერა-კითხვის გამაერცელებელ საზოგადოებას ი. მანსვეტაშვილმა წარუდგინა ვრცელი ანგარიში სკოლაში არსებული მდგომარეობის შესახებ. საჭიროდ მიგვაჩნია ამ ანგარიშიდან ერთი ანგულის ამოწერა, რომელიც კარგად გვიხანიათებს ლუკა რაზიკაშვილს როგორც მასწავლებელს.

„სკოლამ და ყმაწვილებმა ძლიერ სასიამოვნო შთაბეჭდილება იქონიეს ჩემზედ. სასიამოვნო სანახავე იყო ღია, მზიარული, ცოცხალი სახე ყმაწვილებისა, იმათი სიცოცხლით სავსე მიხვრა-მოხვრა, თამამად, გაბედვით, მკაფიოდ და თან გულუბრყვილოდ სიტყვა-პასუხის თქმა. მასწავლებელს თამამად ეპყრობიან და ამასთანავე დისციპლინაც კი მშვენიერად არის დაცული. ეტყობა, მასწავლებელს ყმაწვილები შიშით კი არა, სიყვარულით მოუნადირებია თავისაკენ. ერთი-ორი კვირის მოსული ყმაწვილები წესსა და რიგს არიან მიჩვეულნი. პასუხს რიგიანად იძლევიან და, ეტყობათ, ესმით რაზედაც პასუხს ამბობენ და არა თუთიყუშოვით გაუბეპირებიათ.

სასწავლო საგნები საზოგადოდ კარგად აქვთ გავლილი.

... იმის შესატყობად, თუ რამდენად შეგნებულად უსწავლიათ კითხვა, ამავე წლის ყმაწვილებს წავაკითხე სრულიად უცნობი სტატიები „კონა“ და „ბუნების-კარიდან“. კარგად წაიკითხეს. თუმცა ისე გაკვირვით და თავისუფლად კი ვერა, როგორც „დედა-ენა.“ მაგრამ სასიამოვნო



ნო ის იყო, რომ წაკითხული დაწერილებით მიაშვებ; იქნება, ესეთი აჩქარებული სწავლება მტკიცე პედაგოგიური სისტემის წინააღმდეგი იყოს, მაგრამ. თუ ამგვარ სწავლებას ასეთი ნაყოფი მოჰყვებოდა როგორც თონეთის სკოლაში ვნახე, მე ისევე პედაგოგიის ღალატს ვირჩევ. წერით გოგებაშვილის რვეულზე № 2 ძლიერ მშვენიერად და ლამაზად სწერენ. ისე ლამაზად, რომ ნახატი გეგონებათ: (სოლ. ყუბანეიშვილი. ვაჟა-ფშაველა, 1937 წ. გვ. 193—202; გამოქვეყნებულია ი. მანსვეტაშვილის ანგარიშში).

ასეთი იყო ის შეფასება, რომელიც ი. მანსვეტაშვილმა მისცა ლუკა რაზიკაშვილის საქმიანობას თონეთის სკოლაში. მაგრამ ვაჟა-ფშაველაზე გადაკიდებული მამასახლისი და მისი ავან-ჩაევანები ზედიზედ გზავნიდნენ როგორც ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში. ისე სხვა ორგანოებში ცილისწამებით სავსე წერილებს. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ვაჟას უხასიათებდნენ როგორც უვარგის მასწავლებელს, ხოლო სხვა ორგანოებს ცნობებს აწვდიდნენ, რომ „ვაჟა მემბოხე და შთაერობის მტერია“. ამის გამო ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა იძულებული შეიქნა 1888 წლის სექტემბრიდან ლუკა რაზიკაშვილი თონეთში მასწავლებლობიდან გაეთავისუფლებინა.

ამის შემდეგ ვაჟა უმთავრესად სალიტერატურო მუშაობითა და სოფლის მეურნეობაში შრომით არჩენდა ოჯახს. მაგრამ სკოლისა და მასწავლებლებისადმი პატივისცემა, ჩვენი ნორჩი თაობისადმი სიყვარული დიდი პოეტის გულში არასოდეს არ გამქრალა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მის ბრწყინვალე შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საგანგებოდ ბავშვებისათვის, ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის შექმნილ ძვირფას მხატვრულ ნაწარმოებებს („შვლის ნუკრის ნაამბობი“, „სათაგური“, „ჩიკვათა ქორწილი“, „ბუნების მგოსნები“ და სხვ.).

ამავე დროს ვაჟას შესანიშნავად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ჩვენი ერის მომავალი სახალხო განათლებებზეც იყო დამოკიდებული, ხოლო განათლების გავრცელების საქმეში მასწავლებლებს უდიდესი მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული. ეხებოდა რა იმ დროს, როცა თვითონ სწავლობდა სკოლაში. პოეტი დანანებით წერდა: „ჩვენთვის სკოლა საპყრობილე იყო და ღმერთს იმას ვებეწებოდით მთელის ჩვენის არსებით, გათავებულყო ჩქარა სწავლა და დავლწვევიყავით ტანჯვა-წვალებას ბრჯღალებიდან. დიდად უბედურია ის მასწავლებელი, რომელიც სკოლას საპყრობილედ გადააქცევს, და მით უმეტეს, უბედური არიან ისინი, ვინც ამ საპყრობილეში დაუმწყვედევიათ აღზრდა-განათლების სახელით. აღბათ გრძნობდნენ თვით აღმზრდელნიც ძველებურ აღზრდის სიმკაცრეს, რომ ქართველებს ასე უთქვამთ: „სწავლისა ძირი მწარეა, ხოლო წვერში გატკბილდებაო“. ვინ იცის ქართველებისაგან არის ეს

ნათქვამი, თუ რუსებისაგან შეისწავლეს: „უჩინიე-მუჩინიე, ა პლოდი ეგო სლადკიე“ (სწავლა ტანჯვაა, ხოლო ნაყოფი მისი ტკბილი არისო). ნუ-  
თუ მუდამ სწავლა ტანჯვად უნდა წარმოვიდგინოთ და არ შეძუშავდებამ  
ისეთი წესები, რომ სიამოვნებად გადაიქცეს იგი“ (ვაჟა-ფშაველა,  
თხზულებანი, ტ. V, 1936, გვ. 514).

მასწავლებლების დამციროებისა და უუფლებობის წინააღმდეგ, რასაც  
ადგილი ჰქონდა თვითმპყრობელობის დროს, ვაჟას ბევრჯერ აღმადლე-  
ბია ხმა და მათ მიმართ გულწრფელი თანაგრძნობა გამოუხატა. სა-  
ხალხო მასწავლებელ ლადო ბზანელისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი-  
ამბობდა:

მასწავლებლისა ბედზედა  
მრავალჯერ დამიკვნესია.

რა ვუყოთ, მასწავლებელი  
დღეს არა ფასობს ჩვენშია.  
თუმცა მსნა ჩვენი ეროსა  
მხოლოდ და მხოლოდ თქვენშია.  
სული გასუქდეს ბევრით სჯობს,  
ვიდრე გასუქდეს ლეშია.


1915 წლის თებერვალში ვაჟა-ფშაველა ავად გახდა. ავადმყოფობა  
ისე გაურთულდა, რომ ექიმების რჩევით პოეტი 14 ივნისს წმ. ნინოს  
სახელობის ქართულ ლაზარეთში გადაიყვანეს (ახლანდელი უნივერსიტე-  
ტის შენობაში), სადაც 27 ივლისს სამუდამოდ დახუტა თვალი მგოსანმა-  
ვაჟა დასაფლავებულია მთაწმინდის ქართველ მწერალთა და საზოგადო  
მოღვაწეთა პანთეონში.

#### ლიტერატურა

ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, 1899 (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავ-  
რცელებელი საზოგადოების გამოცემა); თხზულებანი ტ. I, 1946 (ა. აბაშელის და ა. შა-  
ნიძის რედაქციით); ტ. II, 1950 (ა. აბაშელის და ა. შანიძის რედაქციით). ტ. III, 1930  
(ა. აბაშელის რედაქციით); ტ. IV, 1912 (ა. აბაშელის რედაქციით); ტ. V, 1936 (ა. აბა-  
შელის რედაქციით). ტ. VI, 1939 (ა. აბაშელის რედაქციით); რჩეული, 1953 (აღ. აბაშე-  
ლის და ა. შანიძის რედაქციით).

სოლ. ყუბანეიშვილი, ვაჟა ფშაველა, 1937; ვაჟა ფშაველას ცხოვრებისა და  
შემოქმედების მატრიანე, 1940.

მ. კეკელიძე, გორის სამასწავლებლო სემინარია, 1955.



## დავით კარიჭაშვილი

1862—1927

დავით კარიჭაშვილი პროფესიით მასწავლებელი იყო. ის ოთხ ათეულ წელზე მეტი ენსაზურა ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. შაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა ყოფილიყო ამავე დროს ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე, ქართული ლიტერატურის ნიჭიერი მკვლევარი, საქართველოს ისტორიკოსი, დაუღალავი ბიბლიოგრაფი და ქართული წიგნის გამომცემელი.

დავით გიორგის-ძე კარიჭაშვილი დაიბადა 1862 წ. ს. ხიდისთავში, იმ პატარა, ლამაზსა და ზერებით მდიდარ სოფელში, სადაც იმ ხანებში ცხოვრობდა „კაცი განმთავსებელი ქართული სცენისა და დამფუძნებელი ქართული ჟურნალისა“—გიორგი ერისთავი. დავით კარიჭაშვილის მამა, მღვდელი გიორგი, დაახლოებული იყო მაშინ ამ სოფელში ერთადერთ კულტურულ ოჯახთან და უდროოდ გარდაცვლილი (51 წლისა) დრამატურგის შვილთან დავით ერისთავთან, რომელიც 17 წლისა დაობლდა

მამითაც. პატარა დავით კარიკაშვილი სიყრმითვე იმსქველებოდა ქართული კულტურისა და მწიგნობრობის სიყვარულით ამ ოჯახის გავლენით.

1869 წელს პატარა დათიკო მშობლებმა მიაბარეს გორის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც გათვითცნობიერებულმა და ნიჭიერმა ყმაწვილმა 1876 წელს წარჩინებით დაამთავრა. იმავე წელს დავით კარიკაშვილი ჩარიცხულ იქნა თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიისათვის ეს ის პერიოდი იყო, როცა ე. წ. „კერსკის რევიზიის“ შედეგად, სასწავლებლიდან მრავალი თავისუფლად მოაზროვნე მოსწავლე (სტ. კრელაშვილი, ი. მეუნარგია, დ. კეზელი და სხვ.) გარიცხულ იქნა და მოწინავე მასწავლებლები (ი. გოგებაშვილი, გ. იოსელიანი, ნ. ცხვედაძე, ტურიაშვილი და სხვ.) ძალზე შევიწროებული ან დათხოვნილნიც.

მიუხედავად ასეთი მკაცრი რეკიმიისა და ადმინისტრაციული ღონისძიებისა, სემინარიელები ივანოვის ცნობილი ბიბლიოთეკის საშუალებით მაინც ახერხებდნენ მათთვის აკრძალული წიგნების კითხვას. 1882 წელს დავით კარიკაშვილმა სასულიერო სემინარიის სრული კურსი დაამთავრა. მას გზა ჰქონდა გაკაფული სასულიერო აკადემიისაკენ, მაგრამ ეს არ ისურვა. ის საერო განათლებისა და ასპარეზისაკენ ისწრაფოდა და კიდევაც მოახერხა პეტერბურგში გამგზავრება და იქ უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩარიცხვა ნამდვილ სტუდენტად.

პეტერბურგში დავითი დიდხანს არ დარჩენილა. იგი ვერ შეეგუა მეფე ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდეგ გამეფებულ აუტანელ რეჟიმსა და ადამიანის უმაგალითო შევიწროებას. ეს შევიწროება ყველაზე უფრო მკაცრად უნივერსიტეტში იგრძნობოდა, სადაც იმპერიის თითქმის ყველა კუთხიდან წამოსული მოწინავე ახალგაზრდობა ათასობით იყრიდა თავს. როგორც ბევრი სხვა ქართველი სტუდენტი (პ. მირიანაშვილი), დავით კარიკაშვილიც პეტერბურგიდან პარიზს გადავიდა. დავითმა სწავლა განაგრძო პარიზში სორბონის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1885 წელს დავით კარიკაშვილი საქართველოში დაბრუნდა. აქ ის მიწვეულ იქნა ფრანგული ენის მასწავლებლად თბილისის სათავად-აზნაურო სკოლაში. ამ დღიდან დავით კარიკაშვილს სკოლისათვის თავი არ გაუწეებია. შემდეგ ის გადაყვანილ იქნა ქართული ენისა და ისტორიის მასწავლებლად თბილისის ქართულ გიმნაზიაში, რომელსაც სხვადასხვა მოსაზრებითა და მიხეზებითაც მაშინ სათავად-აზნაურო გიმნაზია ერქვა.

1885 წელსვე დავით კარიკაშვილი არჩეულ იქნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის მდივნად. ამის შემდეგ დავითს ფართო ასპარეზი გადაეშალა სამოღვაწეოდ. ამავე დროს ის უახლოვდება ქართველი ხალხის დიდ მოამაგეს ილია ჭავჭავაძეს, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში თავმჯდომარეობდა წ/კ გამავრცელებელ საზოგადოებას. დავით კარიკაშვილმა ამ თანამდებობაზე

1892 წლამდე დაჰყო, ხოლო ამის შემდეგ, ვიდრე ეს საზოგადოება არსებობდა, მისი გამგეობის ერთ-ერთი აქტიური და უცვლელი წევრი იყო.

თვითმპყრობელობის დამხობასა და საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებას მხცოვანი მოღვაწე დიდი სიხარულითა და იმედებით აღსავსე მიეგება. თებერვლის რევოლუციის გარიჟრაჟზე დაწერილ ერთს თავის სტატიაში დავითი მიმართაჲდა ქართველ საზოგადოებას: „რუსეთის დიდი რევოლუცია ჩვენს შეილებს აძლევს საშუალებას ისწავლონ მეცნიერება თავიანთ სამშობლო ენაზე და განვითარდნენ ბუნებრივ და ადვილად. კემშარიტად, ასეთი ცვლილება სკოლის საქმეში კმაყოფილებას უნდა იწვევდეს მშობლებში და ისინი სიხარულით უნდა აბარებდნენ თავიანთ შეილებს ქართულ სკოლებში, სადაც მოზარდი თაობა იქნება თავისუფალი გონებრივის წამებისაგან და ზნეობრივი ჩაგვრისაგან“ („განათლება“, № 6—7, 1917 წ.).

საქართველოში სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ დავით კარიკაშვილი განსაკუთრებული ენთუზიაზმითა და ენერგიით შეუდგა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ხელნაწერი წიგნების საცავის მოწესრიგებასა და დამუშავებას, რომელიც უნივერსიტეტს გადაეცა. დავითი მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მუშაობდა ქართული კულტურის ამ მთავარ კერაში მუზეუმის გამგედ.

ჯერ ისევ შრომის უნარიანი, მისთვის სანუკვარ საქმესა და საყვარელ სამუშაოს დაწაფებული, ის გარდაიცვალა სახადით 1927 წლის 26 ივლისს, 65 წლის ასაკში. ქართველი საზოგადოებისაგან შესაფერად პატივდებული, ამაგდარი მუშაკის ცხედარი 29 ივლისს დაკრძალულ იქნა დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

დავით კარიკაშვილი როგორც მწერალი და პედაგოგი, მოწინავე იდეებით აღჭურვილი მუშაკი შესამჩნევ კვალს ტოვებს ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. ამ მხრივ განსაკუთრებულად აღინიშნება მისი სისტემატური ხასიათის დაულალავი და ნაყოფიერი ღვაწლი ქართველთა შორის წ/კ გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში. დავით კარიკაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა წ/კ გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-წიგნსაცავისა და მუზეუმის შექმნა-ჩამოყალიბებისა და მოწესრიგების საქმეში. ამ საქმეს ილია ქავჭავაძე უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა და, როგორც საზოგადოების თავმჯდომარე, მთელი შესაძლებლობით უწყობდა მას ხელს. იგი მოითხოვდა დაგროვილი ფონდების სიების შედგენასა და ცალკეული წიგნებისა და ხელნაწერების აღწერასა და დამუშავებას. „ამ სიების (წიგნებისა და ხელნაწერების) შემდგენელთა სახელი ყოველთვის მადლობით მოიხსენება შთამოქაველობის მიერაო“, წერდა ილია (ტ. II, გვ. 505, 1941).

ამ საშვილიშვილო საქმის სრულყოფა დავით კარიკაშვილს ხვდა წილად. მთელ რივ ბიბლიოგრაფიულ აღწერილობათა შორის წ. კ. გამა-

ვრცელბელი საზოგადოების ამ ფონდის ყველაზე სრული აღწერილობა დავით კარიკაშვილმა მოგვცა.

ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის (1941 წ. ტ. I) შესავალი წერილის ავტორის ცნობებით ქართული წიგნებისა და ხელნაწერების აღწერაზე დავ. კარიკაშვილის წინამორბედნი იყვნენ: მეფის-ძე თეიმურაზ ბაგრატიონი, მ. ბროსე, ალ. ცაგარელი, თედო ეორდანი, ე. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი, ალ. ხაბანაშვილი, ნ. მარი და სხვ, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ამ სასარგებლო საქმეს, რომელიც საბოლოოდ საბჭოთა სინამდვილეში დაგვირგვინდა ბრწყინვალედ.

დავით კარიკაშვილის მიერ შედგენილი ვრცელი „კატალოგი ქართველთა შორის წ/კ გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისა“ (1905 წ.) დღემდე ერთი საუკეთესო სახელმძღვანელო და დასაყრდენი წყაროთაგანია სპეციალურად ამ დარგის მუშაკებისათვის და საერთოდ ყველა მწიგნობრისა და კულტურული ადამიანისათვის. მასში შეტანილია 3875 ნომრამდე დაუბეჭდავი და დაბეჭდილი კოლექციები, რომელიც კი მაშინ წ/კ საზ.-ბის ფონდს შეადგენდა და ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია ცნობილი, როგორც S ფონდი.

ქ. შ. წ/კ გამავრცელებელი საზოგადოების ფონდებში დაცულია უამრავი ოქმები და მოხსენებანი, რომელთა შემდგენელი და ცხოვრებაში გამტარებელიც დავით კარიკაშვილი იყო.

ამასთან ერთად სკოლების შესწავლის მიზნით დავ. კარიკაშვილი ხშირად მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში. ამ მოგზაურობის დასახასიათებლად შეიძლება დავასახელოთ მისი მოგზაურობა ბათუმსა და სოხუმში (აქარასა და აფხაზეთში) და ამ მოგზაურობის შედეგად შედგენილი ვრცელი მოხსენებანი. პირველი მოხსენებით ის მთავარ გამგეობას აუწყებდა, რომ „ომის გამოცხადებამ ბათუმის განყოფილება ამ ორ წელიწად ნახევრის წინ (კულ მდგომარეობაში ჩააგდო. მტრის მხრით ყუმბარების დაშენის შიშით ხალხი ბათუმიდან გაიქცა, სასწავლებლის მოსწავლეები შემოიფანტნენ, სასწავლებელი დაიხურა და შესწყდა ყოველგვარი კულტურული მუშაობა. ასე გასტანა ერთმა წელიწადმა. როდესაც შიშის ზარმა გაიარა და სიწყნარე ჩამოვარდა, უსახსროდ დარჩენილს განყოფილებას აღარ შეეძლო სასწავლებელში სწავლა განეახლებინა, თუმცა ბათუმის ყველა სხვა სკოლებში მეცადინეობა გაჩაღდა. მხოლოდ მთავარ გამგეობის დაქირებით და ხარჯით განახლდა სწავლა ბათუმის სასწავლებელში 1915 წლის ენკენისთვეში“ („განათლება“, 1917 წ., № 4—5).

ამას მოსდევს ფინანსიური და სხვა ხასიათის შემოწმების სრული ანგარიში შესაფერი ციფრობრივი მონაცემებით როგორც ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ბათუმის განყოფილების, ისე სკოლის შესახებ. მომხსენებლის აზრით „ბათუმის განყოფილების ზრუნვის ერთად-ერთი საგანია სკოლა, რომელშიაც ომის დაწყებისას მეცადინეობა შესწყდა და განახლ-

და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. მაგრამ ეს განახლება უფრო ახლად გახსნასა ჰგავს\*. შემდეგ აღწერილია მდგომარეობა სკოლისა და სწავლის დაყენება მასწავლებლების მიერ. „მოწაფეები საზოგადოდ ჰკვირცხლად და შეგნებულად იძლეოდნენ პასუხსაო—წერს დავით კარიკაშვილი,—მოწაფეების ნაწერებსაც შედარებით არა უკირს-რა. შესამჩნევი ის არის, რომ მეორე განყოფილების მოსწავლეები, წინააღმდეგ მიღებული წესისა, ადრე შესდგომიან გაკრული ხელით წერას ბეჭდურის მაგიერ და წარმატებითაც შეუთვისებიათ“... მოხსენების დასკვნაში აღნიშნულია ისიც, რომ „ბათუმის სკოლის თანდაყოლილი ნაკლულევანება დღესაც ისევ ის არის, რაც ყოველთვის ყოფილა. ეს არის მაჰმადიანთა მცირე რიცხვი მოსწავლეთა შორის. 76-ში 13, ანუ 17 პროც. ნუგეშად მხოლოდ ის ითქმის, რომ წინად ამაზე ნაკლებიც ყოფილა“ (იქვე).

1917 წლის 5 მარტს შედგენილ მოხსენებაში დავით კარიკაშვილი სოხუმის განყოფილების გარშემო სხვათაშორის აღნიშნავდა: „დიდი შრომა გაუწევია განყოფილებას და მის გამგეობას როგორც თავშესაფარის გამართვაზე, ისე სკოლის შენობის საამისოდ გადაკეთებაზე და საზოგადოდ ლონისძიების გაძლიერებაზე. ათ ბავშვთან ერთად, რომელთა შესახებ მთავარ-გამგეობა აძლევს საშუალებას, გამგეობას გადაუწყვეტია თავის ხარჯით იყოლიოს თავშესაფარში კიდევ ორი ბავშვი აფხაზთაგან და კიდევაც მიუღია ერთი. ერთიც მისაღები ჰყავს. გამგეობის მოღვაწეობას დიდი თანაგრძნობით ეკიდება სოხუმის ქართველთა საზოგადოება, რაიცა ჩანს იქიდან, რომ დიდი ხალისით ეწერებიან წევრებად, სწირავენ და ესწრებიან განყოფილების სასარგებლოდ გამართულ გასართობებს“ და სხვა. შემდეგ დაწვრილებით არის აღმოცენებული ამავე განყოფილების საქმიანობა, მისი ნაკლი და მიღწევები, ხარჯთაღრიცხვა, შემოსავლის მთავარი წყაროები, მისი მიზნობრივი ხარჯვა, წვერთა აქტიურობა და ნაყოფიერი მუშაობა, რის შემდეგ მომხსენებელი დაასკვნის: „სოხუმის განყოფილების გამგეობის წევრები მადლობის ღირსნი არიან იმისათვისაც, რომ სხვათაგან ეწევიან მუშაობას საზოგადოებისათვის და კიდევ ანგარიშების წარმოების დავალება მათთვის, როცა ამისათვის დრო არა აქვთ, შეუძლებელია“... დასასრულ მომხსენებელი მთავარ-გამგეობის წინაშე სახავს მთელ რიგ ლონისძიებებს, რომელთა გატარებით უნდა გაუმჯობესებულიყო აღნიშნულ განყოფილებათა და სკოლების მუშაობა.

დავით კარიკაშვილი, რომელიც მოწინავე ქართველ ინტელიგენციასთან ერთად მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდა მშობლიური ენის დაცვისათვის, საქართველოს სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღებისათვის ცხადია აღფრთოვანებული მიეგება ცარიზმის დამბობას. „ქართულს ენაზე ნასწავლი ახალგაზრდები ფრიად საჭირონი არიან, —წერდა დავითი,— როდესაც ქართულს ენას ენიჭება სახელმწიფო ენის თანაბარი უფლება და ხმარებული ხდება ჩვენი ქვეყნის სასამართლოებ-

ში, სამმართველოებში, სასწავლებლებში, საერობო და საქალაქო თვითმართველობაში და ყველა სხვა დაწესებულებებში“... (განათლება, № 6—7, 1917). ამავე წერილში დავით კარიკაშვილი მოუწოდებდა ყველა მშობელს, მთელ ქართველ საზოგადოებას შეიღებოთ მიეცათ მხოლოდ ქართულ სკოლებში, არ დაემახინჯებიან პატარების გონება, როგორც ეს ამდენ ხანს ხდებოდა.

სკოლაში, სკოლის გარეთ და ყველა დაწესებულებაში ქართული ენის დაცვისა და სიწმინდისათვის მებრძოლმა დავით კარიკაშვილმა თავისი სიტყვა ამ საკითხში წერილობითაც დავეიტოვა. ის ავტორია ქართული ენის გრამატიკისა, სადაც დამუშავებულია ამ საგნის ერთი უმთავრესი ნაწილი, ეტიმოლოგია (სახელგამი, 1929 წ.). მართალია, დავითის ეს ნაშრომი მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა, და როგორც გამომცემლები აღნიშნავენ, შეიძლება ამით ბევრი რამ საკირო და დამამშვენებელი სამკაული მოაკლდა მას, მაგრამ, ის მაინც არ არის მთელ რიგ ღირსებებს მოკლებული. ამ წიგნმა, უეჭველია, გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული ენის ფორმებისა და ნორმების დადგენაში და საერთოდ ზოგი საენათმეცნიერო საკითხების გარკვევა-გაშუქებაში. ამავე დროს, ის როგორც სახელმძღვანელო და დამხმარე წიგნი, რიგი წლების განმავლობაში ერთგვარ დახმარებას უწევდა როგორც ამ დარგის სამეცნიერო მუშაკებს, აგრეთვე მასწავლებლებსა და მოსწავლეებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წიგნში საკმაო საფუძვლიანობით, მეცნიერულად და ამავე დროს მკაფიოდ და გასაგებად არის დამუშავებული: ბგერა, ასო, მარცვალი, სიტყვა, სიტყვის შემადგენელი ნაწილი, სხვადასხვაგვარი სიტყვები, ძირმსახი, ძირი, არსებითი, დასართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელები, ზმნა, შორისდებულა, ნაწილაკი და სხვ. წიგნს დართული აქვს 12 ვრცელი ტაბულა თვალსაჩინოებისათვის.

დავით კარიკაშვილი ავტორია მრავალი წერილისა, საგაზეთო და საეურნალო სტატიისა და რეცენზია-ბიბლიოგრაფიისა. ის კვალდაკვალ მისდევდა ყოველდღიურ მოვლენებს და შესაფერად ეხმაურებოდა მათ. მაგალითად, როცა რუსული ჟურნალი „კავკაზსკაია შკოლას“ № 1 გამოვიდა (1813 წ.), მან საგულისხმო ბიბლიოგრაფია მოათავსა ჟურნალ „განათლებაში“ (1913 წ. № 3), რომელშიც, ასწერა რა ზოგადად ეს ჟურნალი და მისი პირველი ნომრის შინაარსი, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მასში ყველაფერი რიგზე არ იყო: ბევრი სასარგებლო და საგულისხმო სტატიის გვერდით მოთავსებული იყო ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ სიყალბესა და უეციობას ავრცელებდნენ. დავით კარიკაშვილს აო მოსწონდა ნ. სპილიოტის წერილის ის ადგილი, სადაც ლაპარაკი იყო იმაზე, ვითომ „რუსთა მფლობელობის დასაწყისში ამიერკავკასიაში განათლების მხრით სუფევდა თითქმის პირველყოფილი წყვედილი“.

„მართალია“, — წერს დ. კარიკაშვილი, — ბ. სპილიოტი შენიშნავს ერთ ადგილს, რომ სიტყვა „პირვანდელი წყვედილი“ არ არის სრულიად



სწორი თქმა და უნდა შედარებით გვესმოდესო, მაგრამ მაინც ხმარობს ამ სიტყვებს სრულებით უსამართლოთ, რაიცა არ შეეფერება ისტორიკოსს, რომელიც ვალდებულია ყველაფერს თავისი სახელი უწოდოს. ეს დრო იყო დრო ქართველი ერის უკიდურესი დაქვეითებისა პოლიტიკურად და ნივთიერად და, რასაკვირველია, რომ განათლებაც დაქვეითებულიყო. ბ-ნი სპილიოტი ამბობს, მე არ შევებები იმ მიზეზებს, რომლებმაც საქართველოში სწავლა-განათლება ასე დააქვეითაო. ჩვენ კი გვგონია, რომ ისტორიკოსს უთუოდ უნდა აღენიშნა ეს მიზეზები, რომ ცხადი ყოფილიყო მისი მკითხველებისათვის, თუ რანაირი წარსულის მქონე ხალხის სწავლა-განათლების ისტორიის დაწერას გვპირდება ავტორი“...

დავით კარიკაშვილი სიამოვნებით მიეგება ქართველთა შორის წ/კ გაშავრცელებული საზოგადოების ქუთაისის განყოფილების ინიციატივას საბავშვო მოთხრობათა კრებულის გამოცემის თაობაზე. მან პირველმა მოათავსა ბიბლიოგრაფია ეურნალ „განათლებაში“ (1913 წ. № 3) ამ განყოფილების მიერ გამოცემულ ეკატერინე გაბაშვილის საბავშვო მოთხრობებზე („თინას ლეკური“, „მაგდანას ლურჯა“), რომლის შესახებ წერდა: „ჩვენი საყმაწვილო ბიბლიოთეკა მეტად ღარიბია საბავშვო წიგნებითა. საყმაწვილო ბიბლიოთეკის შედგენა რომ გინდოდეს ჩვენს დროში. იცოდე შესაფერისს წიგნაკსაც კი ვერ აარჩევ, რაც მოგვეძევა საყმაწვილო წიგნები, ან უსურათოა, ან უშნოდ და უღაბათოდ გამოცემული“...

შემდეგ ის დაწერილებით განიხილავს სარეცენზიო გამოცემას და აღნიშნავს, რომ ეს ნაბიჯი საბავშვო დასურათებული წიგნების გამოცემისა „ფრიად სიმპატიურია და ვისურვებთ, რომ ამგვარი წიგნაკები მრავალი იბეჭდებოდეს და ვრცელდებოდეს, რაც, უშეკველია, კარგ სარგებლობას მოუტანს ახალგაზრდობასო“. მაგრამ დავითს არ მოსწონს, რომ გამომცემლებს მოთხრობათა ტექსტი თავისებურად შეუსწორებიათ, რითაც ხშირად აზრიც კი მიხინჯდება ან კიდევ ჰე-სავსებით განდევნილია უმართებულოდ და ამით ქართული მართლწერაც დაზარალებული.

დავით კარიკაშვილი ცნობილია აგრეთვე როგორც ისტორიკოსი, მწერალი და ქართული ლიტერატურის მკვლევარი. იგი ავტორია ისეთი საისტორიო შრომებისა, როგორიც არის: „თამარ მეფე“, „დავით აღმაშენებელი“, „როსტომ მეფე“, „სიმონ მეფე“, „საქართველო მე-12 საუკუნეში“, „წიგნის ისტორია“, „საქართველოს მოკლე ისტორია“, „დავით კუროპალატი და ბაგრატ მესამე“, „გიორგი ბოწყინვალე“, „გიორგი II“ „ვახტანგ გორგასალი“, „მეფე გიორგი პირველი“, „ოთხი ქართველი ქალი მე-17 საუკუნისა—დარეჯან დედოფალი, ქეთევან დედოფალი, ციცი-შვილის ქალი და თამარ დედოფალი“, „საქართველოს გაერთიანება და მეფე ფარნაოზი“, „ქართველები უძველეს დროში“, „ქეთევან დედოფალი“ (მონოგრაფია), „ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში“, „ათაბაქი ყვარყვარე III“, „როდის დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი“ და

„ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“ (1929 წ.). ეს უკანასკნელი ქართული წიგნის სამასი წლისთავზე გამოიკა და ერთ-ერთი საიმედო წყაროს წარმოადგენს ქართული წიგნის ისტორიაში.

ყველა ამ შრომას გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი ჩვენი წარსულის შესწავლის სფეროში, ისინი ხელს უწყობდნენ პატრიოტული გრძნობის გაღვივებას, ეროვნულ თვითშეგნებასა და თვითშემეცნებას, რომელიც ასე საჭირო იყო თვითმპყრობელობის დროს.

დავით კარიჭაშვილი, როგორც მწერალი, ჯერ კიდევ 1885 წ. გამოჩნდა გაზეთ „დროებაში“ (№ 84, 116), სადაც მან, მაშინ პარიზის უნივერსიტეტის სტუდენტმა, მოათავსა რეცენზია ორსელეს წიგნის „კავკასია“ შესახებ და სტატია, „ვიქტორ ჰიუგოს გარდაცვალება და დასაფლავება“. მათ მოჰყვა მისი მხატვრული ნაწარმოებნი-მოთხრობები: „სამი მსხვერპლი“, „უცხოეთში“ და სხვ., რომლებიც ცალკე კრებულადაც იქნა გამოცემული (1887). მაგრამ დავითი მალე ლიტერატურული კვლევით დაინტერესდა. ამ მხრით მისი მუშაობა საგრძნობლად ნაყოფიერი აღმოჩნდა. მის კალამს ეკუთვნის ისეთი მნიშვნელოვანი ნარკვევები და გამოკვლევანი, როგორიც არის: „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის რეცენზიის გამო“ („მომამბე“, 1904 წ. № 3 აგრეთვე „ივერია“ 1903 წ. № 225—226), „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობა“ („განათლება“, 1913 წ. № 6) და სხვა მრავალი, ქართულ პერიოდიკაში გაბნეული მასალა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობა“, რომელიც ახალ ეტაპზე აღორძინებულ რუსთველოლოგიაშიც ანგარიშგასაწევ ადგილს იკერს, როგორც მეტად აქტუალური საკითხებისა და პრობლემების შემცველი გამოკვლევა. ჩვენ აქ საშუალება არა გვაქვს ამ ნაწარმოების არც შინაარსის გადმოცემისა და არც გარჩევისა, მაგრამ ზოგიერთი დასკვნებს მოვიყვანთ, რომ ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ მასზე.

ავტორის მოსაზრებით „ვეფხისტყაოსნის“ პირვანდელი სხეული შენახულია ვახტანგის გამოცემაში (1712 წ.) ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მის დედანში. ეს პირვანდელი სხეული იწყება როსტევან არაბთა მეფის ამბით და თავდება ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის გახელმწიფებით ინდოეთში. პოემის პირვანდელ სხეულს იმ სახით, როგორიც მას აქვს ვახტანგის გამოცემაში, განცდილი აქვს ბევრნაირი ცვლილება: სიტყვების შეცვლა, ტექსტის შესწორება და შერყვნა, ტაეპების ჩამატება და გამოკლება; პოემას სხვადასხვა მწიგნობრების მიერ დართვია ამბები, რომელნიც ვითომც უნდა მომხდარიყო ტარიელის ინდოეთში გახელმწიფებისა და პოემის სხვა გმირების თავ-თავიანთ ქვეყნებში დაბრუნების შემდეგ. ეს დამატებანი, ისე როგორც ძირითადი ტექსტი „ვეფხისტყაოსნისა“, განიცდოდნენ დაუსრულებელ შესწორებას, ჩამატებას და გამოკლებას; მკვლევარის აზრით პოემის წინასიტყვაობა და ბოლო-სიტყვაობა ძირითადი ტექსტის ავტორს არ ეკუთვნის და სხვ. ვიმეორებ

დ. კარიკაშვილის ეს ნაშრომი დღესაც იმსახურებს რუსთველოლოგების ყურადღებას და ამდენად დავით კარიკაშვილი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გვევლინება როგორც ერთ-ერთი ერთდღიტი მკვლევარი რუსთველოლოგი.

იგი ამავე დროს რედაქტორ-გამომცემელია „ვეფხისტყაოსნის“ მე-19 (1903 წ.) და 24-ე (1920 წ.) გამოცემისა. ორივე ამ გამოცემას მან საფუძვლად ვახტანგისეული (1712 წ.) გამოცემის ტექსტი დაუდო, წარუძღვარა ვრცელი წინასიტყვაობა და მშვენიერი პროზაული ენით დაწერილი პოემის შინაარსი. თავის დროზე ორივე ამ გამოცემამ მკითხველთა და პრესის ყურადღება დაიმსახურა.

დავითი რედაქტორ-გამომცემელია აგრეთვე ჩვენი უბადლო ლირიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებისა და წერილებისა (1910 წლის გამოცემა). კრებულს წამძღვარებული აქვს დ. კარიკაშვილის მიერ დაწერილი პოეტის მოკლე ბიოგრაფია და ილია ქავჭავაძის კრიტიკული ეტიუდი. მას ერთვის რედაქტორის შენიშვნებიც.

1904 წელს „ცნობის ფურცლისა“ და „მოაზების“ პრემიად ქართველმა მკითხველმა მიიღო ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა სრული კრებულის ერთტომეული, რომელსაც წამძღვარებული აქვს დავით კარიკაშვილის მიერ დაწერილი ვრცელი ბიოგრაფია ალ. ყაზბეგისა. მისივე რედაქციით გამოიცა აგრეთვე ალექსანდრე ხახანაშვილის ქართული სიტყვიერების ისტორია (მე-19 საუკუნე) 1913 წ. და 1919 წ.

დავით კარიკაშვილი ავტორია შემდეგი ცალკე გამოცემული წიგნებისა: 1. საქებართა ქებაი (1886 წ.); 2. სამი მსხვერპლი (მოთხრობა), თბილისი, (1887 წ.) 3. თამარ მეფე (1892), 4. როსტომ მეფე (1894); 5. სვიმონ მეფე (1894 წ.); 6. საქართველო მე-12 საუკუნეში (1902), 7. წიგნის ისტორია (1903), 8. კატალოგი ქ. შ. წ/კ გ. საზ-ბის წიგნთსაცავისა (1904), 9. საქართველოს მოკლე ისტორია (1907); 10. ხუცური ანბანი (1910), 11. კატალოგის დამატება I- (1911); 12 ხუცური ანბანის II გამოცემა, 12. ქართული ენის გრამატიკა (ეტიმოლოგია) (1929), 14. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია და ა. შ.

დავით კარიკაშვილი (ხანდახან ფსევდონიმით—დეკანოზიძე) თანამშრომლობდა თითქმის ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთში.

#### ლიტერატურა

„დროება“—1885 წ. № 84, 116; „თეატრი“ —1887 წ. № 2, 3, 15, 9, 12; 1888 წ. № 15, 23, 18, 19, 30; „მოაზბე“ 1895 წ. № 1; 1896 წ. № 2, 8, 1904 წ. № 3; „ჯეჯილი“—1901 წ. № 3; 1903 წ. № 1, 3, 5; 1904 წ. № 1, 1905 წ. № 9, 3) „ნაქადული (მოზრდილთათვის) 1905 წ. № 9, 11, 12, 7, 10, 8, 4, 3; 1904 წ. № 2; „კვალი“ 1893 წ. № 3, 11, 16; 1895 წ. № 47, 48. „საქართველოს კალენდარი“—1892 წ. 1889წ. გვ. 434; „მეურნე“—1888 წ. № 1; „მწყემსი“—1889 წ. № 14, 55, 17, 18; „ივერია“ 1903 წ. № 225,—226; „კომუნისტი“—1927 წ. № 169, 168; „წიგნის მგობარი“—1925 წ. № 1—2. „განათლება“—1913 წ. № 3, 6; 1917 წ. № 4—5, 6—7. .





## აკიქსანდრე ნათაძე

(1864—1916)

გორის სამასწავლებლო სემინარიაში აღზრდილთაგან ბევრმა ქართველმა გამოიჩინა თავი პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობით. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უკირავს ალექსანდრე ნათაძესაც.

ალექსანდრე ივანეს-ძე ნათაძე დაიბადა 1864 წელს სოფ. ალევში, ყოფილ დუშეთის მაზრაში. სწავლობდა გორის საოსტატო სემინარიაში იმ დროს (1879—1882 წ. წ.), როცა იქ იმყოფებოდნენ ვაჟა ფშაველა, ნიკო ლეონიძე, თეოფილე ხუსკივაძე და სხვანი.

ალ. ნათაძეზე დიდი გავლენა იქონიეს ცნობილმა ქართველმა მასწავლებლებმა: არისტო ქუთათელაძემ, მიხ. ყიფიანმა და სხვებმა, რომლებმაც მოსწავლეებს ჩვენი ლიტერატურა შეაყვარეს და ცხოვრებაში მიზნად დაუსახეს ხალხისადმი სამსახური.

სემინარიაში სწავლის დროს ალ. ნათაძე გატაცებით დაეწაფა წიგნების კითხვას. სოფ. მგალობლიშვილის სიტყვით, სემინარიაში შეუქმნიათ

წიგნსაცავი. „გავიჩინეთ დაეთარი, მოწაფეები აწერდნენ ხელს და ისე მიჰქონდათ წიგნები; მიჰქონდათ უფრო საოსტატო სემინარიის მოწაფეებს: ვაჟა ფშაველას, ნ. ლეონიძეს, თეოფ. ხუსკივაძეს, ნათაძეს და სხვ.“.

განსაკუთრებით დაახლოებული იყო ალექსანდრე ლაღო აღნიაშვილთან და ვაჟა ფშაველასთან, მუდამ მათთან ტრიალებდა და მონაწილეობას იღებდა მოსწავლეთა წრეებში, სადაც ხშირად წარმოებდა კაბათი და მსჯელობა საზოგადოებრივ საკითხებზე. აღ. ნათაძე რედაქტორი იყო ლ. აღნიაშვილის ინიციატივით დაარსებული ხელნაწერი ჟურნალის „რიტრაჟისა“, რომელშიაც მონაწილეობდნენ სემინარიის მოსწავლეები: ლ. რაზიკაშვილი, ლ. აღნიაშვილი, თეოფ. ხუსკივაძე და სხვ.

გორის საოსტატო სემინარია აღ. ნათაძემ დაამთავრა 1882 წელს. რამდენიმე ხანს სოფლად მასწავლებლობდა, ხოლო 1884 წლიდან 1904 წლამდე ასწავლიდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში. 1905 წელს მუშაობა დაიწყო ბათუმის გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებლად. 1905 წლის რევოლუციის დროს, სახალხო მოძრაობაში მონაწილეობისათვის ის სკოლიდან დაითხოვეს და ერთხანს უადგილოდ იყო. მაგრამ ბოლოს მაინც შესძლო ნუხის სამოქალაქო სასწავლებელში მოწყობა, სადაც თითქმის სიკვდილამდე ასწავლიდა.

აღ. ნათაძე გარდაიცვალა 1916 წელს, სექტემბრის თვეში.

ჟურნ. „განათლება“ (1916 წ. № 8—9) შემდეგი სიტყვები უძღვნა აღ. ნათაძის ხსოვნას: „სამასწავლებლო ცოდნით აღკუთრებულ პირთა შორის სასიამოვნო გამონაკლისს შეადგენდა ერთი ჯგუფი ჯანითა და ღონით სავსე ახალგაზრდათა, რომელთაც მშობელი ერის შვილთა აღზრდა-განსწავლა დაესახათ მიზნად ცხოვრებისა. ამ ჯგუფს ეკუთვნოდა ახლად გარდაცვალებული ა. ი. ნათაძე. ... მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრეს შეეძლო მრავალ სასწავლო საგანთა შორის აერჩია ერთ-ერთი და ესწავლებინა ის ჩვენს სკოლაში (თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში—მ. კ.), მან იკისრა უმძიმესი ტვირთი, საანბანო განყოფილების მასწავლებლობა და ამ ტვირთს ეზიდებოდა არა ერთსა და ორს წელიწადს, არამედ 21—22 წლის განმავლობაში.“

პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ის ლიტერატურაშიც ღებულობდა მონაწილეობას და თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, აგრეთვე საბავშვო ჟურნალებში „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“. გამოქვეყნებული აქვს პედაგოგიური ხასიათის წერილები და სახელმძღვანელო „ბავშვის მოკეთე ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სკოლებში სახმარებლად“ (1897 წ.).

ამ წიგნის გამოსვლას მაშინდელ ქართულ პრესაში უარყოფითად შეხვდნენ და მას ღიღი გამოყენება არც ჰქონია. საქმე იმაშია, რომ ქართული წერა-კითხვის შესასწავლად ჩვენს ნორჩ თაობას უკვე ღიღი ხანია ჰქონდა ისეთი დახვეწილი, მეთოდურად და პედაგოგიურად, თითქმის ყოველმხრივ გამართული სახელმძღვანელო, როგორც იყო იაკობ გოგებაშვილის „ღეღა ენა“.

აღ. ნათაძეს გულწრფელად სურდა შეექმნა „ღეღე ენაზე“ უკეთესი წიგნი, მაგრამ ეს მიზანი მიუწვდომელი დარჩა და ამის გამო ავტორის საკმაო საყვედურებიც შეხვდა.

1897 წელს იურ. „მოამბის“ მე-10 ნომერში დაბეჭდილია „Z“-ს რეცენზია აღნიშნულ სახელმძღვანელოზე, რომელშიც სხვათა შორის წერია: „დიდი მიტემა-მოტემა გამოიწვია ამ წიგნმა ჯერ ისევე იმ დროს, როდესაც ხელნაწერად განისვენებდა თავის დამწერის პორტფელში, და ამით დიდი იმედიც აღძრა ჩვენს საზოგადოებაში: ალბათ, არის რამე, რომ ჯერეთ მზის უნახავმა ასეთი მღელვარება მოახდინა ჩვენს პედაგოგიურ სფეროში. ... მით უფრო საფუძვლიანი იყო საზოგადოების იმედი, რომ ბავშვების მოკეთის ავტორი დიდი ხანია მარტო სახელით კი არა, საქმით არის პედაგოგი, დიდი ხნის გამოცდილება და ბავშვების ხასიათის ცოდნა აქვს და, მაშასადამე, მან პრაქტიკულად უკეთ უნდა იცოდეს, რა უფრო ივარგებს ამგვარს პირველ დასაწყისს წიგნში. ... მაგრამ მოლოდინი გაგვიცრუდა. ... ამდგარა და უშინსკი გადმოუღია. იგივე პლანი, იგივე მასალა, იგივე სისტემა, იგივე ნაკლულევეანებანი, რაც უშინსკისა აქვს და ზედ კიდევ ნაკლულევეანებანი უვარგისად გადმოქართულებისა...“<sup>1</sup>

უფრო საფუძვლიანი იყო პ. სურგულაძის რეცენზია, 1897 წლის „კვალის“ მე-3 ნომერში გამოქვეყნებული. პ. სურგულაძემ დაწვრილებით გაარჩია აღ. ნათაძის „ბავშვის მოკეთე“ და აღნიშნა, რომ „საქიროა ყოველი ახლათ გაცნობილი ასო, რაც შეიძლება, მეტ კომბინაციებში გაიმეორათ, უნდა იყოს მოყვანილი მრავალი სიტყვა ამ ახალი ასოთი, რომ მას თვალი შეეჩვიოს და პირველად დაფიქრებული და ნელი კითხვა—ააჩქაროთ. ... ბ. ნათაძის წიგნი ამ ძირითად მოთხოვნილებას ხმოვნური მეთოდისას არ აკმაყოფილებს. „მაგალითად,“ ბ. ნათაძემ გავაცნო ასო ს; მერე რამდენჯერ დაინახავთ მთელ გაკვეთილში ამ ასოს?—მხოლოდ ოთხჯერ! შეიძლებოდა ეს ნაკლი კიდევ შემსუბუქებულყო, რომ შემდეგ გაკვეთილში მაინც შეგვხვდებოდეს ეს ასო. იქ მხოლოდ ერთჯერ დაინახავთ.“

შემდეგ რეცენზენტი უსაყვედურებს აღ. ნათაძეს, რომ მის წიგნს არ ახლავს დედანი, „თუ დედნათ არ ჩავთვლით ბოლოში სათითაოდ ამოკრილ ანბანს. პირველ დაწყებითი წიგნისათვის კი ეს დიდი დანაკლისია, მეტადრე ჩვენში, სადაც ვინ იცის ვის რა ფანტაზია აქვს („კვალი“, 1897 წ. № 3, გვ. 770—774).

ასევე უარყოფითად შეხვდნენ ამ სახელმძღვანელოს ი. გოგებაშვილი, ი. გომელაური და სხვანი. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოს, რომ მოკამათეთა ერთი ნაწილი სრულებით არ იყო მართალი, როდესაც ამ წიგნის გამოშვებას აღ. ნათაძის პატივმოყვარეობით ხსნიდა. ასევე არ იყო მართალი თვით აღ. ნათაძეც, რომელიც რეცენზენტების

<sup>1</sup> „მოამბე“, 1897 წ. № 10. გვ. 123.

სამართლიან შენიშვნებს მისდამი „მტრული“ განწყობილების საფუძველზე წარმოშობილად მიიჩნევდა. ფაქტია, რომ ავტორს გულწრფელად სურდა უკეთეს სახელმძღვანელოს შედგენა, მაგრამ ეს ვერ შესძლო.

მეტი სამსახური გაუწია ალ. ნათაძემ ქართველ საზოგადოებას ორიგინალური და გადმოკეთებული პედაგოგიური წერილების გამოქვეყნებით. ამათგან აღსანიშნავია ერნსტ ბემის „აღზრდა შვილისა“, რომელიც საუცხოოდ არის გადმოქართულებული და რომლის შესახებ ცნობილი პედაგოგი ივანე როსტომაშვილი წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნავდა: „ბემის შესანიშნავი წერილების ჩვენს ენაზე ასე მარტივად გადმოღებით ბ. ნათაძემ ძვირფასი განძი შესძინა საზოგადოდ ჩვენ მწერლობას და კერძოდ ჩვენს დედებს.“ ასევე უნდა ითქვას ალ. ნათაძის ორიგინალურ წერილებზე ბავშვის მოვლის შესახებ, რომლებიც ვაზ. „ცნობის ფურცელში“ იბეჭდებოდა და შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოვიდა.

ალ. ნათაძეს გულწრფელად უყვარდა ჩენი ხალხი და მოსწავლე ახალგაზრდობა. პირველი მსოფლიო ომის დროს გაქირვებაში ჩავარდნილი ქართველი გლეხების მდგომარეობის შესამსუბუქებლად მან წერილით მიმართა ქართველ მოსწავლეებს და მოუწოდებდა საზაფხულო არდადეგების დროს ხალხის საკეთილდღეოდ ემუშავნათ. ის წერდა: „წადით, ბავშვებო, სოფელში, მიიფანტ-მოიფანტენით; ბევრი ხართ და ბევრ საქმესაც გააკეთებთ: უშველით ხალხს მკაში, თავთავის მოგროვებაში, ძნების შეკვრაში, კალოზე. ...ჩემო კარგებო! თქვენი პაწაწინა ხელებით მუშაობაშიც დაეხმარებით და ზნეობითაც გაამხნევეთ ხალხს.“

ალ. ნათაძეს კარგად ჰქონდა აგრეთვე შეგნებული საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელობა მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში და თვითონაც მონაწილეობას ლებულობდა საყმაწვილო ჟურნალებში. მისი ღვაწლი ამ მხრივაც აღსანიშნავი და დასაფასებელია.

#### ლიტერატურა

ალ. ნათაძე, მეთოდური სახელმძღვანელო სამშობლო ენის შესასწავლად, 1886 წ. ბავშვების მოკეთე ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სკოლებში სახმარებელი, 1897 წ. პასუხი ბ. ვოგებაშვილს. „კვალი“. 1897 წ. № 26. ბავშვის მოვლა, 1906 წ. ფრიდ, ფრებელი, პედ. ფურცელი, 1905 წ. № 6. კიდევ საყმაწვილო წიგნების შესახებ, ჟურ. „მწყემსი“. 1902 წ. № 8—9, მოგონება ვაჟა-ფშაველასზე, „სახალხო ფურცელი“, 1915 წ. № 282. წერილი მოწაფეებისადმი. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ. № 19, სურათები ბავშვების ცხოვრებიდან, „კვალი“ 1905 წ. № 10—11—12.

პ. სურგულაძე, კრიტიკული შენიშვნები, „კვალი“ 1897 წ. № 43, „მოამბე“, 1897 წ. № 10.


გომელაური, ალ. ნათაძის სახელმძღვანელო, „კვალი“, 1898 წ. № 22.

კოეთელი, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. „თეატრი“, 1886 წ. № 46, 48, 1887 წ.

ვახ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ. 638.

ალ. ნათაძე, ვაჟა ფშაველა (მოკვანება). „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ. № 31,





## გერასიმე ცაგარეიშვილი (1864—1927)

გერასიმე ცაგარეიშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა დაკავშირებულია ქუთაისის ქართულ გიმნაზიასთან და მის სახელოვან პედაგოგიურ კოლექტივთან. გ. ცაგარეიშვილს ყველა საჭირო მონაცემი ჰქონდა იმისათვის, რათა სახაზინო-სასწავლებელში მოწყობილიყო და დაწინაურებულიყო, უზრუნველყო თავისი პირადი ცხოვრება, მაგრამ არა. მან არჩია უმცირესი საარსებო წყარო შეეთავსებია ქართველ საზოგადოებაში დარჩენასთან და თავისი ცოდნა და უნარი ქართული საზოგადო საქმისათვის გამოეყენებია. ქართულ სკოლაში სამსახური სწორედ რომ საზოგადო საქმედ ითვლებოდა, ერთგვარ თავგანწირვად, რამდენადაც მეფის მთავრობა უნდობლობითა და სიძულვილით უცქერდა არა მარტო სააზნაურო სკოლას, არამედ ყველა ამ სკოლის თანამშრომელსაც. ამ სკოლის მიმართ მთავრობის ჩაცეებისა და კბილის დასმის პირობებში აქ მოსამსახურე ყოველთვის იმის შიშში უნდა ყოფილიყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთავრობა ან მთლიანად სკოლას წააჭიდებდა უბედურებას და ყველა მისი თანამშრომელი ღია ცის ქვეშ უნდა დარჩენილიყო, ან რომე-

ლიმე იქაურ თანამშრომელს აითვალწუნებდა და მას იმსხვერპლებდა-  
ასეთი მაგალითები ყოფილა ამ სასწავლებლის ცხოვრებაში. მაგრამ ამან  
ვერ დააფრთხო გერასიმე ცაგარეიშვილი და, როგორც ერთერთმა წამ-  
ყვანმა მუშაკმა, მან მთელი თავისი სიცოცხლე ამ სასწავლებლის სამსა-  
ხურში გაატარა.

გერასიმე მათეს-ძე ცაგარეიშვილი დაიბადა 1864 წელს სოფელ  
გოჩა — ჯიხაიშში, გლეხის ოჯახში. მამამ შესძლო პატარა გერასიმეს  
ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შეყვანა. თავის დროზე გერა-  
სიმე თავის მოსწავლეებს უამბობდა, თუ რა მძიმე პირობებში უხდებ-  
ოდა მასა და მის ამხანაგებს სწავლა. ბევრი მათგანი, მათ შორის გე-  
რასიმეც, ცხოვრობდა არა სახლში, არამედ სასწავლებლის შორიახლო  
მათგანვე ან მშობლების დახმარებით მოწინავე ფაცხებში, თითოეულში  
5—6 სული. თვითონვე ამზადებდნენ სოფლიდან მომარაგებულ ფქვილი-  
დან, ლობიოდან საკმელს. მოსწავლეები ეზიდებოდნენ ტყიდან შეშას და  
ფინახს, რომლის სინათლეზე ამზადებდნენ გაკვეთილებსაც. ზოგი ჩვენთა-  
განი ასეთ გადმონაცემს გაზვიადებულად სთვლიდა და ფიქრობდა, რომ  
მასწავლებელი ამას აღმზრდელიობითი მიზნით უამბობდა თავის მოსწავ-  
ლეებს, მაგრამ, როდესაც ამ სტრიქონების ავტორმა სასულიერო სასწავ-  
ლებლების (და აგრეთვე გიმნაზიის) სარქივო მასალების, კერძოდ სასწავ-  
ლებლის ზედამხედველთა და რევიზორების მოხსენებებით გაიცნო იმ პე-  
რიოდის მოსწავლეთა ყოფაცხოვრება, დაგვიანებით, მაგრამ მიიხილა და რ-  
წმუნდა მისი საყვარელი მოსწავლელის ნაამბობის სიზუსტეში. აქვე აღვ-  
ნიშნავ, რომ გერასიმე მართალი აღამიანი იყო დიდთან და პატარას-  
თან, ოჯახში და საზოგადოებაში და სიმართლეს და გულწრფელობას.  
უნერგავდა თავის მოსწავლეებსაც.

როგორც თბილისის სემინარიის საარქივო მასალიდან ჩანს, 1883  
წელს გერასიმე ცაგარეიშვილს წარმატებით დაუსრულებია ქუთაისის  
სასულიერო სასწავლებელი და თბილისში ჩამოსულა სემინარიაში შესას-  
ვლელი საკონკურსო გამოცდების ჩასაბარებლად. 1883 წლის დასასრუ-  
ლამდე სასულიერო სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს სემინარიის  
პირველ კლასში შესასვლელად გამოცდა უნდა ჩაებარებიათ, რადგან  
მსურველი ბევრი იყო. ამიტომ კონკურსი იმართებოდა. საკონკურსოდ  
იქ მიდიოდნენ საუკეთესოდ კურსდამთავრებულნი საქართველოს ყველა  
სასულიერო სასწავლებლიდან: თბილისიდან, თელავიდან, გორიდან, ქუ-  
თაისიდან, ოზურგეთიდან და ახალსენაკიდან. მხოლოდ 1883 წლის 18  
დეკემბერს გამოქვეყნდა სინოდის განკარგულება, რომლის მიხედვითაც  
სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის უქმდებოდა გამო-  
ცდები და სემინარიაში ისინი მიიღებოდნენ სასულიერო სასწავლებლის  
დასრულებისას მიღებული ნიშნებითა და თანრიგით. გერასიმე ცაგარეი-  
შვილს სემინარიაში შესასვლელი გამოცდები წარმატებით ჩაუბარებია-  
და მიუღიათ კიდევ, მაგრამ, როგორც ჩანს, ის სემინარიაში, არ დარჩე-  
ნილა და ქუთაისის გიმნაზიაში მოუხერხებია შესვლა.

გიმნაზიის დასრულების შემდეგ გერასიმე ცაგარეიშვილი შესულა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის ისტორია—ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც მან 1893 წელს დაასრულა.

ამ წლის სექტემბერში მას იაკობ ფანცხავასთან ერთად ქ. ბათუმში, როგორც ეს „კვალში“ მოთავსებულ განცხადებიდან სჩანს, გაუხსნია პირველ დაწყებითი სკოლა პანსიონით და გაკვეთილების გასამეორებელი კლასებით. ეს ცნობა იმით არის საინტერესო, რომ ახლადკურსდამთავრებული გერასიმე ცაგარეიშვილი თავიდანვე წინააღმდეგი ყოფილა მთავრობის სკოლებში სამსახურისა, რადგან თუ საქართველოში ეტყოდა უარს სამსახურზე სასწავლო ოლქის მზრუნველი, ჩრ. კავკასიაში ხომ ყველა სათანადო უფლების მქონე ქართველს გზავნიდა კავკასიის სასწავლო უწყება. მაგრამ გერასიმეს უმჯობესად უცენია მშობლიურ ხალხში და მხარეში დარჩენა უარეს პირობებშიც. ბათუმში მის მიერ წამოწყებული საქმე ცუდად წასულა და ამიტომ ის სიამოვნებით დათანხმებულია შემდეგი 1894 წლიდან მიეღო მასწავლებლის თანამდებობა ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელში.

გერასიმე ცაგარეიშვილს სააზნაურო სკოლაში სამსახურის დაწყება მეტად ცუდ დროს დაურჩა: 1895 წელს სასწავლებლის ინსპექტორობას თავი დაანება ვასილ როსტომის-ძე ყიფიანმა, რომელიც დიდად ზრუნავდა სასწავლებლის კეთილდღეობაზე (1889—1895 წ. წ.), საქმეს კეთილსინდისიერად, ცოდნითა და ენერგიით ხელმძღვანელობდა. მზრუნველმა კომიტეტმა ინსპექტორის თანამდებობაზე წარადგინა სიმონ ლოლობერიძე, რომელსაც დასრულებული ჰქონდა სამსახური სააზნაურო სასწავლებელში და პენსიონერი იყო. ორი წელი დარჩა ის ქუთაისის სააზნაურო სკოლის ინსპექტორად და დაუდევრობისა და უყურადღებობის შედეგად მოშალა სრულიად სასწავლებელი, მისი სასწავლო და აღმზრდელობითი მხარე, რასაც აღნიშნავდნენ თავიანთ მოხსენებაში წ-კ საზოგადოების მიერ იქ სარევიზიოდ მივლენილი ნიკო მთვარელიშვილი და დავით კარიკაშვილი 1897 წლის მაისში.

წერა-კითხვის საზოგადოება ადრეც გზავნიდა ცნობილ პირებს ქუთაისის სააზნაურო სკოლის შესასწავლად და გასაცნობად (ი. გოგებაშვილს, ალ. ჭყონიას, ექვთიმე თაყაიშვილს), მაგრამ ისე დაწერილებით არცერთ რევიზორს არ შეუსწავლია ამ სასწავლებლის მდგომარეობა, როგორც ეს დ. კარიკაშვილმა და ნიკო მთვარელიშვილმა შეისწავლეს. რევიზორები აღნიშნავენ აგრეთვე მოსწავლეთა სრულ უცოდინარობას ისტორიაში III და IV კლასებში, სადაც ამ საგანს ინსპექტორი სიმონ ლოლობერიძე ასწავლიდა. ჩვენთვის მათი რევიზიის შედეგი მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში იმით, რომ აზრი აქვთ გამოთქმული ახალგაზრდა მასწავლებლის გერასიმე ცაგარეიშვილის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ გერასიმეს აქ პედაგოგიურ ასპარეზზე გამოსვლა მოუხდა სკოლის დაშლის პირობებში, უხელმძღვანელოდ, რადგან, როგორც აღნიშნულია

მათ ანგარიშში, იქ (სასწავლებელში) თითქმის ჩვეულებად გადაქცეულა, რომ „მასწავლებლები მეცადინეობენ კლასში, ხოლო სკოლის უფროსი ამ დროს საჯარო ბაღში სეირნობს...“. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა და გამოუცდელ მასწავლებელს საკმაო უნარი და სიბეჯითე გამოუჩენია თავის საგნის ჯეროვანად დაყენებისათვის. აღნიშნულ ანგარიშში ნათქვამია: „I და II კლასებში რუსულ ენას ასწავლის გ. ცაგარეიშვილი. ეს მასწავლებელი ახალგაზრდაა, ეტყობა, რომ დიდაქტიკურ ხელოვნებას იყენებს და ჯერ ვერა აქვს შეთვისებული საფუძვლიანად. მიუხედავად ამისა, გულმოდგინედ შესდგომია თავის თანამდებობის შესრულებას და მხნედ უშრომია მოსწავლეთა სასარგებლოდ. რუსულს კითხულობენ მოწაფეები მკაფიოდ და შეგნებულ პასუხს იძლევიან შინაარსის შესახებ. გრამატიკული შეგნებით არჩევენ წინადადებათა აგებულებას და სიტყვითს. ნაწილთა განსხვავებას... მასწავლებელს თავ-თავის დროზე უწარმოებია მოწაფეთა ნაწერები... ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაც ხანი გაივლის, ეს მასწავლებელი უფრო დახელოვნდება და მისი შრომა ერთი ორად ნაყოფიერი შეიქნება სკოლისათვის“.<sup>1</sup>

აღნიშნული მოხსენების ავტორები არ შემცდარან: გერასიმე ცაგარეიშვილი მალე მართლაც გახდა არა მარტო საუკეთესო, არამედ წამყვანი მუშაკი ქუთაისის სააზნაურო სკოლისა, რომელიც 1904-5 სასწ. წლიდან ქართულ გიმნაზიად გადაკეთდა. გერასიმე ცაგარეიშვილი იშვიათი მასწავლებელი იყო, საგნების მეტად ღრმა მცოდნე და დახელოვნებული გადაცემის მეთოდებში, განსაკუთრებით გიმნაზიის პროგიმნაზიულ კლასებში. გიმნაზიის პირველ ოთხ კლასში ის ერთგვარი წარმატებით ასწავლიდა რუსულსა და ლათინურ ენებს, ისტორიასა და გეოგრაფიას. არითმეტიკის სწავლებაც ეხერხებოდა. გერასიმე ბუნებით მშვიდი და თავდაქერილი ადამიანი იყო. არავის ახსოვს მისი გაწყრომა, ხმის ამალღებაც კი არ სქირდებოდა გაკვეთილზე. მოსწავლეებს ის უყვარდათ, პატივს სცემდნენ და ვერავინ მისცემდა თავს უფლებას მის გაკვეთილზე დაერღვია წესრიგი. გერასიმეს დამოკიდებულება მოსწავლისადმი ყოველთვის იყო ჰუმანური, მზრუნველი, მამობრივი. ის ურჩ მოსწავლეთა გამოსასწორებლად არასოდეს არ მიმართავდა რეპრესიებს, დაშინებას, არამედ ახსნით, განმარტებით, დარიგებით და ზოგჯერ შერცხვენით ცდილობდა მოსწავლის გამოსწორებას, მრუდი გზიდან აცდენას. მისი პირადი ქცევა წასაბაძი და სანიმუშო იყო მოსწავლეთათვის.

1904-5 სასწ. წლიდან ქუთაისის სააზნაურო სკოლა გიმნაზიად გადაკეთდა. ეს იყო სათავადაზნაურო კერძო გიმნაზია, რომლის კურსდამთავრებულ მოსწავლეებს უფლება ჰქონდათ სიმწიფის მოწმობის მისაღებად გამოცდები იმავე სასწავლებელში ჩაებარებიათ, იმავე პედაგოგებისგან შემდგარ კომისიაში, მაგრამ სასწავლო ოლქის მიერ გამოგზავნილი წარმომადგენ-

<sup>1</sup> (სტი, ფ. 481, საქ. № 562, ფ. 8.)

ლის (დეპუტატის) თავმჯდომარეობით, რომელიც, ადგილობრივ მასწავლებლებსა და უნდობლობით შეპყრობილი, თითოეული საგნისათვის სპეციალისტს სახაზინო სასწავლებლებიდან იწვევდა. ამრიგად ეს გიმნაზია უფლებიანი გახდა მოსწავლეთათვის, მასწავლებლები კი ისეთივე უფლებიანი დარჩნენ, როგორც იყვნენ ადრე. შათ სამსახური არ ეთვლებოდათ, პენსიას არ იღებდნენ, სახელმწიფო სამსახურში არ ითვლებოდნენ. მაგრამ ეს გიმნაზია მალე გადაიქცა განათლებისა და კულტურის ერთ-ერთ კერად დასავლეთი საქართველოსათვის. ამ გიმნაზიაში 1500 ახალგაზრდა იღებდა საშუალო განათლებას, ხოლო მისი მასწავლებლები წარმოადგენდნენ ქუთაისის ინტელიგენციის მოწინავე რაზმს, გონებრივად და ნივთიერად ასაზრდოებდნენ ქუთაისის ყველა კულტურულ დაწესებულებას — ქართველთა შორის წ.-კ. გამაერცვლებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას და მასთან არსებულ საგანმანათლებლო საქმეს, თეატრალურ საზოგადოებას, სახალხო უნივერსიტეტს, ისტორიულ — ეთნოგრაფიულ საზოგადოებას, ლარბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოებას და მრავალ სხვას.

გერასიმე ცაგარეიშვილი ყველა ამ კულტურულ დაწესებულებათა ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. ამავე დროს ის რამდენჯერმე იყო არჩეული ქუთაისის საქალაქო საბჭოს ხმოსნად, სადაც ის ქალაქის მდებარე მოსახლეობის ინტერესებს იცავდა.


გერასიმე ცაგარეიშვილი სილოვან ხუნდაძესთან ერთად გიმნაზიის ინსპექტორად იქნა არჩეული და ამ თანამდებობაზე დარჩა გიმნაზიის ტექნიკურად გადაკეთებამდე.

ი. ოცხელი, ს. ხუნდაძე და გ. ცაგარეიშვილი თხუთმეტიოდე წელიწადი ხელმძღვანელობდნენ ამ ვებერთელა სასწავლებელს, მის მრავალრიცხოვან მასწავლებელთა კოლექტივს. გერასიმე თავისი ტაქტიით და გამოცდილებით დიდად უწყობდა ხელს გიმნაზიის კოლექტიურ მართვას, სადაც ოფიციალურ პასუხისმგებლად დირექტორი ი. ოცხელი ითვლებოდა. გერასიმე ცაგარეიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა სკოლის გაეროვნების საქმეშიაც: 1920 წელს გამოიცა მისი გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ნაწ. 11, ევროპა და თანავერობებთან ერთად (დ. ქუთათელაძე, შ. სანიკიძე) გეოგრაფია, ნაწ., 1.

გერასიმე ექვსი წელიწადი ემსახურებოდა საბჭოთა სკოლას და მის მშენებლობაში მზურვალე მონაწილეობას იღებდა თავისი ცოდნითა და გამოცდილებით.

გერასიმე ცაგარეიშვილი, ვალმოხდილი ქართველი საზოგადოებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე, უეცრად გარდაიცვალა საბჭოთა სკოლის სამსახურში 1927 წლის 14 დეკემბერს, ქუთაისში.





მარიამ პაროსანიძე  
(1864—1943)

ცნობილი მასწავლებელი, შესანიშნავი აღმზრდელი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე მარიამ ოტიას ასული ვარდოსანიძე დაიბადა 1864 წელს ქალაქ ქუთაისში. მარიამის მამა, ოტია ვარდოსანიძე, სოფელ მუხუროდან იყო. სიღარიბემ და ხელმოკლეობამ ოტია აიძულა სოფელი დაეტოვებინა და ქუთაისში დასახლებულიყო. იქ ოტია ვარდოსანიძემ მეჩუქმეობა დაიწყო და კარგადაც დაეუფლა ამ ხელობას.

პატიოსანი, ენერგიული, გულკეთილი და სათნო ოტია ყველას პატივისმცემელი იყო და, სამაგიეროდ, ყველას უყვარდა ის. არანაკლებ გონებაგახსნილი, გულისხმიერი, კეთილი და პატიოსნებით აღსავსე იყო მარიამის დედა, ირინე.

ირინე წერა-კითხვის უცოდინარი იყო, მაგრამ მას მეტად გონიერი, დაკვირვებულის, წინდახედულის, აზრიანი ადამიანისა და შვილების კარგი აღმზრდელის სახელი ჰქონდა მოპოვებული.

ოტია ვარდოსანიძეს ხუთი შვილი ჰყავდა, ორი შერჩა: მარიამი და ონისიმე.

გიმნაზიის მე-ნ კლასიდან გამოსულმა ონისიმემ ფოსტაში დაიწყო მუშაობა. აქ მას არა მარტო ერთგულ მუშაკად იცნობდნენ, არამედ აღმზრდელსაც კი უწოდებდნენ, განსაკუთრებით ახალგაზრდა თანამშრომლები. უწყინარი, კეთილი, მაღალი ზნეობის მქონე ონისიმე ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ მასთან მომუშავე ახალგაზრდობა სრულქმნილად დაუფლებოდა ფოსტა-ტელეგრაფის სპეციალობას. ის ყოველგვარი კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი საქმიანობის უანგარო მონაწილე იყო.

აი, ასეთ წრეში იზრდებოდა პატარა მარიამი, რომელმაც სწავლის მიღების დიდი სურვილი თავიდანვე გამოამჟღავნა. კარგმა ნიქმა და სწავლისადმი უდიდესმა სიყვარულმა მარიამს შეუწყო ხელი, რომ ღარიბი ხელოსნის შვილმა ქუთაისის ქალთა გიმნაზიის სრული კურსი დაამთავრა წარჩინებით 1883 წლის ივნისში; ხოლო დამატებითი მერვე კლასი — 1884 წლის 12 ივნისს და მიიღო მასწავლებლის ხარისხი.

სიღარიბის გამო მარიამ ოტიას ასული ვარდოსანიძე გიმნაზიაში მოსწავლედ ყოფნის დროსაც იწყებს მასწავლებლობას ჩამორჩენილ მოსწავლეებთან რეპეტიტორობის სახით.

მარიამ ვარდოსანიძის ბიგრაფიიდან ჩანს, რომ ის ფასიან მოსწავლეებთან ერთად უფასოდაც ბევრ ღარიბ ბავშვს ასწავლიდა. ასე ადრე ჩაინერგა მასში მასწავლებლის პროფესიისადმი სიყვარული და ის ორმოცდახუთი წლის განმავლობაში თავდადებით ემსახურებოდა სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

მარიამ ვარდოსანიძემ პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო იმ პერიოდში, როცა დედა-ენაზე სწავლება იდევნებოდა და სავალდებულოდ იყო შემოღებული ეგრეთწოდებული მუნჯური მეთოდით სწავლება. ამ ყოველად გაუმართლებელი მეთოდის საშუალებით მოზარდ თაობას მისთვის გაუგებარი სიტყვებისა და ცნებების ახსნა-განმარტება უნდა მიეღო მასწავლებლის მიშვიკის საშუალებით, რადგან მშობლიურ ენაზე ლაპარაკი მოსწავლეებთან მას სასტიკად ჰქონდა აკრძალული.

მარიამ ოტიას ასულმა ვარდოსანიძემ ოფიციალური სკოლის კარები, როგორც მასწავლებელმა, პირველად 1884 წელს შეაღო. ეს იყო ქუთაისის ერთ-ერთი კერძო სკოლა, სადაც 1886 წლამდე იმასწავლებლა. ამ წლიდან ეს კერძო სკოლა სამრევლო სკოლად გადაკეთდა და მარიამმა იქ დაჰყო მასწავლებლად 1894 წლის სექტემბრამდე. 1894 წლიდან კი მარიამ ვარდოსანიძე ინიშნება მასწავლებლად იმერეთის საეპარქიო ქალთა სასწავლებელში, სადაც 1904 წლამდე რჩება.

1904 წლიდან 1906 წლამდე მარიამ ვარდოსანიძეს ჩვენ ვხედავთ ქუთაისის ქალაქის ერთკლასიან სკოლაში გამგე-მასწავლებლად. 1906 წლიდან 1919 წლამდე მარიამი იყო გამგედ ქუთაისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლისა.



1919 წლიდან 1921 წლამდე მარიამ ვარდოსანიძე ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიის უფროსის თანამდებობაზეა, ხოლო 1921 წლიდან 1922 წლამდე ქუთაისის მე-12 შრომის სკოლის გამგის მოადგილედ მუშაობს. 1922 წელს მარიამი განათლების კომისარიატის დადგენილებით ამავე შრომის სკოლის გამგედ დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მან დაჰყო 1923 წლამდე, ვიდრე ქუთაისის პირველი ოთხწლიანი შრომის სკოლის გამგედ დაინიშნებოდა. ეს იყო უკანასკნელი სასწავლებელი, სადაც მარიამ ვარდოსანიძეს, ამ საკმაოდ ხანდაზმულ ადამიანს, 1926 წლამდე მოუხდა გამგედ და მასწავლებლად ყოფნა.

ნიკიერი მასწავლებელი მარიამი იმავე დროს იყო იშვიათი აღმზრდელი. ყველა მისი ყოფილი მოსწავლე არაჩვეულებრივი მშობლიური სიყვარულით იგონებს მის მოამაგე აღმზრდელსა და მასწავლებელს მარიამ ვარდოსანიძეს. მარიამისათვის ბევრჯერ გამოუცხადებიათ მადლობა „სასწავლო-სააღმზრდელო დარგში ბეჯითობისა, გულმოდგინებისა და თავდადებული შრომისათვის“.

მარიამ ვარდოსანიძის ღვაწლი და დამსახურება მარტო იმაში კი არ გამოიხატებოდა, რომ კარგად ისწავლიდა მოსწავლეებს, აყვარებდა მათ მეცნიერების საფუძვლებს, არამედ იმაშიც, რომ ის, მასწავლებლის მაღალი სახელისა და მოწოდების სიმამლუგზე მდგარი, ზრდიდა მოზარდთაობაში სამშობლოსა და მშობლიური ენის სიყვარულს.

მარიამ ვარდოსანიძეს მოსვენებას არ აძლევდა ის გარემოება, რომ მცირერიცხოვანი სკოლები ვერ ახერხებდნენ სწავლის ყველა მოწყურებულებისათვის ფართოდ გაეღოთ კარები და უსწავლელად დარჩენილ ბათსეულებისათვის მიეწოდებინა საჭირო სწავლა-განათლება. გულს უკლავდა პატიოსან მოღვაწეს ეს გარემოება და ამიტომ იყო, რომ ის უჩვეულო ენერჯითა და საოცარი სიყვარულით ჩაება საკვირაო სკოლების მოწყობის საქმეში. დღეს ყველასათვის ნათელია ის როლი, რომელიც საკვირაო სკოლებმა შეასრულეს მასების რევოლუციური იდეებით შეიარაღების საქმეში. მარიამ ვარდოსანიძემ, როგორც მოწინავე და განათლებულმა მასწავლებელმა, კარგად იცოდა რუსეთში საკვირაო სკოლების წარმოშობის ისტორია, ამ სახის სკოლების როლი და დანიშნულება, გაცნობილი იყო იმას, თუ რა ნაყოფიერებით მუშაობდნენ მოსკოვში, პეტერბურგში და სხვა დიდრონ ქალაქებში საკვირაო სკოლები, სადაც სწავლას ეწაფებოდნენ, ყველაზე უფრო, ფაბრიკა-ქარხნების მუშები.

მარიამ ვარდოსანიძის დამახასიათებელი იყო უფრო იქ ემუშავა, სადაც საქველმოქმედო საქმიანობა იყო გაჩაღებული, და აი, ისიც შეუდგა სხვა თავდადებულ მუშაებთან ერთად საკვირაო სკოლების ორგანიზაციის საქმეს. მარიამს საკვირაო სკოლაში მუშაობა იმისათვისაც იტაცებდა, რომ ასეთ სკოლებში სწავლა მშობლიურ ენაზე იყო, მსმენელებს სწავლის ფულს არ ახდევინებდნენ. მარიამი საკვირაო სკოლის მოსწავლეებს ზოგჯერ საკუთარი თანხით უძენდა სახელმძღვანელო წიგნებსა და სასწავლო ნივთებს.

მარიამ ვარდოსანიძე საკვირაოსკოლების საშუალებით ახერხებდა მუშა-ახალგაზრდობაში მოწინავე აღამიანთა აზრების გავრცელებას ბუნებისმეტყველებიდან, ისტორიიდან, პოლიტიკური ეკონომიიდან.

აი, სწორედ საკვირაო სკოლების ასეთი დიდი ღვაწლი ჰქონდა მხედველობაში მეფის მთავრობას, როცა დაიწყო ამ ტიპის სკოლების სასტიკი დევნა და შევიწროება. მთავრობის მიერ საკვირაო სკოლების წინააღმდეგ ასეთი ზომების გატარების გამო დიდი ლენინი 1895 წელს წერს წერილს „რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები“, რომელშიც სასტიკად გმობს მთავრობის საქციელს.

მარიამ ვარდოსანიძემ ყველაფერი ეს კარგად იცოდა, ის იცნობდა ლენინის შეხედულებას საკვირაო სკოლებზე და ენერგიულად იბრძოდა მათ დასაარსებლად.

აი, ამ მიზნისათვის მარიამი თავს უყრის ისეთ ენტუზიასტებს, საზოგადო საქმიანთა თავდადებულ მუშაკებს, როგორც იყვნენ ვერა ჯაფარიძე და მარიამ იოსელიანი. იმ დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე, რასაც ეს სამეული სხვებთან ერთად აწარმოებდა ქუთაისში საკვირაო სკოლების დაარსებით, მეტყველებს ნეკროლოგი, მიძღვნილი ვერა ჯაფარიძისადმი, რომელიც 1898 წლის გაზთ „კვალის“ № 22-ში გამოქვეყნდა. ნეკროლოგში ვკითხულობთ: „განსვენებულმა... ძალიან ადრე შეიგნო ჩვენი ხალხის საჭიროება და ენერგიულად შეუდგა შეძლებისამებრ მის დახმარებას. იგი სხვა თავის საყვარელ ამხანაგებთან — მ. იოსელიანის და მ. ვარდოსანიძის ქალებთან ერთად აარსებს ქუთაისში საკვირაო სკოლას“. „კვალის“ იმავე ნომერში ვერა ჯაფარიძის მოღვაწეობის შესახებ წერილი მოათავსა აგრეთვე ალექსანდრე წულუკიძემ.

პირველი საკვირაო სკოლა ქუთაისში, რომელმაც 1914 წლამდე იარსება, დაარსდა 1891 წელს. ამ სკოლის შეუცვლელ გამგელ მარიამ ვარდოსანიძე ითვლებოდა. სკოლის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაზე და მოსწავლეების შეგროვებაზე მარიამმა უდიდესი შრომა და ენერჯია დახარჯა. საჭირო იყო პირველყოფლისა ასეთი სკოლის დანიშნულებისა და მნიშვნელობის კარგად გაცნობა მშრომელი მასებისათვის და მისი უზრუნველყოფა სახელმძღვანელო წიგნებითა და სასწავლო ნივთებით. მარიამ ვარდოსანიძემ ეს საქმე ჩინებულად მოაგვარა, სკოლა მკვიდრ ნიადაგზე დააყენა და ამის შედეგი იყო, რომ მან საკვირაო სკოლაში დიდძალი მსმენელები მიიზიდა.

მარიამი სისტემატურად მართავდა სკოლის სასარგებლოდ საღამო-კონცერტებს, წარმოდგენებს, აგროვებდა კერძო პირებიდან შემოწირულებებს და ასეთი საშუალებებით საკვირაო სკოლას უქმნიდა არსებობისათვის საჭირო პირობებს. მარიამს აუცილებლად მიაჩნდა, რომ საკვირაო სკოლას ჰქონოდა ბიბლიოთეკა. ეს მშვენივრად დაუსაბუთა ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეო-

ბას და თხოვა სათანადო დახმარება. უკანასკნელმა მარიამის თხოვნას ჯეროვანი უპრადლება მიაქცია, და ბიბლიოთეკაც შეიქმნა.

თუ როგორი გზითა და საშუალებებით იბრძოდა მარიამი საკვირაო სკოლის ურყევ ნიადაგზე დაყენებისათვის, ირკვევა იმ წერილითაც, რომელიც მან მოათავსა „კვალში“ (1898 წ. 1 თებერვალი).

აი ეს წერილიც:

„ქ-ნო რედაქტორო. უმოჩინლესად გთხოვთ თქვენი პატივცემული ჟურნალ „კვალის“ საშუალებით მადლობა გამოვუხადო ქვემოთ აღნიშნულ პირთ, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს ქუთაისის საკვირაო სკოლას და მის ბიბლიოთეკას: 1. ი. ვაკელოვის შვილებმა: 250 ცალი რეჟული, ერთი კოლოფი კალამი, 6 დუეინი კალმისტარი (რუჩკა, 6 დუეინი კარანდაში და 1/2 თოფი ქალაღი № 5, 2. ლევან კოკოჩოვმა 4 იანვარს საკვირაო სკოლის მოწაფეთათვის გამართულ იოლკის გასაწყობად სხვადასხვა ნივთები, ვ. მ. ცხაკაიამ—21 დაყდევინებული ქართული წიგნები, 4. ტ. გ. ნახაროვისან—„Русское государство“ და „მოამბე“ თითო წლის, 5. ა. მემარიაშვილის ასულმა 4 ქართული წიგნი, 6. მართა ალ. ელბრტისამ—„Русская мнать“, 2 წლისა და „Вост. ииост. лит.“ 1 წლის.

ვისურვებთ, რომ კვლავ სხვებმაც მიაწოდონ თავისი წვლილი ქუთაისში ამ ახლად-ფეხადგმულ საკვირაო სკოლას, სადაც სწავლის მსურველთა რიცხვი დღე მუდამ სულ უფრო მატულობს, რის გამოც საკირაო მისი ნივთიერი და გონებრივი ძალა გაღონიერდეს. იმედია ქუთაისლები ასეთ კულტურულ ზემოქმედებას ხალხზე უფრო ჯეროვან უპრადლებას მიაქცივენ და ხელს შეუწყობენ აქაურობის სწავლის უზომო სურვილთა დაკმაყოფილებას.

ქუთაისის საკვირაო სკოლის დამფუძნებელთაგანი  
მარიამ ოტიას ასული ვარდოსანიძე.  
თებერვალი 1898 წელი“

ამ მოკლე ამონაწერიდან მკითხველი კარგად გაიგებს, თუ რა ფართოდ ჰქონია წარმოდგენილი საკვირაო სკოლის დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს მარიამ ვარდოსანიძეს ასეთი სკოლების მიზანდასახულობა, როგორი დაუშრეტელი ენერგიით იბრძოდა ის საკვირაო სკოლისა და სკოლასთან არსებულ სამკითხველოს საარსებო საშუალებათა განსამტკიცებლად, როგორ ეხმარებოდა ასეთ ახალ-ახალ წამოწყებებს საზოგადოება.

ქუთაისის საკვირაო სკოლის მეტად ნაყოფიერი მუშაობის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ცნობებს 1907/8 სასწავლო წლის საანგარიშო მოხსენებებიდან. ამ საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც მარიამის მიერაა შედგენილი, ვკითხულობთ: „აღნიშნულ სასწავლო წელს საკვირაო სკოლა მოთავსებული იყო ვაყებისათვის ქალაქის ორკლასიან სასწავლებელში (ივანოვის ქუჩა, სახლი ნიკოლაძისა), ქალებისათვის—ქალაქის პირველდაწყებით სკოლაში (პოლიციის ქუჩა, კვიტაშვილის სახლი). საერთო რიცხვი მოსწავლეებისა ორივე განყოფილებაში იყო 125, აქედან ვაყები—65, ქალები—60, წოდების მიხედვით: 100 გლეხი და მუშა, 25 სხვა წოდებისა. პროფესიის მიხედვით: მუშები და ხელოსნები—77, შინამოსამსახურე—38, ნოქრები—10. მასწავლებელთა რიცხვი—22. სწავლა

დკოლაში უფასოა, უფასოდვე სარგებლობენ მოსწავლეები წიგნებითა და სასწავლო ნივთებით. სწავლა წარმოებდა კვირაობით 10-დან 2 საათამდე. 2 საათიდან წარმოებდა წიგნების გაკემა ბიბლიოთეკიდან. მოწაფეები დაყოფილი იყვნენ: ვაეები 6 ჯგუფად, ქალები 4 ჯგუფად. სასწავლო საგნები: წერა-კითხვა, არითმეტიკა, გეოგრაფია, საქართველოს ისტორია, ქართული და რუსული ლიტერატურის ისტორია. სკოლასთან არსებობს ბიბლიოთეკა მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებს წლის განმავლობაში გაუტანიათ 855 წიგნი. სკოლის შესანახად ქალაქის თვითმართველობას ხარჯთაღრიცხვაში ყოველწლიურად შეაქვს (ქალაქიდან) 300 მანეთი, მაგრამ ფაქტიურად ჯერ ირც ერთი კაპეიკი არ გაუცია, მიზეზად სიღარიბეს ასახელებს.

სკოლა სინამდვილეში არსებობს საქველმოქმედო საღამო-კონცერტებიდან შეგროვილი თანხებით\*.

ეს ვრცელი მოხსენება, რომელიც ბევრი რამ საინტერესოს მოქმედია, იმავე დროს კარგად გვაცნობს მარიამ ოტიას ასული ვარდოსანიძის მეტად რთულსა და საპასუხისმგებლო მუშაობას, რათქმა უნდა, უანგაროს, საკვირაო სკოლის კეთილდღეობისათვის.

ყველასათვის ნათელია თუ რა დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. დიმიტრი ყიფიანი, ილია ქავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ბესარიონ ლოლობერიძე, ნიკო ცხვედაძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, გიორგი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ივანე მაჩაბელი, აი, ვინ ედგა სათავეში საზოგადოებას და ვინ ეწეოდა უმძიმეს ტვირთს, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმე კარგად წარმართულიყო და მოეტანა მას ის უტკბილესი ნაყოფი, რასაც მისგან მოელოდნენ.

რა თქმა უნდა, ზემოთ დასახელებული მოღვაწეები ბევრს ვერაფერს გააკეთებდნენ და საქმეს სასურველად ვერ მოაგვარებდნენ, თუ მათ გვერდით არ ეყოლებოდათ ისეთი მოწინააღმდეგე პირები და ხალხისათვის გულშემატკივრები, როგორიც იყვნენ გიორგი მაიაშვილი, იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, მარიამ ვარდოსანიძე და სხვები.

როდესაც ჩვენ მარიამ ვარდოსანიძის შესახებ გვინდა ზოგი რამ ორიოდ სიტყვით აღვნიშნოთ, რაც მან წერა-კითხვის საზოგადოების ხაზით გააკეთა, მხედველობაში უნდა გვქონდეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებაც. სადაც ცნობილი მოღვაწის გიორგი ზდანოვიჩის ხელმძღვანელობით მარიამი თავდადებით მუშაობდა.

ახალი წვერების შემოკრება იყო თუ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის გაძლიერების მიზნით საქველმოქმედო კონცერტების გამართვა, სეირნობების მოწყობა, შემოწირულობათა შეგროვება, წიგნსაცავ-სამკითხველოს გახსნისათვის ბრძოლა, სკოლების დაარსება, მასწავ-

ლებელთა შერჩევა, ფართო საზოგადოებაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიზნების პროპაგანდა თუ სხვა, ყოველივე ეს სხვებთან ერთად მარიამ ვარდოსანიძის საზრუნავ და საყვარელ საქმედ იყო გადაქცეული.

დღესაც ბევრს ახსოვს, რამდენი ენერგია და შრომა დაუხარჯავს მას, რომ შთაერობისაგან მიეღო ნებართვა საღდაც მივარდნილ სოფელში, სადაც წერაკითხვის მცოდნე მარტო მღვდელი და სოფლის მწერალი იყო, სკოლა გაეხსნა.

მარიამ ვარდოსანიძეს, ერთი მისი ყოფილი მოსწავლის თქმის არ იყოს, სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებაში მუშაობაც უდიდეს მოღვაწეობად ჩეთვლებოდა.

1927 წლის 11 ივნისს პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე 43 წლის განმავლობაში უმწიკვლო და უნაგარო მუშაობისათვის იუბილესთან დაკავშირებით გაზეთი „კომუნისტი“ (1927 წ. 11 ივნისი) მარიამ ოტიას ასულ ვარდოსანიძის შესახებ წერდა: „ჯერ კიდევ „მესამე დისის“ გამოსვლამდე შესძლო მასო ვარდოსანიძემ—ვერა ჯაფარიძისა და მარიამ იოსელიანის ქალთან ერთად—საკვირაო სკოლის დაარსება ქუთაისში. ამ სკოლას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქუთაისის მშრომელი მასების განათლებისა და კულტურულად, პოლიტიკურად აღზრდის საქმეში“. სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოების დეპუტატების „ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა უბოძა მას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შრომის გმირის სახელწოდება.

• მარიამ ვარდოსანიძისათვის შრომის გმირის საპატიო სახელწოდების მინიჭებამ და იუბილეს გადახდამ უდიდესი სიხარული გამოიწვია საქართველოს სსრ სკოლის მასწავლებელთა შორის.

ვალმოხდილი მარიამ ოტიას ასული ვარდოსანიძე, 80 წელს მიღწეული, 1943 წლის 17 იანვარს გარდაიცვალა.





## მიხეილ ზაალიშვილი (1865—1920)

ქართული სახელმძღვანელოების ავტორი და ცნობილი პედაგოგი მიხეილ ზაალიშვილი იმ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც საქვეყნო საქმეს ემსახურებოდა უჩინრად, უხმაუროდ, უანგაროდ და ვისაც ეს ხალხის საკეთილდღეო თავისი საქმიანობა მიაჩნდა პირად მოთხოვნილებად, მოვალეობად სამშობლოს წინაშე და არა ღვაწლად. მისი ბიოგრაფია ამას ცხადად გვიჩვენებს.

მიხეილ ზაალიშვილი დაიბადა 1865 წლის 10 სექტემბერს ძვ. სტილით რეხულას ხეობაში, სოფელ იგოეთს, რომელიც კასპის რაიონში შედის. მიხეილის მამა, ყარაბან დავითის-ძე აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდა, არც ხელმოკლე მემამულედ ითვლებოდა, მაგრამ მამულს თვითონვე უვლიდა. მხნე და გამრჯე კაცი იყო, თანაც წესიერი: დროზე გაიტანდა გუთანს სახნავედ, თივის ზვინებსაც ვადაზე დასდგამდა, ქერსა თუ პურს გაუხანებლივ გალევდა და რთველიც ღვინობისთვეში იცოდა, როცა მოწეულ ყურძენს შემოდგომის მზე სიტკბო-შაქარს უმატებს ხოლმე. მამის მხნეო-

ბა-გარჯილობა და წესიერება, საქმის დროზე შესრულება ჩვენს მიხედვითაც გამოჰყვა.

ღედა მიხეილისა მარინე, სოფელ ძევერადან, აზნაურ ეკვთიმე ჯავახიშვილის ქალი იყო, შინაურად ნასწავლი მანდილოსანი, ხელნაწერებზე აღზრდილი, რომელიც მეზობლებს სწამლობდა „ქარაბადინის“ მიხედვით და დიდი პატივისცემითაც სარგებლობდა ახლო-მახლო სოფლებში. იქნებ ღედის გავლენის ნაყოფიც იყოს მიხეილის მიდრეკილება ბუნებისმეტყველებისადმი.

ყარამანისა და მარინეს ოჯახი პატარა არ იყო: მათ ჰყავდათ მ ვაჟი და ერთი ქალი. ერთი ვაჟის (შაქროს) გარდა ყველა შერჩათ, ყველა გზაზე დააყენეს და ყველას სწავლა მისცეს. შვილებში მიხეილი, ვაჟებს შორის მესამე, ერთადერთი იყო, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო.

პირველდაწყებითი სწავლა მიხეილმა მიიღო ოჯახში მშობლებისაგან, ხოლო 10 წლისა ოჯახისა და სოფელს მოაცილეს, ჩამოიყვანეს ქ. თბილისში, მიჰგვარეს უშვილო ნამიდას ნატალია დავითის ასულს კარგარეთელს და მას ჩააბარეს მისი მოვლა და აღზრდა. ქალაქში სახელდობრ რომელ სასწავლებელში მიიღო განათლება მიხეილმა, ამაზე გარკვეული და უშეკველი ცნობები არ მოიპოვება არც საბუთებში, არც განსვენებულის ცოლშვილში და მით უფრო ნათესაებებსა და ნაცნობებში. დანამდვილებით ვიცით მარტო ის, რომ 1887 წ. გაზაფხულზე, კოიალოვიჩის დირექტორობის დროს, მიხეილ ზაალიშვილმა დაამთავრა თბილისში ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ, საოსტატო ინსტიტუტი, დაამთავრა ბრწყინვალედ: ოქროს მედლით და საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის წოდებით.

ამიერიდან მიხეილს მასწავლებლობის გზა ხსნილი აქვს, მაგრამ მას არ აკმაყოფილებს ეს სარბიელი. მას აფიქრებს საქართველოს ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა. ეს კარგად ჩანს მისი ერთი ცოტა გვიანდელი წერილიდან, „ქართლელი მეურნეს“ საპასუხოდ რომ დასწერა: „ჩვენი სამშობლო ისეთი ქვეყანაა, — ამბობს აქ ზაალიშვილი. — საცა ყველა კულტურული ძვირფასი მცენარე ადვილად მოვა, მაგრამ ჩვენ, ჩვენი უსწავლელობის გამო, მარტო პუროვან მცენარეებს მივჩერებ ვართ. რუსული ხორბალი ინგლისის ბაზარში განდევნილი იქნა ამერიკული ხორბლისაგან და საკვირველი არ არის, რომ რუსულმა ხორბალმა განდევნოს ჩვენი ხორბალი თვითონ საქართველოდამ, — იქამდის დასწიოს ხორბლის ფასი, რომ ჩვენ მეურნეთ პუროვანი მცენარეების მოყვანით სარგებლობის მაგიერ ზარალი ნახონ. მერწმუნოს „ქართლელი მეურნე“ — განაგრძობს ზაალიშვილი, — რომ თუ ჩვენში სხვადასხვა კულტურულ მცენარეების მოყვანას არ შემოვიღებთ და არ შევცვლით ხასიათს ჩვენი მეურნეობისას, ჩვენ, ქართველი მეურნენი, მთლად ქართველობა, შორს ვერ წავალთ. გონივრულად რომ შე-



იკვალოს ჩვენი ეხლანდელი მეურნეობის მიმართულება და ხასიათი, ამისათვის გონიერი და კარგი ნასწავლი სპეციალისტები აგრონომები არიან საქონლის“-ო, ასე ამთავრებს თავის აზრის დასაბუთებას ჩვენი ავტორი („მეურნე“, 1891, № 7. ხაზი ყველგან ჩვენია მ. ბ.).

ეს გრძელი ამონაწერი იმ აზრით მოვიტანეთ აქ, რომ ნათელი და ვასაგები იყოს ის ნაბიჯი, რომელიც მიხეილ ზაალიშვილმა გადადგა თბილისის სამსწავლებლო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ: მომდევნო 1888 წ. აგვისტოში მას ეხედავთ პოლონეთში, ნოვო-ალექსანდრიის სოფლის მეურნეობისა და მეტყეობის ინსტიტუტის სტუდენტად; აგრონომიული ცოდნით შეიარაღებული უკეთესად შესძლებდა აგრონომად ჩამორჩენილი ქვეყნის სამსახურს. ნოვო-ალექსანდრიის ინსტიტუტი მაშინ სამწლიანი იყო და 1893 წლამდე არაზეოთარ სამსახურებრივსა, წოდებრივს ან სამეცნიერო უფლებას არ აძლევდა, ასე რომ აქ სწავლადამთავრებულებს მერე უხდებოდათ მსგავს სხვა სასწავლებელში გადასვლა. აქ მიხეილმა სწავლა 1891 წელს დაამთავრა, როგორც ატესტატში უწყერია, აგრონომის წოდების ძიების უფლებით, რასაც მან მიიღწია უფრო გვიან, 1895-1897 წლებში.

ნოვო-ალექსანდრიაში სწავლის ხანა მიხ. ზაალიშვილის ცხოვრებაში იმით არის ყურადსაღები, რომ ამ დროიდან იგი გამოდის სამწერლო ასპარეზზე: ქართულ აგრონომიულ ჟურნალ „მეურნე“-ში, რომელსაც მაშინ რედაქტორობდა ვასილ სულხანიშვილი, იგი ბეჭდავს მთელ რიგ წერილებს. მისი სადებიუტო წერილი იყო „ნებვი როგორც სასუქი“ („მეურნე“, 1889 წ. № № 47 და 48). ამავე ხანას ეკუთვნის ორი სპეციალური სახელმძღვანელოს გამოცემა: „საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება“ (1890) და „საზოგადო მიწათმოქმედება“ (1891).

„მეურნეში“ მიხ. ზაალიშვილი თანამშრომლობს სამშობლოში დაბრუნების მერეც. ასევე მონაწილეობს საზოგადო საქმეებშიც, მაგ. იგი წევრია „ქართული წიგნების ბეჭედის ამხანაგობისა“ (გაზ. „ივერია“, 1892, № 89), რომელმაც საკმაო კულტურტრეგერული როლი შეასრულა ჩვენს ცხოვრებაში. მიხეილი ერთხანად არის წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლის ზედამხედველიც („ივერია“, 1892, № 228). ბერე კი ის მსახურობს ჩრდ. კავკასიაში, სტავროპოლის ოთხკლასიანი საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლად. აქ ყოფნისას მან დაწერა შრომა იქ მოსახლე ლოთრანგ სექტანტებზე: „Менониты и их колонии на Кавказе“, რომელიც შედარებით გვიან დაიბეჭდა, 1887 წელს, სასწავლო ოლქის სერიულ გამოცემაში „Сборн. мат-лов для опис. мест. племен Кавказа“ (вып. 23, стр. 89—127).

ეს დაუდევარობა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასაცვლება იმის მაჩვენებელიც არის, რომ ენერჯიამოქარებულნი ზაალიშვილი მიღწეულის კმაყოფილი არაა და უფრო მეტ საქმეს ეძებს. სწორედ ენერჯია

ჩქეფს მის შემდეგ სიტყვებში: „კაცი ის არის, ვინც ბრძოლის ველზე—  
ცხოვრებაში—იბრძვის უკანასკნელი სულის ამოსუნთქვამდე და არა ის,  
ვინც ცხვირჩამოშვებული უჩივის ბედს. ეს...ძრიელ ადვილია და ამითი  
აიხსნება, რომ ყველა ჩივილს მიჰმართავს ხოლმე, როდესაც პირდაპირ  
საქმეა საქირო“-ო („მეურნე“, 1891, № 7). მხოლოდ საქმე და ბრძოლა  
სულის ამოსვლამდე და არა ჩივილი და ცხვირის ჩამოშვება—აი ეს  
ჰქონდა მიხ. ზაალიშვილს დღეიწად თავიდანვე და აკი არც უმტყუნებია  
მისთვის არასოდეს. მთელი მისი ცხოვრება ხომ მართლაც გამუდმებუ-  
ლი საქმე იყო, ზოგჯერ საჩინო, ხშირად კი უჩინარი.

და აი მიხ. ზაალიშვილი, უკვე 30 წლის კაცი, ენერგიით სავსე და  
საქმის მოტრფილად მიდის მოსკოვში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტ-  
ში იმ ცოდნის გასაღრმავებლად, რაიც მან შეიძინა ნოვო-ალექსანდრი-  
აში. 1897 წ. მიხეილი აქაც ბრწყინვალედ ამთავრებს სწავლას—პირველი  
თანრივის აგრონომის წოდებას იღებს. ეტყობა ამ იშვიათ წოდებას იგი  
დიდად აფასებდა, რადგან, გორელების სიტყვით, მისი ბინის აბრაზე  
ესეც იყო წარწერილი.

1895-1897 წლები, როცა მ. ზაალიშვილი მოსკოვში სწავლობდა,  
მის ცხოვრებაში მეტად ინტენსიური შრომის წლები იყო. იგი აქ სწავ-  
ლობს განსაკუთრებული სიბეჯითით მიტომ კი არა. რომ მიიღოს „სამ-  
სახურებრივი, წოდებრივი ან სამეცნიერო უფლებები“, რაც ვერ მისცა  
ნოვო-ალექსანდრიის ინსტიტუტმა, არამედ მიტომ, რომ სამშობლოს  
მეტად გამოადგეს. ამიტომაცაა, რომ ისევე თანამშრომლობს აგრონო-  
მიულ ჟურნალ „მეურნეში“ და პეტროვსკო-რაზუმოვსკოვში, ინსტიტუ-  
ტის ინტერნატში მცხოვრები მიხ. ზაალიშვილი შორ მანძილს არ ერი-  
დება და მოსკოვში სისტემატურად და წესიერად ჩამოადის მატარებ-  
ლით, რომ არ დააკლდეს ქართულ სტუდენტთა სათვისტომოს კრებებს,  
სადაც ისეთ სერიოზულ საკითხებზედაც კი მსჯელობდნენ, როგორიც  
არის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია.

პროფესორმა ალ. ნიკ. ჯავახიშვილმა ამ ფაქტის გადმოცემისას  
ხაზი გაუსვა მის უჩვეულო აკურატობას. მატარებლით ჩამოსული,  
ეთქვათ, ნახევარსაათით ადრე სხდომის დაწყებამდე—მიხეილი ქუჩაში  
იდგა და მარტო მაშინ, როცა დანიშნული დრო მოაწევდა, შემოვიდო-  
და შენობაშიო, — მოიგონა პატივცემულმა ა. ნ. ჯავახიშვილმა, რომე-  
ლიც მაშინ მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა. ეს აკურატო-  
ბა, წესიერება შემდეგშიც ახასიათებდა მიხეილს და თავად კეთილსინ-  
დისიერი ასეთსავე კეთილსინდისიერებას მოითხოვდა საქმეში, სამსახურ-  
ში სხვებისგანაც.

მოსკოვში სტუდენტობისას მიხ. ზაალიშვილის მუშაობას ქართულ  
ტერმინოლოგიაზე ვხედავთ არა ერთი მისი მაშინდელი წერილიდან. ასე-  
თებია: „ქართული ტერმინების შესახებ“ („მეურნე“, 1896, № 27), სა-  
ფუძვლიანი მისი რეცენზია კ. დ. ყიფიანის „Русско-грузин. словарь“—

ზე (იქვე, 1896, № 37) და „წერილი რედაქციისადმი“ (იქვე, 1897, № 3), სადაც ჩვენი ავტორი თვალსაჩინოდ წარმოადგენს გუთნისა და სახნისის განსხვავებასა და ჩამოთვლის გუთნის ნაწილთა სახელებს რუსული შესატყვისების აღნიშვნით.

ამასვე ეხება მისი მეორე წერილი „ქართული ტერმინების შესახებ“ უკვე „ცნობის ფურცელში“, ამ წერილიდან ჩანს, რომ ავტორი სერიოზულ მუშაობას განაგრძობს ინსტიტუტის შემდეგაც: მას მიღმართავს პოეტ აკაკი წერეთლისათვის, რომელიც დაჰპირებია დახმარებას, თუთონ კი სთავაზობს თავის სამსახურს—თუ სხვა არ იქისრებს, მე გამომიგზავნეთ ერევანში და მე მოვუყრი თავს შეგროვილ ტერმინებსო; ამასთან აღნიშნავს—ტერმინების შემუშავებისას საჭირო პრინციპების მოწოდება ეთხოვა პროფ. ალ. ხაბანაშვილს და აღარ ვიცი, ამ საქმეს თავი მოება თუ არაო.

აქ მიხ. ზაალიშვილი საყურადღებო ფაქტსაც გადმოგვცემს: „ტერმინების ერთობა (ერთნაირობა ანუ უნიფიკაცია მ. ბ.) ძრიელ საჭიროა; ეს კარგად შეიგნო მოსკოვის ქართველ სტუდენტობამ, როცა მათ წარუდგინა ერთმა ქართველმა სტუდენტმა სამეცნიერო ნაწერი ქართულ ენაზე. მთელი წელიწადი შიანდომეს ქართველ სტუდენტებმა ამ ნაწერს, რადგანაც თითქმის ყოველი ტერმინი ძრიელ ცხარე ბაასს იწვევდა... ეს ნაწერი წაკითხული იქნა ბოლომდინ, და რამდენიმე ტერმინიც კარგად გამოარკვიეს“-ო („ცნ. ფურც.“, 1898, № 483). ამ „ერთი ქართველი სტუდენტის“ ვინაობის დადგენა, რომელმაც ქართული „სამეცნიერო ნაწერი“ წარუდგინა განსახილველად მოსკოვის ქართველ სტუდენტობას, რა თქმა უნდა, ძნელი არაა: ეს ვახლავთ თუთონ მიხ. ზაალიშვილი, რომელმაც 1897 წელს გამოსცა კიდევ თავისი, რიცხვით მესამე, აგრონომიული სახელმძღვანელო—„მეფუტკრეობა. მოშენება და მოვლა ფუტკარისა“.

აღსანიშნავია განსვენებულის აზრი ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე. მისი ფიქრით, ძველი ქართული სიტყვა ვერ გამოხატავს საჭირო ცნებას და ხალხისთვის ჩინურ ენასავით გაუგებარია. ამიტომო—დაასკვნიდა იგი—უნდა „შეუდგეთ ახალი ტერმინების თხზვას, გადმოთარგმნას ისეთი ენით, როგორითაც ეხლა დაპარაკობს ჩვენი ხალხი“-ო („მეურნე“, 1896, № 37). იგივე აზრია გატარებული მეორე მის წერილშიც: „ზოგიერთი ჯიუტი ქართველი სამეცნიერო ტერმინებს ეძებს ძველ ქართულ წიგნებში, ავიწყდება, რომ ძველი სიტყვებით ახალი აზრი ვერ გამოითქმება. ძველ სიტყვებს ჰქონდათ სხვა მნიშვნელობა, სხვა ცნებებს გამოჰხატავდნენ, და გარდა ამისა ტერმინი უნდა იყოს ადვილი და ეხლანდელი ენით გამოხატული“-ო (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898, № 483). მეცნიერების ხალხთან დაახლოვების ეს უეჭველად სალი აზრი, ზაალიშვილმა ამ ორ წერილში რომ გამოსთქვა, უნდა ვიფიქროთ, დიდ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. პროფესორ ა. ნ. ჯავახიშვილისათვის განს-

ვენებულ მიხეილს უამბნია: სანამ საჯაროდ წერას დაიწყებდი, ილიას შევიწივე ჩემი გაქირვება—ქართული არ მისწავლია და რა გქნაო? ილიამ მირჩია: წერა-კითხვა ხომ იცი, წერე ისე, რომ ხალხმა გაიგოსო.

მოსკოვის პერიოდსვე მიეკუთვნება შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტიც. მიხეილმა 1896 წელს პროფ. ტიხომიროვის მიხედვით სცადა აბრეშუმის ქიის გამოკვება ძირშავას ანუ სკონცონერის ფოთლებით და შედეგად კარგი მიიღო: „გასაკურველს ვიყავი—წერს იგი—იმ ქიებისაგან, რომელიც მე მივიღე. თითო ქია 9-10 სანტიმეტრის სიგრძე იყო, შეენიერად გააკეთეს პარკები და ახლა პარკებიდანაც გამოვიდნენ პეპლები, რადგანაც მე მსურს ცელულიარული აბრეშუმის ქიის თესლი მივიღო“—ო („მეურნე“, 1896, № 27). ეს განცხადება ოდნავადაც არ ყოფილა გადაქარბებული, რადგან იგივე ცდები ზაალიშვილმა გაიმეორა იმავე მოსკოვის სას.-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლის დამთავრებისას 1897 წ. მაისში, და მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მებარეშუმეობის კომიტეტმა ამისათვის იგი დააჯილდოვა ვერცხლის მედლით 1897 წ. 26 ოქტომბერს. ეს ფაქტი, თავისთავად მისი ცოდნა-მომზადებისა და წადიერება-ბეჯითობის დამადასტურებელი, ბრწყინვალედ აქარწყლებდა თბილისის სააბრეშუმო სადგურის უფროსის შავროვის სკეპტიციზმს—სკონცონერით ქიის კვება სასურველი არ არისო.

მის. ზაალიშვილის სერიოზული მომზადება, უნდა ითქვას, ქართველობისათვის ადრევე იყო ცნობილი. საკმარისია ვაცმა გადაიკითხოს მისი 1892 წ. „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა“, რომელიც მან მიუძღვნა პრაფ. როსკოს „ქიმიის“ ქართულ თარგმანს ვ. ი. რცხილაძისას, რომ ცხადი გახდეს ზაალიშვილის ცოდნის მაღალი დონე. აქ იგი, დიდი რუსი ქიმიკოსის მენდელეევის „Основы химии“-ზე დამყარებული, აღნიშნავს თვით თარგმნილი ავტორის მხრივ დაშვებულ „ლაფსუსებს“.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მიხეილი რუსეთში მიღებულ განათლებას დიდად აფასებდა. ეს კარგად ჩანს მისი საპასუხო წერილიდან სიმ. ქვარიანისადმი. თქვენი სიტყვით, —წერს აქ ზაალიშვილი, რუსეთში კურსდამთავრებული აგრონომები „ვერა გზით ვერ მოაშენებენ სასურველათ ვერც ვაზს, ვერც ჩაის, ვერც რამს, ვერ „მოიყვანენ“ ვერც აბრეშუმს, ვერც ბამბას, ვერც ღვინოს, ვერც თამბაქოს, სიმინდს, ლომს და სხვასო.“ „გარდა ჩაისა—განაგრძობდა ზაალიშვილი თავის პასუხს,—კულტურა სუყველა ზემოხსენებული მცენარეებისა შეადგენს ჩვენი სამეურნეო ინსტიტუტის კურსს. ბ. ქვარიანს დაავიწყდა: ბალოსნობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, საქონლის გამრავლება და სხვაო“ („მეურნე“, 1897, № 14-15 16). „არც გიმნაზია და არც უნივერსიტეტი არ გეინდაო. წადით სამძღვარგარეო და იქ შეისწავლეთ მეურნეობა და შემდეგ ჩვენში გადმოიტანეთ, გვირჩევეს ბ. ქვარიანი. მე მგონია, რომ თანასწორეს (Равенство) ჩვენს და სამძღვარგარეთ ქვეყნებს შორის ვერა დროს ვერ დავეწრთ. ს უყველა ქვეყანას თავისი სურათი

აქვს, თავისი ბეჭედი აკრავს. ამიტომ მე შეუძლებლად მიმაჩნია მაიმუნებრივი მიზაძვით ევროპის სამეურნეო ცოდნის ჩვენში გადმოტანაო,—დაასკვნის საბუთიანად მიხ. ზაალიშვილი თავის პასუხს ქვარიანისადმი.

როგორც კავკასიის სტიპენდიანტს, მიხ. ზაალიშვილს 6 წელიწადი უნდა ემსახურა ოლქის ფარგლებში. ამიტომ მოსკოვში უმაღლესი სწავლის დამთავრების შემდეგ იგი სასწავლო ოლქმა გამოიწვია და 1897 წ. 1 სექტემბრიდან დაინიშნა ერევნის საოსტატო სემინარიის დამრიგებლად, სადაც ასწავლიდა საბუნებისმეტყველო საგნებს და გეოგრაფიას. შემდეგში შეთავსებით ასწავლიდა ბუნებისმეტყველებასა და ფიზიკას ერევნის ქალთა გიმნაზიაშიც.

აქ, სომხეთში სამსახურის დროს ზაალიშვილი მასწავლებლობის გარდა მუშაობდა აგრეთვე როგორც აგრონომი. სემინარიის ნაკვეთზე მან გააშენა ხილის ბაღი, ყვავილნარი, ხენდროც კი მოიყვანა მის მწირ ნიადაგზე. აგრეთვე საკმაო აგრონომიულ დახმარებას უწევდა მეზობელ სოფლებს: აშტარაკს, კოილასარის, ულუხანდუს. ამავ დროს იგი იყო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ერევნის განყოფილების მდივანი.

1902 წელს მიხელს ვხედავთ უკვე ნშობლიური ქართლის გულში ქალაქ გორში ამიერკავკასიის საოსტატო სემინარიის დამრიგებლად; აქ იგი ასწავლიდა ბუნებისმეტყველებას და სოფლის მეურნეობას, ასწავლიდა აგრეთვე გორის ქალთა პროგიმნაზიაში. ამიერიდან 1918 წ. სექტემბრამდე მიხ. ზაალიშვილის მოღვაწეობა აქ მიმდინარეობდა. გორში იგი უკვე დაცოლშვილებული იყო. მან შეირთო ცოლად ქ. სტაეროპოლში ადრევე გაცნობილი მასწავლებელი ქალი მარიამ ნიკოლოზის ასული პანოვა, ამჟამად მხნე მოხუცი 84 წლისა, რომელმაც 1903 წელს წარჩინებით დაამთავრა ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტი, მაგრამ მასწავლებლობაზე ხელი მაინც არ აიღო. 1905-1917 წლებში მარიამ ზაალიშვილიც გორში მუშაობს ქალთა გიმნაზიის უფროსად.

მეტად საგულისხმოა და აღსანიშნავი; რომ მიხეილ ზაალიშვილი ახლა თითქოს სრულიად აგდებს ხელიდან კალამს. 1917 წლამდე ზას არ დაუბეჭდია არც წიგნი და არც წერილი (საპასუხო წერილების გარდა).

1907 წ. 15 აგვისტოს აგრონომი ზაალიშვილი იღებს გიმნაზიის მასწავლებლის წოდებას და ინიშნება გორის ვაეთა პროგიმნაზიის ინსპექტორად, რომელიც სწორედ ამ დროს დაარსდა გორის საქალაქო თვითმმართველობისა და თავად-აზნაურთა შუამდგომლობის შედეგად. ეს სასწავლებელი თითქმის არარაისგან შექმნა ზაალიშვილმა, რომელიც მისივე თავდადებული მეცადინეობის წყალობით 1912 წლის შემოდგომიდან გიმნაზიად გადაკეთდა. შეიძლება ითქვას, რომ მიხეილმა თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები შეაღია ამ სასწავლებელს ჯერ პროგიმ-

ნაზიად არსებულს, როგორც მისმა ინსპექტორმა, 1912-დან კი გიმნაზი-  
ად გადაკეთებულს, როგორც მისმა დირექტორმა.

შართალია, ერთი მხრივ დაოჯახება და მეორე მხრივ ადმინისტრა-  
ციული თანამდებობა საკმაოდ დიდ დროს ართმევდა შიხეილ ზაალიშ-  
ვილს, მაგრამ გორში ყოფნისას, როგორც დავინახავთ, მაინც არ გაუშ-  
ვია ხელიდან კალამი.

1917 წელს, ოქტომბრის დიდი რევოლუციის გამარჯვებასთან და-  
კავშირებით, ყოფილი რუსეთის .იმპერიის ჩაგრულმა\* ერებმა, კერძოდ  
ქართველობამ, მოიპოვეს უფლება მშობლიურ ენაზე სწავლისა. სკოლის  
გაეროვნულება—აი ერთ-ერთი დიდი მონაპოვარი ოქტომბრის დიდი რე-  
ვოლუციისა. მაგრამ სკოლის გაეროვნულება, ე. ი. გაქართულება ფიქ-  
ციად დარჩებოდა, რომ არ გვეყოლოდა ენთუზიასტი და ოპტიმისტი პე-  
დაგოგები და მათ აღრევე არ დაემზადებინათ სახელმძღვანელო წიგნე-  
ბი მშობლიურ ენაზე.

ასეთ ენთუზიასტ პედაგოგთა რიცხვს სრულიად მოულოდნელად  
1917 წლიდანვე მიეკუთვნა ჩვენი შიხეილ ზაალიშვილიც: მან ამ წელს  
ორჯერ გამოსცა თავისი ბუნებისმეტყველების პირველი ნაწილი—„არა-  
ორგანული ბუნება. ჰაერი, წყალი და დედამიწა“, ხოლო მომდევნო 1918  
წელს ზედიზედ დაბეჭდა ბუნებისმეტყველების მეორე ნაწილი — „ბოტა-  
ნიკა“, მესამე ნაწილი— „ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია“ და მეოთხე  
ნაწილი— „ზოოლოგია“.

ოთხი სახელწოდების ხუთი წიგნის ზედიზედ გამოცემა ერთი წლის  
მანძილზე 1918 წ. სექტემბრამდე, როცა ზაალიშვილი თბილისში გად-  
მოიყვანეს, იყო არაჩვეულებრივი ამბავი, ბევრის მთქმელი და უფრო  
ბევრიენის დამადუმებელი.

თუ აქამდე არა ერთს ეგონა, რომ ზაალიშვილმა კალამზე სამუდა-  
მოდ აიღო ხელი (ზოგმა არცკი იცოდა, რომ მას როდისმე მაინც ჰქონ-  
და კალამი მომარჯვებული), რომ დაივიწყა წინანდელი გზა, მაშინ ძნე-  
ლი და მძიმე გზა მამულის სიყვარულისა და სამსახურისა, და ამის მა-  
გიერ პირადსა, ოჯახურსა ანდა .სამსახურებრივ წარმატება-კეთილდღეო-  
ბაზე იწყო ფიქრი და საქმეო—ახლა, როცა ხუთი წიგნი გამოვიდა ერ-  
თიმეორის მიყოლებით, ყველასთვის ხელშესახები და თვალზმიერი შე-  
იქმნა, თუ რას აკეთებდა გორში ეს ჩინოსანი დირექტორი. ახლა ყვე-  
ლამ დაინახა, ყველა მიხვდა, რომ რუსული სკოლის მესვეური ქართლის  
შუაგულში ამ მღუმარების წლებში თურმე სკოლის გაქართულებას ეტრ-  
ფოდა, დიდი ილიას სიტყვით რომ ვთქვათ, „თურმე დღე და ღამ ნატ-  
რობდა ჩუმის ნატვრითა“ ქართველი ერის განთავისუფლებას და არა  
მარტო ეტრფოდა და ნატრობდა ქართველი ხალხის უკეთეს მერმისს.  
არა. იგი თავის წვლილსაც ამზადებდა საამისოდ—ფარულად წერდა  
ქართულ სახელმძღვანელოებს. მიხ. ზაალიშვილი მოულოდნელად გამო-  
ჩნდა როგორც გაუტეხელი ოპტიმისტი და დიდი ენთუზიასტი, რადგან

სწორედ უპერსპექტივო დროს, რეაქციის მძიმე წლებში ის ამზადებდა ქართულ სახელმძღვანელოებს მომავალი თავისუფალი ქართული სკოლისათვის, ქართველი მოსწავლეებისათვის.

1919 წელს მიხ. ზაალიშვილმა გამოსცა კიდევ ორი ახალი სახელმძღვანელო—„არითმეტიკა“ და „პირველდაწყებითი გეოგრაფია“, ასევე რევოლუციამდე დაწერილი გორშივე. ამრიგად ექვსი სახელმძღვანელოს შედგენა და ერთბაშად გამოქვეყნება იყო ბრწყინვალე დემონსტრაცია მიხ. ზაალიშვილის ურეკლამო და ნამდვილი მამულიშვილობისა, გამოვლენა პატრიოტიზმისა საქმით და არა ლიტონი სიტყვით. თუ არ მამულის სიყვარული და მისი სამსახურის უდრეკი ნება, თუ არ მტკიცე და ურყევი რწმენა საქართველოს ბედნიერი მომავლისა, ისე, რა თქმა უნდა, ზაალიშვილი, ოჯახითა და გიმნაზიის საქმეებით დატვირთული, არაფერს არ დაწერდა. მან კი გაქართულებულ სკოლას ხელათვე უძღვნა 9 წიგნად გამოცემული ექვსი სახელწოდების სახელმძღვანელო. მაშასადამე, მისი საქმიანობა იყო იდეური და უანგარო, იყო ნამდვილი მოღვაწეობა.

ისიც საგულისხმოა, რომ მიხეილი ამ წიგნებზე მუშაობდა შინაურებისაგან სრულიად საიდუმლოდ. ჩაიკეტებოდა თურმე თავის ოთახში და დაწერილსა და გადაწერილს უჯრაში ჰკეტავდა. მისი მეუღლეც კი (არა თუ შვილები და ნაცნობები) სახტად დარჩა, როცა რევოლუციის შემდეგ მიხეილი ზედიზედ ამხეურებდა წლების მანძილზე სათუთად ნაწერ წიგნებს.

ამავე დროს მიხ. ზაალიშვილის სახელმძღვანელოთა ღირებულება მცირე არ იყო. აი, მაგ., რას სწერდა „ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის“ პირველი გამოცემის გამო პროფესორი ალ. ნათიშვილი 1918 წ. 9 დეკ. ავტორს: „...თქვენნი შრომა ესაა პირველი და სერიოზული ცდა ანატომიისა და ფიზიოლოგიის საფუძვლების გადმოცემისა ქართველი ბავშვებისათვის... მარტივად და ნათლად გადმოცემა, თანაც ფაქტიური მასალის მართებული და ზუსტი მეცნიერული განმარტება თქვენს წიგნს წარმოგვიდგენს კლასიკურ შრომად, რომელიც ღირსია საყოველთაოდ გავრცელებისა, მეტადრე—სოფლის მოსახლეობაში და სოფლის სკოლებში, სადაც ჯერ კიდევ მაგრად აქვს ფესვები გადგმული უგვანსა და მახინჯ წარმოდგენას ადამიანზე, მის აგებულებაზე“.

ასეთი მოამაგე და იდეური მასწავლებელი 1918 წ. სექტემბერს გორიდან გადმოიყვანეს თბილისის ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის დირექტორად. ეს გიმნაზია მოსწავლეთა კონტინგენტის მხრივ არაქართული იყო და ამიტომ მიხ. ზაალიშვილს საშუალება არ მიეცა თავის სახელმძღვანელოთა ავკარგიანობა პრაქტიკაზე თვითონვე შეემოწმებინა და ამ გზით ისინი თანდათან გაეუმჯობესებინა.

მაინც 1919 წელს მიხ. ზაალიშვილმა, როგორც ითქვა, დაბეჭდა კიდევ ორი ახალი სახელმძღვანელო—„არითმეტიკა“ და „პირ-

ველდაწეებითი გეოგრაფია“ და მეორე გამოცემით დასტამბა შეესებულ-შესწორებული „ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია“, ხოლო 1920 წელს კვლავ გამოსცა გადათვალეიერებული „ორგანოვანი ბუნება“.

გარდა ამისა მიხეილი ცხოველ მონაწილეობას იღებდა განათლების სამინისტროსთან შექმნილ სატერმინოლოგიო კომიტეტში და აგრეთვე სამეცნიერო საბჭოს საბუნებისმეტყველო სექციაში. აქ მუშაობისას მან დიდი შრომა გასწია სკოლის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენაზე.

მაგრამ განსაკუთრებული ამაგი მიხ. ზაალიშვილმა დასდო გორის გიმნაზიას, თავის ნამდვილ შვილობილს. თანამშრომლებიც, მოსწავლეებიც, შინაურებიც, ყველანი ერთმხრივ ადასტურებენ, რომ მომქირნეობის მიზნით ზაფხულის არდადეგებში მიხეილი გადაიცვამდა ხოლმე ძველმანს და თვითონვე ღებავდა მერხებს, მაგიდებს, კათედრებს, კარფანჯარას და სხვ. შეკითხვაზე: რატომ შენვე აკეთებ ამასო?—მისი პასუხი იყო: რომ ბავშვებს მეტი საკითხავი წიგნები ჰქონდეთო, დაზოგილი თანხით ბიბლიოთეკაც მოწოდებდნენ უფრო მდიდარი ექნებათ და კაბინეტებიც უკეთესად მოწყობილიო. ამიტომაც იყო, რომ 1920 წ. მიწისძვრამდე, როცა გორი თითქმის მთლად დაინგრა, გორის ვაჟთა გიმნაზია სხვა გიმნაზია-სასწავლებლებზე უკეთ თუ არა, ნაკლებად არ იყო მოწყობილ-გამართული ხელსაწყობით.

სწავლა-აღზრდის საქმე ხომ ისე კარგად ჰქონდა დაყენებული მიხ. ზაალიშვილს, რომ გორის გიმნაზიაში ა/კ სხვადასხვა კუთხიდანაც კი ჩამოაქვდათ მშობლებს თავიანთი სუსტი, ჩამორჩენილი, ხელიდან წასული, გაუსწორებელი შვილები, რომელთა რიცხვი 15-20%-ს შეადგენდა მთელი გიმნაზიისას, რადგან მათ არ აკლდათ ზაალიშვილის არც მზრუნველი თვალი და არც დამხმარე ხელი. ყოველი მოსწავლის შინაურ ყოფა-ვითარებას მიხეილი დაკვირვებით ეცნობოდა, ყოველ ღამ დახედავდა ცუდლუტ მოსწავლეს ბინაზე, გაკვეთილს გამოჰკითხავდა, თუ არ შეეძლო, ამოცანის გამოყვანაში წაეხმარებოდა, ავადმყოფს მიხედავდა, უმწეოს ხელს უმართავდა. ამიტომ იყო, რომ ხელიდან წასულები, სხვა გიმნაზიებიდან გამორიცხულნი აქ სამაგალითო მოსწავლეები ღებობდნენ. ამიტომ იყო, რომ მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, აქედან გამოვიდა არა ერთი მეცნიერი მუშაკი, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ ირ. ტატიშვილი, მიხ. პააკაშვილი, ი. შველიძე, გიორგი ფავლენიშვილი, იას. ხუციშვილი, არჩ. ხიზანიშვილი, დავ. კაპანაძე და სხვ.

სწავლაში ბეჯითობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, წესიერების დაცვა წვრილმანშიაც კი—აი, ამას მოითხოვდა მოსწავლეებისაგან ზაალიშვილი, იგონებენ ისინი მაღლიერებით. ერთს მათგანს ახსენდება ასე-



თი წერილმანიც: გიმნაზიაში მიველ ერთხელ ფეხსაცმელგაუწმენდავი; გაკვეთილზე შესვლამდე მწკრივში მდგომს ეს შემამჩნია დირექტორმა; რიგიდან გამომიყვანა და მკითხა: რატომ არა გაქვს ფეხსაცმელი გაწმენდილი?—ახალია და არ იწმინდება, იყო ჩემი პასუხი. შემიყვანა ცალკე ოთახში, სადაც ვაკსიც ბლომად იყო და ფეხსაწმენდი ჯაგრისიც უამრავად, დაიხარა და თვითონვე დამიწყო ფეხსაცმლის წმენდა. თუმცა ძალიან გეწინააღმდეგებოდი. აი, გაკრიალდა ფეხსამოსი. მერე მომიბრუნდა და მრისხანედ მითხრა: გაკვეთილების მერე ერთი საათით დარჩები კლასში... დაუდევრობისა და ტყუილის თქმისათვის, დამისაბუთა სასჯელი.

გარეგნულად მკაცრი და შუბლგაუხსნელი მიხ. ზაალიშვილი არა თუ მამასავით მზრუნველი იყო მოსწავლეებისა, არამედ გულჩვილი ადამიანიც იყო. ერთხელ ქართულის მასწავლებლის ავადმყოფობის გამო—იგონებს მისი მოსწავლე—გაკვეთილზე შემოვიდა თვითონ მიხეილ ყარამანინი, იკითხა, რა გვქონდა გაკვეთილად და მერე შეუდგა ილიას „კაკო ყაჩაღის“ კითხვას. ამ დროს ხმა აუთრთოლდა და ცრემლი მოერია. მაშინ მივხვდი, რომ მკაცრა გარეგნობის კაცს გული კეთილი ჰქონდაო,—დასძენს ეს ნამოწაფარი.

ასეთ იშვიათ თვისებათა პატრონს, თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შექურვილს, ნიჭით დაჯილდოვებულს მიხეილ ყარამანინს-ძეს რევოლუციის შემდეგ ფართო ასპარეზი გაეხსნა. აქი ხელათვე დაბეჭდა კიდევ წლების მანძილზე დამუნჯებული თავისი სახელმძღვანელოები, დაბეჭდილებსაც საქიროების მიხედვით აესებდა, ასწორებდა და კვლავ სტამბავდა.

მაგრამ რევოლუციის მერე მიხეილ ზაალიშვილი უნებურად მოსწყდა ოჯახს, რადგან მეუღლე თავისი მცირეწლოვანი შვილებით გაიხიზნა ქ. სტაეროპოლს, ჩრდილო კავკასიაში. ამ ნიადაგზე მარტოხელას გული შუაზე გაეყო: ოჯახში სიტკბოებაც სწყუროდა და მშობლიური საქართველოც არა ნაკლებ უყვარდა, მეოჯახე მოქალაქეს უმხედრდებოდა, კერძო საზოგადოს უპირისპირდებოდა.

გრძნობათა ამ ქიდილში რომელი გაიმარჯვებდა საბოლოოდ, მიხ. ზაალიშვილს თითქოს წინდაწინვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რადგან სწორედ ამ ხანებში, 1919 წელს, თავის „გეოგრაფიაში“ შემდეგი საგულისხმო სიტყვები დაბეჭდა: „სამშობლოს სიყვარული—ერთნაირად იცის ყველა ქართველმა: შორს სიკვდილი და სამუდამოდ უცხოეთში და რჩენა საზარელია მისთვის. ბევრჯერ, როცა ქართველი... ვერ იღებს ნებართვას მიცვალებულის სამშობლოში გადმოსვენებისას, იპარავს ცხედარს, სამშობლოში მოაქვს და უცხოეთში არა სტოვებს. რა გინდღიდ პატივში იყოს შორეულ მხარეს ქართველი, მაინც სიბერის დროს იშვიათი მოვლენაა, რომ

თავის სამშობლო კერას არ დაუბრუნდეს. შორს მყოფის  
სული და გული სამშობლოსაკენ არის მიქცეული“-ო (გვ.  
112—113).

1920 წ. 10 სექტემბერს თავისი სიკვდილითაც მიხეილ ზაალი-  
შვილმა ყველას დაანახვა, რომ სამშობლოს სიყვარულზე თქმული მისი  
სიტყვა ლიტონი არ იყო: მამულიშვილმა აჯობა „ობივატელს“, სამა-  
რადისომ — წარმავალს. ამიტომაც მადლიერმა საზოგადოებამ თავისი  
შოამაგე, მოჭირნახულე პედაგოგი, ჩუმი მოღვაწე დაკრძალა დიდუბის  
პანთეონში გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების გვერდით.



## იასონ ნიკოლაიშვილი (1865—1941)

ცნობილი მასწავლებელი და გრამატიკოსი იასონ ნიკოლოზის-ძე ნიკოლაიშვილი დაიბადა 1865 წლის 24 მარტს ლარიზ ოჯახში. იასონს დედა აღრე გარდაეცვალა, ასე რომ მას დედის ტკბილი ალერსი არ ახსოვს: „დედა რომ გარდამეცვალა ისე პატარა ვიყავი, რომ მის დასაფლავების დღეს ჯოხის რაშს დავაქროლებდი ეზოში. მე უბედურს არ გამეგებოდა დედის სიკვდილით თუ რა მეხი დამეცაო“. დედის საკვდილის შემდეგ იასონი და მისი ორი და ბიძასთან ცხოვრობდნენ.

იასონის მოგონებიდან ვიცით, რომ ბიძას კარგად სცოდნია ძველი ქართული მწერლობა—„ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები და სხვ. თავადაც კარგი მელექსე და მოზაირე ყოფილა.

შვიდი წელი რომ შეუსრულდა იასონს, ის დედის ძმამ, მისმა მეორე ბიძამ, ცნობილმა პედაგოგმა გერასიმე კალანდარიშვილმა წაიყვანა ქუთაისში, სადაც მაშინ ის იქაურ სასულიერო სასწავლებელში მსახურობდა ზედამხედველად. გერასიმე კალანდარიშვილი განათლებული კაცი იყო. მის გარშემო იკრიბებოდნენ ქუთაისში მყოფი მოწინავე ახალგაზრდები. გერასიმე კალანდარიშვილს ცოლად ჰყავდა ცნობილი ეპისკოპოსის

გაბრიელის ძმისშვილი ნინო ქიქოძე, რომელსაც განათლება მიღებული ჰქონდა კიევის გიმნაზიაში. „ძირითადად შეიცვალა ჩემი ცხოვრება, ახლა მუდამ გამამძლარი და მხიარული ვიყავიო“, იგონებს იასონი.

სამწუხაროდ დიდხანს არ გაგრძელებულა იასონის ბედნიერება. გარდაიცვალა მისი ბიძა გერასიმე კალანდარიშვილი, ნინო კი წავიდა თავის სოფელში და იქ მასწავლებლად მოეწყო. იასონი გაბრიელ ეპისკოპოსის შუამდგომლობით მოეწყო სახელმწიფო ხარჯზე სასულიერო სასწავლებელში ქ. ქუთაისში.

იასონმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი. ამ დროს გაიხსნა ხონში საოსტატო სემინარია და იასონი 1881 წელს მოეწყო სემინარიაში სახელმწიფო ხარჯზე. ხონის საოსტატო სემინარიის სრული კურსი მან დაამთავრა 1885 წელს და იმ წელსვე დაინიშნა ქუთაისის სააზნაურო სკოლის (შემდეგ ქართული გიმნაზიის) განყოფილების აღმზრდელად და გალობის მასწავლებლად სოფ. ძველ სენაკში. მომდევნო წლიდან იმავე სკოლაში იასონი ყველა საგნებს ასწავლიდა. აქვე იშლება იასონ ნიკოლაიშვილის წინაშე ფართო ასპარეზი საზოგადოებრივი მუშაობისა.

არდადაგების პერიოდში ყოველ ზაფხულობით იასონი მიდის გურიაში და იქ ამხანაგებთან ერთად ეწევა სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ მუშაობას. ამ პერიოდში განსაკუთრებით აღსანიშნავია იასონის ღვაწლი აბრეშუმის საუკეთესო თესლის შექმნისა და ხალხში გავრცელების საქმეში.

იასონ ნიკოლაიშვილი და მისი ახლო ნათესავი დიმიტრი კალანდარიშვილი გურიაში აღდგენენ სცენის მოყვარეთა დასს, მოგზაურობენ ურმით სოფელ-სოფელ და მართავენ წარმოდგენებს. მიღებულ შემოსავალს ახმარენ სოფლის სამკითხველოებს და თანაც ფულად დახმარებას უწევენ ნიქიერ ახალგაზრდებს, რომლებიც სწავლის მისაღებად სხვადასხვა ქალაქში იმყოფებოდნენ და ხელმოკლეობას განიცდიდნენ. ამ დასში მონაწილეობას ღებულობდა აწ განსვენებული პროფესორი ფილიპე გოგიჩაიშვილიც, რომელიც, როგორც სხვები, ურემს ფებდაფებ მისდევდა და დადიოდა სოფლებში წარმოდგენების დასადგმელად.

„კებრინამ, აბრეშუმის ქიის ამ საშინელმა სენმა,—წერს იასონი,—სამეგრელოში მთლად მოსპო მეაბრეშუმეობა, მეურნეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წყაროთავანი. მე კარგად ვიცოდი აბრეშუმის მოვლა და განვიზრახე მეაბრეშუმეობის გამოცოცხლება. შევიძინე პასტერიზებული აბრეშუმის თესლი, სოფ. ძველ სენაკში, სადაც მასწავლებლად გახლდით, დავიჭირავე ერთი დიდი დარბაზი და საქმეს შევუდექი. ამ ჩემმა წამოწყებამ ზალხი მეტად დააინტერესა. შორეული სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ ჩემი აბრეშუმის ქიის სანახავად და ყველას ძალიან მოსწონდა ქიის მოვლის ახალი წესი“. იასონს ამ საქმეში დიდად უწყობდნენ ხელს მისი მოსწავლეებიც. ბავშვებს მოჰქონდათ თუთის ფოთოლი და შეე-

ლოდნენ მასწავლებელს სისუფთავის დაცვაში. ასეთმა შრომამ თავისი ნაყოფი მოიტანა და მალალი ხარისხის აბრეშუმის პარკიც მოიყვანეს. ამ დროს ქ. თბილისში მოეწყო გამოფენა და სკოლის სახელით იასონმა ამ გამოფენაზე ძველი სენაკიდან აბრეშუმის პარკი გაგზავნა. პარკის საუკეთესო ხარისხისათვის სკოლამ ჯილდოდ მედალი მიიღო.

სრული 12 წელი დაყო მასწავლებლად ძველ სენაკში იასონ ნიკოლაიშვილმა.

აქედან ის გადადის ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში და იწყებს მასწავლებლობას მოსამზადებელ კლასებში. შემდეგ კი—უფროს კლასებში დაინიშნა ქართული ენის მასწავლებლად. მთავრობის მოხელეები ამ გიმნაზიას ძალიან მტრულად უყურებდნენ, როგორც ქართულსა და თანაც კერძოს.

იასონ ნიკოლაიშვილის უფროს კლასებში მასწავლებლად დანიშვნა არ დაუჯდა ქუთუში სასწავლო ოლქს. მას კატეგორიული წინადადება მისცეს ან განთავისუფლებულიყო ანდა გამოცდა ჩაებარებია სამოსწავლო ოლქში საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდებაზე. იასონმა ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდებაზე და დარჩა თავის ადგილზე ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მასწავლებლად. ქუთაისში ახალგაზრდული გატაცებით განაგრძობდა საზოგადოებრივ მუშაობას იასონი და ამ მხრივ ის ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

ქ. ქუთაისში არ ყოფილა ისეთი კულტურული წამოწყება, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრი იასონი არ ყოფილიყოს საკვირაო სკოლა, სახალხო უნივერსიტეტი, სახალხო თეატრი, სამკითხველო და სხვ... იასონ ნიკოლაიშვილი ყველგან დიდ ინიციატივას იჩენდა.

1905 წელს იასონი არჩეულ იყო დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის თავმჯდომარედ.

სამწერლო ასპარეზზე იასონ ნიკოლაიშვილი 1889 წელს გამოვიდა. პირველი მისი მოთბრობა „პეტრიას ოჯახში“ დაიბეჭდა გაზეთ „ივერი-აში“, № 54. ამის შემდეგ იასონი განაგრძობდა წერას სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. იასონის მამხილებელი ფელეტონები გარკვეული ღირებულების მქონე იყო და სარგებლობის მომტანი. იასონის ფსევდონიში იყო „ბელზებელი.“

იასონმა 1912 წელს შეადგინა და იმ წელსვე გამოსცა „ქართული ენის მოკლე გრამატიკა“. ეს ფრიად საყურადღებო სახელმძღვანელო ისე სწრაფად გავრცელდა, რომ საჭირო შეიქნა მისი ხელმეორედ გამოცემა. აღნიშნული გრამატიკა კიდევ გამოიცა 1917 და 1919 წლებში. რამდენიმე ხნის შემდეგ იასონმა შეავსო, შეასწორა ეს წიგნი და გამოსცა კისევ 1927 წ. გაზეთ „განათლების მუშაკში“ ამ გრამატიკის შესახებ მოთავსებულია პროფ. ვ. თოფურიას რეცენზია, სადაც აღნიშნულია, რომ „ეს არის პირველი ცდა მეცნიერულად გრამატიკის შედგენისა“.

1918 წელს იასონმა სხვებთან ერთად შეადგინა II, III და IV პროვინციული კლასებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოდ „ქართული ქრესტომათია“ სამ წიგნად.

წარსული მძიმე ცხოვრების გამოხატველია მისი მოთხოვნა, „რას მერჩით, მეც ადამიანი ვარ!“. აქ მწერალი გვაძლევს სურათს იმ უკულმართი ეპოქისა, როცა უსამართლობა დაუსჯელად პარპაშობდა და ათასობით უდანაშაულო ადამიანს ტანჯვასა და წამებაში აყენებდა. იასონ ნიკოლაიშვილი, როგორც სხვაგან, ისე ამ მოთხოვნაშიაც გაჰყირვებულთა მხარეზეა და სასტიკად გმობს უსამართლობას, ქადაგებს პატიოსნებას და კაცურ-კაცობას, მოზარდი თაობის საუკეთესო ადამიანებად აღზრდას.

იასონის მოთხოვნა-ფელეტონი „პეტრიას ოჯახი“ გურული ღარიბი გლეხის უმწეო ცხოვრებას ეხება. აღწერს იმ მძიმე მდგომარეობას რაც ჩვეულებრივი იყო უეჭომობისა და უგზოობის შედეგად რევოლუციამდელ სოფელში.

მოთხოვნა „ცოლქმარში“ ი. ნიკოლაიშვილმა გადაგვარებული აზნაურობის ნარჩენების ყოფაცხოვრება აგვისახა. ავტორს გამოყავს გაველურებული თავადი ვინმე შამილი და ამ თავადზე არა ნაკლებ ზნედაცემული და გარყვნილი „ქენინა“ კატო. ყოველდღე ქეიფი და აღვირახსნილი ღრეობა, ლაზღანდარობა და სისაძაგლეა გამეფებული შამილისა და კატოს ოჯახში.

მთდამი დაპირისპირებულია ღარიბი, პატიოსანი მშრომელი და უუფლებო გლეხის ოჯახი. საერთოდ იასონი კალმით და პრაქტიკული საქმიანობით დაჩაგრულთა მხარეზე იყო ყოველთვის.

ი. ნიკოლაიშვილი მუსიკასაც იყო დაუფლებული. მის მიერ ნოტებზე გადაღებული სიმღერები საყმაწვილო ჟურნალებში იბეჭდებოდა. მისი საბავშვო სიმღერები, ნოტებზე გადაღებული, წლების მანძილზე ისწავლებოდა. უთუოდ მუსიკის კარგ მცოდნეს და მოყვარულს შეეძლო ისე კარგად, ნიშნადველად და მაღალი გრძნობით დაეწერა „უკანასკნელი ხმები ქიანურისა“, როგორც ეს იასონმა შესძლო. ამ მოთხოვნისებურ ნარკვევში აწერილია ქუთაისის წარმტაცი ბუნება მაისის დამეში. უქიმერიონის მთა, რისხვა-წყრომით მოჩხრიალე რიონი. უქიმერიონის წვერზე გადმომდგარი სახლი. მწერალი გვთხოვს შევიხედოთ ამ სახლში, რომელშიაც „ფანჯარასთან მიღგმულს ლოგინში წევს მძიმე ავადმყოფი და მწარედ კენესის“, ოხრაეს და ხანდახან ისეთი ხმით, შემზარავად ამოახველებს, თითქოს გულ-ღვიძლი ერთიანად თან ამოყვაო. პირველი შეხედვით გაგიჟირდებათ გაგება, ამ ლოგინში წევს ვინმე, თუ ცარიელია, ისე მიმდნარა და მიღეულა ავადმყოფი. მისი შავი დიდრონი თვალები რაღაც საოცარი გამოხედვით მისჩერებია ერთ წერტილს. ამ უცნაურ თვალებში „ძლივსდა გამობეუტავს სიცოცხლის შუქი, ეტყობა იგი ამ ქვეყნისა აღარ არის“.

სიკვდილს ებრძვის ამ უცხო ქალაქში, ქუთაისში, პოლონეთიდან ჩამოსული მუსიკოსი, რომელსაც დედა თან ახლავს მომვლელად. აუტანელ გაკირვებაში იმყოფება ავადმყოფი უსახსრობის გამოც. მას გაუყიდა ყველაფერი, გაუყიდა მისი საყვარელი და მისთვის ძვირფასი პიანინო თითქმის მუქთად, მის მიერ გაყიდულ ბახისა და ბეთხოვენის ზეციურ სიმფონიებში ბაყლები და ხილის გამყიდველები უბვევენ ნაყიდ საქონელს მყიდველებს.

გული უკვდება ავადმყოფს, რომელსაც სიკვდილი ბასრი ცელით დადგომია თავს. „საბრალო მომაკვდავ ადამიანის დედას ჩაღის ფასად გაუყიდა გიტარა და ასე ჩაღის ფასად უნდა გაყიდოს ხვალ ახ ზეგ კიანურიც... მიღებული ადამიანი, რომელიც ეს ესაა უნდა გათავდეს, „რისვადივალახით ზეზე წამოდგება, ლოგინის ქვეშ შეიხედავს, საშინელი ოხვრა-კენესით კიანურს გამოიღებს და ეტყვის მას: „მაშ, უკანასკნელად გამიწიე სამსახური. ცოდვაც არის, მემუსიკე ოხვრა-კენესით მოკვდეს... უწყნარესი ხმით დაწყებული, ერთიმეორეზე მკვეფრი ჰანგები ერთმანეთს ეცილება, ეკამათება, ერთმანეთს მისდევს, ერთიმეორეს ბანს ეუბნება და ჰაერიც საუცხოო ჰარმონიით იესება. ხმამ თანდათან იმატა, იმატა და ნამდვილ კექბ-ქუხილად გადაიქცა. სახლს ზანზარი გააქვს, ფანჯრის მინები წკრიალებენ... მახვილი ყური ცხადად გაარჩევს ამ ხმებში სამდურავეს, საშინელს სამდურავეს მომაკვდავისას... ხმამ თანდათან იკლო... მაგრამ აი, ხელახლა იმატა, იმატა და... სიმი გაწყდა და იმასთან გაწყდა სიცოცხლის ძაფიც. ვირტუოზი მოქრილ ხესავით იატაკზე დაეშვა“.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ იასონი დიდი მწერალი იყო და სამწერლო ასპარეზზე მან ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ გულწრფელი პედაგოგის გულწრფელი მოთხოვნა-ესკიზები გარკვეულ როლს ასრულებდა ხალხის გამოფხიზლებისა და აღზრდის საქმეში.

იასონიც წუხს და სინანულს გამოთქვამს, რომ მწერლობით განსაკუთრებით ბევრი ვერ გააკეთა, მან ვერ მოგვცა ის, რის მოცემაც შეეძლო ამ უბანზე, მაგრამ ამაში ხელს უშლიდა სამსახური, საზოგადო საქმიანობა, ოჯახი და უსახსრობაც კი. „მხოლოდ ის დრო, რაც მწერლობას მოვანდომე, ძილს მოვპარე და ძალით წაფართვიო“—ამბობს იასონი.

გარდაიცვალა იასონ ნიკოლაიშვილი 1941 წლის 2 მაისს თბილისში. დაკრძალულია ახალი ვერის სასაფლაოზე.







## ეგნატე ხრამელაშვილი

(1866—1912)

ეგნატე მაკარის-ძე ხრამელაშვილი დაიბადა 1866 წლის 27 იანვარს (ძველი სტილით) ყოფ. გორის მაზრის სოფელ ეზატში (ამჟამად კასპის რაიონი). დაწყებითი განათლების მისაღებად მშობლებმა იგი თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სკოლაში მიაბარეს. 1883 წელს იგი შევიდა ამავე სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომლის კურსი დაამთავრა 1887 წელს. პედაგოგიური მუშაობაც იმავე 1887 წელს დაიწყო ილია წინამძღვრიშვილის მიერ სოფ. წინამძღვრიანთკარში დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში, სადაც მოღვაწეობდა 1889 წლამდე. 1889 წელს იგი დაინიშნა თბილისში ავლაბრის საქალაქო სკოლის მასწავლებლად. ამ სკოლაში ეგ. ხრამელაშვილი 1903 წლამდე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ერთ დროს იგი თბილისის რკინიგზის სკოლაშიც მუშაობდა მასწავლებლად.

1903 წელს ეგ. ხრამელაშვილი უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვის უმაღლეს კომერციულ ინსტიტუტში შევიდა, რომლის კურსი

დაამთავრა 1909 წელს და სამშობლოში დაბრუნდა სამოღვაწეოდ. 1909 წელს ეგ. ხრამელაშვილი დაინიშნა თბილისის მეორე კომერციული სასწავლებლის მასწავლებლად, სადაც ფიზიკურად დაუძღურებამდე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას.

ღვაწლმოსილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ეგნატე ხრამელაშვილი გარდაიცვალა 1912 წლის 17 აგვისტოს (ძველი სტილით) და დასაფლავებულ იქნა ქართულ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. დასაფლავებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს პ. მირიანაშვილმა, ი. მერკვილაძემ და სხვ., რომლებმაც დაწვრილებით დაახასიათეს ეგ. ხრამელაშვილის ნაყოფიერი საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობა.

მაშინდელი ქართული გაზეთები ფართოდ გამოეხმაურნენ ეგ. ხრამელაშვილის გარდაცვალებას. გაზეთმა „თემმა“ მას მიუძღვნა სარედაქციო სტატია სათაურით „ორი სიკვდილი“, რომელშიც დაახასიათებულია იმავე დროს ქუთაისში გარდაცვლილი კონსტანტინე ბაქრაძისა და ეგნატე ხრამელაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა. გაზეთი წერს: „ეგნატე ხრამელაშვილს კარგად იცნობდა ჩვენი საზოგადოება. გაათავა თუ არა. სამასწავლებლო ინსტიტუტი, იგი მაშინვე შეუდგა საზოგადო მოღვაწეობას. მან აირჩია წასულიყო სოფელში მასწავლებლად, რადგანაც განსაკუთრებით უყვარდა მუშა-ხალხი, გლეხობა; აირჩია წინამძღვრიანთკარის სკოლა, სადაც ორ წელიწადს მსახურობდა, შემდეგ მასწავლებლად იყო ავღაბრის საქალაქო სასწავლებელში 1903 წლამდის... მოწაფეებს მეტად უყვარდათ იგი სამართლიანი ხასიათის გამო. მაგრამ დაუფიწყარი ეგნატე მარტო ამ მხრით არ ასრულებდა პირნათლად თავის მოვალეობას. საზოგადოების წინაშე. იგი იღებდა მონაწილეობას ყოველ ჩვენს „ეროვნულ საზოგადო დაწესებულებაში. მას ნახავდით საბანკო კრებაზე მოლაპარაკეს, წერა-კითხვის, სამეურნეო, დრამატულ და მრავალ სხვა ძველ-საზოგადოებაში. ყველგან საქმიანად, დარბაისულად და სამართლიანად მსჯელობდა. ყოველ მის ნაბიჯის გადადგმაზე შეამჩნევდით მის პატიოსან ხასიათს და უზომო სიყვარულს თავის ქვეყნისადმი. იგი იყო აგრეთვე შემდგენელი სახელმძღვანელოებისა ქართულ ენაზე. მან შეადგინა არითმეტიკის ამოცანათა კრებული, არითმეტიკის სწავლების სახელმძღვანელო. შეადგინა აგრეთვე რუსულად კავკასიის გეოგრაფიის შემსწავლელი სახელმძღვანელო. უკანასკნელ დროს აღგენდა ქართულად-გეომეტრიის სახელმძღვანელოს. ყველა ეს წიგნები და მათი გამოცემის უფლება უანდერძა ჩვენს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. გარდაიცვალა 46 წლისა. მას კიდევ ბევრი რამ სასარგებლო შეეძლო გაეკეთებინა ჩვენი საზოგადოებისათვის. ამ ყოველად ღირსეულ, ჩინებულ ადამიანს. დიდხანს არ დაივიწყებს ჩვენი საზოგადოების შეგნებული ნაწილი“ (გაზეთი „თემი“, 1912 წ. № 85, 20 აგვისტო).

„სახალხო გაზეთმა“, რომელიც პირველად ეგნატე ხრამელაშვილი-

სა და მისი მეუღლის დარია ხრამელაშვილის მიერ იყო დაარსებული, გ. ახალციხელის მეტად შინაარსიანი და მრავალი ფაქტიური მასალის შემცველი წერილი უძღვნა ეგ. ხრამელაშვილის გარდაცვალებას („ეგნატე ხრამელაშვილი, ნეკროლოგის მაგიერი“). ამ წერილში ვკითხულობთ: „ვინ არ იცნობდა საბრალო ეგნატეს. წყნარი, მშვიდი, მორიდებული, პირნათელი, ფუტკარივით ნაყოფიერი საზოგადო მუშაკი, გამუდმებით თავის გვემული მხარის ხედრზე ფიქრით მოცული... ვიდრე ბოლო დროს მძიმე ავადმყოფობა სარეცელს მიაკრავდა, განა კი იყო იმისთანა საზოგადო საქმე, რომ იმას თავისი წვლილი არ შეეტანა, თავისი მადლიანი, გულზეიადი ხმა არ მოეწვდინა? ვინც იმას ახლო იცნობდა, დაგვემოწმება, რომ იმას ძალიან ხშირად ავიწყდებოდა ოჯახიც, თავის თავზე მზრუნველობაც და ასულდამულებდა, აღფრთოვანებდა საზოგადოებისათვის შრომის ხალისი. ჩვენ არა ერთხელ მოწმე ვიყავით, როცა იმას მახლობელი უსაყვედურებდნენ ხოლმე: „კაცო, ოჯახი თუ აღარ გახსოვს, ეს ერთი ლუკმა პური თავის დროზედ შექამე მაინცაო“... ყოვლად შეუძლებელი იყო ეგნატე სახლში გაგეჩერებინათ და ის არ დასწრებოდა, თუ რაიმე საზოგადო კრება იყო და სწუხდა... თუ ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ადგილას იყო... დანიშნული კრება და ყოველგან არ უხდებოდა დასწრება. ბოლო ხანებში, როცა კითხვის ილაჯიც დაეკარგა, მახლობელთ მაინც უეჭველად ყოველ დღე გადააკითხვინებდა ქურნალ-გაზეთებს, მაშინ თითქოს სრულიად ავიწყდებოდა თავისი მძიმე ავადმყოფობა, გატაცებით ყურს უგდებდა, ლელავდა და შფოთავდა, როცა ისმენდა ჩვენი ქვეყნის სამწუხარო ამბებს“. სტატიის ავტორისათვის სიკვდილის წინ ხრამელაშვილს უთქვამს: „კაცო, როგორმე ხმა მიაწვდინეთ, რომ როგორც გოგებაშვილის სახელობაზედ დაარსებული ფონდი, აგრეთვე ხრამელაშვილის მიერ დატოვებული და სხვა ციდეე უნდა შეერთდეს და უნდა დაარსდეს ერთი ქართული საოსტატო სემინარია. რადგან ჩვენ არა გვეყავს ღირსეული სახალხო მასწავლებლები, ამიტომაც ღირსეულ სიმალღეზე ვერა დგანან ჩვენი სახალხო სკოლები. მე ამაზე პრესაში უკვე წამოვყენე გეგმისებური მოსაზრება და, ცოტათი თუ მოვლონიერდი, ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს კიდევ უფრო ვრცლად შევხებები“. ბოლოს შემომჩივლა: „გუშინ ყველანი სახლიდან გაერიდნენ საქმეზედ ნახევარ საათით, მარტო დავრჩი, გადავწვიდი გაზეთს და დავიწყე ხახანაშვილის გარდაცვალებაზედ წერილის კითხვა. მე და ის მეგობრებიც ვიყავით და ერთსა და იმავე წელს დაბადებულნიც. წერილის კითხვა ვერ გავათავე, ამივარდა ტირილი და რაც ჩემ დღეში არ განმიცდია, გალუცინაციაც დამემართა: აშკარად მესმოდა, რომ ხახანაშვილი მეძახდაო...“

როგორც განსვენებული ხახანაშვილი, ეგნატეც თითქოს გრძნობდა, რომ ხანგრძლივი სიცოცხლე არ ეწერა და გამუდმებულ შრომაში იყო გაბმული. რაც კი მასწავლებლობიდან თავისუფალი დრო რჩებოდა და,

თუ კრებაში არსად იღებდა მონაწილეობას, ერთავად მისჯდებოდა მაგი-  
დას და ან თავის სახელმძღვანელოებს, ან რაიმე ახალ შრომას იწყებდა.

ეგნატე ხრამელაშვილმავე პირველად გამოსცა ჩვენი „სახალხო გა-  
ზეთი“ და მიზნად ჰქონდა, რომ იგი როგორც შინაარსით, აგრეთვე ფა-  
სითაც (უწინ 2 კაპიკი ღირდა ნომერი) ხელმისაწვდომი ყოფილიყო მდა-  
ბიო, ხელმოკლე შკითხველისათვის, მაგრამ უსახსრობის გამო, ცოტა ხნის  
შემდეგ იძულებული იყო გაზეთი გადაეცა, თუმცა მუდამ ოცნებობდა,  
რომ ახლო მომავალში იაფფასიან გაზეთს ისევ აალორძინებდა“ (გ. ახალ-  
ციხელი, ეგნატე ხრამელაშვილი, გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ. 19  
აგვისტო, № 678).

ეგნატე ხრამელაშვილი სისტემატურად თანამშრომლობდა იმ დრო-  
ინდელ ქართულ პრესაში, განსაკუთრებით გაზეთებში „ცნობის ფურცე-  
ლი“, „სახალხო გაზეთი“ და ჟურნალში „განათლება“. თავის ნაშრომებ-  
ში ეგნატე ხრამელაშვილი ეხებოდა მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვ-  
რების მრავალ საკირბოროტო საკითხს: სახალხო განათლების მდგომარე-  
ობას, განსაკუთრებით სოფლად, ქართული წიგნის გამოცემასა და  
გავრცელებას, სოფლის მეურნეობის ამხანაგობის დაარსებას, ბანკისა  
და კოოპერაციის საკითხს.

განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის ეგნატე ხრამელა-  
შვილს ქართველი საზოგადოების წინაშე მის მიერ შედგენილი სახელმ-  
ძღვანელოებით: „არითმეტრიკულ ამოცანათა და რიცხვთა მაგალითების  
კრებული (მოკმედებათა შესწავლის მეთოდებით)“, რომლის პირველი ნა-  
წილი გამოქვეყნდა 1906 წელს, ხოლო მეორე ნაწილი—1907 წელს. ეს  
კრებულები სისტემატურად იბეჭდებოდა და გამოყენებული იყო საქარ-  
თველოს სკოლებში. ამ კრებულების მეექვსე გამოცემა გამოვიდა 1915  
წელს. ეგ. ხრამელაშვილის „არითმეტრიკულ ამოცანათა კრებულების“  
ორივე ნაწილი 1912 წლიდან მოწონებული და ნებადართული იყო კავ-  
კასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებ-  
ლად. ეგ. ხრამელაშვილის მიერ შედგენილ იქნა „არითმეტრიკის სახელმ-  
ძღვანელოც (ამოცანებით და რიცხვითი მაგალითებით)“, რომელიც პირ-  
ველად გამოიცა 1909 წელს, ხოლო მეორედ—1919 წელს. ამ სახელმძღვა-  
ნელოების უკანასკნელი გამოცემები (1912 წლიდან) ეკუთვნოდა „ქართ-  
ველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

ეგნატე ხრამელაშვილის არითმეტრიკის სახელმძღვანელოები შედა-  
რებით ორიგინალურად იყო შედგენილი და რამდენადმე აადვილებდა  
ამ საგნის სწავლებას ქართულ პირველდაწყებით სკოლებში.

„არითმეტრიკულ ამოცანათა და რიცხვითი მაგალითების კრებულის“  
წინასიტყვაობაში ეგ. ხრამელაშვილი შემდეგს აღნიშნავდა: „პირველდაწყე-  
ბითი არითმეტრიკის სწავლებაში ცნობილია: 1) რიცხვთა შესწავლისა და  
2) მოკმედებათა შესწავლის მეთოდი. ეს ორი უმთავრესი მეთოდი ერთ-  
მანეთისაგან პრინციპიალურად განსხვავდებიან.“

პირველი მეთოდის მიმდევარნი (გრუბე, ევტუშევსკი, პაულსონი და სხვ.) საჭიროდ სთვლიან 4-დან 100-დე ზედმიყოლებით ყველა რიცხვების შესწავლას. თანაც განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ რიცხვთა თვისებას, წარმოებას და შემადგენელ ნაწილებთან ყოველგვარ კომბინაციას.

მეორე მეთოდის მიმდევართ (გოლდენბურგს, შოხორ-ტროცკის, ეიტკოვს) ამ გვარი ვარჯიშობა 10-ის ზევით უსარგებლოდ მიაჩნიათ და სწავლების ცენტრი მოქმედებათა შესწავლაზე გადააქვთ. პირველი ათეულის ყოველმხრივ საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ ისინი ჯერ სრულ ათეულზე გადადიან, მერე ასეულის ყოველგვარ რიცხვებზე. სრულ ათეულებს იმავე მნიშვნელობით და წესით ასწავლიან, როგორითაც პირველ ათეულის ცალკე ერთეულებს.

მოქმედებათა შესწავლის მეთოდი უფრო რაციონალურად მიგვაჩნია და ამიტომ ჩვენ კრებულში ხსენებული მეთოდი შევიტანეთ, ხოლო შემდეგის განსხვავებით.

ქართულ ენაში ზებირ მრიცხველობა განსხვავდება წერიითი მრიცხველობისაგან. სხვა ენებში სწერენ და ზებირად მრიცხველობენ ათეულ ერთეულებით. ჩვენ ზებირს—ემრიცხველობთ ოცეულ ერთეულებით. ვწერთ—კი ათეულ ერთეულებით, მაგალითად, ვამბობთ, „ორმოცდა ხუთი, სამოცდა-თხუთმეტი“, ვწერთ 45 (ოთხ—ათ ხუთი), 75 (შვიდ—ათ ხუთი).

ამ მაგალითებიდან ჩანს, რიცხვთა წერა-გამოთქმისათვის ერთსა და იმავე დროს საჭიროა ანალიზი და სინტეზი: ანალიზი—როცა გვსურს ოცეულ ერთეულებით გამოთქმული რიცხვი ათეულებად დავშალოთ და ისე დავწეროთ, სინტეზი—როცა გვსურს ათეულ-ერთეულებით დაწერილი რიცხვი ოცეულებად გადავაქციოთ და ისე გამოვთქვათ. ასეთი განსაკუთრებითი თვისება ქართულის ენისა ცოტად თუ ბევრად აბრკოლებს საქმეს. დაბრკოლების დასაძლევად საჭიროდ დავინახეთ წიგნის მასალა დაგვენაწილებინა ასეთის სინამდვილობით:

შესწავლა: I პირველი ათეულისა, II პირველ ოცეულისა ათეულის საფუძველზე, III სრულ ოცეულ ათეულებისა, IV ყოველგვარ რიცხვებისა 100-ის საზღვარში.

ეს პირველ შეხედულებით ორიგინალური დანაწილება სასწავლო მასალისა გამოწვეულია, გარდა ზევით მოხსენებულ მიზეზისა, იმ მოსაზრებითაც, რომ ნორჩ მოსწავლეთა გონებისათვის სამძიმოდ მიგვაჩნია ერთეულებიდან უცებ ასეულზე გადასვლა. ფიქრობთ, ოცის შესწავლა შუა საფეხურად დაედება ერთეულ-ასეულის კიბეს.

... „კრებულში“ ოთხი მოქმედება ისწავლება არა ცალ-ცალკე, როგორც საზოგადოდ მიღებულია არსებულ არითმეტიკის კრებულებში, არამედ ორ ჯგუფად: პირველს შეადგენს შეკრება-გამოკლება, მეორეს გამრავლება-გაყოფა. გამოკლება და გაყოფა შეკრებისა და გამრავლების წინააღმდეგ მოქმედებებად იწოდება. შეკრებაში მოცემულია შესაკრები

რიცხვები, საძიებარია ჯამი; გამოკლებაში მოცემულია ჯამი, სამცირად წოდებული და ერთი შესაკრები მამცირად წოდებული, საძიებარია მეორე შესაკრები ან ნაშთი. აგრეთვე გამრავლებაში რაც საძიებარია—ნაწარმოები, ის გაყოფაში მოცემულია—გასაყოფი, წინააღმდეგი მოქმედებანი, ერთად შესწავლილი, ურთი-ერთ განმარტავენ, ურთი-ერთ შეავსებენ... პირადად ჩვენ უფრო სასარგებლოდ და რაციონალურად მიგვაჩნია ოთხი მოქმედების წყვილ-წყვილად შესწავლა, ვიდრე თვითეულისა ცალ-ცალკე. გარნა ეს ჩვენი მოსაზრება მეთოდის უკანასკნელ სიტყვად როდი მიგვაჩნია: მასწავლებლის შეხედულობასა და მის გამოცდილებაზე უნდა იყოს დამოკიდებული მოქმედებათა ამა თუ იმ წესის შეტანა სწავლებაში.

შესწავლა პირველი ათეულის ერთეულებისა და პირველი ასეულის სრულ ოცეულ-ათეულებისა თვალსაჩინოდ უნდა სწარმოებდეს კონკრეტულ საგნებზე, მაგალითად კენჭებზე, ჩხირებზე, ლილებზე და სხვ. დიდ დახმარებას გაუწევს ეგრედ წოდებული არითმეტიკული ყუთი და მეტადრე შედური საანგარიშო შჩოტი. უკანასკნელი სასწავლო იარაღი ქართულ სკოლისათვის უნდა გადაკეთდეს ზოგიერთის ცვლილებით: პირველ მათულზე უნდა აისხას ათი რგოლი, მეორეზე ამ ათის ტოლი ცილინდრი და შემდეგ ხუთ მათულზე ოცის ტოლი ცილინდრები, ხაზით შუაზე დაყოფილი“ („არითმეტიკულ ამოცანათა და რიცხვითი მაგალითების კრებული მოქმედებათა შესწავლის მეთოდებით, ნაწილი I მეორე გამოცემა, შედგენილი ეგნატე ხრამელაშვილის მიერ“, 1912 წ. I—II).

მიუხედავად ამ განმარტებითი ბარათისა, ამ სახელმძღვანელოებით არითმეტიკის სწავლებას ქართულ დაწყებით სკოლებში მაინც მოყვა ზოგი გაურკვეველობა და გამოაშკარავდა მისი როგორც ღირსება, ისე ნაკლოვანებანიც, რაც ჩანს რეცენზიებიდან.

ეგ. ხრამელაშვილის „არითმეტიკულ ამოცანათა და რიცხვითი მაგალითების კრების“ პირველი ნაწილი საფუძვლიანად გაარჩია გამოჩენილმა ქართველმა პედაგოგმა ლუარსაბ ბოცვაძემ (ფსევდონიმით ლასბანი) ჟურნალ „განათლებაში“ 1908 წელს. ლ. ბოცვაძე მიუთითებს როგორც დადებით მხარეებზე, ასევე ზოგიერთ შეცდომებსა და სადავო საკითხებზე. იგი აღნიშნავს, რომ „ამ საგნის შესახებ ჩვენს მწერლობაში ჯერ აზრი არავის გამოუთქვამს, თუმცაღა საგანი, რომელსაც ხსენებული წიგნი იპყრობს, ყველა სკოლებისათვის საყურადღებოა და იმის სწავლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვების გონების განვითარების საქმეში“. ლ. ბოცვაძის აზრით ეგ. ხრამელაშვილის ამ წიგნის უმთავრეს ნაკლოვანებას შეადგენს შემდეგი: „ბ-ნი ხრამელაშვილი, ჩვენი აზრით, თავდაპირველად იძლევა მცირე რიცხვს თვალსაჩინოდ და ყოველმხრით ზეპირ ვარჯიშობის საგანზე, ძლიერ ადრე გადადის რიცხვით მაგალითებზე და საზოგადოდ ციფრებზე. სრულიად მეტ ბარგად მიგვაჩნია კრებულში ის მასალები, რომელთაც სათაურად უზის: „დაიხსოვნეთ“,

მომეტებულად რომელნიც ითხოვენ რიცხვის შედგენილობას. წიგნი მოწაფეებს პირდაპირ ეუბნება რიცხვების შედგენილობას და მოწაფეებს ავალებს ამ შედგენილობათა დახსოვნებას, მაშინ როდესაც საკმაო თვალსაჩინო სავარჯიშოებით მოწაფეები ისედაც აღიბეჭდავენ გონებაში ამა თუ იმ რიცხვის შემადგენელ ნაწილებს და თავს დააღწევენ იმ მომაბეზრებელ სავარჯიშოებს, რომელსაც სამართლიანად უწუნებენ ევტუშევსკის. როდესაც ციფრების წერასა და წაკითხვას ასწავლიან მოწაფეებს, თავდაპირველად უსათუოდ უნდა იხმარონ ისეთი ხერხი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოუდგენს მოწაფეებს, რომ ციფრი არის ნიშანი მიღებული საგნების რაოდენობის ილსანიშნავად. ამ აზრს დღეს საკმაოდ ახორციელებენ ელემენტარული არითმეტიკის სახელმძღვანელოს შემდგენლები, მომეტებულად მოწინავე განათლებულს ქვეყნებში, სადაც დასაწყისი არითმეტიკის სწავლების დროს აუცილებლად თვალსაჩინოებას საკმაო ადგილი აქვს დათმობილი თვით სახელმძღვანელო წიგნებშიაც;... ბ-ნი ხრამელაშვილის კრებული კი მოკლებულია ამას.

საზოგადო რიცხვი ამოცანებისა ხრამელაშვილის კრებულში შეგვიძლია საკმარისად ჩავთვალოთ, მხოლოდ რაც შეეხება ამოცანებში რიცხვების შეფარდებას მეტ-ნაკლებობის მიხედვით, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სავარჯიშოს კრებულში ჯეროვანი ყურადღება არ აქვს მიქცეული. იწყება ძლიერ ადრე, თითქმის პირველი გაკვეთილიდანვე, მაგრამ ბოლომდის ისეა გატარებული, რომ ამ შეფარდებას რიცხვებისას მოწაფეები ძნელად თუ შეიგნებენ საფუძვლიანად. რიცხვების შედარება ერთი საძნელო სავარჯიშოთაგანია პატარა ბავშვებისათვის, ამიტომ ელემენტარული არითმეტიკის საუკეთესო სახელმძღვანელოებში ამისათვის ცალკე სავარჯიშოებია გამოყოფილი და ამას გარდა ცდილობენ მოწაფე თავიდანვე მიაჩვიონ არითმეტიკული აზროვნების შეგნებას და გამოთქმას, რაც კი იხმარება ყოველს მოქმედებაში. ყურადღების ღირსია აგრეთვე სავარჯიშოები სწრაფი ანგარიშის შესახებ, რომელნიც ხრამელაშვილის კრებულში სრულიად არ ჩანან... ცნობილია, რომ ჩვენი სიტყვიერი მრიცხველობა ოცეულ ერთეულობაზეა დამყარებული, ბ-ნი ხრამელაშვილი ცდილობს ეს სიტყვიერი მრიცხველობა ათეულ მრიცხველობაზე ჩამოიყვანოს და წესით მრიცხველობას შეუფარდოს. ეს მოსაზრება, რასაკვირველია, კეთილი და პატიოსანია. მაგრამ, ჩვენ გვგონია, რომ ამ მიზანს კრებულის ავტორი უფრო ადვილად მიაღწევდა მაშინ, როდესაც პირველი ათეულის საფუძველზედ შესწავლის შემდეგ მოწაფეებისათვის მიეწოდებინა სავარჯიშოები პირდაპირ ათეულებზე. ამ სავარჯიშოებით, უეჭველია, პატარა მოწაფეები უფრო ცხადად წარმოიდგენენ ათეულების წინაშე ნელობას მრიცხველების დროს.

ბ-ნი ხრამელაშვილი თავის კრებულში ყურადღებას აქცევს ტიპიურ ამოცანებს და ითხოვს მოწაფეებისაგან მსგავსი ამოცანების მოგონებას. ერთსაც და მეორესაც საფუძველი აქვს—თუ მოწაფემ სავსებით შეიგნო

რომელიმე ტიპიური ამოცანა — იმის მსგავსი ამოცანის მოგონებაც არ გაუძნელდება და ეს მოგონებაც სრულს საფუძველს გვაძლევს შევიტყოთ თუ რამდენად საფუძვლიანად შეუგვნია მოწაფეს ტიპიური ამოცანა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბ-ნ ხრამელაშვილს ეს ტიპიური ამოცანები არა აქვს ცალკე გამოყოფილი, ისინი არეულია თითო-ოროლა სხვა ამოცანათა შორის. მართალია, ბოლოში ცდილობს ტიპიური ამოცანების გამოყოფას, მაგრამ აქაც არ არის დაცული თანდათანობა და ადვილიდან ძნელზე გადასვლის წესი... ბ-ნი ხრამელაშვილის „კრებულში“ მოყვანილი ნაწევრები მოკლებულია იმ ცოცხალ თვალსაჩინოებას, რომელიც შეადგენს სულსა და გულს ყველა საგნის სწავლებისას. ხაზების საშუალებით ნაწევრების შესწავლა დახაესებული მეთოდია და იგი ვერც გაუწევეს საგნის შეგნებით შესწავლას სასურველს სამსახურს“ (ეურნ. „განათლება“, 1909 წ. გვ. 179, 180, 181) და სხვ.

ლ. ბოცვაძე ეგ. ხრამელაშვილის დასახელებულ სახელმძღვანელოს აძლევს შემდეგ საბოლოო შეფასებას: „მიუხედავად ზემოთ მოყვანილი ნაკლოვანებებისა, ბ-ნ ხრამელაშვილის „კრებულს“ ზოგი ღირსებაც აქვს — მაგ. მოქმედებათა შესწავლა, საკმარისი სავარჯიშოები, რიცხვითი მაგალითები და წესი მათი გამოანგარიშებისა, შედარებითი შესწავლა მოქმედებათა, ზომებისა და საწყაოებისა. ზოგიერთ ამოცანებს, ალებულს ხალხის ცხოვრებიდან, პრაქტიკული ხასიათიცა აქვს, ქართულ ენაზე არსებულ სახელმძღვანელოებთან და ბევოს ამ გვარ რუსულ სახელმძღვანელოებთან შედარებითაც ბ-ნი ხრამელაშვილის „კრებული“ უკეთესია, კარგი გამოცემა და ფასიც (20 კ.) ძვირი არ არის“ (იქვე, გვ. 181—182).

ეგ. ხრამელაშვილმა თავის სახელმძღვანელოს შემდეგ გამოცემაში გაითვალისწინა ლ. ბოცვაძის ზოგი შენიშვნა, მაგრამ სახელმძღვანელოს არსებითი გარდაქმნა-გადამუშავება მაინც ვერ მოახერხა. ამის გამო კრიტიკული შენიშვნები მისი სახელმძღვანელოების შესახებ შემდეგშიც იბეჭდებოდა პრესაში. ამ მხრივ ყველაზე უფრო საყურადღებოა დ. ქადაგიძის რეცენზია (იხ. ეურნალი „განათლება“, 1911 წ., № 2, გვ. 110—115). დ. ქადაგიძის ამ რეცენზიას ეგ. ხრამელაშვილმა უპასუხა ამავე ეურნალში წერილით „პასუხად დ. ქადაგიძეს“ (იხ. ეურნ. „განათლება“, 1911 წ. № 5, გვ. 304—307 და № 6, გვ. 356—358). რეცენზენტმა უპასუხა ავტორს ვრცელი წერილით „ე. ხრამელაშვილის პასუხის პასუხად“ (ეურნ. „განათლება“, 1911 წ., № 6, გვ. 359—368). ამ წერილებში აღნიშნული იყო დაწვრილებით ეგ. ხრამელაშვილის სახელმძღვანელოების ღირსება-ნაკლოვანებანი, თუმცა რეცენზენტ დ. ქადაგიძეს ზოგჯერ აშკარა გადაპარბება ეტყობოდა. ამიტომ სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი წერილში „არხენინად ბრძანდებოდეთ“, რომ ეგ. ხრამელაშვილის არითმეტიკის სახელმძღვანელოები ძირითადად მაინც ამართლებდნენ თავის დანიშნულებასო: „არითმეტიკაც შეგვიდგინა თუნდა ექვსმა ავტორმა, რომელთა შორის



ბ-ნი ხრამელაშვილის ნაშრომი, ორ წიგნად გამოსული უკანასკნელ წლებში, პირნათლად გამოვიდა თვით სასტიკი კრიტიკის წინაშე“ (ი. გოგებაშვილი, „არხეინად ბრძანდებოდეთ“, „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. № 208).

### ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ლ ი ა

I. ვგ. ხრამელაშვილი, არითმეტიკულ ამოცანათა და რიცხვითი მაგალითების კრებული (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით), პირველდაწყებითი სკოლებისათვის ნაწ. 1, თბილისი, 1906 წ. იგივე, ნაწილი მეორე, თბილისი, 1907 წ., არითმეტიკის სახელმძღვანელო; ამოცანებით და რიცხვითი მაგალითებით, თბილისი, 1907 წ., არითმეტიკულ ამოცანათა და რიცხვითი მაგალითების კრებული (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით), ნაწ. 1, მეორე გამოცემა, 1909 წ. იგივე, მესამე შეესებული გამოცემა, თბილისი, 1911, იგივე, მეოთხე გამოცემა 1912 წ. იგივე, ნაწილი მეორე, მეორე შეესებული-შესწორებული გამოცემა, 1912 წ. იგივე, ნაწილი პირველი, მეხუთე გამოცემა, თბილისი, 1914 წ. იგივე, ნაწილი პირველი, მეექვსე გამოცემა, 1915 წ. არითმეტიკის სახელმძღვანელო გამოცენებით და რიცხვითი მაგალითებით, მეორე გამოცემა, თბილისი, 1919 წ. პასუხად დაკადაგიძეს (ჟურნ. „განათლება“, 1911 წ., № 5, გვ. 304—307 და № 6, გვ. 356—358) და სხვ.

II. ლ. ბოცვაძე, ვგ. ხრამელაშვილის „არითმეტიკულ ამოცანათა და რიცხვითი მაგალითების კრებული, ნაწილი 1“ (რეცენზია), (ჟურნ. „განათლება“, 1918 წ. № 1 გვ. 179—181), დ. ქადაგიძე, ვ. ხრამელაშვილი „არითმეტიკის სახელმძღვანელო ამოცანებითა და რიცხვითი მაგალითებით“ (რეცენზია), (ჟურნ. „განათლება“, 1911 წ. № 2, გვ. 110—115) მისივე, ხრამელაშვილის პასუხის პასუხად (ჟურნ. „განათლება“, 1911 წ. № 6, გვ. 359—368).

იაკობ გოგუბაშვილი, არხეინად ბრძანდებოდეთ („სახალხო გაზეთი“, 1911 წ. № 208),

გახალციხელი, ვგ. ხრამელაშვილი (ნეკროლოგის მაგიერ), გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ. № 678),

ორი სიკვდილი (გაზ. „თემი“, 1912 წ. № 85).





აღეხანდრა მიქაბერიძე  
(1866—1943)

ცნობილი პედაგოგი და ლიტერატორი აღეხანდრე მიქაბერიძე დაიბადა სოფ. ყუმისთავში (წყალტუბოს რ-ნი) 1866 წ.

თავის „მოგონებებში იაკობ გოგებაშვილზე“, რომელიც აღ. მიქაბერიძემ 1939 წელს დასწერა, მისი ბავშვობის პერიოდთან დაკავშირებით, შემდეგს ვკითხულობთ: „ორი წლის განმავლობაში, როგორც ამჟამად მაგონდება, ეს წიგნი („დედა-ენა“) დავსძლიე. დიდი აღტაცებით ვკითხულობდი ამ წიგნში მოთავსებულ პატარ-პატარა ამბებს და ლექსებს. წიგნში დართული სურათები ძალიან მომწონდა და ხშირად ვათვალიერებდი... ლექსთა შორის განსაკუთრებით რატომღაც სოლოღას შესახებ ლექსი მომწონდა. ეს შედარებით მოზრდილი ლექსი თავიდან ბოლომდე ზეპირად შევისწავლე... დედაჩემი, როცა სოლოღას ლექსს ჩემებურად „ჩაეუბნებულე“, გულში მაგრად ჩამიკრავდა და აღერსიანად მეტყოდა ხოლმე: „ჩემო სიხარულო, გენაცვალოს დედაშენი! თუ

ბეჯითად და კარგად ისწავლი, დიდი ნასწავლი კაცი გამოხვალო“. მართალია, დედაჩემის ეს იმედი ჩემმა მომავალმა ცხოვრებამ ვერ გაამართლა, მე ვერც დიდი ნასწავლი და ვერც დიდი კაცი გამოვედი ცხოვრებაში, მაგრამ დედაჩემის ეს ტკბილი ალერსი დღესაც, ამ სამოცი წლის შემდეგ, ყურთა სმენას მიტკბობს და სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, როცა ჩემმა მასწავლებელმა პირველად მომცა ხელში იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“, რომელმაც სამშობლო ენის სიტკბოება ყურში სათუთად ჩამაწვეთა და ბავშვობიდანვე გულში ღრმად ჩამინერგა სამშობლოს სიყვარული და პატივისცემა“ („მოგონებები“ დატულია საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმში, № 137).

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე მიქაბერიძე უმაღლესი განათლების მისაღებად პოლონეთში გაემგზავრა და წარმატებით დაასრულა ვარშავის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პირველ ხანებში ქ. განჯაში მსახურობდა. ამ პერიოდიდან იწყება მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა: ჯერ კორესპონდენციების, შემდეგ კი საფუძვლიანი სტატიების გამოქვეყნებით.

აღ. მიქაბერიძეს კარგად ესმოდა, რომ სამშობლოსა და ხალხისადმი სიყვარული მარტო სიტყვებით ვერ დამტკიცდებოდა. საჭირო იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში მხურვალე მონაწილეობის მიღება და მოწინავე იდეებისათვის ბრძოლა.

„კვალს“ 1896 წლის 46-ე ნომერში ის „ცრუქართველების“ მისამართით წერდა: „სამწუხარო და სავალალო ისაა, რომ ზოგიერთი ხალხის გულშემატკივარი“ პირები ჩვენში ფარნით საძებნელია, მაშინ, როდესაც უმაღლესათ კურსდამთავრებულნი ქართველებს არა ერთი და ორი ჰყავთ... ავიღოთ, მაგალითისათვის, თუნდ ჩვენი საზოგადოების ის პირები, რომლებიც პრაქტიკული თუ თეორიული მოღვაწეობით სწავლავანათლების საქმეს ემსახურებიან ჩვენში, ანუ უკეთ ვთქვათ, უნდა ემსახურებოდნენ. ვინ არიან ამ ეკლიან ასპარეზზე თავდადებულნი მოღვაწენი, ვის გაუთბია ქართველი მოწაფის გული რომელიმე საგნის სამშობლო ენაზე შეთვისებით? ყველას, გიპასუხებთ, მხოლოდ მათ კი არა, ვისაც უფრო მეტი მოეთხოვებათ... დროა, ჩემი ფიქრით ყველა ჩვენი საზოგადოების პროფესიის პირმა თვალი გაახილოს, დროა თითოეულმა ჩვენგანმა თავიანთი წვლილი შეიტანოს იმ საზოგადო საღაროში, რომელსაც ერის გონების განვითარების საქმეს ეძახიან; დროა თითოეულმა ქართველმა ის აზრი შეიგნოს და შეისისხლხორცოს, რომ ყოველივე ერის წინმსვლელობის საქმე მჭიდროთ არის დაკავშირებული ამავე ერის გონებრივ განვითარებასთან“ (გვ. 818).

თავის პირად ცხოვრებაში აღ. მიქაბერიძე ყოველთვის უინგაროდ ახორციელებდა ამ შეხედულებას. პრესაში მონაწილეობით, ჯერ თბილისის ქართულ და შემდეგ ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში მასწავლებლო-

ბით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში ნაყოფიერი მუშაობით, ქართულ საბავშვო ეჟრნალებში აქტიური მონაწილეობით მან შესძლო ჩვენი მოწინავე საზოგადოების პატივისცემისა და სიყვარულის დამსახურება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი საქმიანობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, სადაც ის ცნობილი საზოგადო მოღვაწის დ. კარიჭაშვილის შემდეგ მდივნად აირჩიეს. აღ. მიქაბერიძეს აუსრულდა დიდი ხნის ნატვრა. მას შესაძლებლობა მიეცა იაკობ გოგებაშვილის არა მარტო გაცნობისა, არამედ მასთან მეგობრობისა და ერთად მუშაობისა. თუ რა დიდი სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობდა „დედა-ენის“ დაუვიწყარი შემდგენელი, კარგად გადმოგვცემს აღ. მიქაბერიძის მოგონების ერთი ნაწყვეტი. „ვინ მოსთვლის, ჩემი ბავშვობის დროს, რამდენჯერ მიხატრია,—წერს ის,—ეს ჩვენი დიდი მასწავლებელი და მეგობარი, ეს ჩვენი დიდ მოამაგე, ჩემი საყვარელი „დედა-ენის“ შემდგენელი ერთხელ მიხატე მაჩვენა-მეთქი. ...გიმნაზიასა და უნივერსიტეტში სწავლის დროს ხშირად ვკითხულობდი ქართულ გაზეთებში იაკობ გოგებაშვილის საყურადღებო წერილებს და სიამოვნებით ვიგონებდი ჩემი ბავშვობის იმ ხანას, როცა „დედა-ენის“ ავტორის ნახვისა და გაცნობის სურვილი ასე რიგად მოსვენებას არ მაძლევდა“.

ი. გოგებაშვილის წინადადებით აღ. მიქაბერიძეს სხვებთან ერთად ხშირად შეუმოწმებია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები და თავისი საქმიანი, გონივრული რჩევა-წინადადებებით სკოლებში პედაგოგიური მუშაობა სწორ გზაზე დაუყენებია. იგი თავგამოდებით იბრძოდა უხამსი „მუნჯური“ მეთოდის წინააღმდეგ. ამ მეთოდის უვარგისობის შესახებ, რომლის გამოყენება სკოლაში ხშირად სასაცილო მდგომარეობაში აყენებდა როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს, ბევრჯერ დაწერილა, მაგრამ არა გვგონია ვინმეს ისე მკაფიოდ დაეხატოს „მუნჯური“ მეთოდით ჩატარებული გაკვეთილის სურათი, როგორც ეს მოგვცა აღ. მიქაბერიძემ თავის „მოგონებებში იაკობ გოგებაშვილზე“.

ამ მეთოდის მახინჯი მხარე ის იყო, რომ არამშობლიური ენის შესწავლის დროს მასწავლებლები გაუბოდიშნენ მოსწავლეთათვის მშობლიურ ენაზე აეხსნათ ცნობები და დაესახელებნათ საგნები. ამის ნაცვლად თვალსაჩინოებას იყენებდნენ, რომელიც ძლიერ თავისებურად ესმოდათ და სავალალო და სასაცილო შედეგს ღებულობდნენ.

900-იანი წლების დასაწყისში იაკ. გოგებაშვილმა და აღ. მიქაბერიძემ ახალსენაკის სასულიერო სასწავლებლის შემოწმება მოახდინეს. სასწავლებელში მუშაობდნენ ცნობილი პედაგოგები ვასილ ბარნოვი, ამბრ. ხელაშვილი, ქრისტ. უღრელიძე, ნიკო ქარაია, ნიკო თუთბერიძე და სხვა, რომლებმაც თავიანთი ენერგიული და გონივრული პედაგოგიური მუშაო-

ბით სწავლა-აღზრდის საქმეში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს. ამ სასწავლებელს ქართული საზოგადოების დიდი თანაგრძნობა ჰქონდა მოპოვებული. ი. გოგებაშვილის და ალ. მიქაბერიძის ახალსენაკში ჩასვლას და სასწავლებლის შემოწმებასაც მიზნად ჰქონდა სკოლის შემდგომი მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესება.

ამავე დროს ახალსენაკში მთავრობას გახსნილი ჰქონდა ე. წ. „ნორმალური სასწავლებელი“. „ყველა საგნების, სწავლება რუსული ენის საშუალებით წარმოებდა. რუსული ენის სწავლების დროს მასწავლებელი ვალდებული იყო მთლიანად გამოეყენებინა ეგრეთწოდებული მუხჯური მეთოდი, ანუ როგორც იმჟამად ეძახდნენ ამ მეთოდს, „ბუნებრივი მეთოდი“ („მოგონებები“, გვ. 125).

ახალსენაკის „ნორმალური სასწავლებლის“ გამგედ იყო ერთ-ერთი გადაგვარებული მასწავლებელი. როდესაც გაუგია ახალსენაკში ი. გოგებაშვილის და ალ. მიქაბერიძის ჩასვლა, მას ისინი თავის სასწავლებელში მიუწვევია და უთხოვნია ჩემს გაკვეთილებს დაესწარიო. მიუხედავად იმისა, რომ ი. გოგებაშვილს არ სურდა ნორმალური სასწავლებლის დათვალიერება, მაინც შემდეგ დათანხმებულა და დასწრებია გამგის გაკვეთილს. აი, როგორ აგვიწერს ამ გაკვეთილს ალ. მიქაბერიძე:

„მისაღმების შემდეგ თავისუფლად ამოვისუნთქეთ. მასწავლებელი სკამზე ჩამოჯდა და ბავშვებს ჰკითხა:

— რას აკეთებს მასწავლებელი?

— მასწავლებელი სკამზე ზის!— გუნდად უპასუხეს მოწაფეებმა.

მასწავლებელი ფეხზე წამოდგა.— ახლა რას აკეთებს მასწავლებელი?

— მასწავლებელი ფეხზე დგას.

მასწავლებელი ფანჯარას მიადგება და სასწავლებლის ეზოში იყურება.

— რას აკეთებს მასწავლებელი?

— მასწავლებელი ფანჯარასთან დგას.

მასწავლებელი მერხების წინ დაფენილ კილოფზე წეება, თვალებს ხუკავს, ვითომ მძინავს და ხმამალა ზერინავს. შემდეგ მოსდევს კითხვა:

— რას აკეთებს მასწავლებელი.

— მასწავლებელი კილოფზე წეეს.

— კიდევ რას აკეთებს?

— მასწავლებელს ძინავს.

— ძილში მასწავლებელი რას აკეთებს?

— ძილში მასწავლებელი ზერინავს.

ბ-ნი ე. ამის შემდეგ ერთბაშად იმღერის, იციანის, ცეკვავს, ხტუნავს, ტირის და თვითულ ამ მოკმედების დროს მოწაფეებს ეკითხება, ახლა მასწავლებელი რას აკეთებს? მოწაფეები გუნდად უპასუხებენ— მასწავლებელი მღერის, იციანის, ცეკვავს, ხტუნავს და სხვ.

ამრიგად, როცა ბ-ნმა ე-მ წინასწარ დამუშავებული მასალა მთლიანად ამოწურა, იგი მიუბრუნდა მოწაფეებს და უთხრა: აბა, ბავშვებო, ყური დამიგდეთ, ახალ მასალას აგისნით და, რაც გასწავლოთ, კარგად დაიმახსოვრეთ.

სწავლების საქმეში მეტად დაბელოვებულმა მასწავლებელმა კედლიდან ჩამოიღო დიდი სურათი, რომელზედაც დახატული იყო ქათამი, მოწაფეებს აჩვენა და სამჯერ გარკვევით გაიმეორა: „ამ სურათზე დახატულია ქათამი“.

მასწავლებელი შედგა მერხების წინ დაფენილ კილოფზე, ჩაცუკდა და ვითომ ქათამი ვარო, ხელები ქათმის მხრებივით მოიმარჯვა, კისერი დაიჭრებოდა და ქათმის მსგავსად აკაქანდა.

— ბავშვებო, კილოფზე შემდგარი ქათამი აკაქანებს.—სამჯერ გარკვევით გაუმეორა მოწაფეებს.

— აბა, ახლა მითხარით, სად დგას ქათამი?

— ქათამი კილოფზე დგას.

— რას აკეთებს ქათამი კილოფზე?

— ქათამი კილოფზე აკაქანებს.

ამ ინსტენირების შემდეგ ბ-ნმა ე-მ ხელები უკან მიიბრუნა, საჯდომზე მოიმარჯვა, მცირე ხანს აკაქანი მორათო და მარჯვენა ხელში დაჭერილი კვერცი მოწაფეებს აჩვენა.

— აი, ბავშვებო, ჩვენმა ქათამმა კვერცი დასდო—გაიმეორეთ გუნდად.

— ჩვენმა ქათამმა კვერცი დასდო—უპასუხეს მოწაფეებმა.

როცა ბ-ნი ე. ამ აკაქანა და კვერცხის ხელოვნურად დადებას მორჩა და დარწმუნდა, რომ მოწაფეებმა ყოველივე მის მიერ განმარტებული ახალი ცნება საკმარისად შეითვისეს, კედლიდან მგორე სურათი ჩამოიღო, რომელზედაც საუკეთესო ჯიშის ღორი იყო დახატული...

— ბავშვებო, ამ სურათზე დახატულია ღორი. აბა, გაიმეორეთ!

— ამ სურათზე დახატულია ღორი—უპასუხეს მოწაფეებმა.

მასწავლებელი გაიშოტა იატაკზე დაფენილ კილოფზე, ხელები ღორის წინა ფეხებივით მოიმარჯვა, ფეხები ღორის უკანა ფეხებივით შემოიკრიბა, თავი ხელებზე ჩამოსდო.

— ბავშვებო, წარმოიდგინეთ, რომ მე ვითომ ღორი ვარ. ყური დამიგდეთ! კილოფზე გაშოტილმა მასწავლებელმა დაიწყო ღორივით ღრუტუნა.

— აი, ბავშვებო, ღორი ღრუტუნებს, ღორი ღრუტუნებს. გაიმეორეთ!

მოწაფეებიც იმეორებდნენ: ღორი ღრუტუნებს, ღორი ღრუტუნებს.

— აბა, ახლა მითხარით ვინ წევს კილოფზე?—შეეკითხა მასწავლებელი მოწაფეებს.

— კილოფზე წევს ღორი—უპასუხეს მათ.

— კეთილი! რას აკეთებს ღორი?

— ღორი ღრუტუნებს.

სწორედ იმ დროს, როცა ჩვენი პესტალოცი კილოფზე იყო გაშოტილი და ღორივით ღრუტუნებდა და თან მოწაფეებს შეკითხვებს აძლევდა, სასწავლებლის შენობის დერეფნიდან ხარის ხმა გაისმა.

ბ-ნმა ე-მ სასწავლებლის ეზოს კარებამდე თავახიანად მიგვაცილა. გამოსალმებისას მან მორიდებით თხოვა იაკობ გოგებაშვილს თავისი ახრი გამოეთქვა მოწაფეთა წარმატების შესახებ.

იაკობმა გამოთხოვებისას მასწავლებელს ღიმილით ხელი გაუწოდა და უთხრა: „აბა, რა უნდა გითხრათ! თქვენ ეშმაკებს ჩაუგდინხართ ხელში და მათ სასარგებლოდ იყენებთ მთელ თქვენს პედაგოგიურ ნიჭსა და გამოცდილებას. ეშმაკების მიერ ხელფეხ შებოკილს ზურგი შეგიქცევიათ ყოველივე იმისათვის, რაც ქვემარტ პედაგოგიურ მეცნიერებას დღემდე გამოუმუშავებია. მთელ თქვენს აზრსა და გონებას ეშმაკები დაუფლებიან. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ქართველი ხალხი თავის დროზე, და ეს დრო არც ისე შორსაა, სამართლიან მსჯავრს დასდებს თქვენს აწინდელ მოღვაწეობას“ (გვ. 132).

აი ასეთი მეთოდით ასწავლიდნენ რუსიფიკატორი უნიკო მასწავლებლები მოსწავლეებს და, ცხადია, თუ რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა მას. სკოლაში რამდენიმე ხნის სიარულის შემდეგ ბავშვები სწავლას

თავს ანებებდნენ და მთავრობის ერთგული დამქაშები ამას „ადგილობრივი მცხოვრებლების უნიჭობით და მოუნდომებლობით ხსნიდნენ“.

1901 წლის ოქტომბერში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებაზე დაისვა საკითხი ბათუმის სკოლაში მესამე მასწავლებლის შესახებ. რადგანაც მესამე მასწავლებლის შესახებ საშუალება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას არ გააჩნდა, ამიტომ ზოგიერთმა გამოსთქვა აზრი სკოლაში სწავლის ქირის შემოღების შესახებ. ამ საკითხს ვრცლად გამოეხმაურა ა. ყუმისთაველი (მიქაბერიძე), რომელიც „ივერიაში“ (1901 წ. № 261) წერდა: „ბათუმის სკოლაში სწავლის ფულის შემოღება დიდი უსამართლობა იქნება ჯერ იმიტომ, რომ ეს სკოლა ღარიბთათვისაა დაარსებული და გადასახადის შემოღება ძირითადი პრინციპის უარყოფა იქნება; და მერე ნუ დაივიწყებთ, რომ ეს სკოლა ჯერჯერობით განსაკუთრებულს პირობებშია. მისი თავი და თავი დანიშნულება ის არის, რომ ქართველი მაჰმადიანები მოიზიდოს და მათი შვილები თავის მოწაფეებად გაიხადოს, ხოლო უკეთეს სწავლის ფულს შემოვიღებთ, მაჰმადიანებს ჩვენ სკოლას მოვაშორებთ, და ეს გარემოება კი, ვგონებ, არაივისათვის სასურველი არ იქნება“.

მთელ რიგ თავის წერილებში ალ. მიქაბერიძე სასტიკად აკრიტიკებდა ძველ საშუალო სასწავლებლებში გამეფებულ სულისშემბუთველ ატმოსფეროს. მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის არსებული განხეთქილება, რასაც ხშირად მოსწავლე თვითმკვლევლობამდე მიჰყავდა, ან ბიუროკრატი-მასწავლებლის ფიზიკურ შეურაცყოფას იწვევდა, დამლუპველად მოქმედებდა ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეზე. ალ. მიქაბერიძე იბრძოდა ისეთი მასწავლებლების წინააღმდეგ, რომელნიც თავის მოვალეობას უსულგულოდ და თითქოს ძალდატანებით ასრულებდნენ და გაკვეთილების ჩატარების შემდეგ სრულიად არ ახსოვდათ ის თაობა, რომლის აღზრდაც მათზე იყო დამოკიდებული. ის ვერ ურიგდებოდა აგრეთვე შიშზე დამყარებულ დისციპლინას და მოწინავე პედაგოგებთან ერთად მხურვალედ მოითხოვდა საშუალო სკოლის რადიკალურ რეფორმას.

ამ საკითხს უძღვნა ალ. მიქაბერიძემ ფრიად საყურადღებო წერილი „საშუალო სკოლის რეფორმის გამო“ („ივერია“, 1902 წ. № 44). ავტორი მკაფიოდ ახასიათებს ძველი სკოლის უარყოფით მხარეებს და გაბედულად სვამს საკითხს სწავლა-აღზრდის მოძველებული და მიუღებელი სისტემის შეცვლისა და გარდაქმნის შესახებ. „ხანგრძლივმა გამოცდილებამ ყველანი საკმაოდ დაარწმუნა, — წერს სტატიის ავტორი, — რომ აწინდელი საშუალო სკოლა ორ მოპირდაპირე ბანაკად არის განაწილებული. ცალმხრივ მოსწავლენი და ცალმხრივ მასწავლებლები, და მათ შორის — არაერთი სულიერი კავშირი. მასწავლებელი ერთობ ფორმალურ ნიადაგზე ამყარებს თავის მოღვაწეობას, ფორმალური კანონებით



ბელმძღვანელობს და ამის გამო შეგირდების სულისა და გულის ვითარება ვერ შეუგნია. შეგირდიც ერიდება მასწავლებელს, ვერ ამცნებს მას თავის გულის ნაღებს, თავის მწუხარებასა და სიხარულს. მასწავლებელი იცნობს მხოლოდ კლასს, შეგირდების კრებულს და გარეშე გაკვეთილებისა არაფრით არაა დაკავშირებული სკოლასთან, შეგირდებსა და მასწავლებლებს შორის გაკვეთილების გათავებისთანავე ყოველი დამოკიდებულება სწყდება. ასეთი ურთიერთ შორის გულგრილობის გამო მასწავლებელი სრულიად უგულვებელს ჰყოფს შეგირდის ინდივიდუალურს თვისებას, ხოლო თვითგულის შეგირდის თვისების ცოდნა აუცილებლად საჭიროა მასწავლებლისათვის, რომელსაც სურს ნაყოფიერი სწავლა“.

იგი მოითხოვს, „მთელი სკოლის ცხოვრება მასწავლებელთა თვალწინ იშლებოდეს, მასწავლებლის მოვალეობა მარტო გაკვეთილების მიცემით კი არ ისაზღვრებოდეს, არამედ მუდამ ეამს შეგირდებში უნდა ტრიალებდეს როგორც მასწავლებლის, ისე აღმზრდელის სახით. ასე ერთმანეთს დაახლოებული შეგირდი და მასწავლებელი ერთმანეთს უფრო გაიცნობენ და მათ შორის დამკვიდრდება მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ასე სანატრელია დღევანდელი საშუალო სკოლისათვის“.

ამავე საკითხებს ა. მიქაბერიძე სხვა წერილებშიაც ეხებოდა. „საშუალო სასწავლებლის ნორმალური მდგომარეობა ამჟამად ყველასათვის ცხადია, აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც საზოგადოება დრტვინავს, უკმაყოფილებას აცხადებს, მაგრამ საქმის კეთილად მოწყობას არა ეშველა რა. საშუალო სასწავლებლების ნორმალურად მოწყობას მრავალი სოციალური და პოლიტიკური პირობები უშლის ხელს და ჯერ კიდევ დიდი დრო არის საჭირო, რომ სასურველად მოეგვაროს,“ — წერდა ალ. მიქაბერიძე 1911 წლის ჟურნ. „განათლებაში“ (№ 9, გვ. 533).

ერთ-ერთ დიდ ხარვეზად სკოლების მუშაობაში მას მიაჩნდა უცხო ენების სწავლების ჩამორჩენა. „მე-18 საუკუნის გასულს, — აღნიშნავდა წერილის ავტორი, — საერო განათლების სამინისტროს აზრად ჰქონდა დასახული, რომ გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს უცხო ენებზედ ლაპარაკი შესძლებოდათ. საშუალო სასწავლებლებში იმჟამად უმრავლესად თავად-აზნაურების შვილები სწავლობდნენ და ამიტომ საზოგადოების და სამინისტროს სურვილი იყო, რომ სახელმწიფოს „წარჩინებულ“ წოდების შვილებს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ „სალონებში მოხერხებულად ელაპარაკნათ“ ფრანგულად და გერმანულად. ტოლსტოისა და დელიანოვის მინისტრობის დროს უცხო ენების სწავლება საშუალო სასწავლებლებში ეგრეთწოდებული „გრამატიკული მეთოდის“ საშუალებით სწარმოებდა. ამ მეთოდით სწავლებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერავითარ ნაყოფი ვერ გამოიღო“. შემდეგში „სამინისტრომ უცხო ენების სწავლების მიზანი უფრო თანადროული მიზნით შეცვალა, ნაცვლად „გრამატიკული მეთოდისა“ შემოიღო ეგრეთწოდებული „ბუნებრივი მეთოდით“ სწავლება, მაგრამ სასურველი შედეგი არც ამას მო-

ჰყოლია. ალ. მიქაბერიძის აზრით, „მომავალშიც რომ უცხო ენების სწავ-  
ლება აწინდელ მდგომარეობაში არ დარჩეს, აუცილებლად საჭიროა ამ  
ენების სწავლების მეთოდი და თვით მიზანიც შეიცვალოს იმრიგად, რომ  
საშუალო სასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომი იყოს.

ჩვენი აზრით უცხო ენების სწავლება მხოლოდ მაშინ მოიტანს  
საგრძობელ ნაყოფს, თუ რომ საშუალო სასწავლებლების კურსდამთავრე-  
ბულთ მოსთხოვენ მხოლოდ წაკითხულის თავისუფლად გაგებას და სა-  
თანადოდ განმარტებას. ამ მიზნის მიხედვით სწავლების მეთოდიც უნდა  
შეიცვალოს, ნაცვლად ბუნებრივი მეთოდისა შემოღებულ უნდა იქმნას.  
ბუნებრივ-თარგმნითი მეთოდი, რაც ერთი-ორად შეუწყობს ხელს უცხო  
ენების ნაყოფიერად სწავლების საქმეს“ (გვ. 537).

ერთ-ერთ მტკიცეულ საკითხს ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში  
ძველად წარმოადგენდა ის, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი, რომელიც  
საშუალო სკოლას ამთავრებდა, ეკონომიური შეუძლებლობის გამო ვეღარ  
ახერხებდა უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნის მიღებას. ამ მდგომარეო-  
ბის გამოსასწორებლად გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში გა-  
ნუზრახავთ „ქართველ შეუძლო მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების“  
დაარსება. 1895 წელს, გ. წერეთლის თავმჯდომარეობით, ერთ-ერთ კრე-  
ბაზე განუხილავთ და მოუწონებიათ პროექტი მომავალი საზოგადოებისა,  
რომელიც მიზნად ისახავდა დახმარება აღმოეჩინა ღარიბ ქართველ მოს-  
წავლეთათვის. ამ წამოწყებას მხურვალედ დაუჭირა მხარი ალ. მიქაბე-  
რიძემ, რომელიც ამასთან დაკავშირებით წერდა: „ვინ არ იცის, რომ  
ქართველი ახალგაზრდობა რის ვაი-ვაგლახით და ჰაპან-წყვეტით ათა-  
ვებს გიმნაზიებს და სხვა საშუალო სასწავლებლებს, მაგრამ შუა გზაზე  
ფრთები ეკაცება, ზოგი მათგანი შეუძლებლობის გამო უნივერსიტეტის  
კარებსაც ვერა ნახულობს და უდროოდ გულჩათუთქულნი, იმედგაქარ-  
წყლებულნი ცხოვრების წალმა-უკულმა ტრიალს მიჰყვებ-მოჰყვებიან.

...აი, სწორედ ამისათვის საჭიროა და მასთან სანუკვარი, ზემოთ-  
დასახელებული პროექტი, რაც შეიძლება მალე და მალე დამტკიცდეს.  
ეგებ მაშინ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის ბედ-იღბალი, ასე თუ ისე,  
მანც შეიცვალოს და მათმა სწავლამ და შრომამ სასურველი ნაყოფი  
მოიტანოს“ („კვალი“, 1896 წ. № 33, გვ. 592).

თვითმპყრობელობის დროს, როდესაც ოფიციალური სკოლა მთავ-  
რობის ხელში წარმოადგენდა რუსიფიკაციის ერთ-ერთ მძლავრ საშუა-  
ლებას, როდესაც მოწინავე ქართველი მასწავლებლები დევნასა და შე-  
ვიწროებას განიცდიდნენ, როდესაც ქართველ მოსწავლეებს ათასნაირ  
დამბრკოლებებს უქმნიდნენ საშუალო ცოდნის მიღებისას, საჭირო იყო  
პროგრესულ იდეებზე აღზრდილი ჩვენი მოღვაწეების შეერთებული  
შრომა და ბრძოლა, რათა ბიუროკრატიული მმართველობის ბნელ ზრახ-  
ვებს განხორციელება არ ღირსებოდა. ამგვარი ბრძოლის ბრწყინვალე  
მაგალითებს უჩვენებდნენ საზოგადოებას ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთე-

ლი, იაკობ გოგებაშვილი და მათ გარშემო დარაზმული მოწინავე პედაგოგები, რომლებიც ეროვნული სკოლის დასაფუძნებლად ძალ-ღონეს არ იშურებდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა ქართველ ახალგაზრდობას მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღების უფლებები მოეპოვებინა.

ცხადია, თვითმპყრობელობა და მისი ერთგული წარმომადგენლები ყოველნაირად ცდილობდნენ ძირშივე ჩაეკლათ ყოველი პროგრესული მოსაზრება და გასაქანს არ აძლევდნენ სკოლაში ნათელი და პედაგოგიურად გონივრული იდეების გამტარებელ მასწავლებლებს. მაგრამ სახალხო განათლების დარგის მოღვაწეები, რეპრესიების მიუხედავად, ენერგიულად განაგრძობდნენ მაინც ბრძოლას მიზნის მისაღწევად.

ამ საკითხს ეხებოდა ა. მიქაბერიძე თავის საყურადღებო წერილში „გერმანიის მასწავლებელთა კავშირი“ (ეურნალი „განათლება“, 1908 წ. № 1) და ასეთ აზრს გამოთქვამდა: „თანამედროვე ცხოვრების პირობები შეტად გართულდნენ და გამრავალფეროვანდნენ. ამ გართულებულ პირობებში ცხოვრების სარბიელზედ მხოლოდ ის იმარჯვებს, მხოლოდ ის უმკლავდება ახალი ცხოვრების მიერ წარმოშობილს სიძნელეს, ვინც უფრო კარგად შეიარაღებულია სწავლა-განათლებით“. მაგრამ რადგანაც სწავლების არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდობისათვის საფუძვლიანი ცოდნის მიცემას, ამიტომ ალ. მიქაბერიძე მოითხოვს სკოლის ძირთვისიანად გარდაქმნას. რასაც მასწავლებლობამ, მისი აზრით, შეერთებული შრომით და ერთმანეთს შორის მტკიცე კავშირით უნდა მიაღწიოს.

„სწავლა-განათლების საქმის უფრო ნაყოფიერად მოწყობისა და წარმართვისათვის საჭირო არის საერო განათლების ასპარეზზედ მომუშავეთა შეერთებული, კოლექტიური შრომა, რომელიც თავის დროზედ დიდ ზნეობრივ ძალად გადაიქცევა და ფასდაუღებელ სარგებლობასაც მოუტანს ქართველ ერს. რაც ამჟამად თვითელი კერძო მუშაისათვის შეუძლებელი და მიუწვდომელია, კოლექტიურად და თანხმობით მუშაობის დროს იღვილად მოსახერხებელი შეიქნება.

მეტსაც ვიტყვი, თუ საერო განათლების ასპარეზზედ მოღვაწენი შეკავშირდებიან და საერთო ძალით აწარმოებენ ჩვენში სწავლა-განათლების საქმეს, ყოველს ექვს გარეშეა, რომ ბიუროკრატიული მთავრობა ანგარიშს გაუწევს ასეთს შეერთებულს ძალას და ის ჯაქვები, რომლებითაც ასე მაგრად შებოკვილია ამჟამად ჩვენში სწავლა-განათლების საქმე, თუ მთლად არა, ნახევრად მაინც დაიმსხვრევა“ (გვ. 87).

მართალია, ალ. მიქაბერიძის ეს სურვილი მხოლოდ თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ განხორციელდა, მაგრამ თავის დროზე ქართველ მასწავლებელთა ამგვარ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და საზოგადოებას ზნეობრივად ამხნეებდა.

აღ. მიქაბერიძეს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ „ნორმალურად. მოწყობილი სასწავლებლები, მოზარდი ახალთაობის სწავლა-აღზრდის საქმის წესიერად, პედაგოგიურად წარმოება საუკეთესო თავდება საზოგადოების კეთილდღეობისა. ყველგან, სადაც კი ხალხის სულიერი და ნივთიერი კეთილდღეობის დამყარება წმინდა მოვალეობად არის მიჩნეული, მოზარდი ახალთაობის სწავლა-აღზრდის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული“ (იხ. მისი სტატია—„სკოლა ცხოვრების პირმშო შვილია“, ჟურნ. „პედაგოგიური ფურცელი“, 1905 წ. № 6, გვ. 19). ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ სკოლა საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან გამოთიშული არ უნდა იყოს, რადგანაც „საზოგადოების შეხედულება სწავლა-განათლების შესახებ პოულობს ფართო და თავისუფალ ასპარეზს სკოლაშიც, რომელიც განმახორციელებელია საზოგადოების აზრისა და ამრიგად სულიერად არის შეკავშირებული თვით საზოგადოებასთან“.

აღ. მიქაბერიძის აზრით მოწინავე საზოგადოებამ მეტი მონაწილეობა უნდა მიიღოს მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში. „საზოგადოება და სკოლა, აი ორი მძლავრი ფაქტორი, რომელიც მოზარდი ახალთაობის სწავლა-განათლების საქმეს გონივრულად უნდა აწარმოებდეს.

საზოგადოებასა და სკოლას შორის მჭიდრო კავშირი უნდა არსებობდეს, რომ სწავლა განათლების საქმემ მართლაც სასურველი ნაყოფი გამოიღოს. მართალია, მრავალ სხვა დიდმნიშვნელოვან პირობებსაც (პოლიტიკურს, ეკონომიურს და სხვ.) გავლენა აქვს სწავლა განათლების საქმეზე, მაგრამ ამ პირობათა შესახებ სხვა დროს გამოველაპარაკებით-მკითხველებს“ (გვ. 20—21).

ზემოდასახელებულ სტატიაში ავტორი მკაფიოდ სვამდა საკითხს ბავშვების მომავალი პროფესიის არჩევისა და ამ საქმეში მშობლების როლის შესახებაც. აღ. მიქაბერიძე სრულიად მართებულად აღნიშნავდა, რომ მომავალი პროფესიისა და სპეციალობის არჩევაში დიდი მნიშვნელობა უნდა გაეწიოს თვითონ ახალგაზრდობის მიდრეკილებასა და მისწრაფებებს. მისი სიტყვით „სოციალური ვითარება ისეა მორთული, რომ მშობლები შვილების აღზრდის შესახებ მეტად დიდ ეგოისტობას იჩენენ. თვითეულს მშობელს შვილები თავის სრულ საკუთრებად წარმოუდგენია. და ამიტომ შვილის სამოღვაწეო ასპარეზის არჩევას თვითონ მშობელი თავის თავზედ იღებს. ახალგაზრდა ყრმას ჯერ კიდევ წიგნი ხელში არაუღია და მშობლები კი სამხედრო ან რომელიმე სამოქალაქო სამსახურს თავს ახვევენ თავის შვილებს და აზრადაც არ მოსდით, გამოიჩინენ მათი შვილები რაიმე უნარს თუ არა ამა თუ იმ სამსახურში“ (გვ. 21). სავსებით მიუღებლად მიაჩნია აღ. მიქაბერიძეს ისეთი მდგომარეობაც, როდესაც „შვილების მომავალში ნივთიერად უზრუნველყოფისათვის მშობლები ყოველგვარ ღონისძიებას ღებულობენ თავისი ავლადიდების, თავისი ნივთიერი ქონებისა და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“.

რათა მემკვიდრეებს უზრუნველი და უშრომელი ცხოვრების პირობები შეუქმნან. «ცხოვრება მრავალი მკერმეტყველის მაგალითებით გვიმტკიცებს,—წერს ალ. მიქაბერიძე,—რომ ვისაც მშობლების ავლადიდების უფრო მეტი იმედი აქვს, ვინც უფრო მეტს იმედს ამყარებს მშობლები-საგან ნაანდერძევე სამკვიდრებელზედ, ვიდრე კერძო შრომასა და ინიცი-ატივაზედ, იგი ცხოვრების ბრძოლის ველზედ უიარალო მეომრის მდგომარეობას მოგვაგონებს, იმ უიარალო მეომრისას, რომელსაც მტრისაგან ნასროლი შეუბრალებელი ტყვია ერთს წამსაც კი არ დაინდობს» (გვ. 23).

ალ. მიქაბერიძის ზემოაღნიშნული პედაგოგიური მოსაზრებანი, რომლებიც სწავლა-აღზრდის მტკივნეულ საკითხებს ეხებოდნენ, თავის დროზე უთუოდ პროგრესული იყო და სახალხო განათლების უკეთ მოწყობის საქმეს ემსახურებოდა. თავის წერილებში იგი ამხელდა თვით-მპყრობელობის დროს არსებული სკოლების მუშაობის მრავალ ნაკლს, საზოგადოებას უჩვენებდა არაგონივრულ პედაგოგიურ საწყისებზე დაფუძნებული სასკოლო ცხოვრების მახინჯ მხარეებს და მოუწოდებდა ენერგიული და შეკავშირებული მუშაობით, ბიუროკრატიულ მმართველობასთან ბრძოლით, მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმის საფუძვლიანი გარდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის მიეღწიათ.

ალ. მიქაბერიძე ჩვენში ცნობილია აგრეთვე როგორც საბავშვო მწერალი და მთარგმნელი. იგი საყმაწვილო ჟურნალების „ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ მუდმივი თანამშრომელი იყო. მას ეკუთვნის აგრეთვე „ტროადის ომისა“ და „ოდისეას“ ქართული თარგმანი-გადმოკეთება.

საბავშვო ლიტერატურას ის ჩვენი ნორჩი თაობის აღზრდის საქმეში უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებდა. „თვითეული მშობელი, თვითეული მოზარდი თაობის მასწავლებელი და აღმზრდელი ალტიცებულის სიხარულით ეგებება, როცა რიგიანად შედგენილი საყმაწვილო წიგნი ემატება ჩვენს ლარიბს ლიტერატურას. ეს სამართლიანი სიხარული ადვილი ასახსნელიცაა. ყმაწვილს და მოზარდ თაობას დედაენაზედ განვითარება ესაჭიროება. ყმაწვილ თაობას ჰსურს ნორმალური განვითარების გზას დაადგეს... ამიტომ რა გასაკვირველია, რომ თვითეული მშობლის, მასწავლებლისა და აღმზრდელის გული სიხარულით აღივსოს რიგიანის ქართულის საყმაწვილო წიგნის გამოცემით“,—წერდა ალ. მიქაბერიძე 1902 წელს თბილისში გამოსული ზღაპრების წიგნის რეცენზიაში (იხ. „ივერია“, 1902 წ. № 114).

თვითონაც შეძლებისდაგვარად მხურვალე მონაწილეობას იღებდა საბავშვო ლიტერატურაში და არა ერთი და ორი საინტერესო ნაწარმოები მიუძღვნია ბავშვებისათვის. იგი წერდა პელაგიაშვილისა და ყუმის-თაველის ფსევდონიმით.

სახალხო განათლების მუზეუმში ამჟამად დაცულია მისი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაშრომები: „მოგონებები იაკობ გოგებაშვილზე“, „სი-

ლოვან ხუნდაძე“, „შო ჩიტაძე“ და სხვ., რომლებშიც მრავალი საინტერესო საკითხია გაშუქებული.

აღ. მიქაბერიძე გარდაიცვალა 1943 წელს.

#### ლიტერატურა

1. სამშობლოსათვის თავდადებულნი—„ჯეჯილი“, 1899 წ. № 10.
2. სამშობლოს სიყვარული—„ჯეჯილი“, 1900 წ. № 2.
3. ტრანსვალის ომი—„ჯეჯილი“, 1900 წ. № 4.
4. მამას სანთელი გაუქრება—„კვალი“, 1895 წ. № 49.
5. უდანაშაულო მსხვერპლი—„მომბე“, 1895 წ. № 6.
6. საშუალო სკოლის რეფორმის გამო—„ივერია“, 1902 წ. № 44.
7. სკოლა ცხოვრების პირმშო შვილია—„პედაგოგიური ფურცელი“, 1905 წ. № 6
8. გერმანიის მასწავლებელთა კავშირი—„განათლება“, 1908 წ.
9. უცხო ენების სწავლება საშუალო სასწავლებლებში—„განათლება“, 1911 წ. №



## სიმონ ქვაკიანი

(1868—1946)

საკმაოდ ცნობილი მასწავლებელი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ალექსის-ძე ქვაკიანი დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1868 წლის 13 აპრილს. სიმონის მამა, ალექსი ქვაკიანი შებაღე იყო და დედა ოჯახის დიასახლისი, მაგრამ ძალზე ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, რაც არა ერთხელ აღუნიშნავთ სიმონთან ერთად სხვებსაც.

სწავლისადმი სიყვარულმა პატარა სიმონში ადრე გაიღვიძა. საშუალო განათლება მან ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო და, მიუხედავად ხელმოკლეობისა, მაინც მოახერხა შესულიყო ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. მაგრამ სწავლა ვერ დაასრულა და გულდაწყვეტილი დაბრუნდა სამშობლოში.

საქართველოში დაბრუნებული სიმონი ყოველგვარ ღონეს ხმარობს მოეწყოს სადმე შესაფერის სამუშაოზე, მაგრამ ამას ასე იოლად ვერ ახერხებს. ბოლოს იგი ეწყობა წინანდლის საუფლისწულო მამულში. ორი წელი დაჰყო წინანდალში სიმონმა და საფუძვლიანად გაეცნო მე-

ვენახეობა-მეღვინეობის დარგს. განცვიფრებაში მოდიოდნენ წინანდლის საუფლოსწულო მამულის თანამშრომლები, ისე დაულალავი ენერჯით ეკიდებოდა თავის საქმეს სიმონ ქვარიანი. დღე და ღამე გასწორებული შრომის შედეგად იგი საქმაოდ დაეუფლა მევენახეობასა და მეღვინეობას.

გარდა სპეციალური საგნებისა, წინანდალში ყოფნის დროს სიმონ ქვარიანი სწავლობდა, მისთვის ჩვეული მონდომებით, ფრანგულ ენას და დიდ დროს ანდომებდა ზოგად განვითარებას.

1894 წლიდან 1896 წლამდე სიმონ ქვარიანი მსახურობს თბილისში ა/კ რკინიგზის სამმართველოში. სიმონი აქაც არ კმაყოფილდება მარტო სამსახურებრივი საქმიანობით. მან უფრო რეგულარულად მიჰყო ხელი მწერლობას, რაც მანამდე ჰქონდა დაწყებული. ამ პერიოდში სიმონ ქვარიანის კალმის ნაყოფი სისტემატურად ქვეყნდებოდა ადგილობრივ ეურნალ-გაზეთებში. ეწეოდა რა სიმონი ბეჯით შრომას, ემზადებოდა უმაღლესი აგრონომიული განათლების მიღების მიზნით საფრანგეთში წასასვლელად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიმონ ქვარიანმა ჯერ კიდევ 1887 წელს პირველად აღმოაჩინა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ვაზის გამანადგურებელი ფილოქსერა. სიმონს ბევრი შრომა და ბრძოლა დასჭირდა პრესის საშუალებით, რომ შემოეღოთ ჩვენში ამერიკულ საძირეზე ვაზის მყნობა, რათა ფილოქსერას არ გაენადგურებია ვენახები. ამ ზომამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში, მევენახეობა იხსნა განადგურებისაგან.

1897 წელს ის მიემგზავრება საფრანგეთში. პირველად სწავლას იწყებს ქ. ლიონში, მხოლოდ შემდეგ გადადის ქალ. მონპელიეში. დიდხანს არც ამ ქალაქში რჩება და აქედან სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება პარიზში.

საფრანგეთში სიმონ ქვარიანი მეტად ღარიბულ ცხოვრებას ეწეოდა. „არავისაგან არაფერი არ მომდიოდა და ვიმყოფებოდი გაკირვებულად, ამისათვის საფრანგეთში ყოფნის დროს დავიწყე რუსული ენის გაკვეთილების მიცემა და ფრანგულ ეურნალ-გაზეთებში წერილების მოთავსება, რომ ასეთი გზით საარსებო წყარო გამეჩინა და შიმშილით არ მომკვდარავიყავი“, აღნიშნავდა იგი.

1899 წელს სიმონ ქვარიანი ქალ. მონპელიეში ამთავრებს უმაღლეს აგრონომიულ სასწავლებელს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სიმონმა, როგორც თვითონ აღნიშნავს, ამავე დროს ჩააბარა გამოცდები და დამთავრა უნივერსიტეტში ლიტერატურის ფაკულტეტი.

საფრანგეთში ყოფნისას სიმონი ბიბლიოთეკის სტუმარი იყო პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკისა. ამ მსოფლიო მნიშვნელობის ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს სიმონმა აღმოაჩინა საქართველოსათვის ფრიად საპირო და საინტერესო მასალები, რომლის გამოყენებით მან დაწერა: „ქართვე-



ლი ერის უძველესი კულტურა და როლი მსოფლიო ისტორიაში“. სიმონ ქვარიანის ეს შრომა გამოქვეყნებულ იქნა „აკაკის კრებულში“.

სიმონ ქვარიანის კალამს, სხვა მნიშვნელოვან ნაწერებთან ერთად, ეკუთვნის ფრიალ საყურადღებო ნაშრომი: „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, რომელიც დაიბეჭდა 1903 წელს ჟურნალ „მოამბეში“, ხოლო 1914 წელს გამოიცა ცალკე წიგნად.

სიმონ ქვარიანს ბევრი უწერია ქალაქ მონპელიეში ყოფნის დროსაც ფრანგულ ენაზე კავკასიაში მევენახეობა-მელენეობის შესახებ. ასეთ შრომებს სიმონი ბეჭდავდა ადგილობრივ ჟურნალებში დასურათებულად და ბოლოს აქვეყნებდა ცალკე წიგნებად, რაც ევროპის მკითხველი საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა.

1899 წლის დამლევს ცოდნით შეიარაღებული სიმონ ქვარიანი ბრუნდება საფრანგეთიდან სამშობლოში და ფართო მასშტაბით იწყებს მრავალფეროვან საქმიანობას.

საქართველოში დაბრუნებული სიმონი აარსებს ქუთაისში ამხანაგობას „ზვარი“. ქმნის ამერიკული ვაზებისა და ნამყენთა სანერგეებს, რასაც უთმობს საკუთარ ეზოს. დამყნას თვითონ ასწავლიდა ფართო მოსახლეობას და ქუთაისის ზოგიერთი სკოლის მოსწავლეებსაც. ამ გზით მან, 1900 წლისათვის გაახარა 50 ათასი ძირი ნამყენი და ძლიერ იაფ ფასებში დაურიგა სოფლის მეურნეებს. ამავე დროს სიმონ ქვარიანმა გამოსცა ორი სახელმძღვანელო წიგნი ამერიკული ვაზებისა და ნამყენთა კულტურის შესახებ. ეს სახელმძღვანელოები ავტორმა უთვასოდ დაურიგა საზოგადოებას. ამით ხალხი დიდად კმაყოფილი იყო.

ამავე დროს სიმონ ქვარიანი აარსებს ქუთაისში ფარულ წრეს, სადაც სხვებთან ერთად მოსწავლე ახალგაზრდობასაც უკითხავს ლექცია-მობხენებებს საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურიდან.

1900 წელს სიმონ ქვარიანი მიწვეულ იქნა ერთი მსხვილი მრეწველის მიერ კიათურაში წარმოების გამგედ. სიმონის მეშვეობით მალე დაიბადა უკმაყოფილება მადნის მზიდავ მუშებსა და მწარმოებელთა შორის. „ყოველნაირად ვცდილობდი მზიდავ მუშებისა და წერილ მრეწველთა ინტერესები დამეცვა და მსხვილ მრეწველთა ძარცვა-ყვლეფისაგან ხალხი გადაამერჩინაო“, ამბობს თავის ავტობიოგრაფიაში სიმონ ქვარიანი. აი, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ სიმონ ქვარიანს მოკვლას უპირებდნენ კიათურაში მსხვილი მრეწველები, რაც კარგად ახსოვს ჩვენს გამოჩენილ მწერალსა და დრამატურგს შალვა დადიანს.

დიდი ინტერესი გამოიწვია მკითხველ საზოგადოებაში სიმონ ქვარიანის მოთხრობამ „ანეკლინა“, რომელიც საფრანგეთის პროლეტართა ცხოვრებიდანაა აღებული და თანაც ანტირელიგიური ხასიათისაა. ამას გარდა, 1900-დან 1903 წლამდე გამოიცა სიმონ ქვარიანის ლექსთა კრებული „სუმბული“, წიგნი „ევროპის მეაბრეშუმეობაზე“, „შავი ქვის საქმე“, „სამი გმირი“, „ვიზიტი“ (ეტრუდი). ამ ხანებში მისი მუშაობის

დიდი ნაყოფიერების დამადასტურებელი ისიც იყო, რომ ის რეგულარულად ათავსებდა პუბლიცისტური ხასიათის წერილებს ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებში.

სიმონ ქვარიანის მონაწილეობა რევოლუციურ მოძრაობაში არ დარჩენია შეუმჩნეველი მეფის მთავრობას და ის დატუსაღებულ იქნა. ის იყო, სიმონ ქვარიანი უნდა გადაესახლებიათ, მაგრამ მოახერხა ევროპაში (გერმანიაში) გაქცევა. ბედმა გამოიღიმაო, წერს სიმონ ქვარიანი, როცა 1907 წელს ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორმა იოსებ ოცხელმა მიმიწვია გიმნაზიის მასწავლებლად და ჩამაბარა სამი საგანი— ფრანგული ენა, ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორიაო.

1908 წელს სიმონმა შეადგინა სკოლებისათვის სახელმძღვანელოდ „საქართველოს ისტორიის ეპიზოდური კურსი“. ეს არ იყო პატარა მოვლენა იმ ხანებში. ამ წიგნმაც მას დიდი სახელი მოუპოვა. ათი ათასიდან ოციათას ცალამდე იბეჭდებოდა ყოველ წლიურად სიმონ ქვარიანის ეს წიგნი, მაგრამ მას წიგნის მაღაზიებში მაინც იშვიათად ნახავდით.

1910 წელს სიმონ ქვარიანმა დიდი მონღომებითა და სიყვარულით დაწერა ისტორიული მონოგრაფია დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ეპოქის შესახებ სათაურით „ქართველი ერის ტრაგედია მე-17 საუკუნეში (გიორგი სააკაძე და მისი დრო)“. ეს წიგნი დაიბეჭდა 1911 წელს და ისე სწრაფად გასაღდა, რომ მის გამოსვლიდან სამი თვის შემდეგ წიგნს გასაყიდად ვერსად იპოვიდით. სიმონ ქვარიანი გიორგი სააკაძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ გამოდიოდა სისტემატურად ლექციებითაც.

1912 წლის ბოლოს სიმონ ქვარიანს აღმოაჩნდა გულის მძიმე ავადმყოფობა და ამის გამო ის იძულებული გახდა მისი საყვარელი საქმისათვის— პედაგოგობისათვის თავი დაენებებია. მაგრამ მას კალამი არ გაუგდია ხელიდან, მწერლობას არ ჩამოსცილებია, საზოგადო მოღვაწეობაზე უარი არ უთქვამს.

1915—1916 წლებში სიმონმა შეადგინა „ქართველი ერის ისტორია“ (1780—1820 წ. წ.), ტ. პირველი. ეს წიგნი 1919 წელს გამოიცა. 1916 წელს სიმონ ქვარიანი ქუთაისიდან საცხოვრებლად ქ. თბილისში გადმოდის, სადაც მას, როგორც გამოცდილ მუშაკს, ირჩევენ კოოპერაციის „შრომას“ გამგეობის თავმჯდომარედ. ისე, როგორც ყოველთვის, სიმონ ქვარიანი თბილისში ყოფნის დროსაც მუდმივ თანამშრომლობას ეწეოდა ადგილობრივ ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებში.

1918 წელს სიმონ ქვარიანი იწყებს სამსახურს ფინანსთა სამინისტროში, მაგრამ მალე თავს ანებებს ამას და საცხოვრებლად გადადის ქ. სოხუმში. აქ მას ირჩევენ სოხუმის ქალაქის საბჭოს წევრად.

1920—1923 წლებში სიმონი ცხოვრობს მთელი ოჯახით ბათუმში და თანამშრომლობს საგარეო ვაჭრობის განყოფილებაში. ამის შემდეგ მას იწვევენ სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში ქართული და ფრანგული

ენების ლექტორად. ამივე დროს ის ბათუმის რუსულ-ქართულ ეურნალ-გაზეთებშიც თანამშრომლობდა.

1923 წლის ოქტომბერში სიმონ ქვარიანი ისევ ჩამოდის საცხოვრებლად თბილისში და იწყებს სამსახურს ჯერ საქ. სსრ ფინსახკომში სავალუტო განყოფილების ინსპექტორად, შემდეგ მესამე შემნახველ სალაროში გამგედ, მოწინააღმდეგეში სხვადასხვა საპსუხისმგებლო თანამდებობაზე...

1930 წელს, მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო ჩვენი ხალხის სასარგებლოდ, მას ანიჭებენ „შრომის გმირის“ წოდებას. „შრომის გმირის“ წოდების მინიჭებასთან ერთად მთავრობამ სიმონ ქვარიანს დაუნიშნა პერსონალური პენსია, რასაც სიკვდილამდე ღებულობდა. ამივე წლიდან სიმონ ქვარიანი თავს ანებებს სამსახურს და განაგრძობს ლიტერატურულ მოღვაწეობას.

სიმონ ქვარიანმა თავისი შეხედულება საზოგადოებრივ საქითებზე სავსებით მკაფიოდ და ნათლად ჩამოაყალიბა იმ „საახალწლო კრიმანკულში“, რომელიც 1897 წლის № 1 გაზეთ „კვალში“ მოათავსა „სიმონა მეჩონჯურეს“ ფსევდონიმით.

იგი ქართველობას მიმართავს და ეუბნება გულის ტკივილით:

სიდან დავიწყო, ქართველო,  
მეტად ბევრი მაქვს სათქმელი,  
ვერ ვბედავ, ვერ ამიხდია  
ტანჯული სულის სარკველი...  
ნულარ კენეს ვგრე საბრალოთ,  
აღდეგი, კმარა ძილია.  
თორემ რას გიხამს მარტოკა  
აკაკი, ანუ ილია.

ძებნე ახალი მეურნალი,  
ჭკურნე სხეული, სულია,  
სვი განათლების შარბათი,  
ახარე მით მამულია.  
აღდეგ, ნუ ქშინავ მწუხარეთ,  
ალიძარ გულს იმეღია,  
ძველად განთქმული გმირი ხარ,  
ვერ დაგძლევს მწარე ბეღია...

ასეთსავე დარიგებას აძლევს ავტორი ქართველ ინტელიგენტებს და თხოვს მათ, რადგანაც თქვენ გიმზერს მთელი ქვეყანა, როგორც ხალხისათვის გზის მანათობელ სინათლეს, ამისათვის გმართებს იმუშაოთ შეხმატკბილებულად, მეგობრულად, დაანებეთ თავი ჩინ-მედლებისა და კაკარდების ძებნას, ნუ იჩენთ სიმბდალეს და გაბედულად გამოდით, თქვით:

როდისღა აყვავილდება  
გმირთა საერთო სულია,  
როდის შერიცხავთ, დაწყველით,  
რაც ერისაგან კრულია...

გვითხარით, როდის დადგება  
ეგ სანეტარო წამია—  
კმარა ამდენი ლოდინი,  
მომწიფდა დრო და ეამია...

სიმონ ქვარიანი საახალწლო კრიმანკულს ის დროს არ ივიწყებს ქართველ ქალებსაც, ქართველ გმირების ღედებს, ამირანის მშობლებს და ამათაც ეკითხება ის გულის წყრომით: რისთვის შეგცვლიათ გული, ნუთუ არ გწამთ სამშობლოს არც წარსული და არც მომავალი, არ ვარგა

ასე, ნუ აგბნევიათ გზა-კვალი, ნუ ანებებთ თავს შვილებსა და ოჯახსო და ჯანაგრძობს:

არა, თამარის ასულა,  
იქვე ქართველი ქალია,  
აფრქვევ გრძნობის წამალი,  
აგვიესე გულის ფალია.  
გაჩხრიკე კერა ერისა,

შთაბერე სულში ძალია,  
ჩაკვესე, ცეცხლი ჩანთე,  
აღძარ გმირობის ძალია,  
მაშინ შეგძახებთ ვაჟსა,  
მაშინ იქნები ქალია...

სიმონ ქვარიანს, როგორც პედაგოგს, გულს უკლავს ზოგიერთი ახალგაზრდა ქალის უსაქმური და ფუქსავატი ცხოვრება. „ტანცი-მანცო-ბა, კოპწიობა“. სულ ტუფლები, სულ მოდები, სულ კაბები და შლიაპები გაკერიათ ენაზეო, უსაყვედურებს სიმონი ასეთ ქალებს: მარტო ვალსით და მაზურკით, პოლკითა და სხვა ცეკვებით ვერაფერს გახდებით, საჭიროა შრომა და კიდევ შრომა და არა სასიყვარულო რომანების კითხვაო.

ქართველ პოეტებსაც აძლევს ს. ქვარიანი საჭირო რჩევადარიგებას. ის მიუთითებს, რას უნდა აქცევდნენ ყურადღებას, როცა სამწერლო ასპარეზზე გამოვლენ, როცა კალმით, მხატვრული სიტყვით ხალხის სამსახურს შეუდგებიან და ამით ერის გაკეთილშობილების საქმეს მოკიდებენ ხელს.

ამ საახალწლო მოლოცვებში ისე კონკრეტულად და საქმიანად ჩამოაყალიბა სიმონ ქვარიანმა სოფლის მასწავლებლის მოვალეობა, რომ ამას ჩვენ მთლიანად მოვიყვანთ „საახალწლო კრიმანჭულიდან“.

ერის გულში ჩაგიცურავთ,  
მაშ, მოჭფინეთ განათლება,  
ერის ძალა, მყოობადი  
მხოლოდ თქვენში მგულდება.  
შეიფიცნეთ ყველამ ძმებათ,  
ახლა გმართებთ დევ-გმირობა,  
გრწამდეთ ერის მომავალი,  
შეიყვარეთ ქართველობა,  
ნურაფერი შეგაშინებთ

ნურც ბორია, ნურც გრივალი,  
უკულმართი მეთოდებით  
ნუ გებნევთ გზა და კვალი,  
მაშ ჰოპუნა, ჰოპუ, ძმებო,  
მოუქნიეთ ცელ-ნამგალი.  
ეკომაგეთ მუშა ხალხსა,  
აღუზარდეთ მას შვილები,  
მაშინ გაქებთ მთელი ერი  
და გადიდებთ ყმაწვილები...

სიმონ ქვარიანი გაზეთ „ივერიას“ მიმართავს: გადაიცვი, ძმაო, ჯაფშანი, აღდექი, კმარა, ნუ გძინავს, ხელი მოკიდე ხმალს, გვაჩვენე ბრძოლის ნიშანი, გააქვეთე ეკალ-ნარი, ნუ შეგაშინებს მტერი, ეკვეთე ვაეკაცურად მტარვალს. „შემოიკრიბე ვაეკაცი, ყმაწვილნი საქებარია, მშრომელი, მხნე და სწავლული სიმართლის მაძებარია... უყვილე ქართველ მამაცებს, კუბოს აჰყარეთ ქერია, ჰე, მაშინ გაქებს ქვეყანა, მაშინ გადიდებს ერია“.

სიმონ ქვარიანი გარდაიცვალა 1946 წლის 14 იანვარს 78 წლის ასაკში. მის გარდაცვალებას სათანადო წერილებით გამოეხმაურა ჩენი პრესა. გაზეთმა „კომუნისტმა“ საქართველოს საბჭოთა მწერლების გამგეობის შემდეგი წერილი მოათავსა ნაყოფიერი პედაგოგისა და მწერლის ხსოვნის აღსანიშნავად:

„14 იანვარს თბილისში გარდაიცვალა მსოფლიო მწერალი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ქვარიანი.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ს. ქვარიანი მრავალმხრივ ლიტერატურულ, პუბლიცისტურ და პრაქტიკულ მოღვაწეობას ეწეოდა. თავის დროზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა მის მიერ დაწერილი საქართველოს ისტორიის ეპიზოდური კურსი და ისტორიული მონოგრაფია „ქართველი ერის ტრაგედია მე-17 საუკუნეში“ (გიორგი სააკაძე და მისი დრო)...

საქართველოში დაბრუნებისას პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ფონდში მის მიერ შესწავლილი მასალის საფუძველზე დაამუშავა და გამოაქვეყნა ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევები „ქართველი ერის უძველესი კულტურა და როლი მსოფლიოს ისტორიაში“ (დაიბეჭდა 1901 წ. აკაკის „კრებულში“), „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ (დაიბეჭდა ჯერ ჟურნალ „მოამბეში“ 1903 წ. და შემდეგ ცალკე წიგნად), „ხეთი და ნაირი“ (დაიბეჭდა ჟურნალ „განათლებაში“ 1909 წ.). უცხოეთიდან საქართველოში ჩამოსვლისთანავე ს. ქვარიანი პრაქტიკულ საზოგადოებრივ მუშაობას შეუდგა. სხვებთან ერთად დააარსა ამხანაგობა „ზვარი“, რომელმაც პირველად დასაქმებულ საქართველოში გააშენა ამერიკულ ვაზზე დამყნის სანერგეები და ნაყოფიერი ბრძოლა გასწია ვენახის გამანადგურებელი ავადმყოფობის — ფილოქსერის აღმოსაფხვრელად...

1907 წელს სიმონ ქვარიანი ცნობილმა პედაგოგმა იოსებ ოცხელმა ფრანგული ენის, ქართული ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებლად მიიწვია ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. მოსწავლე ახალგაზრდობაში მან დიდი პატივისცემა და პოპულარობა მოიპოვა როგორც პედაგოგმა და მხურვალე პატრიოტმა, ქართველი ხალხის გმირული წარსულით გატაცებულმა პროპაგანდისტმა, რომელიც გულწრფელ სიყვარულს უწერდა მონაწილე თაობებს ქართველი ხალხის და მისი ისტორიის გმირი ადამიანებისადმი.

...დიდი წარმატება ხვდა წილად მის ისტორიულ რომანს „დიდი მოურავი“, რომელიც 1937 წელს ცალკე წიგნად გამოსცა „ფედერაციაში“... უკანასკნელად დაწერა რომანი „შოთა რუსთაველი“, რომლის ცალკე თავები დაიბეჭდა 1938 წელს ჟურნალ „მნათობში“ (გაზ. „კომუნისტი“, 1946 წ. 19 იანვარი).





## ლაზარე ხმალაძე

(1868—1946)

ლაზარე ვასილის-ძე ხმალაძე თითქმის 60 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის დიდი ნაწილი ლაზარემ ქ. ქუთაისში გაატარა. 50 წლის განმავლობაში ეწეოდა აქ იგი დაუცხრომელ პედაგოგიურ საქმიანობას.

გასული საუკუნის ბოლო წლებიდან ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ცვლილებებისა და ამით გამოწვეული კულტურული აღმავლობის შედეგად ქ. ქუთაისი იქცა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მძლავრ კულტურულ ცენტრად. მისი გავლენის ძალა ამ მხრივ უფრო მეტად საგრძნობი გახდა 1905 წლის პერიოდში, როცა ხალხმა ძალით გამოგლიჯა მეფის ხელისუფლებას ზოგიერთი უფლებანი პრესის, თეატრის, სასკოლო საქმის ეროვნულ ნიადაგზე მოწყობის დარგში. კულდმოკვეცილი და ძალზე შეზღუდული იყო ეს უფლებანი, მაგრამ მათ მაინც დიდი როლი შეასრულეს ჩვენი ხალხისა და, განსაკუთრებით, მოზარდი ახალგაზრდობის ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში.

თვითონ ლაზარე მშრომელი ხალხის უღარიბესი ფენებიდან იყო გამო-სული, ცხოვრების უმძიმესი გზა ჰქონდა გავლილი და კარგად ჰქონდა შეგნებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელი ახალგაზრდობი-სათვის სწავლა-განათლებას. ლაზარე მოწოდებით იყო აღზრდილი, მას-წავლებლობა მისთვის პირველყოვლისა შინაგან მოვალეობას, წმინდა დანიშნულებას წარმოადგენდა და არა უბრალო პროფესიას, თავის რჩე-ნის საშუალებას. ამასთანავე ლაზარე ძალზე ცოცხალი და ენერგიული, შინაგანდ ორგანიზებული, მტკიცე ნებისყოფისა და წესრიგის კაცი იყო; მისი სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ სცილდებოდა. ყოველივე ეს პედა-გოგიური საქმის ღრმა ცოდნასთან და დიდ გამოცდილებასთან ერთად იწვევდა მისადმი დიდ პატივისცემას.

განსაკუთრებით პოპულარული ლაზარეს სახელი საბჭოთა ხელისუფ-ლების წლებში გახდა და ამასაც თავისი ახსნა ჰქონდა.

ცნობილია, რომ ჩვენი რევოლუციამდელი სახალხო მასწავლებლო-ბის ძირითადი მასა მშრომელი ხალხის წრიდან იყო გამოსული, კარგად იცნობდა მშრომელი ხალხის პირვარამს და თავის ძირითად მოვალეო-ბად ხალხის სამსახური მიაჩნდა. იგი საერთოდ რევოლუციურად იყო განწყობილი და ამისათვის აქტიურადაც იბრძოდა. მიუხედავად ამისა, ეს მასწავლებლობა ერთფეროვანი არ იყო. რევოლუცია და მისი განვი-თარების ამოცანები ყველას ერთნაირად და სწორად არ ჰქონდა წარმო-დგენილი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებ-ში ამ მასწავლებლობის ერთმა ნაწილმა სათანადოდ ვერ გაიგო ახალი, ერთიანი საბჭოთა სკოლის პრინციპები, ვერ გაითვალისწინა ის ამოცა-ნები, რასაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება აყენებ-დნენ საბჭოთა სკოლის წინაშე. ლაზარე არ ეკუთვნოდა მათ რიცხვს. ქუთაისის პირობებში ლაზარე ხმალაძემ ერთმა პირველთაგანმა გაუსწო-რა თვალი სინამდვილეს. იგი შეგნებულად დადგა საბჭოთა კლასტორო-მაზე და მთელი ენერგიით ჩაება ახალი სკოლის მშენებლობის საქმეში. იმ დამსახურებაზე, რაც ლაზარეს მიუძღვის ამ მშენებლობაში, ჩვენ ქვევით შევჩერდებით, აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ლაზარე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა იმ მჩქეფარე საქმიანობაში, რაც ასე ფართოდ მიმდინარეობდა ჩვენში საბჭოთა სკოლის მუშაობის შინა-არსის ჩამოყალიბების, სწავლების ორგანიზაციის განსაზღვრის, სწავლე-ბის მეთოდების დადგენის მიმართულებით.

ძალზე საინტერესოა ლაზარეს ცხოვრების გზა, ბევრი რამ არის მასში თავისებური. აი, მოკლედ იგი.

ლაზარე ვასილის-ძე ხმალაძე დაიბადა ჯავახეთის სოფ. ბარალეთში, რომელიც ქ. ახალქალაქთან მდებარეობს, 1868 წლის 26 თებერვალს. იმ დროს სახალხო სკოლების ქსელი საქართველოში საერთოდ ძალზე მცირე იყო, განსაკუთრებით მცირე რაოდენობით არსებობდა სკოლები



სამხრეთ საქართველოში—მესხეთსა და ჯავახეთში. თვითმპყრობელობა განზრახ უწყობდა ხელს საქართველოს განაპირა მხარეების მშრომელი ხალხის უკოდინარობაში დატოვებას. ამით უნდოდა მას უკულმართი ისტორიული პირობების გამო ამ კუთხის სანახევროდ გამაჰმადიანებული ქართველობა საბოლოოდ მოეწყვიტა დედა სამშობლოსაგან.

მესხეთ-ჯავახეთში არსებული სკოლების დიდი ნაწილი „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“ ეკუთვნოდა. ამ საზოგადოების კეშმარიტი მიზანი იყო არა ქრისტიანობის აღდგენა, არამედ სხვადასხვა კუთხის ქართველთა ერთმანეთისაგან გათიშვა. ამიტომ იყო, რომ საზოგადოების სკოლებში დედაენა არ წარმოადგენდა არათუ სწავლების ენას, მისი სწავლება აკრძალული იყო როგორც სასწავლო საგნისაც კი. ლაზარეს ბავშვობის პერიოდში ს. ბარალეთში სწორედ ამ საზოგადოების სკოლა არსებობდა, მიუხედავად იმისა, რომ ბარალეთლები ქრისტიანობას მისდევდნენ.

ლაზარეს მშობლები ძალზე ღარიბად ცხოვრობდნენ. მათ საკუთარი მიწა არ გააჩნდათ და იძულებულნი იყვნენ იჯარით აეღოთ მიწები და სანახევროდ მშვიერ-მწყურვალნი ყოფილიყვნენ. ლაზარე იდრეულ ასაკშივე ჩაუბამთ მძიმე შრომით საქმიანობაში. რვა წლისა ყოფილი იგი, გუთნეულზე რომ დამჯდარა, 9 წლის ასაკში კი მას გამოცდილი ჰქონია სოფლად მოჯამაგირის მწარე ხვედრი. ასეთი მძიმე პირობების მიუხედავად, მამას მაინც მოუხერხებია ლაზარეს მიბარება ბარალეთის სკოლაში. საბედნიეროდ ბარალეთის სკოლას კარგი აღმზრდელ-მომამაგე ჰყოლია მასწავლებელ კოტე გამყრელიძის სახით და მას ნიჭით უხვად დაჯილდოებულ პატარა ლაზარესათვის განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია. ამის შედეგად ლაზარეს ძალე შეუსწავლია წერა-კითხვა როგორც დედაენაზე, თუმცა ეს აკრძალული იყო, ასევე რუსულ ენაზედაც.

1880 წლის მაისში, იმ დროს, როცა ლაზარე უკანასკნელ, მეოთხე, განყოფილებაში ყოფილა, ბარალეთის სკოლას გამოსაკვლევად სწვევია ინსპექტორი ლიხაჩევი. როგორც ჩანს, ლიხაჩევი იდეური რუსი ინტელიგენტების ფენას ეკუთვნოდა და ქართულ ახალგაზრდობას ყოველმხრივ უწყობდა ხელს სწავლა-განათლების საქმეში. ლიხაჩევზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია მკვირცხლი და ბეჯითი ლაზარეს საუკეთესო პასუხებს და ამას გადაუწყვეტია ლაზარეს ბედიც. მშობლებთან მოლაპარაკების შედეგად ლიხაჩევს ლაზარე თავისთან წაუყვანია თბილისში და სამოქალაქო სასწავლებელში მიუბარებია. რუსი მოწინავე ინტელიგენტის ოჯახში ცხოვრებას, სწავლის დაუშრეტელ წყურვილს, ბეჯითობას თავისი ნაყოფი გამოუღია. სამოქალაქო სასწავლებელი ლაზარეს პირველ მოსწავლედ დაუმთავრებია.

1884 წლიდან ლაზარე ხონის საოსტატო სემინარიაში ჩაურციხავთ. სემინარიაც ხვრეთვე საუკეთესოდ დაუმთავრებია მას 1888 წელს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი სემინარიის დამთავრების შემდეგ იქვე დაუტოვე-

ბიათ სემინარიასთან არსებული დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. ცნობილია, რომ ეს სკოლები სემინარიების ბაზას წარმოადგენდნენ და მათში მასწავლებლად მცოდნე და გამოცდილ პირებს ნიშნავდნენ. ამ თანამდებობაზე დარჩენილა ლაზარე ოთხი წლის განმავლობაში.

1892 წელს ლ. ხმალაძე დაუნიშნავთ სოფ. სუჯუნის ორკლასიანი სასწავლებლის გამგედ. მას სოფლად ფართოდ მიუყვია ხელი მოსახლეობაში კულტურული მუშაობისათვის, თეატრის მოყვარულთა დასიც კი შეუქმნია და რამდენიმე წარმოდგენა გაუმართავს, განუზრახავს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებაც. მისი ამგვარი საქმიანობა სახალხო სკოლების დირექციას საშიშვალ მიუჩნევია და ლაზარე ოჩაშჩიორის „ნორმალური“ სკოლის გამგედ გადაუყვანია.

„ნორმალური“ სახალხო სკოლები ფაქტიურად ყველაზე მეტად არანორმალური ტიპი იყო სახალხო სკოლისა მეფის რუსეთში. ამ სკოლებში დედა-ენის სწავლება მთლიანად აკრძალული იყო. ლაზარე არ დარიდებია აკრძალვას და ქართული ენის სწავლება შემოუღია სკოლაში. ამ საქმეს მოსწავლენიცა და მშობლებიც დიდი მოწონებით შეხვედრიან. სულ მალე ბავშვთა დიდ ნაწილს ქართულ ენაზე დაუწყია ლაპარაკი, ქართული ენაც შეუსწავლია. გაჩაღებულა ქართული წიგნების, ჟურნალ-გაზეთების კითხვა, რაც, რასაკვირველია, არ გამოპარვია სასწავლო საქმის ხელმძღვანელებს. ამასთან დაკავშირებით იგი სამსახურიდან დაუთხოვნიათ „მიზეზთა განუმარტებლად“.

1895 წლის 1 სექტემბრიდან, დიდი კონკურსის შედეგად, ლაზარე ხმალაძე დაუნიშნავთ ქუთაისის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. მუყაითი მუშაობის შედეგად მის კლასს მალე მოუპოვებია საჩვენებელი კლასის სახელი. გამოცდილების გაზიარების მიზნით ამ სკოლაში ოთხი წლის განმავლობაში ლაზარეს მრავალი ახლად დამწყები მასწავლებელი ესწრებოდა და მისგან ოსტატობასა და ორგანიზებულობას სწავლობდა.

1899—1900 სასწავლო წლიდან ლ. ხმალაძე ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოსამზადებელი კლასის მასწავლებლად მიუწვევიათ, როგორც საუკეთესო პედაგოგი. ამ თანამდებობაზე დამტკიცებისათვის აუცილებელი იყო საგანგებო გამოცდის ჩაბარება. მას ჩაუბარებია კიდევ გამოცდა სამაზრო სკოლის მასწავლებლის წოდებაზე, რის შემდეგაც დაუმტკიცებია კავკასიის სასწავლო ოლქს დასახელებულ თანამდებობაზე.

რევოლუციამდელ პერიოდში ლ. ხმალაძის საზოგადოებრივი საქმიანობიდან, რასაც იგი 17 წლის განმავლობაში 1900—1917 წ. წ. ეწეოდა უსასყიდლოდ, აღსანიშნავია მისი მუშაობა იმერეთის ეპარქიალური სასკოლო საბჭოს წევრად. ასეთი საბჭოები ყველა ეპარქიაში არსებობდა. მათ მნიშვნელოვანი ფუნქციები ჰქონდათ დაკისრებული ეპარქიებში არსებული საეკლესიო-სამრევლო სკოლების სასწავლო-მეთოდური ხელმძღვანელობის საქმეში. მძიმე პერიოდში მოუხდა ლაზარეს ამ საბჭოში მუშაობა. ეს ის დრო იყო, როცა დეკანოზის მანტიაში გახვეული პოლი-

ციის თავაშვებული აგენტი ვოსტორგოვი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა საეკლესიო-სამრევლო სკოლებში რუსული ენის სწავლების საქმეში ე. წ. მუწჯური მეთოდი გაემატონებინა. „მუწჯური“ მეთოდის მახვილი, როგორც ეს თავის დროზე სრულყოფილად ცხადყვეს ი. გოგებაშვილმა და ლ. ბოცვაძემ, დედაენის, ქართული ენის, წინააღმდეგ იყო მიმართული. ამასთან იგი, ემყარებოდა რა მექანიკურ წვრთნასა და ზეპირობას, გამოსთიშავდა რა, ცნობიერების, აზროვნების მონაწილეობას რუსული ენის შესწავლის საქმეში, შეუძლებელს ხდიდა ამ ენის შესწავლასაც. მაგრამ ეს ნაკლებად აწუხებდა ამ მეთოდის „თეორეტიკოსებს“, კავკასიის სასწავლო ოლქსა და საქართველოს ეგზარქატში მოკალათებულ შავრაზმელ მოხელეებს, რომელთა ძირითად საზრუნავს წარმოადგენდა არა სინათლის შეტანა ხალხში, არამედ მათი დატოვება სინელესა და უეიცობაში.

ვოსტორგოვის განზრახვას მკვეთრად აღუდგა წინ იმერეთის ეპარქიალური სასკოლო საბჭო. საბჭოს მიერ გაწეული მედგარი წინააღმდეგობის შედეგად საქართველოს ეგზარქატმა ვერ მოახერხა ქუთაისის ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლებში „მუწჯური“ მეთოდის დანერგვა. და ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლ. ხმალაძემ. ამ ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდს ასე გადმოგვცემს თვითონ ლ. ხმალაძე: 1916 წელს იმპერიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მეთვალყურე ვანჩიკოვმა იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლები დაათვალიერა, შედეგების შესახებ იგი მოხსენებით გამოვიდა საბჭოს სხდომაზე, საბჭოს საყვედური გამოუცხადა ურჩობისათვის. ვანჩიკოვის მოხსენებაზე საპასუხო სიტყვით შე გამოვედი, დავუმტკიცე, თუ რას ისახავდა ნამდვილ მიზნად ვოსტორგოვის პროექტი, დავუმტკიცე მისი სრული ანტიპედაგოგიურობა. ვანჩიკოვმა საბოლოო სიტყვაში მხოლოდ ისღა სთქვა, რომ იმერეთის ეპარქიალური საბჭო მთელს იმპერიაში ყველაზე უფრო რევოლუციური და საშიშიაო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სიკვდილამდე ლ. ხმალაძე მუშაობდა რეაწლიანი სკოლის გამგედ, 1 ცხრაწლიანი სკოლის გამგის მოადგილედ და უფრო ხანგრძლივად 1928—1946 წ. წ. მეორე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში. ამავე პერიოდში იგი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ქუთაისის მასწავლებელთა შორის, როგორც განათლების განყოფილებისა და პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტი.

ლ. ხმალაძე დახელოვნებული ოსტატი მასწავლებელი იყო, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. იმ შინაგან მოწოდებასთან ერთად, რაც ასე მკაფიოდ იყო მასში მოცემული, როგორც აღმზრდელში, მას თავისი გარეგნობაც დამორჩილებული ჰქონდა. სასიამოვნოდ მელერადი ხმა, გამოკვეთილი დიქცია, სწორი, დინჯი, გამართული ქართული, უბრალო და ჭადა მიმოხვრა და ტესტი, მოკლებული ყალბ არტისტულობას, უნაკლო

პედაგოგიური ტაქტი პირველი შეხვედრისთანავე იწვევდა ლაზარესადმი პატივისცემას. მაგრამ მისი ოსტატობის გასაღები იმ არაჩვეულებრივ დისციპლინიანობასა და საქმისადმი ღრმა პასუხისმგებლობაში უნდა ვეძებოთ, რაც ასე დამახასიათებელი იყო ლაზარესათვის. რაც უნდა ცნობილი ყოფილიყო მისთვის გაკვეთილის თემა, მოსწავლეების კოლექტივი, იგი ყოველი გაკვეთილისათვის, საჩვენებელი იქნებოდა იგი თუ ჩვეულებრივი, წინასწარ საფუძვლიანად ემზადებოდა. მისი ყოველი გაკვეთილი საჩვენებელი გაკვეთილი იყო.

ლაზარეს მიერ შედგენილი საჩვენებელი გაკვეთილების კონსპექტები მათემატიკაში მართლაც რომ საჩვენებელი იყო ყოველმხრივ (საბჭოთა პერიოდში იგი სკოლებში მათემატიკურ დისციპლინებს ასწავლიდა). გაკვეთილის მიზნის გამოკვეთილად ჩამოყალიბება, ასახსნელი მასალის ფართო ილუსტრირება, სადაც არც ერთი დეტალი არ იყო დავიწყებული, მკაფიო კითხვები, რომლებაც მოსწავლეების აზრს აცხოველებს და გაკვეთილის პროცესში მათ ცნობიერ მონაწილეობას უზრუნველყოფს, ახლად ახსნილი მასალიდან ლოგიკურად გამომდინარე სწორი დასკვნები, რომლებიც აჯამებენ უმთავრესსა და არსებითს და ბოლოს, როგორც სავალდებულო წესი, კონკრეტული მითითებანი, თუ როგორ დაამუშაონ მოსწავლეებმა გაკვეთილი შინ, რას მიაქციონ მთავარი ყურადღება, რის ფიქსირებაა საჭირო წერილობით და რა მოცულობით, რა სახით და სხვ. აი, ასეთი იყო ლაზარე როგორც მასწავლებელი.

როგორც გაკვეთილის საუკეთესო ოსტატს ლაზარეს ადრე მიუქცევია სასკოლო საქმის ხელმძღვანელთა ყურადღება. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ რეალური სასწავლებლის მოსამზადებელ კლასებში მასწავლებლად მუშაობის პირველ პერიოდში საშუალო სკოლების დირექტორებიც კი რუსეთში უმაღლესი სკოლების კურსდამთავრებულ ახლად დამწყებ მასწავლებლებს ავალდებუნენ მთელი თვეობით ლაზარეს გაკვეთილებზე დასწრებას სწავლების დიდაქტიკური და მეთოდური მხარეების პრაქტიკულად შესწავლის მიზნით.

ლ. ხმალადე, როგორც საუკეთესო პრაქტიკოსი მასწავლებელი და განათლებული პედაგოგი, თითქმის ათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკური ფაკულტეტის სტუდენტებს პედაგოგიურ პრაქტიკაში.

პედაგოგიურმა საქმემ არ იცის წვრილმანი და სხვილმანი. აქ ყოველ დეტალს დიდი ყურადღება სჭირდება. ეს კარგად ჰქონდა შეგნებული ლ. ხმალადეს. ყველაფერში ჩანდა სასკოლო საქმის ყოველი დეტალისადმი მისი პრინციპული დამოკიდებულება, მაღალი პასუხისმგებლობა. ლაზარეს ხელით შედგენილ გაკვეთილის კონსპექტებს, მეთოდური ხასიათის წერილებს, სხვადასხვა ანგარიშებს და საკლასო ჟურნალის ჩანაწერებს რომ კითხულობთ, პედაგოგიური საქმის იმ დიდ ცოდნასთან და დაუშრეტელ ენერჯიასთან ერთად, ისიც გაკვირვებთ, თუ სად ჰქონდა

ამ კაცს ამდენი მოთმინება, რომ ასე მონდომებოთ გამოჰყავდა ქალაქებში თითოეული ასო, სიტყვა, ფრაზა, კალმის წვერი მიანიც რატომ არ მოი-  
დებდა ხანდახან ბეწვს და ასოს არ გაამუქებდა. როგორ ახერხებდა იგი თავიდან აეცილებინა შაბლონი, თუნდაც საკლასო ეურნალის ჩანა-  
წერებში, რაც თავისი ბუნებით თითქოს ერთფეროვანი უნდა იყოს. მაგ-  
რამ ლაზარეს ნათელ სახეს რომ გაიხსენებთ ხშირი თეთრი წვერით,  
მის ცოცხალ თვალებს წარმოიდგენთ, წარმოიდგენთ ამ საშუალო ტანის  
კაცს, რომელიც ღრმა მოხუცებულობაშიაც კი გამართული, თანაბარი  
ნაბიჯებით დადიოდა, ყოველთვის სუფთად ჩაცმული და საქმისათვის შე-  
დამ მზად მყოფი, ეს კითხვები მოგცილდებათ, — ლაზარე არ მისცემდა  
და არც აძლევდა თავისთავს უფლებას აღზრდის საქმეს მოჰკიდებოდა  
როგორც მოხელე.

პრაქტიკულ პედაგოგიურ და მეთოდურ მუშაობასთან ერთად ლ.  
ხმალადე ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებდა, როგორც სახელმძღვანელო-  
ების ავტორი.

ლ. ხმალადის მრერ შედგენილი და 1919—1920 წ. წ. ქ. ქუთაისში  
არსებული მასწავლებელთა კორპორაციის გამომცემლობა „მერანის“ მი-  
ერ დაბეჭდილი „კრებული არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი  
მაგალითებისა პირველდაწყებით სკოლებში სახმარებლად“, ყველაზე სრუ-  
ლი სახელმძღვანელოა მანამდე გამოცემულ არითმეტიკის სახელმძღვანე-  
ლოთა შორის. ასე, მაგალითად, მარტო მესამე წიგნი 116 სრული, მეტის  
მეტად დატვირთული გვერდისაგან შედგება (ეს ალბათ ქალაქის ნაკ-  
ლებობით იყო გამოწვეული). იგი შეიცავს 1171 ამოცანასა და მაგალითს,  
მრავალ თვალსაჩინო სურათს და იმავე მიზნით სათანადო სქემებსა და  
ტაბულებს. იგივე ითქმის დანარჩენი წიგნების შესახებაც. ეს სახელ-  
მძღვანელოები სისტემატურობისა და თანამიმდევრობის მტკიცედ დაც-  
ვასთან ერთად, რაც ასე აუცილებელია მათემატიკური მეცნიერებების  
გადმოცემისას, ყურადღებას იპყრობს სტილის სიმსუბუქითა, ენის სისა-  
დავითა და სისწორით.

მარტო ამით არ ამოწურულა ლ. ხმალადის მუშაობა ლიტერატურ-  
რულ-საგამომცემლო დარგში. ცოტა უფრო ადრე იგი აქტიურ მონაწი-  
ლეობას ლებულობდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პედა-  
გოგის სილ. ხუნდაძის თაოსნობით დაარსებულ „წიგნის გამომცემლო-  
ბის ამხანაგობის“ საქმიანობაში, რომლის ხაზითაც იქნა გამოცემული  
ლაზარეს მიერ თარგმნილი „ორი მეგობარი-ორი გზა“. ამასთან ერთად  
ლ. ხმალადის კალამს ეკუთვნის მეთოდური წერილები მათემატიკის, გან-  
საკუთრებით არითმეტიკის სწავლების საკვანძო საკითხებზე და ორ კლას-  
თან ერთდროულად მუშაობასთან დაკავშირებულ პედაგოგიურ პრობლე-  
მებზე.

ლ. ხმალადემ მოხუცებულობაშიც შეინარჩუნა სულის სიმხნევე და  
ახალგაზრდული ენერჯია. 1939 წელს ლ. ხმალადეს საქართველოს სსრ

სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა. ამასთან დაკავშირებით იგი გაზ. „ინდუსტრიულ ქუთაისში“ წერდა:

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამსახურებული მასწავლებლის წოდების მონიჭება—უსაზღვრო ერთუზიანზმს იწვევს ჩემში. ჩვენს პირობებში მრავალი სიხარული განმიცდია, ამ უდიდესი ჯილდოს მიღებით გამოწვეული სიხარული ახალ ძალას მმატებს.

სიტყვას ვიძლევი, რომ მაქსიმალურად გამოვიყენებ მთელს ჩემს შესაძლებლობას მომავალი თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის“ (გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1939 წ. 21 ოქტომბრის ნომერი). ამ სიტყვისათვის ლაზარეს არ გადაუხვევია სიკვდილამდე.

დაიწყო საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ხანდაზმული ლაზარე მტერზე გამარჯვებისათვის მებრძოლთა რიგებში ჩადგა. იგი ზურგში უდიდესი პატრიოტული ენერჯით ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ლაზარე აქტიურ დახმარებას უწევს მასწავლებლებს სწავლებლის სამამულო ომის ამოცანებთან დაკავშირების საქმეში გაკვეთილებზე დასწრებით, სანიმუშო გაკვეთილების ჩატარებით, ახსნა-განმარტებით და რჩევა-დარიგებებით. იგი მუდამ ხელმძღვანელობდა იმ გარდუვალს კეშმარიტებით, რომ „მტკიცე და მაგარი ზურგი ხელს შეუწყობს ფრონტზე მებრძოლთ, რაც შეიძლება მალე და საბოლოოდ გაანადგურონ ვერაგი მტერი და მოკლე ვადაში გაანთავისუფლონ საყვარელი სამშობლოს ტერიტორია ყაჩაღ ფაშისტურ შურდობისაგან“.

სწამდა რა გარდუვალობა ამ კეშმარიტებისა, ლაზარე მაგალითს უჩვენებდა ყველას მტკიცე ზურგისათვის ბრძოლაში. სამამულო ომის საბჭოთა ხალხისათვის ბრწყინვალედ დამთავრებიდან ერთი წლისთავზე ლ. ხმალიძე წერდა:

„ჩემმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, ჩემს მიერ აღზრდილებმა ღირსეულად მოიხადეს თავიანთი წმინდათაწმინდა 'ვალის დედა-სამშობლოს წინაშე და ამჟამად ისინი მეცნიერების სხვადასხვა დარგში ეწვევიან ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას.

იმ უდიდესი ზრუნვის საპასუხოდ, რასაც იჩენენ პარტია და ხელისუფლება და პირადად მშობლიური სტალინი სახალხო განათლების მუშაკებისადმი, პირობას ვიძლევი, რომ, მიუხედავად ხანდაზმულობისა, კვლავ ახალგაზრდული ენერჯით განვაგრძო პედაგოგიური მუშაობა მეოთხე სტალინურ ხუთწლიეში“ („სახალხო განათლება“, 1946 წ. 9 მაისის ნომერი).

საბჭოთა მთავრობამ მალალი შეფასება მისცა ლ. ხმალიძის დამსახურებას ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. 1946 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავთან დაკავშირებით პედაგოგიურ ასპარეზზე ხანგრძლივი, უანგარო და ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ლ. ხმალიძე უმაღლესი

ჯილდოთი—ლენინის ორდენით დააჯილდოვა. ეს მაღალი ჯილდო მრავალ წელთა მანძილზე ლაზარე ხმალაძის უმწიკვლო და უანგარო მოღვაწეობის ღირსეული გვირგვინი იყო.

ლ. ვ. ხმალაძე გარდაიცვალა 78 წლის ასაკში 1946 წლის 10 მაისს. იგი დაკრძალულ იქნა ქ. თბილისში, ვერის ახალ სასაფლაოზე. ლ. ხმალაძის ხსოვნას ნეკროლოგი უძღვნა გაზ. „კომუნისტმა“ (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1946 წ. 14 მაისის ნომერი) და გაზ. „სახალხო განათლებამ“ („სახალხო განათლება“, 1946 წ. 16 მაისის ნომერი).

გაზ. „სახალხო განათლებაში“ გამოქვეყნებული ნეკროლოგი შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა:


ქეშმარიტად, ლაზარე ვასილის-ძე ხმალაძეზედაც შეიძლება ითქვას: „არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია, მკვდარი იგია, ვისაც რომ სახელი არ დარჩენია“.

ლ. ხმალაძემ დამსახურებულად დაიმკვიდრა თავისი ადგილი იმ სახელოვან მასწავლებელთა რიგებში, რომლებიც აწმყოსა და მომავალს შორის მტკიცე ხიდს სდებენ, განათლებისა და აღზრდის საქმეს წინ სწივენ.









ილია ჭიჭუაშვიანი  
(1869—1939)

„შრომობენ მოციქულებრივ,  
თავი არ მოაქვთ დიდადა  
და კერძოს საზოგადოსთვის  
აგებენ გზად და ზიდადა“.

აკაკი

დიდი ქართველი პოეტის ეს სიტყვები თამამად შეიძლება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ დავახასიათოთ ილია ალექსისძე ჯიშკარიანის ცხოვრება და პედაგოგიური მოღვაწეობა.

ღრმა და ფართო მცოდნე თავისი სპეციალობისა—მათემატიკისა, მეთოდურად და მეცნიერულად გამოცდილი და არაცალმხრივად განათლებული, ავტორი მრავალი სხვადასხვაგვარი ნაბეჭდი ნაწარმოებისა, დაუშრეტელი ქმედითი ენერჯის მქონე, გაბედული მოქალაქე, მხურვალე პატრიოტი, მოსწავლე ახალგაზრდობისა და ყოველი მშრომელის-

მეგობარი და მოსიყვარულე, საშუალო სკოლის გამოჩენილი მასწავლებელი—ასეთია ი. ა. ჯიშკარიანი.

ი. ჯიშკარიანი დაიბადა 1869 წლის იანვარში ქვ. იმერეთში, სოფელ ბაშში.

საშუალო განათლება ი. ჯიშკარიანმა მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. გიმნაზიაში ი. ჯიშკარიანი ითვლებოდა სერიოზულ, საკმარისად ნიჭიერ და მუყაით მოსწავლედ. იგი იყო გულკეთილი და სუსტების მფარველი.

13 წლის ასაკიდან ი. ჯიშკარიანი იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას—რეპეტიტორობას ჰკიდებს ხელს, თავისუფალ დროს კი იგი თვითგანვითარებისათვის იყენებს.

საშუალო სკოლას ილიკო ამთავრებს 1890 წელს და უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე შედის.

ილია ჯიშკარიანი სტუდენტობის დროს პეტერბურგშიც ეწეოდა რეპეტიტორობას. ამ მძიმე შრომის ხელფასით ირჩენდა თავს და უმცროს ძმასაც თავისი ხარჯით ზრდიდა იქვე.

1893 წელს ი. ჯიშკარიანი ორ ამხანაგთან ერთად დააპატიმრეს როგორც პოლიტიკური დამნაშავე. დაპატიმრებამ, რა თქმა უნდა, დიდად შეუშალა ხელი მეცადინეობაში და ილიამ დაგვიანებით, მხოლოდ 1897 წელს, დაამთავრა უნივერსიტეტი. როგორც „პოლიტიკური მეთვალყურეობის ქვეშ მყოფს“ მას უფლება არა ჰქონდა მიეღო მასწავლებლის ადგილი არა თუ რუსეთის სატახტო ქალაქში, არც საქართველოში და საერთოდ კავკასიაში. ამ გარემოებამ ი. ჯიშკარიანი აიძულა წასულიყო მასწავლებლად შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირში და ქ. ხაბაროვსკის რკინიგზის სასწავლებელში დაეწყო მათემატიკის მასწავლებლობა. ერთი წლის შემდეგ ის ინიშნება იმავე სასწავლებლის ინსპექტორად. 1900 წელს ი. ჯიშკარიანი გადაჰყავთ იმიერ-ბაიკალის ქ. ტროიცკოსავსკის რეალური სასწავლებლის ინსპექტორად, სადაც იგი მსახურობს 1908 წლამდე და ეწევა ინტენსიურ საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოღვაწეობას. 1908 წელს ი. ჯიშკარიანი, მრავალი განმეორებითი თხოვნის შემდეგ, ახერხებს გადმოსვლას ამიერკავკასიაში და ინიშნება ქ. ბაქოში პირველი გიმნაზიის ინსპექტორისა და მათემატიკის მასწავლებლის თანამდებობაზე. 1917 წ. იგი იმსახურებს პენსიას და მოისწრაფვის საქართველოში. მას ნიშნავენ ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორად და ქალთა გიმნაზიის პედსაბჰოს თავმჯდომარედ. 1918 წლიდან ი. ჯიშკარიანი თბილისში მსახურობს, ჯერ ავღაბრის მე-5 გიმნაზიის დირექტორად, ხოლო შემდეგ ტექნიკუმის დირექტორად, სადაც დაჰყო 1924 წლამდე. ამის შემდეგ, იგი ლექტორად მუშაობს სხვადასხვა კურსებზე, მასწავლებლად ონში და თელავში.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კვლავ ბრუნდება თბილისში, სადაც ჩვეული ენერჯით მუშაობს ლექტორად მასწავლებელთა კურსებზე და წითელი არმიისა და ფლოტის სახლში, სანამ მოულოდნელად არ შეწყდა მისი სიცოცხლე. 1939 წლის მარტში ილია ჯიშკარიანი გარდაიცვალა ტვინში სისხლის ჩაქცევით.

გრძელი და შინაარსიანი იყო ცხოვრება ი. ჯიშკარიანისა. ხშირად ეკლიანი, მაგრამ მუდამ ნათელი და სახელოვანი იყო მის მიერ განვლილი გზა. ის უმწიკლო და შეუბღალავი ღვაწლით შემოსილი სახელი, რომელიც ი. ჯიშკარიანმა დასტოვა, მუდამ დაუფიწყარი იქნება. ამას მოწმობს მისი მეგობრების გულწრფელი მოგონებანი სამაგალითო ადამიანისა და სპეტაკი მოღვაწის შესახებ.

— „ჯერ ისევ მოწაფეობის წლებში,—მოგვითხრობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი ალ. მდივანი,—ყველასათვის საყვარელი იყო ილია ჯიშკარიანი. იგი იმდენად კეთილი და მთარეველი ამხანაგი იყო, რომ ჩვენს მშობლებსაც განსაკუთრებით უყვარდათ!..“

ამგვარადვე ახასიათებენ მას დაშახტრებული პროფესორი ი. აბულაძე და სხვები. რაც შეეხება მოსწავლეებს, რომლებსაც ი. ჯიშკარიანი ასწავლიდა, და მასწავლებლებს, რომლებთანაც მსახურობდა იგი, წარუშლელი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდათ მისი. ერთი ყოფილი მოსწავლე მას სწერდა: „თქვენ, ძვირფასო ილია ალექსის-ძევე, სამუდამოდ მომხიბლეთ, როგორც შრომის მკადაგებელმა და იმისნა კარგმა მაგალითმა, რომ შრომა აკეთილშობილებს ადამიანს“.

მართლაც, სადაც კი ი. ჯიშკარიანი მსახურობდა, იგი ატარებდა დაუღალავად მშრომელი პატიოსანი პედაგოგის სახელს, მუდამ „ანთებდა მოწაფეების სულში ცოდნისა და შრომის ჩაუქრობელ ცეცხლს“ (ვ. კობახიძე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკი). ი. ჯიშკარიანი სკოლაში დასვენებების დროსაც არ ისვენებდა, უსარგებლოდ არ კარგავდა არც ერთს წუთს. მაგალითად, ბაქოში, გიმნაზიის ინსპექტორის როლში იგი არა მარტო თვალყურს ადევნებდა მოსწავლეებს დერეფნებში, არამედ პარალელურად მუშაობდა კიდევ, მიუჯდებოდა დერეფანში დადგმულ თავის მაგიდას და ან კითხულობდა, ანდა წერდა. ი. ჯიშკარიანი ნამდვილი გმირი იყო შრომისა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი ადრე დილიდან ღამის 2—3 საათამდე მუშაობდა, „საქმიანობდა“ (სიტყვა „საქმიანობა“ მას ძლიერ უყვარდა); მისი დასვენება იმაში გამოიხატებოდა, რომ მუშაობის ერთი დარგიდან მეორეზე გადავიდოდა. მასში მუდამ შრომის უქრობი ცეცხლი ენთო. იგი გარდა მათემატიკისა, მეცნიერების სხვა დარგებშიაც იჩენდა ღრმა ცოდნას. საყურადღებო მემკვიდრეობა დაგვიტოვა მან არა მარტო მათემატიკაში, არამედ ქართულ ლიტერატურასა, ისტორიასა და ენათმეცნიერებაში.

ჩვენი დიდი პოეტი აკაკი ვრთ-ერთ თავის ნაწარმოებში გვეუბნე-

ბა: „აღამიანის სიდიადე, ღირსება და ფასი. უპირველეს ყოვლისა, იმითი განიზომება, თუ რამდენად ახლო დგას იგი ხალხთან, თავის მშობლიურ წმარესთან—სამშობლოსთან, რამდენად ღრმად განიცდის იგი ხალხის სიხარულსა და მწუხარებას“. ი. ჯიშკარიანი კარგად ამართლებდა დიდებული პოეტის ამ მაღალაზროვან სიტყვებს. იგი ხალხთან იყო როგორც გაქირვებაში, ისე დაღბინებაში.

ი. ჯიშკარიანს ძლიერ აინტერესებდა ტურჩინში. მან იმოგზაურა ჩინეთში, მონგოლეთში, ინდოეთში, იაპონიასა და სპარსეთში. რაც შეეხება საქართველოში მის მოგზაურობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ყოველი კუთხე ფეხით ჰქონდა მოვლილი და კარგადაც შესწავლილი. მან, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია საუკეთესოდ იცოდა. ი. ჯიშკარიანი დიდ ყურადღებას აქცევდა ისტორიული ძეგლების დაცვას. ჩვენს ხელთ არის წერილობითი საბუთი, რომელიც ლაპარაკობს, რომ ი. ჯიშკარიანმა ფულად გაიღო ვარძიის მონასტრის გამშენიერებისათვის, რომელიც 1911 წელს ჯაფახეთში მოგზაურობის დროს იხანულა. ი. ჯიშკარიანი ენთუზიასტი იყო ქველმოქმედებაში. მაგალითად, ცნობილია, რომ თავისი ხელფასიდან საკმაოდ დიდ თანხებს იღებდა საქველმოქმედო საქმიროებისათვის. შემონახული ქვითრებით დასტურდება, რომ მეფის დროს მას სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებისათვის 1335 მანეთი შეუწირავს და 15.060 მანეთის დახმარება გაუწვია ხელმოკლე მოსწავლეებისათვის (გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი“, 1939 წ. № 40).

გასაკვირველი იყო ი. ჯიშკარიანის სისადავე, უბრალოება საკუთარი ბინის მოწყობაში, ჩაცმა-დახურვაში და ყოფაქცევაში. მსცოვანი მასწავლებელი, მწ წლის მოხუცი მ. გიორგაძე ჯიშკარიანზე ამბობს: „უბრალოება მე მისგან ვისწავლეო“.

ი. ჯიშკარიანი საუკეთესო იყო როგორც მასწავლებელი. იგი მათემატიკის გაკვეთილის მასალაში ისტორიული ელემენტის შეტანით და მასალის პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობის გაშუქებით ქმნიდა იმ საუკეთესო ატმოსფეროს კლასში, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ მოსწავლეებში გაღვივდეს ცოცხალი ინტერესი საგნისადმი და შრომითი განწყობილება.

მუყაითად მუშაობდა ი. ჯიშკარიანი მათემატიკის სახელმძღვანელოების შედგენაზე. მისი თავმჯდომარეობით ქართველმა მათემატიკოსებმა შეიმუშავეს ქართული მათემატიკური ტერმინოლოგია.

ი. ჯიშკარიანის შრომებიდან გამოცემულია: 1. Элементарная тригонометрия, Баку, 1911 г. 232 стр., 2. Алгебра для изучающих элемент. тригонометрию, Баку, 1911 г., 3. Арифметика для изучающих элементар. тригонометрию, 4. ძველი აღმოსავლეთის წარსული და „ვეფხისტყაოსანი“, 1920 წ., 5. აზიისა და კავკასიის სახელწოდებათა წარმოშობის საკითხისათვის, 1924 წ. 6. არითმეტიკა—ჩვეულებრივ

და ათწილად ნაწევართა თეორია, 1924 წ., 7. წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი. 1925 წ., 8. ტრიგონომეტრია, 1926 წ., 9. ფუნქციონალური დამოკიდებულება, 1926. 10. ხეთების პრობლემა, 1933.

დასაბეჭდად მომზადებული დარჩა: 1. მათემატიკის საფუძვლები, 2. ტრიგონომეტრია, I ნაწილი. მეორე გამოცემისათვის შესწორებული (სამეცნიერო-პედაგოგ. სექციის მიერ მიღებული), 3. მათემატიკური ტერმინოლოგია, 4. Рабочая книга по тригонометрии, 5. Проблема происхождения человеческой речи, 6. Теория соединений.

ი. ჯიშარიანს, ამ დაულალავსა და სპეტაკ მუშაკს შეეძლო თავის თავზე ეთქვა: „გავაკეთე, რაც შეეძელი, უკეთ გააკეთოს, ვისაც შეტი შეუძლია“.

---





## სერგო რობაქიძე

(1869—1934)

სერგო, ისიდორეს - ძე რობაქიძე მასწავლებელთა იმ სახელოვან ჯგუფს ეკუთვნის, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დასტოვა არა მარტო პედაგოგიურ, არამედ საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ასპარეზზე. ასე იყო მაშინ—რევოლუციების წინაპერიოდებში: ცოდნით აღჭურვილი ადამიანი თუ მშრომელი ხალხის კეთილდღეობით იყო დაინტერესებული, ერთი პროფესიით ვერ დაკმაყოფილდებოდა. თუ ის ძირითადად მასწავლებელი იყო, ხალხის მასწავლებელიც უნდა გამხდარიყო, მისი ავკარგი პრესაში უნდა გაეშუქებია, პოპულარული და სასარგებლო წიგნები უნდა ეწერა და ეთარგმნა, გამოეცა, გაევერცელებია, სცენის მუშაკიც უნდა გამხდარიყო, რომ მშრომელი ხალხისათვის თვალსაჩინო გაეხადა ცხოვრების სიავკარგე, ლექტორიც უნდა ყოფილიყო და ქველმოქმედიც, თუ რაიმე შეძლება ჰქონდა, კოოპერატივებისა და არტელების შექმნისათვისაც უნდა შეეწყო ხელი და საკვირაო სკოლებისა და სამკითხველოების დაარსებაზეც ეზრუნა.

სერგო რობაქიძეც სწორედ ამგვარი მოღვაწეობით ხასიათდება. ის ცნობილი პედაგოგი იყო და ფართო მასშტაბის საზოგადო მუშაეი, დემოკრატიულ ფენებს რომ უწევდა მომსახურებას. სერგო რობაქიძე დაიბადა 1869 წელს სოფ. ჩხარში, საშუალო გლეხის ისიდორე რობაქიძის ოჯახში, რომელიც 25 სულისაგან შესდგებოდა. მხოლოდ ქალებს სკოდნიათ წერა-კითხვა, რაც სერგოს ბებისაგან შეუსწავლიათ. ამ მოხუცს მხედრული წერა სკოდნია ხარის ბეჭზე და „ვეფხისტყაოსანიც“ გაზეპირებული ჰქონია.

სერგოს მამას, რომელმაც კარგად იცოდა ქართული და რუსული წერა-კითხვა, აგრეთვე დიდად აფასებდა ნასწავლ ადამიანებს, ცოტაოდენი თანხა გასჩენია და განუზრახავს 1879 წელს შეილზ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიებარებია. მცირეოდენ ვაკანტურ ადგილზე მრავალი მთხოვნელი ყოფილა ამ წელს, რაც ოფიციალურადაც დასტურდება, და, რასაკვირველია, ბევრი მსურველი გიმნაზიაში შესვლისას უკან გაუბრუნებიათ, მათ შორის სერგო რობაქიძეც. სწორედ ამ დროს ქუთაისში გახსნილა ექვსკლასიანი საქალაქო სასწავლებელი 1872 წლის დებულების საფუძველზე და რადგან სერგოს ხნოვანება ხელს არ უწყობდა, ელოდინა გიმნაზიაში შესასვლელად სათანადო მომზადების შემდეგ, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რუსულ ენას რუსი ბავშვივით დაუფლებოდა, მან ამჯობინა ახალგახსნილ საქალაქო სასწავლებელში შესვლა, სადაც სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრებული მასწავლებლები ყველა საგანს (გარდა საღვთო სჯულისა) ასწავლიდნენ თითოეულ კლასში. აქ ისწავლებოდა რუსული ენა, ქართული ენა, არითმეტიკა, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ფიზიკა, მინერალოგია, ზოოლოგია, ფიზიოლოგია და ბოტანიკა. კარგად ასწავლიდნენ აგრეთვე დურგლობასა და წიგნის კაზმვას. ამრიგად ამ სასწავლებელს რეალური განხრა ჰქონდა მიცემული. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ამ სასწავლებლიდან უმაღლეს სკოლაში შესასვლელი გზა დაკეტილი იყო. მხოლოდ სამასწავლებლო ინსტიტუტში თუ შევიდოდა ახალგაზრდა, რომელსაც სამოქალაქო სასწავლებელი ჰქონდა დასრულებული.

ამ სასწავლებელში სხვა საგნებთან ერთად კარგად ყოფილა დაყენებული ქართული ენის სწავლებაც. სერგო რობაქიძე სიყვარულით იგონებს ორ მასწავლებელს ალექსანდრე სიმონის ძე ნიჟარაძეს და ბესარიონ კონსტანტინეს ძე ლომინაძეს, რომელნიც „შრომასა და ენერჯიას არ ზოგავდნენ, ოღონდ გვესწავლა რამეო“. 1887 წელს ს. რობაქიძეს დაუსრულებია ქუთაისის საქალაქო სასწავლებელი და თბილისის გამგზავრებულა სამასწავლებლო ინსტიტუტში შესასვლელად. მხოლოდ სამი წლის მზადების შემდეგ ჩაუბარებია კარგად მისაღები გამოცდები სერგოს (პირველად რუსულ წერაში ჩაქრილა, მეორე წელს—მათემატიკაში). ის პანსიონშიც მიუღიათ სახაზინო ხარჯით.



მაშინ სამასწავლებლო ინსტიტუტში 120 მსურველიდან 22 კაცი მიუღიათ. მათში ქართველი 7 ყოფილა.

სულ სხვა იყო თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი 1890-ანი წლების დასაწყისში, შედარებით 70-იან წლებთან, როდესაც მისი დირექტორი ზახაროვი კმაყოფილებას გამოსთქვამდა იმით, რომ მისი სასწავლებელი მხოლოდ რუსებით არის სავსე და ორიოდ იქ მყოფ ქართველ მოსწავლეს გარიცხვით ემუქრებოდა, თუ მათ ქართული გაზეთის ან ქართული წიგნის კითხვაზე წაისწრებდნენ. სერგო რობაქიძე თავის ბიოგრაფიაში აღნიშნავს: „იმ დროს, როცა მე იქ (თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში) ვსწავლობდი, მისი დირექტორი იყო დიმიტრი ვიკენტი ძე კოლოვიჩი. ეს ადამიანი იყო ფრიად განათლებული, გულკეთილი და ყველასაგან პატივცემული პედაგოგი. ის შთამომავლობით მოლდავანელი იყო, წმინდა წყლის მონარქისტი, მაგრამ მისი პედაგოგიური ტაქტი იმდენად პროგრესიული და მასთანვე ლიბერალური იყო, რომ ინსტიტუტის მოწაფეობა განუზომელი პატივისცემით ექცეოდა მას. ამ ადამიანის დიდ ღირსებას შეადგენდა ის, რომ მან არ იცოდა არავისი ეროვნული სიძულელი. პირიქით, ის დიდ პატივისცემით ექცეოდა ინსტიტუტის ქართველ მოწაფეებს.“

ამ-ინსტიტუტის ბიბლიოთეკა მეტად მდიდარი ყოფილა რუსეთის 60-იანი წლების რევოლუციური დემოკრატების — დობროლუბოვის, პისარევის, ჩერნიშევსკის, ბელინსკის, გერცენის და სხვათა ნაწერებით. აქვე ყოფილა მაშინდელი ჟურნალები: „რუსსკოე სლოვო“, „სოვრემენნიკი“, „დელო“, „ოტჩეტენნიე ზაპისკი“ და სხვ., ყოფილა ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ?“ და ლავროვის „ისტორიული წერილები“. ამ მოწინავე ლიტერატურით სარგებლობის შესაძლებლობა ჰქონდა ინსტიტუტის მოსწავლე ახალგაზრდობას. ამ წიგნებს მზურვალედ დაეწაფა სერგო რობაქიძეც. მის განვითარებას ხელი შეუწყო მოწინავე მასწავლებლობამაც, მათ შორის ესეთი ყოფილა მღ. ზვერგვი, რომელიც აცნობდა მოსწავლეებს ფეიერბახის შეხედულებას რელიგიაზე, რენანისა და შტრაუსის შრომებს ქრისტეს ცხოვრებაზე. ხოლო როდესაც II კლასში მოსწავლეებს უნდა დაემუშაებიათ თემა ქორწინების შესახებ, ამ მასწავლებელს მათთვის გაუცვნია ლ. ტოლსტოის „Крейцерова соната“, რომელიც ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი რუსეთში არალეგალურად ყოფილა გამოცემული. დირექტორი კოლოვიჩიც გვიკითხავდა, — წერს ს. რობაქიძე თავის მოგონებაში, — აკრძალულ წიგნებს ისტორიულ საკითხებზეო. მან გაგვაცნო დავა, ოსტომაროვსა და პოგოდინს შორის რუსეთის სახელმწიფოს წარმოშობის შესახებო.

სამასწავლებლო ინსტიტუტში კარგად ყოფილა დაყენებული ხატვისა და სიმღერის სწავლებაც. რაც საჭირო იყო მომავალი მასწავლებლებისათვის. იმავე მიზნით ასწავლიდნენ მეაბრეშუმეობას და მეფუტკრეობას, აწყობდნენ ექსკურსიებს შორეულისა და მახლობელი ადგი-

ლების გასაცნობად, ექსკურსიებს სასიერნოს და ექსკურსიებს მეცნიერული მიზნით.

ინსტიტუტის დირექტორი კოლოვიჩი დიდ ყურადღებას აქცევდა სას(ცენო ხელოვნებასაც. ამ მიზნით ინსტიტუტში ის მოსწავლეების ძალებით მართავდა კონცერტებს და წარმოდგენებს რუსულსა და ქართულ ენებზე, რომელზედაც იწვევდა მოსწავლეთა მშობლებსა და ნათესავებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს, ქართული კულტურის მუშაკებს. აქ გაუცვნია სერგოს კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ლადო მესხი-შვილი და სხვანი. მაშინ ქართველ საზოგადოებაში დიდი მოწონება ჰქონდა რაფიელ ერისთავის კომედია—ოპერეტას „ბიძიასთან გამომხაურება“. ეს პიესა ინსტიტუტშიც დაუდგამთ და თავ. იორამის როლში სერგო რობაქიძე საზოგადოებას მეტად მოსწონებია. ის მოწინავე ჩვევები, რაც სერგომ ინსტიტუტში მიიღო, შემდეგ ცხოვრებაში გადმოიტანა.

ამავე წლებში სერგო რობაქიძე ებმება მოსწავლეთა არალეგალურ რევოლუციურ წლებში, რომლებშიც, გარდა სხვა სასწავლებლის მოსწავლეებისა, რუსეთიდან ნებით თუ უნებლიეთ დაბრუნებული სტუდენტებიც იღებდნენ მონაწილეობას. ეს წრეები ხალხოსნური მიმართულებისა ყოფილან და მათზე დიდი გავლენა ჰქონიათ ცნობილ ხალხოსნებს—ლიუბატოვიჩს, ერმოლინს, ლავრუსევიჩს და სხვებს, რომელმაც სასჯელი ციმბირში უკვე მოეხადათ და თბილისში ცხოვრების ნება ჰქონდათ. ამ წრეს, რომელშიც სერგო რობაქიძე მხურვალე მონაწილეობას იღებდა, არალეგალური ბიბლიოთეკა ჰქონია ჩუღურეთში, ლეჩავას ბინაზე, ხოლო წრის სხდომები იმართებოდა მიხეილის ქუჩაზე, საავადმყოფოს პირდაპირ, კონსპირაციისათვის მეტად მოხდენილ სარდაფში. წრის სხდომებს ესწრებოდნენ: მიხა ცხაკაია, ეგნატე ნინოშვილი, როდესაც ის თბილისში იმყოფებოდა, ფილიპე მახარაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ანდრო ლეჩავა, ზაქარია უზნაძე, ილია ალლაძე, შიო ჩიტაძე და მრავალი სხვა. ამ ბინაზე იკრიბებოდნენ წრის წევრები 1889—1891 წლებში. გაცხარებული კამათი ჰქონდათ გამართული მრავალი საკითხის შესახებ, განსაკუთრებით კი პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში.

სერგო რობაქიძე მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ამ დროს თბილისში კაიდანოვის ქალის ხელმძღვანელობით წამოწყებულ საკვირაო სკოლების მუშაობაში და მუშათა უბნებში საჯარო წარმოდგენებისა და კითხვის მოწყობაში ბუნდოვანი სურათებით. მასვე რკინიგზის მუშათა კონსპირაციულ წრეებშიც უმუშავნია, რომელთაც მუშათა მოძრაობის ისტორიასა და პოლიტიკურ ეკონომიას აცნობდა. ამისთვის მასვე უთარგმნია რუსულიდან: სვიდერსკის „შრომა და კაპიტალი“, ბოგდანოვის „პოლიტიკური ეკონომია“ და აქსელროდის „მუშათა მოძრაობა“. რევოლუციურ ახალგაზრდობაში დიდი პოპულარობა ჰქონდა მოპოვებუ-

ლი ბროშურას „ზღაპარი ოთხი ძმის შესახებ“. რევოლუციურ მოძრაობაში ჩასაბმელ ახალგაზრდას პირველად ხელში ამ წიგნაკს აძლევდნენ წასაკითხად. ადრე ეს წიგნაკი ქართულად გოლა ჩიტაძეს უთარგმნია, მაგრამ ენდარშერიას მისი კონფისკაცია მოუხდენია. სერგო რობაქიძეს ის ხელახლა გადაუთარგმნია და სიმონ სპირიდონის ძე ჯუღელს, რომელიც ამ წიგნში ტრიალებდა მუდამ, ქიმიური მეღვინით გადაუწერია, ხოლო გიგო რცხილაძეს თავის მოხერხებულ ბინაზე ჰექტოგრაფზე გადაუბეჭდია. აქ ის სხვა არალეგალურ ლიტერატურასაც ბეჭდავდა. სერგო რობაქიძე აკრძალულ ლიტერატურას პანსიონში, თავის განჯინაში ინახავდა, და არავის მოუვიდოდა ფიქრად, რომ მას ოდესმე გაჩხრეკდნენ და ამისათვის დასჯიდნენ. მაგრამ 1873 წლის ნოემბერში, ერთ მშვენიერ საღამოს მასწავლებლებმა მოსწავლეთა განჯინები გაჩხრეკეს, ს. რობაქიძის ყუთებში დიდძალი აკრძალული წიგნები აღმოაჩინეს. მისმა ამხანაგებმა მაინც შესძლეს სერგოს განჯინიდან 30 ც. „ოთხი ძმა“ გადაემალათ. მისმა ქებულმა დირექტორმა კი, რომელიც ცნობილ იანოვსკის ნათესავი იყო, დახმარებაზე უარი უთხრა, რადგან საქმე გახმაურებული იყო. იანოვსკი და კოლოვიჩი შეთანხმდნენ გაერიცხით ს. რობაქიძე ინსტიტუტიდან უფლებით, რომ ჩაებარებია სხვა ამხანაგებთან ერთად გასათავებელი გამოცდები მათს—იენისში. ს. რობაქიძე თბილისში დარჩა და უფრო მეტი ენერჯით მოჰკიდა ხელი თვითგანვითარებასა და რევოლუციურ მუშაობას.

საქართველოში ამ დროს ფილოქსერა აჩანაგებდა ვენახებს. მთავრობამ ცნობილი აგრონომების ხელმძღვანელობით მოაწყო საფილოქსერო რაზმები დაავადებული რაიონების შესასწავლად და გამოსარკვევად. ამ ექსპედიციებში მონაწილეობას იღებდნენ იდეური ახალგაზრდები—სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სტუდენტები, უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტების სტუდენტები, ინტელიგენტური ახალგაზრდობა. ნაცნობებს სერგო რობაქიძე 1894 წლის მაისში იმ ჯგუფში მოუწყვიათ, რომელსაც აგრონომები ტიმოფეევი და ერმილე ნაკაშიძე ხელმძღვანელობდნენ და რომელსაც დავალებული ჰქონდა შეესწავლათ ფილოქსერით დაავადება რაქა-ლეჩხუმის რაიონებში. რაქა-ლეჩხუმში ეს ჯგუფი, გარდა თავისი პირდაპირი დანიშნულებისა, კულტურულ მუშაობასაც ეწეოდა და სწავლობდა რაიონის სამეურნეო მდგომარეობას და სტატისტიკას. საფილოქსერო რაზმებში ს. რობაქიძეს 1898 წლამდე უმუშავნია. ამ წელს მას სიამოვნებით მიუღია ქუთაისის სააზნაურო სკოლის ინსპექტორის ალექსანდრე გარსევანიშვილის წინადადება დაეწყო მასწავლებლობა მასთან.

ამ სასწავლებელში იპოლვაწა ს. რობაქიძემ მთელი ოცი წელიწადი. მისი სახით სააზნაურო სკოლას, შემდეგში გიმნაზიას, შეეძინა შესანიშნავი მასწავლებელი და აღმზრდელი, ხოლო ქ. ქუთაისის მეტად ენერჯიული და ნაყოფიერი კულტურული მოღვაწე. სერგო რობაქიძე მოსამ-

ზადებელ და პროგიმნაზიულ კლასებში ასწავლიდა სამშობლო აღწერას, არითმეტიკას, ბუნებისმეტყველებას. მის გაკვეთილებს მოსწავლეები დიდი გულისყურითა და გატაცებით ისმენდნენ. ქართულ სკოლაში ის ერთი პირველთაგანი მასწავლებელი იყო, რომელიც აწყობდა მოსწავლეთა ექსკურსიებს. ამ დროს ის მოსწავლეებთან შეგობრულ საუბრებს მართავდა და მათ ავსა და კარგს, ჭირსა და ლხინს ეცნობოდა, იგებდა თუ ვინ რით სუნთქავდა, რით ცხოვრობდა და როგორ გარემოში. 1905 წლის რევოლუციის წინა წლებში ქუთაისის სააზნაურო სკოლის მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობის ზნეობრივი და გონებრივი დონე არ შეიძლებოდა ყოფილიყო მაღალი.

ნამდვილი მოქალაქეების აღსაზრდელად არ კმაროდა ოფიციალური მოვალეობის მოხდა სკოლისა და მოსწავლეთა წინაშე, არამედ საკირო იყო მასწავლებელთაგან მოსწავლეთა შორის ხშირი ყოფნა, საუბრების გამართვა, მათ გონებრივ განვითარებასა და ზნეობრივ სიწმინდეზე ზრუნვა, ოჯახური გარემოს გაცნობა და მათი კულტურული დონის ამაღლება. ასეთ აღმზრდელობით მუშაობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სკოლის შემდგომი ხელმძღვანელი ი. ოცხელი და მას ამ საქმეში დიდ დახმარებას უწევდა სერგო რობაქიძე. ადრე სასწავლებელში ერთი მთლიანი ბიბლიოთეკა არსებობდა. ახლა თითოეული კლასისათვის შექმნილ იქნა ცალკე ბიბლიოთეკა კლასისათვის შესაფერი წიგნებით. საკლასო ბიბლიოთეკა თვით მოსწავლეებს ებარათ. ხშირად კვირა—უქმე დღე და საღამოობით იმართებოდა ს. რობაქიძის ხელმძღვანელობით მხატვრული კითხვა და წაკითხული ნაწარმოების გარჩევა. გახშირდა ლიტერატურულ-მუსიკალური დიღებისა და საღამოების გამართვა სასწავლებლის ძალებით, მაგრამ დაბალი კლასების ბავშვებს განსაკუთრებით ხიბლავდა რაიმე ტექსტის წაკითხვა პუნდოვანი სურათების ჩვენებით, რასაც ს. რობაქიძე ყოველთვის აწყობდა. სასწავლებელში ხშირად იმართებოდა აგრეთვე მოსწავლეთა ძალებით წარმოდგენები, რასაც ს. რობაქიძე ხელმძღვანელობდა, საკმაოდ დახელოვნებული სასცენო საქმეში. ერთ-ერთი ასეთი საღამო ქართველი საზოგადოების თანდასწრებით, როდესაც მოსწავლეთა ძალებით დადგმულ იქნა „და—ძმა“ ლიტერატურულ-ვოკალური განყოფილებით, პოლიცემისტრის ლისოვსკისა და მისი შეიარაღებული ძალების თავდასხმით დასრულდა სათანადო ნებართვის აულებლობის საბაბით.

ს. რობაქიძე, ისე როგორც სააზნაურო სკოლის (შემდეგში გიმნაზიის) სხვა მასწავლებლები, სასწავლებელში მუშაობით არ კმაყოფილდებოდა და მის გარეშე ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. პირველ რიგში აღსანიშნავია საკვირაო სკოლების გამართვა. არცერთი სასწავლებელი ბინას არ აძლევდა საკვირაო სკოლას, რადგან მას მთავრობა აღმაცერად უყურებდა, და თუ არა ქართული სააზნაურო

სკოლა, რომელსაც მაშინ ალ. გარსევანიშვილი ხელმძღვანელობდა, საკვირაო სკოლა არ გაიხსნებოდა. საკვირაო სკოლა სააზნაურო სკოლის ბინაში მოთავსდა და ამავე სკოლის მასწავლებლები—ს. რობაქიძე, პ. სურგულაძე, ალ. გარსევანიშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი, ვ. ვოლსკი იყვნენ მისი ჭირისუფალნი. აქვე მუშაობდნენ: ოლა იოსელიანი, ეკატ. ნიკოლაძე, სპ. ლეკვეიშვილი, დები ქორქაშვილები, ექ. პარმენ ქიქინაძე, სამსონ კილაძე და სხვ. ამ სკოლას დიდძალი ახალგაზრდობა მოაწყდა: ხელოსნები, ნოქრები, ხელზე მოსამსახურენი, შვირდები, ებრაელი ახალგაზრდობა და სკოლის გარეშე დარჩენილები. აქ წერა-კითხვის გარდა ისწავლებოდა ქართული და რუსული ლიტერატურა, არითმეტიკა, ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება, პოლიტიკური ეკონომია და სხვ. ნივთიერ სახსრებს საზოგადოება იძენდა გამართული სეირნობებიდან ან ლიტერატურული საღამოებიდან. საკვირაო სკოლა ქუთაისში გადაიქცა მასიური განათლების ერთ-ერთ მძლავრ კერად. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ საკვირაო სკოლა აღარ აკმაყოფილებდა მუშა-ხელოსანთა მზარდ მოთხოვნილებებს და საკვირაო სკოლის მიერ შემზადებულ ნიადაგზე ალ. გარსევანიშვილისა და ელენე ხელთუფლიშვილის მზრუნველობით ქუთაისში დაარსებულ იქნა სახალხო უნივერსიტეტი. ამ უნივერსიტეტში ს. რობაქიძე კითხულობდა, და ფრიად საინტერესოდაც, სამშობლო აღწერას (მხარეთმცოდნეობას). ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლები იყვნენ უმთავრესად ამ უნივერსიტეტის ლექტორები.

დიდი ამაგი დასდო სერგო რობაქიძემ ქუთაისის თეატრის სახალხო აუდიტორიად გარდაქმნასაც. ქუთაისის დასს შესანიშნავი მსახიობები ჰყავდა: ვლ. მესხიშვილი, ნ. ჩხეიძე, ი. ზარდალიშვილი და მრავალი სხვ. მაგრამ მასა თეატრს შეჩვეული არ იყო, იქ უფრო ინტელიგენციის შეძლებული ფენა დადიოდა, ხშირად კი თეატრი ცარიელი იყო. ახლაც ბევრს გვახსოვს, რომ წარმოდგენის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ქუთაისის თეატრიდან ისმოდა სასულე ორკესტრის ხმა ან უფრო ხშირად ზურნის კიკეინი თეატრში ხალხის მოსაზიდად. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ღარიბი მოსახლეობა ქალაქისა თეატრს არ ეტანებოდა, ბილეთების სიძვირე იყო. უმცირესი ფასი ბილეთებისა 30—35 კ. იყო. ხოლო ლოქა და პარტერი რამდენიმე მანეთი ღირდა. ს. რობაქიძის ინიციატივით შესდგა საზოგადოება, რომელიც „იფუფასიან წარმოდგენებს“ მართავდა. ამ წარმოდგენაზე დასასწრები ბილეთები 5—20 კ. არ აღემატებოდა. ასეთი წარმოდგენები სცენისმოყვარეთა ძალგბით იმართებოდა. ახლაც ახსოვს ამ სტრიქონების ავტორს, სცენაზე რომ თავისი მასწავლებლები იცნო: სერგო რობაქიძე, იასონ ნიკოლაიშვილი, ბენედიქტე მამფორია და სხვანი, სხვადასხვა ტანსაცმელში რომ იყვნენ გამოწყობილნი. თეატრი ხალხით გაივსო. ეს დასი წარმოდგენას მართავდა აგრეთვე ქიათურაში, ხონში და სხვა დაბებში.

ამ იაფფასიანმა წარმოდგენებმა ხალხი შეაჩვია თეატრს. 1905—6 წლებში ს. რობაქიძეს სასწავლებლის მოზრდილ მოსწავლეებისაგან პოლიტიკური წრეები ჰქონდა შექმნილი, რომელთაც პოლიტიკურ ეკონომიკასა და მუშათა მოძრაობის ისტორიას აცნობდა.

ს. რობაქიძემ ადრევე დაიწყო ლიტერატურული მუშაობა. ის თარგმნიდა პოლიტიკური შინაარსის ბროშურებს, უმთავრესად ისეთებს, რომლებიც ჰექტოგრაფიულად იბეჭდებოდა და ხალხში კონსპირაციულად ვრცელდებოდა. 1902 წელს ქუთაისში გაშოიდა მაქსიმ გორკის „მოთხრობანი“ ავტორის სურათით, ს. რობაქიძის მიერ ნათარგმნი. ს. რობაქიძე ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც, ვანო გიუნაშვილთან ერთად, ხელი შეუწყო, რომ ქართველი მკითხველი გასცნობოდა მაქსიმ გორკის შემოქმედებას.

1912 წელს ს. რობაქიძემ დაბეჭდა „სამშობლოს აღწერა“ — საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელო სურათებით და რუკით. 1918 წელს ეს სახელმძღვანელო მეოთხე გამოცემით გამოვიდა 40 000 ტირაჟით. ამ მშენიერმა წიგნმა პეტად შეუწყო ხელი ქართველ ახალგაზრდობას თავისი სამშობლოს გაცნობის საქმეში.

ს. რობაქიძემ თავისი წვლილი შეიტანა საბჭოთა სკოლის მშენებლობის საქმეში. 1921 წლიდან ის მასწავლებლობდა ქ. გორში, პედაგოგიურ ტექნიკუმში. მონაწილეობას იღებდა ხელისუფლების ღონისძიებათა განხორციელებაში სახალხო განათლების დარგში. გორის მასწავლებლებში, მოსწავლეებსა და მოსახლეობაშიც ს. რობაქიძე დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა.

სერგო რობაქიძე, ვალმოხდილი ქართველი ახალგაზრდობისა და მშრომელი მოსახლეობის წინაშე, გარდაიცვალა 1934 წლის ნოემბერში და დაკრძალულია ქ. გორში.

---



## სოფიო ყულოშვილი

(1871—1946)

დამსახურებული მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე სოფიო სოლომონის-ასული კონკოშვილი—ყულოშვილი ეკუთვნოდა 900-იანი წლების იმ უანგარო საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფს, რომლებმაც სახელოვნად განვლეს თავისი ცხოვრების გზა და თავისი მოღვაწეობის შესახებ ბრწყინვალე მოგონება დაუტოვეს მომავალ თაობას.

ინგილო ხალხის გულშემატკივართა, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების—მოსე ჯანაშვილის, დიმიტრი ჯანაშვილის, ივან-ბაბა—ბულუღაშვილის, ბათლომე ხუციშვილის, კოტე ტარტარაშვილის, აბელ ბაირამაშვილის, მიხეილ ყულოშვილისა და სხვ. შორის სოფიო ყულოშვილმა სამართლიანად მოიპოვა ერთ-ერთი საპატიო ადგილი.

სოფიო ყულოშვილი 50 წელიწადი ემსახურებოდა ინგილო ხალხის კეთილდღეობას. მისი მოღვაწეობა არ ამოიწურებოდა მარტო მასწავლებლობით. იგი ასწავლიდა ინგილო ხალხს ცხოვრებას. იგი ასწავლიდა ინგილო ქალებს მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას, ოჯახის მოვლას, ბავ-

შვის აღზრდას, ავადმყოფის მოვლას, მებოსტნეობას და სხვა. „სოფიო ყულოშვილის მოღვაწეობა საინგილოში შეიძლება შევედაროთ მხოლოდ ნინო შარაშიძის მოღვაწეობას გურიაში“, წერდა ქურნალი „განათლების მეშაქი“ 1928 წელს (№ 19).

სოფიო სოლომონის-ასული ყულოშვილი თელავის მაზრის სოფ. ხოდაშნიდან იყო. სოფიოს მამა სოლომონ დავითის-ძე კონკოშვილი, თავისი დროისათვის კარგად განათლებული პიროვნება, ახალგაზრდობისას შამილის საწინააღმდეგო ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას საინგილოში. დედა სოფიოსი, ქართული ენის კარგი მცოდნე, თელავის მაზრის სოფელ საბუედან იყო. წერა-კითხვა დედის საშუალებით შეისწავლა სოფიომ. დედამ შეაყვარა მას ქართული ზღაპრები და ქართული ლიტერატურა. ამის შემდეგ სოფიო მიაბარეს თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელში. მშობლები ადრე გარდაეცვალნენ სოფიოს და მისი აღზრდა იკისრა მისმა ბიძამ პეტრე კონკოშვილმა. წმინდა ნინოს სასწავლებელი სოფიომ 1892 წელს დაასრულა და იმავე წელს მისიხოვდა ნიკოლოზ ყულოშვილს. ნიკოლოზს დამთავრებული ჰქონდა თბილისის სასულიერო სასწავლებელი. ახალშეუღლებულები გადასახლდნენ საინგილოში—სოფ. კახში, ნიკოლოზის მშობლიურ სოფელში. ნიკოლოზი მალე კახის ვაჟთა ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებლად დანიშნეს, მაგრამ ორი წლის შემდეგ იგი გარდაეცვალა.

ახალგაზრდა, 21 წლის სოფიო დარჩა ცხოვრების გზაჯვარედინზე, პატარა აკენის ბავშვით, მაგრამ იგი არ შეუშინდა ცხოვრებას. იმ დროს სოფიოს ორი ძმა და მისი აღმზრდელი ბიძა პეტრე თბილისში ცხოვრობდნენ და ურჩევდნენ სოფიოს დაეტოვებინა საინგილო და გადასულიყო თბილისში საცხოვრებლად, მაგრამ სოფიომ უარყო მათი რჩევა და თბილისში ფუფუნებით ცხოვრებას არჩია საინგილოში სამუდამოდ დარჩენა. 1896 წელს სოფიო სოლომონის ასული დანიშნულ იქნა სოფ. კახის საეკლესიო-სამრევლო სკოლის (საქალებო პირველდაწყებითი სკოლა) მასწავლებლად და გამგედ. ამ დღიდან სრულიად გარდაიქმნა სოფიოს ცხოვრება, ახალი ასპარეზი გადაიშალა მის წინ.

იმ დროს ძალიან ცოტა იყო საინგილოში წერა-კითხვის მცოდნე. დამფრთხალი, აწიოკებული, საუკუნეების მანძილზე ბრძოლებით ნაწამები ინგილო ხალხი თავის საკუთარ ლანდსაც კი ვაურბოდა. არც თუ ისე დამშვიდებული დრო იყო. ჯერ კიდევ ხშირი იყო შემთხვევები, რომ მთის ლეკები, ჭარბელაქნის ურდოების ნარჩენები დაეცემოდნენ რომელიმე ოჯახს ღამით, აიკლებდნენ და ქალიან-კაციანად და პირუტყვიანად გაირეკავდნენ წინ, მთებისაკენ. არამც თუ ქალიშვილის, ინგილოები ვაჟიშვილის გაგზავნასაც ვერ ბედავდნენ სკოლაში. აი, რას წერს მ. ჯანაშვილი თავის მოგონებაში ამის შესახებ: „თერთმეტი წლის ვიქნებოდი, როდესაც ხმა გავრცელდა კახში: ყველა სოფელს ბიჭებს წიგნი უნდა ასწავლონო. ამიტომ დედამ მითხრა—ჩენი ოჯახიდან მარტო შენ



უნდა ისწავლო წიგნი და შენ გვასახელო, ჯანმთელობით ძმებში (მ. ჯანაშვილის მამას ხუთი ვაჟი ყავდა) მხოლოდ შენ ხარ სუსტი და სოფლურ საქმეებს შენ ვერ აიტანო...“

1866 წელს ჩამოიარა სოფელ კახში ივან-ბაბა-ბულუღაშვილმა და ყველას გამოუცხადა: საყდრის ეზოში იხსნება სამრევლო სკოლა და ყოველ ოჯახიდან თითო ბიჭი მაინც უნდა გამოგზავნოთ სასწავლებლად. როგორც ჩანს, იმ დროს საინგილოში მშობლები ყველაზე სუსტსა და ოჯახისათვის გამოუსადეგარ შვილს თუ გაიმეტებდნენ სკოლაში გასაგზავნად. ინგილო საერთოდ ქალიშვილს შვილად არ თვლიდა იმ დროს.

„რაქთან შვილ გყავსო, რომ კითხავდნენ მას,—ერ შვილ და ერ ქალო“, უპასუხებდა, თუ ქალ-ვაჟი ჰყავდა. ძნელი იყო ინგილო გლეხის დათანხმება, რომ მას თავისი ქალი გაეგზავნა სასწავლებელში. სხვა რომ არ იყო, ამისათვის ინგილო გოგონას უნდა გაეხადა ინგილოური მუქასარი (შარვალი), მოეძრო მაიზარი (წინსაფარი), მოეხადა ჩიქილა, ახალუხი და ჩვეულებრივი კაბა ჩაეცვა. რამდენი მოთმინება და ენერჯია იყო საჭირო, რომ ინგილო დაგერწმუნებია ქალის სწავლის უპირატესობაში და დაგეყოლებია გაეშვა თავისი ქალი სასწავლებელში. მაგრამ სოფიო ენერჯიულად შეუდგა საქმეს და მოკლე ხანში მას რამდენიმე ათეული ინგილო გოგონა ჰყავდა სკოლაში. სოფიო ყულოშვილის პირველი მოსწავლეები იყვნენ სალომე პაპიაშვილი, ნინო ტარტარაშვილი, საშა ყულოშვილი და სხვები.

სოფიო ყულოშვილი თავისი ხელით უკერავდა მოსწავლეებს ფორმის (წითელ) კაბებს, შავსა და აგრეთვე თეთრ სადღესასწაულო წინსაფრებს. კახის წმინდა გიორგის საყდრის ეზოში ახლაც არის ის ოროთახიანი სახლი, სადაც ეს პირველდაწყებითი საქალებო სკოლა იყო მოთავსებული. ამ სახლში სკოლის ოთხივე განყოფილება იყო მოთავსებული. სოფიო ასწავლიდა ოთხივე განყოფილებას ქართულ ენას, რუსულ ენასა და არითმეტიკას. გარდა ამისა, ასწავლიდა მათ ქრია-კერვის, ქარგვას, ჯეჯიმების ქსოვას ფერადი ძაფებით, ოქრომკედს და სხვა ხელსაქმეს.

სოფიო ყულოშვილი დედობრივი მზრუნველობით დატრიალებდა თითოეულ მოსწავლეს თავს და ეს მზრუნველობა მანამდე გრძელდებოდა, სანამ მისი ნაამაგარი მოსწავლე რაიმე გზას არ დაადგებოდა. „სოფიო მასწავლებელი თავის ხელით გვიკერავდა, თავისი ხელით გვაცმევდა ტანსაცმელს, გვრთავდა სადღესასწაულოდ, თუ სკოლაში წასასვლელად. იგი გეტოვებდა მასთან იმ შემთხვევაში, თუ გაკვეთილი არ გვეცოდინებოდა. გვასადილებდა და დაგვსხამდა სამაცადინოთ ხელახლა“,—მიაშბო მისმა ყოფილმა მოსწავლემ მარგო ჩხეტიანი. „ვის შეუძლია სოფიო მასწავლებლის ამავის აწერა, როგორ გვივლიდა საკუთარ შვილებივით, როგორ გვევლებოდა თავს,—მიაშბეს მისმა მოსწავლეებმა, სოფ. კახის მცხოვრებმა ინგილო ქალებმა—კატო ნუროშვილმა, ნასტია ჯანაშვილმა და სხვებმა. •

მაგრამ მარტო მოსწავლეებზე ზრუნვით და სკოლის ცენტრებში მუშაობით არ ამოიწურებოდა სოფიო ყულოშვილის მოღვაწეობა საინგილოში. სოფიო ყულოშვილი იყო თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, ინგილო ხალხის გულშემატკივარი, მისი წინამძღოლი ყოველგვარ ახალ საქმეში. მას გამოწერილი ჰქონდა იმდროინდელი ყველა ჟურნალ-გაზეთი, სალამობით მოუყრიდა თავს როგორც ახალგაზრდა, ისე ხანშიშესულ ინგილო ქალებს თავის სახლში და უკითხავდა მათ ქვეყნის ამბებს. სოფიო უსასყიდლოდ ასწავლიდა ინგილო ქალებს წერა-კითხვას.

იმ დროს საინგილოში მეტად უხეში წესები იყო გამეფებული. ინგილო ქალი მამაკაცს ვერ დაეღაპარაკებოდა, ვერც დედამთილ-მამამთილს გასცემდა ხმას. მშობიარე ქალს ინგილოები ბოსელში ათავსებდნენ, პირუტყვთან ერთად, როგორც არაწმინდა არსებას. ბავშვის დაბადების შემდეგაც იქ ტოვებდნენ ექვსი კვირის განმავლობაში. თავქვეშ კუნძს უღებდნენ, თივას უკებდნენ იმისათვის, რომ არ დასძინებოდა დედას და ბავშვი ტირილით არ გაგუდულიყო. „ქალი თუ მოკვდება, არაფერია, როგორც ერთი მიყიდა, ისე ვიყიდო მეორესაც, მხოლოდ ყმაწვილი, ოჯახის ბურჯი არ დაიღუპოსო“, ასე მსჯელობდა იმ დროს ინგილო.

სოფიო ყულოშვილი მთელი თავისი ენერჯით ებრძოდა ამ ბარბაროსულ ჩვეულებებს. მან ქალების წრე ჩამოაყალიბა, რომლის მუშაობაში, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებდნენ ბათლომე ხუციშვილის მეუღლე—რუსა ხუციშვილი, აბელ ბაირამაშვილის მეუღლე—ელენე ბაირამაშვილი და სხვები. ისინი წამსვე იქ გაჩნდებოდნენ, სადაც კი გაიგონებდნენ მშობიარე ქალის ამბავს და ათასნაირი შეგონებით და ახსნა-განმარტებით მიყავდათ ის კახის საავადმყოფოში, რომელიც ივანე ელიაშვილის თაოსნობით დაარსდა ს. კახში 1897 წელს. სოფიო ყულოშვილი სიტყვითა და საქმით, თავისი პირადი მაგალითით უჩვენებდა ინგილო ქალს, როგორ მოქცეოდა დედამთილ-მამამთილს, როგორ დაეკირა თავი საზოგადოებაში და არწმუნებდა, რომ ამაში არაფერი სამარცხვინო არ იყო. ამ წესით მან ბევრი ქალი გამოიყვანა დღის სინათლეზე და ამოადგმევინა ენა.

სოფ. კახში იმ დროს 600 კომლი ინგილო მოსახლეობდა. ჯერ კიდევ 1917 წლამდე საინგილოში დარჩენილი იყო ზოგიერთი ნაშთი საზოგადოებრივი მიწათმფლობელობისა. ეგრეთწოდებული სარალანი—ბუჩქნარი, რომლის ფოთოლიც იხმარებოდა ტყავის დასამუშავებლად, საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენდა და არავის არ ჰქონდა მოქრის უფლება, სანამ სპეციალური გზირი არ ჩამოივლიდა და საყვირით არ აცნობებდა სოფელს, რომ ახსნილია ყადაღა. მაშინ კი მთელი სოფელი მიყრებოდა და მიდიოდა სარალანის მოსაპკრელად. ვინც რამდენს მოსპკრიდა, იმდენს წაიღებდა სახლში, გააშრობდა, გაახმობდა და შემდეგ გაყიდდა. სოფიო ყულოშვილმა თავისებურად გამოიყენა ეს წესი. იგი

თავის მეგობარ ქალებთან ერთად მონაწილეობას იღებდა სარაღანის მოკრა-გახმობაში და ალებულ ფულს ახმარდა სხვადასხვა კულტურულ საქმიანობას, უფრო ხშირად კი ღარიბ ინგილო სტუდენტებს უგზავნიდა სხვადასხვა ქალაქში.

სოფიო ყულოშვილი აქტიური მონაწილე იყო 1905 წლის რევოლუციისა. მის სახლში ხშირად იმართებოდა კრებები. შეფის მოხელეებს არ დარჩენიათ ეს შეუმჩნეველი და ერთხელ სწორედ მაშინ, როდესაც კრება მიმდინარეობდა, ერთი ესტუმრნენ მას ოჯახში. სოფიომ შორიდან დალანდა მათკენ მომავალი „სტუმრები“ და უცებ მოისაზრა, როგორ შეხვედროდა მათ. მან ჩიხტიკობი გაისწორა, მოსახურავე წამოისხა და ისეთი გამომეტყველებით ჩამოვიდა ეზოში, თითქოს სადღაც სტუმრად მიდიოდა წვეულებაში. — უი ლმერთო კი მომკალი — შეიცხადა მან, როდესაც მოსულებმა თავისი მოსვლის მიზანი შეატყობიეს, — როგორ მაკადრეთ ეს ან მე და ან ჩემს ოჯახს, მე თითონ წამოვალ ნაიბთან და ვეტყვი, რომ ასეთი რამ მეორეთ არ გამეორდეს, უთხრა მან მოსულებს. ეტლში ჩაუჯდა და გაყვა ნაიბთან. ამასობაში რევოლუციონერებმა თავს უშველეს.

სოფიო ყულოშვილს კარგად იცნობდნენ საქართველოს ისეთი გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, როგორიც იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ე. გაბაშვილი და სხვ. „ერთხელ თბილისში ჩავდი რაღაც საქმეებზე — უამბო სოფიომ მასთან სტუმრად მისულ მასწავლებლებს, უეცრივ ეკატერინე (გაბაშვილი — ა. ჩ.) შემომხვდა ქუჩაში. მას შორიდანვე დავენახე და ჩემსკენ წამოსულიყო. — რად ჩამოსულხარ, დროებით თუ სამუდამოდ? — მომადახა მან სალამის დაუცლელად. — დროებით, რა თქმა უნდა — ვუპასუხე მე მას. — ჰოო, თუ დროებით, მაშ, გამარჯობა, მითხრა მან ღიმილით და დამკოცნა. — შენ რომ იქ გვეგულები, დამშვიდებული ვართ, ვიცით, რომ ქართულ ენას ერთგული დარაჯი ჰყავს საინგილოში, ილიაც, მეც და სხვებიც ამას გთხოვთ, საინგილოს არ უღალატო, ინგილო ხალხი არ მიატოვო, ჩვენ თუ არა, მომავალი თაობა მაინც დაგიფასებს ამავსო. მე ვუთხარი ჩემი ჩამოსვლის მიზანი. მან მომკიდა ხელი და წამიყვანა დიდ ილიასთან მოსალაპარაკებლად“.

სოფიო ყულოშვილი ქართულის მეტად კარგი მცოდნე, მკერმეტყველი და ტკბილმოუბარი იყო. „გველსა ხერელით გამოიყვანსო“... იტყოდნენ მასზე. მას არა ერთი და ორი დავა ჩაუქვრია საინგილოში მცხოვრებ ლეკ-მულალებსა და ინგილო ქართველებს შორის. მათ შორის ატეხილი კინკლაობის შემთხვევებში სოფიოს მუდამ შუაქაცის მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული.

1917—1921 წლებში მუსავატელების მთავრობის დროს გამწვავებული მდგომარეობა იყო საინგილოში. სოფიო ყულოშვილს დიდი გამკრიახობა დასჭირდა, რომ სისხლი არ დაღვრილიყო საინგილოში მცხოვრებ ორ მეზობელს შორის. საინგილოში დღეს ყველა ხანში შესული

ქალი და კაცი მოგვიყვებთ, რა გაქირვება გამოიარეს მათ იმ დროს: „ჩვენი ამოწყვეტა გადაწყვეტილი იყო, ისე რომ ერთი ინგილო არ უნდა ყოფილიყო ცოცხალი, მაგრამ მოგვისწრო წითელმა არმიამ, სწორედ იმ დღეს შემოვიდა, როდესაც ეს საზარელი საქმე უნდა მომხდარიყო, და გადავვარჩინა განადგურებასო (ივულ. 1920 წ. 28 აპრილი ა. ჩ.). გოდორჩა რათა მინ ინსან მირათ სიდირ ქნასო (გადარჩა რამდენიმე ათასი ადამიანი განადგურებასო), გეტყვიან ისინი. ინგილო ხალხი თავისი ფიზიკური არსებობისათვის ბევრით არის დავალებული სოფიო ყულო-შვილისაგან და ამისათვის მას „სოფიო დედა“ შეარქვეს.—სოფიო ჩონ დედაა, ჩონ მხსნელი,—ამბობდნენ ინგილოები.

„ამ ქალს რევოლუციის პირველ ხანებში დააკისრეს, რომ თემის კომისრის მოვალეობაც შეესრულებია. ერთი სიტყვით ყოველ ქირში და ლხინში სოფიო იყო მალამო ინგილო ქალთათვის“ წერდა ქურნ. „განათლების მუშაკი“ 1928 წელს (№ 19).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ფრთები შეასხა და უჩვეულო ენერჯია შემატა სოფიო ყულოშვილს.—მე ასე მგონია ცუდ სიზმარს ვხედავდი და ეს სიზმარი მაშინ დასრულდა, როდესაც საინგილოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ათეული წლები ჩამომცილდა ზურგიდან და სრულიად ახალგაზრდად ვიგრძენი თავიო—ამბობდა ხოლმე იგი. სოფიო ყულოშვილს სიცოცხლეს და ენერჯიას მატებდა საინგილოს წინსვლა, ინგილო ბავშვების და ახალგაზრდობის წარმატება. უკვალოდ და უმიზნოთ არ ჩაუვლია სოფიო ყულოშვილის მოღვაწეობას. ინგილო ხალხმა სულითა და გულით შეიყვარა იგი. ამიტომ იყო, რომ 1926 წლის 17 დეკემბერს იუბილე გადაუხადეს მას. „სოფიო ყულოშვილის ხანგრძლივი მოღვაწეობის აღსანიშნავად ამა წლის 19 ნოემბერს შემდგარმა, კახის რაიონის მასწავლებელთა კრებამ სამაზრო განათლების წარმომადგენლების თანდასწრებით დაადგინა: ამა წლის 17 დეკემბერს, კახში გადაუხადოს 30 წლის იუბილე, რისთვისაც აირჩიეს სათანადო კომისია“.

ეს იუბილე სახალხო ზეიმად იქცა. ინგილო ქალებმა ხელში აყვანილი გამოიყვანეს სოფიო ყულოშვილი, მთელი დაბა შემოატარეს და შემდეგ საზეიმოდ მ.ორთულ კლუბში დასვეს. ხალხი ყვავილებით ხელში ეგებებოდა გზადაგზა. ამ იუბილესთან დაკავშირებით მთავრობამ სოფიოს გაძლიერებული პერსონალური პენსია დაუნიშნა. მრავალი მისალოცი დეპუტა მიიღო სოფიომ საქართველოდან და სხვა რესპუბლიკების ქალაქებიდან მისი აღზრდილი სტუდენტებისა და მოწინავე ადამიანებისაგან. სოფიო ყულოშვილს ამ იუბილეს შემდეგაც არ შეუწყვეტია თავისი საზოგადოებრივი საქმიანობა.

როდესაც 1944 წლის შემოდგომაზე საქართველოდან გაგზავნილი მასწავლებლები ჩავიდნენ საინგილოს ქართულ სკოლებში სამუშაოდ, დამსახურებული მასწავლებელი სოფიო ყულოშვილი კახის ქართული საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს საპატიო წევრად ითვლებოდა.

ჯერ კიდევ დაბინავებული არ იყვნენ ახალი მასწავლებლები, რომ სკოლის ეზოში ღრმად მოხუცი, თმა თეთრი სოფიო შემოვიდა. „მე ასე მგონია, რომ ჩემს სიცოცხლეში ასეთი ბედნიერი ჯერ არ ვყოფილვარ, არც სიკვდილი მაშინებს აწ ამის შემდეგ, რადგანაც ვიცი ინგილო ბავშვებს ღირსეული აღმზრდელები ჰყავთ, ინგილო ხალხს ქართული ენა არ დაევიწყდება, რისთვისაც მე მთელი სიცოცხლე ვიბრძოდი“, — უთხრა მან ჩასულ მასწავლებლებს მისალმების დროს.

საქართველოდან ჩასული მასწავლებლები ხშირად დადიოდნენ სოფიო ყულოშვილთან სახლში და ისიც მათ უამბობდა თავისი განვლილი ცხოვრების საყურადღებო ამბებს. სოფიო იმ ხანებში ღრმად მოხუცი, დაავადმყოფებული და ლოჯინად ჩავარდნილი იყო და ჩასული მასწავლებლები ბევრნაირად ეხმარებოდნენ მოხუცს. უკანასკნელად 1946 წლის გაზაფხულზე სოფიომ მოიწვია სოფ. თოფახის შვიდწლიანი სკოლის და კახის ქართული საშუალო სკოლის საქართველოდან ჩამოსული მასწავლებლები, გაუმართა სადილი და გაუბა საუბარი სკოლის შესახებ. მან სურვილი გამოსთქვა, რომ თავისი ოთხთვალისანი სახლი მისი სიკვდილის შემდეგ გადაეცემოდა თოფახის შვიდწლიან სკოლას, რომელიც მის მახლობლად არის. — „ბედნიერი ვარ, რომ ჩემს საყვარელ კუთხეში ასეთ უანგარო მოღვაწეებს ვხედავ. თქვენში ჩემი ღვაწლის განხორციელებას ვგრძნობ. იმუშავეთ, მხოლოდ კეთილშობილურ შრომას გადააქვს საშვილიშვილოდ აღამიანის სახელიო“, — უთხრა მან უკანასკნელად სიკვდილის წინ მასთან თავმოყრილ მასწავლებლებს.

სოფიო ყულოშვილი დიდი პატივისცემით დასაფლავეს კახის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, თავისი მამამთილის მიხეილ ყულოშვილის გვერდით. საქართველოდან ჩამოსულმა მასწავლებელმა ეკ. ბლუაშვილმა გრძნობიერი სიტყვა უთხრა მას. ინგილო ხალხმა ყვავილებით შეუმკო საფლავი თავის მოამაგეს, გულშემატივარს, დინსახურებულ მასწავლებელს სოფიო სოლომონის ასულ ყულოშვილს.

---





## იაკობ ცინცაძე (ეკალაძე)

1872—1933

პედაგოგი, მწერალი და რედაქტორ-გამომცემელი, იაკობ ცინცაძის მოღვაწეობის მთავარი მამოძრავებელი ძალა ამ სამი ნაკადისაგან შედგებოდა. სამწერლო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე მისი გამოჩენა მაშინვე იქნა შემჩნეული. მისი მხატვრული სიტყვა და ენერგიული საქმე დროის შესაფერი იყო.

ეს ის დრო იყო, როცა ქართველი ხალხის ცხოვრებას ახალი შუქი ეფინებოდა. განახლების გზაზე შემდგარი მშრომელთა საზოგადოება უკვე ახლო ხედავდა მოახლოებულ ბედნიერ მერმისს, ნამდვილი, რევოლუციური სიტყვა არა მარტო პუბლიცისტიკაში, არამედ მხატვრულ მწერლობაშიც იყო ნათქვამი. ამ მოქმედებისა და იდეების ქარიშხლიანი კიდლისა და ბარიკადების პერიოდში ქართველი მკითხველის ყურადღებას იქცევდა ლიტერატურის სფეროში ნაყოფიერი სახელები: „თომანთ კობა“, „ფარსმან—ფარუხი“ და ბოლოს დიდად პოპულარული „ია ეკალაძე“.

ყველა ესენი იაკობ თომას ძე ცინცაძის ლიტერატურული ფსევდონიმები იყო, რომელთაგან ია ეკალაძე იმდენად პოპულარული შეიქნა, ლამის მისი მეორე სახელი და გვარი გახდა.

იაკობ ცინცაძე დაიბადა 1872 წლის 25 მარტს (ძველი სტილით) ჩრდილოეთ კავკასიაში, თერგის ოლქის სოფ. ციმისში, სადაც მაშინ მამა მომავალი მწერლისა, გურული—ჩოხატაურის რაიონის სოფ. ბუჯის-ციხიდან წასული, —თომა ცინცაძე მთავარ-ლიაკენად მუშაობდა. მღვდლობის პერიოდში ის სოფ. ჯავაში ცხოვრობდა და პატარა იაკობიც იქვე, სამრევლო სკოლაში სწავლობდა.

1881 წელს უკვე 9 წლის იაკობი მშობლებმა გორის სასულიერო სასწავლებელში მიიბარეს, სადაც მან წელიწადი დაჰყო. აქ მისი მასწავლებელი, ხელმძღვანელი და მფარველი იყო ჩვენი ცნობილი ხალხოსანი მწერალი და პედაგოგი სოფრომ მგალობლიშვილი, რომელიც ამ სასწავლებელში ქართულ ენას და ლიტერატურას ასწავლიდა. ამ საგნის სწავლების კარგად დაყენების შედეგად მოსწავლეებმა გატაცებით შეიყვარეს ქართული ენა, ლიტერატურა და საქართველოს ისტორია. 1885 წელს მასწავლებლის ხელმძღვანელობით დაარსდა ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“, რომლის რედაქტორ-გამომცემელიც თვითონ მოსწავლეები იყვნენ. სოფრომ მგალობლიშვილი მოგვითხრობს, რომ ამ ჟურნალის ყველაზე ნიჭიერი და ნაყოფიერი თანამშრომლები ყოფილან: იაკობ ცინცაძე, შიო ჩიტაძე, ნილა კასრაძე, დავ. დავითაშვილი და სხვ. მაგრამ ბელეტრისტული თხზულებით იაკობი ყველაზე უფრო დაწინაურებულია (მოგონებანი, გვ. 85, 227).

იაკობ ცინცაძემ 1887 წელს წარჩინებულად დაასრულა გორის სასულიერო სასწავლებლის კურსი და იმავე წლის სექტემბერს ჩაერიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში.

სემინარიაში მას მეტად აუტანელი და სულშემბუთავი ატმოსფერო დაუხვდა. 1886 წლის 24 მაისს სემინარიელი იოსებ ლალიაშვილის მიერ რექტორის დეკ. ჩუღეცკის მოკვლის შემდეგ იქ ისეთი რეჟიმი დამყარდა, რომ მოსწავლეებს სანატრელი გაუხდათ მანამდე არსებული წესებიც—კი, რომლის წინააღმდეგ ისინი იბრძოდნენ. ამ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით სემინარიიდან უკვე გაერიცხათ მოწინავე მოსწავლეები. ეგზარქოს პავლეს უშუალო ხელმძღვანელობით რექტორის თანამდებობის აღმასრულებელ იაკობ სტეფანოვსა და მის ინსპექტორს პავლე პოტოცკის სემინარია და მისი ბურსა ისეთ საპყრობილედ ექციათ, რომ იგი სიბნელით მოკულ საპატიმროს დამსგავსებოდა, სადაც სკოლის გარეშე საკითხავი წიგნისა და რაიმე პერიოდული გამოცემის შეტანა ყოველად შეუძლებელი იყო.

მიუხედავად ამგვარი სისასტიკისა, სულიერ საზრდოს მოწყურებული მოწინავე „ბურსაკები“ მაინც ახერხებდნენ ჟურნალ „სოვრემენნიკის“ ძველი ნომრების, ქართული პერიოდული პრესის („დროება“,



„ივერია“, „იმედი“) და სხვადასხვა რუსული და ქართული გამოცემების წაქითხვას, რაც ბურსაში ყოველდღიურ ჩხრეკასა და ამათუიმ მოსწავლის დასჯას იწვევდა. მაგალითად, 1893 წლის თებერვალში 33 მოსწავლეს დაუწერეს ყოფა-ქცევაში ნიშანი 3, მათ შორის იაკობ ცინცაძესაც იმის გამო, რომ ის შენიშნულ იქნა მეგობრობაში ნიკო კურდღელაშვილთან, რომელიც სემინარიიდან გარიცხული იყო როგორც არაკეთილსაიმედო.

მაგრამ ქაბუკი იაკობი არ შეუშინებია ამას. იგი ერთი აქტიური მონაწილეთაგანი გახდა სემინარიელთა იმ საყოველთაო გამოსვლებისა და გაფიცვისა, რომელიც 1893 წლის 1—4 დეკემბერს მოხდა. გაფიცულთა მოთხოვნების ძირითადი მუხლი იყო შემოღებული ყოფილიყო სემინარიაში ქართული ლიტერატურის, მისი ისტორიისა და საქართველოს ისტორიის სწავლება როგორც სრულყოფილებიანი საგნებისა. ამჟამად დოკუმენტურად დადგენილია, რომ მოსწავლეებს სემინარიის მმართველობისადმი მისართმევი ამ პეტიციის შედგენის დროს ილია ქავკაეაძის „კონსულტაცია მიუღიათ (იხ. ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახ. განათლ. ისტ. საქართველოში, გვ. 274).

სემინარიის ადმინისტრაციამ არა თუ შეიწყნარა მოსწავლეთა ექსამართლიანი მოთხოვნა, პირიქით, სემინარიის უფროსი კლასები დროებით მიხურა, რადგან მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა გარიცხულ იქნა და საქმე გამოსაკვლევად გადაეცა ჟანდარმერიას. იაკობ ცინცაძე მაშინ მე-6 კლასის მოსწავლე იყო, რომელიც პირველი კატეგორიის დამნაშავეთა ჯგუფში მოჰყვა და ლადო კეცხოველთან (მე-3 კლ.), ილია აგლაძესთან, იპ. ვართაგავასთან, ივ. ახალშენიშვილთან, კირ. არველაძესა და სხვებთან ერთად გარიცხულ იქნა სემინარიიდან სინოდის 1894 წლის 31 იანვრის განკარგულებით. სემინარიიდან გარიცხული იაკობ ცინცაძე 1894 წელს გაზეთ „ივერიაში“ ბეჭდავს „თომანთ კობას“ ფსევდონიმით მის პირველ მოთხრობას „ილიკო ბედენაძე“, რითაც ის მკითხველი საზოგადოებისა და განსაკუთრებით კი „ივერიის“ რედაქტორ ილია ქავკაეაძის ყურადღებას იმსახურებს. „ილიკო ბედენაძეს“ მოჰყვა კიდევ რამდენიმე საინტერესო ესკიზისა და ნოველის გამოქვეყნება და მათი ავტორის მიწვევა რედაქციის მუღმივ თანამშრომლად. იაკობ ცინცაძეს თითქოს აღუსრულდა სანუკვარი ოცნება. ის მოექცა იმ წრეში, სადაც თავს იყრიდნენ და აქტიურად თანამშრომლობდნენ მღვდელე (დ. მიქელაძე), გრ. ყიფშიძე, გ. ლასხიშვილი, ილია ალლაძე, ივ. ახალშენიშვილი, არტემ ახნაზაროვი (ჩიორა), განდგეილი, გრ. აბაშიძე და სხვ. როგორც გაზეთის უახლოესი თანამშრომლები რედაქციის ამ წრესთან დაახლოებული იყვნენ აგრეთვე გამოჩენილი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი, დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, მწერლები ან. ფურცელაძე, ნიკო ხიზანიშვილი, კიტა აბაშიძე, გ. ჟურული, გრ. ვოლსკი და სხვ.

იაკობ ცინცაძე 1894 წლიდან იწყებს მასწავლებლობას ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების თბილისის ერთ-ერთ სკოლაში. ამასთან ზედი-ზედ დაიბეჭდა „ივერიაში“ მისი მოთხრობები და ნოველები. 1896 წლის „ივერიაში“ (№ 39, 40, 41) ფელეტონებად გამოქვეყნდა მისი საინტერესო, ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები „სურათები მოსწავლეთა ცხოვრებიდან“. მასში დაუნდობლად იყო მხილებული თბილისის სასულიერო სემინარიაში გამეფებული დრაკონისებური რეჟიმი, მოსწავლეებისადმი ადმინისტრაციის არაპედაგოგიური და მტრული დამოკიდებულება, ჯაშუშობა, ფიზიკური დასჯა, „ტუზემცების“ დამცირება, შოვინიზმი, სწავლების სქოლასტიკური სისტემა, უაზრო ზეპირობა, კარჩაკეტილობა. ეს მოთხრობა ყუმბარასავით გასკდა. სასულიერო წრეების კატეგორიული მოთხოვნით მთავრობამ გაზეთი „ივერია“ დახურა 1896 წლის 17 მაისს.

მარტო გაზეთის დახურვით არ დაკმაყოფილებულა მეფის მთავრობა. „გათავებდებული მწერალი“ ადმინისტრაციული წესით გადასახლებულ იქნა ლენქორანში სამი წლის ვადით. 1899 წელს იაკობ ცინცაძე სამშობლოში დაბრუნდა. მისი მოთხრობები ია ეკალაძის ხელმოწერით უხვად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში, ცხოვრების სახსარს კი სხვადასხვა დაწესებულებებში (რკინიგზა, დამზღვევი საზოგადოება, ბანკი) უბრალო თანამდებობაზე სამსახურით ეძებდა. ამგვარმა პრაქტიკულმა საქმიანობამ, ცხოვრების სხვადასხვა ფენებისა და დარგის გაცნობამ გაუმდიდრა მწერალს გამოცდილებისა და მხატვრული აზროვნების არე.

1905 წელს ია ეკალაძემ კვლავ გაზეთი „ივერიის“ რედაქციაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ არც ამის შემდეგ უცოცხლია დიდხანს „ივერიის“. 1905 წლის დიდ ამბებთან დაკავშირებით იგი მალე დაიხურა (1906 წ. 27. VII). იმ ხანებში შექმნილი ვითარებით იაკობი იბრუნებს სემინარიაში წართმეულ უფლებას და 1906 წელს, 34 წლის ასაკში მყოფი შედის ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელსაც 1911 წლის იანვარში ამთავრებს.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე შეუდგა ი. ცინცაძე მუშაობას პედაგოგიურ ასპარეზზე. 1911—12 სასწავლო წლიდან ის მასწავლებლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში. მაგრამ მისი დაუდგრომელი ბუნება მარტო პედაგოგიური შრომით როდი განისაზღვრა. მან აქვე დაიწყო ყოველდღიური გაზეთის „ქართლის“ გამოცემა, რომლის რედაქტორად თვითონვე იყო. ეს გაზეთი ორი წლის განმავლობაში, ვიდრე იაკობი გორში ცხოვრობდა, რეგულარულად გამოდიოდა. მისი აქტიური თანამშრომლები იყვნენ ცნობილი ქართველი მწერლები და მოღვაწენი ვაჟა-ფშაველა, შიო არაგვისპირელი, ირ. ვედოშვილი, კ. ყიფიანი, ი. გრიშაშვილი, ს. ერთაწმინდელი და სხვ. იაკობ ცინცაძის გორიდან წას-

ელის შემდეგ, 1914—15 წლებში ამ გაზეთს „ახალი ქართლის“ სახელწოდებით სცემდა დავ. ღ. კარიჭაშვილი.

1913 წელს იაკობ ცინცაძე გადავიდა ქუთაისში. იქ ის დაინიშნა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელსა და ქართულ გიმნაზიაში. 6—7 წლის განმავლობაში იგი ენერგიულად მოღვაწეობდა ამ სასწავლებლებში, როგორც მაღალკვალიფიციური მასწავლებელი და მოწინავე იდეებით გამსჭვალული პედაგოგი.

ამავე დროს იაკობი სამწერლო ასპარეზზე განაგრძობდა ნაყოფიერ მუშაობას. ის სისტემატურად თანამშრომლობდა მაშინ ქუთაისში არსებულ გაზეთ „იმერეთში“ და თბილისურ ეურნალ-გაზეთებში („სახალხო გაზეთი“, „განათლება“, აღმანახი „გრდემლი“, ეურნ. „კლდე“, „საქართველო“ და სხვ.). 1915 წელს იაკობ ცინცაძემ თვითონვე გამოსცა ყოველდღიური გაზეთი „სამშობლო“, რომელსაც ყოველკვირეული სურათებიანი დამატებაც ახლდა.

რევოლუციის გამარჯვებითა და თვითმპყრობელობის დამხობით აღფრთოვანებული იაკობი პროვინციისაკენ ეშურება სამუშაოდ. იგი მთელი თავისი ენერგიით ჩაება ახალი სკოლის მშენებლობაში. 1918—22 წლებში ის ჩოხატაურის გიმნაზიის დირექტორია, 1923—27 წლებში პედაგოგიურ მუშაობას ეწევა ლანჩხუთში, ხაშურში, ონსა და თელავში, საიდანაც იაკობი კვლავ დედაქალაქში ბრუნდება და ებმება როგორც პედაგოგურს, ისე ლიტერატურულ მუშაობაში.

უკვე სახელმწიფოებრივი ბელეტრისტი ია ეკალაძე პედაგოგიურ ლიტერატურაშიც ცნობილია როგორც რამდენიმე საყურადღებო ნაშრომის ავტორი—იაკობ ცინცაძე. ამ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია სახელმძღვანელოები: 1. „სამართლის მეცნიერება“, რომელიც ავტორმა შეადგინა ნაციონალიზაციის გზაზე ახალშემდგარი ქართული გიმნაზიების, რეალური და კომერციული სასწავლებლებისათვის, 2. „თეორია სიტყვიერებისა“ წიგნი პირველი, ზოგადი ნაწილი (1919 წელი, ქუთაისი), რომელმაც ერთგვარი სამსახური გაუწია ქართულ სკოლას მისი გაეროვნულობის პირველ წლებში. ავტორის აზრით საუკუნის განმავლობაში ცარიზმის განუკითხავმა თარეშმა და ბიუროკრატიულმა რეჟიმმა ლამის გადააშენა ქართული სკოლა. ამიტომ აუცილებელია მივაწოდოთ ქართულ სკოლებს ისეთი წიგნები და სახელმძღვანელოები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეროვნული გრძნობის გაღვივებასა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის უფლებების აღდგენას.

იაკობ ცინცაძის „თეორია სიტყვიერებისა“ მოკლედ და გასაგებად განუმარტავდა მოსწავლეებს, თუ რას წარმოადგენდა თავისი არსით: სიტყვა, მეტყველება და სიტყვიერება, მხატვრული სიტყვა და ხელოვნება, პროზა და პოეზია, ლიტერატურა, თხზულება და მისი შემადგენელი ნაწილები, თხზულების გარეგნული სახე და მოთხოვნილებანი მწერ-

ლისადმი, სადაც განსაკუთრებით მითითებულია ენის სიწმინდეზე. ავტორის აზრით ნაწარმოების ენა უნდა იყოს ყველასათვის გასაგები, დახვეწილი, თავისუფალი ყოველგვარი სახის არქაიზმისა და პროვინციალიზმისაგან. მისი კითხვის დროს წამდა-უწუმ სიტყვის ლექსიკონში ძებნა არ უნდა გვეკირდებოდესო. ამავე დროს იგი სასტიკი მტერია ყოველგვარი ბარბარიზმისა.

1927 წელს ია ეკალაძემ გამოსცა ქართული მწერლობის ანთოლოგიის I ტომი, რომელშიც მოაქცია 5—12 საუკუნეების გამოჩენილ ქართველ მწერალთა თხზულებებიდან შერჩეული საუკეთესო ნიმუშები. როგორც I ტომის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, ანთოლოგია მიზნად ისახავდა ქართველი მკითხველისათვის, განსაკუთრებით კი საბჭოთა ახალგაზრდობისათვის, მიუწოდებინა იმგვარი ხასიათის წიგნი, რომელიც თვალწინ გადაუშლიდა მკითხველს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ფართო ჰორიზონტსა და მისი მასაზრდოებელი ფესვების სიღრმეს, „უჩვენებდა იმ შემოკმედებით ძალასა და კეთილ ზრახვა—იდეალების მარადიულობას, რომლებიც ჩამარბულია ჩვენი მწერლობის წიაღში...“ ეს ტომები მიზნად ისახავდა, ახალი ეპოქის სხივზე გაშუქებულიყვნენ ის ძველი ქართველი მწერლები, რომელთაც თავისი შემოკმედებითი წვით დიდი ამაგი დასდეს ქართველი ერის ისტორიულ ცხოვრებასა და შექმნეს ქართული კულტურის უმდიდრესი საგანძური. ამავე დროს ამ წიგნების შედგენას, გარდა ანთოლოგიური მიზნებისა, საფუძვლად უდევს პედაგოგიური მოსაზრებებიც. საბჭოთა ქართული სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო პროგრამებთან შეთანხმებით შედგენილი ეს ტომები მდიდარი და რჩეული მასალებით დატვირთული სახელმძღვანელოები იყო ძველი, საშუალო და ახალი საუკუნეების ქართული ლიტერატურისა. წლების მანძილზე ისინი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიების როლსაც ასრულებდნენ.

ანთოლოგიის I ტომს დართული აქვს პროფ. იუსტინე აბულაძის მოკლე მიმოხილვა ქართული ლიტერატურისა მეხუთე საუკუნიდან მეცამეტე საუკუნემდე და თვით რედაქტორის—ია ეკალაძის შესავალი წერილი. შესავალ წერილში აღნიშნულია, რომ ის ანთოლოგიის შედგენას მიუდგა,—,როგორც საშუალო სასწავლებლის ქართული ენისა და ლიტერატურის მდებრიო მასწავლებელი, რომლის დიდი ხნის ოცნება იყო, რომ მის მოსწავლეებს, მოზარდ თაობას, მომავალ მწერლებს და, საზოგადოდ, წიგნის მოყვარულ კაცს, ხელში ჰქონოდა საკმაო და ერთად თავმოყრილი მასალა არა მარტო ძველი, თუ ახალი ქართული ლიტერატურის შესასწავლად, არამედ იმის დასამტკიცებლად და ნათელსაყოფად, რომ „ფესვებ გამოჰკრილი ხე ნაყოფს ვერ გამოიღებს“ (გვ. VII).

ანთოლოგიის II ტომი გამოიცა 1928 წელს. მასში შევიდა მე-15—18 საუკუნეების, ე. წ. აღორძინების ხანის ქართული მწერლობა, ხოლო III ტომში, რომელიც 1930 წელს გამოიცა, მოთავსებულია მე-19 საუკუნის

პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის ნიმუშები. სამივე ტომს დართული აქვს თითოეულ მათგანში შესული მწერლების მოკლე ბიოგრაფიები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან დაზღვეული შეცდომებისაგან, მაინც საგრძნობ დახმარებას უწევენ მკითხველს ნწერლის ცხოვრების გაცნობაში. ამგვარად ია ეკალაძე—იაკობ ცინცაძის მიერ შედგენილი და გამოცემული ქართული ლიტერატურის ანთოლოგიის ეს სამი ტომი, რომელიც თავის დროზე დამხმარე სახელმძღვანელოების როლსაც ასრულებდა, საგულისხმო შენაძენად დარჩა ქართული ლიტერატურის ფონდში.

ია ეკალაძე, როგორც ბელეტრისტი, მოწინავე იდეების მატარებელი სიტყვის ოსტატი და ჩაგრულთა გულის მესაიდუმლე მწერალი, შესამჩნევ ადგილს იკავებს ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში. მის ბელეტრისტულ თხზულებებიდან, რომლებიც ასე უხვად არის გაფანტული ქართულ პერიოდულ და ერთდროულ გამოცემებში, ცალკე წიგნებად არის გამოცემული: „თევდორე მღვდელი“ (1895 წ.), აგებული საქართველოს ისტორიაში ცნობილ ისტორიულ ეპიზოდზე; „რას იცინი“ (ამბაეი, 1896 წ.), თხზულებათა კრებულის I წიგნი 1428 გვ. (1903 წ.), მოთხრობათა კრებულის II წიგნი (1917 წ.)—ქართველ მოსწავლეთა ბიბლიოთეკის სერიაში, რჩეული ნაწერები (1934 წ.) და თხზულებათა რჩეული კრებული (1951 წ.).

კარგი სტილისტი იაკობ ცინცაძე მთარგმნელობასაც ეტანებოდა ხშირად. მის კალამს ეკუთვნის რენანის ცნობილი ნაშრომის—„ცხოვრება იესოსი“—თარგმანი, რისთვისაც ეკლესიამ და სამღვდელოებამ მკაცრად გააკიცხეს ია, როგორც მწველებელი და ურწმუნო. მასვე ეკუთვნის არტურ მნიცლერის „ფერხულის“ თარგმანი, ია ეკალაძის წინასიტყვაობითვე გამოცემული 1907 წელს, ჰენრიხ იბსენის დრამის „მოჩვენებას“ თარგმანი, რომელიც 1904 წლის ჟურნალ „მოამბეში“ (№ 7, 8) დაიბეჭდა და სხვ.

ია ეკალაძე ერთი იმ ქართველ ინტელიგენტთაგანი იყო, რომელმაც ოქტომბრის რევოლუცია უყოყმანოდ მიიღო. იგი საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებლსთანავე ჩაება ყოველგვარ კულტსაგანმანათლებლო საქმიანობაში, როგორც მწერალი, პედაგოგი და რედაქტორი, რომელმაც საკმაო სახელი, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა თავის მოსწავლეებში, მეგობრებსა და მშრომელ მასებში. 61 წლის ასაკში მყოფი იგი ჯერ კიდევ ბევრ სასარგებლო საქმეზე ფიქრობდა, ახალი ეპოქის ღირსეული ნაწარმოებების შექმნაზე ოცნებობდა, როცა მოულოდნელად შეწყდა მისი გულის ცემა. 1933 წლის 11 ოქტომბერს, ქ. თბილისში, ლენინის ქუჩაზე, იქ სადაც ახლა გახეთი „კომუნისტის“ რედაქციაა, გზად მიმავალი ია ეკალაძე უეცრივ გარდაიცვალა გულის სივანით.

ია ეკალაძე როგორც მწერალი სათანადოდ არის გარჩეული და შე-

ფასებულნი ქართული ლიტერატურის კრიტიკოსების მიერ. ია ეკალაძის თხზულებათა უმრავლესობა ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. როგორც სამართლიანად აღნიშნავდნენ მისი კრიტიკოსები. ქართულ ლიტერატურაში პირველად მან სცადა ინტელიგენციის ცხოვრების ასახვა, პირველად მის მოთხრობებსა და ნოველებში გამოვლინდა ინტელიგენტი—პროლეტარების ტიპები. ამგვარი გმირების ცხოვრებისა და მათი სულიერი მოძრაობის დახატვა მანამდელი ქართული ლიტერატურისათვის უცხო იყო.

„როდის, ნეტა როდის მოვლება ბოლო ამ უკუღმართობას, როდის იქნება, ყველა მძალარი და კმაყოფილი იყოს თავის ბედისაო“,—ეკითხება თავისთავს ილიკო ბედენაძე—ია ეკალაძის ერთ-ერთი ესკიზის გმირი. ბედენაძის მიერ აქ დასმული კითხვა მთელი იმ ეპოქის კითხვა იყო, რომელიც ია ეკალაძის შემოქმედების ძირითად მოტივად იქცა. მისი საუკეთესო მოთხრობები და ესკიზები „ილიკო ბედენაძე“, „თეო“, „კრებაზე“, „ოლონდაც“, „ჩვენი ცხოვრების სურათები“, „ჩემი ცოდვა გქონდეს“, „წერილები“, „მომი მე წავალ იმ მუშასთან“ და მრავალი სხვა ძირითადად ამ მოტივზეა აგებული. მისი ნაწერების პერსონაჟები ორ უმთავრეს ჯგუფად იყოფა. ერთი მხრით მჩაგვრელები, გაიძვერები, ამორალური ადამიანები, მაგრამ მძღლები, მეორე მხრით დაჩაგრულები, პატიოსნები, მაგრამ მშვიდები, რომელთაც აწმყოსადმი რწმენა და სასოება სრულიად დაკარგვიათ, გაპქრობიათ და მხოლოდ მომავალს შესცქერიან იმედით.

მწერალი ერთ საინტერესო ესკიზში „მთაო მალალო“, რომელსაც ის ლექსისებურს უწოდებს, ასე გადმოგვცემს თავის განწყობილებას:

„კი, თავი მოგაქვს მით, რომ ღამით საბნადა გხურავს  
ღრუბლად ქცეული გაჭირვებული ოფლი და ცრემლი,  
განთიადისას სარკედ ხმარობ ცისა ციაგსა  
და სავარცხლად—ამომავალ მზისა სხივებსა,  
მაგრამ... არმად შექმული მუშის ოფლი ერთხელაც იქნება  
ცაში იგრგვინებს, ძირს წამოვა მხაპუნა წვიმით,  
სულ ჩამორეცხავს მაგ შენ კალთებს, გაგანადგურებს  
და მუშის მტარვალს, მუშის მჩაგვრელს შიშის ზარს დაგცემს...“

ყურადღების ღირსია ია ეკალაძის დრამა „№ 21 ჯვრით“, რომელიც 1916 წ. დაიწერა. მასში საქმოდ მკვეთრად არის ასახული რევოლუციონერთა არალეგალური მუშაობა და მუშათა აუტანელი ცხოვრება. პიესამ დიდი მოწონება დაიმსახურა საზოგადოებაში და ქართული თეატრების რეპერტუარსაც ის დიდხანს შერჩა.

ი. ეკალაძემ ჯერ კიდევ „ივერიაში“ დაბეჭდილ ფელეტონებში („სურათები მოსწავლეთა ცხოვრებიდან“) და ერთს თავის საინტერესო

მოთხრობაში („ანდრია აყუიაშვილი“) დამაჯერებლად ასახა იმდროინდელი სკოლის სასწავლო-სააღმზრდელი ღონისძიებანი და მისი შედეგები, კერძოდ სემინარიის ცხოვრება.

დიდი სტალინი, რომელიც სწორედ იაკობ ცინცაძის გარიცხვის მეორე წელს შევიდა თბილისის სემინარიაში, აღნიშნავს, რომ „სემინარიაში გამეფებული“ იყო „დამამკირებელი რეჟიმი და იეზუიტური მეთოდები. თვალთვალი, ჯაშუშობა, სულში ჩაძვრომა, აბუჩად ავლება“ (ტ. 13, გვ. 119) და სხვ. იგი იმას უსვამს ხაზს, თუ როგორ ჩხრეკდნენ და აწიოკებდნენ ყოველდღიურად „ბურსასა“ და „ბურსაკებს“.

სხვაგვარად როგორ უნდა მოქცეულიყო ის კაცი, რომელსაც „თექვსმეტი წლის განმავლობაში საზოგადოება არ ენახა. იყო გამომწყვდეული სასწავლებლის ოთხ კედელს შუა და ცხოვრებისათვის უმნიშვნელო საგნებს ატებდა თავს. ერთი რიგიანი მასწავლებელი, დამრიგებელი და გულშემატკივარი აღმზრდელი არა ჰყავდა, რომ იმათ მაინც დაეყენებინათ კარგ გზაზე, ქვეყნის ავ-კარგანობა ესწავლებინათ, რაიმე მიმართულება მიეცათ“... ავტორის თქმით „უაზროთ, უსაფუძვლოდ შესწავლილ—გაზეპირებული სიტყვები გულს არ ეკარებოდა, სიტყვები სიტყვებადვე რჩებოდა და ზნეობრივი ზემოქმედება კი არა ჰქონდათ რა“. მოთხრობაში დამაჯერებლად არის გადმოცემული ისიც, რომ... ხანდახან ნიკიერი ვინმე სიზარმაცის მსხვერპლი ხდებოდა. პირველები მარტო ცარიელ ფრაზებს იზეპირებდნენ, მეორენი იმასაც ვერ ახერხებდნენ. ამასთანავე ისე შეძლებული ჰქონდათ სწავლა, რომ რაც უნდა საყურადღებო საგანი ყოფილიყო, თუ კი „პარაგრაფიდან—პარაგრაფამდე“ იყო დანიშნული, მოსწავლეები კირივით ერიდებოდნენ იმ საგანს და თუ სწავლობდა ვინმე, ისიც ისევე „ნიშნებისათვის“. ასე აერივ-დაერიათ მოსწავლეებს კუა-გონება. ასე გაერყვნათ მათ გემოვნება და ჩაეთუთქათ ყოველი კეთილი მისწრაფება“.

ამგვარი აღზრდა ჰქონდა მიღებული სწორედ იმ ანდრია აყუიაშვილს, რომელსაც ერთ დროს „ლიტურლიკის“ მასწავლებელი შიშის ზარსა ჰგვირდა და ახლა თვით გამოდის ამავე როლში. მასაც თავისი აღმზრდელბებივით „გულში ზამთარი ეღვა და თავში ქარბუქი“.

ია ეკალაძეს ჰყავს აგრეთვე ისეთი კეთილშობილი, ხალხის მოყვარული და გონებაგახსნილი გმირბებიც, როგორიც არიან თეო და ზურა. ისინი ბალხის სამსახურის იღვით გატაცებულნი თავიანთი ინიციატივით ახერხებენ გახსნან სასოფლო სკოლა და იბრძოლონ სახალხო განათლების გავრცელებისათვის. მწერალს გაეცხული ჰყავს ყველა ფუქსავატი, უსაქმო, ფრაზიორი და ზედმეტად მოლაყბე, ეგოისტი, შოვალეობის სიმალღეზე არმდგარი და მშობლიურ ენაზე გულაცრუებული ნაცარქქვია ონტელიგენტი. ამ მხრივაც ია ეკალაძე საპატიო აღგილს იკავებს ქართული ლიტერატურისა და სახალხო განათლების ისტორიაში.

## ლიტერატურა

- ია ეკალაძე, თბულებანი, 1903 წ. მოთხრობები—1917 წ. ნაწერები, 1934 წ. მოთხრობები, 1951 წ. „სამართლის მეცნიერება“—სახელმძღვანელო გიმნაზიებისათვის, 1918 წ. „თეორია სიტყვიერებისა“, 1919 წ. ანთოლოგია, ტ. I, II: III, ალ. ხახანაშვილი, „ქართული ლიტ. ისტორია“ მე-19 საუკ. ი. ბ. სტალინი, ტ. 13, საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლიუდეიგთან. შალვა რადიანი, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1939 წ. გ. ლასხიშვილი, მემუარები. სოფრ. მგალობლიშვილი, მოგონებები. ტრ. ხუნდაძე, „ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში“. გაზ. „ივერია“, 1896 წ. № 39, 40, 41; ჟურნ. „კვალი“ 1897 წ. № 17, 21, 23, 24, 28, 30, 39, 1900 წლის № 5, 7, 9. „მოამბე“, 1904 წ. № 7, 8. 1905 წლის „ივერიის“ პრემია. აღმანახი; „გრდემლი“ წ. I; „მოამბე“, 1895 წ. № 8, გაზეთი „გალაქტიონ ტაბიძე“ 1927 წლისა საჯარო ბიბლიოთეკის შრომების III წ.—წერილები თედო რაზიკაშვილისადმი“, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით. შალვა რადიანი, ნეკროლოგი ეკალაძე. „სალიტერატურო გაზეთი“, 1933 წ. X.
-





**ზაქარია შალვაშვილი**  
(1872—1933)

რამდენი თბილი სიტყვა დაწერილა ზაქარია ფალიაშვილზე, რამდენი აღტაცებული მოგონება გამოქვეყნებულა ამ გენიოს ქართველ მუსიკოსზე, რომლის ძვირფასი შემოქმედება ყოველთვის დაატკობს ჩვენს სულსა და გულს.

მკითხველი ზაქარია ფალიაშვილს იცნობს მისი უკვდავი კმნილებებით, რომელთა შორის განსაკუთრებით ბრწყინავს „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“.

მაგრამ განა ფართო საზოგადოებამ იცის, რომ დიდი შემოქმედის მანძილზე რიგით მასწავლებლად მუშაობდა თბილისის ქალთა და ვაჟთა ქართულ გიმნაზიებში, სადაც ბავშვებს სიმღერა-გალობას ასწავლიდა და ასეთი საქმიანობა ესახელებოდა?

ლ. აღნიაშვილი, ფილ. კორიძე, ან. ყარაშვილი, ზ. ჩხიკვაძე, ზაქ. ფალიაშვილი, ალ. მრეველიშვილი, ი. კარგარეთელი, ი. ნიკოლაძე და სხვანი, რომლებმაც ქართული კულტურის საგანძურში უძვირფასესი წე-

.ლილი შეიტანეს, დიდხანს ჩვენს საშუალო სკოლების მასწავლებლებად :მუშაობდნენ და ერთნი თუ ქართველ ახალგაზრდებს თვითმპყრობელო- .ბის დროს ასწავლიდნენ სიმღერას:

ქართველო, ხელი ხმაღს იკარ,  
გათენდა დღე დიდებისა,  
თოფ-იარაღი აისბი,  
დრო მოდის გამარჯვებისა.  
მამულის დამხსნელს ვაჟკაცის  
ხმაღი და გული სდომია,

ვაჟკაცის გამომჩენელიც  
მტერთან გულდაჯულ ომია.  
მამულის დახსნის არ—მდომი  
თავისა თავის მგომბია.  
ძმანო, შინ უღლით სიცოცხლეს  
ომში სიკვდილი სჯობია-ო.

:მეორენი ფუნჯით ხელში კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანის გმირუ-  
ღი სახის დახატვით ჩვენს მოსწავლეებს სამშობლოს უღრმეს სიყვარულს  
უნერგავდნენ გულში.

ზაქ. ფალიაშვილი ერთ-ერთი უსპეტაკესი პიროვნებაა, რომელმაც  
:განსაკუთრებული ამაგი დასდო მდიდარი ქართული მუსიკის შესწავლას  
და მის შემდგომ განვითარებას. მისი მეოხებით ქართველ მოსწავლეებს  
არაერთი და ორი მშობლიური ჰანგი შეუსწავლიათ, დავიწყებული აღუ-  
დგენიათ და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კვლავ გაუვრცელებიათ.

ყველასათვის დაუვიწყარი იქნება და მუდამ მისაბაძად დარჩება ის  
ფაქტი, რომ ზაქ. ფალიაშვილი და ბევრი მისი თანამედროვე, რომელნიც  
ქართველი საზოგადოების მოწინავეთა რიგებში იდგნენ, სულით და გუ-  
ლით მუშაობდნენ ქართულ სკოლებში და ჩვენი ხალხის მომავლის, მისი  
იმედის—მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში მხურვალე მონა-  
წილეობას იღებდნენ.

ზაქარია პეტრეს-ძე ფალიაშვილი დაიბადა ქუთაისში 1871 წლის  
4 აგვისტოს<sup>1</sup>.

პეტრე ფალიაშვილს და მის მეუღლეს მარიამ მესარქიშვილს სულ  
18 ქალ-ვაჟი ჰყავდათ. ამათგან შვიდი ბავშობაშივე გარდაიცვალა, ხოლო  
დანარჩენთაგან ბევრმა საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობით თავი  
ისახელა და სამშობლოს შეძლებისდაგვარად სარგებლობა მოუტანა.

ბავშვებს, თითქმის ყველას, დიდი მუსიკალური ნიჭი ჰქონდათ და  
:გატაცებულნი იყვნენ როგორც საერო, ისე საეკლესიო გალობა-სიმღე-  
რების შესწავლით.

თავის ავტობიოგრაფიაში, რომელიც 1919 წელს გამოქვეყნდა, ზაქ.  
ფალიაშვილი წერდა: „იმისდა მიუხედავად, რომ ჩემი მშობლები არც-  
ერთ მუსიკალურ ინსტრუმენტზე არ უკრავდნენ და არც რაიმე მუსიკა-  
ლური ინსტრუმენტი მოგვეპოვებოდა სახლში, პატარაობიდანვე მთელს  
ჩვენ მრავალრიცხოვან ოჯახში და-ძმებს ბუნებითად მუსიკალური ნი-  
ჭი დაგვყვა. ეს, ჩემის აზრით, იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ როგორც  
კათოლიკენი, ხშირად მოსიარულენი ეკლესიაში, სადაც საეკლესიო ორ-

<sup>1</sup> ბიოგრაფიული ცნობები ამოღებულია შალვა კაშმაძის მონოგრაფიიდან „ზაქარია ფალიაშვილი“, თბილისი, 1948 წ.

ლანის ნაზი ხმები სმენას ატკობს და ავითარებს, ჩვენც, და მომეტებულად კი მე და ჩემი უფროსი ძმა ივანე, რომელმაც პირველმა თავის უმცროს და-ძმებს ჩაგვიწერა სიყვარული მუსიკისადმი, ერთვად ეკლესიაში ვიმყოფებოდით და ნელნელაობით, შეუმჩნევლად ჩვენი მუსიკალური სმენაც ვითარდებოდა“.

ამის შესახებ მართებულად შენიშნავს შ. კაშმაძე, რომ „ეს მოსაზრება იქნებ მართლაც სამართლიანად ჩაითვალოს. ეს იქნებ პირველი ბიძგი და პირველი კვირტის ჩასახვა იყო. დღეს კი საყოველთაოდ ცნობილია, რომ უკვდავი ქართველი კომპოზიტორის შესანიშნავი ნიჭის შემდგომი ზრდა და აყვავება ქართული ხალხური მუსიკის დიდი გზით წარიმართა“<sup>1</sup>.

1887 წელს ივანე და ზაქარია ფალიაშვილები თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. რამდენიმე ხანს ივანე ფალიაშვილი კათოლიკეთა ეკლესიაში ორღანოზე უკრავდა, ხოლო მისი უმცროსი ძმა ზაქარია მგალობლად ითვლებოდა. მალე ძმები ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ლადო აღნიაშვილის გუნდში მიიღეს და მხურვალედ მონაწილეობდნენ გუნდის მიერ გამართულ კონცერტებში.

1889 წლიდან ივ. ფალიაშვილმა დირიჟორობას მიჰყო ხელი, ხოლო ზაქარია ისევ ორღანისტობდა და იმდენად მოემზადა, რომ 1895 წელს ჩაირიცხა თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში, რომელიც დიდი წარჩინებით დაასრულა 1899 წელს.

თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში სწავლის დროს ზაქ. ფალიაშვილმა ჩამოაყალიბა გუნდი, მონდომებით გაწრთენა ის და დროდადრო დაიწყო კონცერტების მიცემა. აღსანიშნავია, რომ ზაქ. ფალიაშვილი ამ დროიდან უკვე გატაცებულია ხალხური სიმღერების შესწავლის სურვილით, თანაც უანგარო მონაწილეობას ღებულობს მთელ რიგ საქველმოქმედო საღამოებში, რომლებიც ჩვენი მოწინავე საზოგადოების მიერ ეწყობოდა სხვადასხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ერთ-ერთი ასეთი საღამოს შესახებ ეურნ. „კვალი“ (1900 წ. № 8) წერდა:

„წარსულ შაბათს, 10 თებერვალს, ზ. პ. ფალიაშვილმა გამართა კონცერტი თბილისის საკრებულოში, რომელმაც დადძალ საზოგადოებას მოუყარა თავი უშველებელ დარბაზში. ასეთი თანაგრძნობის მიზეზად ჩვენ პირველად ის გარემოება მიგვაჩნია, რომ ბ-ნ ფალიაშვილის ხორომ საქვეყნოდ გამოსვლისთანავე, ცოდნასთან ერთად მეტი გულკეთილობა, უანგარობა გამოიჩინა: უსასყიდლოდ მიიღო მონაწილეობა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ გამართულ კონცერტში, საიუბილეო წარმოდგენის დღეს თეატრში იმღერა, მიიღო მონაწილეობა განჯაში გამართულ ქართულ სახალხო კონცერტში და სხვ.“

<sup>1</sup> „ზაქარია ფალიაშვილი“, თბილისი, 1948 წ. გვ. 5—6.

ზაქარია ფალიაშვილს დიდი სურვილი ჰქონდა უმაღლესი მუსიკალური განათლება მიეღო და შემდეგ უფრო მეტი სარგებლობა მოეტანა თავის სამშობლოსათვის. მაგრამ ოჯახის ხელმოკლეობის გამო ამ მიზანს ვერ განახორციელებდა, რომ მისთვის თბილისის თავად-აზნაურთა საკრებულოს მითითებით „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოებას“ სტიპენდია არ დაენიშნა.

1900 წელს ზაქ. ფალიაშვილი მოსკოვს გაემგზავრა და შევიდა კონსერვატორიაში. აქ იგი სწავლობდა ცნობილი რუსი კომპოზიტორის ს. ი. ტანეევის (1856—1915) კლასში. კონსერვატორიაში სწავლის დროს ზაქ. ფალიაშვილმა თავისი ნიჭით და გასაოცარი შრომისმოყვარეობით ყველა გააოცა. განსაკუთრებით მოხიბლული იყო თვით მისი მასწავლებელი ს. ტანეევი, რომელთანაც ზაქ. ფალიაშვილს გულთბილი, მეგობრული განწყობილება აკავშირებდა.

მოსკოვში სწავლის წლები მისთვის მეტად წაყოფიერი აღმოჩნდა. არც გასაკვირველია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ზ. ფალიაშვილი არც ერთ წუთს ტყუილ-უბრალოდ არ კარგავდა.

ცნობილმა მსახიობმა და შესანიშნავმა მასწავლებელმა მიხეილ ქორელმა (ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას თბილისის ქართულ გიმნაზიაში 1904 წლიდან 1910 წლამდე) საინტერესო მოგონება გამოაქვეყნა ამ წლებში ზაქ. ფალიაშვილთან შეხვედრის შესახებ<sup>1</sup>.

თავდაბალი, მორიდებული, მშობლიური მუსიკის შესწავლით გატაცებული, ფუქსავატური ცხოვრების მოძულე—იი როგორი სახით დაგვიხატა მიხ. ქორელმა ზაქ. ფალიაშვილი. ამავე დროს ის სამშობლოსა და ქართველი საზოგადოების წარმატებებით მხურვალედ დაინტერესებულია და ჩვენს ეროვნულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება სავალდებულოდ მიიჩნია ყოველი ქართველისათვის.

ზ. ფალიაშვილი მოსკოვში უდიდესი გატაცებით სწავლობდა მუსიკას. ერთ-ერთ წერილში იგი ნ. ცხვედაძეს წერდა: „ჩემი სწავლის საქმე ჯერ ღვთითა და მერმე თქვენით, რომ არ დავიქადო, კარგად მიდის, რომლის დასამტკიცებლად შემიძლიან წარმოვადგინო ჩემი „ბალები“, თუ გსურთ, თუმცა ჯაფა დიდი არის, მაგრამ რა ვქმნა, მეტი გზა არ არის, უჯაფოთ არა გამოვა რა. წარმოიდგინეთ, რომ ვერ მომიხსრია ქართველ სტუდენტებთან მივიდე და როგორც ამხანაგები ვნახო, იმდენათ მოკლა არა მაქვს“.

1903 წელს ზაქ. ფალიაშვილმა დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია და საქართველოში დაბრუნდა. იმავე წელს ის დაინიშნა თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში სპეციალური საგნების მასწავლებლად, ხოლო

<sup>1</sup> გაზ. „ლიტერატურა და ბელოვენა“, 1947 წ. № 48.

<sup>2</sup> წერილი დაცულია ნ. ცხვედაძის არქივში—საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმი.

თბილისის ვაეთა და ქალთა გიმნაზიებში მას ბავშვებისათვის სიმღერა-მუსიკის სწავლება მიიხდებოდა.

თბილისის ვაეთა (სათავადაზნაურო) გიმნაზიაში ზაქარია ფალია-შვილი ასწავლიდა სრული 15 წელიწადი—1903 წლიდან 1918 წლამდე.

ცნობილი ქართველი პედაგოგი სებით იაშვილის ცნობით, ზაქ. ფალიაშვილი არა მარტო ნიჭიერი მუსიკოსი იყო, არამედ შესანიშნავი პედაგოგიც, რომელსაც მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის დიდი სიყვარული ჰქონდა მოპოვებული.

ზ. კაშმაძის სიტყვით, „ზაქ. ფალიაშვილის უნარისა და ენერჯის წყალობით ბავშვების მუსიკალური აღზრდის საქმე სათავადაზნაურო გიმნაზიაში მაღალ დონეზე დადგა. ჩამოყალიბდა მომღერალ-მგალობელთა მშვენიერი გუნდი 40—50 მოწაფის მონაწილეობით, აგრეთვე—მოწაფეთა სიმებიანი ორკესტრიც. ვიოლინოს დაკვრას ასწავლიდა ა. ყარაშვილი, ჩელოს—ე. კაპელნიცი, სიმღერა-გალობას ზ. ფალიაშვილის გარდა ასწავლიდა აგრეთვე ზაქ. ჩხიკვაძეც. გიმნაზიაში იმართებოდა მოწაფეთა კონცერტები, რომლებსაც დიდძალი საზოგადოება ესწრებოდა. სასულიერო საგალობელთა გარდა ზაქარია ასწავლიდა ბავშვებს ქართულ ხალხურ სიმღერებს და მათ შორის, ისეთ საინტერესო ნიმუშებსაც კი როგორც არის მაგალითად „ალიფაა“<sup>1</sup>.

ამ ხანებში ზაქ. ფალიაშვილი ძლიერ დატვირთული იყო პედაგოგიური მუშაობით. სახელოვანი მუსიკოსი „აბესალომ და ეთერი“ შექმნასთან დაკავშირებით წერდა: „საზოგადოებამ სრულიადაც არ იცოდა ის არანორმალური პირობები, რომელშიც მე მომიხდა ამ ვრცელი ოპერის წერა. მართალია, „აბესალომ და ეთერი“ მე ვწერე ექვსი წელიწადი (ოპერაზე მუშაობა დაიწყო 1912 წელს—მ. კ.), მხოლოდ ზაფხულის თვეებში, რადგანაც მე როგორც პედაგოგს, რომელსაც ცხრა აკადემიური თვის განმავლობაში ყოველკვირეულად 40—45 გაკვეთილამდე მაქვს, ძალა არ შემწევდა სისტემატურად მთელი წელიწადი შემუშავნა და დროზედ დამესრულებინა ეს ოპერა.“

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ზაქ. ფალიაშვილი პედაგოგიური მუშაობასა და მუსიკალურ შემოქმედებასთან ერთად, დაინტერესებული იყო ქართული ხალხური სიმღერების შესწავლით.

1903 წლის ზაფხულში ზაქ. ფალიაშვილმა პროფ. ალ. ხახანაშვილთან ერთად იმოგზაურა სევანეთში და მთელი რიგი სიმღერები ჩაიწერა. ეს მოგზაურობა მოეწყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დახმარებით. ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ ზაქ. ფალიაშვილმა სევანეთში შექმნილი ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტები ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმს გადასცა უსასყიდლოდ.

<sup>1</sup> „ზაქარია ფალიაშვილი“, 1948 წ. გვ. 26.

1908 წელს ქართული ხალხური სიმღერების შესწავლის მიზნით იმოგზაურა აგრეთვე კახეთში და ამის შესახებ საინტერესო წერილები გამოაქვეყნა 1908 წლის გაზ. „ისრის“ ნომრებში. ამავე დროს ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების მოსწავლეების მომღერალთა გუნდი მას ხშირად გამოჰყავდა კონცერტებზე და ქართული საზოგადოების ალტაცებას იწვევდა. ფალიაშვილი გარდაიცვალა 1933 წელს.

#### ლიტერატურა

ზ. ფალიაშვილი, ჩემი მოგზაურობა სვანეთში და სვანური სახალხო სიმღერები, გაზ. „ივერია“, 1903 წ. № 175. მოგზაურობა კახეთში და ქართული სახალხო სიმღერების დღევანდელი მდგომარეობა, გაზ. „ამირანი“, 1908 წ. № 150, 151, 152. მცირე მიმოხილვა-ქართულ სიმღერა-გალობლსა, „ფასკუნჯი“, 1909 წ. № 1. ავტობიოგრაფიულ ცნობები ჟურნ. „თეატრი და მუსიკა“, 1919 წ. № 1.

ივ. გომელაური, ზ. ფალიაშვილის კონცერტი, ჟურნ. „ველი“, 1900 წ. № 8.

არჩ. ჯორჯაძე თხზულებანი, წიგნი III, 1911 წ.

ი. კარგარეთელი, მოკლე სამუსიკო ენციკლოპედია, 1930 წ.

შ. კაშმაძე, ზაქარია ფალიაშვილი, 1948 წ. (ერცელი მონოგრაფია. აქვე გამოქვეყნებულია ზ. ფალიაშვილის წერილები: მონოგრაფიას დართული აქვს ბიბლიოგრაფია. „ზ. ფალიაშვილის შესახებ გამოქვეყნებული ცნობები და წერილები“. გვ. 159—170).



## მელიტონ გოგობერია (1878—1914)

ამ ნარკვევის მიზანია აღდგენილ იქნეს მელიტონ გოგობერიას მთლიანი სახე, როგორც ადამიანისა, მასწავლებლისა, რევოლუციონერისა და მწერლისა.

მელიტონ გიორგის-ძე გოგობერია დაიბადა 1878 წლის 9(21) აგვისტოს ზუგდიდის მაზრის სოფელ ქაქვიჯში, გალარიბებული აზნაურის ოჯახში, სადაც ქართულ მწერლობისა და „ვეფხისტყაოსნის“ კულტი ჯერაც არ გამქრალიყო. ამ გარემოებამ და სოფლად სამრევლო სკოლის არსებობამ, საიდანაც ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ აღკვეთილი ქართული ენის სწავლება, პატარა მელიტონს გაუღვიძეს ქართული მწერლობის სიყვარული.

სოფლის სამრევლო სკოლადამთავრებული, ქართული წიგნების კითხვაში გაწაფული, 12 წლის მელიტონი მშობლებმა მიაბარეს ზუგდიდის ორკლასიან, ე. წ. ნორმალურ სასწავლებელში. ამ სასწავლებელში მაშინ სოფელ წალენჯიხიდან ახალგადმოყვანილი, ახალგაზრდა სახალხო

მასწავლებელი ერმილევ შარაშიძე დახვდა პატარა მელიტონს. 1894 წელს მელიტონმა ამ სასწავლებლის კურსი ჩინებულად დაასრულა. სახალხო მასწავლებლობით და სოფლად, გლეხობაში მუშაობით გატაცებული მელიტონი იმავე წელს შევიდა დაბა ხონში არსებულ ქუთაისის საოსტატო სემინარიაში. სემინარიაში მას დაუხვდა მაშინდელი დირექტორის, შავრაზმელი სოკოლოვის რკინის რეჟიმი.

თვითონ მელიტონი სემინარიის ბურსაში ყოფნას ასე იგონებს: „დახურულ პანსიონში დამწყვედვით, ლაქუცა დირექტორი, ქართული ენის ზაფრიანი მასწავლებელი, რომელიც ქართულ გრამატიკას რუსულად გვიხსნიდა. ჩუმჩუმად კითხვა ახალი ქართული წიგნებისა და ეურნალ-გაზეთებისა, რომელსაც ერთი ამხანაგი—მოსწავლის მამის სახელზე ვიბარებდით. ჩვენი საკუთარი ეურნალი—ლექსებით, მოთხრობებით და კრიტიკული წერილებით გავსებული, რომელიც იმავე მასწავლებელს ხელთ ჩაუვარდა და თავის ქნევით დაგვემუქრა—„ამას სახსოვრად შევინახავო“ (საბრალომ საფლავში თუ ჩაიტანა!)... შეტაკება დირექტორ-მასწავლებელთან და გულგრილად დატოვება სასწავლებლისა“... („ივერია“, 1903. № 216).

იმავე 1897 წლის პირველ სექტემბრიდან 19 წლის მელიტონ გობეჩია მასწავლებლად ინიშნება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოფელ გომბორეთის სკოლაში, სადაც ის 3 სასწავლო წელს მოღვაწეობდა. ამის შემდეგ იგი ონის ორკლასიან სკოლაში გადასულა. აქ მას აგრეთვე სამ სასწავლო წელს უმუშავებია. 1903/4 სასწავლო წლისათვის ის უკვე თბილისის ერთ-ერთი საგარეუბნო სკოლის მასწავლებლად ჩანს და ქართულ გაზეთებში („ივერია“, „ცნობის ფურცელი“) მუდმივად თანამშრომლობს. იმავე ხანებში ემთხვევა მისი ლექსების პირველი წიგნის (ჰანგები) გამოცემა, რაშიაც ახალგაზრდა პოეტს დიდი ნივთიერი და მორალური დახმარება აღმოუჩინა პოლიტიკური ლიტერატურის ცნობილმა გამომცემელმა ვასილ გადილიამ.

ცნობილი სახალხო მასწავლებლების პეტრე უგულავას, ალ. ჩხეტიას, ილია გოგეას და ნიკოლოზ ბუკიას მოგონებებით მელიტონ გობეჩია იყო ერთი მოწინავე მასწავლებელთაგანი. იგი მტკიცედ ადგა გამოჩენილი რუსი პედაგოგის კ. უშინსკისა და იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მოძღვრებას, რომ მხოლოდ მშობლიური ენით შეიძლება ყრმათა გონების განვითარება, რომ მხოლოდ აღზრდის ჰუმანიურ პრინციპებს შეუძლია ნამდვილად სრულყოფილი ადამიანის აღზრდა.

იმ ხანებში, როცა მელიტონ გობეჩია ონის ორკლასიან სკოლაში მუშაობდა, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლებში მუშაური მეთოდი იყო გაბატონებული. მელიტონ გობეჩიამ სკოლაში მისვლისთანავე „ნატურალური მეთოდი“ და მასთან შეხამებული სახელმძღვანელო ლევიცკისა თვითნებურად გააძევა სკოლიდან და ნაცვლად იმისა შემოიღო ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“ და „ბუნების კარი“. ცხადია, მელიტონის



ამ ნაბიჯზე უქველად მისცა სკოლას ერთგვარი წარმატება როგორც დედაენის, ისე რუსული ენის და სხვა საგნის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებაში.

ჯერ კიდევ ონის სკოლაში იყო მელიტონი მასწავლებლად, როცა მშობლიური ენის სწავლებისა და, საერთოდ, მისი დაცვისა და სიწმინდისათვის დაიწყო ბრძოლა ქართულ პრესაში. 23 წლისა იყო მელიტონ გობეჩია, როცა გაზეთ „ივერიაში“ წერდა ქართული სალიტერატურო ენის შეუმუშავებლობაზე, ერთიანი საერთო ეროვნული ენის დაუდგენლობაზე, ქართული ენის მყარი, მტკიცე ნორმებით შემუშავებული გრამატიკის უქონლობაზე, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა მწერლობაზე და პრესაზე. მოჰყავდა რა ამ შეუთანხმებლობის მაგალითებად სიტყვები: „საიდგან“, „საიდან“, „საიღამ“ და თვით ჩვენი დედაქალაქის სახელწოდება: „ტფილისი, თფილისი, თბილისი“ და სხვა, ასკენიდა, რომ აუცილებელია ერთიანი მართლწერის შემუშავება და დადგენა. იგი საქიროდ მიიჩნევდა მწერლებსა და ჟურნალისტებს ეკისრათ ეს დიდი საქმე—შეექმნათ ზოგადი სამეცნიერო ტერმინოლოგია. ის საკმაოდამაჯერებლობით განმარტავდა იმასაც,—თუ რა პირობებში შემუშავდებოდა და გამდიდრდებოდა ენა. მისი აზრით ამ მხრით საქირო იყო ძველი მწერლობისა და ხალხური შემოქმედების შესწავლა და გამოკვლევა, ამ ნაშრომთა გამომზეურება და ფართო საზოგადოებისათვის მიწოდება.

„რამდენი თქმულება და ზეპირგადმოცემებია ხალხში გაფანტული,—წერდა ის,—მაგრამ ამ საუნჯეს შემკრები და სისტემატურად დამლაგებელი არავინ არის. ძველი ხელთნაწერები ლპება კერძო ოჯახებსა და ეკლესია-მონასტრებში. მრავალი ძვირფასი და საგულისხმო წიგნი ინახება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთსაცავებში, ხოლო ვინაა დამბეჭდავი და გამომქვეყნებელი? და აი შედეგი ჩვენი დაუდევრობისა: იმის ნაცვლად, რომ ქართული ენა გაიწმინდოს და ნამდვილი ეროვნული ელფერი მიიღოს, თანდათან უფრო ირყუნება და ივსება „რუსიციზმებით“ და „გალიციზმებით“. რა უქირდა რომ შემდგარიყო „ქართული ენის აღმდგენელი საზოგადოება?“, რომელსაც შეეკრიბა ქართული სიტყვები და სრული ლექსიკონი შეედგინა. აკი არსებობს; მაგალითად, „მცხეთის ტაძრის აღმდგენელი კომიტეტი“.—თუ კი ტაძრებსა და მონასტრებს სჭირდება აღშენება და განახლება, მით უფრო ენას უნდოდა აღორძინება. ნეტავ სად არის ან რას შერება ჩვენი საზოგადოება? რატომ არ ეპატრონება თავისი ქვეყნის შვილთა ნამოღვაწარს, რათ არ გაიცნობს და არ შეისწავლის წარსულ დიდების ნაშთებს? ესა და ამგვარი კითხვები უნებურად გებადებიან, „მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან“.

მელიტონ გობეჩიას აზრით ენის დამუშავება-დახვეწასა და გამდიდრება-წინსვლაში დიდი როლი ენიჭება უცხოური კლასიკოსების გადმოთარ-

გმნას, რადგან ყოველ დიდ მწერალს როგორც აზრი, სიტყვებიც შესაფერი მოეპოვება. ამიტომ ის სწუხდა, რომ მაშინ ქართულ ენაზე არ იყო, ან ძლიერ ცოტა იყო ნათარგმნი რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ერების კლასიკოსთა უკვდავი ქმნილებანი, რომელთაც შეეძლო ქართველი მკითხველის გონების და თვით მშობლიური ენის მრავალმხრივ გამდიდრება, დახვეწა და გამშვენიერება. ამავე დროს, დასძინდა მელიტონი, ამგვარი მუშაობის ჩატარებით საშვილიშვილო საქმეც გაკეთდება.

მელიტონ გობეჩია როგორც პედაგოგი და მწერალი სასტიკად ილაშქრებდა იმ ბაზრული გამოცემების წინააღმდეგ, რაც ასე მომრავლდა იმ პერიოდში ქართული წიგნის ბაზარზე. „წიგნები? ღმერთო დავიფარე! წიგნის ბაზარი მართლაც სავსეა საინარმარკო და საბაზრო წიგნებით, რომლებშიაც ყველაფერს ნახავ გარდა აზრისა და პოეზიისა; ამ წიგნებით როგორც ქართული ენა ირყვნება, ისევე ირყვნება ქართული ხელოვნება და აზროვნებაც. თანდათან ჩირქი ეცხება ჩვენს ტაძარს წმიდას და ესტეტიურს გრძნობას, თან ვკარგავთ გემოვნებასა და მშვენიერების შეგნების უნარს. ირგვლივ ჰხედავ მხოლოდ უსიცოცხლობას, უმოძრაობას.

დგახარ ამ უდაბნოში და ამოდ ელი ვისამე გამოხმაურებას, სი-მართლისაჲნ მოწოდებას, სინათლისაჲნ მისწრაფებას, ყველგან სიჩუმე, უმოძრაობა!

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი!

მშობელი შობილს არ-რას მეტყოდა!“.—

გაჰკივის ყურში პოეტის სიტყვები...

აი რა კითხვებით იყო შეპყრობილი ახალგაზრდა მასწავლებელი მელიტონ გობეჩია იმ ხანებში.

1905 წლის ზაფხულის თვეებში, როცა რუსეთ-იაპონიის ომის შედეგად შერყეულმა ცხოვრებამ ნელ-ნელა იწყო ღელვა და ფრთონაც მოსალოდნელი იყო, გაზეთი „ცნობის ფურცლის“ რედაქციამ მელიტონ გობეჩია მიავლინა ზუგდიდის მაზრაში საკუთარ კორესპონდენტად. მელიტონი აქ დარჩა მეორე წელსაც. დაეალება მან სამაგალითოდ შეასრულა. მის კალამს ეკუთვნის „ცნობის ფურცელში“ მოთავსებული (1904, 905 და 906 წ.წ.) ცეცხლის მფრქვეველი კორესპონდენციები და სტატიები, სადაც მხილებულია მაზრის უფროს კელამოვის და ბნელეთის სხვა მოციქულთა მიერ ჩადენილი უმსგავსოებანი. ამასთანავე ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმდროინდელს სამეგრელოში სწავლა-განათლების მდგომარეობას. ხედავს რა, თუ როგორ დევნიან და ავიწროებენ სამეგრელოს სკოლებში ქართულ ენას ცარიზმის დაგეშილი აგენტები და მათი ლაქები, ერთ-ერთ სტატიასი იგი ენერგიულად მოუწოდებს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გახსნას ზუგდიდში და მის მაზრაში სამკითხველოები და საზოგადოების ტიპის

ქართული სკოლები. აქვე იგი დასძენს, რომ საზოგადოებამ არ უნდა დაივიწყოს აგრეთვე სამურზაყანო, სადაც ქართული ენის სწავლება სავსებით აღკვეთილიაო („ცნობის ფურცელი“ 1905. № 2752). ამავე გაგაზეთის სხვა ნომერში (№ 2906) ის მოითხოვს ზუგდიდის მაზრის მასწავლებელთა პროფესიული კავშირის შექმნას, რომ ამით შესაძლებელი გახდეს ორგანიზებული მოქმედება შერაზმელ რუსიფიკატორთა მიმართ.

სხვადასხვა ფსევდონიმებით (მ. გ. მ. გ-ია, მეგრელი, ობოლი, ნატალიაშვილი და სხვა) ან კიდევ პირდაპირი ხელმოწერით გამოქვეყნებული მისი წერილები საერთო სათაურით: „სამეგრელოს ამბები“, დაუზოგავად ამხილებდა რეაქციული ძალების თავხედობას. ასეთია მისი „მგზავრის შენიშვნები“ („ცნობის ფურცელი“, 1905. № 2746—52), გლეხთა მდგომარეობაზე დაწერილი სტატია—„სამეგრელოში“ (იქვე, 2824), ხელმოწერილი წერილი „სამეგრელო“ (იქვე, 1905. 2878), რომელშიც გამოაშკარაებულია, თუ როგორ ჰკლავდნენ უდანაშაულო და ხალხის სასარგებლო პირებს და როგორ ძარცვავდნენ თვით ხალხს. „სამეგრელოს ამბების“ სათაურით გამოქვეყნებულია ფელეტონები, რომელშიც მოთხრობილია ზუგდიდის აღმინისტრაციის ვერაგული მოქმედება, სოფ. ზუგდიდი—კახათის ტრაგედია, ბოქაულ სოლ. შენგელაიას მიერ 14 გლეხის ადგილზე დახოცვა, მაზრის უფროსის მიერ მოწვეული პლასტუნების თარეში ზუგდიდში, სოფელ ჭიხურის აკლესია-დაწიკება, ოცინდალეს მონასტერში თავშეფარებული ახალგაზრდა ქალებისა და მოლოზნების გაუპატიურება დამსჯელი რაზმების მიერ. ამ ბარბაროსობას მოჰყვა მაზრის უფროსი კელამოვის კმაყოფილებით აღსავეს ოხუნჯობა: „ერთი წლის შემდეგ პატარა „კაზაჩეები“ დაიწყებენ რბენას სამეგრელოს სოფლებშიო“. მაგრამ, როგორც 1905 წლის „ცნობის ფურცლის“ ერთ-ერთი ნომერი (2991) გვაცნობებს, კელამოვს ამ ერთი წლის სიცოცხლე და მისგან ნანდერძევი, „კაზაჩების“ ნახვა არ დასცლია. 1906 წლის 27 იანვარს, დილის 12 საათზე იგი ქუთაისის ბაღში მოკლეს.

1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში მელიტონს მარტო კალამი როდი ეკავა ხელში. იგი შეიარაღებულ მებრძოლ რევოლუციონერთა ჯგუფსაც ხელმძღვანელობდა ახალი ხელისუფლების შესაქმნელად. 1907 წლის გაზეთი „ისარის“ ერთ-ერთ ნომერში (221) აღნიშნულია, რომ 1905 წლის ზაფხულის მიწურულში რევოლუციონერთა ერთმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ ლეონიდ შენგელაია (ლეო ქიაჩელი), მელიტონ გობეჩია, სანდრო ჩხეტია, პავლე აკობია, ქუქუ წიწავა და სხვ. ჩაფრებს იარაღი აპყარა, მოსახლეობა მიიმხროს და ზუგდიდის სამაზრო მმართველობა სრულად განაიარაღაო.

ცხადია, ზუგდიდის მაზრაში მომხდარი აქ მოთხრობილი ამბები და თუ გინდ, მთელ საქართველოში და ამიერ-კავკასიაში მიმდინარე მსგავსი მოვლენები, ერთი პატარა და გარკვეული ნაწილი იყო რუსეთის მთელ იმპერიაში მომხდარი დიდი ამბებისა. დიდი „ლენინი იმ დღეებში უშუ-

ალო მონაწილეობას ლებულობდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. მისი სტატიები ბოლშევიკურ გაზეთ „ნოვიაა ეიზნი“ სახელმძღვანელო მითითებებს წარმოადგენდნენ პარტიის ყოველდღიურ მუშაობაში“ (სკპ ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 100. 1950 წ. ქართ. გამოცემა). ამ დროს „ამხ. ბტალინი უდიდეს რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიაში“ (იქვე).

მაგრამ 905 წლის რევოლუციის აღმავლობა მალე რეაქციის მძვინვარებამ შესცვალა. „რევოლუციაში ჯერ კიდევ არ იყო მუშათა და გლეხთა მტკიცე კავშირი ცარიზმის წინააღმდეგ“ (იქვე, გვ. 114). ამაზე ლენინი გარკვევით აღნიშნავდა, რომ „გლეხები ძალიან დაქსაქსულად, არაორგანიზებულად, არასაკმაო შეტევით მოქმედებდნენ, და ამაში მდგომარეობს რევოლუციის დამარცხების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი“ (ლენინი, ტ. XIX, გვ. 354). მართალია, 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ ამ დიდმა სახალხო მოძრაობამ—„რევოლუციამ გამოაშკარავა, რომ ცარიზმი ხალხის მოსისხლე მტერია, რომ ცარიზმი ის კუზიანია, რომლის გასწორებაც მხოლოდ სამარეს შეუძლია“ (სკპ (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 116).

რევოლუციის დამარცხების შემდეგ მელიტონი არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა, მაგრამ რევოლუციური მუშაობა თუ არ გააძლიერა, არ შეუშკირებია. იგი სისტემატურად აწვდიდა ცნობებსა და კორესპონდენციებს რედაქციებს ხალხის განწყობილების შესახებ.

„რეაქცია გამწვავდა“. დადგა დრო, როცა უკვე აღარ შეეძლო მელიტონს არალეგალური ცხოვრება. მეგობრები, ამხანაგები და თანამებრძოლნი თანდათან ჩამოეცალნენ—ისინი თანდათან საპატიმროში გროვდებოდნენ. მელიტონმა არ ისურვა ჯალათების ხელში ჩავარდნა. გადაწყვიტა საზღვარგარეთ გაპარვა და აი, ამხანაგთა ერთი ჯგუფის დახმარებით ის შოულობს ცოტაოდენ სახსარს და 1906 წ. გაზაფხულზე ოჩამჩირიდან პირდაპირ პარიზში ამოჰყოფს თავს.

პარიზში ჩასვლისთანავე მელიტონი ფრანგული ენის შესწავლის მიზნით ქალაქის განაპირა უბანში მცხოვრები ერთი ფრანგის ოჯახში დადგა. მან გადაწყვიტა ამ მოკლე ხანში (3—4 თვე) ისე გაეკეთა ენა, რომ 1 სექტემბრიდან უნივერსიტეტში ლექციების მოსმენა შეძლებოდა. ამავე წლის პირველ სექტემბრიდან მელიტონი პარიზში სორბონის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაერიცხა და სწავლას მტკიცედ მოჰკიდა ხელი. ფრანგულთან ერთად გერმანული ენის მასწავლებელიც აიყვანა და ამ ენასაც საკმაოდ დაეუფლა. უსახსრობის გამო მელიტონი არ ერიდებოდა არავითარ ფიზიკურ შრომას. სხვადასხვა სარწმუნო წყაროების მიხედვით დადასტურებულია, რომ მელიტონ გობეჩია სორბონის უნივერსიტეტში ერთი საუკეთესო სტუდენტთაგანი იყო და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა, განსაკუთრებით ქართველებს შორის (იხ. სანდრო ჩხეტიას მოგონებები).

1910 წელს მელიტონ გობეჩიაშვილს სორბონის უნივერსიტეტის დასახელებული ფაკულტეტის კურსი წარმატებით დაასრულა და სამშობლოსაკენ მოისწრაფევოდა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, იქ ფარულად ცხოვრება მოუწევდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის სამშობლოს განშორდა თავის უბის წიკნაკში წერდა. „ძვირფასო სამშობლოვ. ვგრძნობ ჩემს მოუშზადებლობას... ამიტომ დროებით გშორდები და მივალ უცხო ქვეყანას, რათა შესაფერი ცოდნით აღვიქურავო, რომ შემდეგ დაებრუნდე და უფრო ნაყოფიერად გემსახურო“ (იხ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914 წ. № 15). და მართლაც, როცა ცოდნით აღჭურვილი სამშობლოსაკენ მოდიოდა, მეგობრებმა მას არ ურჩიეს წამოსვლა—იქ შეიძლება ციხე და ბორკილი არ აგცდესო, ამაზე მელიტონმა უპასუხა: „სამშობლო ტკბილია და მისთვის ბორკილების ტარებაც სანეტაროაო“... (იქვე).

1910 წელს სამშობლოში დაბრუნებული მელიტონი მეგობრებმა დიდი სიყვარულით მიიღეს. იგი მაშინვე აირჩიეს „სახალხო გაზეთის“ რედაქტორად. მართალია, როგორც არალეგალურად მყოფს, მელიტონს გაზეთზე, რედაქტორის ადგილას ხელის მოწერა არ შეეძლო, მაგრამ ფაქტიური რედაქტორი ის იყო. ჩვენი გამოჩენილი მწერლები და პოეტები: ლეო ქიჩილი, ს. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი და სხვ. მისი უახლოესი თანამშრომლები იყვნენ. მის დროს დიდად გაშინაარსიანდა ეს გაზეთი, ლიტერატურულ-მხატვრულ მასალებითაც გამდიდრდა და ენობრივადაც ძლიერ დაიხვეწა. მაგრამ მელიტონის ეს ნაყოფიერი და სასარგებლო მუშაობა დიდხანს არ გაგრძელდებოდა. 1911 წლის აგვისტოში ეანდარმთა სამმართველომ მას მიაგნო და დააპატიმრა.

ზუგდიდის მაზრაში მომხდარ ამბებში დამნაშავედ მიჩნეულ სხვა ამხანაგებთან ერთად მელიტონ გობეჩიას მიუსაჯეს 4 წლით საკატორლო პატიმრობა და შემდეგ სამუდამოდ ციხეში გადასახლება. სიკვდილით დასჯის შემდეგ ყველაზე მძიმე სასჯელი იყო კატორლა, რომელსაც მელიტონი ხარკოვის საკატორლო ციხეში იხდიდა. სწორედ იმ თვეს, როცა უნდა განშორებოდა ამ სატანჯველს, ის, უთუოდ ინსპირირებული მოქმედებით, გადაუყვანიათ ისეთ საკანში, რომელშიც წინ დღით პარტახტიანი ტიფით დაავადებული პატიმარი მომკვდარა. ამ სენმა მელიტონიც იმსხვერპლა. ნახევრად ცოცხალი მისი ცხედარი, როგორც გადმოგვცემენ, „დეზინფექციის“ მიზნით დაწვესო 1914 წლის 5 (18) ივნისს. ასე რომ სანამ პირველი მსოფლიო ომის გამანადგურებელი ცეცხლი გაჩაღდებოდა, იგი რამდენიმე დღით აღრე გამოასალმეს ქვეყანას. მაგრამ, როგორც გაზეთი „თემი“ იუწყებოდა, „მისი ტკბილი ხმა და ვაჟაკური სიტყვები არ წაიშლებიან“...

მელიტონ გობეჩიას ტრაგიკული ამბავი მთელ საქართველოს მოსდებოდა, ყოველკუთხიდან მოსდიოდა „შრომას“, „სახალხო ფურცელს“, „თემს“ და სხვა გაზეთებს სამიძირის დეპეშები. დეპეშებში მას უწოდებ-

ბდნენ ხალხის ინტერესების შედგარ დამცველს, თავისუფლებისათვის მებრძოლს, მშრომელთა მესაიდუმლეს, ბრწყინვალე მომავლის მოციქულს, საუკეთესო იდეალებისათვის ზვარაკად შეწირულს... თავგანწირულ მებრძოლ მგოსანს, რომელმაც თავი დასდო დამცირებულთა და შევიწროებულთათვის, მტლად დაედო თავის ერის ბედნიერებას და ა. შ.

ამ უბედურ შემთხვევაზე დაიწერა მრავალი ნიკროლოგი, ლექსები, წერილები, რომელთაგან ნიმუშად მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: ია ეკალაძის საკმაოდ ვრცელი ესკიზი (გაზ. „იმერეთი“, 1914 წ. № 74); გაზეთი „თემი“ წერდა: „ჩვენი ერის მშრომელმა ხალხმა კვლავ დაჰკარგა ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი... მოწინავე მებაირალტრე, ეროვნული იდეალებით აღჭურვილი; სახალხო მოძრაობის ერთი აქტიური მონაწილეთაგანი, რომელმაც ცოტა ხანი განელო, მაგრამ ბევრი განბრუნდა, თავი შესწირა მშრომელთა კეთილდღეობას და მით თავისი მოვალეობა წმინდად მოიხადა“... („თემი“, 1914. № 181).

მელიტონ გობეჩიას ტრაგედიისადმი მიძღვნილ ლექსებს შორის აღსანიშნავია, მაშინ უკვე მსცოვანი პოეტი ქალის ნინო ორბელიანის ელეგია, დომენტი თომაშვილის გლოვის ჰიმნისებური ლექსი და იმ ხანებში ჯერ კიდევ ქაბუჯი პოეტის გიორგი ლეონიძის „სამშობლოს კვნესა“.

სამწერლო ასპარეზზე მელიტონ გობეჩია 1899 წელს გამოვიდა როგორც ნაზი ლირიული ხმით მომღერალი მგოსანი. მაშინ ის მხოლოდ 21 წლის ქაბუჯი იყო. ჩვენს ხელთ დაგროვილი მასალების მიხედვით მელიტონი ავტორია ორი ორიგინალური ლირიკული ლექსისა, ორი პოემისა („ფარნაოზი“, „ამირანი“) და 10-ოდე თარგმანისა რუსულიდან, ფრანგულიდან და გერმანულიდან (ალფონს დე ლამარტინი, ბაირონი, შილერი და გოეტე) და რამდენიმე კრიტიკულ-პუბლიცისტური სტატიისა და ნარკვევებისა. ამ ლექსების მხატვრული ანალიზი და ჯეროვანი შეფასება ამ ნარკვევის დანიშნულებას აღემატება. იგი ცალკე შესწავლისა და სპეციალური შრომის საგანია. აქვე უნდა დავასახელოთ 1902 წელს თბილისში გამოცემული მელიტონ გობეჩიას ლექსების კრებული „ჰანგები“ (72 გვ.), რომელიც დამწვეები, 21-22 წლის ქაბუჯი პოეტისათვის იმ დროის კვალობაზე უთუოდ გაბედულად გადადგმული ნაბიჯი და საიმედო პოეტური ხმის გამომცემი. „ჰანგების“ შემდეგი პერიოდისა და მით უფრო სორბონის უნივერსიტეტიდან დაბრუნებული მელიტონ გობეჩიას ლექსები-კი მაღალ იდეური, მხატვრულად შესრულებული და გემოვნებით დახვეწილი პოეტური ქმნილებებია. ამავე დროს მელიტონ გობეჩია ის ახალგაზრდა ქართველი პოეტი, რომელმაც პირველად ქართულ პოეზიაში შემოიღო და დანერგა სფინქსის ფორმა (იხ. „სახალო გაზეთის“ სურათებიანი დამატება. 1910 წ. № 1, 2 „პარიზის სონეტები“), რამაც შემდეგ დიდი გავრცელება ჰპოვა ახალ ქართულ მწერლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ მელიტონ გობეჩიას პოეზიას არ ვარჩევთ, ნათქვამის დასამტკიცებლად მაინც უნდა ვნახოთ მისი პოეტური შემოქმედრობის რამდენიმე ნიმუში. და რაკი ჩვენი ნარკვევი ცდილობს მელიტონის სახე უმთავრესად სახალხო განათლების ფონზე დაგვანახოს, ამიტომ ნიმუშად აქ მოვიყვან ლ. ბოცვაძის ქურნალ „განათლებაში“ გამოქვეყნებულ ლექსს, რომელსაც ჰქვია „მეკრული ნანა“ და რომლის წაკითხვამ არ შეიძლება აკაკი წერეთლის „იენანა“ და ილია ჭავჭავაძის „ნანა“ არ დაგვიყენოს თვალწინ მათში მოცემული აზრისა და იდეის ერთგვარი ასინთეზებით. ლექსი მოგვყავს ოღნავ კუპიურებით:

იავ ნანა, ვარდო ნანა,  
შვილო, იავ ნანინაო!  
ტბილი ძილი ანგლოზმა  
შენთვის მოაყვანინაო...  
აკვანს გირწვე, ჩონგურს გიკრავ,  
ზედ დაემღერი სიმებსაო,  
ბადრი მთვარე და ვარსკვლავნი  
გიგზავნიან სხივებსაო.  
ბინდის ნამმა ნორჩ ყვავილებს  
პირი დააბანინაო.  
იავ ნანა, ვარდო ნანა,  
შვილო, იავ ნანინაო!  
გაიზარდე, დავაქაცდი,  
გააზარე მშობელიო,  
დედინაცვლად გაგიხდება  
ჩვენი წუთი-სოფელიო.  
დაინახავ, რომ ცხოვრება  
არ აამებს ყველასაო,  
ჩაგრულნი და დავრდომილნი  
თბოულობენ შველასაო.  
მამაშენმაც ამ ყოფაში  
ადრე სული დალიაო,  
მისი ალექსის შესრულება  
შენი წმინდა ვალიაო...

დაინახავ განდევნილსა  
ჩვენს ტბილ დედა-ენასაო,  
ულეთოდ დასჯილ ხალხის შვილთა,  
მშობელი ცრემლის დენასაო...  
ჯერ წალკოტი სანეტარო  
ძილმა მოგაზმანინაო,  
იავ-ნანა, ვარდო ნანა,  
შვილო, იავ-ნანინაო!  
განახლების წამი დაჰკრავს,  
აქვევდება მამულიო,  
ერი განთავისუფლდება  
მძიმე ჯაჭვით დაბმულიო.  
მოგვებვით დაბრუნებულს  
ჩანგითა და მღერითაო,  
დასტებებიან ახალგაზრდა  
ქალნი შენის მზერითაო.  
შენი სიყრმის მეგობრითურთ  
დაფნის გვირგვინს დაგიწნამო  
და ჩემს ვაჟაკს სასახლოს  
ჩემის ხელით დაგადგამო.  
მერმე დეე, ღმერთმა ჰქვეყნად  
თუ არ დამაბანინაო.  
იავ-ნანა, ვარდო ნანა,  
შვილო, იავ-ნანინაო.

სორობონიდან დაბრუნებულ მელიტონ გობეჩიას მხოლოდ ერთი საგაზეთო სტატიის გამოქვეყნება დასცალდა. გამოეხმაურა რა ის ლევ ტოლსტოის გარდაცვალების მომენტს, სტატიაში „ტოლსტოი და ხელოვნება“ წერდა: „ძნელად თუ მოიპოვება ადამიანის მოქმედების ისეთი დარგი, რომელსაც ლევ ტოლსტოის გენიოსური სიტყვა და კალამი არ შეხებოდეს“, თუმცა ძნელია დაეთანხმო „მის პარადოქსალურ აზრებსაც, მაგრამ მისი საოცარი გულწრფელობა, ღრმად გამსჭვრეტი უნარი გვხიბლავს“. შემდეგ ავტორი განსაზღვრავს ტოლსტოის შეხედულებას ხელოვნებაზე და ასკვნის: მართალია, „მისი სასტიკი კრიტიკის ღირსნი არიან თანამედროვე დეკადენტები, სიმბოლისტები, იმპრესიონისტები,

ნატურალისტები“ და სხვ., მაგრამ „ყველა ხელოვანის ერთ ტაფაში მოქცევა აუბუნელი უსამართლობაა. როგორ შეიძლება ბუნდოვან და გაუგებარ ვერლენთან და ბოდლერთან ნათელსტილიან როსტანისა და ღრმა-აზროვანი იბსენის უეჭველ არტისტულ ღირსებათა უარყოფა?... მერე ბაირონი, ლეოპარდი, ჰაინე... მათი ტიტანისებური სულიც ხომ უმაღლეს იდეალებს უსახავდა კაცობრიობას? რელიგიური თვალთახედვა ხელოვნებაში ყოვლად შეუწყნარებელია („სახალხო გაზეთი“, 1910. № 155). შემდეგ ის აკრიტიკებს ანარქისტებისა და, კერძოდ, ბაკუნინის შეხედულებებს ხელოვნებაზე და კვლავ დაასკვნის: ბეთჰოვენის „მეცხრე სიმფონია და ყველა მსგავსი გენიალური ხელოვნური ნაწარმოები, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია ყველა რელიგიისა, მორალისა და მეცნიერებისაგან, მუდამ ცოცხალი და უკვდავი იქნებაო“ (იქვე). ამის შემდეგ ავტორი ბუნებრივად მიდის იმ კეშმარიტ დასკვნამდე, რომ „ცოცხალი და უკვდავია ლეი ტოლსტოის დიდი ხელოვნური ნაწარმოები და მის მნიშვნელობას ვერ მოსპობს თვით ავტორის უარყოფაც საკუთარი ხელოვნებისაო“ (იქვე).

მელიტონის კალამს ეკუთვნის აგრეთვე 1900-1901 წლებში გამოქვეყნებული მშვენიერი თარგმანები უცხოური მოთხრობებისა და ნოველებისა, როგორც არის ჰენრიკ სენკევიჩის ლეგენდა „ოლიმპზედ“ („ივერია“, 1900. № 178), გეშოვის „სამყურა“, („ივერია“, (1900. № 250), შარლ ეფერიის „დიდების შაძიებელი“ („ივერია“, 1900. № 276), ლეგენდა „პილატეს სიკვდილი“ („ივერია“ 1901. № 74) და სხვ.

#### ლიტერატურა

ვ. ი. ლენინი, ტ. XIX;

ი. ბ. სტალინი, ტ. I;

სკპ ისტორია მოკლე ეურსი, 1950 წ. ქართული გამოცემა;

„სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის გამოცემა; საქ. ცენტრარქივი ე. № 1509; სახალხო განათლების მუზეუმი. № 2394; სანდრო ჩხეტიას მოვონებები ნელიტონ გობეჩიაზე (ჩემთან); მ. გობეჩიას წერილები დავ. ჩხეტიასადმი (ჩემთან), გაზეთი „ივერია“, 1900 წ. № 178, 250, 276, 1901 წ. № 70, 74, 1903 წ. № 31, 149, 156, 178, 193, 216, 220; „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. № 2746, 2752, წ. № 3; 2624, 2878. 2906. 2970, 2909; 1906 წ. № 2978, 2990, 2991, 2992, 3032; „შრომა“, 1906 „მეგობარი“, 1906 წ. № 2, 24, 57, 65, 70; „ისარი“, 1907 წ. № 221; „დროე-სურათ. დამატება) 1908 წ. 7 დეკემბერი; „სახალხო გაზეთი“ (სურ. დამატ.) 1910 წ.

1, 2, 24, 16, 17, 22, 28; ვახ. „სახალხო გაზეთი“, 19.0 წ. № 114, 116, 146, 152, 155; „კოლხიდა“, 1911 წ. № 92, 127; ეურნალი „განათლება“, 1910 წ. № 5. 8; ეურნალი „მოვზაური“, 1901 წ. № 1, 2, 6-7, 11; „ნიშადური“, 1907 წ. № 49, „ჰანგები“. მელიტონ გობეჩიას ლექსების კრებული, თბილისი 1902 წ. ვ. გადილიას გამოცემა: „სახალხო ფურცელი“, 1914 წ. № 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 15; „იმერეთი“, 1914 წ. № 74, 75, 84, 86, 96; „თემი“, 1914 წ. 179, 180, 181; „თეატრი და ცხოვრება“, 1914 წ. № 15; „განათლების მუზეი“, 1925 წ. № 8.





## სარგის ბორჯბაძე (1876—1926)

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე სერგი რომანოზის-ძე გორგაძე ქართული კულტურის დაუღალავი მუშაკი იყო. მის კალამს ეკუთვნის წერილები და გამოკვლევები საქართველოს ისტორიასა და მწერლობაზე, საენათმეცნიერო საკითხებზე და ცალკეულ მწერლებზე. იგი ავტორია აგრეთვე რამდენიმე სახელმძღვანელოსი, რომლებიც წლების მანძილზე ქართულ სკოლებში იხმარებოდა და ჩენი მოზარდი თაობის გათვითცნობიერებას ხელს უწყობდა. სერგი გორგაძის სახით ჩვენ გვყავდა ნიჭიერი მკვლევარი, რომელიც ხასიათდებოდა ფაქტებისა და ისტორიული წყაროებისადმი უაღრესად კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით. აღსანიშნავია აგრეთვე მის მიერ გამოცემული ბესარიონ გაბაშვილის თხზულებათა სრული კრებული (1912 წ.), რომელსაც დართული აქვს გამომცემლის მიერ დაწერილი ვრცელი ბიოგრაფია ბესიკისა, ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ (1914 წ.) გამოკვლევითა და ლექსიკონით და სხვ.

ს. გორგაძე დაიბადა 1876 წელს სოფ. ილემში, ზემო იმერეთში. ქართული წერა-კითხვა მან ოჯახში შეისწავლა, 1886 წელს მიაბარეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1890 წელს. 1897 წელს დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია. სწავლა განაგრძო ყაზანის სასულიერო აკადემიის ისტორიის ფაკულტეტზე. 1901 წელს მას მიანიჭეს კანდიდატის ხარისხი შრომისათვის: „ეკლესია და სახელმწიფო ძველ საქართველოში“. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სერგი გორგაძე შეუდგა მასწავლებლობას. 1901 წლიდან 1903 წლამდე მუშაობდა ქ. ახალსენაკში ქართული ენის მასწავლებლად. ხოლო 1903 წლიდან იგი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და ქართულ გიმნაზიაში ასწავლიდა ქართულ ენას, ლიტერატურას და ისტორიას. პედაგოგიური მუშაობისათვის სერგი გორგაძეს თავი არ დაუნებებია სიცოცხლის უკანასკნელ წლამდე. ბოლო დროს იგი უმალლეს სასწავლებლებში კითხულობდა ლექციებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ამავე დროს ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა სამეცნიერო-პრაქტიკულ მუშაობაშიც. ს. გორგაძემ დიდი ღვაწლი დასდო 1907 წელს დაარსებულ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, რომლის უცვლელი მდივანიც იყო ის 18 წლის განმავლობაში. იგი არის აგრეთვე ერთ-ერთი დამფუძნებელი „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებისა“.

ს. გორგაძე ძლიერ დაინტერესებული იყო ქართული გრამატიკის საკითხით. ამ საკითხს უძღვნა მან თავისი გამოკვლევები „ქართული მართლწერა“ (1916 წ.), „ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან“ (ეჟურნალი „მნათობი“, 1925 წ. № 1 და 3), „ახალი სალიტერატურო ქართული“ (ეჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1926 წ. № 3 და 4) და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე მისი საფუძვლიანი გამოკვლევა ქართული ლექსის ვერსიფიკაციის საკითხებზე, რომელიც ცალკე წიგნად გამოვიდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1930 წელს, აკად. კ. კეკელიძის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით.

სერგი რომანოზის-ძე გორგაძე გარდაიცვალა 1929 წელს, 13 ივნისს და დაასაფლავეს თბილისში, დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. მისი გარდაცვალების გამო ეჟურნ. „ქართული მწერლობა“ სამართლიანად წერდა: „მრავალმხრივია ს. გორგაძის ნამუშავევი, მაგრამ ყველაფერში ერთნაირი სიცხადით ჩანს მისი ზნეობრივი პიროვნების თავისებურება: მოვალეობისა და პასუხისმგებლობის უაღრესად განვითარებული გრძნობა, სიფაქიზე, კეთილსინდისიერება. უმწიკველია მისი ლიტერატურულ-ეთიკური სახე: მისი წყაროები ყოველთვის ნათელია და მათდამი დამოკიდებულება უანგარო და მკაფიო, ხოლო ავტორული მოკრძალება შეუდარებელი.“

მძიმეა ეს დანაკლისი: ქართულ სიძველეებს მოაკლდათ ერთგული და საიმედო მცველი, მათი შესწავლის საქმეს—მეთოლოლოგიურად

გაწრთვნილი მკვლევარი, ჩვენს სამეცნიერო კოლეგიას—საუკეთესო წევრი, უდროო იყო ს. გორგაძის სიკვდილი, მაგრამ განსვენებულმა მაინც შესძლო ისეთი მემკვიდრეობის დატოვება, რომელზედაც აღიზრდებიან მკვლევართა ახალი თაობანი. ისინი განაგრძობენ ს. გორგაძის საუყარელ საქმეს და არ დაჰკარგავენ მის მეცნიერულსა და საზოგადოებრივ სახელსაც“ (1929 წ. № 6—7, გვ. 110—111).

სერგი გორგაძის მიერ დატოვებული ლიტერატურული მემკვიდრეობა საკმაოდ მდიდარი და შინაარსიანია. მაგრამ ჩვენ აქ პირველ რიგში და უფრო ვრცლად გვინდა შევხვით მის სახელმძღვანელო ქრესტომათიებს, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოდიოდნენ და ქართულ სკოლას ემსახურებოდნენ.

ქრონოლოგიურად ამათ შორის პირველი ადგილი უჭირავს 1907 წელს თბილისში გამოცემულ „ჩვენ მწერლობას“ (1, მგოსნები, ბიოგრაფიებით და ლექსიკონით).

პირველ კრებულში შეტანილია ჩვენი მწერლების ლექსები, პოემები და ლექსად დაწერილ დრამატულ ნაწარმოებთა ნაწყვეტები. მეორე კრებულში უნდა მოთავსებულიყო ქართველ მწერალთა საუკეთესო ბელეტრისტული ნაწარმოებნი. ქრესტომათიაში წარმოდგენილია ზოგიერთი მწერლის ბიოგრაფია, ხოლო მათ ნაწარმოებებს წინ უძღვის მოკლე წერილები, რომლებშიც მგოსნების მიმართულებაა დახასიათებული.

რაც შეეხება თვით სასწავლო მასალის განლაგებას ქრესტომათიაში, ამის შესახებ სერგი გორგაძე წერს: „მასალა დაახლოებით იმ გეგმაზე დავაწყეთ, რომელიც ამ ზაფხულს თბილისის საშუალო სასწავლებელთა ქართული ენის მასწავლებლებმა შეიმუშავეს ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, ე. ი. წინ IV, V და VI კლასის კურსი ანუ „ახალი მწერლობა“ მოვათავსეთ და უკან VII და VIII კლასისა — ანუ „ძველი მწერლობა“ (გვ. 4).

„ჩვენი მწერლობის“ პირველ ნაწილში შეტანილია ალ. ჰავეკავაძის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ვ. ორბელიანის, ი. ჰავეკავაძის, ა. წერეთლის, რ. ერისთავის, ვაჟა-ფშაველას და ი. ევდოშვილის ნაწარმოებნი, შემდეგ ცალკე ჯგუფად („საზოგადო ჯგუფის“ სახელწოდებით) წარმოდგენილია თითო-ოროლა ლექსით ანტ. ფურცელაძე, მამია გურიელი, ბაჩანა, დუტუ მებრელი, შ. მღვიმელი, ილ. ჩხერიმელისპირელი, გრ. აბაშიძე, თ. რაზიკაშვილი, დ. თომაშვილი, სილოვანი, ცახელი, კ. მაყაშვილი, განდევილი, სოლ. გ-ძე (გოშაძე). აქ წარმოდგენილი მწერლები უნდა შესწავლილიყო IV, V და VI კლასებში, ხოლო ამის შემდეგ VII და VIII კლასებში უნდა გაეელოთ ძველი მწერლობის წარმომადგენელნი ასეთი თანმიმდევრობით: ი. შავთელი, ჩაბრუხაძე, რუსთაველი, თეიმურაზ I, არჩილ მეფე, იოსებ თბილელი, დავით გურამიშვილი და ბეს. გაბაშვილი.

როგორც მკითხველნი ხედავს, ერთ ქრესტომათიაში, რომელიც

ლექსიკონითურთ 262 გვერდს შეიცავს, პეტიტით აწყობილს, მოცემულია სასწავლო მასალა ხუთი წლის კურსისათვის. უეჭველია ამ გარემოებას წიგნისათვის უარყოფითი დალი უნდა დაეჩნია იმ მხრივ, რომ მასში მასწავლებელი მკაფიო მიჯნას ვერ ხედავდა სად თავდებოდა, ვთქვათ, IV კლასის კურსი და სად იწყებოდა V-სა, მით უმეტეს თუ იმ გარემოებასაც ვავითვალისწინებთ, რომ ქართული ლიტერატურის ერთიანი პროგრამა მაშინ არ არსებობდა და ხშირად მასწავლებელი თავის ინტუიციას და გამოცდილებას უნდა დაყრდნობოდა მასალების შერჩევა-შესწავლის დროს.

მიუხედავად ამისა, ქრესტომათიას ჰქონდა ბევრი კარგი თვისებაც. მასში მოკლედ და სხარტად იყო გაშუქებული ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ძირითადი ხასიათი. კერძოდ ეს ითქმის ილია ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, არჩილ მეფისა და სხვ. შესახებ, მაგალითად, სერ. გორგაძე „განდევლის“ უკვდავი ავტორის შესახებ წერს: „ილია ჭავჭავაძის ჯგუფს მაშინდელმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ორი უმთავრესი საკითხი წამოუყენა: ა) მიძინებული საზოგადოების გამოფხიზლება, მის დამლუპველ თვისებათა და გამაუჟღლმართებელი წყობილების გაიციხვა და ბ) ახალი საზოგადოებრივი იდეალების წამოყენება, უკეთესი მერმისისაკენ გზის ჩვენება. სიტყვით და საქმით, წერით თუ ზნეობრივის გავლენით, აღნიშნულმა ჯგუფმა, დროის შესაფერად, ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა: მან უღმრთელი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ბატონ-ყმობა, სასტიკი ომი გამოუცხადა ყოველს ჩვენს ეროვნულს ნაკლულოვანებას და ზნეობრივ-გონებრივად მიძინებულს ერს უკეთესი ცხოვრებისაკენ მიუთითა“ (გვ. 36).

სასკოლო ქრესტომათიაში შეტანილი ილია ჭავჭავაძის ეს სავე-ბით მართებული დახასიათება ჩვენს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სწორ გზაზე აყენებდა და საშუალებას აძლევდა ნათ ნათლად წარმოედგინათ ი. ჭავჭავაძის ღვაწლი და დამსახურება ქართველი ერის წინაშე. ეს მით უფრო იყო საჭირო, რომ სწორედ იმ წლებში ზოგიერთი თავაშვებულის პირები, რომელთაც „ხალხის ქომაგად“ მოჰქონდათ თავი, დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ცილისმწამებლურ და ყოვლად საზიზღარ ხმებს ავრცელებდნენ და „კაკო ყაჩაღის“, „გლახის ნაამბობის“, და „კაცია აღამიანის“ ავტორს ბატონყმობის დამცველადაც კი აცხადებდნენ.

სწორად ირის განსაზღვრული არჩილ მეფის (1647—1713) როლი ქართულ მწერლობაში. არჩილი აღორძინების ხანის ქართული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელია. არჩილმა სათავე დაუდო ჩვენს მწერლობაში ნაციონალურ-ისტორიულ თემატიკას და ჩვენი ეროვნული სიამაყის გრძნობას ნათელი გამოხატულება მისცა. ამიტომ სავესებით სწორია სერგი გორგაძე, როცა არჩილ მეფის შესახებ წერდა: „არჩილ მეფე ჩვენი საერო მწერლობის განახლების ხანის იმ მგონსანთა წრეს ეკუთ-

ენის, რომელთაც ქართულ პოეზიაში ეგრეთწოდებული ისტორიულ-ნაციონალური მიმართულება შემოიტანეს, ე. ი. უკუაგდეს სპარსულ-ზღაპრული და სატრფიალო სიუჟეტები და უმთავრესი ყურადღება ნამდვილი ცხოვრებისა და ისტორიული პირობების თავგადასავალს მიაქციეს“ (გვ. 208).

მაგრამ ამგვარი სწორი დახასიათების პარალელურად, ზოგი მწერლის ძირითადი მოტივები უმართებულოდ არის განსაზღვრული. ეს ითქმის კერძოდ ქართველ რომანტიკოსებზე. ალ. ჭავჭავაძის შემდეგ ს. გორგაძეს ქრონოლოგიური თანამიმდევრობა დაურღვევია და ნ. ბარათაშვილი მოუქცევია ნაცვლად გრ. ორბელიანისა. ეს შემთხვევით არ არის გამოწვეული. ალ. ჭავჭავაძის შესახებ ის წერს: „ალ. ჭავჭავაძე იმ დროს ცხოვრობდა, როდესაც სპარსული ლირიკის გავლენა ჩვენს საზოგადოებაზე კიდევ ძლიერი იყო. ამიტომაც იმის ლექსებში უდიდესი ნაწილი ეგრეთწოდებულს ეროტიულს ანუ სატრფიალო ლექსებს უჭირავს... მეორე მხრით, ეს ის დრო იყო, როცა რუსთა მფლობელობა თანდათან მყარდებოდა ჩვენს მხარეში და ადგილობრივს მოწინავე წოდებას ხელიდან აცლიდა სამშობლო ქვეყნის პოლიტიკური სვე-ბედის გადაწყვეტაში ძალასა და მნიშვნელობას... ამიტომაც ალ. ჭავჭავაძის ლირიკაში პესიმისტური შინაარსის ლექსებსაც საპატიო იდგილი უჭირავს“ (გვ. 1). „ქრესტომატიის“ ავტორისათვის სრულიად შეუშინეველი რჩება ის განსხვავება, რომელიც აშორებს ერთმანეთისაგან ნ. ბარათაშვილს ერთი მხრივ ალ. ჭავჭავაძისაგან, ხოლო მეორე მხრივ—გრიგოლ ორბელიანისაგან. ს. გორგაძის სიტყვით „ნიკოლოზ ბარათაშვილი ალ. ჭავჭავაძეზე ადრე გარდაიცვალა. მაშასადამე, საზოგადოებრივი ნიდაბი მისი ჩანგისათვისაც იგივე იყო, რაც პირველისათვის. მხოლოდ სპარსული პოეზიის გავლენა მასზე ისე ძლიერი აღარ ყოფილა, როგორც პირველზე. სამაგიეროდ ბარათაშვილი ორი დიდებული ევროპელი მგოსნის: ბაირონისა და ლერმონტოვის ეპოქაში იყო დაბადებული და აღზრდილი. ამას გარდა, თვით მისი კერძო ცხოვრებაც ისე მოეწყო, რომ მარტო ეს მიზეზიც კი საკმაო იყო, ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებულს მგოსანს თავისი ჩანგი ნაღვლიანს კილოზე მიემართა“ (გვ. 4).

ცხადია, დღევანდელი თვალსაზრისით რომ მივუდგეთ, არც ბაირონი, არც ლერმონტოვი არ არიან იმის მიზეზი, რომ ნ. ბარათაშვილი არ განიცდის აღმოსავლური პოეზიის გავლენას. გარდა ამისა, შეცდომა იქნებოდა ნ. ბარათაშვილის ლექსების ნაღვლიანი კილო მთლიანად პოეტის პირად ცხოვრებიდან გამოგვეყვანა და შემდეგ, რაც მთავარია, ნ. ბარათაშვილისა და სხვა ქართველი რომანტიკოსების შემოქმედება ერთ ჩარჩოში მოგვექცია. ნ. ბარათაშვილი ქართული რომანტიზმის მწვერვალია. მისი პესიმიზმი, მისი ნაღველი—ეს არაა სრული უსასოება და უკეთესი მერმისათვის ბრძოლაზე ხელის აღება, თორემ მაშინ არ დაიწერებოდა ეს უკვდავი სიტყვები:

ეულად ხომ მაინც არ ჩავივლის  
ეს განწირული სულის კვეთება,  
და გზა უვალი, შენგან თელილი  
მერანო ჩემო, მაინც დარჩება!

და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა  
სიძნელე გზისა გაუადვილდეს,  
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი  
შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

საერთოდ, ს. გორგაძის „ჩვენი მწერლობას“ პირველი გამოცემა საჭირო მოვლენა იყო. წიგნს დართული ჰქონდა ლექსიკონი, რომელიც დიდი სიზუსტითა და პასუხისმგებლობით არის შედგენილი.

ამ სახით ეს წიგნი ს. გორგაძეს შემდეგ აღარ გამოუცია, არ გამოსულა „ჩვენი მწერლობის“ დაპირებული II წიგნიც, რომელშიც ბელეტრისტული ნაწარმოებები უნდა შესულიყო.

1917 წელს ქუთაისში გამოვიდა ს. გორგაძის „ჩვენი ახალი მწერლობა“ (წიგნი 1, 592 გვ.), რომელიც უკვე სხვა პრინციპზეა აგებული. „ქრისტომატიასში“ მწერლები ძირითადად ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არიან წარმოდგენილი: გრ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი, ვახ. ორბელიანი, გიორგი ერისთავი, დან. ჰონჭაძე, რაფ. ერისთავი, ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ხოლო „ნარევიში“ შეტანილია: ალ. ჭავჭავაძე, მამია გურიელი და ანტ. ფურცელაძე. სხვათა შორის, ქრისტომატიის შემდგენელი არსად არ აღნიშნავს რატომ მოაქცია ალ. ჭავჭავაძე „ნარევიში“ (წიგნს ბოლოში აქვს დართული) და რატომ არ იწყებს ჩვენს ახალ მწერლობას „გოგჩის ტბის“ ავტორის შემოქმედების განხილვით. რაც შეეხება სხვა მწერლებს, აქ „ჩვენ მწერლობასთან“ განსხვავებით წარმოდგენილია როგორც ლექსები და პოემები, ისე მოთხრობები და დრამატული ნაწარმოებნიც. ბიოგრაფიები და შემოქმედების გაშუქება უფრო ვრცელია და დაზუსტებული. „ქრისტომატიის“ უდავო ღირსებას წარმოადგენს აგრეთვე თვითეული მწერლის ნაწარმოებთა შესწავლის შემდეგ დასმული „გასამეორებელი კითხვები“, „ზეპირი სავარჯიშოები“, „საწერი თემები“, „საბიოგრაფიო და საბიბლიოგრაფიო შენაძენნი“, „კრიტიკა“.

ეს კითხვები და დავალებანი, უეჭველია, დიდად უწყობდა ხელს მასწავლებლებს ღრმად შესწავლებინათ მოსწავლეებისათვის საპროგრამო მასალა. კითხვები მოფიქრებულად და დაკვირვებით არის შედგენილი. მაგალითისათვის ჩვენ ილია ჭავჭავაძეს შევხებით. „ქრისტომატიასში“ ი. ჭავჭავაძის ნაწერები წარმოდგენილია სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში („მგოსნის პიროვნება“) მოქცეულია: „ყვარლის მთებს“, „სიმღერა“, „გავსწორდეთ ბედო“, „პოეტი“, „მას აქეთ რაკი“, „ჩემო კალამო“ და „აღარც ნატვრა და აღარც იმედია“, მეორეში („მშობელი ერი, მისი აწმყო, წარსული და მომავალი“) — „ელეგია“, „გუთნის დედა“, „აჩრდილი“, „მუშა“, „კაკო ყაჩაღი“, „კაცია-ადამიანი“, „ბედნიერი ერი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშერებოდით“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „ოთარაანთ ქვრივი“; მესამეში („ცხოვრების იდეალი და ქართველი ქალის მაღალი

მოწოდება“) — „ქართლის დედას“, „დედა და შვილი“, ნაწყვეტი „გლახის ნაამბობიდან“, „დემიტრი თავდადებული“, „განდევილი“.

ილ. ჯავახიშვილის ასე ფართოდ შეტანა „ქრისტომატიანი“ სავსებით მიზანშეწონილი იყო.

ი. ჯავახიშვილის ნაწარმოებთა შესწავლის შემდეგ მოსწავლეებს უნდა შესძლებოდათ პასუხი გაეცათ შემდეგ კითხვებზე: „მოიგონეთ, როგორ პირობებში მოუხდა ილია ჯავახიშვილს გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე? რა და რა საკითხები იყო იმ დროს ცხოვრებისაგან წამოყენებული და გადასაწყვეტი? რამდენ მთავარ ჯგუფად შეიძლება ილია ჯავახიშვილის ნაწარმოებთა დაყოფა? დასახელებით პირველი ჯგუფის ნაწერები და მოიგონეთ: როგორ გვიხატავს ავტორი ამ ნაწერებში მშრომელი ხალხის მდგომარეობას? როგორ აგვიწერს იგი ჩვენი ქვეყნის საზოგადო მდგომარეობას „აჩრდილში“? დაასურათეთ ქართველი მებატონე „კაცია-აღამიანის“ მიხედვით. რომელ ლექსებში აგვიწერს ავტორი ჩვენი ერის საზოგადო ნაკლოვანებათ? ასწერეთ ქართველი გლეხის მხნე, გამრჯელი დედაკაცი „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით. ჩამოთვალეთ მესამე ჯგუფის ნაწერები და მოიგონეთ: როგორ უცქერის ილია ჯავახიშვილს ქართველი დედის მოწოდებას? რომელ ნაწარმოებში იძლევა ილია ჯავახიშვილს მოძღვრის იდეალს? ვისი იდეალი დაგვიხატა მგოსანმა „დემიტრი თავდადებულში“? გამოარკვეთ დედააზრი პოემისა „განდევილი“.

აქვე ვრცლად იყო წარმოდგენილი მითითებანი ზეპირ სავარჯიშოებზე, საწერი თემები, ბიოგრაფიული შენიშვნები და სხვ.

ვფიქრობთ, იმ დროს, როდესაც ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო მეთოდურად დამუშავებული შრომები ცალკეული მწერლების ნაწარმოებთა შესწავლისათვის, ასეთი კითხვები და დავალებანი მასწავლებელს საკმაოდ დახმარებას გაუწევდა თავისი მუშაობის სწორ წარმართვაში. ამ მხრივ სერგი გორგაძის დასახელებული „ქრისტომატიანი“ მოთხოვნას სავსებით აკმაყოფილებდა.

„ქრისტომატიანი“ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მასში არაა მოცემული ძნელი და გაუგებარი სიტყვების ახსნა, არც ცალკე ლექსიკონის სახით, არც სქოლიოში.

„ჩვენი ახალი მწერლობის“ მეორე გამოცემა გამოვიდა 1918 წელს. პირველ გამოცემასთან შედარებით არსებით განსხვავებას მასში ვერ ვპოულობთ. დამატებულია მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი ნაწარმოები „სუმბული და მწირი“ პოეტის ლექსების მეორე ჯგუფში („მშობლიური ქვეყნის ვითარება“). ამის მიხედვით მოსწავლეებს ეროვნული საკითხის გასარკვევად ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში გარდა 2 ნაწარმოებისა — „ბედი ქართლისა“ და „სათლავი მეფის ირაკლისა“ უნდა შეესწავლათ აგრეთვე „სუმბული და მწირი“.

მეორე გამოცემაში, პირველთან შედარებით, ის განსხვავებაც არის, რომ მასში აკაკი წერეთელი შეტანილი არ არის, მაგრამ ეს გამოწვეუ-

ლია არა რაიმე პრინციპული მოსაზრებით, არამედ წმინდა ტექნიკური მიზეზით. ბოლოსიტყვაობაში შემდგენელი აცხადებს: „სხვადასხვა ტექნიკური მოსაზრებით და განსაკუთრებით კი იმისათვის, რომ გამოცემა მეტად ძვირად არ დამჯდარიყო, უმჯობესად დაეინახეთ აკაკი წერეთელი ამ ტომში არ შეგვეტანა, ამავე მიზეზით სხვა დროისათვის გადავდეთ ვრცელი „ლექსიკონის“ დაბეჭდვა, რომელიც ამ გამოცემისათვის გვაქვს დიდი ხანია დამზადებული. აკაკი, გიორგი წერეთელი და მომდევნო მწერლები მეორე ტომში იქნებიან შეტანილი“ (გვ. 349).

1919 წელს გამოვიდა „ჩვენი ახალი მწერლობის“ მეორე წიგნი (475 გვ.). იგი იხსნება აკაკი წერეთლით. აკაკის გარდა „ქრისტომატიის“ წარმოდგენილია გიორგი წერეთელი („მგზავრის წერილები“—რამდენიმე ნაწყვეტი, „რუხი მგელი“, „მამიდა ასმათი“) და ალექს. ყაზბეგი („ელისო“, „ხევისბერი გოჩა“, „ელგუჯა“). „ქრისტომატიის“ მეორე წიგნი იმავე პრინციპზეა აგებული, როგორც პირველი. ძნელად გასაგები სიტყვების ახსნა არ ახლავს. გამონაკლისს შეადგენს ალ. ყაზბეგის ნაწარმოებნი, მაგრამ მათი ახსნა ეკუთვნის თვითონ ავტორს, ალ. ყაზბეგს, და არა შემდგენელს.

იმავე წელს სერგი გორგაძემ გამოსცა „ჩვენი ახალი მწერლობის“ მეოთხე წიგნი სათაურით—„ჩვენი მწერლობა“, რომელშიც შევიდნენ: ეგნ. ნინოშვილი, ვაჟა-ფშაველა, დავ. კლდიაშვილი.

1920 წელს ს. გორგაძემ გამოაქყო თავის წიგნიდან „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“—„ჩვენი ხალხური პოეზია—პარალელებით ახალი ქართული მწერლობიდან“ და ცალკე გამოსცა. „ამგვარად წინამდებარე წიგნი—როგორც აღნიშნავდა შემდგენელი—იპყრობს მხოლოდ ერთი წლის კურსს, საკუთრივ იმას, რაც ახალი პროგრამით საშუალო სკოლის პირველ კლასში (ძველი გიმნაზიის V კლასი) უნდა ისწავლებოდეს“.

ცხადია, თუ რაოდენ დიდი დახმარება უნდა გაეწია ჩვენი მოსწავლეებისათვის ს. გორგაძის მიერ შედგენილ ზემოდასახელებულ ქრისტომატიებს. ამ დარგში მუშაობა მას შემდეგ წლებშიც არ შეუწყვეტია. 1926 წელს მან (შ. თაბუკაშვილთან ერთად) გამოსცა VI ჯგუფის ქრისტომათია „წითელი კანდელი“ (1927 წლიდან გამოდიოდა „ახალი მნათობის“ სახელწოდებით), 1927 წელს—„ტალღები“ (VII ჯგუფისათვის, ივ. გომელაურთან და სხვ. ერთად).

ს. გორგაძის დამსახურება ამ დარგში ქართული სკოლის წინაშე მეტად დიდია. აქ ჩვენ არ შეგვიძლია განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ ის უაღრესი პასუხისმგებლობა, რომლითაც ეკიდებოდა ს. გორგაძე თავისი სახელმძღვანელო-ქრისტომათიების ყოველი გამოცემის საქმეს.

ცნობილია, რომ კარგად შედგენილი სახელმძღვანელო და ქრისტომათია დიდ როლს ასრულებს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ასამაღლებლად. ეს კარგად ჰქონდა შეგნებული სერგი გორგაძეს და



ამიტომაც მისი წიგნების როგორც ტექნიკური, ისე მეთოდური მხარის გასაუმჯობესებლად ყოველთვის ენერგიულად იღვწოდა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ის სახელმძღვანელოების ენობრივ მხარეს.

სამწერლო და სამასწავლებლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან სერგი გორგაძე ძლიერ დაინტერესებული იყო სალიტერატურო ქართული ენის საკითხებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან ამ საკითხს რამდენიმე საფუძვლიანი შრომა უძღვნა. რასაკვირველია, მის მიერ წამოყენებულ დებულებათაგან, რომლებიც წარმოადგენდა პროექტს ახალი სალიტერატურო ქართული ენის ნორმების შესამუშავებლად და სინტაქსურ-ორთოგრაფიული საკითხების გადასაწყვეტად, ყველა როდი იყო მისაღები, მაგრამ ბევრ მის მოსაზრებას მტკიცე მეცნიერული დასაყრდენი გააჩნდა.

ორთოგრაფიულად სადავო საკითხების გადასაწყვეტად ჩვენში ერთ დროს აყენებდნენ ე. წ. ფონეტიკურ პრინციპს „სწერე ისე, როგორც ლაპარაკობ“. ამ დებულებას სავსებით მართებულად არ იზიარებს ს. გორგაძე და წერს: „ჩვენ ვამბობთ „გვერძე“, ხოლო ვწერთ: „გვერღზე“, ვამბობთ: „ზღვას“, ვწერთ კი „სღვას“, ვამბობთ: „ჩიტეფს“, ვწერთ-კი „ჩიტებს“. გარდა ამისა „ფონეტიკური პრინციპი ყოველად უვარგისია პრაქტიკულადაც სალიტერატურო ენის სადავო ფორმების მოწესრიგების საქმეში, რადგან თანამედროვე სალიტერატურო ქართული მარტივი და განუვითარებელი დიალექტი როდია, რომელსაც არც წარსული-საგან მიეღოს მდიდარი შემევიდრეობა და არც აწმყოში მოეპოვებოდეს ფორმათა მრავალგვარობის შემომტანი ნაკადულები. დღევანდელი სალიტერატურო ქართული ორის მთავარი ცოცხალი დიალექტის (ქართლ-კახურისა და იმერულ-გურულის) და ძველის (და საშუალო) სალიტერატურო ქართულის ბუნებრივ ნაყოფს წარმოადგენს. ამასთანავე როგორც ძველად, ისე დღესაც სალიტერატურო ქართული უხვად საზრდოობდა და საზრდოობს მონათესავე და უცხო ენათა ლექსიკით და, მაშასადამე, აუცილებლად განიცდიდა და განიცდის ამ უკანასკნელთა გავლენას. ერთი სიტყვით, თანამედროვე სალიტერატურო ქართული მრავალგვარ ფაქტორთა ნაყოფს წარმოადგენს; და ამიტომ ყოველად შეუძლებელია მისი სადავო ფორმები მარტივი შაბლონური პრინციპით მოვაწესრიგოთ“ (ეურნ. „ქართული მწერლობა“, 1929 წ., № 3, გვ. 81—82).

ს. გორგაძის აზრით, ორთოგრაფიული საკითხების მოწესრიგებას საფუძვლად უნდა დაედოს გრაფიკულ-ფონეტიკური, ეროვნულ-პოლიტიკური, ევოლუციური და კულტურული პრინციპები. კერძოდ ეს უკანასკნელი პრინციპი გულისხმობს ძირითად ცოცხალ კილოთა ფორმების უპირატესობის აღიარებას სალიტერატურო ენაში. თითოეული ამ პრინციპის შესახებ ს. გორგაძეს თავისი მოსაზრებები აქვს გამოთქმული და სათანადო მაგალითები გარჩეული. ჩვენ ვფიქრობთ, წერილის ავტორი მხოლოდ ერთგან ცდება, როდესაც „იოტის“ (ა) აღდგენას მოითხოვს,

მაგალითად, ასეთ სიტყვებში: მძულესი, ჰაენრიხ ჰაენე და სხვ. ეს ბგერა თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენისათვის დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება კულტურულ პრინციპს, ის ს. გორგაძის შეხედულებით შემდეგნაირად უნდა გამოვიყენოთ: „რომელი ფორმაც თანამედროვე ქართლ-კახურსა და იმერულ-გურულში ცოცხალი აღარაა, ასეთი ფორმა, თუნდაც ძველ ქართულშიც მოიპოვებოდეს და სხვა კილოებსა და მონათესავე ენებშიაც ცოცხალი იყოს, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აღარ უნდა ვიხმაროთ, როგორც ქართველი ერის უკულტურესი ნაწილისათვის მკვდარი ფორმა. მაგალითად, ძველი ქართული ფორმები კარი, კელი, მოვიდის, წაივდის,—დღესაც ცოცხალია ფშავ-ხევსურულში, მაგრამ მკვდარია ორ ძირითად კილოში (ქართლ-კახურსა და იმერულ-გურულში) და ამიტომ ველარც თანამედროვე სალიტერატურო ენაში მივიღებთ. მით უმეტეს სალიტერატურო ენის ნორმებად ვერ მივიღებთ ისეთს პროვინციალურ ფორმებს, როგორიცაა მაგალითად, ფშაური „წამამილოდი“ და სხვ.“ (გვ. 86).

იმავე წლის ეურნ. „ქართული მწერლობის“ მეოთხე ნომერში ს. გორგაძემ გამოაქვეყნა ზემოციტირებული წერილის დასასრული, რომელშიც განიხილა ისტორიულ-მორფოლოგიური პრინციპი, სასინტაქსოლოლიკური პრინციპი, შეეხო ზოგიერთ გრაფიკულ საკითხს და ნასესხებ სიტყვებსა და მათ ორთოგრაფიას.

აღნიშნული ნაშრომი ძლიერ საინტერესოა და ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მკვლევარისათვის ბევრ მნიშვნელოვან მასალას შეიცავს.

სერგი გორგაძეს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი წერილები და შრომები, რომლებიც სხვადასხვა დროს ქვეყნდებოდა ეურნალ-გაზეთებში („ივერია“, „მწყემსი“, „მოამბე“, „კვალი“, „მნათობი“, „ქართული მწერლობა“ და სხვ.) და აგრეთვე გამოდიოდა ცალკე წიგნების სახით.

#### ლიტერატურა

ს. გორგაძე, ჩვენი მწერლობა. 1907 წ. ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, 1915 წ. ს. გორგაძე, ჩვენი ახალი მწერლობა, I წიგნი, 1917 წ. ჩვენი ახალი მწერლობა, I წიგნი. მე-2 გამოცემა, 1918 წ. ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, მე-2 გამოცემა. 1918 წ. ჩვენი ახალი მწერლობა, წიგნი II, 1919 წ. ჩვენი მწერლობა, წიგნი IV, 1919 წ. ჩვენი ხალხური პოეზია პარალელურად ახალი ქართული მწერლობიდან, 1920 წ. წერილები საქართველოს ისტორიიდან, წიგნი I, 1906 წ. წერილები საქართველოს ისტორიიდან. წიგნი II. 1908 წ. ქართული მართლწერა, 1916 წ. ბაგრატის ტამარი, ისტორიულ-არქეოლოგიური აღწერა, 1911 წ. საქართველოს ძველი ისტორია, 1920 წ. სერგი გორგაძე (ნეკროლოგი), ეურნ. „ქართული მწერლობა“, 1929 წ. № 6—7.



## რომენი ოყაშიძე-თომაშვილი

(1876—1952)

„ახედეთ ჩვენს ისტორიულ ძეგლებს,—თითქმის ყველგან ამოიკითხავთ ასეთ წარწერებს: „ალაშენა ეკლესია (გინდ მონასტერი) ესე ერისთავთ-ერისთავმან... მეფემან... გამგებელმა... და იქვე სახელია ამოჭრილი: „კოშკი ესე კარისთვალი შედან ალაშენა“ და სხვა და სხვა. ეგაა, რომ ვვრსად ვერ შეხვდებით ყოველდღიურ მუშაკთა სახელებს, რომელნიც ოფლს ლერიდნენ, ვთქვათ, ბაგრატის, გელათის ან სვეტიცხოველის აგებაზე.

წარმოვიდგინოთ, რომ ერთ ბედნიერ დღეს რომელიმე მკვლევარს კოლუმბის ბედმა გაუღიმა და ახალი ქვეყანა ოკეანეთა გაღმა კი არა, აქვე ჩვენს სამშობლოში აღმოაჩინა სრულიად შემთხვევით და მოულოდნელად გრძელი ნუსხის სახით, სადაც აღნიშნული არიან, ვთქვათ, ბაგრატის ტაძრის მშენებლები ქუთაისში: ქვისმთლელები, კირისა და სილის შემზავებელი, ურმით მზიდველი საქირო მასალისა, მექაფჩეები, მეჩუქურთმეები, კედლების მშენებელი, მხატვრები და ყველა „წვრილი“

ადამიანი, რომელიც ამ დიდებული ძეგლის აგებაში ასეთ თუ ისეთს სათევარს ანუ როლს სიყვარულით კისრულობდა.

რამდენი სიცოცხლე აღსდგებოდა ჩვენს თვალწინ! რამდენი ჩუმი მუშაკის სახელი შეეძინებოდა ჩვენს ისტორიას, როგორ დიდათ დავაფასებდით იმ ეპოქას, როდესაც საჭიროდ მიიჩნიეს ასეთი ნუსხის შედგენა! ვინ იცის რამდენი „სერაფიტა“ და „ფორთოხალა“ ამოიხედავდა აკლდამებიდან და როგორ ძვირფას შთაგონებით წყაროს ააჩუხჩუხებდა ეს ამბავი“.

ეს სიტყვები დ. ოყროშიძეს ეკუთვნის, ამოღებულია მისი მოგონებებიდან, რომელიც ამ ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწის, პოეტისა და მასწავლებლის ცხოვრების გზას გვისურათებს 1910 წლამდე პერიოდში.

ჩუმი და თავმდაბალი დომენტი თავს რიგით მუშაკად თვლიდა, მაგრამ ისიც კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ისტორიას ხალხთან ერთად სწორედ ეს მუშაკები ჰქმნიან. თავის დამსახურებას ჩვენი ხალხის მოქალაქეობრივი და ეროვნული თვითშეგნების ამალგების, ახალგაზრდობის ძღვრდისა და განათლების საქმეში იგი ძალზე მოკრძალებულად აფასებდა. თავის თავს „პატარა კაცს“ ეძახდა, ხოლო იმ დიდ სიყვარულს ხალხისადმი, რასაც იგი არა მარტო განიცდიდა, არაჲდ ღრმად ავლენდა ცხოვრებაში კალმითა და საქმით — „პატარა განცდებს, გულისთქმასა და სულისკვეთებას“ უწოდებდა, აფასებდა ისე, როგორც მალალიდეთრ მოქალაქეს შეჰფერის, შეჰფერის ადამიანს, რომელიც ღრმად არის დარწმუნებული, რომ მთელი მისი სიცოცხლე პირველყოფლისა ეკუთვნის ხალხს, დიდი ილიასი არ იყოს, დარწმუნებულია, რომ: „სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანაა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ არ სჩანან...“

დომენტი დაიბადა 1876 წლის 7 აგვისტოს სოფ. კოლეფში, რომელიც ქუთაისის მახლობლად მდებარეობს. მამა მისი საშუალო შეძლების გამრჯე და გაგებული გლეხი იყო, იცოდა წერა-კითხვა და ახლომახლო განთქმული იყო, როგორც ხეხილის კარგი მყნობელი და საერთოდ თადარიგიანი მეურნე. ს. კოლეფის მკვიდრი იყო ცნობილი პედაგოგი ალექსი ჭიჭინაძეც, რომელმაც დომენტის განათლებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

7 წლის პატარა დომენტი სოფელს მოაცილეს და ქუთაისში იმ ხანად არსებულ ერთადერთ დაწყებით სკოლაში მიაბარეს. ამ სკოლას ზელმძღვანელობდა გულისხმიერი პედაგოგი ვასილ პეტრიაშვილი, რომლის სახელი ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგაც დიდხანს შერჩა სკოლას. სკოლაში ისწავლა ანბანი პატარა დომენტიმ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენით“.

ამის შემდეგ დ. ო-ძე აღ. ჭიჭინაძის დახმარებით ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მოეწყო, მაგრამ სათუთმა ყმაწვილმა ვერ აიტანა იქ

გამეფებული მკაცრი რეჟიმი. „არითმეტკას ზაფრიანი პეტროვი გვასწავლიდა გიმნაზიაში,—იგონებს დომენტი,—ეს კაცი ხშირად კარგავდა წონასწორობას. ერთხელ თავის შვილს სასტიკად სცემა ჩვენს თვალწინ. შეშინებული ვიყავით მისგან. ამან თავისებურად იმოქმედა იმთავითვე და ჩემს სიცოცხლეში კოჟლი დავრჩი ამ საგანში, თუმცა, როდესაც კარგ გუნებაზე იყო, ოთხიანებიც მიმიღია. ამას ვიგონებ დასამოწმებლად იმისა, თუ რაოდენ სიფრთხილე მართებს მასწავლებელს, როდესაც ის ნაკირ მოვალეობას ასრულებს,—რაოდენი თადარიგი და წინდახედულება! შესაძლოა მასწავლებლის ერთმა შემცდარმა ნაბიჯმა სამუდამოდ დაღუპოს მომავალი მოქალაქე, ან სწორმა მიდგომამ სამუდამოდ წელში გამართოს ყმაწვილი“.

გიმნაზიიდან იგი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში გადავიდა, რომლის დამთავრების შედეგად სწავლა განაგრძო ხონის საოსტატო სემინარიაში. სემინარიის კურსი მას არ დაუმთავრებია. ნამსახურობის სიაში აღნიშნულია, რომ იგი გამოვიდა მეორე კლასიდან.

1898—1900 წწ. დომენტი ოყრეშიძე სოფ. სამიქაოს ორკლასიან სასწავლებელში მუშაობს, 1901 წ. ს. გუბის სკოლაშია მასწავლებლად, 1902—1904 წწ. ქუთაისის ერთ-ერთ კერძო სასწავლებელში მასწავლებლობს, 1905 წელს, როგორც თავის „მოგონებებში“ წერს, მუშაობს გაზ. „ივერიის“ რედაქციაში, ხოლო 1907—1911 წლებში იგი სენაკის სააზნაურო სკოლის მასწავლებელია და გარკვეულ პერიოდში გამგედაც ითვლება.

1912 წლიდან სიკვდილამდე, მთელი 40 წლის განმავლობაში, იგი მუდმივად ქუთაისში ცხოვრობდა. პირველ ხანებში მუშაობდა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსამზადებელი კლასების მასწავლებლად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი—მეორე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად უფროს კლასებში.

თავისი საქმის ღრმად მცოდნე, ბავშვების ბუნებაში კარგად გარკვეული, ჰუმანური და გულისხმიერი დომენტი ბუნებრივად, საგანგებო ზომების გარეშე, ახერხებდა მოსწავლეების გულისყური მიეზიდა, მათთვის სწავლა შეეყვარებინა, ბავშვებში დედაენის სიყვარული აღეზარდა. მოსწავლის არასასურველი საქციელი მის სახეზე იწვევდა მწუხარებანარევი სინანულს, რომელიც არასოდეს არ გადადიოდა სიანჩხლეში. ღრმა პედაგოგიური ტაქტიკით შეიარაღებული, იგი არ კარგავდა წონასწორობას; მისი შენიშვნები ყოველთვის ზუსტი იყო და მიზანს დაუბრკოლებლივ აღწევდა. ასე ახასიათებენ მას მისი მრავალრიცხოვანი მოსწავლეები.

დ. ოყრეშიძის მსოფლმხედველობის შემუშავებაში დიდი როლი შეასრულეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. იგი სიყვარულით და მოწინააღმდეგეობით ეპყრობოდა ილია ჭავჭავაძეს. თავის „მოგონებებში“ და

შთაბეჭდილებებში“ ამ სიყვარულს სავსებით სამართლიანად იმით ხსნიდა, რომ ილიას ჯანსაღმა ხმამ:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?  
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენი!“,

ჩვენი ხალხი გამოაფხიზლა, რომ ილია მშობლიური ხალხის სახელით მედგრად იგერიებდა ჩვენი ხალხის მტრებსა და მეგობრობდა მეგობრებს. იქვე დ. ოყრეშიძე დასძენდა: „ფოთოლივით“ დაცემული ილია, საბჭოთა ეპოქაში ღირსეულად იქნა დაფასებული და მთასავით წარმოდგა ჩვენს წინაშეო“.

ასეთსავე დიდ სიყვარულს იჩენდა დომენტი აკაკისადმიც, რომელსაც იგი ილიასთან ერთად თელიდა ჩვენი ახალი ლიტერატურის ფუძემდებლად. „ლიტერატურასა და ხელოვნებაშიო,—წერდა იგი,—თითქმის ყოველ ერსა ჰყავს თავისი ლუწი, რომელიც თავის შემეცნებაში მთლიან და თითქოს განუყოფელ ერთეულად ასახულა. რუსებს ასეთი ლუწი ჰყავთ პუშკინისა და ლერმონტოვის სახით; გერმანელებს გოეთე და შილერი; ინგლისელებს ბაირონი და შელი, სხვებს კიდევ სხვანი.

ქართველი ერის შემეცნებაში განუყრელ ერთეულად არის წარმოდგენილი ილია და აკაკი. ჩვენს სამშობლოში ვერსად ვერ მოძებნით კუთხეს, სადაც ილიას გვერდით აკაკის არ იხსენიებდნენ ისეთივე პატივითა და სიყვარულით, და პირიქით, აკაკისთან ერთად ილიას“.

დ. ოყრეშიძე ბევრს კითხულობდა და საფუძვლიანადაც. მისი წერილებიდან ჩანს, რომ იგი კარგად იყო გაცნობილი ქართულ, რუსულ და უცხოურ კლასიკურ მწერლობას, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის პედაგოგიურსა და ფსიქოლოგიურ ლიტერატურას. ამასთან ერთად ბევრსაც წერდა, ხშირად თანამშრომლობდა გაზეთებში: „ივერიაში“, „ახალ დროებაში“, „სახალხო გაზეთში“, „ისარში“, „ამირანში“, „მეგობარში“, „კოლხიდაში“, „იმერეთში“, „საქართველოში“. აქ იგი აქვეყნებდა ლექსებს, აკაკის „კრებულში“ ბეჭდავდა მის მიერ შეგროვილ ხალხური სიტყვების ნიმუშებს, ხოლო „კვალში“, „ივერიაში“, „განათლებაში“ კი წერილებს საზოგადოებრივსა და პედაგოგიურ საკითხებზე.

ამ წერილებიდან ჩვენ აქ სანიმუშოდ განვიხილავთ მის წერილს „შეგნებითი კითხვა“, რომელიც ჟურნალი „განათლების“ მეორე ნომერში იყო დაბეჭდილი 1911 წელს. მას დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

დ. ოყრეშიძე თავის წერილს იწყებს იმ სავსებით სწორი დებულებით, რომ დედაენის შესწავლა სკოლაში ძირითადად ორ ამოცანას ემსახურება: კითხვის დაუფლებას, კითხვის საშუალებით გამოთქმული აზრების შეთვისებას როგორც ცალ-ცალკე, ისე მთლიანად, წაკითხულის გათვალისწინებასა და წარმოდგენას იმ სახით, როგორც ეს ნაწერის ავტორს აქვს გათვალისწინებული, და წერის დაუფლებას, ე. ი. იმას, რომ

მოსწავლეებმა ისწავლონ ნათლად, მკაფიოდ და ლოლიკური სისწორით თავისი აზრების წერილობით გადმოცემა.

ეს მიზნებით, აღნიშნავს თავის წერილში დ. ოყრეშიძე, უცვლელი და ერთი და იგივეა როგორც დაწყებით სკოლაში, ასევე სკოლის უფრო მაღალ საფეხურებზედაც. განსხვავება აქ მხოლოდ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებობს, არსებობს იმის მიხედვით, თუ სწავლების ამა თუ იმ საფეხურზე რა საშუალებების გამოყენება უხდება სკოლას ამ მიზნების მისაღწევად. დაწყებითი სკოლის ერთი ძირითადი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეებს ელემენტარული, მაგრამ დასრულებული ცოდნა მისცეს, ასწავლოს ყმაწვილებს როგორც ათვისება წაკითხულისა, ისე მისი შეგნებულად გადმოცემა. „სწორედ ეს ორი ელემენტია თავი და თავი დედაენის სწავლებისა დაწყებით სკოლაში; თუ ეს შეძლო სკოლამ,—მან აღასრულა ამ საქმეში თავისი მოვალეობა, აღასრულა იმიტომ, რომ გარდა ცოდნისა, განვითარებისა, ზოგიერთ მიდრეკილებათა და ჩვეულებათა შემუშავებისა, იგი მთელის სიღრმე-სიგანით გადაუშლის ყმაწვილს შესაფერის წიგნსა,—ერთი სიტყვით, გამოიყვანს მას წერა-კითხვის მკოდნე კაცად, ამით კი ამ უკანასკნელს ეძლევა საშუალება დამოუკიდებლად განაგრძოს თვითგანვითარება“ („განათლება“, 1911 წ. № 2, გვ. 63).

სამწუხაროდ ჩვენი სკოლა ამას ვერ ასრულებსო, მიუთითებს დ. ო-ძე. „ჩვენი მოწაფეები, ხშირად საშუალო სასწავლებლებშიაც კი, წაკითხულს გადმოგვცემენ მხოლოდ მეხსიერების წყალობით... არა თუ ერთგზის წაკითხულ სტატიას, ხშირად შესწავლილ მასალას გადმოგვცემენ ისე, რომ მოთხრობის მთლიანი სურათი ვერ წარმოუდგენიათ, წარმოთქმის დროს კი თვალწინ უდევთ გაშლილი წიგნი, ფურცლები და სტრიქონები. სხვანაირად რომ ეთქვათ, მათ მიერ გაკვეთილის შეთვისება ემყარება არა მსჯელობითი, ან მსგავსება-კონტრასტის ასოციაციებზე, არამედ აქ მათთვის უმთავრეს როლს ასრულებს ასოციაცია ადგილმდებარეობისა წიგნში. ასეთი შეთვისება მასალისა, რასაკვირველია, არაფერს აძლევს მოსწავლეს, არაა შეკავშირებული მის სულიერ არსთან და ყოველთვის მზადაა გაფრინდეს და დასტოვოს „ცარიელი ადგილი“ (იქვე, გვ. 64).

ამგვარად ხსნის ავტორი არსებულ მდგომარეობას. საკითხის სრულყოფილად გაშუქებისათვის მას სხვა სათანადო მაგალითებიც მოაქვს. მაგრამ ამ წერილის მთავარი ღირსება მდგომარეობს არა ნაკლის მიზეზების სწორ ანალიზსა და ახსნაში, არამედ იმ ღონისძიებებში, რასაც ავტორი დაწვრილებით აშუქებს წერილში შეგნებული კითხვის გაუმჯობესების მიზნით. ავტორი კარგად იცნობს პედაგოგიური ფსიქოლოგიის მონაპოვარს. ამ საკითხის გარშემო არსებულ იმ ლიტერატურას, რაც მის დროს არსებობდა. იგი უნარიანად იყენებს კიდევც მას შეგნებული კითხვის მეთოდის საკითხების მართებულად გადაწყვეტისათვის.

ავტორი იმ სწორი დებულებიდან ამოდის, რომ კითხვის სწავლების საქმე პირველყოფლისა მტკიცედ უნდა დაემყაროს მოსწავლის შეგნებას, მის აზრს, ცნობიერებას. იგი სწორად მიუთითებს, რომ სასკოლო ასაკის ბავშვს, თავისი განვითარების მიხედვით, შეუძლია შეგნებულად გაერკვეს შესასწავლ მასალაში, რასაკვირველია, იმ პირობის დაცვით, რომ ეს მასალა მისი განვითარების დონის შესაფერი უნდა იყოს და ამასთან ერთად ახსნილ-განმარტებული გასაგებად, მისაწვდომად.

პირველი და მთავარი, აღნიშნავს დ. ო-ძე, ის არის, რომ კითხვის დროს... სიტყვის სიმბოლო, გამოხატული ქალაღზე, წარმოთქმის დროს მოსწავლისათვის იქცეს ცოცხალ სიტყვად და ამასთანავე იმის ცნობიერებაში ამ სიტყვასთან შეერთებული წარმოდგენაც აღძრას. საამისოდ კი, დასძენს იგი, აუცილებელია შესაფერი პირობები შევქმნათ კითხვის დროს. პირველი პირობა, რომლის გარეშე შეუძლებელია გონებაში რაიმე წარმოდგენების აღძვრა, არის ყურადღება (გულისყური). „ეს უკანასკნელი უნდა იყოს შეაკრად განსაზღვრული და მიმართული განსაზღვრულ ცნებათა და წარმოდგენათა შესათვისებლად, რომელნიც კითხვის საშუალებით უნდა აღძრას მკითხველის სულში... აქედან ცხადია, მასწავლებელი პირველყოფლისა უნდა ეცადოს ყმაწვილის გულისყური მიაპყრას წასაკითხავი სტატიის შეთვისებას. ამისათვის საჭიროა თავიდან იქნეს აცილებული ხელისშემშლელი პირობები. ეს პირობები ანუ მიზეზები ორგვარია: გარეგანი და შინაგანი. პირველი ყველასათვის ცნობილია: ხმაურობა, ღრიანცელი და სხვა. მაგრამ ამათ არცა აქვთ ისეთი არსებითი მნიშვნელობა. გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს მეორეგვარის მიზეზებს“ („განათლება“; 1911 წ. № 2, გვ. 66).

სწორედ ამ „შინაგანი მიზეზების“ განხილვას აქცევს დ. ოყრეშიძე მთავარ ყურადღებას. იყენებს რა რუსი ცნობილი ფსიქოლოგის ბ. ნეჩაევის სათანადო მითითებებს, იგი ყურადღების შეგნებულად, მიზანშეწონილად წარმართვის ერთ ძირითად პირობად თვლის მოსწავლეში შინაგანი ინტერესის აღძვრას კონკრეტულად შესასწავლი საკითხისადმი. იგი ვერცლად განიხილავს სხვა პირობებსაც და ასეთ დასკვნამდე მიდის: „მაშ ასე, საუკეთესო პირობებად მიმღობისათვის (მასალის აღქმისათვის, უ. ო.) უნდა ჩაითვალოს: გულს-ყური (ყურადღება, უ. ო.), მოლოდინი, ინტერესი და მიმღობის სიადვილე (легкость восприятия). ამ პირობების მისაღწევ საშუალებად კი მოწაფეთა სულერი მდგომარეობის მომართვა სასწავლო სტატიის შინაარსის მიხედვით (იქვე, გვ. 63).

ყოველივე ამის შემდეგ, სხვა მნიშვნელოვან დასკვნებთან ერთად, დ. ოყრეშიძეს გამოჰყავს სავესებით სწორი დასკვნა, რომ „ყოველი სტატიის კითხვას უნდა წინ უსწრებდეს შესაფერი საუბარი: განსაკუთრე-



ბით პოეტური ნაწარმოების კითხვასა, რომელიც უმთავრეს მასალას წარმოადგენს სკოლაში“.

თავის ამ დასკვნას დ. ოყრეშიძე ასაბუთებს ორი მშენიერი მაგალითით.

„ავილოთ თუნდაც აკაკის ცნობილი ლექსი: „ღის სიმღერა“...“

რომელი ანალიზით, რა კითხვების საშუალებით გნებავთ აგრძნობინოთ ის დიადი და-ძმური სიყვარული, რომელიც მგოსანმა გამოხატა ამ ლექსში? ყოველი ჩვეულებრივი კითხვის პასუხად თქვენ მიიღებთ მხოლოდ ტექსტის ზოგიერთ ადგილებს და ბოლოს ლექსის შინაარსს. ერთის შეხედვით ძალიან ახლობელი და ნაცნობი თითქმის სრულებით უცხო რჩება ყმაწვილის სულისათვის. მაგრამ, აბა სცადეთ და წინასწარ აღძრით ყმაწვილებში შესაფერი გრძნობა, ააწყვეთ შესაფერ ჰანგზე მათი გულის სიძებნი, ჩამოჰკარით დახელოვნებული თითები და თქვენ მოისმენთ ამ სიმების საამო ჟღერას. ყმაწვილის გრძნობიერ გულში უფრო მალე და ცხოვლად აღიბეჭდება ლექსის შინაარსი, უფრო ძლიერ ცხოველმყოფელობის დაღს დააჩენს იქა... და ხომ მოგეხსენებათ: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის“.

ვთქვათ—და-ძმური სიყვარული ყველასათვის ცხადია და ადვილი საგრძნობელია. მაგრამ, აბა, რა გზით და როგორ გააშუქონებთ ყმაწვილის შემეცნებას, როგორ აგრძნობინებთ მას სილიადეს. და, თუ გნებავთ, საშინელებას იმ სურათისას, რასაც იწვევს მთაში ვაჟეაცის სიკვდილი? როგორ აღბეჭდავთ ყმაწვილის გულში ბუნებისა და ადამიანთა გლოვას ვაჟეაცის სიკვდილის გამო? (ხალხური—ვაჟეაცის სიკვდილი“, „ბუნების კარი“, გვ. 268). ერთად-ერთი უტყუარი გზა ამ შემთხვევაში გახლავთ ყმაწვილებში წინდაწინვე შესაფერი სულიერი განწყობილების გამოწვევა, მთელ კლასში შესაფერი ხულიერი ატმოსფეროს შექმნა. და თქვენ მიიღებთ საოცარ შედეგს - ყმაწვილები თვით შექმნიან მსგავს სურათებს (პირველ ხანებში მიმბაძველობით, შემდეგ თანდათან დამოუკიდებლად). „საოცარიო“, ვამბობ: საოცარი იქნება ეს ჩვენს სკოლებში არსებული მეთოდით სწავლებას ჩვეულათათვის, თორემ აქ მოულოდნელი და საოცარი არაფერია; პირიქით, ეს სრულებით ბუნებრივი იქნება და საოცარი კი ისაა, რომ ხშირად ყმაწვილს თითქოს სიტყვებიც ესმის, წინადადებებიც და მთლიანად შინაარსისა კი არაფერი უგრძნობია: რომ ეგრძნო და შეეთვისებინა, გადმოგვეცემა კიდეც!“ (იქვე, გვ. 69).

ამ წერილის ზევით მოცემული ზოგადი გაცნობაც კი გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ შეგნებული კითხვის საკითხს დ. ოყრეშიძე ღრმად და საფუძვლიანად განიხილავდა. აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ დ. ოყრეშიძე ერთი იმ პირველთაგანია, რამდენადაც ჩვენ იმ პერიოდის პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიურ ლიტერატურას ვიცნობთ, რომელმაც პედაგოგიური ფსიქოლოგიის მონაპოვართა საფუძველზე სცადა გაეშუქებინა ეს საინტერესო საკითხი.

დ. ოყრეშიძემ თავისი ნიჭი სცადა სახელმძღვანელო წიგნის შედგენის საქმეშიც. იგი არის თანაავტორი ანბანს შემდეგ სახმარებელი წიგნისა, რომელიც ი. ოცხელისა და სამ. ყიფიანის თანაავტორობით გამოვიდა „მნათობის“ სათაურით 1918 წელს ქ. ქუთაისში. ძირითადი ამოცანებისა, მასალის შერჩევისა და დალაგების თვალსაზრისით ეს წიგნი თავისებურად აღიღს იკავებს დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოების ისტორიაში და მის შესახებ აქ საჭიროა ორიოდ სიტყვა ითქვას.

„მნათობის“ საქმაოდ ვრცელ წინასიტყვაობაში ავტორები ახდენენ დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოების დაჯგუფებას. ისინი აღნიშნავენ, რომ დღემდე არსებულ სახელმძღვანელოთა ერთ ნაწილში პირველ პლანზეა წამოყენებული მატერიალური ( ოდნის შექმნა. ასეთი სახელმძღვანელოები ბავშვს აცნობენ თითოეულ საგანს, საგნის თვისებას, რა საგანი რისგან არის გაკეთებული, რა სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის და ა. შ. საკითხავი მასალა კი დამოკიდებულია ამ ამოცანებზე, მთლიანად ან ძირითადად მათთან არის დაკავშირებული.

ასეთი სახელმძღვანელოების ნაცვლად, მიუთითებენ ავტორები, ფართო გავრცელებას პოულობს წიგნები, რომლებშიაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. ამ ახალ სახელმძღვანელოებში ბატონობს ენა, რომელიც საღაროა ენის ქუთა-გონებისა, და, არა კლასიფიკაციები და სასაუბროები. ამ უკანასკნელთ წამყვანი ადგილი კი არ უჭირავთ, არამედ დაქვემდებარებული. სწორედ ამ თვალსაზრისს ეთანხმებიან ავტორები და თავიანთ წიგნს სათანადოდ შერჩეული მხატვრულ-ლიტერატურული მასალების შესწავლაზე აგებენ.

ამის შესაბამისად სახელმძღვანელო „მნათობში“ უპირატესად ლიტერატურული ნაწარმოებია მოთავსებული; საგანთა თვისებების შესწავლასა და მოვლენათა დახასიათებას მცირე ადგილი აქვს დათმობილი. „სასაუბროები სრულიად უარყავით, რადგანაც ჩვენი ღრმა რწმენით სასაუბროები და საპასუბროები აძლევენ ბავშვს მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებს და ამავე ღროს' ხელს კი არ უწყობენ, არამედ უშლიან ენის განვითარებას, რასაც სწავლის პირველ საფეხურზე უდიდესი და უპირველესი მნიშვნელობა აქვს“ („მნათობი“ გვ. 11).

რაც შეეხება მასალის დალაგებას წიგნში, აქ ავტორები იცავენ შემდეგ თანმიმდევრობას: „ჯერ ყმაწვილს ვაწვდით ოჯახის, შკოლისა და ტოლამხანაგობის ცხოვრებიდან ამოღებულს სურათებს, მერმე ბავშვი გაგვყავს ეზოში, ბოსტანში, ბაღში, ვენახში, მინდორში, სოფელსა და ქალაქში, ტყეში, წყლის ნაპირას და მთაში და ყველგან ყმაწვილს თვალწინ ვუშლით ბუნებისა და ცხოვრების სურათებს, ამასთანავე მივსდევთ იმ პედაგოგიურ პრინციპს, რომ ყმაწვილი თანდათანობით ნაცნობიდან უცნობზე გადავიყვანოთ, მახლობლიდან შორეულზე და სხვა“ („მნათობი“ გვ. 11).

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავტორები საერთოდ უარყოფდნენ ენობრივ მუშაობას, ნაწარმოების გარჩევას კითხვების შეშვეობით, მისი დღე-აზრის გამოყოფას და სხვა. ყოველივე ამას წიგნში მნიშვნელოვანი რაოდენობით აქვს დათმობილი ადგილი. „ენის განსავეითარებლად და წაკითხულის გონებაში უკეთესად აღსაბეჭდად, — აღნიშნავენ ავტორები, — თითქმის ყოველი სტატია, მეტადრე პირველი განყოფილებისა, დავასურათეთ. თითოეულ სტატიას კითხვები დაეუსვით შინაარსის ზეპირად გადმოსაცემად. ეს კითხვები მასწავლებელმა შეიძლება სხვაწარმად დაუსვას, მხოლოდ ბავშვებმა კი შინაარსი გადმოსცენ ლოგიკურად და დალაგებით. შეიძლება კითხვები შემცირდეს, შეიძლება გაფართოვდეს — ეს იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ მოსწავლეები რა განვითარებისა არიან... ერთი სიტყვით, კითხვებს მასწავლებელმა უნდა უყუროს, როგორც საშველ იარაღს, რომლითაც სარგებლობა საჭიროა მოწათის ძალის შეწონვით და შეფარდებით“ („მნათობი“ გვ. V).

სრულიად ცხადია, რომ „მნათობის“ ავტორები დედაენის სახელმძღვანელოს საფუძვლად, ხერხემლად თვლიან მხატვრულ სიტყვას და საგანმანათლებლო ხასიათის მასალის სწავლებას საგანგებო სტატიების, სასაუბროების, საამბისოდ შედგენილი კითხვების მეშვეობით და სხვ. მეორეხარისხოვან ამოცანად მიიჩნევენ.

როგორც ჩანს, ამ წიგნმა დიდი პოპულარობა ვერ მოიპოვა, მაგრამ აქედან სრულებით არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ მის შედგენაზე გაწეული შრომა უნაყოფოდ ჩაეთვალოთ. მხატვრულ-ლიტერატურული მასალებისათვის ბრძოლას დედაენის სახელმძღვანელოებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისით, რომ ეს ბრძოლა ხელს უწყობდა სახელმძღვანელოთა სიწმინდეს, ლიტერატურის საღმრთლო როლის განმტკიცებას, წიგნების გადატვირთვის შენელებას საცნობარო ხასიათის მასალებისაგან, სიმშრალისა და სქემატურობის თავიდან აცილებას.

დასასრულ, ჩვენ აქ საჭიროდ ვთვლით მივუთითოთ, რომ „მნათობი“ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი დ. ოყრეშიძის ორიგინალური საბავშვო ლექსები, პატარა მოთხრობები და მის მიერვე გამოკეთებული სხვადასხვა მხატვრული ნაწარმოებები და ნაწყვეტები. ეს მასალები გამოირჩევა ენობრივი და მხატვრული სისადავით.

აი, ორიოდ ნიმუში.

### პატარა გიგლა

ამ ჩენს პატარა გიგლასა

რა ადრე გაღვიძებია!

აქეთ ბაბუა ეძახის,

იქით ხელს უქნევს ბებია!

გიგლა კი მამას უღიმის

და დედას ჩაჰკონებია („მნათობი“ გვ. 1).

აი, მის მიერვე ი. კრილოვიდან გადმოკეთებული „მტრედი და გვრიტი“

„გვრიტი მახეში გაება,  
წვალობდა იტანჯებოდა,  
იქვე კი მჯდომი ხის ტოტზე  
მტრედი სიცილით კვდებოდა:

ჰაი, შე გლახა, სულელო  
აგრე რამ მოგატყუაო,  
რომ შუადლისას გაები  
და ვერ შენიშნე ძუაო?!

შე აბა ასე აღვილად  
ვერვინ შემაცდენს ჩემს დღეში.  
მტრედმა ეს რომ თქვა, თითონაც  
იქვე გაება მახეში“ („მნათობი“ გვ. 27).

მიუხედავად იმისა, რომ ეს ამ წერილის უშუალო საგანს არ შე-  
ადგენს, ჩვენ საჭიროდ ვთვლით რამდენიმე სიტყვით დავახასიათოთ  
დ. ოყრეშიძე-თომაშვილის პოეტური შემოქმედება.

აღზრდილი შრომით პირობებში, დ. თომაშვილი უშუალოდ იცნობ-  
და მშრომელი გლეხობის მდგომარეობას. თავის ლექსებში იგი მკაფიოდ,  
გულმართლად და დამაჯერებლად ასახავდა რევოლუციამდელ სოფელს,  
იქ გამეფებულ უსამართლობას. ამასთან პოეტის შემოქმედებაში ფართო  
გამოხატულებას პოულობდა საერთოდ მშრომელი ხალხის ქირ-ვარამი,  
მისი მოწინავე ნაწილის ბრძოლა უსამართლობის, ძალმომრეობის, ჩაგ-  
ვრის წინააღმდეგ, ბრძოლა, სოციალური და პოლიტიკური უფლებებისა-  
თვის, ეროვნული მონობის ბორკილებიდან ხალხის გამოხსნისათვის.

თავგასულობისა და მოძალადეობის, პირადობისა და პატივმოყვა-  
რეობის, კარჩაკეტილობისა და „საპირადო ჰანგებზე სტეენის“ მკაცრად  
გაკიცხვა-შხილებასთან ერთად, მის ლექსებში ფართო ადგილი ჰქონდა  
დათმობილი შრომისადმი პატივისცემისა და შრომის თავისუფლების,  
საზოგადოებისათვის თავდადების, მშრომელთა მზავვრელების წინააღ-  
მდეგ ერთობლივი ბრძოლის მოტივებს.

დ. თომაშვილის შემოქმედება მებრძოლ-მოქალაქეობრივ ხასიათს  
ატარებს. ამ მხრივ მისი პოეზია დიდად არის დავალებული აკაკი წე-  
რეთლისაგან. აკაკის პოეზიასთან თემატურ ნათესაობასთან ერთად  
დ. თომაშვილს განსაკუთრებით აკავშირებს მებრძოლი სული, შეური-  
გებლობა ჩაგვრისადმი. მისი მთელი რიგი ლექსები, დაწერილი 1905  
წლის რევოლუციის პერიოდში, მახვილ საბრძოლო მოწოდებებს წარმო-  
ადგენენ. ასეთებია, მაგალითად, „ქართველ დედას“, „ხალხური სიმღე-  
რა“, „გამარჯვება“, „წითელი დროშა“, „ამხანაგებო“, „მედგრად,  
ძმებო“.

დ. თომაშვილს ღრმად სწამდა მომავალი. მისთვის, როგორც ამა-ზე საეკსპედიტო სამართლიანად მიუთითებს დ. თომაშვილის პირველი მკვლევარი გ. ალაფიძე, უცხო იყო დაცემულობის განწყობილება. პოეტს ვერ წარმოედგინა, რომ რევოლუციური მოძრაობა სამუდამოდ დამარცხდებოდა (დომენტი თომაშვილი, ლექსები, გვ. IX). 1905 წლის რევოლუციის შემდეგ დროინდელ ლექსებშიაც იგი იმედით იყურებოდა წინ და სწამდა, რომ „შავი ღღე“ ტყბილი მომავლით შეიცვლებოდა.

დ. თომაშვილის ეს იმედები, ისე როგორც მრავალა მილიონი ადამიანებისა, დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სინამდვილედ აქცია. პოეტიც ახალი ცხოვრების მშენებლობაში მთელი თავისი შეგნებითა და გულით ჩაება. სოციალისტურ მშენებლობას მან უძღვნა რამდენიმე საუკეთესო ლექსი, რომლებშიაც ღრმად გამოხატა თავისი სიმპათიები „სიმართლეზე აშენებული“ სოციალისტური ქვეყნისადმი. ამ ლექსებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა „შვილიშვილი მუშა ბოქულადის“, „სიმღერა“, „სტალინი“, „მფრინავთა ათასეულებს“, „სამშობლოსადმი“ და სხვ.

დ. თომაშვილის პოეზიას თავის დროზე მაღალ შეფასებას აძლევდნენ. ცნობილია, რომ აკაკი წერეთელი ახალგაზრდა პოეტთა შორის ყველაზე მაღლა აყენებდა დ. თომაშვილს (დ. ფალავა, ჟურ. „მნათობი“, 1936 წ. № 7, გვ. 177). დ. თომაშვილის რამდენიმე ლექსი ს. გორგაძემ შეიტანა მის მიერ 1906 წელს გამოცემულ ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში, როგორც სკოლაში შესასწავლი მასალა.

ერთჯერ პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა მეორე აკაკი უწოდა დ. თომაშვილს. ამით მან სიწითლით მიწასთან გამასწორაო, წერს თავის მოგონებებში დომენტი და განაგრძობს: „ცხადია სოსოს ჩემი გაწითლება როდი ენება; მას რაღაც უფრო მაღალი კეთილშობილური მიზანი ჰქონდა: ამით მან ჩემს გარშემო ერთგვარი ახმაურება გამოიწვია და ქვეყანას ამცნო: ეს კაცი კიდევ ცოცხალიაო!

არა მიპასუხნია რა! იქნებ ჩემი ღუმილი ვინმემ გრიშაშვილის შეფასების დასტურად მიიღო ჩემის მხრივ!.. არამც და არამც.

საქართველოში ბევრი წყალი ჩაივლის, მზეც მრავალჯერ ამოვა და ჩავა, სანამ მეორე აკაკი დაიბადებოდეს!“

ამასთან დაკავშირებით წაკითხულ ლექსში 1940 წლის 25 ივნისს თავის სამწერლო მოღვაწეობას დომენტიმ შემდეგი შეფასება მისცა:

„რაც თვალი ამიხელია,  
სიცოცხლეს გავეცნაურე,  
სიტყვას ტყბილსა და ჩამოქნილს  
შევეტებე, და ვემძაურე,  
აკაკის ჩანგის ძებნაში  
მთას და ბარს გავებმაურე.

მივებმატებილე სამშობლოს  
გორ-მაღალ-ვაკიანათა  
ქართლ-ოდიშ-კახს და აქარას  
შაქარ-ტყბილ ბაკიანათა,  
ყველგან აკაკი გაისმის,  
აკაკიმ შემომანათა.

ყური მიეუბნარ წყალთ ჩხრიალს —  
როინს მტკვარ-არაგვიანად,  
კოროხსაც გავესაუბრე,  
მჩქეფარეს ბარაქიანად,  
ყვირილაც მათებრ მოიმღერს  
საყვარელ აკაკიანად.

ყრმა ვიყავ. გავხდი კაბუცი  
მცირედ რამ მოვიმარაგე,  
ზოგი რამ ჩემი წამომცდა  
და ზოგიც ჩავიარაკე  
ვერა ვწვდი, თორემ ისე ჰო!  
ცოტა მეც წავიაკაცე.

ღამით თვალს ძილი გამიკრთა  
წალკოტის შარი-შურითა,  
ჩიტმა ზვესური დასძახა,  
გული აივსო შურითა:  
ბულბული ჰყეფდა, კენესოდა  
კილო-ხმა აკაყურითა.

ზოგმა კი ხევიც აგროვა,  
მოიმკო, მოიბარაქა:  
ვინ ია ჰკრიფა, ვინ ვარდი,  
ხან იქ დაჰმღერა, ხან აქა,  
მაგრამ აკაკად არ ითქმის  
თუ ვინ სად წაიაკაცა!

ყური მიეუბნე ხალხის ხმას  
და გულის ძეგრას მისასა:  
ვისმენდი „ციცინათელას“  
ზედაც „სიმღერას მკისასა“  
ყველანი ტკბილად მღეროდნენ  
„სულიკოს“—აკაკისასა.

მოციმციმებენ ვარსკვლავნი,  
წინათ რომ ნისლი ებურათ,  
მთვარეც კაშკაშით დაგვნათის  
ლაღად და თავისებურად...  
თუ შევძელ, კვლავ მსურს ვიმღერო  
ისევ აკაკისებურად.

დომენტი თომაშვილის საკმაოდ მოზრდილი ლექსთა კრებული, სადაც ასზე მეტი ლექსია მოთავსებული, 1938 წელს გამოსცა „ფედერაციამ“.

### ლიტერატურა

დომენტი თომაშვილი, ლექსთა კრებული, მიხეილ ალავიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით.

„მოგონებანი და შთაბეჭდილებანი“, ლიტერატურული მუხეუმი, ხელნაწერი განყოფილების ფონდი 13390—6.

დ. ოყრეშიძე, „შეგნებითი კითხვა“ ჟურნ. „განათლება“, 1911 წ. № 2. „მოგონება აკაკიზე“, ლიტერატურის მატრიანე, წ. 3—4.

დ. ოყრეშიძე, „ზეპირი და წერიითი მეტყველებისათვის“ (ხელნაწერი).

ს ა რ ჩ ი ვ ი

	პა.
1. მრეელიშვილი ანდრია—ა. ცამცივილისა .	3
2. თულაშვილი ვახტანგი—მ. კველიძისა	9
3. წინამძღვარიშვილი ილია—ს. ცაიშვილისა	21
4. ნიკოლაძე ნიკო—ვ. ზამზახიძისა .	31
5. ჯუღელი ანთიმოზი—მ. არსენაძისა	49
6. კვიციანიძე პოლიევქტო—ა. ზუნდაძისა	59
7. თუმანიშვილი-წერეთელი ანასტასია—ს. ცაიშვილისა	65
8. ქუთათელაძე არისტო—მ. კველიძისა	77
9. გაბიჩვაძე ვარლამ—ა. გაბიჩვაძისა .	87
10. ნატროშვილი ანტონი—მ. მაჭავარიანისა	97
11. ორბელიანი მარიაში—ს. ცაიშვილისა	105
12. ძამსაშვილი-ცამცივევი რომ.—ა. ცამცივილისა	115
13. ჯაჯანაშვილი რაჟდენი—ლ. სანაძისა .	125
14. ყიფიანი ვასილი—ს. სხირტლაძისა .	133
15. ბაირამაშვილი აბელი—ა. ჩხენკელისა	143
16. ყიფშიძე გრიგოლ—ს. ცაიშვილისა . .	147
17. მთავარიშვილი თომა—ტრ. ზუნდაძისა	161
18. ნასიძე მიხეილ—მ. წენჯელისა .	169
19. ზედგენიძე იაკობ—მ. მაჭავარიანისა .	177
20. აღნიაშვილი ვლადიმერი—ს. ცაიშვილისა	189
21. ზუციშვილი ბათლომე—ა. ჩხენკელისა	199
22. მირიანაშვილი პეტრე—ს. ცაიშვილისა	205
23. რაზიკაშვილი ლუკა—მ. კველიძისა	221
24. კარიკაშვილი დავითი—ს. ცაიშვილისა	229
25. ნათიძე ალექსანდრე—მ. კველიძისა .	239
26. ცაგარეიშვილი გერასიმე—ტრ. ზუნდაძისა	243
27. ვარდოსანიძე მარიაში—არკ. ზუნდაძისა	249
28. ზალიშვილი მიხეილი—მ. ბერძნიშვილისა	257
29. ნიკოლაიშვილი იასონი—არკ. ზუნდაძისა	269
30. ხრამელაშვილი ეგნატე—ვ. ქაჯაიასი	275
31. მიქაბერიძე ალექსანდრე—მ. კველიძისა	285
32. ქვარაჩი სიმონი—ვ. ქაჯაიასი	297
33. ხმალაძე ლაზარე—უ. ობოლაძისა	305
34. ჯიშკარიანი ილია—ა. სვანაძისა .	315
35. რობაქიძე სერგო—ტრ. ზუნდაძისა	321
36. ყულაშვილი სოფიო ა. ჩხენკელისა .	329
37. ცინცაძე იაკობი—ს. ცაიშვილისა	337
38. ფალიაშვილი ზაქარია—მ. კველიძისა	347
39. გობეჩია მელიტონი—ს. ცაიშვილისა .	353
40. გორგაძე სერგი—ს. სხირტლაძისა .	363
41. ოყრეშიძე-თომაშვილი დომენტი—უ. ობოლაძისა	373

გადაეცა წარმოებას 1955 წ. 12/IX. ტელ-  
მოწერილია დასაბეჭდად 1955 წ. 12/X.  
ქალაქის ზომა 60X92. წიგნის ანაწყო-  
ბის ზომა 6,5X10,5. ტირაჟი 3000. გა-  
მომც. შეჯ. № 51. სტამბის შეჯ.  
№ 1608. უფ 07412.

საგამ.-საალრ. ფორმათა რაოდენობა 20,68.  
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 24,13.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტ-  
როს გამომცემლობისა და პოლიგრაფი-  
ული მრეწველობის მთავარი სამმართვე-  
ლოს სტამბა № 2, თბილისი,  
ფურცელადის ქ. № 5.



შეცდომების ბასწორება

გვერდი	სტრიქონი		არის	უნდა იყოს
	ზემო-დან	ქვემო-დან		
29	14	—	სამეურნეო სხვა	სამეურნეო და სხვა
33	—	8	მფარველობაზე	მფლობელობაზე
38	16	—	ნებებობის	ნებელობის
56	—	8—9	იქნები	იქნება
63	—	15	იგებ	აგებ
64	5	—	შემასმენელი	შესაქმნილი
81	14	—	სასაუბროს ნა- ცვლად	სასაუბროს ნაცვლად შეტა- ნილია სხვადასხვა სურათი
99	—	10	სემინარიას,	სემინარიას
121	8	—	წლასში	კლასში
121	—	17	ვისაც	ვისიც
134	9	—	უნივერსიტეტში,	უნივერსიტეტში
139	—	12	შენიშნავს:	შენიშნავს: „
141	14	—	„ცოდნით	„ცოდნით,
141	—	4	ПОСТАНОВКИ	ПОСТАНОВКИ
165	9	—	შეუმცირებლადო	შეუმცირებლადო“
167	2	—	ხუცესი	ხუცესის
174	—	1	დ. არდაზიანსა	ლ. არდაზიანსა
185	—	16	განხილული	განხილული?
212	—	10	პროვინციას	პროვინციას
226	2	—	საზოგადოების	საზოგადოების
231	—	19	ივლისის	ივლისს
234	—	11	1813	1913
236	18	—	„ივერია“	„ივერია“
237	—	19	ჭებაი	ჭება [ნ] ი
237	—	13	12	13
250	20	—	ბიოგრაფიიდან	ბიოგრაფიიდან
271	—	16	არ ყოფილიყოს	არ ყოფილიყოს.
280	1	—	საძიებარია	საძებარია
287	—	8	ცნობები	ცნებები
291	19	—	ანომალური	ანომალური
322	14	—	შესვლისას	შესვლისა
324	16	—	წლებში	წრეებში
330	—	18	საინგილო	საინგილო
357	—	6	მიიმზროს	მიიმზრო
360	—	3	სახალო	სახალო
361	13	—	მშობელი	მშობელი
385	9	—	შ. კეკელიძისა	მ. კეკელიძისა